თ.ბასილია, ა.სილაგაძე, თ.ჩიკვაიძე

პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე

თბილისი
2001

მონოგრაფიაში შესწავლილია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირეული საკითხები: ეკონომიკური ტრანსფორმაციის ობიექტური აუცილებლობა და არსი, რეფორმის შედეგები, სახელმწიფოებრივი რეგულირების ინსტრუმენტარიუმი, ინსტიტუციური, საფინანსო-საკრედიტო, სოციალური და საგარეო-ეკონომიკური სფეროების გარდაქმნა. მოცემულია სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევისა და სამომავლო განვითარების შესაძლებლობების სისტემური კონცეფცია, პოსტინდუსტრიული განვითარების მოთხოვნებისა და რეფორმის ახალი სტრატეგიის გახორციელების აუცილებლობის გათვალისწინებით.

მონოგრაფია განკუთვნილია მეცნიერ-ეკონომისტებისათვის, მართვის სპეციალისტებისათვის, მეწარმეებისათვის, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ასპირანტებისათვის, სტუდენტებისა და აღნიშნული საკითხებით დაინტერესებული ადამიანებისათვის.

რეცენზენტები: ე.მ.დ., პროფ. **მიხეილ ჯიბუტი**
ე.მ.დ., პროფ. **იაკობ მესხია**
ე.მ.კ., დოც. **რომან გოცირიძე**

რედაქტორი: საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
ვლადიმერ პაპავა

თბილისი
2001

შინაარსი

შესავალი 14

თავი 1. ეკონომიკის ტრანსფორმაციის ობიექტური აუცილებლობა

1.1. ახალი ცივილიზაციის ფორმირება 18
1.2. გლობალიზაცია, ფრაგმენტაცია და ლოკალიზაცია: განვითარების ოპტიმალური სტრატეგიის განსაზღვრა 40
1.3. რეფორმამდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი 62

თავი 2. ეკონომიკის ტრანსფორმაცია

2.1. ეკონომიკის ტრანსფორმაციის არსი და ფაქტორები 79
2.2. გარდამავალი ეკონომიკის კონცეფცია 92
2.3. რეფორმის შეფასების კრიტერიუმები და მაჩვენებლები 106

თავი 3. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა

3.1. რეფორმების გამოცდილება 113
3.2. რეფორმების ძირითადი მიმართულებანი საქართველოში 123
3.3. ეკონომიკური რეფორმების ეტაპები საქართველოში 132

თავი 4. სახელმწიფო და მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია

4.1. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ტრანსფორმაცია 143
4.2. რეფორმების პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული ინტერესები 159
4.3. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და რესტრუქტურიზაცია 165

4.4. კონკურენტული გარემო და ანტიმონოპოლიური სტრატეგია 185

თავი 5. ინსტიტუციური რეფორმები

5.1. საბაზრო მეურნეობის სამართლებრივი უზრუნველყოფა 195
5.2. კერძო სექტორის ჩამოყალიბება 199
5.3. ფინანსური ინსტიტუტების ფორმირება 206
5.4. მართვის სრულყოფა და ეფექტიანობის ამაღლება 218
5.5. ინსტიტუციური გარდაქმნების პოლიტიკური სტრატეგია 228

თავი 6. პრივატიზების თავისებურებანი

6.1. პრივატიზების აუცილებლობა და ტემპები 239
6.2. პრივატიზების გამოცდილება და მეთოდები 245
6.3. სახელმწიფო საკუთრების მართვის სტრატეგია და საწარმოთა რესტრუქტურიზაცია 250
6.4. პრივატიზების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები 256

თავი 7. ეკონომიკური დინამიკის თავისებურებანი

7.1. ეკონომიკური ზრდის მახასიათებლები 266
7.2. მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა და სტრუქტურა 272
7.3. ინვესტიციური კრიზისის მიზეზები 295
7.4. ინდივიდუალური კვლავწარმოების თავისებურებანი: საწარმოთა დანახარჯები და მეწარმეობა 302

თავი 8. საფინანსო-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბება

8.1. ფინანსური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი 309

8.2. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა 330
8.3. სადაზღვევო ბაზრის წარმოშობა 354
8.4. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირება 359

თავი 9. სოციალურ–ეკონომიკური პოლიტიკა და შრომის ბაზრის ფუნქციონირება

9.1. სოციალური ორიენტაციის შინაარსი 371
9.2. სოციალური პოლიტიკის უპირველესი ამოცანები და პრიორიტეტები, შრომის ბაზარი....374
9.3. სოციალური სფეროს გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი 390

თავი 10. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობანი

10.1. ღია ეკონომიკაზე გადასვლა 397
10.2. საგარეო–ეკონომიკური კავშირები საზღვარგარეთის ქვეყნებთან 417
10.3. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა 430

თავი 11. პოსტინდუსტრიული განვითარების მოთხოვნები და ტრანსფორმაციის ახალი სტრატეგია

11.1. ნეოეკონომიკის ფორმირება: სტრუქტურული მოდერნიზაცია, მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე გადასვლა 456
11.2. რეფორმის ახალი სტრატეგია: ინსტიტუციური, სტრუქტურული და ფინანსური ტრანსფორმაციის ოპტიმიზაცია 467
11.3. განვითარების სოციალური იმპერატივები და სიღარიბის დაძლევის პრობლემები 495
11.4. საქართველოს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური დილემა: ევროპის კავშირში გაერთიანება 510

დასკვნა 519

CONTENTS

Introduction.....14

Chapter 1. Objective Need for Economic Transformation

1.1. Formation of New Civilization.....18

1.2. Globalization, Fragmentation, Localization: Determination of the Optimal Development Strategy.....40

1.3. Peculiarities of the Socio-Economic Development of Pre-reform Georgia 62

Chapter 2. Main Point of Economic Transformation

2.1. Main Point and Factors of Economic Transformation.....79

2.2. Transitional Economy Concept.....92

2.3. Criteria and Indices of Reform Assessment.....106

Chapter 3. Transition to the Market Economy

3.1. Experience 113

3.2. Main Directions of the Reform in Georgia 123

3.3. Economic Reform Stages in Georgia 132

Chapter 4. State and Microeconomic Stabilization

4.1. Transformation of the Economic Role of the State 143

4.2. Reform Policy and National Interests of Georgia 159
4.3. Macroeconomic Stabilization and Restructuring Policy..... 165
4.4. Formation of the Competitive Environment. Antimonopoly Policy 185

Chapter 5. Institutional Reforms

5.1. Legal Provision of the Market Economy 195
5.2. Private Sector Formation 199
5.3. Formation of Financial Institutions 206
5.4. Management Improvement and Efficiency Enhancement 218
5.5. Political Strategy of Institutional Transformations 228

Chapter 6. Peculiarities of Privatization

6.1. Need for Privatization and Its Rates 239
6.2. Experience and Methods of Privatization 245
6.3. State Ownership Management Strategy and Restructuring of Enterprises 250
6.4. Socio-Economic Outcomes of Privatization 256

Chapter 7. Peculiarities of Economic Dynamics

7.1. Characteristics of Economic Growth 266
7.2. Dynamics and Structure of GDP 272

7.3. Reasons of Investment Crisis 295
7.4. Peculiarities of Individual Reproduction:
Production Costs and Entrepreneurship 302

Chapter 8. Transformation of Monetary System

8.1. Financial Policy Guidelines 309
8.2. Monetary Policy 330
8.3. Origin of Insurance Market 354
8.4. Formation of Security Market 359

Chapter 9. Socio-Economic Policy and Labor Market Operation

9.1. Social Orientation Content 371
9.2. Primary Tasks and Priorities of
Social Policy, Labor Market 374
9.3. Guidelines of Social Sphere
Transformation 390

Chapter 10. Foreign Economic Relations

10.1. Transition to the Transparent Economy 397
10.2. Foreign Economic Relations with
Foreign Countries 417
10.3. Cooperation with International
Organizations 430

Chapter 11. Postindustrial Development Requirements and New Transformation Strategy

11.1. Formation of Neo-economy: Structural Modernization, Transition to Stable and Safe Development 456

11.2. New Strategy of Reform: Institutional, Structural and Financial Transformation Optimization 467

11.3. Social Imperatives of Development and Poverty Problem 495

11.4. Geopolitical and Geo-economical Dilemma of Georgia: EU and Entering the Union 510

Conclusion 528

СОДЕРЖАНИЕ

Введение 14

Глава 1. Объективная необходимость экономической трансформации

1.1. Формирование новой цивилизации.....18
1.2. Глобализация, фрагментация и локализация: определение оптимальной стратегии развития.....40
1.3. Особенности социально-экономического развития Грузии до реформы.....62

Глава 2. Суть экономической трансформации

2.1. Суть и факторы экономической трансформации.....79
2.2. Концепция переходной экономики.....92
2.3. Критерии и показатели оценки реформы.....106

Глава 3. Переход на рыночную экономику

3.1. Опыт реформ.....113
3.2. Основные направления реформ в Грузии.....123
3.3. Этапы экономических реформ в Грузии.....132

Глава 4. Государство и макроэкономическая стабилизация

4.1. Трансформация экономической роли государства.....143
4.2. Политика реформ и национальные интересы Грузии.....159

4.3. Политика макроэкономической стабилизации и реструктуризации.....165
4.4. Формирование конкурентной среды. Антимонопольная политика.....185

Глава 5. Институциональные реформы

5.1. Правовое обеспечение рыночного хозяйства.....195
5.2. Становление частного сектора.....199
5.3. Формирование финансовых институтов.....206
5.4. Совершенствование управления и повышение эффективности.....218
5.5. Политическая стратегия институциональных преобразований.....228

Глава 6. Особенности приватизации

6.1. Необходимость и темпы приватизации.....239
6.2. Опыт и методы приватизации.....245
6.3. Стратегия управления государственной собственностью и реструктуризация предприятий.....250
6.4. Социально-экономические результаты приватизации.....256

Глава 7. Особенности экономической динамики

7.1. Характеристика экономического роста.....266
7.2. Динамика и структура валового роста внутреннего продукта.....272

7.3. Причины инвестиционного кризиса.....295
7.4. Особенности индивидуального воспроизводства: издержки предприятий и предпринимательство.....302

Глава 8. Формирование финансово-кредитной системной политики

8.1. Основное направление финансовой политики.....309
8.2. Денежно-кредитная политика.....330
8.3. Возникновение страхового рынка.....354
8.4. Формирование рынка ценных бумаг.....359

Глава 9. Социально-экономическая политика и функционирование рынка труда

9.1. Содержание социальной ориентации трансформации.....371
9.2. Первостепенные задачи и приоритеты социальной политики, рынок труда.....374
9.3. Основные направления реорганизации социальной сферы.....390

Глава 10. Внешнеэкономические отношения

10.1. Переход к открытой экономике.....397
10.2. Внешнеэкономические связи с зарубежными странами.....417
10.3. Сотрудничество с международными организациями.....430

Глава 11. Требования постиндустриального развития и новая стратегия трансформации

11.1. Формирование неоэкономики: структурная модернизация, переход на устойчивое и безопасное развитие.....456

11.2. Новая стратегия реформы: оптимизация институциональной, структурной и финансовой трансформации.....467

11.3. Социальные императивы развития и проблема нищеты.....495

11.4. Геополитическая и геоэкономическая диллема Грузии: Европейский союз. Вступление в союз.....510

Заключение 536

შესავალი

[საქართველოში მიმდინარე რეფორმები, ღრმა მეცნიერულ და სისტემურ ანალიზს მოითხოვს. ამისათვის აუცილებელია დროისა და მოვლენათა კავშირის, საერთოდ, საზოგადოებრივი განვითარების მექანიზმის გათვითცნობიერება.

საზოგადოებრივი განვითარება მარტო ცალკეული პიროვნებებისა და ხელისუფლების ძალისხმევით ან კარგად ჩამოყალიბებული კონცეფციის საფუძველზე არ ხდება. განვითარებისათვის ყველაზე უფრო მთავარი მაინც თეორიული ცოდნის, სტრატეგიების, პოლიტიკური ნების რეალურად გახორციელების, პრაქტიკად გადაქცევის უნარია. ამიტომაა, რომ ძირეული გარდაქმნები საზოგადოებისა და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის, განვითარების პროცესში უცებ არ ხდება. განვითარების მექანიზმი გულისხმობს: **ჯერ ერთი**, გარდაქმნებისა და მათი გახორციელების პირობების დიდი ხნის განმავლობაში თანდათან მომწიფებას; **მეორე**, საზოგადოებრივ ცნობიერებაში გარდაქმნების აუცილებლობის დამკვიდრებას; **მესამე**, რეალურ პოლიტიკას გარდაქმნების ცხოვრებაში გახორციელების მიზნით. სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები ცალკეულ ქვეყნებში, მათ შორის განვითარებულ, განვითარებად და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში სწორედ ამ მექანიზმის მოქმედების საფუძველზე მიმდინარეობს.]

წინამდებარე მონოგრაფიის ძირითადი მიზანია: ვაჩვენოთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა XXI საუკუნის მიჯნაზე, განვსაზღვროთ მისი განვითარების თავისებურებანი, ძირითადი პრობლემები და პერსპექტივები. ამისათვის შესწავლილია ეკონომიკური ტრანსფორმაციის მეთოდოლოგიური საკითხები, რეფორმების მიმდინარეობა და შედეგები, პოსტინდუსტრიული განვითარების მოთხოვნები და ტრანსფორმაციის ახალი სტრატეგიის განმსაზღვრელი მიმართულებანი.

კერძოდ, გამოკვლეულია მიმდინარე გარდაქმნების არსი, რეფორმების ძირითადი შედეგები, მათ შორის, სახელმწიფოს როლი მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაში, ინსტიტუციური რეფორმის მიმდინარეობა, პრივატიზების თავისებურებანი, კვლავწარმოების პრობლემები და ეკონომიკური დინამიკა, ფინანსურ-საკრედიტო სისტემის გარდაქმნა, სოციალური პოლიტიკა და შრომის ბაზრის ფორმირება, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ტრანსფორმაცია, საქართველოს სტრუქტურული მოდერნიზაციის, მდგრადი და უსაფრთხო განვითარების, ინსტიტუციური და ფინანსური რეფორმების ოპტიმიზაციის, სიღარიბის დაძლევის, ევროპის ეკონომიკურ კავშირში გაწევრიანების კონკრეტული პრობლემები.

პრობლემების გაანალიზება, ძირითადი დებულებები და დასკვნები მონოგრაფიის თეორიულ და პრაქტიკულ ფასეულობას თვითონ გვიჩვენებს. ამასთანავე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია წინასწარ ჩამოვაყალიბოთ შემდეგი ამოსავალი პოზიციები:

წიგნი საქართველოს დღევანდელი და სამომავლო შესაძლებლობებით დაინტერესებულ ყველა მკითხველს ეძღვნება, მაგრამ, პირველ რიგში, ის მაინც საზოგადოების იმ ნაწილისთვისაა გათვალისწინებული, რომელიც უშუალოდ არის პასუხისმგებელი ქვეყნის მდგომარეობაზე - სახელმწიფო მოღვაწეებისათვის, სპეციალისტებისათვის, მეცნიერებისათვის, მენეჯერებისათვის, მეწარმეებისათვის.

ნაშრომი არ არის ეკონომიკური თეორიის სახელმძღვანელო, სადაც გარკვეულია საქართველოს ამჟამინდელი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ყველა მიზეზი. იგი არ არის ისტორიული ნაშრომი, თუმცა მასში ფართოდაა წარმოდგენილი საბჭოთა კავშირის დაშლის საკითხი, ისტორიული პარალელები პოსტსოციალისტურ ქვეყნებთან. იგი ვერც ეკონომიკური პოლიტიკისადმი სპეციალურად მიძღ-

ვნილ ნაშრომად ჩაითვლება, მიუხედავად იმისა, რომ მასში ფართოდაა წარმოდგენილი ეკონომიკური რეფორმირებისა და პოლიტიკის საკითხები – რა და როგორ უნდა გაკეთდეს, რომ ქვეყანამ რაც შეიძლება სწრაფად დასძლიოს არსებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი და ჩამორჩენილობა. თეორიული საკითხები, ისტორიული პარალელები, ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემატიკა მონოგრაფიაში განხილულია იმდენად, რამდენადაც ეს მისი ძირითადი მიზნის გასაცნობად იყო აუცილებელი.

წიგნი კრიტიკული და თვითკრიტიკული ხასიათისაა. შეიძლება გამოვყოთ საქართველოს ეკონომიკის მკვლევარების სამი ჯგუფი. **პირველი** ჯგუფის წარმომადგენლები განსაკუთრებით უარყოფითად არიან განწყობილნი საქართველოში მიმდინარე ისტორიული გარდაქმნებისადმი და საერთოდ უარყოფენ რაიმე დადებით შედეგს, ძალიან პესიმისტურად უყურებენ საქართველოს მომავალს. **მეორე** ჯგუფის წარმომადგენლები ცდილობენ (მხოლოდ დადებითი შედეგების პოზიციიდან) ხოტბა შეასხან მიმდინარე ცვლილებებს. ისინი უარყოფენ რეფორმირების სერიოზულ ნაკლოვანებებს და ამით, ფაქტობრივად, აფერხებენ საქართველოს განვითარებას. **მესამე** ჯგუფის წარმომადგენლები, მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესებისადმი მართალია, კრიტიკულად, მაგრამ ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. ისინი ცდილობენ გამოააშკარაონ არსებული შეცდომები, მცდარი გადაწყვეტილებები, უარყოფითი შედეგები, რომ ამის საფუძველზე რეფორმირებისა და განვითარების უფრო ეფექტიანი და შედეგიანი პოლიტიკა განისაზღვროს. მთლიანობაში, მონოგრაფიაში ოპტიმისტური პოზიცია სწორედ კრიტიკულადაა წარმოდგენილი (მიუხედავად ავტორთა შორის ზოგიერთ საკითხში განსხვავებული შეხედულებებისა).

ავტორებს მიაჩნიათ, რომ 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოსათვის მთავარი იყო კითხვა – შეძლებს თუ ვერ შეძლებს ქვეყანა დამოუკიდებელ დემოკრატიულ და საბაზ-

რო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას? განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა, რომ საქართველომ მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა, მაგრამ ერთდროულად განადგურდა ადრინდელი საწარმოო პოტენციალის დიდი ნაწილი, მოსახლეობის უმრავლესობა უკიდურეს სიღარიბეში აღმოჩნდა, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობას, დემოკრატიული სახელმწიფოსა და საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებას რეალურ საფრთხეს უქმნის.

ამიტომ დღეს საქართველოსთვის მთავარი კითხვა უკვე სხვანაირად ისმის: შეძლებს თუ არა საქართველო გარდაქმნების დროულად განხორციელებას, სოციალურ-ეკონომიკური კრიზისისა და ჩამორჩენილობის დაძლევას, თუ იგი კვლავ ქრონიკულად ჩამორჩენილ ქვეყნად დარჩება?

მონოგრაფიის კონკრეტული მიზანია ამ პრობლემების აქტუალურობა და მისი გადაწყვეტის შესაძლებლობების ჩვენება. ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია, რომ ამ ურთულეს პრობლემასთან დაკავშირებული ყველა საკითხი სრულყოფილად განვიხილეთ. ნებისმიერი მკითხველის ყველა კონკრეტულ შენიშვნასა და რჩევას დიდი მადლიერებით მივიღებთ და მომავალ გამოკვლევებში გავითვალისწინებთ.

თავი 1. ეკონომიკის ტრანსფორმაციის ობიექტური აუცილებლობა

1.1. ახალი ცივილიზაციის ფორმირება

[ახალი ათასწლეულის დასაწყისი კაცობრიობის განვითარებაში უდიდესი მნიშვნელობის ცვლილებებით ხასიათდება. ისტორიაში პირველად, ჩამოყალიბდა ერთიანი მსოფლიო სისტემა, რომელიც ცალკეული ქვეყნის განვითარებაზე განმსაზღვრელ ზემოქმედებას ახდენს. აქედან გამომდინარე, საქართველოში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების მეთოდოლოგიურად შესწავლამდე, გარკვეულწილად, აუცილებელია განვიხილოთ მსოფლიო სისტემის განვითარების ძირითადი ტენდენციები და თავისებურებანი. ასეთი მიდგომა საშუალებას მოგვცემს უფრო დასაბუთებულად გავაანალიზოთ და კომპლექსურად შევაფასოთ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა და მისი პერსპექტივები.

[მეოცე საუკუნეს თავისი დრამატიზმით, ყველა სფეროში კოლოსალური პროგრესით, მაგრამ ამავე დროს დამანგრეველი ორი მსოფლიო ომითა და სხვადასხვა მიმართულების მასობრივი სოციალური მოძრაობების აღმავლობით ბადალი არ მოეპოვება. ამ საუკუნის ძირითადი შედეგებიდან მთავარია: განვითარების მაღალი პოტენციალის მქონე ადამიანის ჩამოყალიბება; ინდუსტრიალიზმის კრიზისი და პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების დაწყება; მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციის ინტენსიფიკაცია; კაპიტალიზმისა და სოციალიზმის მეტოქეობის დასრულება; დეკოლონიზაციის პროცესის გახორციელება; ერთიანი მსოფლიო სისტემის ფორმირება.]

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს თვითონ ადამიანში მიმდინარე რევოლუციას, მისი ყოველმხრივი და უსაფრთხო განვითარების თვალსაზრისით. ადამიანის პროგრესი გამოიხატება არა მარტო მისი ჯანმრთელობის, განათლების, უსაფრთხოების, შემოსავლების, სოციალურ-პოლიტიკური აქტივობის დონის ამაღლებით. მთავარია ის, რომ ადამიანი უკვე ფლობს ისეთ ინტელექტუალურ და მატერიალურ

შესაძლებლობებს, რომ იგი სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი განვითარების განმსაზღვრელ ძალად ჩამოყალიბდა. უფრო მეტიც, ინფორმაციული და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დაუფლებით, ადამიანის გენეტიკური პრობლემის გადაწყვეტით, იგი საერთოდ სამყაროს მაკონსტრუირებელ გეოლოგიურ და ინტელექტუალურ ძალად გვევლინება.[1] ამიტომ არის, რომ განვითარების ადრეულ სტადიაზე გაბატონებული იყო ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლებისათვის მებრძოლი ადამიანი, რომლისთვისაც დამახასიათებელია მატერიალური სიმდიდრისა და პოლიტიკური ძალის დაუფლების მოტივაცია, თანამედროვე პირობებში კი წამყვანია ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც მაღალი ეთიკით, ჰუმანიზმით, ინტელექტით ხასიათდება.

ცხადია, ეს პროცესი ფრიად ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივია. გამოყენებითი სისტემური გამოკვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის პროგნოზით, მსოფლიოს მოსახლეობა გაორმაგდება, დაახლოებით, 45 წელიწადში, შემდეგ მისი ზრდის ტემპი მკვეთრად შემცირდება და XXI ს. დასასრულისთვის, დაახლოებით, 12 მილიარდს მიაღწევს. განვითარებადი ქვეყნების წილი მსოფლიოს მოსახლეობაში 1990-2030 წ.წ. 78%-დან 86%-მდე გაიზრდება, ხოლო 2070 წ. დაახლოებით 88%-ს მიუახლოვდება.[2] ეს პროგნოზები შეიძლება ზუსტად არ გამართლდეს, მაგრამ დედამიწის მოსახლეობის სწრაფი ზრდა ეჭვს არ იწვევს. ნობელის პრემიის ლაურეატის პ. დრაკერის აზრით, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებები ხშირად დემოგრაფიულ სფეროში ხდება. ყველა განვითარებულ ქვეყანაში შობადობა კრიტიკულ ზღვარზე უფრო დაბლა შემცირდა, რომელიც ფერტილური ასაკის ერთ ქალზე 2,2 ახალშობილს შეადგენს. განვითარებად ქვეყნებში კი, მოსახლეობის სწრაფი ზრდის შედეგად,

---

[1] იხ. Печчеи А. Человеческие качества М., 1980; Гэлбрейт Дж.К. Индустриальное общество. М., 1969; Белл Д. Постиндустриальное общество. М. 1973; Тоффлер Э. Третья волна. М., 1999.

[2] Яковец Ю.В. История цивилизаций. М., 1997, გვ. 278-283.

პლანეტის მოსახლეობა მაქსიმუმს გაცილებით უფრო ადრე – დაახლოებით 2015 წ. მიაღწევს. იმავდროულად, მოსახლეობაში სიბერის პროცესი ჩქარდება, რაც სოციალურ პირობებს ამწვავებს.

დასავლეთში დღეს უკვე ფართოდ განიხილება საპენსიო ასაკის თანდათან 80 წლამდე გადიდების საკითხი, რადგანაც სხვანაირად, ცხოვრების მაღალი დონე, უახლესი ტექნოლოგიების გამოყენების პირობებშიც კი, ვერ შენარჩუნდება. დაბალი შობადობა გამოიწვევს სამხრეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოების უმრავლესობის მნიშვნელობის შემცირებას მსოფლიო მასშტაბით, თუმცა ეს პროცესი იაპონიასა და აშშ-ის სიძლიერესაც რეალურად ემუქრება. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კვლავ სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში რჩება, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე შედარებით დაბალია.[3] ამიტომ დემოგრაფიული ტენდენციები მთელ მსოფლიოში სოციალური დაძაბულობისა და მწვავე კონფლიქტების რეალურ საფრთხეს ქმნის.

აღნიშნული ტენდენციების პირობებში, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დონის მიხედვით, სხვაობის გლობალური პრობლემების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ რადიკალური ცვლილებებით თვითონ ადამიანში, მის მოთხოვნილებაში, ცოდნის ხარისხში, საქმიანობის ეფექტიანობაში. განვითარების თეორია და პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამ ისტორიული ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ინდუსტრიული საზოგადოების კრიზისის დაძლევით და მის ნაცვლად პოსტინდუსტრიული საზოგადოების თანდათანობითი ჩამოყალიბებით.

[კაცობრიობის პროგრესი საზოგადოებრივი განვითარების ინდუსტრიამდელი, ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული

---

[3] Иноземцев В. Переосмысливая грядущее - ჟ. "МЭ и МО", 1998, №11, გვ. 9-10.

სტადიების ერთობლიობაა. ამასთან, ინდუსტრიამდელი სტადია მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ნეოლითი (ძვ.წ. 10–5 ათასი წ.წ.), ენეოლითი (ძვ.წ. 4–2 ათასი წ.წ.), ანტიკური (ძვ.წ. VIII ს–დან ახ.წ. V ს–მდე) და შუა საუკუნეების (V–XIV ს.ს.) ეპოქები; ინდუსტრიულის წინა (XIV–XVII ს.ს.) სტადია. ინდუსტრიული სტადია სამრეწველო რევოლუციის გავრცელებას უკავშირდება და მოიცავს პერიოდს XVIII საუკუნიდან XX საუკუნის 70–იან წლებამდე, რის შემდეგაც თანდათან ყალიბდება პოსტინდუსტრიული ცივილიზაცია.

ინდუსტრიამდელი სტადია, ფაქტობრივად, სოფლის მეურნეობის სტადიაა, რომლის ძირითადი ნიშანია სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაბატონება წარმოებასა და მოხმარებაში. იგი, დაახლოებით, 150 საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა და განვითარების ძალიან ნელი ტემპით ხასიათდებოდა. ინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი ნიშნებია: ეკონომიკური ადამიანის ბატონობა, მთავარ ფასეულობად მატერიალური და ფინანსური სიმდიდრის წამოწევა, სამრეწველო პროდუქციის გაბატონება წარმოებასა და მოხმარებაში, რაოდენობრივი ზრდა, მექანიკური ტექნოლოგიების გაბატონება, ორიენტაცია მოგებაზე და ა.შ. (იხ. ცხრილი 1).

ინდუსტრიული განვითარების შედეგებიდან მნიშვნელოვანია: პროგრესის დაჩქარება, წარმოების ავტომატიზაცია, რევოლუცია შრომის მწარმოებლურობაში, ცხოვრების მაღალი დონის მიღწევა, მეცნიერების, ტექნოლოგიების ფართოდ განვითარება. მაგრამ ასეთ განვითარებას თან სდევდა მაღალი სოციალური საზღაური, კერძოდ, დამანგრეველი ომები, მილიტარიზაცია, განვითარებული და ჩამორჩენილი ქვეყნების გამოყოფა, სიღარიბის ზრდა, საზოგადოების დეჰუმანიზაცია, ეკოლოგიური კატასტროფების გაღრმავება, ოჯახის მნიშვნელობის დაცემა. 70–იანი წლებისათვის უკვე ცხადი გახდა, რომ ინდუსტრიულმა განვითარებამ თავისი შესაძლებლობები ძირითადად უკვე ამოწურა. კერძოდ, გაუარესდა არაგანახლებადი რესურსების მოპოვებისა და გა-

მოყენების პირობები მათი მარაგის შემცირების, მექანიკური ტექნოლოგიების ზღვრული ეფექტიანობის მიღწევის, ფასების ამაღლების შედეგად. მარტო ერთ ბარელ ნავთობზე ფასები 1973-1981 წლებში 2,8 დოლარიდან 32 დოლარამდე გაიზარდა. მნიშვნელოვნად ამაღლდა ყველა სხვა ნედლეულისა და მასალის ფასები. უკიდურესად გაუარესდა ეკოლოგიური მდგომარეობა. გარემოს დაცვის ღონისძიებებმა ფასების კიდევ უფრო ამაღლება გამოიწვია. იმავდროულად, წარმოების ავტომატიზაციის გაფართოებამ, სტრუქტურული უმუშევრობის მკვეთრად გადიდება განაპირობა. შედეგად, 70-იან წლებში ჩამოყალიბდა **სტაგფლაციური ვითარება**, რომელიც მთლიანი შიდა პროდუქტის ძალიან ნელი ზრდით, მაღალი ინფლაციისა და უმუშევრობის თანაარსებობით ხასიათდება.

ამ პროცესებმა დააჩქარეს მომდევნო პერიოდში მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციის ახალი ტალღის ინტენსიფიკაცია და შესაბამისად, პოსტინდუსტრიული საზოგადოების სტადიაზე გადასვლა. პოსტინდუსტრიული სტადია, მისი პირველი საფეხურის - ინფორმაციული საზოგადოების სახით, პრინციპულად განსხვავდება ადრინდელი სტადიებისაგან, რაც კარგად ჩანს №1 ცხრილიდან. კაცობრიობის ისტორიაში იწყება სრულიად ახალი სუპერციკლი. თუ ადრინდელ სტადიებზე გაბატონებული იყო ბუნებრივი ადამიანი, რომელიც თავისი ბიოგენეტიკური და სოციალური შესაძლებლობების შეზღუდულობით ხასიათდებოდა, ამიერიდან განვითარების განმსაზღვრელია ბიოსოციალური ადამიანისა და ხელოვნური ინტელექტის თანაარსებობა, როდესაც ბუნებრივი ადამიანის ტვინისა და შემოქმედებითი უნარის შესაძლებლობები ხელოვნური ინტელექტის დახმარებით არნახულად იზრდება. ასეთი თანაარსებობა საოცარ შედეგს იძლევა: ამით, ფაქტობრივად, წინასწარდასახული პარამეტრების მქონე ნებისმიერი რესურსის, მათ შორის ცოდნის, ინტელექტის მიღების რეალური შესაძლებლობა იქმნება.

სრულიად ახალი ტენდენციები ვითარდება საზოგადოებ-

ცხრილი 1

ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი ნიშნები

№	ინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი ნიშნები	№	პოსტინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი ნიშნები
1.	ეკონომიკური და პოლიტიკური ადამიანის ბატონობა	1.	მაღალგანვითარებული ჰუმანური ადამიანის ბატონობა
2.	ადამიანის ბიოგენეტიკური შესაძლებლობების შეზღუდულობა	2.	ბიოსოციალური ადამიანისა და ხელოვნური ინტელექტის თანაარსებობა
3.	სიძლიერის, სიმდიდრის მთავარი მაჩვენებელი - მატერიალური და ფინანსური სიმდიდრე	3.	სიძლიერის, სიმდიდრის მთავარი მაჩვენებელი - არამატერიალური სიმდიდრე, ინტელექტუალური პოტენციალი, სოციალური კაპიტალი
4.	სამრეწველო პროდუქციის გაბატონებული მდგომარეობა წარმოებასა და მოხმარებაში	4.	ინფორმაციის, ცოდნის გაბატონებული მდგომარეობა წარმოებასა და მოხმარებაში
5.	მოსახლეობის უდიდესი ნაწილის დასაქმება მრეწველობაში	5.	მოსახლეობის უდიდესი ნაწილის დასაქმება ინფორმაციულ სექტორში
6.	სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების განცალკევება	6.	სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების გაერთიანება
7.	სამუშაო და თავისუფალი დროის განცალკევება	7.	სამუშაო და თავისუფალი დროის შერწყმა
8.	ეკონომიკური ზრდა, რაოდენობრივი ზრდა, არაგანახლებადი რესურსების უპირატესი გამოყენება	8.	ეკონომიკური განვითარება, მუდმივი თვისებრივი ტრანსფორმაცია, განახლებადი რესურსების უპირატესი გამოყენება
9.	მექანიკური ტექნოლოგიების გაბატონება	9.	არამექანიკური ტექნოლოგიების გაბატონება
10.	ზრდის ძირითადი მექანიზმი - კონკურენცია	10.	განვითარების ძირითადი მექანიზმი - კონკურენციისა და თანამშრომლობის ოპტიმიზაცია
11.	კონფორმატიული განვითარება	11.	ევოლუციური, კომპრომისული განვითარება
12.	პროგრესის დონის მთავარი მაჩვენებელი - მოლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე	12	პროგრესის დონის მაჩვენებელი - ადამიანის განვითარების ინდექსი, წმინდა კეთილდღეობა ერთ სულ მოსახლეზე წმინდა ცოდნის დინამიკა
13.	ორიენტაცია მოგების მაქსიმიზაციაზე, მასშტაბის ეკონომიაზე, დანახარჯების შემცირებაზე, არსებული რესურსების გამოყენებაზე	13.	ორიენტაცია კონკურენტუნარიანობაზე, შესაძლებლობებზე, ცოდნაზე, ადამიანზე, თანამშრომლობაზე, ხარისხზე
14.	განვითარების მთავარი ფაქტორი - ინვესტიციები მატერიალურ წარმოებაში	14.	განვითარების მთავარი ფაქტორი - ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში
15.	წარმატების, მოგების მთავარი ფაქტორი - წარმოების დანახარჯების შემცირება, პროდუქციის მოცულობის გადიდება, წარმოების მასშტაბების გადიდება	15.	წარმატების, მოგების მთავარი ფაქტორი - ადამიანი,მუშაკის კვალიფიკაცია, ცოდნა, პროდუქციისა და მენეჯმენტის ხარისხი
16.	მსხვილი, მასობრივი, მოუქნელი წარმოება	16.	წარმოებისა და მოხმარების ინდივიდუალიზაცია, მოქნილი წარმოება
17.	ეროვნული ეკონომიკა. ორიენტაცია შიდა ბაზარზე	17.	გლობალური ეკონომიკა. ორიენტაცია მსოფლიო ბაზარზე
18.	ორიენტაცია მწარმოებლურობის ზრდაზე	18.	ორიენტაცია ცოდნის შეძენით ცოდნის გამოყენებაზე

რივი განვითარების სხვა სფეროებშიც. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცვლილებები ეკონომიკაში, სოციალურ-პოლიტიკურ დარგსა და სულიერ სფეროში მსოფლიოს ერთიანი სისტემის წარმოშობასთან დაკავშირებით. რეალიზდება სრულიად ახალი ეკონომიკა, ნეოეკონომიკა, რომლისთვისაც დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი ტრანსფორმაციები:

I. მკვიდრდება წარმოების პრინციპულად ახალი ტექნოლოგიური წესი. მისთვის დამახასიათებელია არამექანიკური, სოციალური, ინფორმაციული, ბიოლოგიური და ნანოტექნოლოგიების გაბატონება, განახლებადი რესურსების, უწინარეს ყოვლისა, ცოდნის უპირატეს გამოყენებაზე გადასვლა, წარმოების რესურსტევადობის მკვეთრი შემცირება, მისი მეცნიერებატევადობისა და ინფორმაციატევადობის მკვეთრი ამაღლება, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, დროისა და სივრცის ინტენსიფიკაცია, სწრაფად დაძლევა, შეკუმშვა. მისი საფუძველია თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციაპირველ ეტაპზე (40-50 წლები) ამ უკანასკნელის ძირითადი მიზანი იყო ახალი თავდაცვითი სისტემების შექმნა, სამხედრო-ტექნიკური უპირატესობის მიღწევა. მეორე ეტაპზე (60-80 წლები) მთავარ მიზნად უკვე სტაბილური ეკონომიკური ზრდის, ძირითადი დარგების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა გვევლინება. მესამე, თანამედროვე ეტაპზე მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარების მთავარ ამოცანად, უპირატესად, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების, ცხოვრების დონის ამაღლება გადაიქცა (ინფორმაციული სექტორის, მედიცინის, ეკოლოგიის განვითარების საფუძველზე).

შესაბამისად, დამახასიათებელი გახდა ინოვაციური საქმიანობის გაძლიერება, რენტაბელური ინვესტიციების გახორციელება ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ, ინფორმატიზაცია, ბიოლოგიზაცია, წარმოებისა და მოხმარების ინდივიდუალიზაცია, მინიატიურიზაცია, ნედლეულსა და მასალებზე ფასების შემცირება, რესურსების ფიზიკური იშვიათობის თანდათან დაძლევა. 1965 წ. ხარჯების წილი გამოკ-

ვლევებსა და დამუშავებაზე აშშ-ის მთლიან შიდა პროდუქტში შეადგენდა 2,8%-ს, იაპონიაში - 1,5%, გერმანიაში - 1,7%, საფრანგეთში - 2,0 % -ს. 2000 წ. ეს მონაცემები, შესაბამისად, შეადგენდა 2,8; 2,9; 2,7; 2,4%-ს.[4] ეს აბსოლუტური მოცულობით ძალიან დიდი მასშტაბებია. ასე მაგალითად, აშშ-ისთვის იგი დაახლოებით 250 მლრდ. დოლარია ყოველწლიურად. მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარების სხვადასხვა პროგნოზით გამოიყოფა შემდეგი ძირითადი ინოვაციური კლასტერები, კონტურები: ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები, მედიცინა და ჯანმრთელობა, გარემოს დაცვა, ახალი მასალების შექმნა. ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები კარდინალურად ცვლის წარმოების, განათლების, კომუნიკაციების სფეროებს, რაც მთავარია, კაცობრიობის ყველაზე უფრო დიდი მიღწევის - ხელოვნური ინტელექტის რეალურად შექმნის შესაძლებლობას განაპირობებს. ჯანმრთელობის ჩამოყალიბება ერთ-ერთ ყველაზე უფრო პერსპექტიულ ინოვაციურ კლასტერად დაკავშირებულია გრძელვადიანი დემოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორების მოქმედებასთან. იგულისხმება, პირველ რიგში, შობადობის შემცირებისა და მოსახლეობის მოხუცებულობის ტენდენციები, ჯანმრთელობის სფეროს მაღალი ეკონომიკური მომგებიანობა, ჯანმრთელობისა და საერთოდ, სოციალური სფეროს განვითარებისადმი სახელმწიფოების პოლიტიკური მხარდაჭერა. სამედიცინო ტექნოლოგიებისა და მოლეკულური ბიოლოგიის განვითარება, ადამიანის გენის საიდუმლოს ახსნა არა მარტო ავადმყოფობების მორჩენისა და პროფილაქტიკის, არამედ ფიზიკურად და ინტელექტუალურად ძლიერი ადამიანის ჩამოყალიბების საშუალებასაც იძლევა. გარემოს დაცვის კლასტერი მოიცავს, უწინარეს ყოვლისა, ენერგიის უსაფრთხო, საიმედო და გრძელვადიანი წყაროების შექმნას მომავალი თაობებისათვის ჯანმრთელი გარემოს უზრუნველსაყოფად. მასალების

---

[4] იხ. ჟ. "МЭ и МО", 1998, №11, გვ. 35; ჟ. "МЭ и МО", 2000, №8, გვ. 54.

კლასტერი გულისმობს წარმოებული პროდუქციის მახასიათებლების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას.[5]

შესაბამისად, ინტენსიურად ვითარდება კრიტიკული ტექნოლოგიები, რომლებიც სრულიად ახალ ეკონომიკასა და ცხოვრების წესს ამკვიდრებს ინფორმატიკის, კომუნიკაციებისა და წარმოების სფეროში: პროგრამული უზრუნველყოფა, მიკროელექტრონიკა და ოპტოელექტრონიკა, მაღალმწარმოებლური ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები და კომპიუტერული ქსელები, მაღალი ხარისხის გამოსახულების მიღება, მონაცემების შენახვის სისტემები, იმიტაციური მოდელირება, მოქნილი ავტომატიზებული წარმოება, დამმუშავებელი მოწყობილობა ხელოვნური ინტელექტის ელემენტებით, მიკრო და ნანოტექნოლოგიები, რთული სისტემების მართვის ტექნოლოგიები; მედიცინისა და ჯანმრთელობის სფეროში: გამოყენებითი მოლეკულური ბიოლოგია, სამედიცინო ტექნოლოგიები; გარემოს დაცვის სფეროში: ენერგეტიკული ტექნოლოგიები, გაჭუჭყიანების შემცირება და გარემოს აღდგენა, ნარჩენების პრობლემა. ახალი მასალების სფეროში: მასალების სინთეზი და დამუშავება, ელექტრონული, ოპტოელექტრონული, კერამიკული მასალები, კომპოზიციური მასალები, მასალები და შენადნობები მაღალი მუშა მახასიათებლებით; ტრანსპორტის სფეროში: კოსმოსური ტექნიკა, აერონავტიკა, მიწისზედა ტრანსპორტის ტექნოლოგიები; სოციალური ტექნოლოგიები: მიკრო-, მეზო-, მაკრო-, მეგა- მენეჯმენტი, ადამიანთა მანიპულაციის, მოტივაციის, ქცევის ტექნოლოგიები, გეოინფორმაციული, გეოინტელექტუალური, გეოსოციალური, გეოეკონომიკური, გეოპოლიტიკური, გეოსტრატეგიული ტექნოლოგიები.

ახალი ტექნოლოგიური წესის დანერგვა მკვეთრად ზრდის წარმოების ეფექტიანობას და იმავდროულად, ნედლეულსა და მასალებზე ფასების შემცირებასაც განაპირობებს, თუმცა ცხოვრების დონის, შემოსავლების ამაღლების ტენდენ-

---

[5] იხ.Доклад комисии конгреса США по критическим технологиям. Вашингтон, 1991; Инновационные контуры мировой экономики. М., ИМЭМО РАН, 1999.

ცია ამ უკანასკნელს ეწინააღმდეგება. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფასები ნედლეულზე, გადაამუშავებული პროდუქციის ფასებთან შედარებით, უკანასკნელი 2000 წლის განმავლობაში, შემცირდა სწორედ ტექნიკური პროგრესის შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ მოკლევადიან პერიოდში მისი დინამიკა იცვლებოდა. მაგალითად, ომის შემდეგ 1948-1954 წ.წ. აღინიშნებოდა ფასების ზრდა, 1955-1972 წ.წ. - შემცირება, 1973-1987 წ.წ. - ზრდა, 1988 წლიდან დღემდე, ენერგომატარებლების გამოკლებით, ფასების რეალური ინდექსები კვლავ შემცირების ტენდენციით ხასიათდება.[6]

ასეთი გრძელვადიანი ტენდენცია კი, ძალიან მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა. ჯერ ერთი, ობიექტურად არსებობს ზრდის ეკოლოგიური საზღვრები: სათბურის ეფექტი ნიშნავს, რომ მიუღებელია განვითარების ის მოდელი, რომელიც არაგანახლებადი რესურსების, ნახშირწყალბადიანი ენერგომატარებლების, საავტომობილო ტრანსპორტის ინტენსიურ გამოყენებას ეფუძნება. მეორე, მოსახლეობის სწრაფი ზრდისა და არაგანახლებადი რესურსების თანდათან ამოწურვის მიუხედავად, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროცესს შეუძლია გადაწყვიტოს შემდეგი საკითხები: მზარდი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა, ნავთობის შემცვლელის გამოძებნა, გარემოს დაცვა, საერთოდ, კაცობრიობის მატერიალური და სულიერი პროგრესი.

II. ყალიბდება პრინციპულად ახალი ეკონომიკური ურთიერთობები. მისთვის, დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი ცვლილებები: საკუთრების სფეროში - კერძო საკუთრების მნიშვნელობის შემცირება და ინდივიდუალური, პირადი საკუთრების ფორმების, საზოგადოებრივი საკუთრების მნიშვნელობის ამაღლება, ცოდნაზე, ინფორმაციაზე, ინტელექტუალურ პოტენციალზე საკუთრების წინა პლანზე წამოწევა; საქმიანობის მოტივაციის სფეროში - მატერიალური, ფინანსური მოტივის მნიშვნელობის შემცირება და გან-

---

[6] Казен А. Сырье или интеллект? - ჟ. "МЭ и МО", 1998,№8, გვ. 73-78.

მსაზღვრელი მოტივის, მიზნის სახით ცოდნის, ინტელექტის დაგროვების, შრომით დაკმაყოფილების, საზოგადოებაში პრესტიჟის, თვითდამკვიდრების, თვითგანვითარების მოტივის დამკვიდრება. უკვე დღეს განვითარებულ ქვეყნებში კომპანიების აქციების დიდ ნაწილს ფლობენ არა ცალკეული მსხვილი მესაკუთრენი, არამედ ინსტიტუციური ინვესტორები – საპენსიო ფონდები, სადაზღვევო და ინვესტიციური კომპანიები, რომელთა კაპიტალის მესაკუთრე, უპირატესად, მოსახლეობაა. ეს იმას ნიშნავს, რომ კერძო საკუთრება, ტრადიციული გაგებით, თანამედროვე დასავლურ საზოგადოებაში უკვე აღარაა გაბატონებული. სახეზეა საკუთრების დიფუზია, დისიმილაცია, რომელმაც მნიშვნელოვნად შეცვალა კაპიტალიზმის ბუნება.[7]

მაგრამ, მაინც, საკუთრების ტრანსფორმაციის, კერძო საკუთრების ინდივიდუალური, პირადი საკუთრებით გამოდევნის პროცესი, უპირატესად ინფორმაციული ეკონომიკის თანდათან გაბატონებით აისახება. თანამედროვე ინტელექტუალური მუშაკები, რომლებიც ცოდნითა და შემოქმედებითი საქმიანობის უნარით გამოირჩევიან, უკვე ისეთი დაქირავებული მუშაკები აღარ არიან, როგორიც ინდუსტრიულ საზოგადოებაში იყვნენ. მათ აქვთ ცოდნის უნიკალური უნარი, რომელიც თანამედროვე წარმოებაში შეიძლება ეფექტიანად გამოიყენონ. ამასთან, მოსახლეობის დიდ ნაწილს აქვს კომპიუტერი, „ელექტრონული კოტეჯი", რომელიც ინტერნეტში შეიძლება ჩაირთოს. ამჟამად, აშშ-ში, დაახლოებით, 25 მილიონი სამუშაო ადგილია, რომელიც ტელეკომუნიკაციური კავშირებით, ინტერნეტით სხვადასხვა საქმიანობის შესრულების საშუალებას იძლევა.

ინფორმაციული, ბიოლოგიური, ნანოტექნოლოგიები მცირე ზომისა და ღირებულების, მაგრამ მაღალი წარმადობის წარმოების საშუალებების დამკვიდრებას განაპირობებს, რომელთა ყიდვა და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა ინდივიდუალურ მეწარმეებსა და მცირე ფირმებსაც

---

[7] იხ. Drucker P.F. Post-Capitalist Society.N.Y., 1995.

შეუძლიათ. მსხვილი წარმოება, რა თქმა უნდა, მომავალშიც დარჩება, სპეციფიკური სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად, მაგრამ მცირე და საშუალო ბიზნესის, ინდივიდუალური საკუთრების დიდი მომავალი ეჭვს არ იწვევს.

III. კარდინალური სტრუქტურული ძვრები მოხდა ეკონომიკაში, მის დინამიკაში. აქ აღსანიშნავია, უწინარეს ყოვლისა, არამატერიალური წარმოების უპირატესი განვითარება, ინფორმაციული სექტორის გაბატონება წარმოებისა და დასაქმების სფეროებში, ადამიანის გაფართოებული კვლავწარმოების სექტორის ჩამოყალიბება, სამეურნეო საქმიანობისა და აზროვნების ვირტუალიზაცია, ნანოეკონომიკის წინგამსწრები განვითარება. ეს უკანასკნელი ეფუძნება თანამედროვე ნანოტექნოლოგიების, ანუ მინიატიურულ, მიკროსკოპიულ და ატომურ დონეზე მოქმედ ტექნოლოგიებს, რომლებიც ინფორმაციული, სხივური, ქიმიური, უნარჩენო ტექნოლოგიების გამოყენებას გულისხმობს. მისი შედეგია ინტეგრაციული სქემების, მიკროსქემების, ხელსაწყოების, ნახევარგამტარებისა და სხვა მინიატიურული ნაკეთობების წარმოება. საბოლოოდ, სწორედ ინფორმაციული და ნანოტექნოლოგიების გავრცელება განაპირობებს წარმოების მინიატიურიზაციას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების გაერთიანებას, სამუშაო და თავისუფალი დროის შერწყმას, შრომის მაღალ მწარმოებლურობას. უშიშროების პრობლემების დაძლევა სწორედ ნანოეკონომიკის მაღალი განვითარების შედეგად იქნება შესაძლებელი.

ამასთან, ინტელექტუალური ეკონომიკის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, წინა პლანზე იწევა ქსელური და სივრცობრივი სტრუქტურების პრობლემა. ასეთი ეკონომიკისას ეკონომიკური სტრუქტურები უპირატესად ინფორმაციული ქსელის სტრუქტურებია, ეკონომიკურ აგენტებს შორის, ინტელექტუალური ქსელის სტრუქტურებია, რომელთა შორის სამეურნეო კავშირები ყალიბდება უპირატესად არა ბაზრის აბსტრაქტული კანონების, მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობის მიხედვით, არამედ თვითონ ინფორმაციით, ახა-

ლი ტექნოლოგიების, პროდუქციის, რეკლამის, სტრატეგიების მეშვეობით აყალიბებენ ეკონომიკურ სივრცეს, აგენტებს, საქონლის რაოდენობასა და ფასებს. სტრუქტურები თანამედროვე პირობებში ინფორმაციული ნაკადის მოძრაობის, კოლექტიური მოქმედების, ბრძოლის, კონკურენციის, მეტოქეობის, კონფლიქტების, თანამშრომლობის პროდუქტია. ამიტომ ის გაცილებით უფრო ფართო სპექტრს (ვიდრე საქონლური ნაკადების სტატისტიკური მაჩვენებლებია), ანუ არასაბაზრო სტრუქტურებსა და ინსტიტუტებსაც მოიცავს.

კერძოდ, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არამატერიალურ სტრუქტურებს, მათ შორის სოციალურ, ინტელექტუალურ, ინსტიტუციურ სტრუქტურებს. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა ფიზიკურ, ან ფინანსურ კაპიტალს, არამედ ინტელექტუალურ კაპიტალს, რაც ვირტუალური ეკონომიკური სტრუქტურებისა და სივრცეების განვითარებას ასტიმულირებს. ტრადიციულ გეოგრაფიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ სივრცეებთან ერთად, ვითარდება სოციალური, ინფორმაციული, ტექნოლოგიური, ინსტიტუციური, კულტურული სივრცეები, რომლებსაც საკუთარი საზღვრები და განვითარების მექანიზმები აქვთ. ვირტუალური, არამატერიალური, ინფორმაციული ეკონომიკა, ცოდნის ეკონომიკა თანდათან წამყვან ადგილს იკავებს თავისი რეალური და არარეალური, წარმოსახვითი ქვესისტემებით. რეალური ვირტუალური ეკონომიკა არის ისეთი, რომელიც სინამდვილეში ობიექტურად არსებობს, მაშინ როდესაც არარეალური ვირტუალური ეკონომიკა ეთიკის, რწმენის, ნდობის, მოლოდინის, ტრადიციის, ჩვევების სუბიექტური, ინდივიდუალური ფენომენით განისაზღვრება, ანუ წარმოდგენითი შედეგია. აღნიშნული ტენდენციები პოსტინდუსტრიული საზოგადოების პირველ საფეხურზე – ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლას ობიექტურად განაპირობებს.

შესაბამისად რთულდება და სულ უფრო მრავალფეროვანი ხდება ეკონომიკური მოთხოვნილების, პროდუქციის, საქონლის, მომსახურების, დოვლათის სტრუქტურა.

IV. არსებითი ხასიათის ცვლილებებია განვითარების მექანიზმისა და სტრატეგიის სფეროშიც. აქ მთავარია ინფორმაციის, ცოდნის, შემოქმედებითი უნარის, მენეჯმენტის გადაქცევა განვითარებისა და ეფექტიანობის მთავარ ფაქტორად, დემოკრატიზაციის პროცესი, თანამშრომლობითი ურთიერთობების გაბატონება. ამასთან, განმსაზღვრელია მრავალმხრივი ცოდნა, გლობალური ხედვა, კონცეფცია და ამის საფუძველზე პროცესების თანამიმდევრული მართვა. ეფექტიანი მენეჯმენტის გახორციელება უნდა ემყარებოდეს არა მხოლოდ არსებულ რესურსებს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, იმის შესაძლებლობას, რას შეუძლია მიაღწიოს ინდივიდმა, ფირმამ, ქვეყანამ. ფუძემდებლური მნიშვნელობისაა განახლებადი რესურსების გამოყენება. ეს კი თანდათან ტრადიციული ეკონომიკის საფუძველს – რესურსების იშვიათობის დაძლევის საშუალებას იძლევა.

იმავდროულად მაღლდება ინდივიდის, ფირმის, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მნიშვნელობა. მისი განმსაზღვრელია კონკურენტუნარიანობა ცოდნის, განათლების, ტექნოლოგიების სფეროში, მენეჯმენტში, ხარისხის მიხედვით და არა კონკურენტუნარიანობა ბუნებრივი რესურსების, მატერიალური კაპიტალის მიხედვით.

V. ზემოთ დახასიათებული ცვლილებები წარმოების ეფექტიანობის მკვეთრ ამაღლებას განაპირობებს, როგორც ეს იყო სამრეწველო რევოლუციის შემდეგ. ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე აღინიშნება ეფექტიანობის მაჩვენებლების (შრომის მწარმოებლურობა, მასალატევადობა, კაპიტალტევადობა, ეკოლოგიური მახასიათებლები) ზრდის ტემპის შენელება, ზოგჯერ კი მათი აბსოლუტური გაუარესება, განსაკუთრებით გარდამავალ ქვეყნებში, პოსტსოციალისტურ სივრცეში. ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებისა და გავრცელების პერიოდში, XXI საუკუნის პირველ ნახევარში მოსალოდნელია ეფექტიანობის ზრდის მაღალი ტემპი. მომდევნო პერიოდში სიმწიფის ეტაპზე ეფექტიანობის ზრდის ტემპი დასტაბილიზდება, ხოლო შემდეგ, მორიგი საყოველთაო ტექნოლოგიური კრი-

ზისის მოახლოებასთან დაკავშირებით, XXI საუკუნის დასასრულს, შემცირებას დაიწყებს.

წარმოების ეფექტიანობის ამაღლება ინფორმაციულ საზოგადოებაში შემდეგი ძირითადი პროცესებით აისახება: პროდუქციის ასორტიმენტის მნიშვნელოვანი გაფართოებითა და მისი ხარისხის ამაღლებით, მოთხოვნილების ინდივიდუალიზაციის გაღრმავებითა და მათი უკეთ დაკმაყოფილებით, ბაზრების სეგმენტაციის გაძლიერებით; თითოეულ დასაქმებულსა და ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის ზრდის ტემპის დაჩქარებით, რასაც წარმოების ავტომატიზაცია, ტექნიკის მინიატიურიზაცია და უნარჩენო ტექნოლოგიების დანერგვა განაპირობებს; წარმოებისა და პროდუქტის ეკოლოგიური მახასიათებლების გაუმჯობესებით, ეკოლოგიური წარმოების გავრცელებით; ახალი პროდუქტის შედარებითი და აბსოლუტური გაიაფებით, რაც ინფლაციის დაძლევასა და პროგრესულ სტრუქტურულ ძვრებს ასტიმულირებს; შრომის პირობებისა და უსაფრთხოების სრულყოფით, მისი შემოქმედებითი ხასიათის ამაღლებით; მაღალი ცხოვრების დონისა და ხარისხის დამკვიდრებით.

ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი მიზანია პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში დინამიკის ამპლიტუდის შემცირება, მინიმიზაცია, მდგრადი და უსაფრთხო განვითარების მიღწევა. ყოველივე ამას შედეგად მოსდევს ცხოვრების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, მომავალი თაობებისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

VI. პოსტინდუსტრიული ეკონომიკა მოითხოვს რადიკალურ ცვლილებებს წარმოების ორგანიზაციასა და მართვაში. ინდუსტრიულმა რევოლუციამ შექმნა მანქანა, მანქანამ – ფაბრიკა, რომელიც მანქანების სისტემას მოიცავდა. ფაბრიკა ინდუსტრიული საზოგადოების სიმბოლოდ გადაიქცა. ფაბრიკებისა და ქარხნების მასშტაბები სულ უფრო იზრდებოდა, კონცენტრირება ხდებოდა მსხვილ ქალაქებში, ურბანიზაციის გაძლიერება კი, გარემოს ძლიერ გაუარესებას იწვევდა. მაგრამ ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერ-

გვა იწვევს წარმოების დეკონცენტრაციას, დეცენტრალიზაციას, ინდივიდუალური და მცირე ბიზნესის გავრცელებას, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, გადამმუშავებელ მრეწველობასა და მომსახურების სფეროში. მცირდება გარემოზე წარმოების უარყოფითი ზემოქმედება. იცვლება შრომის დანაწილების ხასიათი. შრომის პროცესის მრავალფეროვნება, ტექნიკის სწრაფი ცვლა და შრომის მონაცვლეობა მკვეთრად ამცირებს ვიწროპროფილიანი შრომის დანაწილების მნიშვნელობას: აუცილებელი ხდება ფართო პროფილის მუშაკების – მუშების, ინჟინრების, კონსტრუქტორების, ეკონომისტების, მენეჯერების, მეცნიერების არსებობა, რომლებსაც შეცვლილი პირობებისადმი სწრაფი ადაპტაციის უნარი ექნებათ. ვიწრო სპეციალიზებული მონოპროდუქტიული წარმოება მნიშვნელობას კარგავს. სამაგიეროდ, ფართოვდება წარმოებისა და პროდუქციის დივერსიფიკაცია, გამრავალფეროვნება, ეკონომიკური კავშირები არა მარტო ეროვნული ეკონომიკის, არამედ მსოფლიო მეურნეობის მასშტაბით. შესაბამისად, სულ უფრო ინტენსიურად ყალიბდება დარგთაშორისი, რეგიონთაშორისი და სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციულ-საწარმოო ციკლი და ქსელი.

ახალი ვითარება, ინფორმაციის, ცოდნის განვითარების მთავარ ფაქტორად წამოწევა, მართვის რადიკალურად გარდაქმნასაც ითხოვს. ავტორიტარული, მბრძანებლური, იერარქიული მართვა, რომელიც ახშობს მუშაკთა დამოუკიდებლობას, ინიციატივას, არჩევანის თავისუფლებას, შემოქმედებით უნარს, წარსულს ჰბარდება. მის ნაცვლად ძლიერდება მართვის დემოკრატიზაცია, მუშაკთა მონაწილეობა მართვაში, გადაწყვეტილების მიღებაში, მოგებაში, აქციების ფლობაში. შედეგად ყალიბდება თანამონაწილე პირთა პარტნიორობის ეკონომიკა, რომელიც მკვეთრად ამაღლებს მეწარმეობის უნარს, ნოვატორობას, თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობას ფირმის, რეგიონის, ქვეყნის კეთილდღეობისათვის.

ტექნოლოგიური და ეკონომიკური ტრანსფორმა–

ცია ობიექტურად განაპირობებს რადიკალურ ცვლილებებს სოციალურ–პოლიტიკურ სფეროში. დამახასიათებელი ხდება სოციალური სტრუქტურის შემდეგი ძირითადი ჯგუფების გამოყოფა: ა) კვალიფიციური მუშაკები, კონსტრუქტორები, ინჟინრები, მასწავლებლები, მოსამსახურეები; ბ) წვრილი და საშუალო მეწარმეები; გ) პენსიონერი, რანტიე, რომლებიც ადრინდელი შრომის შედეგად დაგროვილი თანხით ან ფასიან ქაღალდებში დაბანდებული შემოსავლებით ცხოვრობენ; დ) მსხვილი მეწარმეები, სახელმწიფო მოხელეების უმაღლესი ფენა, არმიის ხელმძღვანელი კადრები, პოლიტიკური პარტიების ლიდერები – მცირერიცხოვანი ფენა, რომელიც მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ძალას ფლობს. საერთოდ, დამახასიათებელია სოციალური სტრატიფიკაციის გაღრმავება, რასაც წარმოების ინდივიდიზაცია, ინდივიდუალური მეწარმეების ფენის გაფართოება იწვევს. ეს პროცესი ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებასთან ერთად მკვეთრად ამცირებს საზოგადოებაში სოციალურ დაპირისპირებას, სოციალური რევოლუციების, „შოკური" რადიკალური გარდაქმნების ობიექტურ საფუძველს. ცხადია, ეს საზოგადოებაში სოციალური კონფლიქტების დაძლევას არ ნიშნავს. პირიქით, ასეთი კონფლიქტები გამოვლინდება, რადგანაც ინდივიდუალიზაციის გაღრმავება ინტერესების გამრავალფეროვნებასაც ნიშნავს, რაც კონფლიქტების წყაროა. მაგრამ კონფლიქტებს ანტაგონისტური, შეურიგებელი ხასიათი არ ექნება, რადგანაც ამის ობიექტური მიზეზების არეალი მკვეთრად შემცირდება და უპირველესად, ევოლუციური განვითარების ტიპი გაბატონდება.

მაგრამ ინდივიდუალიზაცია, ინტერესების დივერსიფიკაცია პოლიტიკური სისტემის რადიკალურ ტრანსფორმაციასაც იწვევს. ინტერესების გამრავალფეროვნება ცალკეულ სოციალურ ჯგუფებს შორის პოლიტიკური კონსენსუსის დარღვევის საფუძველია, რის გამოც იშვიათად თუ მოხერხდება მოსახლეობის უმრავლესობის თანხმობა მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხის გადასაწყვეტად. ეს კი, მთავ-

რობის ლეგიტიმურობის საკითხსა და წარმომადგენლობით დემოკრატიას ეჭვქვეშ აყენებს. მეორე მხრივ, ინტერესების დიფერენციაცია უმცირესობათა რიცხვის ზრდას განაპირობებს. ინდუსტრიულ საფეხურზე უმრავლესობის მმართველობის ლეგიტიმურობა იმით იყო გამოწვეული, რომ უმრავლესობა ღარიბი მოსახლეობის ფენა იყო. შესაბამისად, დემოკრატიაც უმრავლესობის ნების გამოხატვას გულისხმობს. მაგრამ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში ვითარება იცვლება. აქ ღარიბები უკვე უმრავლესობას აღარ წარმოადგენენ. ისინი უმცირესობის ფენაა, რომელთა ინტერესების დაცვის გარეშე სამართლიანობა ვერ იზეიმებს. ამიტომ, დემოკრატია სრულიად ახალ შინაარსს იძენს. იგი, უწინარეს ყოვლისა, სხვადასხვა სოციალური ფენის უმცირესობათა ინტერესების გამოხატვას გულისხმობს და პოლიტიკურმა სისტემამ სწორედ ასეთი დემოკრატია უნდა დაამკვიდროს. პოსტინდუსტრიული ეპოქისათვის დამახასიათებელი ღია საზოგადოების არსი მრავალფეროვანი ინტერესების აღიარებითა და გახორციელების შესაძლებლობების არსებობით გამოიხატება. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ პოლიტიკური დეცენტრალიზაცია საკმარისი არ არის, რადგანაც ადგილობრივი მმართველობის დონეზეც შეიძლება ტირანული მმართველობის მოწმე გავხდეთ. ასეთ პირობებში, ინტერესთა და უმცირესობათა ნების უკეთ გასათვალისწინებლად საჭიროა ისეთი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება, სადაც უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა მიღება და შესრულება მუდამ ფართო საზოგადოების კონტროლით მოხდება. ამისათვის კი, აუცილებელია ძლიერი არასამთავრობო ორგანიზაციების ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რომელიც ეფექტიანი სახელმწიფოსა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტიტუტებთან ერთად იფუნქციონირებს. ასეთი არასამთავრობო ორგანიზაციები დღეს უკვე მრავალრიცხოვანი უმცირესობის პოლიტიკურ ნებას გამოხატავს და საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევის საშუალებად ყალიბდება.

მაშასადამე, დამახასიათებელი იქნება პოლიტიკური პლუ-

რალიზმი, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესების გამომხატველი მრავალი პარტიისა და მოძრაობის აღმოცენება, რომლებიც აწარმოებენ ბრძოლას ხელისუფლებაში მოსვლისათვის, მაგრამ საზოგადოებაზე მონოპოლიური გავლენის მოხდენა მაინც არ შეუძლიათ.

პიროვნების როლის ამაღლება და საზოგადოების ჰუმანიზაცია, სოციალური განვითარების წინა პლანზე წამოწევა სახელმწიფოებრივ–სამართლებრივი განვითარების სფეროში არსებითი ხასიათის ტრანსფორმაციებს იწვევს. XX საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან აღინიშნება სახელმწიფოებრიობის კრიზისი, რაც დაკავშირებულია არა მარტო სახელმწიფოს ეფექტიანობის შემცირებასთან, მისი ფუნქციებისა და აპარატის ზედმეტად გაფართოების გამო, არამედ ისეთი ახალი ძლიერი სუბიექტების დამკვიდრებასთან, როგორიცაა ძლიერი მრავალფეროვანი კომპანიები, სხვადასხვა საზოგადოებრივი მოძრაობა და არასამთავრობო ორგანიზაცია. ეს უკანასკნელნი ისეთ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა სახის ფუნქციებს ასრულებენ, რომლებიც ადრე სახელმწიფოს პრეროგატივა იყო. ამიტომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის შემცირების ტენდენცია ძლიერდება. განვითარებულ საზოგადოებაში სახელმწიფომ იტვირთა: ადამიანის უფლებების დაცვა; კონფლიქტებსა და დისკუსიებში არბიტრის ფუნქციის შესრულება; ეკონომიკასა და სხვა სფეროებში ფუნქციონირების წესების კანონმდებლობის განსაზღვრა; საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა; გარემოს დაცვა; დეპრესიული რეგიონებისათვის მხარდაჭერა; საზღვარგარეთ საკუთარი მოქალაქეებისა და ფირმების ინტერესების დაცვა; სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა. შესაბამისად, ძლიერდება ძალაუფლების დეცენტრალიზაციის ტენდენცია, ფუნქციების გადაცემა რეგიონული და ადგილობრივი ორგანოებისადმი. იცვლება სახელმწიფოს უფლებების რეალიზაციის მექანიზმი, მონაწილეობითი, დემოკრატიული მეთოდების ფართოდ დანერგვით. კონტროლს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე სულ უფრო მეტად მასობრივი

ინფორმაციის საშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ. ყველა სფეროში კანონის უზენაესობა მკვიდრდება, რითაც კორუფციის, სუბიექტივიზმის, ავანტიურიზმის გამოვლინებანი მაქსიმალურად იკვეთება.

განსაკუთრებით რადიკალურია ცვლილებები სულიერ სფეროში – მეცნიერების, განათლების, კულტურის, ეთიკის სფეროებში. მიმდინარეობს არნახული სამეცნიერო რევოლუცია. ამ შემთხვევაში უმთავრესი დარგია არა ფიზიკა, არამედ ადამიანისა და სიცოცხლის შესახებ მეცნიერებები, უწინარეს ყოვლისა, ბიოლოგია. იშიფრება ადამიანის გენომი, მემკვიდრეობის გენეტიკური კოდი, ბიოველი, ცალკეული ადამიანის ექსტრასენსორული უნარი. ფორმირდება სრულიად ახალი შეხედულებები ადამიანის არსის, უნარის, შესაძლებლობების შესახებ. აღმოცენდა ახალი კონცეფციები სამყაროს წარმოშობისა და განვითარების, საზოგადოებისა და ადამიანების ცხოვრებაზე კოსმოსური პროცესების ზემოქმედების შესახებ. მომავალში მოსალოდნელია კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მეცნიერული გარღვევები, უდიდესი აღმოჩენები და გამოგონებები, რომელთა ათვისება ხელს შეუწყობს წარმოების განახლებასა და ეფექტიანობის ამაღლებას, მისი მეცნიერებატევადობის გაძლიერებასა და ინტენსიფიკაციას.

განათლების სფეროში ცვლილებები მოიცავს: სახელმძღვანელოებში აკუმულირებული კაცობრიობის ცოდნის განახლებას, განათლების ჰუმანიზაციას, მისი ტექნოკრატიული და ვიწრო პრაგმატული ხასიათის დაძლევას, პროფესიული და ესთეტიკურ-ეთიკური განათლების შერწყმას, განათლების ადაპტაციური უნარის ამაღლებას, სწავლების ფართო პოლიტექნიზაციას, ახალი მეთოდების დანერგვას. უმნიშვნელოვანესი მიმართულებებია კრეატიულ პედაგოგიკაზე გადასვლა, მსმენელის შემოქმედებითი უნარის განვითარება, სხვადასხვა სახის საქმიანობაზე გადასვლის შესაძლებლობის გაფართოება, მუდმივი განათლების სისტემის დანერგვა, დისტანციური სწავლების გაძლიერება, სწავლების კომპიუტერიზაცია და ინფორმატიზაცია.

უმნიშვნელოვანესი ტენდენციაა მაღალი კულტურის აღორძინება. მთავრდება მოდერნიზმის ეპოქა, რომელმაც დაარღვია ადამიანისა და ბუნების ერთიანობა, მთლიანობა, ხელი შეუწყო ადამიანის, პიროვნების დაშლასა და გაუხეშებას, მშვენიერების, ჰარმონიის, სიყვარულის გაუფასურებას. მის ნაცვლად მკვიდრდება პოსტმოდერნიზმი, რომელმაც უნდა აღორძინოს ეს მარადიული ფასეულობანი, ასტიმულიროს სრულყოფილად განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბება. კულტურის, ხელოვნების რენესანსის განმსაზღვრელი ფაქტორებია მათი ინფორმატიზაცია, უწყვეტი ესთეტიკური განათლება, სულიერი ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია, კულტურის ეკონომიკურ რესურსად გადაქცევა.[8]

სულიერი სფეროს ტრანსფორმაციის ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი ძალაა სრულიად ახალი ეთიკისა და იდეოლოგიის გავრცელება. ინდუსტრიული ეთიკის კრიზისი გამოწვეულია იმით, რომ იგი ფიზიკურ და ფინანსურ ძალას ემყარებოდა, სუსტზე ძლიერის გამარჯვებას ქადაგებდა, სუსტის გაძლიერებაზე სათანადოდ არ ზრუნავდა.[9] ამის საპირისპიროდ, ვრცელდება ალტერნატიული, ჰუმანისტური ეთიკა, რომლის მთავარი დამახასიათებელი ნიშანია შემოქმედებითი ალტრუიზმი, სიყვარულის ფილოსოფია, ენერგია, რომელსაც შეუძლია შეაჩეროს აგრესია ადამიანებსა და ქვეყნებს შორის, მტრული დამოკიდებულება მეგობრულ ურთიერთობებად გადააქციოს, გლობალური ზემოქმედება მოახდინოს საერთაშორისო პოლიტიკაზე, მოაგვაროს ერთაშორისი კონფლიქტები.[10] სწორედ ამიტომ სიყვარულის ენერგიის, არა კონფრონტაციული, არამედ ევოლუციური განვითარების წარმოება და გაფართოებული კვლავწარმოება პოს-

---

[8] იხ. Новая постиндустриальная волна на Западе, М., 1999, გვ. 101-122, 261-291; Нэсбитт ДЖ., Эбурдин П. Что нас ждет в 90-е годы. Мегатенденции. Год 2000 - М., 1992, გვ. 78-98.

[9] იხ. Сорокин П.А. Человек. Цивилизация. Общество. - М., 1992; Ясперс К. Смысл и назначение истории. - М., 1992.

[10] Сорокин П.А. Долгий путь: Автобиографический роман. - Сыктывкар, 1991, გვ. 226-227.

ტინდუსტრიული ეპოქის ეთიკისა და საერთოდ, საზოგადოების ფუნდამენტური საფუძველია.

დასასრულ, კარდინალური ძვრებია იდეოლოგიის სფეროშიც. აქ მთავარია ნიჰილიზმის დაძლევა. იგი შეუთავსებელია მორალის ტრადიციულ ფორმებთან, აღიარებს მხოლოდ ძლიერის უფლებებს, აუფასურებს ადამიანის ცხოვრებას, ამკვიდრებს კორუფციას, დამნაშავეობას, გახრწნილობას. უმნიშვნელოვანესი ტენდენციაა ტრადიციული რელიგიების როლის შემცირება და მრავალი ახალი რელიგიური მიმდინარეობის გავრცელება. რელიგიური აღორძინების ისტორიული პერსპექტივა დაკავშირებულია, უწინარეს ყოვლისა, მატერიალურსა და სულიერს შორის პროპორციების აღდგენის ობიექტურ აუცილებლობაზე, რომელიც ინდუსტრიალიზმმა დაარღვია. რწმენისადმი, მიმტევებლობისადმი, რელიგიისადმი დაბრუნება ადამიანისა და კაცობრიობის ჰარმონიული განვითარების აუცილებელი პირობაა.

ზემოთ აღნიშნული არ ნიშნავს, რომ პოსტინდუსტრიული საზოგადოება წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების გარეშე განვითარდება. პირიქით, XX ს. დასასრული და XXI ს. დასაწყისი საყოველთაო ქაოსის, კრიზისული ვითარების გაძლიერების პერიოდადაა მიჩნეული, როგორც სოციალურ-პოლიტიკური, ასევე ეკოლოგიური განვითარების თვალსაზრისით. მომდევნო პერიოდშიც პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, სტრატეგიული დაპირისპირება საკმაოდ მწვავე იქნება. მრავალი მეცნიერისა და პოლიტიკოსის აზრით, მომავლის კონფლიქტები არა ეკონომიკური ან იდეოლოგიური, არამედ უფრო მეტად კულტურული ხასიათის იქნება. ს. ჰანტინგტონის კონცეფციით, კაცობრიობისათვის ყველაზე უფრო დიდ საფრთხეს ცივილური, კულტურებს შორის მომავალში მოსალოდნელი ომები წარმოადგენს. ძლიერდება სეპარატიზმის, ტერორიზმის, ძალადობის ტენდენციებიც. მაგრამ გაბატონებულ ტენდენციად მაინც პროგრესის, ევოლუციური განვითარების ტენდენცია დარჩება.

რაც შეეხება მსოფლიოს ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას, გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის გაძლიერების ტენ-

დენციებს, ისინი საზოგადოებრივი განვითარების ყველა სფეროზე განმსაზღვრელად ზემოქმედებს და ამიტომ უფრო მიზანშეწონილია მათი ცალკე განხილვა.

1.2. გლობალიზაცია, ფრაგმენტაცია და ლოკალიზაცია: განვითარების ოპტიმალური სტრატეგიის განსაზღვრა

თანამედროვე განვითარებისთვის დამახასიათებელია საყოველთაო გლობალიზაციის, ფრაგმენტაციისა და ლოკალიზაციის ტენდენციები. გლობალიზაციაში ხშირად მხოლოდ საერთაშორისო გლობალიზაცია იგულისხმება, ანუ გლობალური ინტეგრაცია ქვეყნებს შორის ეკონომიკური, ტექნოლოგიური, პოლიტიკური, კულტურული განვითარების სფეროებში. კერძოდ, ლაპარაკია ისეთ რეალურ და უმნიშვნელოვანეს პროცესებზე, როგორიცაა: ქვეყნის განვითარების ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერება, ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია, მსოფლიოს ერთიანი კომუნიკაციური, სატრანსპორტო, ტექნოლოგიური, ფინანსური, ინფორმაციული სისტემის ჩამოყალიბება, საბაზრო ურთიერთობების გავრცელება მსოფლიო მასშტაბით, გლობალური საბაზრო კონკურენციის დამკვიდრება, ეროვნული სახელმწიფო ფუნქციების ცვლილება და შესუსტება, ტრანსნაციონალური არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის აქტივიზაცია, მათ შორის სხვადასხვა ორგანიზაციის, ეთნიკური დიასპორის, რელიგიური მოძრაობის და ა.შ. ამასთან, ეკონომიკის სფეროში გამოიყოფა შემდეგი ძირითადი მიმართულებები: ფინანსური გლობალიზაცია, გლობალური მრავალეროვნული კომპანიების ჩამოყალიბება, ეკონომიკის რეორგანიზაცია, მსოფლიო ვაჭრობის ინტენსიფიკაცია, კონვერგენციის ტენდენცია.

ეს პროცესი მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ გლობალიზაციის ახალი გაგება მაინც არ არის საკმარისი, რადგანაც იგი მხოლოდ საერთაშორისო განვითარებით არ

იფარგლება. ამჟამად სპეციალისტების უმრავლესობა უფრო იმ აზრს ემხრობა, რომ გლობალიზაცია საყოველთაო პროცესია და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის აზროვნების სფეროსაც მოიცავს.

გლობალიზაციის ობიექტური წანამძღვრებია ინფორმაციული რევოლუცია, პლანეტარული ტელეკომუნიკაციური, სატრანსპორტო, ტექნოლოგიური ქსელების ჩამოყალიბება, კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია, ბუნებრივი რესურსების დეფიციტი, კონკურენტული ბრძოლის გამწვავება მსოფლიო ბაზრებზე, დემოგრაფიული აფეთქება, ეკოლოგიური ვითარების გაუარესება. საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიების მეშვეობით ჩქარდება განვითარება, შესაძლებელი ხდება ხალხის, ქვეყნების, სხვადასხვა კულტურის რეალური დაახლოება. ეკონომიკაში ეს პროცესი აისახება ტრანსაქციული ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირებით, რაც მსოფლიო ფინანსური, სასაქონლო, ტექნოლოგიური ბაზრების ჩამოყალიბების, რეგიონული ინტეგრაციული გაერთიანებების, სტრატეგიული ალიანსების გავრცელების უძლიერეს ობიექტურ ფაქტორად მოგვევლინა. სხვა ობიექტური ფაქტორებია მსოფლიოში არსებული რესურსების უფრო ეფექტიანი გამოყენების აუცილებლობა მათი შედარებითი უკმარისობის შერბილების მიზნით, წარმოებული პროდუქციის გასაღების, ბაზრების გაფართოების საჭიროება, ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან აცილების გლობალური მოთხოვნილება, ანუ მდგრად განვითარებაზე, თვითგანვითარებაზე გადასვლის აუცილებლობა.

თუ რაოდენ გამწვავებულია რესურსების ეფექტიანი გამოყენების პრობლემა, ჩანს შემდეგი მონაცემებიდან: გაეროს პროგნოზით, დედამიწის მოსახლეობა 2050 წ. მიაღწევს დაახლოებით 10 მლრდ. კაცს, ანუ თითქმის ორჯერ გაიზრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მოხმარების ეკოლოგიური ინტენსივობა, ანუ ტექნოლოგიური ზემოქმედება გარემოზე ერთ სულ მოსახლეზე მოხმარების ნულოვან პირობებშიც კი 4-ჯერ უნდა შემცირდეს. მაგრამ თუ ასეთი მოხმარება დღევანდელი ტემპით, ანუ წელიწადში 2-3%-ით გაიზრდება,

2050 წ. იგი 4-ჯერ უფრო მეტი იქნება. ამ შემთხვევაში, მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად მოხმარების ეკოლოგიური ინტენსივობა 16-ჯერ უნდა შემცირდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეკოლოგიურ კატასტროფას თავიდან ვერ ავიცილებთ.[11]

აქედან ჩანს, თუ რაოდენ საშურია მთელი დედამიწის მასშტაბით მდგრად განვითარებაზე გადასვლა, რესურსდამზოგი, უნარჩენო ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა. ამას ემატება კლიმატის შეცვლის, არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოლევის, სიღარიბის დაძლევის გლობალური პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობა. ისიც ცხადია, რომ ეკოლოგიური კატასტროფის დაძლევა მხოლოდ მდგრადი განვითარების ტრადიციული კონცეფციის ჩარჩოებში ვერ მოხერხდება.

ამიტომ საჭიროა, ჯერ-ერთი, თვითონ მდგრადი განვითარების არსის ახლებურად გათვითცნობიერება. კერძოდ, არ შეიძლება იგი მხოლოდ რომელიმე ცალკე აღებული ქვეყნის მომავალი თაობებისადმი ზიანის მიუყენებლობის მოთხოვნით შემოიფარგლოს. მდგრადი განვითარება აუცილებლად სხვა ქვეყნების მომავალი თაობებისადმი ზიანის მიუყენებლობის მოთხოვნასაც უნდა გულისხმობდეს. ცნობილია, რომ კლიმატის ცვლილების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ატმოსფეროში ნახშირმჟავის გამონაბოლქვი, რომლის 74% მოდის განვითარებულ ქვეყნებზე, ხოლო 26% - განვითარებად ქვეყნებზე. მაშასადამე, განვითარებული ქვეყნების კეთილდღეობა გარემოს დაცვის უგულებელყოფაზეა აგებული, რაც ზიანს აყენებს სხვა ქვეყნებსაც. ამასთან, კაცობრიობისათვის სერიოზული საფრთხეა არა მარტო მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფა, არამედ სიღარიბის პრობლემა, ადამიანის დეგრადაცია, კულტურული დეგრადაცია, ცივილიზაციათა დაპირისპირებულობა, ახალი ავადმყოფობების პრობლემა, გამანადგურებელი ომების საშიშროება.

ამიტომ, სინამდვილეში კაცობრიობის განვითარების

---

[11] ჟ. „МЭиМО", 2000, №3, გვ. 18-19.

სრულიად ახალ საფეხურზე გადასვლა, ანუ მდგრადი და უსაფრთხო განვითარების გლობალური უზრუნველყოფა ხორციელდება. იგი მოიცავს საზოგადოებრივი განვითარების ყველა სფეროს – პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურის, მორალის, ეკოლოგიის, ადამიანის დაბალანსებულ და გლობალურ განვითარებას, ყველა ინდივიდის, ქვეყნის, კაცობრიობის გაერთიანებას საერთო ინტერესებისა და მომავალი თაობებისადმი პასუხისმგებლობის გათვითცნობიერების საფუძველზე. ადამიანის, საზოგადოების, ბუნების, ცალკეული ქვეყნების, კულტურის, ცივილიზაციების ერთიანობის იდეა ახალი არ არის. მაგრამ გლობალიზაციის ეპოქის თავისებურება ისაა, რომ ასეთი ერთიანობა მათი გადარჩენისა და განვითარების პირობად გადაიქცა. ეს იმის შედეგია, რომ პირველად კაცობრიობის ისტორიაში, XX საუკუნის დასასრულს ჩამოყალიბდა მსოფლიოს ერთიანი გლობალური სისტემა. მართალია, იგი განვითარების მხოლოდ საწყის ეტაპზეა, მაგრამ უკვე რეალობაა, რადგანაც მის ფუნქციონირებასა და განვითარებას ერთიანი მსოფლიო ბაზარი, ერთიანი ტექნოლოგიური, ინფორმაციული და პოლიტიკური სივრცე განაპირობებს. ცალკეული ქვეყანა, როგორც სისტემა, მსოფლიოს ერთიანი სისტემის შემადგენელი ნაწილია და ამიტომ მისი განვითარება ამ უკანასკნელის განვითარების ტენდენციებით განისაზღვრება.

ამგვარად, გლობალიზაციის პირობებში ცალკეული ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე, უწინარეს ყოვლისა, მსოფლიო მეურნეობის განვითარების კანონზომიერებები ზემოქმედებენ. ეკონომიკური გლობალიზაციის უმნიშვნელოვანესი დადებითი შედეგია ის, რომ იგი პლანეტის მასშტაბით რესურსების გაცილებით უფრო ეფექტიანი განაწილებისა და გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. მიუხედავად სახელმწიფო საზღვრებისა, დედამიწის ნებისმიერ წერტილში რესურსების მოპოვების, წარმოების მოწყობისა და მზა პროდუქციის გასაღების რეალური შესაძლებლობით ცალკეული ფირმების, ქვეყნებისა და მთლიანად, მსოფლიო მეურნეობის განვითარების ტემპი მაღლდება. განსაკუთრებით მაღალი ტემპით ვითარდება ქვეყნებს შორის ინფორმაციის,

ტექნოლოგიების გაცვლა, კაპიტალის გატანა, საგარეო ვაჭრობა./გლობალიზაციის უმნიშვნელოვანესი დადებითი შედეგია გრძელვადიან პერიოდში, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის გათანაბრების, კონვერგენციის ტენდენცია.

სურათი 1. ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის თანაფარდობა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის



1 - 1987 წ. აშშ დოლარებში, აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრკ-ის ჩათვლით ინდუსტრიული ქვეყნების ჯგუფში;

2 - საერთაშორისო დოლარებში, აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრკ-ის ჩათვლით ინდუსტრიული ქვეყნების ჯგუფში;

3 - საერთაშორისო დოლარებში, აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრკ-ის გამოკლებით ინდუსტრიული ქვეყნების ჯგუფიდან პროგნოზი.

წყარო: ჟ. „МЭиМО", 1998. №9, გვ.12.

როგორც დიაგრამიდან ჩანს, XX ს. 70-იანი წლებიდან განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის სხვაობის დინამიკაში მოხდა ისტორიული გარდატეხა: ზრდის ტენდენცია შეჩერდა და შემცირების ტენდენცია დაიწყო. ამასთან, სხვაობის შემცირების ტემპები ჩქარდება: 1971-1985 წ.წ. იგი წელიწადში 0,9% იყო, ხოლო 1986-2000 წ.წ. - 1,2%.[12]

---

[12] Шишков Ю. Эволюция мирового сообщества: поляризация или возрастание гомогенности? - ჟ. "МЭиМО", 1998, №9, გვ. 12.

განვითარების დონის მიხედვით სხვაობის შემცირება ინდუსტრიული ჩრდილოეთისა და სამხრეთის რეგიონებს შორის (ინდუსტრიული ქვეყნების დონე* = 100)

სამხრეთის რეგიონები	სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა		მოსახლეობის მიერ წერა-კითხვის ცოდნა		კვების დღიური რაციონის კალორიულობა		ენერგომოხმარება 1 სულ მოსახლზე	
	1960 წ.	1994 წ.	1970 წ.	1994 წ.	1965 წ.	1994 წ.	1971 წ.	1994 წ.
ლათინური ამერიკა	81	94	73	87	83	88	14,1	20,8
აღმოსავლეთ აზია	70	93	-	-	70	88	6,9	16,4
სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია	66	87	66	87	70	81	3,4	11,0
არაბული ქვეყნები	66	85	30	57	71	91	7,8	29,0
სამხრეთ აზია	64	83	32	50	71	76	3,4	6,5
სულ განვითარებული ქვეყნები	67	84	43	64	72	82	6,1	12,7
მათ შორის უკიდურესად ღარიბი	57	68	32	50	72	66	1,0	1,1

* აღმოსაელეთ ევროპისა და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ჩათვლით.

წყარო: ე. "МЭиМО", 1998, №9, გვ. 15.

კონვერგენციის ტენდენციის დაწყებას სხვა ფაქტებიც ადასტურებს (ცხრილი 2). ადამიანის განვითარების კრიტერიუმების მიხედვით, სხვაობა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის უფრო საგრძნობლად მცირდება, ვიდრე შემოსავლების მიხედვით. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან ლათინური ამერიკის, აღმოსავლეთ აზიის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები. შედარებით უფრო ჩამორჩებიან სამხრეთ აზიის ქვეყნები, ხოლო საჰარის ქვემოთ აფრიკის ქვეყნებში მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა.

როგორია სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გამოთანაბრების, ჩამორჩენილ ქვეყნებთან შედარებით უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდის მექანიზმი?

მეოცე საუკუნის მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს, რომ ასეთ მექანიზმში შედის შემდეგი ძირითადი ფაქტო-

რები: ეკონომიკის გლობალიზაცია, საბაზრო კონკურენტული მექანიზმის, კერძო სექტორის უპირატესი განვითარება, ეკონომიკის გახსნილობის მაღალი ხარისხი, როგორც საგარეო ვაჭრობის, ასევე, კაპიტალის მოძრაობის თვალსაზრისით; საზღვარგარეთული კაპიტალის მოზიდვა, მისი სტრუქტურის სრულყოფა, კერძოდ, პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების უპირატესად სტიმულირება, რაც ახალი ტექნოლოგიებისა და მენეჯმენტის გავრცელებას უზრუნველყოფს; სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება, ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების გაფართოება; განვითარებადი ქვეყნების ბაზრით დაინტერესება, ექსპორტის ზრდა ამ ქვეყნებში, რაც განვითარებული ქვეყნების ერთობლივი მოთხოვნის ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორია; შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობის გამოყენების ობიექტური აუცილებლობა, განვითარებადი ქვეყნების შრომატევადი პროდუქციის წარმოებაზე სპეციალიზაცია, ხოლო განვითარებული ქვეყნებისა - მეცნიერებატევადი, კაპიტალტევადი, ტექნოტევადი პროდუქციის წარმოებაზე; ეკონომიკური ურთიერთობების მაღალი მომგებიანობა განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის, რადგანაც თანაფარდობა წარმოების დანახარჯებსა და ფასს შორის, ამ შემთხვევაში, ორჯერ უფრო მაღალია, ვიდრე თვითონ განვითარებულ ქვეყნებს შორის ურთიერთობისას, რაც, ბუნებრივია, განვითარებად ქვეყნებში ინდუსტრიული წარმოების გადაადგილებას ასტიმულირებს; წარმოების საერთაშორისო ციკლის, ანუ ჩამორჩენილობის დაძლევის მექანიზმის მოქმედება, როდესაც ლიდერი ქვეყანა თანდათან გადასცემს თავის წარმოებრივ სიმძლავრეებს შედარებით ჩამორჩენილ, მომდევნო ქვეყანას, მოცემული ტექნოლოგიის სიმწიფის სტადიაზე გადასვლის კვალობაზე (კ. აკამაცუს თეორია - „მფრინავი ბატები“)[13]; სამრეწველო ტექნოლოგიების საერთაშორისო დიფუზიის გაძლიერება, ინდუსტრიული საწარმოების

---

[13] **Akamatsu K.A.** Theory of Unbalanced Growth in the World Economy. - Welt- wirtschaftliche Archiv, 1961, 12, გვ. 196-215.

გადატანა განვითარებად ქვეყნებში, განვითარებულ ქვეყნებში ეკოლოგიური ვითარების გამწვავებისა და მოთხოვნის ამაღლების შედეგად.

მრავალი გამოკვლევა ადასტურებს, რომ ღარიბი ქვეყნების განვითარების დაჩქარების აუცილებელი პირობებია ეკონომიკის ლიბერალიზაცია, ღია ეკონომიკის დამკვიდრება, კონკურენციის უზრუნველყოფა. ქვეყნების ჩამორჩენილობის მიზეზია არა მარტო ტექნოლოგიებისა და ადამიანური კაპიტალის დონე, არამედ შეცდომები პოლიტიკაში, ინსტიტუციური მოუწყობლობა, კონკურენციის უქონლობა. დანარჩენი მიზეზები ამაზე ბევრადაა დამოკიდებული.

ამგვარად, გლობალიზაცია, უდავოდ, ხელს უწყობს განვითარების საერთო დონის მიხედვით გამოთანაბრებას გრძელვადიან პერიოდში. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ განვითარების შესაძლებლობების გამრავლების რეალური გამოყენება თითოეულ ინდივიდს, ფირმას, ქვეყანას ერთნაირად ხელეწიფება. პირიქით, ზოგი ამ შესაძლებლობების გამოყენებას წარმატებით ახერხებს, ზოგიც - ვერა, ამიტომ გლობალიზაციას კონვერგენციის საერთო ტენდენციასთან ერთად, თან ახლავს დივერგენციული პროცესები, რომლებიც გამოთანაბრების საპირისპირო ფრაგმენტაციის, ტერმონდიზაციას პროცესებს განაპირობებს. ქვეყნებს შორის განვითარების დონის მიხედვით ძალიან მაღალი უთანაბრობა გვიჩვენებს, რომ კონვერგენციის პროცესი მხოლოდ საწყის ეტაპზეა და ფრაგმენტაციის პოტენციალი მსოფლიოში კვლავ კოლოსალურია. მაგალითად, სხვაობა შემოსავლებში მდიდარ ქვეყნებში მცხოვრებ მსოფლიო მოსახლეობის ერთ მეხუთედსა და უღარიბეს ქვეყნებში მცხოვრებ ერთ მეხუთედს შორის, 1997 წ. გამოიხატებოდა თანაფარდობით 74:1, მაშინ, როდესაც ეს თანაფარდობა 1990 წ. იყო 60:1, ხოლო 1960 წ. - 30:1. თუმცა უნდა ითქვას, რომ ასეთ გაანგარიშებას მრავალი სპეციალისტი მართებულად აყენებს ეჭვქვეშ, რადგანაც ამ შემთხვევაში სულადობრივი შემოსავლები გაანგარიშებულია ეროვნული ვალუტების საბაზრო კურსის საფუძველზე, რომლებიც განვითარებადი ქვეყნებისთვის, მათ რეალურ მყიდ-

ველობით უნართან შედარებით არსებითად შემცირებულია, ამიტომ ბოლო წლებში სრულდება ახალი გაანგარიშებანი, როდესაც შემოსავლები იანგარიშება ვალუტების მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის მიხედვით. ამ შემთხვევაში ირკვევა, რომ თანაფარდობა პირველ და მეხუთე კვინტილებს შორის 1991 წ. იყო 17,7:1, ხოლო 1995 წ. - 16,4:1. მაშასადამე, სხვაობა კვლავ დიდია, მაგრამ არა ისეთი, როგორც ტრადიციული მეთოდით გაანგარიშებისას.

მსოფლიო მეურნეობის ფრაგმენტაციის თვალსაზრისით, განსაკუთრებით შემაშფოთებელია უღარიბესი ქვეყნების ჯგუფის მდგომარეობა, სადაც აფრიკის, სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიის, კარიბის ზღვის აუზის, ახლო აღმოსავლეთის 48 ქვეყანაა თავმოყრილი. აქ დაახლოებით 555 მლნ. მოსახლეობაა, მათგან 78% - წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი სოფელში ცხოვრობს, შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 950 დოლარზე მეტი არაა, სიცოცხლის ხანგრძლივობაა - 50,6 წელიწადი, სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტზე - 37%, მრეწველობის - 19%. მათთვის დამახასიათებელია ადამიანური კაპიტალის დაბალი ხარისხი, მოსახლეობის სწრაფი ზრდა, პრიმიტიული ტექნიკა, ძალიან სუსტი კერძო სექტორი, დიდი დამოკიდებულება ნედლეულის ექსპორტზე, რომლის მსოფლიო ფასები თანდათან ეცემა.

ფრაგმენტაციის გამოხატულებაა, გარკვეულწილად, რეგიონალიზაციაც, რომელიც რეგიონული ინტეგრაციული გაერთიანებების ჩამოყალიბებასა და სხვადასხვა რეგიონში, მეგალოპოლისების, ქალაქების, ტექნოპოლისების მნიშვნელობის ამაღლებას გულისხმობს. მაგრამ გლობალიზაცია და რეგიონალიზაცია, მართალია, საპირისპირო ტენდენციებია, მაგრამ ერთმანეთს კი არ გამორიცხავენ, პირიქით, აძლიერებენ კიდეც, რადგანაც მსოფლიო გლობალიზაცია, ფაქტობრივად, რეგიონული ინტეგრაციული გაერთიანებების მეშვეობით ხორციელდება, ამ უკანასკნელთა შიგნით კი, ინტეგრაცია გლობალიზაციის პროცესით ძლიერდება. ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმებიდან მთავარია: თავისუფა-

ლი ვაჭრობის ზონა, საბაჟო კავშირი, ეკონომიკური და სავალუტო კავშირი./დღეს ფუნქციონირებადი ინტეგრაციული გაერთიანებებიდან უნდა დავასახელოთ, პირველ რიგში ევროპის კავშირი, ნაფტა, წყნარი ოკეანის ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანება. ყველაზე უფრო მკვეთრად ინტეგრაციული პროცესები დასავლეთ ევროპაში გამოვლინდა. ევროპის კავშირი ძალიან მაღალი ინტეგრაციის დონით ხასიათდება. აქ ძალაშია კაპიტალის, სამუშაო ძალის, საქონლის, მომსახურების თავისუფალი გადაადგილება, ერთიანი ვალუტა - ევრო. როგორც ჩანს, სხვა ინტეგრაციული გაერთიანებებიც თანდათან ევროპის კავშირის მსგავსად განვითარდება.

რეგიონალიზაცია ვლინდება მოქმედების ლოკალიზაციით. თუ გლობალიზაცია მსოფლიოს ქვეყნების პროგრესულ ინტეგრაციას გამოხატავს, მოითხოვს, რომ ეროვნული მთავრობები საერთაშორისო თანამშრომლობას საზოგადოების ტრანსფორმაციის საუკეთესო საშუალებად განსაზღვრავდნენ, ლოკალიზაცია გამოხატავს მოსახლეობის ფართო მასების ინტერესებს საკუთარი ცხოვრების მართვაში გადამწყვეტი როლის შესრულებისათვის, ანუ რეგიონული ცნობიერების დამკვიდრების აუცილებლობას. იწვევს რა მართვის დეცენტრალიზაციას, ლოკალიზაცია ამაღლებს მის ეფექტიანობას. მაგრამ მას შეუძლია დაარღვიოს მაკროეკონომიკური წონასწორობა, თუკი სუბნაციონალური დონის ფინანსები არაეფექტიანად გამოიყენება მცდარი რეგიონული პოლიტიკის, ან რეგიონების ინსტიტუციური მოწყობის უვარგისობის შედეგად.

ამგვარად, თანამედროვე პირობებში გლობალიზაციის, ფრაგმენტაციის, ლოკალიზაციის ტენდენციები განვითარების ოპტიმალური სტრატეგიის გახორციელების აუცილებლობას განაპირობებს.ასეთი სტრატეგიის გახორციელება გულისხმობს: განვითარების წარსული გამოცდილების შეფასებას, ახალი სტრატეგიის მიზნების განსაზღვრას, მისი ძირითადი მიმართულებისა და კონკრეტული ღონისძიებების დასახვასა და შესრულებას.

4. თ.ბასილია, ა.სილაგაძე, თ.ჩიკვაიძე

განვითარების წარსული გამოცდილების შეფასება. ამ მხრივ ფრიად შედეგიანია განვითარების კეინზური, მონეტარისტული და თანამედროვე კონცეფციების შედარებითი ანალიზის შედეგები. კეინზიანიზმის ეკონომიკური ზრდის თეორიის ფუძემდებლური დებულებები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: საბაზრო მეურნეობაში ობიექტურად მოქმედებს ფსიქოლოგიური კანონი, რომლის მიხედვითაც შემოსავლების, კეთილდღეობის ზრდის კვალობაზე, დანაზოგების გადიდებისაკენ მისწრაფება იზრდება, რაც ამცირებს ინვესტიციებს და, შესაბამისად, აფერხებს ეკონომიკურ ზრდას; ეკონომიკური ზრდის მთავარი პრობლემა არის ერთობლივი მოთხოვნის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით წარმოებრივი მოთხოვნის, კერძო და სახელმწიფო ინვესტიციების უზრუნველყოფის პრობლემა; რადგანაც საბაზრო მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს ზრდისათვის საჭირო ერთობლივი მოთხოვნის მოცულობას, ამიტომ საჭიროა სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში, უპირატესად ფინანსური პოლიტიკის მეშვეობით ერთობლივი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად; სახელმწიფოს სხვა უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა თავისუფალი კონკურენციის შენარჩუნება ბაზრებზე; თუ ეს პირობები არსებობს, მაშინ ავტომატური საბაზრო მექანიზმიც ძალაშია, ანუ მოქმედებს მოთხოვნა – მიწოდების კონკურენტული მექანიზმი, კერძოდ, კრიზისის დაძლევის ავტომატური მექანიზმი: წარმოების დაცემა იწვევს ფასების შემცირებას, რაც აიძულებს მეწარმეებს ტექნოლოგიური და მენეჯმენტური ინოვაციებით შეამცირონ წარმოებრივი ხარჯები, შეინარჩუნონ ან გაზარდონ მოგების მასა, შესაბამისად ინვესტიციები, რაც თავის მხრივ, წარმოების ზრდასა და კრიზისის დაძლევას განაპირობებს.

ამგვარად, კეინზიანიზმის მიხედვით, ეკონომიკური ზრდისათვის მთავარია ერთობლივი მოთხოვნისა და ინვესტიციების სტიმულირება, უპირატესად, ფინანსურ-საგადასახადო პოლიტიკით. კეინზური ზრდის თეორია გაბატონებული იყო ეკონომიკურ მეცნიერებასა და პოლიტიკაში გასული საუკუნის 30-70-იან წლებში. შედეგად, ეკონომიკური ზრდის ტემ-

პი განვითარებულ ქვეყნებში 50-60-იან წლებში მართლაც მნიშვნელოვნად დაჩქარდა, მაგრამ ბიუჯეტის დეფიციტის ზრდასთან დაკავშირებით, ინფლაციური პროცესებიც განვითარდა. 1974-1975 წ.წ. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა დაადასტურა არა მარტო კარდინალური ცვლილებები კაპიტალისტურ კვლავწარმოებაში, განვითარების მოდელში, არამედ გაბატონებული კეინზური მიმდინარეობის კრახიც. კაპიტალიზმის ისტორიაში პირველად დაფიქსირდა სტაგნაციის მოვლენა, წარმოების დაცემის, ფასებისა და უმუშევრობის მკვეთრი ზრდის ერთდროული თანაარსებობა. ადრე, როგორც წესი, წარმოების დაცემისას ფასები მცირდებოდა, რაც ტექნოლოგიურ რესტრუქტურიზაციასა და საბოლოოდ, კრიზისის დაძლევას განაპირობებდა. მაგრამ ამ შემთხვევაში, აღინიშნა სტაგფლაცია. ამის ასახსნელად კეინზური თეორია მოუმზადებელი აღმოჩნდა. სამაგიეროდ, ახალი ვითარების ახსნაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ნეოლიბერალური მიმდინარეობის თეორიებმა - მონეტარულმა თეორიამ, მიწოდების თეორიამ და მოლოდინის თეორიამ. მონეტარიზმმა დაასაბუთა, რომ ეკონომიკური განვითარებისათვის მთავარია ფულადი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება, ფულის მასის დინამიკა. კერძოდ, ფულის მასის ზრდის ტემპი უნდა შეესაბამებოდეს პროდუქციის ღირებულებითი მოცულობის ზრდის ტემპს. მონეტარიზმისათვის ამოსავალია ის, რომ დამოკიდებულება მიმოქცევაში მყოფ ფულის მასასა და ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკას შორის სტაბილური და პროგნოზირებადია. ამიტომ მთავრობას შეუძლია არეგულიროს ფულის მასა მიმოქცევაში და შესაბამისად, მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა ეკონომიკის მდგრადი არაინფლაციური ზრდის უზრუნველსაყოფად. 1989 წ. ქ. ვაშინგტონში ჩატარდა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმი მსოფლიოს წამყვანი ნეოლიბერალების, პოლიტიკოსების, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მონაწილეობით, რომელმაც დაადასტურა ნეოლიბერალური, მონეტარული დოქტრინის საფუძველზე ეკონომიკური ზრდისა და

განვითარების პოლიტიკის შემუშავებისა და გახორციელების მიზანშეწონილობა. ამ ფორუმის რეკომენდაციები „ვაშინგტონის კონსენსუსის“ სახელწოდებითაა ცნობილი. სწორედ ამ რეკომენდაციების საფუძველზე ხორციელდებოდა ეკონომიკური ტრანსფორმაციები არა მარტო განვითარებულ ქვეყნებში, არამედ განვითარებად და პოსტსოციალისტურ ქვეყნებშიც. მონეტარიზმი გაბატონებული იყო ეკონომიკურ თეორიასა და პოლიტიკაში 90-იანი წლების დასასრულამდე.

მაგრამ 90-იან წლებში კაპიტალისტური კვლავწარმოება, ეკონომიკური განვითარების მექანიზმი კვლავ სიღრმისეულ ტრანსფორმაციას განიცდის მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციისა და გლობალიზაციის ზემოქმედებით. ამ ტრანსფორმაციიდან მთავარია: ცოდნის, ინფორმაციის წამოწევა განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად, ფინანსური გლობალიზაცია, სიღარიბისა და ეკოლოგიური პრობლემების აქტუალიზაცია. განვითარებული ქვეყნების მაგალითზე დადასტურდა, რომ ინდუსტრიულ სტადიაზე განმსაზღვრელი მნიშვნელობა განვითარებისათვის მატერიალური წარმოების, დანაზოგების, ინვესტიციების, ფიზიკური კაპიტალის მოცულობის გადიდებას ენიჭება. თუმცა, პოსტინდუსტრიულ სტადიაზე გადამწყვეტ როლს განვითარებისათვის ასრულებს არამატერიალური წარმოება, მოხმარების გადიდება პიროვნების სრულყოფის მიზნით, ინვესტიციების ზრდა ადამიანურ კაპიტალში, ცოდნის წარმოებისა და გამოყენების გაფართოება. ცოდნა განვითარების უშუალო და განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება. ბოლო პერიოდის გამოკვლევები ადასტურებს, რომ სხვაობა ქვეყნებს შორის, განვითარების ტემპების მიხედვით, მხოლოდ 30%-ით აიხსნება კაპიტალის დაგროვებით მატერიალური აქტივების სახით, მაშინ, როდესაც 70% არამატერიალური ფაქტორებით აისახება. ამასთან, ქვეყნები მნიშვნელოვანწილად აჩქარებენ განვითარებას ცოდნის წარმოებისა და გამოყენების საფუძველზე. ამას გვიჩვენებს ცოდნასთან დაკავშირებული სამი პარამეტრის: განათლების, საგარეო ფაქტო-

რების ლიბერალიზაციისა და ტელეკომუნიკაციური ინფრასტრუქტურის დინამიკის ანალიზი. ქვეყნებმაც ყველა ამ მაჩვენებლით, საშუალოზე უფრო დაბალი დონიდან გაცილებით უფრო მაღალ დონეზე გადაინაცვლეს, ეკონომიკის ზრდის ტემპი მაღლდება 4%-ით. აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების დაჩქარებული განვითარება ბოლო ათწლეულებში, უწინარეს ყოვლისა, განვითარების სწორი სტრატეგიის გახორციელებით აიხსნება. ამ სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ელემენტებია – ინვესტიციების მკვეთრი გაფართოება ტექნოლოგიურ ცოდნაში, რაც მატერიალური კაპიტალის ზრდით გამოიხატება და კვალიფიციური კადრების მომზადებასა და ინსტიტუტების სრულყოფაში ფინანსური სახსრების უპირატესი დაბანდება, ტექნოლოგიური ცოდნის ათვისებისა და გამოყენების მიზნით.

იმავდროულად ძლიერდება ფინანსური გლობალიზაცია. განვითარების მექანიზმი ამ პროცესების შედეგად იმდენად შეიცვალა, რომ მონეტარიზმის ძირითადი დებულებანი გაუფასურდა. ამის სამი მთავარი მიზეზი გამოვლინდა. ჯერ ერთი, იგი საერთოდ უგულებელყოფს კრედიტის გაფართოებისა და შეკუმშვის რეალურ ურთიერთდამაკავშირებელ პროცესს, რასაც გლობალიზაციის პირობებში. ცალკეულ ქვეყნებსა და მსოფლიოში ფრიად მნიშვნელოვანი რეზონანსული ეფექტი აქვს.[14] მეორე, ფინანსურმა გლობალიზაციამ დაარღვია მიმოქცევაში ფულის მასასა და ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპებს შორის დამოკიდებულების სტაბილურობა და პროგნოზირება, ანუ ფულადი მასის რეგულირებით, მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკის რეგულირების მყარი შესაძლებლობა. ფინანსური სფეროს კომპიუტერიზაციამ გამოიწვია გლობალური ფინანსური ბაზის ფორმირება, როდესაც შესაძლებელია უდიდესი მოცულობის ფულადი მასის არაკონტროლირებადი მოძრაობა ქვეყნებს შორის, განურჩევლად ტერიტორიული სიშორისა და ნაციონალური საზღვრებისა. მესამე, ბრეტ-

---

[14] Сорос Дж. Кризис мирового капитализма. М., 1999, გვ. 129-130.

ონ-ვუდსის სისტემის კრახმა, 1971 წ., ფიქსირებული სავალუტო კურსის რეჟიმის უარყოფამ, ფინანსური სფეროს კომპიუტერიზაციამ საბოლოოდ ის შედეგი გამოიღო, რომ შეიცვალა ფულის ფუნქციები მსოფლიო ეკონომიკაში. ფული თვითონ გადაიქცა საქონლად, ხოლო სპეკულაციები ვალუტის კურსის ცვლილებაზე - ყველაზე უფრო მომგებიან საბაზრო ოპერაციად. ჯერ კიდევ 80-იან წლებში მ. ალე და პ. დრაკერი მიუთითებდნენ, რომ ფინანსური სფერო და რეალური ეკონომიკა ერთმანეთისაგან სულ უფრო მეტად დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ, რაც მსოფლიო მეურნეობას კრახით ემუქრება.[15] ამ პროცესს ხელს უწყობს დერივატების გლობალური ბაზრის განვითარება, რომელიც სავალუტო კურსსა და სხვა ფასიან ქაღალდებზე სპეკულაციური ოპერაციების ინტენსიფიკაციას აძლიერებს, რადგანაც დერივატებთან დაკავშირებული ტრანსაქციები სამართლებრივი რეგულირების სისტემის მიღმა აღმოჩნდა. თუ რაოდენ სწრაფად ვითარდება დერივატების მსოფლიო ბაზარი, ჩანს შემდეგი მონაცემებიდან: 1986-1993 წ.წ. იგი გაიზარდა 15-ჯერ და ამ პერიოდის დასასრულს, წელიწადში 12 მლრდ. დოლარს მიაღწია.[16] 90-იანი წლების მეორე ნახევარში დერივატების ბაზარი სწრაფად იზრდება აღმოსავლეთ ევროპაში, აზიაში, ლათინურ ამერიკაში, ხოლო მსოფლიო სავალუტო ბაზრის მოცულობამ დაახლოებით 200 ტრილიონი დოლარი შეადგინა. საერთო ჯამში, მსოფლიო ფინანსური სისტემის არასტაბილურობა იზრდება, რასაც პერიოდულად განმეორებადი (1987, 1997-1999 წ.წ.) და სულ უფრო დამანგრეველი ფინანსური კრიზისები ადასტურებს.

აქედან ჩანს, რომ განვითარების ნეოლიბერალური კონცეფცია, „ვაშინგტონის კონსენსუსის" რეკომენდაციები სერიოზულ გადახედვას საჭიროებს, რაც რეალურად ხორციელდება კიდეც. ასეთი ტრანსფორმაცია ვლინდება ცვლილებებით ეკონომიკურ თეორიაში. კერძოდ, ნეოინსტიტუ-

---

[15] Foreign Affairs, 1986, №4, გვ. 786.

[16] The Global Economy in Transition. L., გვ. 156.

საბჭოთა კავშირის მთლიანი ეროვნული პროდუქტის წლიური მოცულობებისა და ზრდის ტემპის გაანგარიშება აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ 1950-1990 წლებისათვის (1982 წ. ფასებში)

წლები	მლრდ. მანეთი	ზრდის ტემპი %-ში	წლები	მლრდ. მანეთი	ზრდის ტემპი %-ში
1950	186,7	-	1971	507,8	2,6
1951	187,5	0,4	1972	510,7	0,6
1952	199,8	6,6	1973	553,8	8,4
1953	208,4	4,3	1974	569,7	2,9
1954	218,4	4,8	1975	571,4	0,3
1955	237,9	8,6	1976	598,2	4,7
1956	259,8	9,5	1977	612,3	2,4
1957	265,1	2,0	1978	627,7	2,5
1958	285,0	7,5	1979	624,7	-0,5
1959	298,9	4,9	1980	625,5	0,1
1960	308,6	3,2	1981	631,2	0,9
1961	326,3	5,7	1982	646,7	2,5
1962	335,2	2,7	1983	667,4	3,2
1963	327,6	-2,3	1984	676,0	1,3
1964	369,9	12,9	1985	682,0	0,9
1965	390,8	5,7	1986	710,0	4,1
1966	409,8	4,7	1987	719,2	1,3
1967	428,0	4,4	1988	734,6	2,1
1968	453,0	5,8	1989	745,5	1,5
1969	459,4	1,4	1990	727,5	-2,2
1970	494,7	7,7			

წყარო: აშშ-ის ცსს-ს მონაცემები, 1993. იხ. Кудров В. Советский экономический рост: официальные данные и алтернативные оценки. - ჟ. "Вопросы экономики", 1995, №10, გვ. 106.

ციონალიზმის გაძლიერებითა და ცვლილებებით საერთაშორისო ორგანიზაციების სტრატეგიაში, მათ შორისაა: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო

სავაჭრო ორგანიზაცია, გაეროს კონფერენცია ვაჭრობისა და განვითარების სფეროში. ამ ცვლილებების არსია: კომპლექსური, სისტემური განვითარების იდეის წინ წამოწევა, განვითარების მექანიზმში ზემოთ დამახასიათებელი ძვრების გათვალისწინებით; ეფექტიანი სახელმწიფოს მოთხოვნის აქტუალიზაცია; მსოფლიო მეურნეობის დაბალანსებული განვითარების უზრუნველსაყოფად ეფექტიანი ზენაციონალური ინსტიტუტების ჩამოყალიბება.

ახალი სტრატეგიის მიზნების განსაზღვრა: განვითარების მექანიზმში ცვლილებების პრაგმატულმა გათვითცნობიერებამ თეორეტიკოსებისა და პრაქტიკოსების მიერ განაპირობა კონსენსუსი განვითარების მიზნებისა და კონკრეტული ღონისძიებების შესახებ. განვითარების პოლიტიკის ძირითად მიზნად აღიარებულია მთელი მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. ეს საერთო მიზანი კონკრეტულად ასე ჩამოყალიბდება: მოსახლეობის ცხოვრების დონისა და შემოსავლების ამაღლება, სამედიცინო მომსახურებისა და განათლების გაუმჯობესება, თითოეული მოქალაქისათვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, ეკოლოგიური სისუფთავის მიღწევა, სხვადასხვა თაობას შორის თანასწორობის დამკვიდრება, სამუშაო ადგილების შექმნა და ა.შ.

ამოსავალი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ განვითარების მთავარი მიზანი და იმავროულად, მთავარი ფაქტორია ადამიანის განვითარება, რომლის უზრუნველსაყოფად პრიორიტეტულია შემდეგი მიზნების მიღწევა: ადამიანური პოტენციალის განვითარებისათვის მიზანდასახული პოლიტიკისა და საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება და მათი კორექტირება გლობალური ეკონომიკის ახალი რეალობის შესაბამისად; ფინანსური კრიზისების საფრთხის შემცირება მაკროეკონომიკური მართვისა და სოციალური პოლიტიკის ინტეგრაციით, კრიზისების ადრეული პროფილაქტიკისა და მასთან ბრძოლის ეფექტიანი ინსტიტუტების ჩამოყალიბებით; ადამიანის უსაფრთხოებისადმი გლობალური მუქარების საპასუხოდ, საქმიანობის აქტივიზაცია მთელი მსოფლიოს

მასშტაბით; ახალი ტექნოლოგიების შემუშავება ადამიანის განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის მიზნით; მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის განვითარების დონის მიხედვით სხვაობის შემცირება; გლობალურ რეგულირებაში არსებული სტრუქტურული დისპროპორციების აღმოფხვრა, მისი გავრცელება ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობაზე, მათი ქცევის კოდექსის შემუშავება, საერთაშორისო კონკურენციის უზრუნველსაყოფად მსოფლიო ანტიმონოპოლიური სამსახურის ამოქმედება; გლობალური რეგულირების უფრო ეფექტიანი და დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბება: გაეროს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება, მსოფლიო ტექნოლოგიური რევოლუციის დაფინანსების ახალი წყაროების ძიება სიღარიბის დასაძლევად.

კომპლექსური სტრატეგიის გასორციელების აუცილებლობა. გამოიკვეთა კონსენსუსი განვითარების სტრატეგიის ძირითადი ელემენტების, მიმართულებების შესახებ: 1. განვითარების სტრატეგიას აუცილებლად კომპლექსური, სისტემური ხასიათი უნდა ჰქონდეს; 2. მდგრადი განვითარების მიღწევა ზემოთ აღნიშნული მრავალი მიზნის მიღწევას გულისხმობს; 3. განვითარების პოლიტიკის ელემენტები ერთმანეთს განაპირობებენ, არასისტემური პოლიტიკა წარმატებას ვერ მოიტანს; 4 ქვეყნის განვითარების მიღწევაში მთავრობას გადამწყვეტი როლი ენიჭება, თუმცა მის ეფექტიანობას მრავალი შიდა და საგარეო ფაქტორი განაპირობებს.

ქვეყნის გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, მსოფლიო ბანკმა შეიმუშავა განვითარების კომპლექსური სტრატეგია, რომელიც სოციალურ, სისტემურ მიდგომას ეყრდნობა. იგი საშუალებას აძლევს მთავრობებს, შეიმუშაოს მოვალეობათა მატრიცა ყველა სფეროში, სადაც დაწვრილებით არის დაფიქსირებული, რა უნდა გააკეთოს სუბიექტმა სიღარიბის დასაძლევად. განვითარების კომპლექსური სტრატეგია შე-

მუშავებულია, უწინარეს ყოვლისა, განვითარების დასაჩქარებლად, სიღარიბის დასაძლევად. იგი შემდეგ ძირითად პრინციპებს ემყარება: განვითარების სტრატეგიას ახორციელებს ქვეყანა, რისთვისაც იგი განსაზღვრავს განვითარების პროგრამის მიზნებს, ღონისძიებების შესრულების გრაფიკსა და თანამიმდევრობას; მთავრობა მჭიდროდ თანამშრომლობს კერძო სექტორთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან და ამის საფუძველზე განსაზღვრავს განვითარების მოთხოვნილებასა და კონკრეტულ მიჯნებს; საჭიროა განვითარების გრძელვადიანი მოთხოვნილებისა და ხედვის შემუშავება; განვითარების პროგრამისადმი მოსახლეობის ნდობის მოპოვება; სტრუქტურულ და სოციალურ საკითხებს უნდა ექცეოდეს არანაკლები ყურადღება, ვიდრე მაკროეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებს და, რაც მთავარია, ისინი ერთდროულად უნდა გადაწყდეს.

კომპლექსური სტრატეგია მოიცავს განვითარების ოთხ სფეროს – სტრუქტურულ, ადამიანურ, ფიზიკურ და დარგობრივ სფეროებს. სტრუქტურული ელემენტები მოიცავს: პარტნიორ, კომპეტენტურ მთავრობას, რომელიც სერიოზულად ებრძვის კორუფციას; მტკიცე კანონმდებლობას ქონებრივი უფლებებისა და საკუთრების უფლების შესახებ, რომელიც ერთიან სამართლებრივ და სასამართლო სისტემას ემყარება; ეფექტიან ფინანსურ სისტემას, რომელიც ასტიმულირებს გამჭვირვალობას და ფუნციონირებს რეალური ზედამხედველობის პირობებში; სოციალური უზრუნველყოფისა და დახმარების ძლიერ ქსელს. ადამიანური რესურსების განვითარება გულისხმობს: საყოველთაო დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემას, ჯანმრთელობის სისტემას, ოჯახის დაგეგმვასა და ახალშობილის მოვლაზე აქცენტით. ფიზიკური ელემენტების ჯგუფში შედის: ხარისხიანი წყალმომარაგება და კანალიზაცია; მოსახლეობის ელექტროენერგიით მომარაგება; ყველა სახის ტრანსპორტის, ტელეკომუნიკაციების განვითარება; ფიზიკური გარემოს შენარჩუნება; კულტურული და ისტორიული ფასეულობების შენახვის პოლიტიკა. დარგობრივი ელემენტები მოიცავს:

სოფლისა და ქალაქის განვითარების ინტეგრირებულ სტრატეგიას; დარგების განვითარების ეფექტიან მართვას; კერძო სექტორის განვითარებისათვის ხელსაყრელი გარემოს უზრუნველყოფას.>ბ.

განვითარებული ქვეყნების ორგანიზაციის განვითარების ხელშემწყობმა კომიტეტმა მსოფლიო ბანკსა და გაეროსთან ერთად შეიმუშავა განვითარების ფართო მიზნები, რომლებიც უნდა განხორციელდეს 2015 წ. ან უფრო ადრე: სიღარიბის შემცირება მსოფლიოში 50%-ით, საყოველთაო დაწყებითი განათლების მიღწევა და სხვადასხვა სქესს შორის უთანაბრობის მოსპობა განათლების სფეროში, ბავშვებისა და მოზარდების სიკვდილიანობის შემცირება ორი მესამედით, ახალშობილთა სიკვდილიანობის შემცირება სამი მეოთხედით, საყოველთაო სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა ბავშვთა შობადობის სფეროში; მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგიების განხორციელება გლობალური მასშტაბით და ეკოლოგიური რესურსების გამოლევის ტენდენციის შეწყვეტა.

აქედან ჩანს, რომ წინ წამოიწია განვითარების სოციალურმა, სისტემურმა ტენდენციამ, რაც მეოცე საუკუნის 90-იანი წლების ერთ-ერთი უდიდესი შედეგია. ასეთი სტრატეგია თანდათან მზადდებოდა, რასაც ადასტურებს განვითარებისადმი მიდგომის თანდათან სულ უფრო ფართო ანალიზი, მათ შორის, მსოფლიო ბანკის წლიური მოხსენებების დინამიკა მსოფლიო განვითარების შესახებ. ჯერ კიდევ 1990 წ., მსოფლიო განვითარების შესახებ, მსოფლიო ბანკის მოხსენებაში განხილული იყო სიღარიბის დაძლევის პრობლემა, როგორც განვითარების საფუძველი. შესაბამისად, ყურადღება განვითარების სოციალურ ფაქტორებზე იყო აქცენტირებული. 1991 წ. მოხსენება განვითარებისათვის მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას ფუნდამენტურ მნიშვნელობას ანიჭებდა, რაც მომდევნო მოხსენებებში არაერთხელ აღინიშნა. 1992 წ. მოხსენება განვითარებისა და ეკოლოგიის ურთიერთკავშირს განიხილავდა. ფუნდამენტურ სტრატეგიად მდგრადი განვითარების მიღწევა გა-

მოცხადდა. 1993 წ. მოხსენებაში ჯანმრთელობის განვითარების მექანიზმის ეფექტიანობის პრობლემამ წამოიწია. დასაბუთდა, რომ სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობა ამ სფეროში აუცილებელია. 1994 წ. მოხსენება იმით გამოირჩეოდა, რომ ინფრასტრუქტურას განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად განიხილავდა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო 1995 წ. მოხსენების თემაც: შრომის ბაზრის დინამიკა, მუშაკთა მომზადების მეთოდების სრულყოფა, მათი მობილურობის ამაღლება. 1996 წ. მოხსენებაში: „ბეგმიანი ეკონომიკიდან საბაზროსაკენ", განხილული იყო კორუფციის ეკონომიკური შედეგები, მისი ფაქტორები. ნაჩვენები იყო ძლიერი სასამართლო და ფინანსური სისტემების აუცილებლობა, სახელმწიფოს ეფექტიანობის ამაღლების მექანიზმები, მათ შორის, ბიუჯეტის მართვის, საგადასახადო რეფორმის სრულყოფის მექანიზმები. ეს თემა გაგრძელდა 1997 წ. მოხსენებაშიც, რომელიც საბაზრო ეკონომიკის შექმნაში ლიბერალიზაციის, რეგულირების, სამრეწველო პოლიტიკის როლს აანალიზებს. 1998-1999 წ.წ. მოხსენებაში მოტანილია განვითარების მექანიზმში ძირეული ტრანსფორმაციის ანალიზი, რაც ცოდნის ფაქტორთანაა დაკავშირებული. 2000-2001 წ.წ. მოხსენებაში აქცენტი გაკეთებულია ინსტიტუტების ეფექტიანობაზე. ინსტიტუტები, ნეოინსტიტუციონალიზმის ეკონომიკური თეორიის მიხედვით, განხილულია როგორც წესები. წესები შეიძლება იყოს ფორმალური (მათ შორის კონსტიტუცია, კანონები, დებულებები, კონტრაქტები) ან არაფორმალური (მაგალითად, ფასეულობები და სოციალური ნორმები). ინსტიტუტები შეიძლება ასტიმულირებდნენ, ან აფერხებდნენ მეურნეობრიობას. ინსტიტუციური რეფორმებისას განისაზღვრება ახალი წესები, ან იცვლება ძველი წესები. ბაზრის ფუნქციონირებისას თავს იჩენს მრავალი სადისკუსიო, ან საარბიტრაჟო საკითხი, რის გამოც, ეფექტიანი სასამართლო სისტემის არსებობა მეურნეობაში წარმატების საწინდარია. მართალია, ინსტიტუციურ გარემოს მიმდინარე განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელო-

ვანია, თუ მომავალში როგორი ინსტიტუციური გარდაქმნებია საჭირო მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.[17]

ამგვარად, განვითარების თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ: უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში დისკუსია განვითარების სტრატეგიის შესახებ პერიოდულად იცვლებოდა. რომელიღაც პერიოდში აქცენტი კეთდებოდა ბაზრის ფიასკოზე, სხვა პერიოდში – საბაზრო ეკონომიკის წარმატებებზე. სხვადასხვა პერიოდში უპირველესი მნიშვნელობა ენიჭებოდა სახელმწიფოს აქტიურ მარეგულირებელ ფუნქციას, ან, პირიქით, მის პასიურ როლს, რომლის ამოცანაა ხელსაყრელი პირობების შექმნა ბიზნესის განვითარებისათვის. მაგრამ საბოლოოდ დადგინდა, რომ მთავარი საკითხი არ არის ის, თუ რომელს მიენიჭოს დომინირებადი როლი ეკონომიკაში, სახელმწიფოს თუ ბაზარს. სახელმწიფოსაც და ბაზარსაც მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ფუნქციები გააჩნია, რის გამოც ისინი ერთმანეთს კი არ უპირისპირდებიან, არამედ ერთმანეთს ავსებენ. ასევე, არაეფექტიანი აღმოჩნდა მხოლოდ მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციასა და დარგობრივ რეფორმებზე ყურადღების გამახვილება. მრავალი ქვეყანა ახორციელებდა ლიბერალიზაციის, სტაბილიზაციისა და პრივატიზების პოლიტიკას, მაგრამ ეკონომიკური ზრდა, მოსალოდნელთან შედარებით, ძალზე მოკრძალებული იყო. ქვეყნებში, რომლებიც ინფლაციის დაბალი დონითა და მცირე ბიუჯეტის დეფიციტით გამოირჩევიან, ეკონომიკური არასტაბილურობის მრავალი წყარო არსებობს, მათ შორის სუსტი და არაადეკვატურად რეგულირებადი ფინანსური ინსტიტუტები. სხვა შემთხვევაში, მრავალი ქვეყანა არ ახორციელებდა ლიბერალიზაციას, ასტიმულირებდა ექსპორტს, ან ატარებდა სამრეწველო პოლიტიკას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნების მიღწევები ფრიად შთამბეჭდავია. მეორე მხრივ, აღიარებულია ძლიერი ფინანსური ინსტიტუტების უდიდესი მნიშვნელობა განვითარებისათვის, ხოლო რეგულირების სფე-

---

[17] იხ. Доклад о мировом развитии 1990-2000 годы. М., 1990-2000 г.г.

როში აქცენტი გადატანილია დარეგულირებიდან ინსტიტუციური გარემოს შექმნაზე, ეფექტიანი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბებაზე. ეჭვს არ იწვევს, რომ განვითარების ძლიერი შემაფერხებელი პირობებია სამართლებრივი გარემოს არადამაკმაყოფილებელი ხარისხი, კორუფცია და კონკურენციის უქონლობა.

მაშასადამე, საჭიროა გავათვითცნობიეროთ, რომ განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთავრობის პოლიტიკას, მის სტრატეგიას. მაგრამ პოლიტიკურ ღონისძიებებზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს თვითონ პროცესს, რა მიმართულების პროცესები მკვიდრდება ქვეყანაში, რამდენად ადეკვატურია ეს პროცესები განვითარების მოთხოვნებისადმი. აუცილებელია ვაღიაროთ, რომ განვითარება რთული ფენომენია, მას მრავალი მიზანი აქვს, და არა მხოლოდ ეკონომიკური, ანუ ეკონომიკური განვითარება მრავალი არაეკონომიკური ფაქტორის ზემოქმედებითაც ხორციელდება. ამიტომ ტრადიციული სტრატეგია, მარტივი ფრაგმენტული გადაწყვეტილებები, მათ შორის ინვესტიციები ფიზიკურ და ადამიანურ კაპიტალში, ან კონკურენტული ბაზრები, თავისთავად, განვითარების პრობლემებს ვერ გადაწყვეტს. საჭიროა სახელმწიფოს, კერძო სექტორის, საშოქალაქო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევის ერთდროული ოპტიმიზაცია, მათი ინტერესების თავსებადობა განვითარების რთული პრობლემების წარმატებით გადასაწყვეტად.

1.3. რეფორმამდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებანი

გლობალიზაციისა და განვითარების ოპტიმალური სტრატეგიის ტენდენციების გარკვევა რეფორმამდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ობიექტური შეფასების საშუალებას იძლევა. ამისათვის ამოსავალია შემდეგი მეთოდოლოგიური ხასიათის პრინციპები: გასათვალისწინებელია, რომ საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენელი ერთ-ერთი რესპუბლიკა იყო და მის განვითა-

რებას, უწინარეს ყოვლისა, ამ უკანასკნელის განვითარების ტენდენციები განსაზღვრავდა; საჭიროა, აღნიშნულთან ერთად, საკუთრივ საქართველოსათვის დამახასიათებელი თავისებურებების გამოყოფა; საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარების ზოგადი ტენდენციების კრიტერიუმებით შეფასება; საქართველოში მიღწეული კონკრეტული შედეგების განსაზღვრა. ამ პრინციპების გათვალისწინებით, რეფორმამდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესწავლა შემდეგ სურათს იძლევა:

საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა საქართველოს განვითარების შეფასება, პროგრესის ზოგადი კანონზომიერებების საფუძველზე, საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ყველაზე უფრო მთავარი დასკვნა, რომ ეს პერიოდი ინვოლუციური განვითარების, დემოდერნიზაციის პერიოდი იყო. საბჭოთა გამოცდილება მთლიანობაში არ შეიძლება განვითარების მოდერნიზაციის რაიმე არსებით ფორმად ჩაითვალოს, რადგანაც მან საზოგადოების ცივილური საფუძვლები მნიშვნელოვანწილად უარყო. საბჭოთა სახელმწიფომ ძლიერ დაამახინჯა მდგრადი დემოკრატიული განვითარებისათვის აუცილებელი საბაზრო ინსტიტუტები: კერძო საკუთრება, ბაზარი, კონკურენცია, პირადი გერგილიანობა, ნოვატორობა და პასუხისმგებლობა, სამოქალაქო საზოგადოება, ლეგიტიმური სახელმწიფოებრიობა, მკვეთრად შეასუსტა მორალი და მისი საფუძვლები, მათ შორის რელიგიურობა.

მაგრამ აღნიშნულთან ერთად, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ საბჭოთა პერიოდში ცალკეულ სფეროებში პროგრესი, ნაწილობრივი მოდერნიზაცია უდავოდ იყო. სხვანაირად, საბჭოთა რეჟიმი ასე ხანგრძლივად, 70 წლის განმავლობაში, ვერ იარსებებდა. ნაწილობრივი მოდერნიზაცია დასტურდება ისეთი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებით, როგორიცაა: მიღწევები განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის, კულტურის სფეროებში, ცხოვრების დონისა და შემოსავლების ამაღლება, წარმოების ეფექტიანობის ზრდა, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სხვადასხვა დარგში წარმატე-

ბები, მათ შორის კოსმოსის, ატომური ენერგეტიკის, ქიმიის, მეტალურგიის, ავიაციის, ელექტრონიკის, ტელეკომუნიკაციების, სამხედრო კომპლექსის, ფართო მოხმარების საგნების წარმოების განვითარებაში. საბჭოთა სახელმწიფო თავისი ეკონომიკური სიძლიერით მსოფლიოში მეორე სახელმწიფო იყო და აშშ-ს ძლიერ მეტოქეობას უწევდა, განსაკუთრებით, მეცნიერულ-ტექნოლოგიური და სამხედრო განვითარების სფეროებში.

საბჭოთა კავშირის განვითარების მიუკერძოებელ შეფასებაში უდიდესი წვლილი „სოვეტოლოგიასა" და კომპარტივისტიკას მიუძღვის. თუმცა, ეს თემა დღესაც ძალიან აქტუალურია, რადგანაც იგი საჭიროა არა მარტო წარსულის სწორი შეფასებისათვის, არამედ სამომავლო განვითარების ეფექტიანი გზების დასახვისათვის. ამასთან, დასავლურ ეკონომიკურ მეცნიერებაში საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სისტემის შეფასების სამი ძირითადი მიდგომა დომინირებდა. პირველ ეტაპზე, 20-იან წლებში გაბატონებული იყო შეხედულება, რომ სოციალისტური მეურნეობრიობა საერთოდ არაეფექტიანია ადამიანის თავისუფლებისა და კონკურენციის უქონლობის გამო, რის გამოც სოციალიზმის აშენება საერთოდ შეუძლებელია. ასეთი კონცეფცია ძირითადად ლ. მიზესის გამოკვლევებს ემყარებოდა, რომელმაც დიდი პოპულარობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კვლავ მოიპოვა. მეორე ეტაპზე, 30-60-იან წლებში, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, განათლების, მეცნიერების, კოსმოსის ათვისების, ცალკეული დარგის განვითარების სფეროებში გარკვეული წარმატებების შედეგად უკვე სხვა კონცეფცია გავრცელდა. იგი აღიარებდა სოციალისტური მეურნეობრიობის პირობებში წარმოების ეფექტიანობისა და ცხოვრების დონის ზრდის შესაძლებლობას, მაგრამ იმავდროულად ასაბუთებდა, რომ სოციალიზმი მაინც ვერასოდეს უზრუნველყოფს ეფექტიანობისა და ცხოვრების ისეთ დონეს, როგორიც კაპიტალიზმისათვის არის დამახასიათებელი. ასეთი აღიარება ემყარებოდა აშშ-ის კონგრესის სპეციალური კომისიის დასკვნას, რომელიც 1957 წ., პირველი საბჭოთა კოსმოსური

თანამგზავრის გაშვების შედეგების შესწავლასთან დაკავშირებით გაკეთდა. ამ დასკვნაში აღიარებული იყო, რომ საბჭოთა კავშირისათვის დამახასიათებელია ე.წ. მობილიზაციის ეკონომიკა, ცენტრალიზებული დაგეგმვის უპირატესობა, რომელიც ომისა და სხვა განსაკუთრებულ შემთხვევებში რესურსების სწრაფი და დიდი მოცულობით მობილიზაციისა და დასმული ამოცანის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა.

მესამე ეტაპზე, 70-80-იან წლებში გაბატონებული იყო საბჭოთა კავშირსა და დასავლეთს შორის მზარდი ტექნოლოგიური სხვაობის, მბრძანებლური ეკონომიკისა და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუციის შეუთავსებლობის კონცეფცია.

დასავლეთის ეკონომიკური მეცნიერების აღნიშნული კონცეფციები საბჭოთა ეკონომიკის ღრმა ანალიზს ემყარებოდა. ისინი განსხვავდებიან საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერებისა და სტატისტიკის დასკვნებისაგან, რადგანაც ეს უკანასკნელნი სოციალიზმის მიღწევებს, როგორც წესი, მნიშვნელოვნად ამკვიდრებენ. ამიტომ საბჭოთა ეკონომიკის კონკრეტული შედეგების ანალიზისას მიზანშეწონილია, უფრო მეტად დასავლურ მონაცემებს, მათ შორის სოვეტოლოგიური გამოკვლევებისა და აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მონაცემებს დავეყრდნოთ. საბჭოთა ეკონომიკის ფუნდამენტური ანალიზი სოვეტოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებელს, ამერიკელ პროფესორ ა. ბერგსონსა და მის მოწაფეებს ჟ. ჩემპენს, რ. პაუელსა და რ. მურსტინს ეკუთვნით. ა. ბერგსონის გაანგარიშებით, სსრკ-ის მთლიანი ეროვნული პროდუქტი 1928-1955 წ.წ. გაიზარდა 3,5-ჯერ, საბჭოთა ოფიციალური მონაცემებით კი - 15,1-ჯერ, აშშ-ისა - 4,7-ჯერ. ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს გათვლების თანახმად (ცხრილი 3, გვ.55), 1951, 1963, 1969, 1972, 1974, 1979, 1980, 1981 და 1985 წლებში სსრკ-ის მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა ან აბსოლუტურად შემცირდა, ან მისი ზრდის ტემპი მკვეთრად დაეცა. ამ მაჩვენებლის შედარებით მაღალი ზრდის ტემპი აღინიშნებოდა 50-იან და 60-იანი წლების შუახანებში, შემ-

დეგ იგი მკვეთრად შემცირდა, ხოლო 70-იანი წლების ბოლოდან, პრაქტიკულად, შეწყდა. ასეთი დასკვნა დასტურდება, თუ გამოვრიცხავთ ნავთობისა და გაზის ექსპორტს, რომელსაც დიდი შემოსავლები ჰქონდა და 80-იან წლებში საბჭოთა კავშირი, ფაქტობრივად, ამ შემოსავლების ხარჯზე ახერხებდა ფუნქციონირებას.

ასეთი დინამიკის საფუძველზე, საბჭოთა კავშირი დაახლოებით 50-იანი წლების დასასრულამდე ახერხებდა დასავლეთთან დაახლოებას სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და წარმოების ეფექტიანობის დონის მიხედვით. მაგრამ მომდევნო პერიოდში, განსაკუთრებით 70-იანი წლების დასასრულიდან, ამ დაახლოების ტემპი მკვეთრად შემ-

ცხრილი 4

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე (1993 წ. ფასებში და ვალუტის მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის მიხედვით)

რეგიონები და ქვეყნები	1990 წ.		1997 წ.	
	ათასი დოლარი	%-ში აშშ-ის დონის მიმართ	ათასი დოლარი	%-ში აშშ-ის დონის მიმართ
მსოფლიო სულ	5,10	21,2	5,85	22,2
დასავლეთის განვითარებული ქვეყნები	19,80	82,5	21,50	81,9
აშშ	24,00	100	26,25	100
იაპონია	19,45	81,0	20,90	79,6
დასავლეთ ევროპა	17,25	71,8	18,70	71,2
განვითარებადი ქვეყნები	2,15	9,0	3,15	12,0
აღმ. აზიის ახალი ინდ. ქვეყნები	5,10	21,2	7,20	27,4
დსთ	5,30	22,1	3,10	11,8
რუსეთი	6,70	27,9	4,00	15,2
უკრაინა	4,20	17,5	2,10	8,0
საქართველო	3,90	16,2	1,30	4,9
აზერბაიჯანი	2,80	11,7	1,30	4,9
სომხეთი	3,90	16,2	2,65	10,1

წყარო: Болотин Б. Международные сравнения: 1990-1997 гг. - ж. "МЭиМО", 1998, №10, გვ. 120-121 და ჩვენი გაანგარიშება.

ცირდა. ცხოვრების დონის შენარჩუნება მეტ-ნაკლებად, როგორც უკვე აღინიშნა, ნავთობისა და გაზის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლებით ბალანსირდებოდა. შედეგად, მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, საბჭოთა კავშირში 1990 წ. დაახლოებით 5,5 ათას დოლარს შეადგენდა. 1993 წ. ფასებში და ვალუტის მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის მიხედვით (იხ. ცხრილი 4, სადაც მოტანილია დსთ-ის მაჩვენებელი, მაგრამ მას უნდა დაემატოს ბალტიისპირეთის ქვეყნების მონაცემები, სადაც აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე უფრო მაღალი იყო საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან შედარებით). ანუ იგი თითქმის 5-ჯერ უფრო ნაკლები იყო, ვიდრე აშშ-ისა და სხვა განვითარებული ქვეყნების ანალოგიური მაჩვენებელი. მაგრამ აქედან ისიც ჩანს, რომ მიუხედავად ასეთი კოლოსალური ჩამორჩენისა, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, საბჭოთა კავშირი მაინც არ იყო განვითარებადი, სოციალურ-ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყანა. იგი იყო საშუალოდ განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანა, რომელიც განვითარებად ქვეყნებს, ამ მაჩვენებლის მიხედვით, 2,5-ჯერ უსწრებდა.

ამგვარად, 70-იანი წლებიდან, განსაკუთრებით მისი მეორე ნახევრიდან, საბჭოთა ეკონომიკაში აშკარად აღინიშნებოდა მისი სტაგნაციისა და რეალური ზრდის შეწყვეტის პერიოდი, რამაც დასავლეთის მიმართ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით ჩამორჩენის დაძლევის ადრინდელი პროცესის ნაცვლად, მისი გაძლიერების დაწყება განაპირობა. მაინც, რეფორმამდელი საბჭოთა კავშირი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით, საშუალოდ განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანა იყო. ამას ადასტურებს ისეთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლები, როგორიც არის: მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, განათლების დონე, სიცოცხლის ხანგრძლივობა. მაგრამ ეს არ იყო მთავარი. მთავარი იყო ის, რომ ქვეყანა 90-იანი წლების მიჯნაზე სისტემურმა, საზოგადოების ყველა სფეროს - პოლიტიკური, კულტურუ-

ლი, ზნეობრივი განვითარების კრიზისმა მოიცვა.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ასეთი ვითარება გამოწვეული იყო მრავალი მიზეზით. მათ შორის, მთავარი იყო, სოციალისტური სამეურნეო სისტემა, ანუ ტოტალიტარული სახელმწიფოს არასაბაზრო მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა ცენტრალიზებული ვერტიკალური დირექტიული მართვითა და დაგეგმვით, პროდუქციის მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის ჰორიზონტალური კავშირების უქონლობის პირობებში. ასეთი სისტემა მოიცავდა: სახელმწიფო საკუთრებას წარმოების საშუალებებზე; ცენტრალიზებულ მართვასა და დაგეგმვას; მმართველი ნომენკლატურის ერთპიროვნულ მმართველს; თავისუფალი აზროვნების მკაცრად შეზღუდვას, გაბატონებულ სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას - რელიგიას; გარე სამყაროსგან იზოლაციას. ასეთ, პირობებში საზოგადოებისა და ეკონომიკის ნორმალური განვითარება, ცხადია, შეუძლებელი იყო. საბჭოთა პირობებში ჩამოყალიბებული ეკონომიკური მოდელი სრულიად უპერსპექტივო გახლდათ, ანუ მისი კრახი წინასწარ იყო დაპროგრამებული.

სხვა კონკრეტული მიზეზებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი: საბაზრო კონკურენტული მექანიზმის, შრომითი მოტივაციის მექანიზმის უქონლობა; შინაგანად ინიცირებადი, ანუ ენდოგენური მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის არარსებობა; ადამიანის თავისუფლების, მისი სრულყოფილი განვითარებისათვის აუცილებელი პირობების უგულებელყოფა; დეფიციტური ეკონომიკა, ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის მასშტაბების გაფართოების პირობებში; მეურნეობის სტრუქტურული ჩამორჩენილობა და მოუქნელობა; წარმოების ეფექტიანობის დაბალი დონე.

მეურნეობის საბჭოთა მოდელმა დაადასტურა, რომ მკაცრად ცენტრალიზებული მართვის სისტემა ასტიმულირებს, უწინარეს ყოვლისა, ექსტენსიურ ეკონომიკურ ზრდას, რაც სერიოზულად აფერხებს ინოვაციურ საქმიანობას, ინტენსი-

საბჭოთა კავშირის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები 1961–1990 წ.წ. (საშუალო წლიური ტემპი, %–ში)*

მაჩვენებლები	1961-1965 წ.წ	1966-1970 წ.წ	1971-1975 წ.წ	1976-1980 წ.წ	1981-1985 წ.წ	1986-1987 წ.წ	1988-1989 წ.წ	1990 წ.
ეროვნული შემოსავალი	6,5	7,8	5,7	4,3	9,6	3,2	3,2	-4,0
დასაქმებულთა რიცხოვნობა	4,4	3,2	2,5	1,9	0,9	0,4	-1,0	-0,7
ძირითადი წარმოებრივი ფონდები	9,6	8,1	8,7	7,4	6,4	5,2	4,3	0,0
ყველა სახის საათბობის მოპოვება ტ. პირობითი საათბობი ტონებში	6,8	5,2	4,7	3,9	1,7	1,5	0,9	-2,0

* წყარო: სსრკ-ის ცენტრალური სტატისტიკური საშმართველოს სტატისტიკური კრებულები შესაბამისი წლებისათვის.

ურ განვითარებას, ეფექტიანობის ამაღლებას. დასავლეთის მოწინავე ტექნოლოგიების იმიტაცია უკვე აღარ იძლევა დადებით შედეგს, რადგანაც ტექნიკის მორალური ცვეთის ვადა სულ უფრო მცირდება, ხოლო უახლესი ტექნოლოგიების პროდუქციის სიცოცხლის ხანგრძლივობა ამჟამად 2-3 წელიწადს იშვიათად აჭარბებს. გარდა ამისა, უახლესი ტექნოლოგიები, განსაკუთრებით ინფორმაციული ტექნოლოგიები, კომპლექსური ავტომატიზაცია შეუთავსებელია ტოტალიტარულ რეჟიმთან, ეკონომიკის მბრძანებლურ მართვასთან. რადგანაც ის, ობიექტურად, ინფორმაციის თავისუფალ გადაადგილებას, საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციას, უმუშევრობის დაშვებას საჭიროებს.

ცხრილი 5-დან ჩანს, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპების თანდათან შემცირება საბჭოთა კავშირში უშუალოდ გამოწვეული იყო ტრადიციული რესურსების – შრომის, კაპიტალის, ბუნებრივი სიმდიდრის დამატებითი მასის სამეურნეო

ბრუნვაში ჩართვის ტემპის დაცემით. მაგრამ ყველა ქვეყანაში ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. თუმცა, სხვაგან ამის კომპენსირება მეცნიერულ-ტექნოლოგიური ინოვაციებით, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებით ხდება. საბჭოთა კავშირში კი, ასე არ ხდებოდა, რადგანაც მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის სათანადოდ ათვისება მან ვერ შეძლო. მეორე მხრივ, თუ გავითვალისწინებთ, ფარულ ინფლაციას, რომელიც 70-იანი წლების დასასრულიდან, ყოველწლიურად, დაახლოებით 3%-ის ფარგლებში იყო, მაშინ გამოდის, რომ ეროვნულმა შემოსავალმა ზრდა ჯერ კიდევ 80-იანი წლების დასაწყისიდან შეწყვიტა, რაც დასავლეთის სპეციალისტების გაანგარიშებებს ემთხვევა. თუმცა მოსახლეობის რაოდენობა ამ პერიოდში იზრდებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე 80-იან წლებში მცირდებოდა. ანუ მოსახლეობის გაღარიბება დაიწყო. მაშასადამე, თუ ადრე სსრკ განვითარების დონის მიხედვით აშშ-ის კვალში მდევნელი ქვეყნების ჯგუფში იყო, 80-იანი წლებიდან იგი იმ ქვეყნების ჯგუფში გადავიდა, რომლებიც მას სულ უფრო მეტად ჩამორჩებიან.

უფრო მეტიც, საბჭოთა ეკონომიკის თვისებრივი შეფასება ეკონომიკური ზრდის თანდათან გაქრობითა და მოსახლეობის გაღარიბების დაწყებით არ შემოიფარგლება. სხვა მნიშვნელოვანი თავისებურებაა ზრდის უარყოფითი ტემპები, ანუ ეროვნული შემოსავლის ნივთობრივი კომპონენტის შემცირება. დაწყებული 70-იანი წლებიდან. 1970-1988 წ.წ. იგი 1184 მლრდ. მანეთიდან (შესადარ ფასებში) - 9046 მლრდ. მანეთამდე, ანუ 24%-ით შემცირდა. მართალია, მატერიალური ქონება 583 მლრდ. მანეთიდან - 2861 მლრდ. მანეთამდე, ანუ 4,9-ჯერ გაიზარდა, მაგრამ, სამაგიეროდ, ბუნებრივი სიმდიდრე 11301 მლრდ. მანეთიდან - 6185 მლრდ. მანეთამდე, ანუ 45%-ით შემცირდა. აქედან ჩანს, რომ მოსახლეობის აბსოლუტური გაღარიბება ხორციელდებოდა არა მარტო ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირე-

ბით, არამედ ქვეყნის ნივთობრივი სიმდიდრის შემცირებითაც, რომელიც ამ პერიოდში 1,8-ჯერ შემცირდა. ეროვნული სიმდიდრის შემცირება კიდევ უფრო მასშტაბური იყო, თუ მისი შეფასებისას გარემოს გაჭუჭყიანებასაც გავითვალისწინებთ.[18]

ასეთი უარყოფითი ტენდენციების უშუალო მიზეზი ის იყო, რომ ადამიანური კაპიტალის დაგროვება, რესურსდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვა და შესაბამისად, წარმოების ეფექტიანობა იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ ვერ აკომპენსირებდნენ სიმდიდრის შემცირებას. საბჭოთა კავშირის საბოლოო პროდუქტი 1985 წ. შეადგენდა აშშ-ის მხოლოდ 55%-ს კაპიტალური დაბანდებების ერთნაირი მასშტაბისას, პირადი მოხმარების ფონდი - 38%-ს, შრომის მწარმოებლობა - 32%-ს (ცხრილი 6). საბჭოთა ეკონომიკა ხასიათდებოდა ძალიან მაღალი ლითონტევადობით, ენერგოტევადობით, ელექტროტევადობით, რაც მისი ბუნებრივი სიმდიდრის ინტენსიურ ექსპლუატაციას განაპირობებდა. მისი საბოლოო საზოგადოებრივი პროდუქტის ლითონტევადობა 1985 წ. 1,9-ჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე აშშ-ის ანალოგიური მაჩვენებელი, ენერგოტევადობა - 2,1-ჯერ, ხოლო ელექტროტევადობა 1,8-ჯერ მაღალი. ამავე დროს ენერგიის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე საბჭოთა კავშირში აშშ-ის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 59%-ს, ხოლო ელექტროენერგიის მოხმარება - 51%-ს შეადგენდა, რაც ქვეყნის ჩამორჩენილობას გამოხატავდა. ასევე ფრიად მნიშვნელოვანი იყო სტრუქტურული ჩამორჩენილობა: ქვეყნის მატერიალურ წარმოებაში დასაქმებული იყო დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 73%, არამატერიალურ წარმოებაში - მხოლოდ 27%, ამასთან, მატერიალურ წარმოებაში დასაქმებულთა 40% მოდიოდა მრეწველობაზე, ხოლო სოფლის მეურნეობაზე - 27%.

აღნიშნული ტენდენციები განაპირობებდა საბჭოთა საქართველოს ეკონომიკურ განვითარებასაც (როგორც ცნობილია,

---

[18] Фальцман В. Реформа в Росии: генетические корни, цель и противоречия. - ჟ. "Вопросы экономики", 1998, №7, გვ. 145-147.

სსრკ–ისა და აშშ–ის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები, % (აშშ=100)*

მაჩვენებლები	1985 წ. ფაქტობრივი	2010 წ. პროგნოზი
საბოლოო პროდუქტი	55	85-90
პირადი მოხმარების ფონდი	38	60-65
კაპიტალური დაბანდებები	100	100-110
ძირითადი საწარმოო ფონდები	90	110-120
შრომის მწარმოებლურობა		

წყარო: КП НТП ССС на 1991-2010 годы. Проблемный раздел 3.1. М., 1988, გვ. 197.

რუსეთის იმპერიაში შემავალი საქართველო ეკონომიკურად ჩამორჩენილი იყო. მაგრამ უკვე სოციალისტური მეურნეობის პირველ ეტაპზე, 20-30-იან წლებში, შეიქმნა მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების სწრაფი განვითარების პირობები. 1922-1940 წ.წ. საქართველოს სამრეწველო პროდუქცია გაიზარდა 17-ჯერ, სოფლის მეურნეობა - 3,1-ჯერ, კაპიტალური დაბანდებების მოცულობა - 22-ჯერ. მომდევნო პერიოდში საქართველოს სამრეწველო პოტენციალი ყოველ ათ წელიწადში დაახლოებით ორმაგდებოდა, რის შედეგადაც სამრეწველო პროდუქცია 1940-1985 წ.წ. გაიზარდა 21,2-ჯერ, სოფლის მეურნეობის წარმოება - 4,4-ჯერ, კაპიტალური დაბანდების მოცულობა - 21-ჯერ, შრომის მწარმოებლურობა მრეწველობაში - 6,3-ჯერ, საცალო საქონელბრუნვა - 11,4-ჯერ, მუშებისა და მოსამსახურეების საშუალო თვიური ხელფასი - 5,1-ჯერ.

ამ საერთო ტენდენციის ფარგლებში, 50-იანი წლების შუა ხანებიდან აღინიშნებოდა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთგვარი ჩამორჩენა საშუალო საკავშირო მაჩვენებლებისაგან. 1970 წელს საქართველოში წარმოებული ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე შეადგენდა შესაბამისი საშუალო საკავშირო მაჩვენებლის

72,9%-ს, სამრეწველო პროდუქცია - 64,8%-ს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია - 69,5%-ს, საცალო საქონელბრუნვა - 77%-ს. 1971-1990 წ.წ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარებისა და საკავშირო მასშტაბით ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირების შედეგად აღნიშნული, სხვაობა მკვეთრად შემცირდა 5-10%-მდე და უშუალოდ მიუახლოვდა საშუალო საკავშირო დონეს (ცხრილი 7).

მაგრამ საშუალო საკავშირო დონესთან მიახლოების ტენდენცია ვერ ცვლიდა იმ ფუნდამენტურ ფაქტს, რომ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით, საბჭოთა კავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე მნიშვნელოვნად დაბალი იყო. ამის უმნიშვნელოვანესი მიზეზი იყო წარმოების ეფექტიანობის დაბალი დონე. 80-იანი წლების დასასრულს შრომის საზოგადოებრივი მწარმოებლობა საბჭოთა კავშირში იყო 2,5-ჯერ მცირე, განვითა-

ცხრილი 7

უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებლების საშუალო წლიური ზრდის ტემპები

მაჩვენებლები	1971-1975 წ.წ.		1976-1980 წ.წ.		1981-1985 წ.წ		1986-1990 წ.წ.	
	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ	სსრკ	სსსრ
ეროვნული შემოსავალი	5,1	4,8	3,8	6,1	3,1	4,4	4,1	4,6
ძირითადი წარმოებრივი ფონდები	8,7	6,8	7,4	6,7	6,4	6,3	5,4	5,3
მრეწველობის პროდუქცია	7,4	6,8	44	7,0	3,7	5,4	4,6	4,6
სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია	2,5	3,4	1,7	4,4	1,0	2,0	2,7	2,7
შრომის მწარმოებლობა	4,5	4,9	3,3	6,3	3,1	3,6	4,2	4,6
რეალური შემოსავლები ერთ სულ მოსახლეზე	4,4	3,3	3,4	4,8	2,1	3,7	2,7	3,7

წყარო: Народное хозяйство СССР за 70 лет. Статистический сборник. ЦСУ СССР. М., 1988, გვ. 55; Народное хозяйство ГССР.Юбилейный статистический ежегодник. ЦСУ ГССР. Тбилиси, 1987, გვ. 27.

რებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებული დონის მიმართ, 3,4-ჯერ მცირე, ვიდრე აშშ-ში და 2-ჯერ მცირე, ვიდრე დასავლეთ ევროპაში. შრომის მწარმოებლურობა სოფლის მეურნეობაში იყო 5-ჯერ უფრო მცირე, ვიდრე დასავლეთის ქვეყნებში და 9,5-ჯერ უფრო მცირე, ვიდრე აშშ-ში. საზოგადოებრივი წარმოების მასალატევადობა აშშ-ში იყო 1,8-ჯერ უფრო მცირე, ვიდრე საბჭოთა კავშირში. მაგრამ ყველა ამ მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო ჩამორჩებოდა საშუალო საკავშირო დონეს. ამასთან, გასათვალისწინებელია სტრუქტურული ფაქტორის სხვადასხვანაირი ზემოქმედებაც. საქმე ის არის, რომ შრომის მწარმოებლურობის დონე სოფლის მეურნეობაში, მრეწველობაში შრომის მწარმოებლურობის მიმართ შეადგენდა საბჭოთა კავშირში - 25%-ს, აშშ-ში - 100%-ს, გერმანიაში - 75%-ს, საფრანგეთში - 65%-ს, დიდ ბრიტანეთში - 130%-ს, იტალიაში - 40%-ს, იაპონიაში - 30%-ს. მიზეზი შრომის სხვადასხვა ფონდშეიარაღებაა, რომელიც გაცილებით მცირეა სოფლის მეურნეობაში, ვიდრე მრეწველობაში.[19] თუ გავითვალისწინებთ, რომ სოფლის მეურნეობის წილი ეროვნულ შემოსავალში შეადგენდა საქართველოში 29%-ს, ხოლო საბჭოთა კავშირში - 19,5%-ს, მაშინ ცხადია, რომ, თავისთავად, ასეთი სტრუქტურა წარმოების ეფექტიანობის საერთო დონის შემამცირებელი ფაქტორია.

მეორე მხრივ, საქართველოს მრეწველობაში გაბატონებული იყო კვებისა და მსუბუქი მრეწველობა. მათი ჯამური ხვედრითი წონა მრეწველობის მთლიან პროდუქციაში დაახლოებით 60%-ს შეადგენდა, საბჭოთა კავშირში - 29%-ს. ეს კი, თავისთავად, მნიშვნელოვნად ამაღლებდა შრომის მწარმოებლურობის, მასალატევადობისა და ფონდუკუგების მაჩვენებლებს საქართველოში, მაგრამ ამავე დროს, აფერხებდა მანქანათმშენებლობის პროგრესული დარგების განვითარებას, რომლებიც ყველა ქვეყანაში მაღალგანვითარების აუცილებელი პირობაა.

განსაკუთრებით უარყოფითად ზემოქმედებდა საქართვე-

---

[19] ჟ. "МЭиМО", 1987, №12, გვ. 142.

ლოს ეკონომიკურ განვითარებაზე, შრომის დაბალი ფონდშეიარაღება, ელექტროშეიარაღება, მექანიზაცია და ავტომატიზაცია. შრომის ფონდშეიარაღება საბჭოთა კავშირსა და საქართველოში დაახლოებით 2,5-3-ჯერ ჩამორჩებოდა წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ელექტროენერგიის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე საბჭოთა კავშირში შეადგენდა აშშ-ის ანალოგიური მაჩვენებლის 51%-ს, მაგრამ იმავდროულად ეს მაჩვენებელი საქართველოში ორჯერ უფრო მცირე იყო, ვიდრე საშუალო საკავშირო მაჩვენებელი, რაც მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ჩამორჩენილობის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო.

იგივე უნდა ითქვას შრომის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის შესახებ. 1985 წ. საბჭოთა კავშირის მრეწველობაში ხელით შრომობდა მუშების 35%, საქართველოში - 39%, სოფლის მეურნეობაში - შესაბამისად, 73,3 და 95,9%. კიდევ უფრო დიდი იყო დამხმარე მუშების ხელით შრომა, ისინი ძირითადი მუშების 83%-ს შეადგენდნენ.

არსებითად ამუხრუჭებდა წარმოების განვითარებას საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ჩამორჩენილობა, განსაკუთრებით სატრანსპორტო კომუნიკაციების, კავშირგაბმულობის, ინფორმაციული მომსახურების, მეცნიერებისა და განათლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის.

განვითარების ხელშემშლელ ფაქტორთა შორის ერთ-ერთი მთავარი იყო პროდუქციის ხარისხის ძალიან დაბალი დონე, რაც სასაქონლო მარაგის განუწყვეტელი ზრდითა და სამრეწველო პროდუქტის ექსპორტში მანქანათმშენებლობის დაბალი დონით ვლინდებოდა: დაახლოებით 5% საქართველოში და 13,6% საბჭოთა კავშირში, მაშინ, როდესაც ბულგარეთში იგი იყო 53,5%, ჩეხოსლოვაკიაში - 57%, პოლონეთში - 49,3%, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში კიდევ უფრო მაღალი.[20]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან ერთად, 80-იანი წლების

---

[20] Статистический ежегодник стран - членов СЭВ. М., 1986, გვ. 305-307.

დასასრულსა და 90-იანი წლების დასაწყისში ვითარება გართულდა იმით, რომ „პერესტროიკის“ ეკონომიკურმა რეფორმამ (1988-1991 წ.წ.) მდგომარეობა კი არ გააუმჯობესა, არამედ, პირიქით, გააუარესა. საბოლოო ჯამში, ეს ფინანსური სისტემის მოშლით, პროდუქციის დეფიციტის გაძლიერებით, უმუშევრობის ზრდით გამოიხატა. 1988 წ. კანონით სახელმწიფო საწარმოების შესახებ და მთავრობის სხვა დადგენილებებით საწარმოებს უფლება ეძლეოდა, თვითონ მიეღოთ გადაწყვეტილება წარმოების მოცულობის, პროდუქციის ნომენკლატურის, პარტნიორების არჩევის, მოგების განაწილების, ხელფასის დონის, საზღვარგარეთული კრედიტების მოზიდვის, ინვესტიციების შესახებ. ეს მაშინ, როდესაც ინსტიტუციური გარდაქმნები, პრივატიზება, საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნა არ იყო განხორციელებული. შედეგად, საბჭოთა სახელმწიფოს ვალი 1986-1990 წ.წ. გაიზარდა 400 მლრდ. მანეთით, ბიუჯეტის დეფიციტმა მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 26% შეადგინა. ამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამომწვევი ფაქტორი საწარმოო სფეროს არაეფექტიანი დაფინანსება იყო. 80-იანი წლების დასასრულს ეკონომიკური კრიზისი, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოს ჭარბმა ინვესტიციურმა აქტივობამ წარმოშვა. ინვესტიციების დიდი ნაწილის განთავსება მსხვილ მონოსაწარმოებში ხდებოდა. დამატებითი ფინანსური რესურსები, მიღებული ემისიის ხარჯზე, უმრავლეს შემთხვევაში ნაწილდებოდა არაგონივრულად გამსხვილებულ საწარმოებზე, რომლებიც მცირე შემოსავლებით ან ზარალით მოქმედებდნენ. დაუმთავრებელი მშენებლობანი კოლოსალურ მასშტაბებს აღწევდა, ხოლო მშენებლობის ვადები ორჯერ აღემატებოდა ნორმატიულს, რაც მშენებლობის დამთავრებისათვის ტექნოლოგიების მოძველებას იწვევდა. საწარმოების ფინანსური რესურსების ზრდა წარმოების მოცულობის გადიდებას არსებითად უსწრებდა, რაც პროდუქციის დეფიციტის პირობებში გამოუყენებელი ფულადი სახსრების მკვეთრ ზრდასა და ინფლაციას იწვევდა. ამ პერიოდში ვადაგადაცილებული დავალიანებისა და ურთიერთგადახდების პრაქტიკის მკვეთრი

ზრდა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა.

ფინანსური სისტემის დაუბალანსებლობამ, თავის მხრივ, სამომხმარებლო ბაზრის კრიზისი, საყოველთაო დეფიციტი, აჟიოტაჟური მოთხოვნა, ღია ინფლაცია, ჩრდილოვანი ეკონომიკა და „შავი ბაზარი" კიდევ უფრო გააძლიერა. სახელმწიფომ დაკარგა კონტროლი ხელფასსა და მეურნეობრიობის შედეგებზე. იგი ამ პროცესებს უკვე ვეღარ მართავდა. ფულადი მასა გროვდებოდა საწარმოებისა და მოსახლეობის ანგარიშებზე. სამომხმარებლო ბაზარს დააწვა კოლოსალური მასშტაბის მოთხოვნა, რომელიც წლების განმავლობაში გროვდებოდა. ფულადი შემოსავლების მოცულობის მეტობამ საქონელზე, მომსახურებასა და ფინანსურ-საკრედიტო სისტემებისათვის გადახდებზე გაწეული ხარჯებისადმი მარტო 1990 წ. შემოსავლების საერთო მოცულობის 12,3% შეადგინა, ანუ ორჯერ უფრო მეტი, ვიდრე იგი 1986 წ. იყო. მოსახლეობის შემოსავლები კი, საოცრად სწრაფად იზრდებოდა: 1980-1985 წ.წ. მან მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 5% შეადგინა, მაგრამ 1990 წ. - უკვე 15, ხოლო 1991 წ. - 30%. ამასთან, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნის მოცულობის მატებამ მარტო 1990 წ. 68 მლრდ. მანეთი შეადგინა, ხოლო ფარული და ღია ინფლაციის საერთო დონე, 1986 წელთან შედარებით, 20-ჯერ გაიზარდა. ფულის მასა, საერთოდ, 80-იანი წლების განმავლობაში, 2,7-ჯერ გადიდდა, თუმცა ამ ზრდის უდიდესი ნაწილი ბოლო წლებზე მოდიოდა.

კრიზისის გაღრმავების დამაგვირგვინებელი ფაქტორი იყო ეკონომიკური კავშირების თანდათან მოშლა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, რასაც საბოლოოდ 1991 წ. დეკემბერში საბჭოთა კავშირის დაშლის გამოცხადება მოჰყვა.

80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში განვითარებული პროცესები, ცხადია, ზემოთ დახასიათებული ტენდენციების ანალოგიური იყო. მაგრამ აქ ეს პროცესები უფრო მწვავედ მიმდინარეობდა, რაც შემდეგი ძირითადი მიზეზებით იყო გამოწვეული: პირველი საქართველოში, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებთან ერთად,

ყველაზე უფრო ძლიერად გამოვლინდა პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნა. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ინტენსივობამ ქვეყანაში აპოგეას მიაღწია. ეს, ბუნებრივია, ქვეყანაში ვითარებას ართულებდა, რაც მთავარია, აიძულებდა საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას, საქართველოზე პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლა გაეძლიერებინა. მეორე, საქართველოს ეკონომიკაზე, მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური კავშირების მოშლა, უარყოფითად ზემოქმედებდა. ქვეყნის მეურნეობა, უპირატესად, საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ნებაზე იყო დამოკიდებული, რომელიც მას ყველაზე მთავარი რესურსებით – ფულადი რესურსებითა და ენერგომატარებლებით უზრუნველყოფდა. ეკონომიკური კავშირების მოშლის უარყოფითი ზემოქმედება იმით დასტურდება, რომ ეკონომიკური კრიზისი, წარმოების შემცირება საქართველოში მნიშვნელოვნად უფრო ღრმა იყო, ვიდრე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

ამგვარად, საქართველოს ეკონომიკური სისტემის რეფორმირება უალტერნატივოა იმიტომ, რომ იგი ობიექტური მიზეზებით არის განპირობებული. შინაგანი ობიექტური მიზეზია, ადრე გაბატონებული სოციალისტური მეურნეობრივი სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა. გარეგანი ობიექტური მიზეზია, ახალი ცივილიზაციის ფორმირებისა და საყოველთაო გლობალიზაციის პროცესები. საქართველოს მომავალს, მნიშვნელოვანწილად, მისი სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის ტემპი და ხარისხი განსაზღვრავს.

თავი 2. ეკონომიკის ტრანსფორმაცია

2.1. ეკონომიკის ტრანსფორმაციის არსი და ფაქტორები

ეკონომიკის ტრანსფორმაციის აუცილებლობის ძირითადი მიზეზების გარკვევის შემდეგ, მიზანშეწონილია მისი არსის, მიზნების, ფაქტორების, მექანიზმების, თეორიული საფუძვლების განსაზღვრა. ამ საკითხების შესწავლის აქტუალობას ისიც იწვევს, რომ ტრანსფორმაციის ერთიანი ზოგადი თეორია დღემდე არ არსებობს, ხოლო საზღვარგარეთისა და საქართველოს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იგი უფრო ხშირად არასისტემატურად, ფრაგმენტულად ხორციელდება და დადებითთან ერთად, ფრიად სერიოზული უარყოფითი შედეგებითაც ხასიათდება.

საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ისეთი კატეგორიების მეცნიერულად განსაზღვრა, როგორიც არის სოციალური რევოლუცია, ეკონომიკის ტრანსფორმაცია, ეკონომიკური რეფორმა. ისინი, მართალია, მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ მათი აღრევა დაუშვებელია, რადგანაც რეალური პროცესების შეფასებასა და ეფექტიან მართვას ასეთ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფთ. ტრანსფორმაცია პროცესია, რომელიც მუდმივ ცვლილებებს, გარდაქმნებს გულისხმობს. საზოგადოებრივი ტრანსფორმაცია მოიცავს მის ყველა შემადგენელ ელემენტს. პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, ზნეობრივი და ა.შ. სფეროს ტრანსფორმაციას, გარდაქმნას რევოლუციური და ევოლუციური გზით. იგი უწყვეტი, კვლავწარმოებადი პროცესია. მაგრამ, როდესაც საზოგადოებრივი სისტემა შედარებით ხანმოკლე პერიოდში მთლიანად თვისებრივად იცვლება, მაშინ ობიექტურად, საზოგადოებრივი, სოციალური რევოლუცია, ანუ ერთი საზოგადოებრივი სისტემის მეორე საზოგადოებრივი სისტემით შეცვლა ფიქსირდება. 80-იანი წლების დასასრულიდან დღემდე პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების ყველა-

ზე უფრო მთავარი თავისებურებაა ის, რომ სახეზეა სოციალისტური საზოგადოებრივი სისტემის კაპიტალისტური (საბაზრო) საზოგადოებრივი სისტემით რევოლუციური შეცვლა, თუმცა, ამასთან ერთად, ევოლუციური, რაოდენობრივი გარდაქმნებიც მიმდინარეობს. ეს პერიოდი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ხანგრძლივობისაა, მათი თავისებურებების შესაბამისად.

ეკონომიკის ტრანსფორმაცია მოიცავს ეკონომიკის ყველა შემადგენელი ელემენტის – მწარმოებლური ძალების, ეკონომიკური ურთიერთობების, ეკონომიკური ზედნაშენის გარდაქმნას რევოლუციური და ევოლუციური გზით, რომელიც ასევე მუდმივი, განუწყვეტელი პროცესია. მაგრამ 90-იან წლებში პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, მიმდინარეობდა სოციალისტური მეურნეობრივი სისტემის საბაზრო ეკონომიკის სისტემით რევოლუციური და ევოლუციური შეცვლის პროცესი. თუ როდის დამთავრდება იგი, ანუ საბაზრო მეურნეობის სრულად ჩამოყალიბება, მათთვის დამახასიათებელი ეროვნული მოდელის სახით, დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიული და თანამედროვე განვითარების თავისებურებებზე.

აქედან ჩანს, რომ ეკონომიკის ტრანსფორმაცია არის მუდმივი გარდაქმნის, განახლების პროცესი, რომლის საბოლოო შედეგია ეკონომიკურ საქმიანობაზე ბიუროკრატიული კონტროლის მინიმიზაცია, კონკურენტული საბაზრო ურთიერთობების, ადამიანის ეკონომიკური თავისუფლების, ქცევის ახალი მოტივების დამკვიდრება, წარმოების, ტექნოლოგიების, მენეჯმენტის სრულყოფა, მაღალი ცხოვრების დონისა და ხარისხის უზრუნველყოფა. ეკონომიკის ტრანსფორმაცია, თავისთავად, რთული და კომპლექსური ფენომენია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის ორგანული შემადგენელი ნაწილია და მასზე ძლიერ ზემოქმედებს პოლიტიკური და სოციალური ინსტიტუტების ხარისხი. ეს უკანასკნელი მრავალი ფორმით გამოიხატება: ეკონომიკური სისტემის, წარმოების, ეკონო-

მიკური წესრიგის, ინსტიტუციური მოწყობის, საკანონმდებლო ბაზის, ქცევის ტრანსფორმაცია და ა.შ.

ეკონომიკის ტრანსფორმაციისაგან განსხვავებით, ეკონომიკური რეფორმა არის ეკონომიკური გარდაქმნების ღონისძიებათა სისტემა. ეკონომიკური პოლიტიკის სისტემა ტრანსფორმაციის მიზნით (საერთოდ, ეკონომიკაში და მის ცალკეულ სფეროებში) არის გარდაქმნების განხორციელების ინსტრუმენტი. ამიტომ რეფორმირება აისახება, ვლინდება ტრანსფორმაციის პროცესით, მისი შედეგებით. ამასთან, იგი გარკვეული ღონისძიებების, პოლიტიკის განხორციელების პროცესია, ტრანსფორმაცია რეფორმის მეშვეობით ხორციელდება. პირველი შედეგია, მეორე – მისი მიღწევის საშუალება.

რადგანაც ტრანსფორმაციის ყველაზე უფრო სიღრმისეული ნიშანი გარდაქმნით, ცვლილებით, სრულყოფით გამოიხატება, მისი კონკრეტული მიზანი იმით განისაზღვრება, თუ რომელ ტრანსფორმაციასთან გვაქვს საქმე: თუ ერთი საზოგადოებრივი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემიდან, უფრო მაღალგანვითარებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემაზე გადავდივართ, ტრანსფორმაციის მთავარი მიზანია სისტემური გარდაქმნების განხორციელება, ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის ჩამოსაყალიბებლად. ხოლო თუ არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის ჩარჩოებში მიმდინარეობს გარდაქმნები, მაშინ სახეზეა ნაწილობრივი ტრანსფორმაციები მის სხვადასხვა სფეროში – პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ა.შ. ტრანსფორმაციები.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ XX საუკუნის დასასრულს, მსოფლიო ისტორიაში ორ უდიდეს საზოგადოებრივ სისტემას – კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის მეტოქეობა, პირველის გამარჯვებით დამთავრდა. ორივე ამ სისტემამ თეორიულად ჩამოაყალიბა წარმატებული და წარუმატებელი ეკონომიკური სისტემის უმთავრესი ფასეულობანი და მიზ-

ნები. წარმატებული სისტემის ფასეულობებიდან გამოიყოფა: რაციონალურობა და საერთო ეფექტიანობა; მდგრადი გრძელვადიანი ზრდის შესაძლებლობა; სოციალური სამართლიანობა; ეკონომიკური განვითარება და მოდერნიზაცია; ინდივიდების ან საზოგადოების გარანტირებული თავისუფლება. წარუმატებელი სისტემის განმსაზღვრელ კრიტერიუმად კი განისაზღვრა: არარაციონალურობა და მფლანგველობა; არასტაბილურობა, ენდოგენური რყევები; სიმდიდრისა და შემოსავლების ან ძალაუფლების არასამართლიანი განაწილება; წინააღმდეგობები ნორმალური განვითარებისათვის, დამოკიდებულება ხელისუფლებაზე; ნამდვილი თავისუფლების უქონლობა. მაგრამ რეალურად ორივე სისტემამ გამოავლინა როგორც მნიშვნელოვანი, მსგავსი ნიშნები, ასევე ფრიად პრინციპული ხასიათის განსხვავებანი. კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ისტორიული შეჯიბრის ბედი პირველის სასარგებლოდ, სწორედ ამ განსხვავებებმა, ანუ განვითარების რეალურად მიღწეულმა შედეგებმა განაპირობა (ცხრილი 8).

ამგვარად, საქართველოსა და სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, დაწყებული 80-იანი წლების დასაწყისიდან, მიმდინარეობს არა ჩვეულებრივი ტრანსფორმაცია, არამედ სოციალისტური სისტემის კაპიტალისტური სისტემით რევოლუციური შეცვლის პროცესი, რომელსაც, რა თქმა უნდა, ევოლუციური გარდაქმნებიც ახასიათებს. ტრანსფორმაციის გახანგრძლივება, სირთულე, სისტემატურობა სწორედ ამითაა გამოწვეული.

მაგრამ საზოგადოებრივ, სისტემურ ტრანსფორმაციასთან ერთად, ბუნებრივია, ხორციელდება ნაწილობრივი ტრანსფორმაციაც, რომელთაგან მთავარია: ფუნქციონალური (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ტექნოლოგიური, ზნეობრივი), ინსტიტუციური, სტრუქტურული, ორგანიზაციული, რეგიონული, დარგობრივი. თითოეული მათგანი უდიდესი მნიშვნელობისაა, თუმცა ისინი სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა სისწრაფით ხორციელდებიან.

ცხრილი 8

კაპიტალიზმისა და სოციალიზმის შედარებითი ანალიზის მახასიათებლები

მახასიათებლები	კაპიტალიზმი	სოციალიზმი
1. საერთო ნიშნები	შრომის დანაწილება, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობანი	
2. პოლიტიკური რეჟიმი	სხვადასხვა (დემოკრატიული ან ავტორიტარული)	ერთპიროვნული სისტემა, დიქტატორული ავტორიტარული
3. საკუთრებისა და კოორდინაციის გაბატონებული ფორმა	კერძო საკუთრება საბაზრო კოორდინაცია	სახელმწიფო საკუთრება. ადმინისტრაციული კოორდინაციის ვერტიკალური სტრუქტურა
4. სტრუქტურული უწონასწორობის სახეები	სიუხვის ეკონომიკა (განისაზღვრება მოთხოვნით)	დეფიციტური ეკონომიკა (განისაზღვრება არსებული რესურსებით)
5. ძირითადი ტენდენცია დასაქმების სფეროში	უმუშევრობა	სამუშაო ძალის დეფიციტი
6. დაგროვების რეჟიმი	სხვადასხვა: ექსტენსიური, ინტენსიური, შერეული	უმთავრესად ექსტენსიური
7. წარმოების ეფექტიანობა	შედარებით მაღალი, უპირატესად რესურსდ-ამზოგი წარმოება	შედარებით დაბალი, უპირატესად რესურსტევადი წარმოება
8. ზრდის სტაბილურობა	დაბალი, ძლიერი რყევები, ეკონომიკური ციკლები	დაბალი, ძლიერი რყევები, ინვესტიციური ციკლები
9. ფასების სტაბილურობა	დაბალი	შედარებით მაღალი
10. მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი	შედარებით სწრაფი, ენდოგენური	შედარებით ნელი, იმიტაციური
11. ცხოვრების დონე და ხარისხი	შედარებით მაღალი	შედარებით დაბალი
12. სოციალური დაცვა	შედარებით დაბალი, გაძლიერების ტენდენციით	შედარებით მაღალი
13. შემოსავლების განაწილება	არათანაბარი	შედარებით თანაბარი
14. ეროვნული და საერთაშორისო ეკონომიკის კავშირი	შედარებით ძლიერი	შედარებით მცირე

რევოლუციური, რადიკალური ეტაპი მონაცვლეობს ევოლუციური, თანდათანობითი განვითარების ეტაპით და ა.შ. ერთობლიობაში ისინი ტრანსფორმაციის შინაარსს, კონკრეტულ პროცესს გამოხატავენ. აქედან ჩანს, რომ როგორც საზოგადოებრივი, სისტემური ტრანსფორმაცია, ასევე, ნაწილობრივი, ცალკეული სფეროების ტრანსფორმაციაც ურთულესი ფენომენია, რომელიც დღემდე სუსტადაა შესწავლილი, თუმცა ბოლო ათწლეულებში ამ საკითხში თანდათან მნიშვნელოვანი შედეგები აღინიშნება.

ზემოთ აღნიშნული საშუალებას გვაძლევს, გამოვყოთ საქართველოში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესის შემდეგი ძირითადი მიზნები: სოციალისტური საზოგადოებრივი სისტემის დემონტაჟი და მაღალგანვითარებული კაპიტალისტური სისტემის დამკვიდრება, ანუ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებრივ სისტემაზე გადასვლა, ადამიანის ყოველმხრივი განვითარებისათვის პირობების შექმნა, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, მაღალი ცხოვრების დონისა და ხარისხის მიღწევა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, კონკურენტული და თანამშრომლობითი გარემოს უზრუნველყოფა, საზოგადოების ინფორმატიზაცია და ეკოლოგიზაცია, წარმოების მაღალი ეფექტიანობის მიღწევა. ამასთან, ცხადია, თითოეული მათგანი კონკრეტული მიზნების სისტემას მოიცავს, რომელთა რეალიზაცია შესაბამისი ღონისძიებების თანამიმდევრულ განხორციელებას მოითხოვს.

ტრანსფორმაციის ფაქტორების კლასიფიკაცია, გამომდინარე მისი ფორმების მრავალფეროვნებიდან, სულ სხვადასხვანაირი კრიტერიუმით შეიძლება. საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის მთავარი ფაქტორებია, მაგალითად, წარმოების საშუალებების, მოთხოვნილების, ინტერესების, წინააღმდეგობების, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის, ცოდნის, ინფორმაციის განვითარება. თუ ეკონომიკის ტრანსფორმაციას უფრო დეტალურად განვიხილავთ, მაშინ შე-

იძლება გამოვყოთ ფაქტორების შემდეგი კრიტერიუმები, ჯგუფები: ამოსავალი, შუალედური და უშუალო ფაქტორები; მოქმედების ხასიათის მიხედვით: შინაგანი და გარეგანი ფაქტორები; ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორები; მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფაქტორები. ამოსავალი, ფუძემდებლური ფაქტორებია: მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი, ცვლილებები წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფაში (ბუნებრივი რესურსები, შრომა, კაპიტალური, მეწარმეობის უნარი, სახელმწიფო რეგულირება, ინფორმაცია, ცოდნის მოცულობა და ხარისხი), რესურსების არასრული გამოყენება, ცვლილებები მოთხოვნაში, კულტურულ-ფასეულობით ორიენტაციაში. შუალედური ფაქტორებია: ადამიანთა პირადი ინტერესები, რომლებიც საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენას მიეკუთვნებიან და ზემოქმედებენ ტრანსფორმაციის ხასიათსა და დინამიკაზე. ტრანსფორმაციის უშუალო ფაქტორებიდან უნდა დავასახელოთ, უწინარეს ყოვლისა, სხვადასხვა საზოგადოებრივი და ეკონომიკური ინსტიტუტი, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს და აქტიურად ზემოქმედებენ მაკროეკონომიკურ, მეზოეკონომიკურ, მიკროეკონომიკურ და მეგაეკონომიკურ პროცესებზე. ასეთებია: სახელმწიფო, პოლიტიკური პარტიები, პროფკავშირები, არასამთავრობო ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები, ტრანსნაციონალური კომპანიები და ორგანიზაციები და ა.შ.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკონომიკის ტრანსფორმაციის წარმატებით განახორციელებლად ეფექტიანი ფინანსური და ფულად-საკრედიტო სისტემის ინსტიტუციურ ჩამოყალიბებას ენიჭება. არსებითი მნიშვნელობისაა შიდა ეროვნული და საერთაშორისო ფაქტორები, მაგალითად, ქვეყანაში არსებული ინვესტიციური კლიმატი და პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების მოცულობა. არაეკონომიკური ფაქტორებიდან, რომლებიც დიდ ზემოქმედებას ახდენს ტრანსფორმაციაზე, შეიძლება დავა-

სახელოთ სახელმწიფოს პოლიტიკური ნება გარდაქმნების სწრაფად და ეფექტიანად განახორციელებლად. მოკლევადიანი ფაქტორებიდან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალ ფასწარმოქმნაზე გადასვლას, ხოლო შედარებით გრძელვადიანი ფაქტორებიდან – ეფექტიანი ინსტიტუტების უზრუნველყოფას.

ზემოთ დასახელებული ფაქტორების ერთობლივი ურთიერთმოქმედება ტრანსფორმაციის მექანიზმს გამოხატავს. ტრანსფორმაციის პოტენციალის დაგროვებასა და აუცილებლობას სწორედ ამ ფაქტორების ურთიერთკავშირი და ხასიათი განაპირობებს. ტრანსფორმაციის ზოგადი მექანიზმის მოქმედება საქართველოში შემდეგი ძირითადი მოთხოვნებით ხასიათდება: მთავარი ობიექტური ფაქტორი იყო ის, რომ სოციალისტურმა სამეურნეო სისტემამ ვერ უზრუნველყო მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის სათანადო დონე, წარმოების საჭირო ეფექტიანობა, მომგებიანობა, კონკურენტუნარიანობა, შემოსავლები, დანაზოგები, ინვესტიციური აქტიურობა, განვითარების მაღალი ტემპი და შესაბამისად, ადამიანების მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ცხოვრების სათანადო დონე და ხარისხი. ამ ფაქტორების მოქმედებამ გამოიწვია ადამიანების ეკონომიკური ინტერესების ყოველდღიური შეუთავსებლობა მოქმედი სისტემის ინტერესებისადმი სამეურნეო ცხოვრების ყველა სფეროში. იმავდროულად მოხდა ძირეული ცვლილებები ფასეულობათა სისტემაშიც. ადამიანის, მისი ცოდნის, ინტელექტუალური პოტენციალის გადაქცევა განვითარების ფაქტორად განაპირობებს წინა პლანზე ცალკეული ინდივიდის პირადი ინტერესების დაკმაყოფილების აუცილებლობისა და არა აბსტრაქტული საზოგადოებრივი, კოლექტიური ინტერესების წამოწევა. ინსტიტუტების ეფექტიანობაც თანამედროვე პირობებში იმით განისაზღვრება, თუ რამდენად ხელშემწყობია ისინი ადამიანის განვითარებისათვის, მისი კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ამიტომ სოციალისტური ინ-

სტიტუტების გარდაქმნა, პოლიტიკური და ეკონომიკური დემოკრატიზაცია, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა წინსვლის, პროგრესის აუცილებელ პირობად გადაიქცა.

მაგრამ ამისათვის აუცილებელია ტრანსფორმაციის ეფექტიანი მეთოდის შერჩევა მისი თეორიული საფუძვლების ობიექტური ანალიზისა და შეფასების გზით. ასეთი ანალიზი გვიჩვენებს, რომ თანამედროვე პირობებში ეკონომიკური ტრანსფორმაციის სამი ძირითადი თეორიული კონცეფცია და მეთოდი არსებობს: რადიკალური ტრანსფორმაციის ანუ „შოკური თერაპიის" კონცეფცია, ევოლუციური ტრანსფორმაციის, ანუ „გრადუალიზმის" კონცეფცია და შერეული ტრანსფორმაციის კონცეფცია.

„შოკური თერაპიის" კონცეფციის საფუძველია ნეოკლასიკური, ნეოლიბერალური თეორია. მისი ძირითადი ელემენტები ასე გამოიხატება: ტრანსფორმაციის პროცესი მისი საბოლოო შედეგების მიხედვით უნდა შეფასდეს; მთავარია ეკონომიკური აგენტებისათვის საქმიანობის ისეთი პირობების შექმნა, რომელიც ეფექტიან შედეგებს უზრუნველყოფს; ასეთი პირობები შეიძლება მხოლოდ თავისუფალი საბაზრო მეურნეობის მოდელის რეალიზაციით მივიღოთ; გადამწყვეტი მნიშვნელობა ფინანსური სტაბილიზაციის, ინფლაციის ლიკვიდაციის, მკაცრ ფინანსურ ფულად - საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებას ენიჭება; აუცილებელია ეროვნული ვალუტის კურსის მყარი ვალუტების კურსთან მიბმა; საჭიროა ფასებისა და საგარეო ვაჭრობის სწრაფი ლიბერალიზაცია და კერძო სექტორის ჩამოყალიბების, პრივატიზების პროცესის დაჩქარება; მასშტაბური საზღვარგარეთული დახმარებისა და ინვესტიციების მოზიდვა. აქედან ჩანს, რომ „შოკური თერაპია" სტაბილიზაციის პროგრამას სცილდება და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას გულისხმობს. ამასთან, იგულისხმება, რომ რომელიმე პირობის შეუსრულებლობა ეკონომიკური ქცევის დეფორმაციას იწვევს. ამიტომ უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ბაზარზე გადასვლის დაჩქა-

რებას, „დიდი დარტყმის“, „შოკისა“ და თერაპიის ერთდროულად განხორციელების გზით. მის მომხრეებს კარგად ესმით, რომ რადიკალური რეფორმების სოციალური საზღაური მაღალია, მაგრამ მიიჩნევენ, რომ ამ უკანასკნელს უფრო ნაკლები ზიანი მოაქვს, ვიდრე გახანგრძლივებულ რეფორმებს. „გრადუალიზმის“ კონცეფცია აქცენტს აკეთებს არა შედეგზე, არამედ უშუალოდ ტრანსფორმაციის პროცესზე, ხაზს უსვამს მის თანდათანობით ხასიათსა და ხანგრძლივობას. ტრანსფორმაციაში იგი, უწინარეს ყოვლისა, ერთობლივ მიწოდებასა და მოთხოვნის სტრუქტურაში ცვლილებებს გულისხმობს. ამიტომ იგი წინა პლანზე აყენებს არა ფინანსურ სტაბილიზაციას, ინფლაციის დაძლევას, არამედ წარმოების სტაბილიზაციას – რადგანაც მხოლოდ პროდუქციის მდგრადი გამოშვებისას არის შესაძლებელი, სახსრებისა და ინვესტიციების საჭირო დონის უზრუნველმყოფი რესურსების მუდმივად მიღება, მოსახლეობის სოციალური ადაპტაციისათვის პირობების შექმნა. „გრადუალისტების“ აზრით, წარმოების მოცულობის შემცირება უფრო მეტი ბოროტებაა, ვიდრე მისი დაბალი დონის შენარჩუნება, რადგანაც ამ შემთხვევაში შესაძლოა, ტრანსფორმაციამ საერთოდ აზრი დაკარგოს, რამეთუ, მისი საბოლოო მიზანი შეიძლება მხოლოდ პროგრესი, ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლება იყოს.

ამ ორი კონცეფციის ალტერნატივებია „ჰეტეროდოქსული“ და ინსტიტუციური კონცეფციები. „ჰეტეროდოქსული“ მიდგომისათვის დამახასიათებელია „შოკური თერაპიის“ სწრაფი ფინანსური სტაბილიზაციის მოთხოვნის შეთავსება ფიქსირებული ან დროებით გაყინული ფასების იდეასთან. აქედან ჩანს, რომ „შოკური თერაპიის“ ამოსავალი ლოგიკა უარყოფილია. სინამდვილეში, ამით ხდება ღონისძიებათა სხვადასხვა პაკეტიდან მექანიკური კომბინირება და გადაუწყვეტი პრობლემების დაგროვება. „შოკური თერაპიის“ კონცეფცია ეფუძნება თავისუფალი საბაზრო მეურნეობის ლოგიკას, „გრადუალიზმი“ – საწარმოო სისტემის ინერცი-

ას, ხოლო „ჰეტეროდოქსული“ კონცეფციის ღონისძიებები – არცერთ მათგანს. ამიტომ, თეორიული თვალსაზრისით, ისინი დაუსაბუთებელია, ხოლო სოციალური გამოცდილების თვალსაზრისით – საინტერესო, რადგანაც თვითონ სინამდვილე ლოგიკურისა და ალოგიკურის ერთიანობაა.

ინსტიტუციური კონცეფცია ყურადღებას ამახვილებს ინსტიტუტების ეფექტიანობაზე. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ეს ასპექტი ზემოთ დახასიათებულ კონცეფციებში საერთოდ უგულებელყოფილია. მაგალითად, „შოკურ თერაპიაში“ ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა სწრაფი პრივატიზების განხორციელებაა, თუმცა უპირატესად ფორმალურ-სამართლებრივი სახით. წინა კონცეფციებით ინსტიტუციური გარდაქმნები, ფაქტობრივად, უგულებელყოფილია, და ტრანსფორმაციული პროგრამების ორგანული შემადგენელი ნაწილის სახით წარმოდგენილი არ არის. ეს კი ტრადიციული ტრანსფორმაციული კონცეფციების ძალიან სერიოზული ნაკლია, რადგანაც ეკონომიკა თავისთავად კი არ ფუნქციონირებს და ვითარდება, არამედ ამისათვის აუცილებელი გარემოს, წესების, პირობების არსებობის შემთხვევაში.

ამგვარად, „შოკური თერაპიის“ კონცეფცია ყურადღებას ამახვილებს ფინანსურ სტაბილიზაციაზე, ფასების ლიბერალიზაციაზე, შიდა ბაზრის გახსნაზე, პრივატიზებაზე, რეფორმების სწრაფად განხორციელებაზე. „გრადუალიზმისათვის“ მთავარია წარმოებისა და დასაქმების სტრუქტურული ადაპტაციის პრობლემა, კაპიტალის დაგროვების პროცესი, სამრეწველო პოლიტიკის გატარება, რეფორმების ეტაპობრივად რეალიზაცია. „ჰეტეროდოქსული“ სტრატეგია ორივე ამ კონცეფციის ღონისძიებათა შეთავსებას ცდილობს. ინსტიტუციური ტრანსფორმაცია კი, წინა პლანზე ინსტიტუტების ეფექტიანობას, საკუთრების უფლების უზრუნველყოფას, საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ანტიმონოპოლიურ რეგულირებას აყენებს.

ყველა ეს კონცეფცია სათანადო თეორიული საფუძვლე-

ბითაა გამაგრებული. „შოკური თერაპიის“ სტრატეგია ნეოკლასიკურ, ნეოლიბერალურ თეორიას ეყრდნობა, რომელიც თანამედროვე პირობებში „ვაშინგტონის კონსენსუსით“ აისახება. „გრადუალიზმის“ კონცეფცია, ფაქტობრივად, მიწოდების თეორიისა და ნეოკეინსიანიზმის სინთეზის მცდელობაა. „ჰეტეროდოქსული“ სტრატეგია ნეოლიბერალური და ნეოკეინსური თეორიების ძირითადი პოსტულატების მექანიკური კომპრომისის გამოხატულებაა.[21] ხოლო ინსტიტუციური ტრანსფორმაციის წინა პლანზე წამოწევის დასაბუთება, პირველ რიგში, ავსტრიული სკოლის (ლ.ფ. მიზესი, ფ.ფ. ჰაიეკი, ი. შუმპეტერი) და ნეოინსტიტუციონალიზმის ეკონომიკურ თეორიას ეყრდნობა.[22]

ბოლო წლებში აღინიშნება არა მხოლოდ განვითარებად და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების შედეგების განზოგადების მცდელობა, არამედ ტრანსფორმაციის ზოგადი თეორიის შემუშავების პრობლემის გამოკვეთა. საქმე ის არის, რომ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესის მეტნაკლებად დამთავრების მოახლოებასთან დაკავშირებით გაჩნდა მოსაზრება, რომ გარდამავალი ეკონომიკის კვლევა, ანუ ტრანზიტოლოგია კვლევის უპერსპექტივო მიმართულებაა. ასეთი მიდგომა არ ითვალისწინებს იმას, რომ ტრანსფორმაციის თეორია გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე ტრანზიტოლოგია, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თეორია. ტრანსფორმაცია ეკონომიკაში ყოველთვის, მუდმივად მიმდინარეობს და იგი განვითარების მამოძრავებელი ძალა, მექანიზ-

---

[21] იხ. Крегель Я., Мацнер Э., Грабхер Г. Рыночный шок. М., 1992; Бальцерович Л., Гелб А. Макроэкономическая политика при переходе к рынку: опыт трех лут. - ჟ. "МЭиМО", №3 1995; Стиглиц Дж. Многообразнее инструменты, шире цели: движение к пост-Вашингтонскому консенсусу. - ჟ. "Вопросы экономики", 1998, №8, გვ. 4-34.

[22] . იხ. Шюллер А., Крюссельберг Х.Г. Основы рыночного хозяйства: понятия, концепции. Марбург, 1993 г.

მია. ამიტომ არის, რომ ტრანსფორმაციის ერთიანი თეორიის შემუშავება განვითარების ერთიანი თეორიის ჩარჩოებში სულ უფრო მეტად აქტუალური ხდება. ამ პრობლემის წარმატებით გადასაწყვეტად კი, საჭიროა არა მარტო ზემოთ დასახელებული თეორიების, არამედ სხვა თეორიების მიღწევების გათვალისწინებაც, მათ შორის სტრუქტურალიზმისა და კომპარატივისტიკის მიღწევების.[23]

როგორც ჩანს, ტრანსფორმაციის ერთიანი ეფექტიანი სტრატეგიის უქონლობა, უწინარეს ყოვლისა, იმით არის გამოწვეული, რომ ჯერჯერობით ტრანსფორმაციის ერთიანი თეორიაც არ არსებობს. ამიტომ სხვადასხვა თეორია პრიორიტეტს სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტას ანიჭებს. „შოკური თერაპიისათვის" დამახასიათებელია მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და პრივატიზების პრობლემების აქტუალიზაცია, მაშინ, როდესაც დანაზოგებისა და ინვესტიციების უზრუნველყოფის პრობლემა შედარებით უგულებელყოფილია. მეორე მხრივ, ინსტიტუტების ფორმირების, ინსტიტუციური გარდაქმნების მნიშვნელობა დაკნინებულია როგორც „შოკური თერაპიის", ასევე „გრადუალიზმის" სტრატეგიაში. მაგრამ პოსტსოციალისტური ქვეყნების, მათ შორის საქართველოს პრაქტიკამ 90-იან წლებში მკაფიოდ დაადასტურა, რომ მდგრად ეკონომიკურ ზრდაზე გადასვლა ეფექტიანი საბაზრო ინსტიტუტებისა და სახელმწიფოს გარეშე შეუძლებელია.

ამგვარად, ეკონომიკური ტრანსფორმაცია ძალზე მრავალფეროვანი და რთული პროცესია. დღემდე არსებული თეორიები მისი მექანიზმების სრულყოფილ ახსნას ვერ იძლევა. ამიტომ აუცილებელია, რომ ტრანსფორმაციის ეფექტიანი განხორციელებისათვის შემუშავდეს ღონისძიებების სისტემა, რომელიც მის ყველა შემადგენელ ელემენტს მაქსიმალურად მოიცავს.

---

[23] **Csaba L.** The Capitalist Revolution in Eastern Europe. 1995.

2.2. გარდამავალი ეკონომიკის კონცეფცია

საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაცია ხანგრძლივი პროცესია. ამიტომ იგი ობიექტურად ხორციელდება გარდამავალი ეკონომიკის საფეხურზე, ანუ ეს უკანასკნელი ტრანსფორმაციის გახორციელების საშუალებაა თავისი ობიექტური მიზეზებით, მიზნებით, კონკრეტული შინაარსით, დასაწყისითა და დასასრულით.

ტრანსფორმაციისა და გარდამავალი ეკონომიკის არსის განსაზღვრა უშუალოდ იმას უკავშირდება, თუ რა შინაარსია მათში ჩადებული. ზოგიერთი დასავლელი და ქართველი მკვლევარი ამ კატეგორიებს მხოლოდ სოციალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლის პროცესით ზღუდავს და ცდილობს დაასაბუთოს მათი მნიშვნელობის თანდათან გაქრობა ამ გადასვლის დამთავრებასთან ერთად. ასეთ მიდგომას საფუძვლად უდევს კონცეფცია, რომ ბაზარზე გადასვლა, ისევე როგორც გეგმიანი მეურნეობრიობა საერთოდ, ნორმიდან გადახრას, ანომალიურ მოვლენას წარმოადგენს. ნორმად კი, საბაზრო ეკონომიკაა მიჩნეული, როგორც განვითარების ერთადერთი ეფექტიანი სისტემა. ამიტომ კეთდება დასკვნა, რომ გარდამავალი ეკონომიკის კვლევა არაპერსპექტიულია, არაფრის მომცემია ზოგადად ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკისათვის. ასეთი პოზიცია ძირითადად ნეოკლასიკური, ნეოლიბერალური მიმდინარეობის წარმომადგენლებისთვის არის დამახასიათებელი.

მაგრამ არის სხვა პოზიციაც, რომელსაც ჩვენც ვიზიარებთ. იგი მიიჩნევს, რომ გეგმიანი ეკონომიკა საბაზრო ეკონომიკის ანტიპოდი კი არ არის, არამედ საბაზრო ეკონომიკასთან ერთად ფუნქციონირებს თანამედროვე შერეული ეკონომიკის პირობებში.[24] არც საბაზრო ურთიერთობებია ეფექტიანი მეურნეობრიობის ერთადერთი ფორმა. პოსტინდუსტრი-

---

[24] იხ. Гэлбрейт Дж. К. Новое индустриальное общество. М.,1969

ული განვითარება დასავლეთის ქვეყნებში სულ უფრო მეტად ადასტურებს, რომ არასაბაზრო და გეგმიანი ურთიერთობების მასშტაბი თანდათან გაიზრდება.[25] პოსტინდუსტრიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი გეგმიანი ეკონომიკა ბაზართან ერთად ეფექტიანი წარმოების მდგრადი ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ყალიბდება.

ამაშასადამე, გარდამავალი ეკონომიკა, ობიექტურად, მარტო ნორმალური გაწონასწორებული განვითარების მდგომარეობაში გადასვლას კი არ გულისხმობს, არამედ ერთი მდგრადი გაწონასწორებული რეჟიმიდან სხვა მდგრად გაწონასწორებულ რეჟიმში გადასვლასაც გულისხმობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარდამავალი ეკონომიკის პრობლემები, ისევე, როგორც ეკონომიკური ტრანსფორმაციის პრობლემები, რთული, გრძელვადიანი და ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც თეორიული, ასევე, პრაქტიკული თვალსაზრისით.

ასეთი მიდგომა საშუალებას გვაძლევს, უფრო ობიექტურად განვსაზღვროთ გარდამავალი ეკონომიკის მიზნები, კრიტერიუმები, შინაარსი და ძირითადი ამოცანები, გამომდინარე იქიდან, რომ მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესის საბოლოო მიზანია, პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბება საქართველოში. ამ მიზნის განხორციელება დამოკიდებულია შუალედური მიზნების რეალიზაციაზე, რომელთაგან მთავარია სოციალისტური გეგმიანი სამეურნეო სისტემის დემონტაჟი, არსებული კრიზისის დაძლევა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. შესაბამისად, გამოიყოფა გარდამავალი ეკონომიკის სამი ძირითადი ეტაპი. უპირველესი ამოცანები, ცხადია, სოციალისტური მეურნეობრიობის დემონტაჟი და ეკონომიკური კრიზისის დაძლევაა. იმავდროულად, ამ ეტაპზე, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ღონისძიებებიც ხორციელდება. ამასთან, ობიექტურად გასათვალისწინებელია შემდეგი.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გარდამავალი ეკონომი-

---

[25] Тоффлер Э. Третья волна. М., 1999.

კის წარმმართველი ტენდენციაა. ეს პროცესი სწორხაზოვანი და მარტივი არასოდეს არის. პირიქით, იგი საზოგადოების რეალურ, ღრმა, ტრანსფორმაციას მოასწავებს, რომელსაც დადებითი და უარყოფითი შედეგები მოაქვს. გადასვლის პერიოდში მწვავდება „ველური" ბაზრის პრობლემები. სოციალური უსამართლობის გამოვლინებების ფაქტები გადასვლის აუცილებელი თანამგზავრია. ეს იმიტომ, რომ რეალური პროცესები, როგორც წესი, წინააღმდეგობრივია, შეუძლებელია ხანმოკლე დროში კონკურენციის დამკვიდრება, ფაქტობრივად, მეურნეობაში ყოველთვის არის სხვადასხვა საბაზრო სტრუქტურა, მათ შორის, მონოპოლისტური, რაც მთავარია, საბაზრო ქცევის დამკვიდრება რთული და ხანგრძლივი პროცესია. პოსტსოციალისტური ქვეყნების, მათ შორის საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება აქ მოქმედი ეკონომიკური აგენტების ქცევის ჩვეულებრივ ნორმებსა და ცივილური ბაზრისათვის დამახასიათებელ ნორმებს შორის, მოქალაქეების რეალურ ქცევასა და დემოკრატიული საზოგადოების ნორმებს შორის, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, ინდივიდების სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებას, მათი და საზოგადოებრივი ინტერესების შეთავსებას გულისხმობს. ასეთ პირობებში რეფორმატორები იძულებულნი არიან ადმინისტრაციული გადაწყვეტილებებით დანერგონ ახალი ინსტიტუციური სტრუქტურები. ამასთან, შესაძლებელია ტრანსფორმაციის ორი სცენარით განვითარება: მიუხედავად არსებული განსხვავებისა, გაბატონებული არაფორმალური ნორმებისა და მიზნობრივად შექმნილი ინსტიტუტების შესაბამისობა მაინც ხერხდება; განსხვავება ახალი წესებისა და ნორმების აქტიური დანერგვის შედეგად კი არ მცირდება, არამედ იზრდება, რაც მასშტაბურ სოციალურ-ეკონომიკურ დანაკარგებს განაპირობებს. სამწუხაროდ, საქართველოში ქცევის შესწავლა და გათვალისწინება ტრანსფორმაციის პროცესისათვის, ფაქტობრივად, უგულებელყოფილი აღმოჩნდა, რაც მისი უარ-

ყოფითი შედეგების გამაძლიერებლის როლს ასრულებს. არადა, სწორედ რეალურად არსებული ქცევის მახასიათებლები განსაზღვრავს ქვეყნის თავისებურებებს, რომელთა გათვალისწინებაც რეფორმირებისას აუცილებელია.

გარდამავალი ეკონომიკის სხვა უმნიშვნელოვანესი ელემენტებია ძველი რეჟიმის მემკვიდრეობის გათვალისწინება, საბაზრო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, რეალური გარდაქმნების გახორციელება, ტრანსფორმაციული კრიზისის დაძლევა, საბაზრო ეკონომიკის მოდელის შერჩევა, გარდაქმნის სტრატეგიის კორექტირება ახალი მოთხოვნების შესაბამისად. საბჭოთა მემკვიდრეობა, უწინარეს ყოვლისა, მეურნეობის სტრუქტურული დაუბალანსებლობით, ქრონიკული დეფიციტით, მაკროეკონომიკური არასტაბილურობით, წარმოების დაცემით, მზარდი ინფლაციით, ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი გაუარესებით გამოიხატებოდა. მაგრამ ამ სასტარტო პირობებთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში სახეზეა სოციალისტური რევოლუცია, ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემიდან კაპიტალისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა. ამიტომ ძველი მბრძანებლური ეკონომიკის ინსტიტუტები ისეთნაირად მოიშალა, რომ საბაზრო ეკონომიკის ახალი მაკოორდინებელი მექანიზმები, რომლებიც მოთხოვნისა და მიწოდების ეფექტიან ურთიერთმოქმედებას უზრუნველყოფს, სათანადოდ ვერ ამოქმედდა. შეიქმნა ინსტიტუციური ვაკუუმი, რომელიც ტრანსფორმაციული კრიზისის, ანუ წარმოების ხანგრძლივი და ღრმა დაცემის ძირითადი მიზეზი გახდა, რადგანაც ამ ვაკუუმის სწრაფად დაძლევა ვერ მოხერხდა. ეფექტიანი ინსტიტუტების ჩამოყალიბება იმიტომაც გართულდა, რომ „შოკური თერაპიის" დოქტრინა წინა პლანზე ფინანსურ სტაბილიზაციას აყენებდა, ინსტიტუციური მშენებლობა კი, გარდა პრივატიზების გახორციელებისა, ყურადღების ცენტრში არ იყო. მეორე მხრივ, ეფექტიანი ინსტიტუტების ჩამოყალიბება, ქცევითი ჩვევების ადაპტაცია, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, ადა-

მიანების ტრადიციებიდან და ჩვევებიდან გამომდინარე, ობიექტურად, შედარებით ხანგრძლივ პერიოდსაც მოითხოვს. მაშასადამე, რეალურად საჭიროა სწრაფი გარდაქმნების გახორციელება ინსტიტუციური ვაკუუმის დასაძლევად, ინფლაციის შესაჩერებლად ეფექტიანი ფულად-საკრედიტო და ფინანსური პოლიტიკის გატარება, მაგრამ ამისათვის საჭიროა ეფექტიანი სახელმწიფოს, ფინანსური და ფისკალური ინსტიტუტების, ქცევის ჩვევების ჩამოყალიბება, რაც შედარებით ხანგრძლივი პროცესია.

ამიტომ რეალურად შესაძლებელია გარდამავალი ეკონომიკისა და რეფორმირების ორი სცენარი. პირველი სცენარი არის ევოლუციური, ხანგრძლივი გარდაქმნების სცენარი, ხოლო მეორე – რადიკალური, სწრაფი გარდაქმნების სცენარი. პირველის წარმატებით გახორციელების მაგალითია უნგრეთის, ჩინეთის, ვიეტნამის გარდამავალი ეკონომიკები, მეორის – პოლონეთის, ჩეხეთის, სლოვაკიის, სლოვენიის, ესტონეთის გარდამავალი ეკონომიკები. მაგრამ ორივე სცენარს გახორციელების საკუთარი კანონზომიერებები და პირობები გააჩნია. სისტემის უნარი, განვითარდეს ევოლუციურად, მოწესრიგებულად, დამოკიდებულია, პირველ რიგში, ხელმძღვანელობის, ახალი პრობლემებისა და გამოწვევებისადმი საზოგადოების ადაპტაციის უნარზე. ახალმა ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ, უწინარეს ყოვლისა, ფუნდამენტური ფასეულობანი, რომელთა გარეშე რეალური გარდაქმნების გახორციელება და მდგრადი ზრდის მიღწევა შეუძლებელია. მათგან მთავარია ლეგიტიმურობა, წესრიგი და კეთილდღეობა. ლეგიტიმურობა მოიცავს იმ კრიტერიუმებსა და პროცედურებს, რომლებიც განსაზღვრავს, ჯერ ერთი, მთავრობის ძალაუფლებას თავისი მოქალაქეების მიმართ, მეორე - საზოგადოების ძირითადი ინსტიტუტების კავშირს მოსახლეობის ფასეულობებთან, მორალურ, ზნეობრივ შეხედულებებთან. ამასთან, თანამედროვე პირობებში პოსტინდუსტრიული საზოგადოების დამკვიდრების კვალობაზე, ადამიანის თავისუფლების, ცოდნის, ინტელექტის, ადამიანის განვითა-

რების წინა პლანზე წამოწევასთან დაკავშირებით, ლეგიტიმურობის კრიტერიუმები თანდათან იცვლება. ლეგიტიმურობის მთავარ კრიტერიუმად ხელისუფლებისათვის გამოდის არა არჩევნებში უმრავლესობის მიერ მისი მხარდაჭერა, არა უმრავლესობის დემოკრატია, არამედ მოსახლეობის რეალური ნდობა მისი პოლიტიკისადმი და უმცირესობის უფლებების დაცვის ხარისხი.[26] თუ ხელისუფლების პოლიტიკამ დაკარგა ხალხის ნდობა, იგი, ფაქტობრივად, არალეგიტიმური ხდება, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებისას მან ხმების დიდი უმრავლესობა მიიღო. ამიტომ ხელისუფლების ლეგიტიმურობის განმსაზღვრელ ფაქტორად მისი პოლიტიკის ეფექტიანობა, რეალური პრობლემების გადაწყვეტის უნარი, ხალხის ინტერესების რეალიზაციის უნარი გამოდის. იმავდროულად გასათვალისწინებელია, რომ პრობლემის გადაწყვეტის რეალურ, ეფექტიან გზას უმცირესობა და არა უმრავლესობა გვთავაზობდეს. ამიტომ უმრავლესობის დემოკრატია არ შეიძლება პანაცეად ჩაითვალოს. გადამწყვეტი მაინც მთავრობის, სახელმწიფოს ეფექტიანობაა, რადგანაც სწორედ ეს უკანასკნელი განსაზღვრავს ყველა სხვა ინსტიტუტის ეფექტიანობას, წესრიგს ქვეყანაში, გარემოს წარმატებული მეურნეობრიობისათვის.

წესრიგი გულისხმობს კანონებს, სოციალურ წესებს, ნორმებს, პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფს სტიმულს სოციალურად გამართლებული საქმიანობისა და ქცევისათვის, ხოლო გაუმართლებელისათვის - სანქციებს. მაშასადამე, იგულისხმება ინსტიტუტების, წესების შექმნა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად. ტრანსფორმირებადი სისტემისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს სამეურნეო წესრიგის თეორიასა და პოლიტიკას, ნეოინსტიტუციონალიზმის რეკომენდაციებს ინსტიტუტების ფუნქციების სწორად ჩამოყალიბებისათვის, მათი ეფექტიანობის ამაღლებისათვის.[27] კერძოდ, არსებითი მნიშვნელობა ენიჭე-

---

[26] იხ. Тоффлер Э. Третья волна, გვ. 641-677.

ბა წესრიგის ევოლუციური და შეგნებული ჩამოყალიბების თანაფარდობას, ეფექტიანი სახელმწიფოს უზრუნველყოფას. პოზიტიური და ნორმატიული მიდგომები, მოდელირება და ემპირიული ანალიზი, დისციპლინათაშორისი გამოკვლევები და კომპარატივისტიკა აქ ერთმანეთს ორგანულად ავსებენ, ახალ მეთოდოლოგიურ-თეორიულ და რეალურ შედეგებს იძლევიან. ამისათვის საჭიროა როგორც განზოგადებული კანონზომიერებების ცოდნა, ასევე კონკრეტული სამეურნეო მექანიზმის დაუფლება და რეალიზაცია.[28]

განსაკუთრებულ მნიშვნელობას სამეურნეო წესრიგის ორდოლიბერალური თეორია და ნეოინსტიტუციონალიზმი მეურნეობრიობის მკვეთრი ცვლილებისას იძენს. ეს იმიტომ, რომ მათი საგანია არა მარტო არსებული სამეურნეო წესრიგი, არამედ მათი ჩამოყალიბებისა და ტრანსფორმაციის პროცესი, წესრიგის შექმნის პრობლემა. ნეოკლასიკური თეორია შედარებით ნაკლებად შეესაბამება თანამედროვე გარდამავალ პერიოდს, რადგანაც ის, უპირატესად, მოცემულ მომენტში არსებულ ვითარებას განიხილავს, და რაც მთავარია, უკვე ფუნქციონირებადი საბაზრო ურთიერთობების სისტემას განიხილავს, ანუ საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება მისთვის უკვე მიღწეული ფაქტია. ის არ განიხილავს ინსტიტუციური პირობების ცვლილებას, ამიტომ არა აქვს სისტემების შედარებითი ანალიზისა და სისტემური ცვლილებების ინსტრუმენტარიუმი. მათი გამოყენება შესაძლებელია და აუცილებელია უკვე არსებული საბაზრო მოდელის შემადგენელი ელემენტების ურთიერთმოქმედების ანალიზისათვის, დახასიათებისათვის, მაგრამ ამ მოდელის შემუშავება და წარმომავლობის ახსნა ნეოკლასიკურ თეორიას არ შეუძლია. სამეურნეო თეორიისა და ნეოინსტიტუციონალიზმის უპირატესობა ამ შემთხვევაში იმით გამოიხა-

[27] იხ. Marktwirtschaft als Aufgabe. Wirtschaft und Gesellschaft im Übergang fom Plan zum Markt. Stüttgart, 1994.

[28] იხ. Тоффлер Э. Третья волна, გვ. 641-677.

ტება, რომ ასეთი მოდელის შემუშავება, ინსტიტუტების ჩამოყალიბების კონკრეტული გზების ჩვენება, სწორედ მათი საგანია, პრეროგატივაა. მათ მიერ დასაბუთებული ინსტიტუციური ფორმების რეალურად ჩამოყალიბების შემდეგ უკვე მიზანშეწონილია ნეოკლასიკური ანალიზის გამოყენება.

აქედან ჩანს, რომ გარდამავალი ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის კარდინალური საკითხების გადაჭრა სამეურნეო წესრიგის თეორიის, ნეოინსტიტუციონალიზმისა და ნეოკლასიკური თეორიის მიღწევების სინთეზის საფუძველზე ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და სისტემური ხასიათის შედეგების მიღების საშუალებას იძლევა. სამეურნეო წესრიგში იგულისხმება საზოგადოებაში ჩამოყალიბებული წესებისა და ნორმების ერთობლიობა. მათთან განუყოფელ კავშირშია სხვადასხვა ფორმა, ინსტიტუტი, მექანიზმი, მოცემული წესები მათი მეშვეობით ხორციელდება.

სამეურნეო წესრიგის კონცეფციის არსია ის, რომ ეკონომიკურ სისტემებს ერთმანეთისაგან, პირველ რიგში, განასხვავებს არა წარმოებრივი ურთიერთობები, საკუთრების ფორმები, ან იდეოლოგია, არამედ მეურნეობრიობისა და ეკონომიკური მართვის პრინციპები და წესები.

წმინდა თეორიული სახით მეურნეობის მხოლოდ ორი მოდელი არსებობს: საბაზრო მეურნეობა და ცენტრალიზებულად მართული მეურნეობა. სინამდვილეში კი არსებობს მათი კომბინირების უამრავი ფორმა - ეროვნული მეურნეობები სპეციფიკური ნიშნებით. სამეურნეო წესრიგი შეიძლება ჩამოყალიბდეს სახელმწიფოს მიერ ან ხანგრძლივი ისტორიული განვითარების შედეგად. როგორც წესი, ეს ორი ვარიანტი ერთდროულად რეალიზდება. ამიტომ ცხადია, რომ სისტემური ტრანსფორმაცია კომპლექსური პროცესია. ის ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ინსტიტუტების ურთიერთზემოქმედების საფუძველზე მიმდინარეობს. მისი არასისტემური, ფრაგმენტული გახორციელება იწვევს როგორც სახელმწიფოს პოლიტიკის, ასევე, საბაზრო მექანიზმის ჩავარდნებს, ფიასკოს. პირველის მაგალითად, შეიძლება საგადა-

სახადო სისტემის მოუწესრიგებლობა დავასახელოთ, რაც გადასახადების აუკრეფლობასა და ფინანსურ კრიზისს განაპირობებს, მეორის მაგალითად – კონკურენციის უქონლობა, რაც წარმოების ეფექტიანობის დაცემას, მომგებიანობისა და შემოსავლების შემცირებას იწვევს და ფინანსური კრიზისის წარმოშობასაც უწყობს ხელს.

რაც შეეხება კეთილდღეობის პრობლემას, იგი უშუალოდ განაპირობებს რეფორმის მხარდაჭერას ფართო მასების მხრიდან, რაც მისი წარმატებით გახორციელების საწინდარია. ასეთი მხარდაჭერა კი შეუძლებელია, თუ სოციალური კეთილდღეობა, შემოსავლები უთანასწოროდ განაწილდება და მოსახლეობის ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად და ხანგრძლივად შემცირდება.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ლეგიტიმურობის, წესრიგის, კეთილდღეობის სხვადასხვანაირად კომბინაციამ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში გარდამავალი ეკონომიკის სხვადასხვა მოდელით განვითარება გამოიწვია. დღეისათვის უკვე ეჭვს არ იწვევს, ესა თუ ის ქვეყანა თავისუფალი არის თუ არა რეფორმების კურსის არჩევანში, ბაზარზე გადასვლის გასახორციელებად. შესაძლო ვარიანტების ნუსხა მოცემული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და ბუნებრივ-გეოგრაფიული თავისებურებებით განისაზღვრება. გადასვლის მოდელი განპირობებულია, შემდეგი ფაქტორებით: სოციალისტური განვითარების ხანგრძლივობა, ურბანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის ხარისხი; აგრეთვე, გადასვლის ხელშემწყობი ფაქტორებით: განათლების მაღალი დონე, საექსპორტო დარგების მაღალი ხვედრითი წილი, ენერგეტიკული რესურსების არსებობა, მიმზიდველი ტურისტული ცენტრების ფუნქციონირება, ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, ტერიტორიის მცირე მასშტაბები; გადასვლის ხელშემშლელი ფაქტორებით: ნეგატიური შიდა პოლიტიკური და საგარეო ვითარება, ქვეყნის რესურსებით თვითუზრუნველყოფის დაბალი დონე, ექსპორტზე მაღალი დამოკიდებულება, არაეფექტიანი დარგებისა

და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მაღალი წილი და ა.შ. გადასვლის მოდელის არჩევაზე უდიდეს ზემოქმედებას ახდენს პოლიტიკური შეზღუდვები, პოლიტიკური ბაზრის მდგომარეობა, ოპოზიციის წინააღმდეგობის ხარისხი, მოსახლეობის მხარდაჭერა რეფორმებისადმი. განსაკუთრებულად განმსაზღვრელ როლს ასრულებს სახელმწიფოს აქტიურობის ხარისხი, მისი თანაფარდობა კერძო სექტორის აქტიურობასთან მიმართებაში. ბაზარზე გადასვლის ვარიანტების სიმრავლე სწორედ სახელმწიფოს სხვადასხვა როლით აიხსნება.[29]

სახელმწიფომ ბაზარზე გადასვლისას შეიძლება ორგვარი როლი შეასრულოს. ჯერ ერთი, მან შეიძლება თავის თავზე აიღოს პასუხისმგებლობა საბაზრო სისტემის ჩამოყალიბების საწყისი პირობების, საბაზრო ინფრასტრუქტურის შესაქმნელად, ანუ ისეთი ორგანიზაციების სისტემის, კანონების, ნორმების, წესების, ინსტრუქციების უზრუნველსაყოფად, რომლებიც კერძო ფირმების წარმატებული მუშაობის პირობებს ამკვიდრებს. მეორე, სახელმწიფო შეიძლება ჩაერიოს ან არ ჩაერიოს მიმდინარე სამეურნეო პროცესებში საბაზრო მექანიზმის იმ ჩავარდნების გამოსასწორებლად, რომელიც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში წარმოიქმნება. ამისათვის მან უნდა აკონტროლოს საზოგადოების პოლიტიკური და სოციალური პროცესები. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოს ეფექტიანი „წასვლა" ეკონომიკიდან. ეს მაშინ ხდება, როდესაც ცენტრალიზებული დირექტიული მართვის დემონტაჟის შემდეგ მეურნეობაში ვაკუუმი არ ჩნდება. ასეთი ეფექტიანი გადასვლა კი, შეიძლება მხოლოდ სახელმწიფომ მოახდინოს გონივრული პოლიტიკით, რომელიც თავისი შინაარსითა და ღონისძიებათა ერთობლიობით სხვადასხვა ქვე-

---

[29] იხ. Бальцерович Л. Социализм, капитализм, трансформация: очерки на рубеже эпох. М. 1999; **De Melo M. Denizer C., Gelb A., Tenev S.** Circumstance and Choice. The Role Of nitial Conditions and Policies in Transition Economies. Policy Research Working Paper, The World Bank, December 1997.

ყანაში სხვადასხვანაირია. ამასთან, მსოფლიო გამოცდილებით დადასტურებულია, რომ რაც უფრო სუსტია საბაზრო საფუძველი, ცნობიერება, ქცევა, საზოგადოების სოციალური მეხსიერება საბაზრო სისტემაზე, მით უფრო აქტიური უნდა იყოს სახელმწიფო საბაზრო ინსტიტუტების ეფექტიანად ფორმირებისთვის. თუ სახელმწიფო თავის მოვალეობას ვერ ასრულებს, მაშინ ბაზარზე ეფექტიანი გადასვლა არ შედგება. მაშინ ჩამოყალიბდება ისეთი საბაზრო სისტემა, რომელსაც მით უფრო სერიოზული ნაკლი ექნება, რაც უფრო სუსტად შეასრულებს სახელმწიფო საბაზრო ინსტიტუტების დემიურგის, შემქმნელის ფუნქციას.[30]

მაშასადამე, გარდამავალი ეკონომიკის შინაარსში მთავარია არა ეკონომიკური პოლიტიკისა და მეურნეობრიობის მეთოდების რეფორმირება, არამედ სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ტრანსფორმაცია. იცვლება ეკონომიკის ყველა ელემენტი: რესურსების განაწილების წესი, საკუთრებითი ურთიერთობები, კვლავწარმოების ტიპი, მოტივაცია, ეკონომიკური განვითარების მიზნები და საშუალებები, ინსტიტუტები და სამართალი. სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად ამ დროს განვითარების არაეკონომიკური, პირველ რიგში, პოლიტიკური ფაქტორები გვევლინება, ხოლო ეკონომიკური ფაქტორები ტრანსფორმაციის შესაძლო საზღვრებს, ჩარჩოებს განსაზღვრავს. ამასთან, დამახასიათებელია ერთდროულად სამი ფუნდამენტური ტენდენციის თანხვედრა: სოციალიზმისათვის დამახასიათებელი ურთიერთობების თანდათან კვდომა, თანამედროვე საბაზრო მეურნეობისათვის დამახასიათებელი ურთიერთობების გენეზისი, სოციალიზაციის ტენდენციის, საზოგადოების ჰუმანიზაციის თანდათან გაძლიერება, რაც ეკონომიკური ქცევის ინდივიდუალური, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებით განსაზღვრას განაპირობებს.

---

[30] იხ Косалс Л., Рывкина Р. Социология перехода к рынку. М., 1998.

პირველი ტენდენცია წარსულის კანონზომიერებებს გამოხატავს. მაგრამ მისი ნაშთები ზოგჯერ ფრიად ინერციულია, მედეგია და საკმაოდ სიცოცხლისუნარიანია, განსაკუთრებით, ტრადიციული შეხედულებები, ჩვევები. მეორე ტენდენცია თანდათან ძლიერდება, რადგანაც იგი იმავროულად ენდოგენური და ეკზოგენური ხასიათისაა. ენდოგენურია იმიტომ, რომ ეკონომიკის მასშტაბები, კავშირურთიერთობები რთულდება და თუ მეურნე სუბიექტებს არ ექნებათ სრული სამეურნეო თავისუფლება, სისტემა არაეფექტიანობის გამო საბოლოოდ მაინც დაინგრევა. კონკურენტული საბაზრო ურთიერთობების არსებობა მსხვილმასშტაბიანი ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა. ეკზოგენურია იმიტომ, რომ საბაზრო ურთიერთობები გლობალიზაციის პირობებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით მკვიდრდება, მსოფლიო მეურნეობის ეფექტიანი ორგანიზაციის ფორმად გადაიქცა, მსოფლიო საბაზრო სისტემად ჩამოყალიბდა და შესაბამისად, ეროვნულ ეკონომიკებსაც გამჭოლად მოიცავს არა მარტო როგორც დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკური სისტემა, არამედ როგორც საერთაშორისო ეკონომიკის, მეგაეკონომიკის ორგანული ნაწილი.

მესამე ტენდენცია გამოწვეულია პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების დაჩქარებით, ინტელექტუალური კაპიტალის, ცოდნის, მეცნიერების, განათლების, კულტურის, საერთოდ, არამატერიალური წარმოების გადაქცევით განვითარების მთავარ ფაქტორად. ეს კი ობიექტურად ეკონომიკის სოციალიზაციას, ადამიანის, ეკონომიკის, მისი სრულყოფილი განვითარების, ეკოლოგიური პრობლემების პრიორიტეტული გადაწყვეტის აუცილებლობას განაპირობებს.

სამივე ამ ტენდენციის ერთდროული მოქმედება გარდამავალი ეკონომიკის კანონზომიერებისა და თავისებურებების უშუალოდ განმსაზღვრელი ფაქტორებია. გარდამავალი ეკონომიკა, ფაქტობრივად არის ძველი ცენტრალიზებულ-ადმინისტრაციული სისტემის საბაზრო სისტემად გადაქცე-

ვისა და იმავდროულად, ნეოეკონომიკის, ანუ პოსტინდუსტრიული საზოგადოების შესაბამისი ეკონომიკის წანამძღვრების, საფუძვლების შექმნის პროცესი. მისი კანონზომიერებებიდან, თავისებურებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი:

პირველი - რესურსების განაწილების ცენტრალიზებულ-ადმინისტრაციული წესის შეცვლა რესურსების განაწილების სპეციფიკური მექანიზმით, რომლის არსია ე.წ, „ვეგეტაციური კონტროლი", ანუ როდესაც ეკონომიკური ინსტიტუტები წარმოებასა და კაპიტალის მაღალი კონცენტრაციის პირობებში, კორპორაციული, ან ბიუროკრატიული ძალაუფლებისას შეგნებულად ზემოქმედებენ რესურსების განაწილებაზე ქვეყანაში, მიმწოდებლებისა და მომხმარებლების ქცევაზე, ფასებზე, მიწოდებაზე, შემოსავლებზე, სოციალურ მახასიათებლებზე და ა.შ.[31] ასეთი ლოკალური, ვეგეტაციური მართვის დომინირება ხორციელდება საბაზრო ინსტიტუტების დამკვიდრებასთან ერთად. შედეგად, ყალიბდება მექანიზმი, რომელიც პრინციპულად განსხვავდება როგორც ცენტრალიზებულ-ადმინისტრაციული რეგულირების მექანიზმისაგან, ასევე, კონკურენტული საბაზრო მექანიზმებისგან, ანუ ყალიბდება ფრიად დეფორმირებული ბაზარი. მას თან ახლავს ნატურალური მეურნეობის სპორადული განვითარების ტენდენციები, მათ შორის სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემცირება, ბარტერის გაფართოება, წარმოება-სუბსტიტუტების განვითარება მსხვილი საწარმოების ფარგლებში, ხელფასის ნატურალიზაცია, რეგიონებიდან პროდუქციის გატანის შეზღუდვა და ა.შ. მაშასადამე, ეს არის ეკონომიკა, რომელიც რეგულირდება არა ბაზრის ან სახელმწიფოს მიერ, არამედ კორპორაციულ-ბიუროკრატიული სტრუქტურების არასაბაზრო მეტოქეებით, მათი ინტერესების კონკურენციით. გარდამავალი ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია სწორედ ასეთი დეფორმაციის თან-

---

[31] იხ Корнан Я.Й Дефицит. М. 1990; Росс Дж. Почему экономическая реформа потерпела крах в Васточной Эвропе и Росии, а в Китае увенчалась успехом? - ж. "Вопросы экономики", 1992, №11, გვ. 44-50.

დათან ლიკვიდაციით და რეალურად რესურსების საბაზრო განაწილებაზე გადასვლის მომზადებით გამოიხატება;

(მეორე – ცვლილებები საკუთრებითი ურთიერთობების სფეროში. აქ მთავარი თავისებურებაა სახელმწიფოებრივი საკუთრების კერძო საკუთრებად გარდაქმნის არაეკონომიკური, ადმინისტრაციული წესით განხორციელება. დამახასიათებელია ის, რომ ხშირად საკუთრება არ ხვდება ეფექტიანი ინვესტორის ხელში, კრიმინალური საკუთრების ლეგალიზაცია და კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების საფუძველზე კერძო საკუთრების სპონტანური ზრდაც საკმაოდ ფართოდ ვითარდება. პრივატიზებული საწარმოების მნიშვნელოვანი ნაწილის ფაქტობრივ მესაკუთრედ მათი ადმინისტრაცია და სახელმწიფო ჩინოვნიკები გვევლინებიან. ეს ტენდენციები, ცხადია, იწვევს მუშაკთა გაუცხოებას საკუთრებისაგან და აფერხებს ეფექტიან საბაზრო მოტივაციას;)

მესამე – ეკონომიკური ტრანსფორმაციის სოციალური ხასიათი. იგი, უწინარეს ყოვლისა, რესურსების განაწილების დომინირებადი წესითა და საკუთრებითი ურთიერთობების ტრანსფორმაციით განისაზღვრა. ანალიზი გვიჩვენებს, რომ პოსტსოციალისტური ქვეყნების გარდამავალი ეკონომიკა სოციალურობის სხვადასხვა ხარისხით გამოირჩევა. იქ, სადაც რესურსების განაწილების საბაზრო წესი და ინვესტიციური მესაკუთრეები შედარებით სწრაფად მკვიდრდებიან, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო მეურნეობაც წარმატებულად ფუნქციონირებს. მაგრამ არის საპირისპირო ტენდენციაც: ქვეყნები, სადაც რესურსების განაწილების კორპორაციულ-ბიუროკრატიული, კორუფციულ-კლანური წესი და არაეფექტიანი მესაკუთრეები მკვიდრდებიან, იქ ეკონომიკის ტრანსფორმაციის ასოციალური ტიპი იმარჯვებს. პირველ შემთხვევაში, გარდამავალი ეკონომიკის განვითარება ემთხვევა საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ ტენდენციებს, რითაც იგი აჩქარებს, დამატებით ენერგიას იძენს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში უფრო აქტიური ჩართვის შედეგად, ხოლო მეორე შემთხვევაში, პირიქით, მისი განვითარება უფრო ფერხდება მსოფლიო ინტეგრაციული

პროცესებიდან იზოლაციის შედეგად. რაც უფრო მაღალია ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაცია კორპორაციულ-ბიუროკრატიული უმცირესობის ხელში, მით უფრო სტაგნაციის ხაფანგშია ეკონომიკა და მცირდება ადამიანის თავისუფალი, ჰარმონიული განვითარების შესაძლებლობები. რაც უფრო მაღალია ეკონომიკური განვითარების ასოციალურობის ხარისხი, სოციალური პრობლემების უგულებელყოფა, მით უფრო მეტია კორპორაციულ-ბიუროკრატიული ხელისუფლების გაძლიერების შესაძლებლობები ინსტიტუტების არაეფექტიანობის, სახელმწიფოებრივი მართვის მოშლის, ეკონომიკის დეგრადაციის, მოსახლეობის გაღარიბების, სოციალური დიფერენციაციის გაღრმავების, საზოგადოებრივი კონტროლის დასუსტების შედეგად.

ამიტომ სოციალურად ორიენტირებული და დემოკრატიული ეკონომიკის აშენება შესაძლებელია მხოლოდ კორპორაციულ-ბიუროკრატიული სისტემის რეფორმირებით ძლიერი სახელმწიფო-ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ზეწოლის პირობებში. გადამწყვეტი მნიშვნელობა ამისათვის სახელმწიფოს პოლიტიკურ ნებასა და მოსახლეობის მტკიცე ძალისხმევას ენიჭება, რომელიც დესტრუქციული ძალების გაბატონებას არ დაუშვებს.

2.3. რეფორმის შეფასების კრიტერიუმები და მაჩვენებლები

საქართველოში და საერთოდ, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ეკონომიკური ტრანსფორმაციის პერიოდი საკმარისია იმისათვის, რომ რეფორმების შეფასების კრიტერიუმები და მაჩვენებლები განვსაზღვროთ. ასეთი შეფასების კრიტერიუმებიდან მთავარია:

– რეფორმის ჩანაფიქრის, მიზანთა სისტემის პრაქტიკულად გახორციელების ხარისხი;

– რეფორმის ძირითადი ამოცანების გადაწყვეტის ხარისხი;

– ეკონომიკის განვითარების ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებთან თავსებადობა;

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ტრანსფორმაციის კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი

	შეფასების კრიტერიუმები	სოციალურ-ლიბერალური ტრანსფორმაცია - ცენტრალური ევროპა	სახელმწიფოებრიობის კრიზისი - პოსტსაბჭოთა სივრცე	ევოლუციური ტრანსფორმაცია სწრაფი ზრდით - აზია: ჩინეთი, ვიეტნამი
	1	2	3	4
1.	**პოლიტიკური სისტემის ხარისხი და სახელმწიფოს ეფექტიანობა**			
1.1.	პოლიტიკური სისტემის დემონტაჟის ხასიათი	მოულოდნელი კრახი, პოლიტიკური საფუძვლის ნგრევა	მოულოდნელი კრახი, პოლიტიკური საფუძვლის ნგრევა	მუდმივი ცვლილებები, საკუთრებითი ურთიერთობების თანდათანობითი ტრანსფორმაცია
1.2.	პოლიტიკური ევოლუცია	დემოკრატიული კონსოლიდაცია, კოალიციების შეცვლა	მიჩვენებითი დემოკრატია	ავტორიტარიზმი არაფორმალური პლურალიზმის ელემენტებით
1.3.	სახელმწიფოს ავტორიტეტი	საკმაოდ მაღალი	სუსტი	საკმაოდ მაღალი
1.4.	სახელმწიფოს ადმინისტრაციული და საგადასახადო პოტენციალი	საკმაოდ ძლიერი	სუსტი	საკმაოდ ძლიერი
1.5.	კორუფცია, დაშნაშაევობა, ჩრდილოვანი ეკონომიკის ხარისხი	მზარდი, მაგრამ მაინც შეზღუდული	მაღალი	მნიშვნელოვანი
1.6.	რეგიონული დიფერენციაცია	შეზღუდული	ძალიან მაღალი, ფრაგმენტაციის ნიშნებით	მაღალი, მაგრამ ფრაგმენტაციის გარეშე
1.7.	სახელმწიფოს ეფექტიანობა	საკმაოდ მაღალი	დაბალი	საკმაოდ მაღალი
2	**ინსტიტუციური და ორგანიზაციული ცვლილებების ხარისხი**			
2.1.	ინსტიტუციური ცვლილებები, ახალი ფორმალური წესები, კანონმდებლობა	ფართო და სწრაფი ცვლილებები, მკაცრი, მაგრამ არასტაბილური ნორმები	ფართო და სწრაფი, მტკიცე ნორმების უქონლობა, ძალიან არასტაბილური ნორმები	ფართო, მაგრამ თანდათანობითი, საშუალო ხარისხის სიმკაცრის ნორმები, ფორმალიზმის გარეშე
2.2.	სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება, ახალი კერძო საწარმოების ზრდა	საკმაოდ სწრაფი და კარგად ორგანიზებული	სწრაფი და ძალიან დამასრულებელი	თანდათანობით, სახელმწიფო აქტივების მცირე პრივატიზების გარეშე

	1	2	3	4
2.3.	საკუთრების ახალი ფორმების დამკვიდრება	მრავალფეროვანი ფორმების ურთიერთგადახლართვა	მრავალფეროვანი ფორმები, სამრეწველო-ფინანსური ჯგუფები	არასახელმწიფო საკუთრების ფართო გავრცელება, არამკვეთრი საზღვრები კერძო და სახელმწიფო ფორმებს შორის
2.4.	ორგანიზაციული ცვლილებები, საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება	მცირე და საშუალო ფირმების სწრაფი ზრდა, ყოფილ სახელმწიფო საწარმოების სწრაფი გარდაქმნა	მცირე და საშუალო ფირმების შეზღუდული ზრდა, ყოფილი სახელმწიფო საწარმოების ნელი გარდაქმნა	არასახელმწიფო მცირე და საშუალო საწარმოების სწრაფი ზრდა, ყოფილი სახელმწიფო საწარმოების ნელი სტრუქტურული გარდაქმნა
2.5.	კაპიტალის ქსელი	ფართო ცვლილებები	ძველი ქსელების გავრცელება	ფართო ცვლილებები
2.6.	კონკურენცია	საკმაოდ მაღალი	სუსტი	შედარებით მაღალი
3	ეკონომიკური ცვლილებების ხარისხი			
3.1.	მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია	შედარებით ხანმოკლე პერიოდში მიღწევა	ძალიან ხანგრძლივ პერიოდში მიღწევა	შედარებით ხანმოკლე პერიოდში მიღწევა
3.2.	საწარმოთა რესტრუქტურიზაციის ხარისხი, წარმოების ეფექტიანობა	საკმაოდ მაღალი	დაბალი	შედარებით მაღალი
3.3.	ეკონომიკური ზრდა	თავდაპირველი სამწლიანი დაცემა შეიცვალა სუსტი, მაგრამ მდგრადი ზრდით	ხანგრძლივი დაცემა, მშპ-ის შემცირება დაახლოებით 50%-ით	მაღალი და ხანგრძლივი ზრდა
3.4.	უმუშევრობა	სწრაფი თავდაპირველი ზრდა, შემდეგ სტაბილიზაცია	მცირე რეგისტრირებული უმუშევრობა, ფაქტობრივად, 10-15% ზრდის ტენდენციით	მაღალი ფაქტიური დონე
3.5.	ეკონომიკური ლიბერალიზაცია, თავისუფლების ხარისხი	საკმაოდ მაღალი	შედარებით დაბალი	შედარებით დაბალი
3.6.	ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი	საკმაოდ მაღალი	შეზღუდული	შედარებით დაბალი
3.7.	ინფლაცია	თავდაპირველად სწრაფი ზრდა, შემდეგ სტაბილიზაცია	ხანგრძლივი მეგაინფლაცია, შემდეგ შემცირება არასტაბილურ დონემდე	შუალედური ინფლაციური ტენდენციები
4.	სოციალური ცვლილების ხარისხი			
4.1.	სოციალური უთანასწორობა, სიღარიბე	თავდაპირველად გამწვავება, შემდეგ მდგმარეობის გაუმჯობესება	უთანასწორობის მკვეთრი გამწვავება, სიღარიბის მაღალი დონე	უთანასწორობის გამწვავება, აბსოლუტური სიღარიბის მასშტაბების შემცირება

	1	2	3	4
4.2.	დემოკრატიული ვითარება	შობადობის შემცირება	შობადობის შემცირება	სოციალური განვითარების ინდექსის გაუმჯობესება
4.3.	დაქირავებულ მუშაკების სოციალური დაცვა	მაღალი დონე შემცირების ტენდენციით	დაბალი დონე. საწარმოების ფუნქცია	დაბალი დონე. საწარმოების ფუნქცია
4.4.	ურთიერთობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ელიტას შორის	დიფერენციაცია	აქტიური თანამშრომლობა	თანამშრომლობა, ნაწილობრივი დიფერენციაცია
4.5.	ადამიანის განვითარების ინდექსი	საშუალო დონე	საშუალო დონე	დაბალი

– ეკონომიკის განვითარების მსოფლიო მეურნეობის განვითარების ტენდენციებთან თავსებადობა.

ამ ზოგადი კრიტერიუმების გარდა, მიზანშეწონილია გამოვყოთ უფრო. კონკრეტული კრიტერიუმები: პოლიტიკური სისტემის ხარისხი, სახელმწიფოს ეფექტიანობა, ინსტიტუციური და ორგანიზაციული ცვლილებების ხარისხი, ეკონომიკური გარემოს ხარისხი, სოციალური ცვლილებების ხარისხი. ამ კრიტერიუმებს შეესაბამება მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც, ერთობლიობაში, გარდამავალი ეკონომიკისა და რეფორმის თავისებურებების რეალურ სურათს იძლევა (ცხრილი 9). პოლიტიკური სისტემის ხარისხი ხასიათდება, უწინარეს ყოვლისა, ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა: პოლიტიკური სისტემის დემონტაჟის ხასიათი და პოლიტიკური ევოლუციის თავისებურებანი. განსაკუთრებით განმსაზღვრელია რეფორმის წარმატებით გახორციელებისათვის სახელმწიფოს ეფექტიანობის უზრუნველყოფა, რაც კონკრეტულად ისეთი მაჩვენებლებით გამოიხატება, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი, გაყოფილი სახელმწიფოებრივი მართვის სისტემაში დასაქმებულთა რიცხოვნობაზე. მაგრამ მასზე უშუალოდ ზემოქმედებს შემდეგი მაჩვენებლებიც: სახელმწიფოს ავტორიტეტი, ანუ მთავრობისადმი ხალხის ნდობის ხარისხი, სახელმწიფოს ადმინისტრაციული პოტენციალი, საგადასახადო პოტენციალი, ანუ საგადასახადო შემოსავლების წილი მთლიან შიდა პროდუქტში, დამნაშავეობის, კორუფციის, ჩრდილოვანი ეკონომიკის დონე ქვეყანაში, რეგიონული დიფერენციაციის ხარისხი. ინსტი-

ტუციური გარდაქმნის სფეროდან მთავარია კანონმდებლობის, პრივატიზების, კერძო სექტორის განვითარების, საკუთრების მრავალფეროვნების, საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების, კონკურენციის ხარისხის ამსახველი მაჩვენებლები. ეკონომიკური ცვლილებების ხასიათი და შედეგები ჩანს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, საწარმოთა რესტრუქტურიზაციის, წარმოების ეფექტიანობის, ეკონომიკური ზრდის, უმუშევრობის, ლიბერალიზაციის, საგარეო-ეკონომიკური გახსნილობის, ინფლაციის მაჩვენებლების მეშვეობით.

დასასრულ, ფრიად მნიშვნელოვანია სოციალური ცვლილებების ამსახველი მაჩვენებლები: სიღარიბე, სოციალური უთანასწორობა, დემოგრაფიული ვითარება, დაქირავებული მუშაკების სოციალური დაცვის ხარისხი, ურთიერთობა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ელიტას შორის, ადამიანის განვითარების ინდექსის დონე.

ამ კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების მიხედვით, ცხრილში გაანალიზებულია პოსტსოციალისტური ქვეყნების გარდამავალი ეკონომიკის ძირითადი თავისებურებანი. ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ქვეყნების სამი ჯგუფი, რომლებიც ძირითადად მსგავსი შედეგებით ხასიათდებიან: სოციალურ-ლიბერალური ტრანსფორმაციის ტიპი, რაც ცენტრალური ევროპის ქვეყნებისათვის არის უპირატესად დამახასიათებელი; სახელმწიფოებრივი კრიზისის ფონზე მიმდინარე ტრანსფორმაცია, რაც პოსტსაბჭოთა სივრცისთვის არის უპირატესად დამახასიათებელი (ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოკლებით); ევოლუციური ტრანსფორმაცია სწრაფი ეკონომიკური ზრდით, რომელიც უპირატესად ჩინეთისა და ვიეტნამისათვის არის დამახასიათებელი.

შეფასების მოტანილი კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების უპირატესობა მათი სისტემურობით, კომპლექსურობით გამოიხატება. იგი ასახავს გარდამავალი ეკონომიკის ჩარჩოებში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების უშუალო შედეგებს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების სფეროში, ლიბერალიზაციის, მაკროეკო-

ნომიკური სტაბილიზაციის, ინსტიტუციური გარდაქმნების, რესტრუქტურიზაციის პოლიტიკის შედეგებს, მოკლევადიანი (ლიბერალიზაციის, სტაბილიზაციის, პრივატიზების) პოლიტიკისა და გრძელვადიანი (რესტრუქტურიზაციის, ინსტიტუციური გარდაქმნის) პოლიტიკის შედეგებს.

შედეგების შეფასება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ შემდეგი:

პირველი – ყველაზე უფრო ეფექტიანი აღმოჩნდა სოციალურ-ლიბერალური ტრანსფორმაციის ტიპი, რომელიც ცენტრალური ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებში განხორციელდა. ამას ადასტურებს სახელმწიფოს საკმაოდ მაღალი ეფექტიანობა, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება, კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის შეზღუდულობა, საკმაოდ სწრაფად და კარგად ორგანიზებული პრივატიზების განხორციელება, კონკურენციის საკმაოდ მაღალი დონის მიღწევა, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, საწარმოთა რესტრუქტურიზაციის, ნელი, მაგრამ მდგრადი ზრდის ხანმოკლე პერიოდში უზრუნველყოფა, ეკონომიკის საკმაოდ მაღალი ლიბერალიზაციის მიღწევა.

მეორე – საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა ევოლუციური ტრანსფორმაციის მოდელიც, თუმცა მას ახასიათებს სერიოზული ნაკლიც. ამ ნაკლიდან უნდა დავასახელოთ, პირველ რიგში, ავტორიტარული პოლიტიკური სისტემის არსებობა, რაც განვითარების ზოგად ტენდენციებს უდავოდ უპირისპირდება, საწარმოთა რესტრუქტურიზაციის შედარებით ნელი ტემპი, რაც აფერხებს წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, სოციალური დიფერენციაციის პრობლემების გამწვავება, ადამიანის განვითარების ინდექსის ზრდის შედარებით დაბალი ტემპი.

მესამე – ყველაზე უფრო ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა პოსტსაბჭოთა სივრცეში (ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოკლებით) გაბატონებული ტრანსფორმაციის ტიპი. მისთვის დამახასიათებელია: სახელმწიფოებრიობის კრიზისი, მოჩვენებითი დემოკრატია, სახელმწიფოს დაბალი ეფექტიანო-

ბა, რეგიონული ფრაგმენტაცია, არასტაბილური სამართლებრივი ნორმები, კორუფციის, დამნაშავეობის, ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი დონე, პრივატიზების არცთუ იშვიათად დამახინჯებულად განხორციელება, მცირე და საშუალო ფირმების ნელი ზრდა, კონკურენციის დაბალი დონე, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევისა და საწარმოთა რესტრუქტურიზაციის გახანგრძლივება, მთლიანი შიდა პროდუქტის ხანგრძლივი და ღრმა დაცემა, ლიბერალიზაციის, ეკონომიკური თავისუფლების შედარებით დაბალი დონე, ხანგრძლივი მეგაინფლაცია, შემდეგ შემცირება სტაბილურ დონემდე, სოციალური უთანასწორობის გამწვავება, სიღარიბის მაღალი დონე.

სამწუხაროდ, საქართველოში მიმდინარე რეფორმის სისტემური შეფასება გვიჩვენებს, რომ ჩვენთან რეფორმა ყველაზე უფრო ნაკლებად წარმატებული ვარიანტით მიმდინარეობს. ამას ადასტურებს, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოებრიობის კრიზისი, სახელმწიფოს ძალიან დაბალი ეფექტიანობა, მოსახლეობის უდიდესი ნაწილის სიღარიბე, არცთუ იშვიათად პრივატიზების განხორციელება ეფექტიანი მესაკუთრის ჩამოყალიბების გარეშე, ლიბერალიზაციის განხორციელება ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის გარეშე, მწვავე ფინანსური კრიზისი, რაც ეკონომიკური დამბლის მაჩვენებელია, რეალური ეკონომიკის განუვითარებლობა, წარმოების ძალიან დაბალი ეფექტიანობა. არსებული ვითარება იმაზე მიუთითებს, რომ საქართველო კვლავ არჩევანის წინაშეა. მის წინაშე კვლავ ისტორიული მნიშვნელობის პრობლემა დგას: როგორ, რა გზით, რა მეთოდებით არის უფრო მიზანშეწონილი საქართველოს შემდგომი განვითარება. ნაშრომის მომდევნო თავების ძირითადი მიზანია ამ არსებითი ხასიათის კითხვაზე პასუხის გაცემა, ანუ უნდა დაზუსტდეს რეფორმების გამოცდილება, საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონცეფცია, რეფორმების კონკრეტული შედეგები, რა გაკეთდა და რა ვერ გაკეთდა. ამის საფუძველზე ეკონომიკური რეფორმებისა და განვითარების ახალი სტრატეგია უნდა განისაზღვროს.

თავი 3. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა

3.1. რეფორმების გამოცდილება

80-იანი წლების ბოლოდან ყოფილი სოციალისტური სისტემის 30-მდე ქვეყანამ საბაზრო ეკონომიკასა და პლურალურ დემოკრატიაზე გადასვლა დაიწყო. ათწლიანი რეფორმების შემდეგ, ამ ქვეყნებში ისტორიული მნიშვნელობის ტრანსფორმაციები განხორციელდა. სრულიად გაქრა მბრძანებლური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მექანიზმები, საქონლისა და მომსახურების საყოველთაო დეფიციტი, მნიშვნელოვნად გაფართოვდა მათი ასორტიმენტი. გასაქანი მიეცა მოსახლეობის პირად ინიციატივას, მკვიდრდება საბაზრო მენტალიტეტი, ქცევა, საკმაოდ სწრაფად ყალიბდება კერძო მეწარმეობა, რომელიც ამ ქვეყნების მომავალი კეთილდღეობის მყარი საფუძველია. თანდათან ძალას იკრებს დემოკრატიული მმართველობისა და კონკურენტული ურთიერთობების დამაიმედებელი პროცესები. საერთო ჯამში, სახეზეა ავტორიტარული სოციალისტური სისტემიდან დემოკრატიულ საბაზრო სისტემაზე გადასვლის რეალური მიმდინარეობა, რაც მსოფლიო მასშტაბის უდიდეს პროგრესულ განვითარებას წარმოადგენს.

ამასთან ერთად, აღინიშნება ნეგატიური შედეგებიც. შეუძლებელია არ დავინახოთ, რომ რეფორმების სოციალური ფასი ყველგან აღმოჩნდა იმაზე გაცილებით უფრო მაღალი, ვიდრე მას რეფორმის დაწყებამდე განსაზღვრავდნენ. მკვეთრად შემცირდა მოსახლეობის რეალური შემოსავლები, გაიზარდა უთანაბრობა მათ განაწილებაში, გაფართოვდა სიღარიბის საზღვრები, უპირატესად საშუალო კლასის - მაღალკვალიფიციური მუშაკების, ინჟინერ-ტექნიკური ინტელიგენციის, მეცნიერების, კულტურის, განათლების, მედიცინის მუშაკთა ხარჯზე. ამასთან, ჯერჯერობით, არ დაძლეულა დასავლეთისა და პოსტსოციალისტურ ქვეყნებს შორის სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების დონის მიხედვით ჩამორჩენილობა. იმ დროს, როდესაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ერთ

სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით მხოლოდ უახლოვდებიან 80-იანი წლების დასასრულის დონეს, ევროპის კავშირის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 90-იან წლებში დაახლოებით 20%-ით გაიზარდა. ნაცვლად პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში გადასვლისა, პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის კვლავ აქტუალურია წარმოების პრიმიტივიზმისა და შრომის დეინტელექტუალიზაციის ტენდენციების დაძლევის ამოცანა. სახელმწიფოს სოციალური ფუნქციების გაძლიერების მსოფლიო ტენდენციის ფონზე, ამ ქვეყნებისთვის დამახასიათებელია ჯანმრთელობის, მეცნიერების, კულტურის, განათლების სახელმწიფო მხარდაჭერის მკვეთრი შემცირება, რაც ვერ კომპენსირდება განვითარების საწყის სტადიაზე მყოფი კერძო სექტორის მიერ.

ამ ზოგადი ტენდენციების უკან იმალება ცალკეული ქვეყნების კონკრეტული ვითარება. ზოგიერთ ქვეყანაში გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი კრიზისი სწრაფად იქნა დაძლეული (პოლონეთი, სლოვენია, ჩეხეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა). აქ უკვე რამდენიმე წელია, სამეურნეო აქტიურობა აღინიშნება. სხვა ქვეყნებში – მათ შორის საქართველოში, რუსეთში, უკრაინაში და ა.შ. – ეკონომიკა ხასიათდება ხანგრძლივი კრიზისით. ფრიად მიმანიშნებელია, რომ ჩინეთსა და ვიეტნამში ტრანსფორმაციული კრიზისი, ანუ წარმოების შემცირება საერთოდ არ იყო. გასათვალისწინებელია ის გამოცდილებაც, რომელიც დამახასიათებელია საბაზრო რეფორმებისათვის თავიდანვე არასოციალისტურ, ანუ კაპიტალისტურ ქვეყნებში, განსაკუთრებით გერმანიაში, იაპონიაში, ლათინურ ამერიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

საბაზრო რეფორმების შესწავლა ყველა ამ ქვეყანაში შემდეგი განზოგადებული დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა:

1. საბაზრო რეფორმების შედეგიანობა, უწინარეს ყოვლისა, ეფექტიანი სახელმწიფოს, რეფორმების თანამიმდევრული და სისტემური გახორციელებით განისაზღვრება. ფართოდ გავრცელებული შეხედულება, თითქოს, რაც უფრო მცი-

რეა სახელმწიფოს მონაწილეობა მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილებაში, მით უფრო ჩქარდება ეკონომიკური ზრდის ტემპი, ყოველთვის არ მართლდება. მთავარია, სახელმწიფოს ეფექტიანი და არა მინიმალური უზრუნველყოფა. წარმატებულ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტთან 45-50%-ის ფარგლებშია (პოლონეთი, სლოვენია, ჩეხეთი), წარუმატებელ ქვეყნებში (ბულგარეთი, რუმინეთი) - 25-35%-ია, რუსეთში - დაახლოებით - 25%, საქართველოში - 11%-ია. საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მრავალი ნეოლიბერალური ორიენტაციის ექსპერტი შეშფოთებულია ამ მაჩვენებლის დაბალი დონით ზოგიერთ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, რადგანაც სათანადოდ ვერ ხერხდება მოსახლეობისათვის მინიმალურად აუცილებელი სოციალური მომსახურების უზრუნველყოფა და რეფორმების გახორციელებას საფრთხე ექმნება, თუკი რეფორმები კიდევ მეტად არ დაჩქარდება.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ ტრანსფორმაციული კრიზისის დროს, 1990-1993 წ.წ. უნგრეთში მთლიან შიდა პროდუქტში საბიუჯეტო ხარჯებმა მიაღწია მაქსიმალურ დონეს - 62%-ს, პოლონეთსა და სლოვაკეთში კი, ეს მაჩვენებელი 50%-ის დონეზეა სტაბილიზებული. ამასთან, განსაკუთრებით საინტერესოა ამ ხარჯების სტრუქტურა. ყველა ქვეყანაში აღინიშნებოდა ეკონომიკური ზრდის თავსებადობა მასშტაბურ სახელმწიფო ხარჯებთან განათლებასა და მეცნიერებაზე. მაგალითად, უნგრეთმა, ჩეხეთმა, პოლონეთმა 90-იანი წლების განმავლობაში შეძლო შეენარჩუნებინა განათლებაზე ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში. იგივე უნდა ითქვას მეცნიერებასა და მეცნიერულ-ტექნიკურ დამუშავებებზე სახელმწიფო ხარჯებისა და ეკონომიკური დინამიკის თავსებადობაზე. იქ, სადაც ეს ხარჯი მაღალია, ზრდა მნიშვნელოვანია და, პირიქით. არ დადასტურდა ნეოლიბერალური დებულება, რომ თითქოს სოციალური უთანასწორობა ხელს უწყობს ბაზარზე გადასვლას. პოლონეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, უნგრეთში, სლოვენიაში ყველაზე უფ-

რო მდიდრების 10%-ის სულადობრივი შემოსავლები ყველაზე უფრო ღარიბების შესაბამის შემოსავლებს 4,5-5,5-ჯერ აღემატება, მაშინ, როდესაც ბულგარეთსა და რუმინეთში ანალოგიური მაჩვენებელი 10-ჯერ მეტია, რუსეთში - 15-ჯერ, საქართველოში 17 -ჯერ. რეფორმების დაწყებამდე პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 2,5-3 იყო;

2. ყოველთვის არ დადასტურდა ნეოლიბერალური პოსტულატი, რომ თითქოს ტრანსფორმაციული კრიზისი, წარმოების დაცემა აუცილებელი, ობიექტური მიზეზებით გამოწვეული მოვლენაა. იგი საერთოდ არ ყოფილა ჩინეთსა და ვიეტნამში, თუმცა იქ ევოლუციური გარდაქმნები ხორციელდება. მაშასადამე, ტრანსფორმაციული კრიზისის მთავარი მიზეზია არა რეფორმის სტრატეგია თავისთავად, „შოკური თერაპია", ან ევოლუციური მეთოდი, არამედ წარმოების გაფართოებისა და რენტაბელობის ამაღლების უუნარობა. მეორე მხრივ, წარმატებული საბაზრო რეფორმები ხორციელდება როგორც რადიკალური, „შოკური თერაპიის" მეთოდით, ასევე ევოლუციური მეთოდითაც. პრინციპული სხვაობა „შოკურ თერაპიასა" და „გრადუალიზმს" შორის, საერთოდ არ არის. ფასების ლიბერალიზაციას „შოკური" ზემოქმედება აქვს. ძლიერი სასაქონლო-ფულადი უწონასწორობის პირობებში (პოლონეთი, რუსეთი, საქართველო), მაგრამ თუ ასეთი უწონასწორობა უმნიშვნელოა, მაშინ მას „შოკური" ზემოქმედება უკვე აღარ აქვს (უნგრეთი). რეფორმების ანალიზი ადასტურებს, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა რეფორმების წარმატებისათვის ენიჭება ინსტიტუციურ გარდაქმნებს, ეფექტიანი სახელმწიფოს უზრუნველყოფას, საკუთრების უფლებების რეალურ უზრუნველყოფას, ქმედით ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობას, მკაცრ საბანკო ზედამხედველობას, საბანკო ანაბრების დაზღვევას და ა.შ. სუსტი სახელმწიფოს პირობებში აუცილებლად გაჩნდება ხელისუფლების ვაკუუმი, რაც კლანური და ჩრდილოვანი ეკონომიკის აყვავებას, სამეურნეო სფეროს კრიმინალიზაციას, არგადახდების ზრდას იწვევს. ასეთ ვითარებას საბოლოოდ მწვავე ფინანსურ კრიზისთან, ეკონომიკური ზრდის შეწყვე-

ტასთან მივყავართ. აქედან ჩანს, რომ ეკონომიკური ლიბერალიზაცია ეფექტიანი საბაზრო მეურნეობის ფორმირების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა;

3. შედარებით წარმატებულ პოსტსოციალისტურ ქვეყნებში სწრაფად გახორციელდა ლიბერალიზაცია საქონლით ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში. ამავე დროს, ზომიერად, თანდათან ხორციელდებოდა შეზღუდვების მოხსნა შრომის ანაზღაურების, საგარეო სავაჭრო და სავალუტო ოპერაციების, კაპიტალის ექსპორტისა და იმპორტის სფეროში. წარუმატებელი პოსტსოციალისტური ქვეყნები კი, პირიქით, საგარეო ეკონომიკური გახსნილობის სწრაფი და მკვეთრი გახორციელებით ხასიათდებოდნენ. ამის გამოა, რომ არ დადასტურდა ნეოლიბერალური კონცეფცია; რომ რეფორმების წარმატების გადამწყვეტი პირობაა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის საყოველთაო ლიბერალიზაცია. პოლონეთის, ჩეხეთის, უნგრეთის, სლოვენიის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ღია ეკონომიკაზე გადასვლა შეზღუდვების თანდათანობითი მოხსნით, პროცესებზე ქმედითი კონტროლის პირობებში ხორციელდებოდა. ძალიან ფრთხილად მიმდინარეობს ეროვნული ვალუტების კონვერტირებადობის პროცესი. სავალუტო შეზღუდვების გაუქმება ეტაპობრივად და გაწონასწორებლად გატარდა. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში საექსპორტო სავალუტო შემოსავლების სახელმწიფოსადმი 100%-იანი მიყიდვის წესი დაწესდა. მხოლოდ ქვეყნის სავალუტო რეზერვების შევსების კვალობაზე აძლევდნენ საწარმოებს უფლებას, ეროვნულ კომერციულ ბანკებში სავალუტო ანგარიშების გასახსნელად. უნგრეთში, პოლონეთში, ჩეხეთში ეს წესი გაუქმდა რეფორმების დაწყებიდან 5-6 წლის შემდეგ, 1995-1996 წლებში. კიდევ უფრო ნიშანდობლივია, გამოცდილება კაპიტალის ექსპერტზე შეზღუდვების სფეროში. ყველა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში პირდაპირი ინვესტიციების ფორმით კაპიტალის მოზიდვა ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად არის მიჩნეული. მაგრამ იმავდროულად, წარმატებული რეფორმების ქვეყნებში ეროვნული კა-

პიტალის გადინება მნიშვნელოვნად შეზღუდულია, ისევე, როგორც საზღვარგარეთ უძრავი ქონების შეძენა და პორტფელური ინვესტიციების გახორციელება, ხოლო შიდა ბაზრის დაცვის მიზნით დოზირებული, ზომიერი პროტექციონისტული პოლიტიკა ტარდება. მკაცრად ხდება იმპორტული პროდუქტის ხარისხის ნორმატივების დაცვაც. შიდა ბაზრიდან სამამულო პროდუქციის გაქრობის თავიდან აცილების მიზნით, დღემდე შენარჩუნებულია დროებითი ადმინისტრაციული საექსპორტო შეზღუდვები ლიცენზიების, კვოტების, პირდაპირი აკრძალვის სახით. დაწესებულია ინვესტიციური იმპორტი, რომელიც მოწინავე ტექნოლოგიების იმპორტზე საბაჟო გადასახადებს აუქმებს;

4. მხოლოდ მასობრივი დაჩქარებული პრივატიზება ეფექტიანი საბაზრო სუბიექტების ჩამოყალიბებისათვის საკმარისი არ არის. უფრო მეტიც, პოსტსაბჭოთა გამოცდილებით, დადასტურდა, რომ სუსტი სახელმწიფოსა და კონკურენციის უქონლობის პირობებში, იგი არასაბაზრო ქცევის გავრცელების ინსტრუმენტად იქცევა. ამ შემთხვევაში პრივატიზება ხშირად საკუთრების გადანაწილების მექანიზმად გვევლინება მცირერიცხოვანი პრივილეგირებული ფენის - საწარმოთა ხელმძღვანელებისა და კორუმპირებული ჩინოვნიკების ხელში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერძო სექტორის თვითდაფინანსების საფუძველზე განვითარებისათვის ხელშემწყობი პირობების შემუშავებას მცირე მეწარმეობის სტიმულირების გზით. განსაკუთრებით დიდი ზიანის მომტანია სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების ეფექტიანი მართვის უგულებელყოფა, რაც მის განიავებასა და მთელი ეკონომიკის კრიმინალიზაციას იწვევს. რაც მთავარია, მასობრივი პრივატიზება ვაუჩერიზაციის გზით, საკუთრების მხოლოდ საწარმოთა ხელმძღვანელებისა და კოლექტივებისათვის გადაცემა ვერ წყვეტს მთავარ პრობლემას - ეფექტიანი ინვესტორის ჩამოყალიბებას. ამ შემთხვევაში სახელმწიფო საკუთრება, მართალია, განკერძოვდება, მაგრამ ახალ მესაკუთრეებს საწარმოების ფუნქციონირების უზრუნველყოფა არ შეუძლიათ, რადგანაც ამისათვის

აუცილებელ ინვესტიციებსა და კვალიფიკაციას ვერ ფლობენ. ამიტომ სხვა ეფექტიანი ინვესტორისათვის საწარმოს გადაცემის პრობლემა კვლავ აქტუალურ ამოცანად რჩება, რისთვისაც დამატებით საკმაოდ დიდი დრო არის საჭირო. პრივატიზებული საწარმოების უმოქმედობა, ან მცირე სიმძლავრით მუშაობა, მცირე რენტაბელობა ტრანსფორმაციული კრიზისის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია;

5. ნეოლიბერალური კონცეფცია, კერძო სექტორის მასშტაბებსა და ეკონომიკური ზრდის ტემპებს შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულების შესახებ, არ დასტურდება. ცენტრალური ევროპის ქვეყნების მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტი მიღწეულია სახელმწიფო საწარმოების საქმიანობის კომერციალიზაციის ეტაპზე. ამას განსაკუთრებით პოლონეთის გამოცდილება ადასტურებს. ეკონომიკის პრივატიზება დადებით ზემოქმედებას სამეურნეო სუბიექტებზე ახდენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას თან ახლავს ინსტიტუციური გარდაქმნები და კონკურენციის დამკვიდრების ეფექტიანი პოლიტიკა. გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ინსტიტუტების ეფექტიანობისა და კონკურენციის უზრუნველყოფას ენიჭება. ამიტომ არის, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპი დამახასიათებელია კერძო სექტორის ჩამოყალიბებისა და პრივატიზების სულ სხვადასხვა მოდელისათვის: ჩინეთისა და ვიეტნამისათვის საერთოდ მასშტაბური სახელმწიფოებრივი სექტორი და საწარმოების კომერციალიზაციაა ნიშანდობლივი; პოლონეთში თავიდანვე განსახელმწიფოებრიობა საწარმოთა კომერციალიზაციით აღინიშნა, ხოლო მასობრივი პრივატიზება დიდი დაგვიანებით - მხოლოდ 1996 წ. ბოლოს დაიწყო; სლოვენიაში, ისევე როგორც ადრე იუგოსლავიაში, ჭარბადაა თვითმმართველობის საწარმოები. თუმცა ზოგიერთი ქვეყანა და მათ შორის საქართველო, ამ გზით ვერ ივლიდა, რადგანაც საწარმოთა დაუფინანსებლობისა და დაუცველობის პირობებში, ქონების პრივატიზება მათი გადარჩენის უმთავრესი გზა იყო. აქ პრივატიზებულ საწარმოთა მუშაობის ეფექტიანობა კი, დიდადაა დამოკიდებული სხვა სფეროებში მიმდინარე რეფორმებზე;

6. ცენტრალური ევროპის, ჩინეთის, ვიეტნამის პოსტსოციალისტური ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მისაღწევად, მხოლოდ ფულის მასის რეგულირების გამოყენება საკმარისი არ არის, ანუ ორთოდოქსული მონეტარიზმის კონცეფცია ამის შესახებ არ დასტურდება. ამ ქვეყნების რეფორმატორებმა გააცნობიერეს, რომ ინფლაცია დამოკიდებულია არა მხოლოდ ფულის ემისიის დინამიკაზე, არამედ არამონეტარულ ფაქტორებზეც. შესაბამისად, მათ განსაზღვრეს ფულის გაუფასურების ორი უმნიშვნელოვანესი აღმავალი სპირალი: ფასები-შემოსავლები-ფასები და ინფლაცია-დევალვაცია-ინფლაცია. აქედან გამომდინარე, ამ ქვეყნებში გახორციელდა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის კომპლექსური სტრატეგია, რომელიც მოიცავდა ღონისძიებათა პაკეტს ფულადი მიმოქცევის, ფასების ნაწილის, პირადი შემოსავლებისა და სავალუტო რეგულირებით;

7. პოსტსოციალისტური ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა. მხოლოდ ინფლაციის დაძლევაზე აქცენტი, უშედეგოა. საჭიროა პრინციპულად სხვა მაკროეკონომიკური პოლიტიკის გახორციელება, რომელიც არა მარტო ფასების საერთო ზრდის დაძლევას, არამედ სამეურნეო განვითარების სტიმულირებასაც გულისხმობს;

8. რეფორმის წარმატებისათვის, მდგრად ეკონომიკურ ზრდაზე გადასვლისათვის მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, ლიბერალიზაცია და პრივატიზება საკმარისი არ არის. ამისათვის აქცენტი ფართომასშტაბიან ინსტიტუციურ და სამართლებრივ გარდაქმნებზე უნდა გაკეთდეს, მათ შორის, ადმინისტრაციულ და საბიუჯეტო რეფორმებზე, განსაკუთრებით საგადასახადო სისტემის სრულყოფაზე. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების რეფორმა ისევე საჭიროა, როგორც კერძო ინსტიტუტების რეფორმა. ეკონომიკის ტრანსფორმაციის ეფექტიანი გახორციელებისათვის გადამწყვეტია პოლიტიკური სისტემის ხასიათი, რომლის ჩარჩოებშიც ეკონომიკური რეფორმა ხორ-

ციელდება. პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაცია, ეფექტიანი მთავრობის არსებობა რეფორმების წარმატების აუცილებელი პირობაა. ყოველ 4-5 წელიწადში ტარდება დემოკრატიული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. ძირითადი დემოკრატიული ინსტიტუტები უკვე ფუნქციონირებენ, როგორც თვითრეგულირებადი მექანიზმები. აღინიშნება პარლამენტში ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბებისაკენ მისწრაფება, აქ წარმოდგენილი პარტიების რიცხვის შემცირება. ოპოზიცია თანდათან მთავრობის საქმიანობისადმი კონტროლის მექანიზმად ყალიბდება. მართალია, სამოქალაქო საზოგადოება ჯერ კიდევ სუსტია, მაგრამ მაინც სხვადასხვა საზოგადოებრივი ინტერესის შეთანხმების, შეთანაწყობის მექანიზმი განუხრელად ყალიბდება. კონსტიტუციურად დაცულია მოქალაქეთა ძირითადი პოლიტიკური უფლებები და თავისუფლება. შექმნილია ახალი სამართლებრივი წესრიგი, მოსახლეობა და მმართველი ელიტა კანონის უზენაესობას, საზოგადოებრივი კონსენსუსის აუცილებლობას თანდათანობით ეგუება. ამასთან, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უმრავლესობაში საპარლამენტო ხელისუფლებაა. წმინდა საპარლამენტო ხელისუფლებაა ჩეხეთსა და უნგრეთში, სადაც პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევს. პოლონეთში, სლოვაკეთში, ბულგარეთში, სლოვენიაში პრეზიდენტი საყოველთაო არჩევნებით აირჩევა, მაგრამ მისი ფუნქციები შეზღუდულია. აქ მთავრობას პარლამენტი აყალიბებს. პრემიერის როლი ჩეხეთში, სლოვაკეთში, უნგრეთში, პოლონეთში, გერმანიისა და ავსტრიის კანცლერების როლის ანალოგიურია. პრეზიდენტი არ ერევა პარლამენტსა და მთავრობას შორის ურთიერთობებში. იგი პოლიტიკურ სისტემებს შორის უთანხმოებისა და კონფლიქტების წარმოშობისას მედიატორის როლს ასრულებს;

9. პოსტსოციალისტურ ქვეყნებში რეფორმების წარმატებისათვის არსებითი მნიშვნელობა საერთაშორისო პირობებს ენიჭება. ამ პირობებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ყოფილი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, არ ჩარეულიყო სხვა სოციალისტური ქვეყნების ტრანსფორმაციულ პროცესებში, გეოპოლიტიკური სიტუაციის

შეცვლა სსრკ-ის დაშლის შემდეგ, მრავალი პოსტსოციალისტური ქვეყნის სწრაფვა ევროკავშირისაკენ, დასავლეთის ქვეყნების მიერ რეფორმების აქტიური მხარდაჭერა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკასა და სამოქალაქო საზოგადოებაზე გადასვლისათვის. უდიდეს ზემოქმედებას ახდენს მრავალ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაცია, მისი სტაბილური განვითარების პერსპექტივები. ევროპაში კვლავ ჩნდება სახელმწიფოებს შორის კონფრონტაციული დაპირისპირების საშიშროება. ასეთი დაპირისპირება შეაფერხებს რეფორმებს პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, ამიტომ მათი საერთაშორისო უზრუნველყოფა წარმატების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად რჩება.

ამისათვის აუცილებელია დონორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების თანამშრომლობის, პარტნიორობის ინტენსიფიკაცია ცალკეულ პოსტსოციალისტურ ქვეყანასთან. ტრადიციული მაკროეკონომიკური მიზნები - ინფლაციის შემცირება, ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაცია, ვალუტის სტაბილიზაცია - საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის კომპლექსური განვითარების ახალი სტრატეგიის შესაბამისად, უშუალოდ დაუკავშირდება სოციალური პრობლემების გაუმჯობესებას, სიღარიბის დაძლევასა და ცხოვრების დონის ამაღლებას. ეს საერთაშორისო ორგანიზაციები ერთობლივად განსაზღვრავენ იმ კონკრეტულ პრიორიტეტებსა და ღირებულებას, რომლებიც ცალკეული პროექტების სახით გახორციელდება თითოეულ ქვეყანაში. მსოფლიო ბანკის ძირითად მიზანს წარმოადგენს სიღარიბის მკვეთრი შემცირება, სოციალური განვითარებისათვის ხელშეწყობა. საერთაშორისო სავალუტო ფონდი კი კვლავ პასუხისმგებელია ქვეყნების მაკროეკონომიკური სტაბილურობისათვის, ანუ სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარების მთავარი ინსტრუმენტის უზრუნველყოფისათვის.[32]

---

[32]. იხ. На пороге 21 века. Доклад о мировом развитии 1999/2000 года. Всемирный банк. Москва, 2000; Борьба с бедностью. Доклад о мировом развитии 2000/2001 года. Всемирный Банк. Вашингтон, 2001.

ამგვარად, რეფორმების წარმატება დამოკიდებულია, უწინარეს ყოვლისა, მისი გახორციელების სტრატეგიის კომპლექსურობის ხარისხზე. იქ, სადაც ტრანსფორმაციის პოლიტიკა სისტემურად და თანმიმდევრულად ხორციელდება, რეფორმა მაღალი შედეგებით აღინიშნება. რეფორმის კომპლექსურობა გულისხმობს ინსტიტუტების ეფექტიანობის, განსაკუთრებით ეფექტიანი სახელმწიფოს უზრუნველყოფას და ტრადიციული ნეოლიბერალური ტრიადის – მაკროეკონომიკური სტაბილურობის, ლიბერალიზაციისა და პრივატიზების გახორციელებას. წარმატების სხვა აუცილებელი პირობაა რეფორმის კონკრეტული ღონისძიებებისა და მოცემული ქვეყნის თავისებურებების, ეროვნული ინტეგრირების ადეკვატურობის თავსებადობის მიღწევა. ინსტიტუტებისა და მთავრობის ეფექტიანობის განმსაზღვრელი როლი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის აუცილებლობისა და უდიდესი მნიშვნელობის უარყოფას არ გულისხმობს. წარუმატებელი რეფორმების მიზეზებიდან მთავარია: არასაბაზრო მენტალიტეტის, ქცევის ხანგრძლივი სიცოცხლისუნარიანობა, არაეფექტიანი ინსტიტუტების არსებობა, შეცდომები ეკონომიკურ პოლიტიკაში.

3.2. რეფორმების ძირითადი მიმართულებანი საქართველოში

[არსებითი მნიშვნელობა ეკონომიკური რეფორმების წარმატებისათვის მისი სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრას ენიჭება. ამიტომ ფრიად მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორ განისაზღვრება ეს მიმართულებები საერთოდ, გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, როგორ განისაზღვრა, კონკრეტულად, საქართველოში ტრანსფორმაციის გახორციელებისათვის და როგორია მათი კონკრეტული შედეგები.

ეკონომიკური რეფორმების ძირითადი მიმართულებები უშუალოდ მისი მიზნებიდან გამომდინარეობს. ამიტომ აქ შესაძლებელია ორი მიდგომა, რაც ტრანსფორმაციისა და

გარდამავალი ეკონომიკის თეორიის ანალიზიდანაც კარგად ჩანს. თუ რეფორმის უმთავრეს მიზნად საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრება ცხადდება, მაშინ რეფორმის მიმართულებანი შედარებით უფრო შეზღუდულია, მცირემასშტაბიანია, ხოლო თუ რეფორმის მიზნად არა მარტო საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრება, არამედ, სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა და განვითარებული ეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის რეალური საფუძვლების მომზადებაც ცხადდება, მაშინ რეფორმის მიმართულებანიც უფრო მეტი მასშტაბურობით განისაზღვრება. პირველი მიდგომა შედარებით უფრო მოკლევადიანი ამოცანაა, მეორე – გრძელვადიანი. პირველის გახორციელება განსაკუთრებით საშურია, მეორე, მის გარეშე ვერ მიიღწევა. თუმცა მეორე მიდგომასაც აქვს თავისი უპირატესობა, რადგანაც საბაზრო მეურნეობაზე გადასვლა მხოლოდ მაღალგანვითარებულ ეკონომიკაზე გადასვლის საშუალებაა. ტრანსფორმაციის საბოლოო მიზანი სწორედ ეს უკანასკნელია, მაშინ, როდესაც საბაზრო მეურნეობაზე გადასვლა მხოლოდ შუალედური მიზანია.

ამასთან, პირველი მიდგომა უპირატესად ნეოლიბერალურ დოქტრინას, მათ შორის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის კონცეპტუალურ ხედვას ეყრდნობა, ხოლო მეორე – ინსტიტუციურ-სოციალურ დოქტრინას, რომელიც ყურადღების ცენტრში ცხოვრების ხარისხისა და ადამიანის განვითარების პრობლემას აყენებს. მაგრამ იმის გამო, რომ ნეოლიბერალური დოქტრინა ბოლო დრომდე ეკონომიკურ თეორიასა და პოლიტიკაში ბატონობდა, ტრადიციულად, წინა პლანზე წამოწეული იყო პოსტსოციალისტური ქვეყნების ტრანსფორმაციის ნეოლიბერალური, ანუ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოდელი.

რეფორმის მიმართულებების განსაზღვრაზე დიდად ზემოქმედებს ქვეყნის თავისებურებანი, მისი განვითარების დონე, სასტარტო პირობები, ტრადიციები, საბაზრო მენტალიტეტის ხარისხი, ეკონომიკური თეორიის პროგრესულობა, ინოვაციურობა, პოლიტიკოსებისა და ეკონომისტების კვა-

ლიფიციური მომზადების დონე, რეფორმებისადმი საზოგადოების მხარდაჭერის ხარისხი.

დასასრულ, ფრიად მნიშვნელოვანია გარე ფაქტორები, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის ხასიათი სხვა ქვეყნებთან, სხვა ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკაზე ზემოქმედების შესაძლებლობანი, საერთაშორისო ვითარება საერთოდ. სწორედ ამ უკანასკნელ ფაქტორზე არის საჭირო, ამ შემთხვევაში, ყურადღების გამახვილება, რადგანაც საქართველოში რეფორმების მეთოდებისა და მიმართულებების განსაზღვრაზე მან თავიდანვე გადამწყვეტი როლი შეასრულა. საქმე ის არის, რომ რეფორმები საქართველოში დაიწყო დამოუკიდებლობის შემდეგ ისე, რომ ჩვენს ეკონომიკას ავტონომიური ფუნქციონირება ჯერ კიდევ არ შეეძლო, რადგანაც მანეთის ზონაში ვიყავით და იმპორტის, მათ შორის ენერგომატარებლების დიდი ნაწილი რუსეთიდან შემოდიოდა. ამიტომ, ბუნებრივია, რეფორმების ძირითადი მიმართულებები საქართველოში რუსეთში მიმდინარე პროცესების იდენტურიც აღმოჩნდა. მაგრამ არსებობს სხვა, უმნიშვნელოვანესი გარემოებანიც. მხედველობაში გვაქვს ის, რომ თვითონ რუსეთში დაწყებული 90-იანი წლებიდან დღემდე რეფორმის ძირითადი მიმართულებანი და მაკროეკონომიკური პოლიტიკის პარამეტრები საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ყოველწლიურად თანხმდება.

ამასთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდი თავის ანალოგიურ რეკომენდაციებს, რეფორმის ძირითადი მიმართულებებისა და კონკრეტული ღონისძიებების შესახებ, სთავაზობდა არა მარტო რუსეთის, არამედ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა პოსტსოციალისტურ სახელმწიფოებსაც. მაგრამ ერთია რეფორმის განხორციელების გზების კონცეპტუალური შეთავაზება და მეორეა – მათი რეალური შესრულება. კონცეპტუალურად პროგრამა შეიძლება სწორი იყოს, თუმცა რეალურად სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ განხორციელდეს. რუსეთში რეფორმები კონცეპტუალურად პოლონეთში მიმდინარე რეფორმების ანალოგიური იყო, თუმცა მათი რეალური განხორციელება სხვადასხვანაირად

წარიმართა. იგივე უნდა ითქვას საქართველოში რეფორმების შესახებ.[33] საიდუმლოს ისიც არ წარმოადგენს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი ცალკეული ქვეყნებისადმი სხვადასხვა სტანდარტით ხელმძღვანელობდა. საკმარისია აღინიშნოს, რომ პოლონეთს დასავლეთმა 28 მლრდ. დოლარის საგარეო ვალიდან 14 მლრდ. დოლარი საერთოდ ჩამოაწერა, რამაც მისი რეფორმების წარმატება უდავოდ მნიშვნელოვანწილად განაპირობა.

ნიშანდობლივია სხვა მაგალითიც. აშშ-ის ახალი პრეზიდენტის, ბუშის ადმინისტრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლები და მისი მომხრე პოლიტოლოგები ბრალს სდებენ წინა პრეზიდენტის, ბილ კლინტონის ადმინისტრაციასა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს, რომ მათ აიძულეს რუსეთი, რეფორმა „შოკური თერაპიით" გაეტარებინათ, რადგანაც ამ ქვეყნის პირობებისათვის იგი თავიდანვე მარცხისათვის იყო განწირული. მოტივი ასეთია: მართალია, რუსეთის დასუსტებით ამერიკამ მოიგო ეკონომიკური თვალსაზრისით, მაგრამ წააგო პოლიტიკური და სტრატეგიული თვალსაზრისით, რადგანაც დაშლის რეალური საფრთხის წინაშე მდგარი რუსეთი შეიძლება მწვავე კონფლიქტების წყაროდ გადაიქცეს, რაც მთავარია, ჩინეთის ექსპანსიის მართვად პროცესად გადაქცევაში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

საქართველოშიც რეფორმის მიმართულებების განსაზღვრაზე ბუნებრივია, ზემოთ აღნიშნული ფაქტორები ზემოქმედებდა. მაგრამ განმსაზღვრელი მაინც საგარეო ფაქტორი იყო – საბჭოთა პერიოდში იგი საერთო საკავშირო სქემის ჩარჩოებში მიმდინარეობდა, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კი, უპირატესად, რუსეთში მიმდინარე რადიკალური რეფორმისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის

---

[33] იხ. საბაზრო ეკონომიკის ფორმირების პრობლემები საქართველოში. ესპსის შრომების კრებული. ტომი I-V, თბ.,1996-2001; გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში. ტომი I-V, თბ., 1997-2001; **ნ. ჭითანავა**, გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ნაწილი I, I I, I I I, თბ. 1997, 1999, 2001; **ლ. ჩიქავა**, ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი. თბ., 1997; **ვლ. პაპავა**, საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბ., 2000.

რეკომენდაციების ძლიერი ზემოქმედების პირობებში ხორციელდებოდა.

ამასთან, მართალია, 1991-1992 წლებში გარკვეული ეკონომიკური რეფორმები გატარდა, მაგრამ არასისტემურად. მათ საფუძვლად დაედო სხვადასხვა დროს ავტონომიურად მიღებული კანონები, სამთავრობო დადგენილებები და განკარგულებები. პირველი მასშტაბური ღონისძიება უდავოდ იყო ფასების ლიბერალიზაცია 1992 წ. დასაწყისში, რასაც თან სდევდა ვაჭრობის სრული ლიბერალიზაციაც. 1992 წელს მთავრობის მიერ მაკროეკონომიკური რეფორმების გატარების მიზნით, მიიღეს დოკუმენტი - **„საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური რეფორმების ძირითადი მიმართულებანი“**, რომელიც სამთავრობო დოკუმენტის დონეზე, საქართველოში რეფორმების მიმართულებების განსაზღვრის პირველი წარმატებული ცდა იყო. სწორედ მის საფუძველზე, მომდევნო პერიოდში შემუშავდა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 1993 წ. დასაწყისში მიიღეს **„საქართველოს რესპუბლიკის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამა“**, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის შედარებით სრულყოფილ დოკუმენტს წარმოადგენს.

ამ დოკუმენტის უაღრესად დიდი მნიშვნელობა განპირობებულია შემდეგით:

პირველი - მასში ობიექტურად და დაუფარავადაა შეფასებული ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, მათ შორის რეფორმების საწყისი, ყველაზე უფრო რთული ეტაპი, დადასტურებულია მისი ისტორიული შედეგი - სოციალისტური სისტემის დემონტაჟი და სოციალიზმის რესტავრაციის ყოველგვარი ეკონომიკური საფუძვლის მოსპობა. დაფიქსირებულია, რომ მომდევნო ეტაპზე გასავლელია ძალზე კრიტიკული და საპასუხისმგებლო პერიოდი, რომელიც საბაზრო ურთიერთობების აღმოცენება-განვითარებისათვის შესაფერისი ეკონომიკური გარემოს შექმნას მოიცავს;

მეორე - ნაჩვენებია რეფორმის გახორციელების უპირვე-

ლესი წანამძღვარი – ხალხის ფსიქოლოგიის ახალ ვითარებასთან შეგუების აუცილებლობა.

მესამე – განსაზღვრულია რეფორმის ძირითადი მიმართულებები: ეკონომიკის დარეგულირება, ეკონომიკაზე სახელმწიფო ორგანოების ზეგავლენის სფეროების შემცირება და ბაზრის როლის გაზრდა; ფინანსებისა და ფულადი სისტემის თანდათანობით, შესაძლებლობის ფარგლებში სტაბილიზაცია, რამაც საქმიანი აქტივობის სტიმულირების ძირითადი წანამძღვრები უნდა შექმნას, ამ სისტემის ეტაპობრივი ტრანსფორმაცია და დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო მექანიზმის ამოქმედება საკუთარი ეროვნული ვალუტის შემოღების გზით; ეკონომიკის ლიბერალიზაცია: ადმინისტრაციული შეზღუდვების მოხსნა ფასებზე, სამეურნეო კავშირებზე, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებზე. თავისუფალი ვაჭრობის განვითარება არსებული მომარაგებისა და გამანაწილებელი სისტემების სანაცვლოდ; მეწარმეობის განვითარება, პრივატიზების დაჩქარება, ახალი კერძო საწარმოების შექმნის ყოველმხრივი მხარდაჭერა, ეკონომიკური ზრდისა და ეფექტიანი საბაზრო მეურნეობის შესატყვისი ახალი ინსტიტუციური წანამძღვრების შექმნა; ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და სტიმულირება, ეკონომიკის მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაცია, მსოფლიო ბაზარზე სამამულო წარმოების პროდუქციის დამკვიდრება და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება; მეურნეობის დემონოპოლიზაცია და დეცენტრალიზაცია, კონკურენტული საბაზრო გარემოს შექმნა; მოსახლეობისათვის შეუჩვეველ პირობებში აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარება.[34]

როგორც ჩანს, ამ დოკუმენტში ასახულია არა მარტო ტრანსფორმაციის ნეოლიბერალური რადიკალური კონცეფციის ძირითადი მიმართულებები – ეკონომიკის ლიბერალიზაცია, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და პრივატი-

---

[34] იხ. საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამა. თბილისი, 1993.

ზება, არამედ ინსტიტუციური, სტრუქტურული და სოციალური გარდაქმნების აუცილებლობა.

მაშასადამე, აქცენტი კეთდებოდა არა მარტო მაკროეკონომიკური, ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევაზე, არამედ, აგრეთვე, რეალური წარმოების განვითარებაზე დარგებისა და რეგიონების მიხედვით, ეფექტიანი სტრუქტურული ძვრების განხორციელებაზე, ეკონომიკის სტრუქტურულ გაჯანსაღებაზე, მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე;

მეოთხე – რეფორმის განხორციელება საშუალოვადიანი სახელმწიფოებრივი პროგრამის ჩარჩოებში მოექცა, ანუ ყველა ზემოთ ჩამოყალიბებული მიმართულება დაკონკრეტდა ცალკეული ღონისძიებების სახით, განისაზღვრა მათი შემსრულებლები და შესრულების ვადები.

სამწუხაროდ, საშუალოვადიანი პროგრამა, სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზის გამო ვერ განხორციელდა თანამიმდევრულად.

რეფორმის მიმართულებების დაზუსტების თვალსაზრისით, ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა **საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური განვითარების პირველი ინდიკატური გეგმის შემუშავებას 1993–1995 წლებისათვის**. თვითონ ის ფაქტი, რომ მიღებული იყო გადაწყვეტილება ასეთი გეგმის შემუშავებისა და განხორციელების აუცილებლობის შესახებ, მრავლისმეტყველია. იგი რეფორმის მიმდინარეობაში პრინციპული ხასიათის შემობრუნების მცდელობაზე მიუთითებდა, რაც საბაზრო მეურნეობაზე მართვად გადასვლაში გამოიხატებოდა. მასში ობიექტურად შეფასდა რეფორმის მიმდინარეობა, სოციალურ–ეკონომიკური ჩამორჩენილობის თავისებურებანი, კრიზისის გენეზისი, განისაზღვრა. კონკრეტული საშიშროებანი რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებით, დასაბუთდა რეფორმის სტრატეგიაში ტაქტიკური მანევრის აუცილებლობა მისი დაჩქარების მიზნით; ეკონომიკის მართვის ღონისძიებების გაძლიერება. ასეთი შემობრუნება შესაძლებელი იყო, რადგანაც ეროვნული ბანკის საკუთარი საგადამხდელო საშუ-

ალების - კუპონის დამკვიდრებით, ჩამოყალიბება დაიწყო ავტონომიურმა ფულად-საკრედიტო სისტემამ.

პირველმა ინდიკატურმა გეგმამ უდავოდ დიდი როლი შეასრულა საქართველოში რეფორმირებისა და საერთოდ, განვითარების თვალსაზრისით. მასში ოთხი განყოფილება იყო წარმოდგენილი: 1. საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრინციპები, რომელიც წინასწარ გამოქვეყნდა საყოველთაო განხილვისათვის; 2. ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანები და პროგნოზი 1993-1995 წლებისათვის; 3. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამები; 4. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1993-1995 წლების ინდიკატური გეგმის ძირითადი საპროგნოზო მაჩვენებლები.[35] გეგმამ დადებითი შეფასება დაიმსახურა სპეციალისტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. იგი იყო პირველი ინდიკატური გეგმა პოსტსოციალისტურ სივრცეში. თუმცა აღინიშნა მისი ზოგიერთი ნაკლიც, მათ შორის, პროგრამების დიდი რაოდენობა. მთავარ ღირსებად ჩაითვალა ის, რომ „ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მოცემულია უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიმართულებები, შემუშავებულია ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის კონცეპტუალური საფუძვლები.)დოკუმენტს წითელ ზოლად გასდევს სოციალ-ეკონომიკური პროცესების მართვაში სისტემური, კომპლექსური მიდგომის მოთხოვნა, რითაც უნდა მიაღწიონ მაკროეკონომიკის, სეგმენტური, რეგიონული ეკონომიკისა და მიკროეკონომიკის ურთიერთშესამებულ და ოპტიმალურ ფუნქციონირებას. ასეთი მიდგომა წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან სხვა დანარჩენ სამთავრობო დოკუმენტებში აქცენტი ძირითადად აღებული იყო მხოლოდ მაკროეკონომიკაზე, სხვა სფეროები სათანადო ყურადღების მიღმა რჩებოდა".[36]

---

[35] იხ. საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირველი ინდიკატური გეგმა 1993-1995 წწ. - ჟ. „ეკონომიკა", 1993, №12.

[36] *ი. მესხია, მ. მურჯიკნელი,* ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბ. 1996, გვ. 35.

ეკონომიკის სამინისტროს მიერ 1994 წლის დასაწყისში შემუშავდა და პრეზიდენტის ბრძანებულებით ძალაში შევიდა **„საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამა“,** რომელიც 1993 წელს მიღებული ანალოგიური დოკუმენტის ახალ, გადამუშავებულ დოკუმენტს წარმოადგენდა. ამიტომ აქ რეფორმის იგივე ძირითადი მიმართულებაა განსაზღვრული, როგორც მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიან პროგრამაში იყო დაფიქსირებული. აქ მხოლოდ დაზუსტებულია რეფორმის მიმდინარეობის შეფასება და კონკრეტული ღონისძიებების თანამიმდევრობა. ეს პროგრამა 1996 წლამდე მოქმედებდა.

მართალია, მომდევნო პერიოდში მიიღეს სხვა მნიშვნელოვანი პროგრამული ხასიათის დოკუმენტები რეფორმის შემდგომი გაგრძელების თაობაზე, მაგრამ სტრატეგიულ მიმართულებად მაინც კვლავ რჩება:

1. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, რაც გულისხმობს: ინფლაციის შემცირებას ერთნიშნა რიცხვამდე, ბიუჯეტის დაბალანსებას, ვალუტის მდგრადობას, წარმოების ზრდის უზრუნველყოფას. ცვლილებების ეს ტიპი, როგორც წესი, სწრაფად და მტკიცედ ხორციელდება;

2. ეკონომიკის ლიბერალიზაციის გაგრძელება;

3. ინსტიტუციური გარდაქმნების გახორციელება, მათ შორის პრივატიზების დასრულება, კონკურენტული ბაზრების ჩამოყალიბება, საგადასახადო რეფორმის გახორციელება, კერძო სექტორის განვითარება, სოციალური დაზღვევის სისტემის დამკვიდრება და ა.შ. ასეთი ინსტიტუციური გარდაქმნები, ცხადია, შედარებით ხანგრძლივ დროს მოითხოვს;

4. რეალურ სექტორში სტრუქტურული ძვრების ინტენსიფიკაცია, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის წარმოების ახალი ტექნოლოგიური ბაზის ჩამოყალიბების საფუძველზე. ესეც, რა თქმა უნდა, შედარებით გრძელვადიანი ამოცანაა.

3.3. ეკონომიკური რეფორმის ეტაპები საქართველოში

რეფორმის ეფექტიანი განხორციელების მნიშვნელოვანი პირობა მისი სწორი ეტაპიზაციაა. რეფორმატორული ღონისძიებები ცალკეული ეტაპების თავისებურებებს უნდა ითვალისწინებდეს. სხვანაირად, ეს ღონისძიებები ოპტიმალურად შერჩეული ვერ იქნება. ეტაპიზაცია თანამედროვე ტრანსფორმაციის თეორიის მიღწევებს უნდა ეყრდნობოდეს, რომლის ფუძემდებლური დებულებები შემდეგია: სისტემური გარდაქმნები ქვეყნებში აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს მათ თავისებურებებსა და ეროვნულ ინტერესებს; მთავარი პასუხისმგებლობა ტრანსფორმაციის, რეფორმების განსატარებლად მთავრობას ეკისრება; არსებობს ტრანსფორმაციის ორი გზა - **რადიკალური**, სწრაფი გარდაქმნების გზა და **ევოლუციური**, თანდათანობითი გარდაქმნების გზა; ტრანსფორმაციის ცალკეული ეტაპი სპეციფიკური ობიექტური ნიშნებითა და კრიტერიუმებით ხასიათდება; ტრანსფორმაციის საფუძველია რეფორმის კონცეფციისა და განხორციელების კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება, საკუთრივ ეკონომიკური რეფორმა კი პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ორ ძირითად შემადგენელ ნაწილს მოიცავს. ესენია: ეკონომიკური სტაბილიზაციის ღონისძიებათა ბლოკი და მისი ინსტიტუციური და სტრუქტურული გარდაქმნის ღონისძიებათა ბლოკი; სტაბილიზაციისა და ტრანსფორმაციის პროცესები, ინტერესები ზოგჯერ ერთმანეთს ემთხვევა, ზოგჯერ კი, პირიქით, უპირისპირდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუღებელია რეფორმების ეტაპიზაცია სამთავრობო გადაწყვეტილებების ან პოლიტიკის გატარება-არგატარების კრიტერიუმების მიხედვით. ასეთი გადაწყვეტილება და პოლიტიკის არათანამიმდევრულობა სინამდვილეში ხშირადაა, რის გამოც ამ კრიტერიუმებით გამოყოფილი ეტაპები იმდენად მრავალი იქნება, რომ ეტაპიზაციას ფაქტობრივად აზრი ეკარგება, ობიექტური კრიტერიუმების მიხედვით, ეტაპების გამოყოფა ვერ

ხერხდება. გარდა ამისა, გადაწყვეტილება და პოლიტიკა მხოლოდ საშუალებაა ასეთი კრიტერიუმების, მიზნების მისაღწევად. ამიტომ მიზანშეწონილია გამოვყოთ: 1. რეფორმის მიზნების მიღწევის კრიტერიუმის ჩარჩოებში: ეკონომიკის სტაბილიზაციის, ინსტიტუციური და სტრუქტურული ცვლილებების უზრუნველყოფის ხარისხი; 2. რეფორმის გახორციელების მეთოდის კრიტერიუმის ჩარჩოებში: რადიკალური ევოლუციური და კომბინირებული, ანუ სისტემური გარდაქმნების კრიტერიუმები.

ამ კრიტერიუმების მიხედვით საქართველოში ეკონომიკური რეფორმის ორი ძირითადი ეტაპი გამოიყოფა. **პირველი ეტაპი: 1990–1996 წლები** და **მეორე ეტაპი, რომელიც 1997 წლიდან გრძელდება დღემდე.**

პირველი ეტაპის მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია: საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობის დასაბუთება და გათვითცნობიერება, მისი რეალური, რადიკალური (1994 წლიდან) დაწყება; კონცეფციის შემუშავება; ეკონომიკის სტაბილიზაციის წანამძღვრების ჩამოყალიბება, რაც გამოიხატა: **ფულის სფეროში:** ფასების ლიბერალიზაციით, ფასწარმოქმნის მექანიზმის ეკონომიკის ძირითად რეგულატორად გადაქცევით, იშვიათი რესურსების ეფექტიანი ალოკაციის მიზნით; ჰიპერინფლაციის დაძლევით, ინფლაციის მინიმიზაციით; საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში, ფიქსირებული სავალუტო კურსის ბაზაზე სავალუტო ბაზრის შექმნით; **დოვლათის წარმოების სფეროში:** წარმოების ღრმა დაცემის შემდეგ, კრიზისის ფაზიდან გამოსვლა 1995 წელს, ფასების სტაბილიზაციის შედეგად, ერთობლივი მოთხოვნის მცირე, მაგრამ მაინც გადიდების საფუძველზე. მრავალი წლის შემდეგ, პირველად ამან მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა გამოიწვია; **ინსტიტუციური გარდაქმნების სფეროში:** საბაზრო ურთიერთობების ძირითადად ჩამოყალიბებით. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის იყო ფირმის დაფუძნების თავისუფლების დამკვიდრება, საკუთრების განსახელმწიფოებრიობა, მცირე პრივატიზების პროცესის ჩატარება, კერძო სექტორის ჩა-

მოყალიბება, მწარმოებლისა და მომხმარებლის თავისუფლების დამკვიდრება, გადახდისუნარიანობის შესაბამისად, კრედიტის აღების უფლების შემოღება, საკუთრების, თავისუფალი ფასწარმოქმნის, კონკურენციის პირობებში სახელმწიფო გარანტიის დაკანონება, საბანკო და საგადასახადო სისტემის (ძირითადად) ფორმირება, საქონლის, შრომის ბაზრების ფუნქციონირების დაწყება, საბაზრო ურთიერთობების სამართლებრივი ბაზის (ძირითადად) უზრუნველყოფა, ეკონომიკური სუბიექტების საბაზრო ქცევის ჩამოყალიბებისათვის პირობების შექმნის დაწყება.

ეს ჩამონათვალი გვიჩვენებს, რომ, **ამ ეტაპზე, საქართველოში, ფაქტობრივად, სოციალური რევოლუცია მოხდა,** ანუ ცენტრალიზებული მბრძანებლური ეკონომიკის დემონტაჟი და საბაზრო ურთიერთობების (ძირითადად) ჩამოყალიბება გახორციელდა. ამიტომ მისი ისტორიული მნიშვნელობა საქართველოს შემდგომი პროგრესისათვის განუზომლად დიდია. ეს პერიოდი, ამავე დროს, ძალიან წინააღმდეგობრივიც იყო. 1992-1994 წლებში აღინიშნებოდა ჰიპერინფლაცია, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და წარმოების მკვეთრი დაცემა. 1992-1993 წლებში საქართველო იძულებული იყო, აერჩია რადიკალური რეფორმა, „შოკური თერაპია" - იმ ფუძემდებლური მიზეზების გამო, რომ რუსეთმა 1992 წ. იანვრიდან მოახდინა ფასების ლიბერალიზაცია, ხოლო საქართველო მანეთის ზონაში იყო, არა ჰქონდა ეროვნული ვალუტა, არც საერთაშორისო ვალუტების რეზერვები, რომ სწრაფად შემოეღო საკუთარი ვალუტა. სწორედ ამ ძირითადი მიზეზების გამო შემუშავდა რადიკალური რეფორმა და არა ევოლუციური. ეს უკანასკნელი იმ პირობებში გამორიცხული იყო. რუსეთში უკვე დაწყებულ ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით, საჭირო იყო სწრაფი რეაქცია. ევოლუციური რეფორმის მცდელობაც კი, ამ ფონზე, მაშინვე გამოიწვევდა საქართველოს ეკონომიკის კრახს, გაცილებით უფრო მეტ სოციალურ ზიანს.

აქედან ჩანს, რომ მიუღებელია რეალური ვითარების უგულებელყოფა. ჯერ ერთი, ტრანსფორმაციის თეორიითა და

პრაქტიკით დადასტურებულია, რომ როგორც რადიკალური, ასევე ევოლუციური რეფორმა წარმატებული ან წარუმატებელი შეიძლება იყოს. ამის უამრავი მაგალითია. მაშასადამე, საქმე, თავისთავად რეფორმის სახეობაში კი არ არის, არამედ მისი გახორციელების უნარში, რამდენად ეფექტიანად შეუძლია ქვეყანას მოცემული სტრატეგიის წარმართვა.

მეორე, ქვეყნისათვის, მოცემულ პირობებში, უმჯობესია ისეთი რეფორმა, რომელიც მის თავისებურებებს უკეთ შეესაბამება, უფრო ნაკლები სოციალური ზიანის მომტანია. ამის შესაბამისად, ხდება მათი მონაცვლეობა, ან კომბინირება. 1992-1993 წ.წ. საქართველო იძულებული იყო, აერჩია რადიკალური რეფორმის გზა ზემოთ აღნიშნული ფუძემდებლური მიზეზების გამო (რუსეთმა 1992 წ. იანვრიდან მოახდინა ფასების ლიბერალიზაცია, ხოლო საქართველო იყო მანეთის ზონაში, ეროვნული ვალუტა, არც ჰქონდა და არც მისი შემოღება შეეძლო). საჭირო იყო სწრაფი რეაქცია რუსეთში უკვე დაწყებულ ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით. ბენზინზე, სათბობზე, სხვა პროდუქციაზე ადრინდელი ფასი ვერ შენარჩუნდებოდა, რადგანაც ისინი რუსეთში მკვეთრად ამაღლდა. ამ ფონზე ევოლუციური რეფორმის მცდელობაც კი, როგორც უკვე აღინიშნა, მაშინვე საქართველოს ეკონომიკურ კრახს, გაცილებით უფრო მეტ სოციალურ ზიანს გამოიწვევდა.

მესამე, ამ საკითხის საბოლოოდ გასარკვევად აუცილებელია დავადგინოთ, როგორ შედეგს მივიღებდით იმ შემთხვევაში, თუ საქართველო აირჩევდა თანდათანობითი, ევოლუციური რეფორმის გზას. ამის გახორციელებისათვის აუცილებელია შემდეგი ძირითადი პირობები: ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს არსებობა, როდესაც ქვემდგომი ორგანოები მთლიანად ემორჩილებიან ზემდგომს; სახელმწიფოებრიობის ნიშნების მქონე ეთნიკური ავტონომიების არარსებობა, რადგანაც სხვა შემთხვევაში, ქვეყნის დაშლის საფრთხე ძალიან მაღალია; მმართველი ელიტის მიერ პირადი ამბიციებისა და ეგოიზმის დაძლევა, საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებზე ორიენტაცია, კანონისადმი მორჩილე-

ბა; საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დეტალურად შემუშავებული პროგრამის არსებობა; მოსახლეობის, საზოგადოების მზადყოფნა საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად, ნდობის გამოცხადება ცენტრალური ხელისუფლებისთვის, საბაზრო ქცევის, ცოდნის აუცილებელი დონე; ხელსაყრელი საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს არსებობა.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ, მთლიანობაში, ეს პირობები საქართველოში არ არსებობდა. საბჭოთა კავშირის პირობებშიც კი, უკვე 1988 წლიდან აღარ არსებობდა ქვეყნის ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლება, სახელმწიფო და კომპარტია დეზინტეგრაციის პროცესმა მოიცვა, ქვეყნის მმართველმა ელიტამ არ იცოდა, როგორ უნდა მოეხდინა ეფექტიანი საბაზრო ტრანსფორმაცია, არ იყო შემუშავებული ბაზარზე გადასვლის დეტალური და რეალური პროგრამა. ამიტომ მიმდინარე პროცესები, ფაქტობრივად, უმართავი გახდა. შედეგად, ერთ დროს უძლიერესი სახელმწიფო მწვავე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა, რასაც მისი დაშლა მოჰყვა.

ვითარება დიდად არ გაუმჯობესებულა დამოუკიდებლობის პირველ წლებშიც. სხვანაირად არც შეიძლებოდა. საქართველო ეკონომიკურად კვლავ მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთთან (თუნდაც საკუთარი ვალუტის უქონლობის გამო). მაინც, ეროვნულმა ხელისუფლებამ საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის უფრო ზომიერი სტრატეგია აირჩია, რასაც მის მიერ გაცხადებული „სახელმწიფო კაპიტალიზმის" კონცეფცია და პრივატიზების თანდათან გახორციელების გეგმა ადასტურებს. მაგრამ ამ სტრატეგიას შესრულება არ ეწერა, თუნდაც ქვეყანაში პოლიტიკური განხეთქილების, მმართველ ელიტაში დაპირისპირებული ინტერესების გამო, რასაც სამოქალაქო ომი და აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტები მოჰყვა.

მაგრამ, მთავარი ის არის, რომ ევოლუციური გადასვლა ობიექტურად მაინც ვერ მოხდებოდა. ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა ძალიან შეზღუდული იქნებოდა. პრივატიზე-

ბის გახანგრძლივება დიდ ტვირთად დააწვებოდა ბიუჯეტს, რაც მაღალ ინფლაციას გამოიწვევდა. კლანური, კორუფციული ურთიერთობების გავრცელება, სეპარატიზმის გაძლიერება, საგარეო პირობების გაუარესება იმავე პროცესებს დაგვიანებით მაინც მოიტანდა, რაც საქართველოში რეალურად განვითარდა.

უფრო მნიშვნელოვანი საკითხია ის, თუ როგორ სრულდებოდა რეფორმის თავდაპირველი მიზნები, მიღებული გადაწყვეტილებები. კერძოდ, გასარკვევია, რა ფუძემდებლურ მიზნებს ისახავდა მიღებული სტაბილიზაციისა და სისტემური გარდაქმნების პროგრამები და ინდიკატური გეგმები და როგორ სრულდებოდა ისინი. 1993-1996 წლების სტაბილიზაციისა და სახელმწიფო გარდაქმნის პროგრამის ძირითადი მიზნები იყო: ფასების ლიბერალიზაცია, მათ შორის ენერგომატარებლებსა და პურზე; ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება 20-25%-მდე; დოტაციების შემცირება 15%-მდე, უკვე 1994 წ. ზომიერად მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება; ეროვნული ვალუტის შემოღება; საბანკო და საგადასახადო სისტემების ფორმირება; 1993-1994 წ.წ. მცირე ობიექტების პრივატიზება 70-90%-მდე და მსხვილი საწარმოების აქციონირება; მიწების პრივატიზების პროცესის გაგრძელება. პირველი ინდიკატური გეგმის მთავარი იდეები იყო: რეფორმის თანამიმდევრულად, სისტემურად ჩატარება; წარმოების კრიზისული დაცემის შეჩერება წელიწადში 1-1,5%-მდე, ხოლო სტაბილიზაციის მიღწევის შემდეგ, ყველაზე ხელსაყრელი საშინაო და საგარეო ვითარების პირობებში 5-6 წელიწადში, ე.ი. 2000-2001 წელს წარმოების წინაკრიზისული დონის აღდგენა.

ამ მიზნობრივი პარამეტრების რეალურად მიღებულ შედეგებთან შედარება გვიჩვენებს, რომ რეფორმის თავდაპირველ დოკუმენტებში პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და რაოდენობრივი მიჯნებიც კი ძირითადად სწორად იყო განსაზღვრული. ფაქტია, რომ მთავრობამ, ხელისუფლებამ სრულად ვერ შეასრულა დასახული კურსი, მაგრამ ჰიპერინფლაციის შემდეგ იგი იძულებული იყო, კვლავ დაბრუ-

ნებოდა ამ კურსს. ამის შემდგომ რეფორმის ადრე დასახული მიზნები შესრულდა, თუმცა დიდი სოციალური საზღაურით.

რეფორმის რადიკალურად სწრაფად განხორციელება დაკავშირებულია საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისულ პროგრამასთან, რომელიც 1994 წ. დასაწყისში დაამტკიცა სახელმწიფოს მეთაურმა. იგი ეყრდნობოდა ეკონომიკის სამინისტროში 1993 წ. ბოლოს შემუშავებული მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების პროგრამას და იმავდროულად მის განვითარებასაც წარმოადგენდა.

რეფორმის ეტაპების გამოყოფა არ შეიძლება იმის მიხედვით, უშვებს თუ არა ხელისუფლება შეცდომებს, ირჩევს თუ არა იგი სწორ პოლიტიკას. არც იმის დაშვება შეიძლება, რომ ყოველი ახალი მინისტრი თავიდან იწყებს რეფორმას მხოლოდ იმ მოტივით, რომ წინამორბედის პოლიტიკა, მისი აზრით, არასწორი იყო.

სინამდვილეში, 1990–1996 წლები ერთიანობაში, ეკონომიკური რეფორმის ერთი (უმნიშვნელოვანესი) ეტაპია, რომელიც უფრო რადიკალურად 1994 წლიდან ხორციელდებოდა. იგი დასაწყისში დადებითთან ერთად, ძალზე უარყოფითი შედეგებითაც ხასიათდებოდა.

დადებითი შედეგებიდან მთავარია: სოციალისტური მეურნეობრივი სისტემის ლიკვიდაცია და საბაზრო მეურნეობის, ურთიერთობების ძირითადად ჩამოყალიბება; ეროვნული სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ფორმირება, ლიბერალური საზოგადოების ზოგადი საფუძვლების, საბაზრო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტების ჩამოყალიბება, კონკურენტული საბაზრო მექანიზმის დაშვება; ინფლაციის მაღალი ტემპების, წარმოების დაცემის დაძლევა და ერთობლივი მოთხოვნის, მოსახლეობის რეალური შემოსავლების, ეკონომიკური ზრდის პირობების უზრუნველყოფა; მომდევნო ეტაპზე რეფორმის ევოლუციური გზით განვითარების პირობების შექმნა. ამ ეტაპის მთავარი შედეგია კაპი-

ტალიზმის ძირითადად გამარჯვება, რაც ფასების ლიბერალიზაციითა და ძირითადი საბაზრო სტრუქტურების დამკვიდრებით გამოიხატა. მისი საბოლოოდ გამარჯვება 1995წ. დასასრულს, რაც ეროვნული ფულის შემოღებით დაგვირგვინდა. აქედან ჩანს, რომ, ამ ეტაპზე, უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის სოციალური რევოლუცია მოხდა, რომლის დაკნინებაც არ შეიძლება. სწორედ ამ პერიოდში ყველაზე უფრო მთავარი – საბაზრო წესების, მექანიზმების ფუძემდებლური ელემენტების რადიკალურად დანერგვა მოხდა.

უარყოფითი შედეგებიდან უნდა გამოვყოთ: რეფორმის ძალიან მაღალი სოციალური საზღაური, მოსახლეობის ფართო მასების ცხოვრების დონის უკიდურესად გაუარესება, შობადობის მკვეთრი შემცირება, ჰიპერინფლაცია და წარმოების ხანგრძლივი მასშტაბური შემცირება, დეინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის, სხვადასხვა დარგის განვითარების დონის მკვეთრი დაცემა, მეცნიერულ-ტექნიკური და საგანმანათლებლო პოტენციალის მკვეთრი შემცირება, ეკონომიკის კრიმინალიზაციის, ჩრდილოვანი ეკონომიკის, კორუფციის მაღალი დონე, რომელიც, ფაქტობრივად, ანგრევს ეკონომიკას.

1997 წლიდან საქართველოში ეკონომიკური რეფორმის მეორე ეტაპის მთავარი მიზანია გარდამავალი პერიოდის დასრულება, კონკურენტუნარიანი და მაღალეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის ფორმირება.

მისი დამახასიათებელი ნიშნებია: საშინაო და საგარეო ლიბერალიზაციის გაღრმავება, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება, მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციის გაგრძელება, ინსტიტუციური და სტრუქტურული ტრანსფორმაციის თანდათანობით გახორციელება, სამართლებრივი რეფორმის გატარება, ეკონომიკური აგენტების საბაზრო ქცევის, კონკურენტული ბაზრების თანდათან ჩამოყალიბება, საწარმოების პრივატიზებისა და რესტრუქტურიზაციის პროცესის გაგრძელება.

საერთოდ, ობიექტურად, არსებობს ევოლუციის ორი ფორმა. პირველი სტრუქტურული ევოლუცია მოიცავს ორგანი-

ზაციული სტრუქტურების ევოლუციას, როდესაც ტრადიციული ინსტიტუციური სამეურნეო წესები უცვლელია, ხოლო მეურნე სუბიექტები და მათ შორის ურთიერთობები იცვლება (ახალი ფირმების, ბანკების, სტრატეგიული ალიანსების, ბაზრების წარმოშობა). მეორე გულისხმობს ინსტიტუციური წესების ევოლუციას მეურნე სუბიექტების უცვლელობის პირობებში. ტრანსფორმაციის რეალური მექანიზმი სწორედ მათი მონაცვლეობითა და ერთიანობითაა გამოხატული. სტრუქტურული ცვლილებების ხანგრძლივი პერიოდი იწვევს წესრიგის ცვლილებების შედარებით მოკლევადიან პირობებს, ეს უკანასკნელი სტრუქტურული ცვლილებების მეორე პერიოდს და ა.შ. თუმცა რეალური სურათი გაცილებით რთულია, რადგანაც სინამდვილეში ლოკალური ევოლუციური ციკლი სხვადასხვა დონეზე, მაგრამ ერთდროულად ფუნქციონირებს.[37]

მაგრამ ფაქტობრივად, ჯერჯერობით, სახეზეა უარყოფითი შედეგებიც: კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის გაძლიერება; საწარმოების რესტრუქტურიზაციის, წარმოების სტრუქტურული გარდაქმნის დაგვიანება; ექსპორტის დიდად ჩამორჩენა; საგადასახდელო ბალანსის უარყოფითი სალდოს მნიშვნელოვანი ზრდა; საგარეო ვალის ზრდა; მწვავე ფინანსური კრიზისი, მნიშვნელოვანი საბიუჯეტო დეფიციტი გადასახადების ამოღების დაბალი დონისა და სახელმწიფოს შედარებით მაღალი ტვირთის პირობებში; მოსახლეობის დიდი უმრავლესობის გაღატაკება.

რეალური ვითარებიდან ჩანს, რომ **ეკონომიკური რეფორმების მეორე ეტაპი (1997 წლიდან) ობიექტურად, უპირატესად, ევოლუციური გარდაქმნებით ხორციელდება**, რადგანაც გვაქვს ეროვნული ვალუტა, მაღალი ინფლაცია დაძლეულია, რეალური შემოსავლები ნელა, მაგრამ მაინც იზრდება, სახეზეა ეკონომიკური რეფორმის

---

[37] იხ. Улюкаев А. Переход (о политико-экономических проблемах системной трансформации в России). - ჟ. "Вопросы экономики", 1996, № 10, გვ.4-22.

სქემა I

რეფორმის თანმიმდევრული ფაზები



ზრდაც. თუმცა, ეს უკანასკნელი არამდგრადია, რაც პერიოდულად ლარის გაუფასურებით, ინფლაციის გაძლიერებით, ფინანსური კრიზისით, ცხოვრების დონის გაუარესებით, ზრდის ტემპების შენელებით გამოიხატება. ევოლუციური ტრანსფორმაციის ტიპზე გადასვლა აუცილებლობის შემთხვევაში არ გამორიცხავს რადიკალური მეთოდების გამოყენებას. ასეთი მეთოდის გამოყენება აუცილებელია კორუფციის დასაძლევად, ჩრდილოვანი ეკონომიკის მკვეთრად

შესამცირებლად, საგანგებო ეკონომიკური, ფინანსური, ეკოლოგიური ვითარების გადასალახად და ა.შ.

მაშასადამე, გრძელვადიან პერიოდში ტრანსფორმაციისათვის დამახასიათებელია რადიკალური და ევოლუციური მეთოდების მონაცვლეობა, ანუ, საერთო ჯამში, კომბინირებული, სისტემური მეთოდი (სქემა 1). მათი დაპირისპირება, ურთიერთგამორიცხვა სწორი არ არის. ვითარების შესაბამისად, ერთ სფეროში რადიკალური გარდაქმნებია საჭირო, სხვა სფეროში - ევოლუციური.

რეფორმების პირველი ეტაპის (1990–1996 წ.წ.) მთავარი ამოცანა იყო, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობის გათვითცნობიერება და სოციალისტური სისტემიდან დიდი ნგრევის გარეშე გამოსასვლელად პირობების მომზადება. იგი იყო პოლიტიკური და სოციალური რევოლუციის ეტაპი, რადიკალური რეფორმების ეტაპი, რომელმაც საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, სოციალისტური მეურნეობრივი სისტემის ლიკვიდაცია და საბაზრო სისტემის (ძირითადად) ფორმირება განაპირობა, თუმცა უკიდურესად მაღალი სოციალური ფასით. **რეფორმების მეორე ეტაპი (1997 წლიდან) უპირატესად ევოლუციური რეფორმების ეტაპია, რომელმაც გარდამავალი პერიოდი მაღალეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებით უნდა დააგვირგვინოს.** მისი ხანგრძლივობა საქართველოს შესაძლებლობების გამოყენების, უხეში შეცდომებისა და საგარეო ვითარების უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების უნარზეა დამოკიდებული.

თავი 4. სახელმწიფო და მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია

4.1. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ტრანსფორმაცია

სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხია საქართველოსათვის. მისი გადაწყვეტის ხარისხზე დიდადაა დამოკიდებული ქვეყნის განვითარების პერსპექტივები. სახელმწიფოს აქტიური ფუნქციონირების გარეშე შეუძლებელია რეფორმების გატარება, საბაზრო მეურნეობაზე გადასვლა, სოციალურ-ეკონომიკური ჩამოყალიბების დაძლევა და პროგრესის მიღწევა.

ამიტომ მიზანშეწონილია განვიხილოთ, ჯერ ერთი - სახელმწიფოს ეკონომიკური როლის გენეზისი, ტრანსფორმაციის ზოგადი ტენდენციები და მეორე - მისი თავისებურებანი საქართველოში, რამდენად პასუხობს იგი ქვეყნის განვითარების თანამედროვე და სამომავლო მოთხოვნებს.

პრობლემის შესწავლა გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური როლი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად ცვალებადობით ხასიათდება, ანუ პერიოდულად იგი იზრდება, ან მცირდება. ადრეული კაპიტალიზმის დროს, დაახლოებით მეოცე საუკუნის 30-იან წლებამდე, სახელმწიფოს ეკონომიკური როლი შედარებით მცირე იყო. ეს არის თავისუფალი კონკურენციის ბატონობის პერიოდი, როდესაც ეკონომიკა წარმოდგენილი იყო ატომისტური საბაზრო სტრუქტურით, დაახლოებით თანაბარი ძალის საწარმოებით. ამის შესაბამისად, საბაზრო კონკურენტული მექანიზმის გაძლიერების ტენდენცია აღინიშნებოდა. გავრცელებული იყო ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეოლოგია, უსაზღვრო რწმენა „ბაზრის უხილავი ხელის" უპირატესობასა და ეფექტიანობაში, რომლის ყოველმხრივი დასაბუთება მე-18 საუკუნის დასასრულს მოგვცა ადამ სმითმა.[38] „უხილავ ხელ-

[38] იხ. ა. სმითი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. თბილისი, 1938.

ში" იგულისხმება კონკურენტული საბაზრო მექანიზმი, რომელიც ავტომატურად უზრუნველყოფს მოთხოვნა-მიწოდების წონასწორობასა და რესურსების ეფექტიან გამოყენებას მეურნეობაში. მაგრამ საბაზრო სტრუქტურა, კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე, თანდათან იცვლებოდა. მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულებში თავისუფალი კონკურენციის ბაზრები შეიცვალა, არაკონკურენტული, გაუწონასწორებელი ბაზრებით. 1929-1933 წ.წ. „დიდმა დეპრესიამ" დაადასტურა, რომ კონკურენტული საბაზრო მექანიზმი ავტომატურად აღარ მოქმედებდა და კრიზისების, მასობრივი უმუშევრობის, სიღარიბის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო ეკონომიკაში სახელმწიფოს აქტიური ჩარევა. ამის აუცილებლობა თეორიულად დაასაბუთა ჯ.მ. კეინზმა და კეინზელობამ, რომელიც გაბატონდა ეკონომიკურ მეცნიერებაში. ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების კონცეფცია და პოლიტიკა გაბატონებული იყო 70-იანი წლების ბოლომდე. მან უდიდესი როლი შეასრულა არა მარტო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დანგრეული ეროვნული მეურნეობების აღდგენაში, არამედ მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციის განხორციელებაშიც, რაც სახელმწიფოს ეკონომიკაში აქტიური ჩარევის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.[39]

ამ ეტაპზე სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ამაღლება განვითარებულ ქვეყნებში გამოიხატებოდა მისი მარეგულირებელი ფუნქციების გაზრდით, დარგობრივი და რეგიონული პოლიტიკით, მეწარმეობისადმი ხელშეწყობით, სოციალური პოლიტიკით, სახელმწიფო სექტორის გაფართოებით. შესაბამისად, იზრდებოდა სახელმწიფოს ერთობლივი ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ. განვითარებული ქვეყნების ჯგუფისათვის ამ მაჩვენებელმა 1870 წ. შეადგინა მთლიანი შიდა პროდუქტის 8%, 1913 წ. - 9%, 1920 წ. - 15%, 1937 წ. - 21%, 1960 წ. - 18,0%, 1980 წ. - 44%. თუმცა ქვეყნების მიხედვით ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მერყეობდა. 80-იანი წლების დასაწყისში შვეციასა და დანიაში

[39] იხ. Эрхард Л. Полвека размышлений. Речи и статьи. М., 1991.

იგი შეადგენდა 57%-ს, იტალიასა და საბერძნეთში - 46-47%-ს, გერმანიაში, კანადასა და ირლანდიაში - 42%-ს, დიდ ბრიტანეთში, პორტუგალიასა და ფინეთში - 37%-ს, აშშ-ში - 34%-ს, იაპონიაში - 28%-ს.[40]

მაგრამ 80-90-იან წლებში კვლავ აღინიშნება სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ერთგვარი შემცირების ტენდენცია, რაც, ძირითადად, გამოწვეული იყო წინა პერიოდში მისი გაუმართლებლად მასშტაბური ამაღლებით, გლობალიზაციის ტემპის დაჩქარებითა და მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციის ახალი პოსტინდუსტრიული ტალღით. ცხადი გახდა, რომ სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს საბაზრო მეურნეობაში აქვს თავისი საზღვრები, ადგილი, როდესაც იგი იძლევა მაქსიმალურ ეფექტს: მან არ უნდა შეზღუდოს კონკურენცია, მეწარმეთა დამოუკიდებლობა, შემოქმედებითი უნარი, არ უნდა დაარღვიოს სოციალურად და ეკონომიკურად გამართლებული თანაფარდობა დაგროვებასა და მოხმარებას შორის. თუ სახელმწიფო ჭარბად ერევა მეურნეობრიობაში, ზღუდავს კონკურენციას, მაშინ იგი იწვევს კრიზისულ სიტუაციებს და აფერხებს განვითარებას. ეს შესანიშნავად დაასაბუთა მონეტარისტულმა მიმდინარეობამ მ. ფრიდმანის მეთაურობით, რომელმაც უჩვენა, რომ სახელმწიფოს ჭარბი ჩარევა ეკონომიკაში, საბოლოოდ იწვევს ბიუჯეტის დეფიციტის ზრდას, სტაგფლაციას, ეკონომიკური ზრდის შეფერხებასა და ინფლაციის გადიდებას, უმუშევრობის მკვეთრ ამაღლებას, კონკურენტუნარიანობის შემცირებას. მ. ფრიდმანი აღიარებდა საზოგადოებრივი დოვლათის, სოციალური კრიტერიუმების განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და სახელმწიფოს როლს მათ უზრუნველსაყოფად, მაგრამ მიაჩნდა, რომ სახელმწიფომ ისინი უნდა უზრუნველყოს კერძო ინსტიტუტებით, საბაზრო მექანიზმის მეშვეობით და არა დოვლათის საზოგადოებრივი გადანაწილებით, ადმინისტრაციულად და კონკურენციის შეზღუდვით.[41]

---

[40] The Economist, 20.09.1997, გვ. 41-42.

[41] იხ. Фридмен М. Если бы деньги заговорили ... М., 1999.

შედეგად, მონეტარიზმმა, მოლოდინისა და მიწოდების თეორიებთან ერთად, ამ პერიოდში ააღორძინა ლიბერალიზმი. ბოლო ათწლეულები განვითარებულ ქვეყნებში აღინიშნა ეკონომიკის ფართო დარეგულირებით, ანუ პრივატიზების პროცესებითა და სახელმწიფო სექტორის შეკვეცით. ამან ფრიად დადებითი შედეგები გამოიღო: გაძლიერდა კონკურენცია, მნიშვნელოვნად ამაღლდა კერძო სექტორის თვითდაფინანსების დონე, გაფართოვდა ინვესტიციური საქმიანობა, რამაც დააჩქარა სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარება.

და მაინც, მიუხედავად დარეგულირების პროცესების განვითარებისა, არ შეიძლება იმის თქმა, რომ თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს როლი განვითარებულ ქვეყნებში მცირდება. მთლიან შიდა პროდუქტზე სახელმწიფო ხარჯების წილი კვლავ მაღალია. 1990 წ. მან შეადგინა 46%, 1995 წ. - 48-49%, ანუ 80-90-იან წლებში, მართალია, ნელა, მაგრამ მაინც იზრდებოდა.[42] ისიც აშკარაა, რომ სახელმწიფოს ჩარევის გარეშე პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაშიც ვერ გადაწყდება ისეთი პრიორიტეტული პრობლემები, როგორიც არის განათლების, ჯანმრთელობის, მეცნიერების განვითარება, გარემოს დაცვა, სიღარიბის დაძლევა, კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა.

ამასთან, ნიშანდობლივია შემდეგი ფაქტებიც: 1997 წ. მსოფლიო ბანკმა გამოაქვეყნა მორიგი მოხსენება მსოფლიო განვითარების შესახებ, რომელიც სპეციალურად ეძღვნება სახელმწიფოს როლს მსოფლიო განვითარებაში. საინტერესო არის ის, რომ ეს საერთაშორისო ორგანიზაცია ათწლეულების განმავლობაში თეორიული გამოკვლევებით, თუ პრაქტიკული საქმიანობით ყველას დარწმუნებას ცდილობს სახელმწიფო ეკონომიკაში ჩარევის მიუღებლობის შესახებ, ამჟამად კი გამოდის სახელმწიფოს როლის მინიმიზაციის ლიბერალური კონცეფციის წინააღმდეგ და მოჰყავს არგუმენტები „ეფექტიანი სახელმწიფოს" აუცილებლობის დასაბუთების მიზნით.[43] ბოლო პერიოდის მოვლენები ცხადყოფს,

---

[42] The Economist, 20.09.1997, გვ. 42.

[43] იხ. World Development Report 1997. Oxford University Press. N.Y., 1997.

რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდიც თანდათან იცვლის თავის მკაცრ ორთოდოქსურ ნეოლიბერალურ პოზიციას და უახლოვდება მსოფლიო ბანკის კონცეპტუალურ მიდგომებს.

ნიშანდობლივია ისიც, რომ 2000 წ. აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების მსვლელობამ დაადასტურა, რომ, ტრადიციულად, კონსერვატიულ და ლიბერალურ-დემოკრატიულ მიმდინარეობებს შორის უკვე აღარ არის პრინციპული სხვაობა პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალურ საკითხებში, არამედ განსხვავება დასახული პრიორიტეტების, მიზნების მიღწევის კონკურენტული მეთოდების სფეროშია. იგივე მდგომარეობაა სხვა დასავლურ ქვეყნებშიც.

საერთოდ, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შესახებ გამოიკვეთა რამდენიმე მიმართულება, რომელსაც უმნიშვნელო შენიშვნებით აღიარებს ეკონომიკური აზრის ყველა ძირითადი მიმართულება. მათ შორისაა: ფულის ემისია და ფულადი სისტემის რეგულირება; საბაზრო ურთიერთობების, მათ შორის კერძო საკუთრებისა და მომხმარებელთა უფლებების საკანონმდებლო ბაზის შექმნა და მხარდაჭერა; კონკურენტული გარემოს მხარდაჭერა და ეკონომიკის მონოპოლიზაციის აკრძალვა; საზოგადოებრივი დოვლათის წარმოება, მათ შორის განათლების, ფუნდამენტური მეცნიერების, თავდაცვის და ა.შ. სფეროებში – საბაზრო საქმიანობის უარყოფითი ეფექტების მინიმიზაცია (კერძოდ, გარემოს დაცვა); საზოგადოებაში მაღალი სოციალური დიფერენციაციის დაძლევა, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის დახმარების გაწევა. ასევე, სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფუნქციადაა აღიარებული – ეკონომიკის შემდგომი სტაბილიზაციის, ზრდისათვის ხელშეწყობა, მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, ეკოლოგიური და სოციალური მოთხოვნების გათვალისწინებით; წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისადმი ხელშეწყობა, ინოვაციური საქმიანობის, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერით.

რაც შეეხება განვითარებადი ქვეყნების ჯგუფს, ისინი, ტრადიციულად, სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის უფრო მაღალი ხარისხით გამოირჩევიან, მაგრამ აქაც გარკვეული ზომით. 80-90-იან წლებში დერეგულირების პროცესებიც აღინიშნებოდა. თუმცა ჩამორჩენილობის გამო, სახელმწიფო სექტორის მოცულობები და მთლიან შიდა პროდუქტში სახელმწიფოს ხარჯების წილი შედარებით მოკრძალებულია: 1960 წ. იგი შეადგენდა 15%-ს, 1980 წ. - 26%-ს, 1990 წ. - 27%-ს.[44] ამ ქვეყნებისათვის სასიცოცხლოდ აქტუალურია ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევისა და სტრუქტურული გარდაქმნების ამოცანა, რისი განხორციელებაც სახელმწიფოს ჩარევის გარეშე შეუძლებელია. ამას ადასტურებს ე.წ. „აზიური მოდელის" ფუნქციონირების შედეგები. აზიის მრავალი ჩამორჩენილი ქვეყანა, სახელმწიფოს აქტიური და სწორი ეკონომიკური პოლიტიკის წყალობით, მეურნეობრიობაში ჩარევის საფუძველზე, განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნად იქცა. ნიშანდობლივია მალაიზიის მაგალითი, რომელიც ბოლო სამი ათეული წლის მანძილზე, პრემიერ-მინისტრ მოჰამედ მაჰატის ხელმძღვანელობით პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ორთოდოქსულ ლიბერალურ პოლიტიკას და მიაღწია გარკვეულ შედეგებს ეროვნული ინტერესებისა და პროგრესის თვალსაზრისით, მათ შორის, 1998 წ. მსოფლიო ფინანსური კრიზისის შედეგების დაძლევასთან დაკავშირებით. ამით იყო გამოწვეული, რომ დასახელებული საერთაშორისო ორგანიზაციები იძულებული გახდნენ, აღიარონ მალაიზიის, ჩინეთის, სამხრეთ კორეის, ტაივანის, ვიეტნამის, ინდოეთისა და სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლის აუცილებლობა, სადაც სახელმწიფო შედარებით უფრო აქტიურად ერევა ეკონომიკაში და ფრიად წარმატებულ ეკონომიკურ პოლიტიკას ახორციელებს. ეს კი ლიბერალური ეკონომიკური დოქტრინის რეკომენდაციებს არ შეესაბამება.

---

[44] The Economist, 20.09.1997, გვ. 41-42.

ძალიან საინტერესოა სახელმწიფოს ეკონომიკური როლის დინამიკა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. ამასთან, შეიმჩნევა დიდი მსგავსება განვითარებად ქვეყნებში არსებულ მდგომარეობასთან. ეს ბუნებრივია, რადგანაც მათთვისაც აქტუალურია ისეთი ამოცანები, როგორიცაა სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესისა და საერთოდ, განვითარების დაჩქარება. ეს ამოცანები, ობიექტურად, სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის აუცილებლობას განაპირობებს. მაგრამ ამავე დროს, ისინი ხასიათდებიან ისეთი თავისებურებით, როგორიცაა სოციალისტური ცენტრალიზებული გეგმიანი სისტემის დემონტაჟისა და საბაზრო მეურნეობაზე გადასვლის აუცილებლობა. ეს მოითხოვს ეკონომიკაში სახელმწიფოს დომინირებადი როლის ლიკვიდაციას, კერძო საკუთრების ინსტიტუტის ლეგიტიმაციას, მეურნეობის განსახელმწიფოებრიობას, პრივატიზებას, კონკურენტული ურთიერთობების დამყარებას, ახალი საბაზრო ინსტიტუციური გარემოს შექმნას, ინტერესების ჰარმონიზაციას. მართალია, სახელმწიფოს დომინირებადი როლი უნდა მოისპოს, მაგრამ ახალი ინსტიტუციური გარემოს, საბაზრო კულტურის ჩამოყალიბება სახელმწიფოს აქტიური საკანონმდებლო, მაკოორდინებელი და მასტიმულირებელი ზემოქმედების გარეშე, უბრალოდ, ვერ განხორციელდება. ამას ადასტურებს არა მარტო პოსტსოციალისტური ქვეყნების, არამედ საერთოდ, მსოფლიოს გამოცდილება.[45]

ამ საერთო ტენდენციების ფონზე, სახელმწიფოს ეკონომიკური როლის დინამიკა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში კონკრეტული თავისებურებებითა და ნიშნებით ხასიათდება. კერძოდ, გამოიყოფა ქვეყნების სამი ძირითადი ჯგუფი: აღმოსავლეთ ევროპის, პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ჯგუფები. პირველი ჯგუფის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია (ძირითადად), განვითარებული ქვეყნების მოდელთან შედარებით უფრო მეტი სიახლოვე. აქ, შედარე-

---

[45] იხ. Marktwirtschaft als Aufgabe. Wirtschaft und Gesellshaft im Übergang vom Plan Zum Markt. Stuttgart, New-York, 1994.

ბით უფრო ხანმოკლე პერიოდში და ინტენსიურად გახორციელდა ცენტრალიზებული გეგმიანი სისტემის დემონტაჟი ეკონომიკის განსახელმწიფოებრიობა და პრივატიზება, საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბება, კონკურენტული ურთიერთობების დამკვიდრება, საწარმოების სანაცია, ეკონომიკური კრიზისის დაძლევა. მნიშვნელოვანი მომენტია კონსენსუსი. თავისი მასშტაბებით, ხასიათითა და ეფექტიანობით უფრო უახლოვდება დასავლურ მოდელს. თუმცა, ქვეყნების მიხედვით აღინიშნება განსხვავებანიც. ასეთი ჩარევის შედეგიანობა უფრო მაღალია პოლონეთში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, უნგრეთში, ხოლო დაბალი – რუმინეთში, ბულგარეთში, თუმცა აქ ჩარევის ხარისხი უფრო მაღალია.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ცენტრალიზებული გეგმიანი სისტემის დემონტაჟის, საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბების გახანგრძლივება, ღრმა განხეთქილება საზოგადოებასა და ხელისუფლებაში. კონკურენტული ურთიერთობების უქონლობა, სოციალური დიფერენციაციის გაღრმავება, მოსახლეობის დიდი ნაწილის სიღარიბე, ძალიან მაღალი კორუფცია, კრიმინალური ურთიერთობების გაბატონება ეკონომიკაში. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, არ შეიძლება ლაპარაკი ეკონომიკურ დემოკრატიაზე, პირიქით, გაბატონებულია ავტორიტარული ურთიერთობები, ნომენკლატურული კაპიტალიზმი. სახელმწიფო, ფაქტობრივად, ვერ ასრულებს თავის უშუალო ფუნქციებს – ქვეყანაში ვერ უზრუნველყოფს წესრიგს, კონკურენტული ურთიერთობების ჩამოყალიბებას, მოსახლეობის სოციალურ დაცვას და ა.შ. მაშასადამე, მართალია, აქ ძირითადად მოხდა დირექტიული სოციალისტური მეურნეობიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა, ეკონომიკაში სახელმწიფოს დომინირებადი როლის ლიკვიდაცია. რადგანაც სახელმწიფო ვერ ასრულებს თავის ძირითად ფუნქციებს (მათ შორის ჯანსაღი საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბების ინსტიტუციური უზრუნველყოფის ფუნქციასაც), ჩამოყალიბდა არასრულყოფილი საბაზრო ურთიერთობები.

ზემოთ აღნიშნული საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ შემ-

დეგი: სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ტრანსფორმირდება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კვალობაზე. მისი ზომა, ხარისხი განპირობებულია ობიექტური ტენდენციებით, რომელთაგან ნაწილი იწვევს მის ამაღლებას, ნაწილი - მის შემცირებას. თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ამაღლება, შემდეგი ფაქტორებითაა გამოწვეული: „ბაზრის ფიასკო", როდესაც კერძო სექტორი, ობიექტური მიზეზების გამო, არ არის დაინტერესებული ინვესტიციების ჩადებით ნაკლებად მომგებიან სფეროებში, ან ისეთ სფეროებში, საიდანაც ამონაგების მიღებას ძალიან ხანგრძლივი პერიოდი სჭირდება. ასეთია: განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის, ინფრასტრუქტურის სფეროები; მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი, რადგანაც თანამედროვე ფუნდამენტური და გამოყენებითი გამოკვლევები, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების შექმნა იმდენად კოლოსალურ სახსრებს მოითხოვს, რომ მათი დაფინანსება სახელმწიფოს დახმარების გარეშე კერძო სექტორს არ შეუძლია. ამიტომ, ეს სფერო, უპირატესად, სახელმწიფოს მიერ ფინანსდება და სტიმულირდება; ეკონომიკის ინსტიტუციურ-სამართლებრივი მოწყობის აუცილებლობა, მათ შორის კონკურენციის დაცვისა და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება; გლობალიზაციის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით, ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების, კონკურენტუნარიანობის ღონისძიებების განხორციელება; სოციალური თანასწორობის, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა. მაგრამ იმავდროულად მოქმედებენ ფაქტორები, რომლებიც სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შემცირებას განაპირობებენ. მათგან მთავარია შემდეგი: პოსტინდუსტრიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ტექნოლოგიური რევოლუცია, განსაკუთრებით, ინფორმაციული და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დანერგვა, რაც იწვევს წარმოების დეკონცენტრაციას, ინდივიდუალური მეწარმეობისა და, შესაბამისად, საბაზრო ურთიერთობების გაფართოებას; გლობალიზაციის პროცესი. ის შლის ეკონომიკურ საზღვრებს და აფართოებს ზენა-

ციონალურ წარმოებასა და ფინანსურ მეურნეობას, რომელიც არ ექვემდებარება სახელმწიფოთა იურისდიქციას, მათ შორის ფინანსური და სავალუტო რესურსების მოძრაობისას ქვეყნიდან ქვეყანაში; თვითმმართველობის გაფართოება, როდესაც სახელმწიფოს მრავალი ფუნქციის დელეგირება ხდება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ასოციაციებისადმი, საერთოდ საზოგადოებისადმი.

ჩამოთვლილი ფაქტორები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა მასშტაბით მოქმედებს. ამიტომ სახელმწიფოს ეკონომიკური როლის განსაზღვრისათვის აუცილებელია მოცემული ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინება. მეორე მხრივ, ყოფილი სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მიუღებელია როგორც სახელმწიფოს დომინირება მეურნეობაში, ასევე სახელმწიფოს როლის მინიმიზაცია, გამოდევნა ეკონომიკიდან. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შეფასებისათვის მთავარია არა მისი ეკონომიკაში ჩარევის ხარისხი, სახელმწიფოს რეგულირების მასშტაბი, მოცულობა, არამედ მისი ეფექტიანობა, შემადგენლობა, რამდენად პასუხობს იგი ისტორიულ გამოწვევებს, ქვეყნის განვითარების მოთხოვნებს. თუ ჩარევის ხარისხი, რეგულირების მასშტაბი იწვევს ცხოვრების ხარისხის, ეკონომიკური ეფექტიანობის, კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაშინ იგი მისაღები და აუცილებელია, ხოლო თუ პირიქითაა, ან იწვევს ცხოვრების ხარისხის, ეკონომიკური ეფექტიანობის კონკურენტუნარიანობის შემცირებას, მაშინ – მიუღებელია. ამიტომ საჭიროა ვიმსჯელოთ არა მაღალი, ან დაბალი როლის შესახებ (ასეთი მიდგომა ინდუსტრიულ სტადიაზე იყო აქტუალური), არამედ, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ოპტიმიზაციაზე, ეფექტიანობაზე, რამდენად უკეთ პასუხობს იგი განვითარების გამოწვევებს.

ეს დასკვნა განსაკუთრებით აქტუალურია პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის. აქ ვითარება რთულია, რადგანაც საჭიროა, ერთი მხრივ, მკაცრად ცენტრალიზებული სახელმწიფო რეგულირებისა და სექტორის დემონტაჟი, მეორე

მხრივ კი, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი მართვის სრულიად ახალი სისტემის ჩამოყალიბება. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერ გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს ეკონომიკური როლი შედარებით მაღლდება ინსტიტუციური და სტრუქტურული ტრანსფორმაციების გახორციელებისათვის. ამასთან, არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს, რომ სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ამაღლება არ გულისხმობს მისი მეწარმეობრივი საქმიანობის გაფართოებას. ეს შეიძლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში მოხდეს, ომების ან სხვა ექსტრემალურ სიტუაციაში. იგი გულისხმობს მისი ეკონომიკური ფუნქციების როლის ამაღლებას, რომელთაგან თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი:

– ეროვნული ინტერესების რეალიზაციის ფუნქცია, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების, კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას გულისხმობს;

– ეკონომიკის ინსტიტუციურ-სამართლებრივი მოწყობის ფუნქცია, რომლის ძირითადი ელემენტებია ქვეყანაში წესრიგის, კონკურენციის, სოციალური თანასწორობის, პასუხისმგებლობის, ნდობისა და შრომის კულტურის დამკვიდრება;

– „ბაზრის ფიასკოს", ექსტერნალიების უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების, პროფილაქტიკის ფუნქცია;

– ეკონომიკის რეგულირების, ეკონომიკური პოლიტიკის გახოციელების ფუნქცია, მათ შორის, ფინანსურ-საგადასახადო, ფულად-საკრედიტო, სოციალური, სტრუქტურული, რეგიონული, საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა.

სახელმწიფოს ეკონომიკური როლის ტრანსფორმაციის ტენდენციების განსაზღვრის ფონზე, კონცეპტუალური და პრაქტიკული თვალსაზრისით, შესაძლებელია უფრო კომპლექსურად შევაფასოთ მისი მიმდინარეობა საქართველოში.

თანამედროვე პირობებში საქართველოს საზოგადოებაში დამკვიდრებულია შეხედულება, რომ ქვეყნის გადარჩენა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი განუყრელადაა დაკავ-

შირებული კაცობრიობის განვითარების ტენდენციებთან, დემოკრატიული სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის მშენებლობასთან. ამიტომ იყო, რომ რეფორმების გატარებას თავიდანვე მთელმა საზოგადოებამ დაუჭირა მხარი.

რეფორმას უნდა გადაეწყვიტა სამი ძირითადი ამოცანა: იდეოლოგიური პლურალიზმის, აზროვნებისა და შემოქმედებითი საქმიანობის თავისუფლების უზრუნველყოფა; დემოკრატიის, ნამდვილი არჩევნების, პოლიტიკური პარტიებისა და სხვა ძალების საქმიანობის თავისუფლების დამკვიდრება; მბრძანებლური, დირექტიულად მართვადი სახელმწიფო ეკონომიკიდან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო მეურნეობაზე გადასვლა, რაც სახელმწიფოს განსაზღვრული მარეგულირებელი ფუნქციების შესრულებას გულისხმობს.

მიმდინარე ისტორიული გარდაქმნების უდიდესი შედეგები დაკავშირებულია იმასთან, რომ პირველი ორი ამოცანა, ძირითადად, გადაწყვეტილია. ქართველი საზოგადოება აღარასოდეს დაუშვებს ერთი რომელიმე იდეოლოგიის გაბატონებისა და ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემის აღორძინებას, თუმცა დემოკრატიის სრული გაბატონება ჯერ კიდევ ძალიან შორსაა. კვლავ ძლიერია ავტორიტარული ტენდენციები, ხელისუფლების ლტოლვა უკონტროლობისაკენ, რაც, ძირითადად, საზოგადოების სისუსტითაა განპირობებული.

რაც შეეხება ეკონომიკურ ტრანსფორმაციას, სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნების მსგავსად, აქ ერთმანეთს ორი დიამეტრალურად განსხვავებული მიდგომა დაუპირისპირდა. ერთში იგულისხმება მბრძანებლური ეკონომიკის თანდათანობითი, ევოლუციური ტრანსფორმაცია საბაზრო მეურნეობაში, ხოლო მეორეში – რადიკალური, სწრაფი ტრანსფორმაცია, მბრძანებლური ეკონომიკის მოშლა სახელმწიფოს საკუთრების მასშტაბური პრივატიზებით, სახელმწიფოს როლის მინიმიზაცია ეკონომიკაში, მისი შეზღუდვა, ძირითადად, ფულის მიმოქცევის რეგულირებით, „ბაზრის უხილავი ხელის“ მნიშვნელობის გადაჭარბებული შეფასება

და სახელმწიფოს როლის დაყვანა „ღამის დარაჯის“ ფუნქციამდე.

ამასთან, გამოიყოფა ორი პერიოდი - 1988-1990 წლებისა და 1990 წლის მომდევნო პერიოდი.

პირველი პერიოდი მოიცავს საბჭოთა პერიოდს 1988-1990 წლებში, როდესაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ღონისძიებების განხორციელება თითქოს დაიწყო, მაგრამ ეს უპირატესად, იყო ევოლუციური, თანდათანობითი გარდაქმნების გზა, ე.წ. რიჟკოვი-აბალკინის კონცეფციის საფუძველზე.[46] ამ პერიოდს ვერ განვიხილავთ ეკონომიკური რეფორმების საწყისად, რამდენადაც იგი რეფორმებს სსრ კავშირის მოდერნიზების ფარგლებში ითვალისწინებდა - იმის მიუხედავად, რომ ის გარკვეულწილად აისახა დამოუკიდებელ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებზე.

მეორე პერიოდი (1990 წლის დასასრულიდან 1992 წლამდე) არის ეროვნული ხელისუფლების თვითმმართველობის პერიოდი. მისთვის დამახასიათებელია სოციალისტური დირექტიული მეურნეობის დემონტაჟისა და საბაზრო მეურნეობაზე გადასვლის ფუძემდებლური პროცესების დაწყება, მათი თანდათანობითი, ევოლუციური გზის განხორციელების პოლიტიკა, რაც ოფიციალურად ე.წ. სახელმწიფო კაპიტალიზმის კონცეფციის აღიარებით გამოიხატებოდა. ეს იმას ნიშნავდა, რომ კონკურენტულ საბაზრო ურთიერთობებზე სვლის დროს შენარჩუნდებოდა ეკონომიკის სახელმწიფოებრივი მართვის მექანიზმი და სახელმწიფოებრივი სექტორი, ისე, როგორც ევროპისა და აზიის უმეტეს ქვეყანაშია.[47] მაშასადამე, ფაქტობრივად უარყვეს ბაზარზე სწრაფი გადასვლისა და ლიბერალური საბაზრო მეურნეობის ჩამოყალიბების სტრატეგია.

1992 წლიდან ვითარება შეიცვალა, ქვეყნის სათავეში მოვიდა ახალი ხელისუფლება. წინა ხელისუფლებისაგან განსხვავებით მათ აირჩიეს საბაზრო მეურნეობაზე გადასვლის

---

[46] იხ. Пути стабилизации экономики России. М.,1999.

[47] იხ. Абалкин Л. Зигзаги судьбы. Разочарования и надежды. М.,1996; Курс переходной экономики. М., 1997.

სწრაფი, რადიკალური სტრატეგია ეკონომიკის ლიბერალიზაციის, პრივატიზების დაჩქარების, სახელმწიფოს როლის მინიმიზაციის გზით, რაც დღემდე გრძელდება. მაგრამ სახელმწიფოს ეკონომიკიდან გამოდევნა არ შეესაბამება არც განვითარების თანამედროვე ტენდენციებს, არც საქართველოს თავისებურებებს. იგი არ ითვალისწინებს ისტორიულ ტრადიციებს, რომ სახელმწიფო ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში. შეუძლებელია, ამას ძლიერი ზემოქმედება არ მოეხდინა ქართულ მენტალიტეტზე. რაც მთავარია, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე ჩამორჩენილია. ამ ჩამორჩენილობის დასაძლევად, თავისთავად, სახელმწიფოს აქტიური ქმედებაა საჭირო.

დასასრულ, მე-20 და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე, საქართველო, ობიექტურად, გარდამავალ პერიოდშია, როდესაც ხორციელდება გადასვლა, ერთი მხრივ, ცენტრალიზებული დირექტიული მბრძანებლური ეკონომიკიდან კონკურენტულ საბაზრო მეურნეობაზე და, მეორე მხრივ, განვითარების ინდუსტრიული სტადიიდან პოსტინდუსტრიულ სტადიაზე. ასეთი ღრმა გარდაქმნების პერიოდში კი, როგორც წესი, სახელმწიფოს ეკონომიკური როლი მაღლდება. სახელმწიფოს ეკონომიკური როლის მინიმიზაციის კურსის შეუსაბამობა რეალური მოთხოვნებისა და პირობებისადმი, გადაიქცა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის არნახული სიმწვავით გახანგრძლივების მთავარ ფაქტორად, იმის მიზეზად, რომ ათწლიანი რეფორმების შემდეგ, ქვეყანაში კვლავ რეალური ეკონომიკური პრობლემებია და სათანადოდ ვერ ხერხდება ეკონომიკის სანაციისა და მოდერნიზაციის წანამძღვრების შექმნა.

კერძოდ, დღემდე სათანადოდ არ არის გათვითცნობიერებული სახელმწიფოს გადამწყვეტი როლი ეკონომიკის ინსტიტუციურ მოწყობაში, მათ შორის საკანონმდებლო, სამართლებრივ მოწყობაში, სახელმწიფო მართვის ვერტიკალის ჩამოყალიბებაში, საზოგადოებრივი კონსენსუსის უზრუნველყოფაში, კონკურენციის დამკვიდრებაში, ბიზნესის ხელშე-

წყობაში, საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებაში, პასუხისმგებლობის ამაღლებაში. სწორედ ამის შედეგია, რომ საფლეისოდ გვაქვს არასრულყოფილი კონკურენტული საბაზრო მეურნეობა.

ერთ-ერთი აუცილებელი ღონისძიება იყო საკუთრებისა და მეურნეობის განსახელმწიფოებრიობა, პრივატიზების განხორციელება ორი ძირითადი მიზნის მიღწევის - ეფექტიანი მესაკუთრისა და კონკურენციის დასამკვიდრებლად. ეფექტიანი მესაკუთრის შექმნაში იგულისხმება, უწინარეს ყოვლისა, გადასახადების გადახდა, სამუშაო ადგილების შექმნა, საწარმოების რესტრუქტურიზაციისა და სანაციის გზით წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ინვესტიციების მოზიდვა. მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ჩვენ ვერ მივიღეთ ეფექტიანი მესაკუთრე, სტრატეგიული ინვესტორი შემდეგი ძირითადი მიზეზების გამო: ჯერ ერთი, მესაკუთრეთა უმეტესობა ისევ ძველი მენტალიტეტით აზროვნებდა ნაწილის ცოდნა კი საკმარისი არ აღმოჩნდა ეფექტიანი მეურნეობრიობისთვის. მეორე, სახელმწიფოს სათანადო უმოქმედობისა და კორუფციული, კრიმინალური ურთიერთობების გაბატონების შედეგად ვერ ჩამოყალიბდა კონკურენტული, ინვესტიციური გარემო.[1]

სახელმწიფოს ეკონომიკური როლის მინიმიზაციისკენ აღებულმა კურსმა გამოიწვია მისი მარეგულირებელი ფუნქციის შეზღუდვა მხოლოდ ფულადი მასის რეგულირებით, მონეტარული მეთოდებით. ფაქტობრივად, სახელმწიფომ უარი თქვა სტრუქტურული, მეცნიერულ-ტექნიკური და ინვესტიციური პოლიტიკის გატარებაზე. კონკურენტული საბაზრო გარემოსა და სუბიექტების უქონლობის პირობებში, ამით შეიქმნა მართვის ვაკუუმი, რომელიც ადვილად ივსება კრიმინალურ-მაფიოზური და ჩრდილოვანი ურთიერთობებით. გამეფებულია განუკითხაობა. სახელმწიფო და ეკონომიკური სუბიექტები თავიანთ მოვალეობებს სათანადოდ ვერ ასრულებენ. სახელმწიფო უძლურია დაამყაროს წესრიგი ქვეყანაში, დააჩქაროს ქვეყნის ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბება, შექმნას კონკურენტული და ინვესტიციური გარემო, აკრი-

ფოს გადასახადები, იქონიოს ბიუჯეტი, რომელიც მას საშუალებს მიცემს, კერძო ბიზნესის ხელშესაწყობად განახორციელოს ეფექტიანი სოციალური, სტრუქტურული და ინვესტიციური პოლიტიკა. სრულიად არ ფუნქციონირებს კონკურენტული ბაზარი. ფასები, ფაქტობრივად სუბიექტურია – ვისაც როგორ უნდა, ისე აწესებს, ანუ გაბატონებულია მიმწოდებლის და არა მომხმარებლის ფასები. ხელფასმა და პენსიამ, ფაქტობრივად, დაკარგა თავისი მნიშვნელობა, რადგანაც, საარსებო მინიმუმთან შედარებით რამდენჯერმე მცირეა.

აქედან ჩანს, რომ სახელმწიფო, როგორც სახელისუფლებო სტრუქტურა, ვერ განსაზღვრავს ბაზარზე სამეურნეო სუბიექტების ქცევის წესებსა და მათი ფუნქციონირების პირობებს. ამიტომ მთავარია, რომ სახელმწიფომ იზრუნოს, პირველ რიგში, თავისი სახელისუფლებო ფუნქციების შესრულებაზე, შესაბამისი ნორმატიული აქტების, ქცევის წესების შემუშავებითა და შესრულებით, ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფით. იმავდროულად, აუცილებელია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მრავალფეროვანი ინსტრუმენტარიუმის ეფექტიანი გამოყენება, მათ შორის ინდიკატური დაგეგმვის, მიზნობრივი პროგრამების, სახელმწიფო დაკვეთების, საგადასახადო-ფინანსური, ფულად-საკრედიტო, სოციალური, სტრუქტურული, ინვესტიციური პოლიტიკის მეშვეობით. რაც მთავარია, კორუფციასთან, კრიმინალურ სტრუქტურებთან აქტიური ბრძოლითა და ჩრდილოვანი ეკონომიკის დაძლევით, სახელმწიფომ უნდა შეძლოს ქვეყანაში კონკურენტული ატმოსფეროს ჩამოყალიბება. არსებითი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, სახელმწიფოს საგარეოეკონომიკური ფუნქციების გაძლიერებას მსოფლიო მეურნეობაში საქართველოს ეფექტიანი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

4.2. რეფორმების პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული ინტერესები

ანალიზი გვიჩვენებს, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, სამოქალაქო საზოგადოებაზე გადასვლასა და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთან ერთად, მიჩნეულია განვითარების მთავარ პრიორიტეტად. ეკონომიკური რეფორმა უნდა იყოს სახელმწიფოს ეროვნული სტრატეგიის ორგანული შემადგენელი ნაწილი, ის განსაზღვრავს ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების მიზნებსა და მათი მიღწევის საშუალებებს, ანუ როგორი სახელმწიფოს ჩამოყალიბება გვსურს ეროვნული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, ინსტიტუციური თვალსაზრისით და რა უნდა გაკეთდეს ამისათვის მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდებში მსოფლიო განვითარების გათვალისწინებით. ასეთი სტრატეგიის განსაზღვრა უნდა ემყარებოდეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გამოკვეთილად ჩამოყალიბებას, მათი გახორციელებისათვის მუდმივ მზადყოფნას. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები გამოხატავს საზოგადოებრივი ინტერესების ისეთ ბალანსს, რომელიც ისტორიული გამოწვევების საპასუხოდ უზრუნველყოფს საყოველთაო კონსენსუსს და სახელმწიფოს პროგრესულ განვითარებას.

საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი რეალიზაცია გულისხმობს, პირველ რიგში, მისი მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფას. აქედან ცხადია, რომ ეკონომიკური რეფორმა უნდა ემსახურებოდეს არა მხოლოდ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას (რაოდენ დიდი ისტორიული მნიშვნელობისაც არ უნდა იყოს ეს ამოცანა), არამედ ქვეყნის მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე გადასვლასაც. ამიტომ ობიექტურად არსებობს ორგანული კავშირი რეფორმების პოლიტიკასა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს შორის. ამ კავშირის მექანიზმი საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფით გამოიხატება.

სამწუხაროდ, საქართველოს დღემდე არა აქვს სათანადო ერთიანი წინგამსწრები სტრატეგია, მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სახელმწიფოებრივი პროგრამის სახით. ეს, უმთავრესად, აზროვნებისა და საქმიანობის არასისტემურობით, ფრაგმენტულობით აიხსნება. საქმიანობა, არცთუ იშვიათად, უკვე მიღებული უარყოფითი შედეგების ლიკვიდაციით შემოიფარგლება მაშინ, როდესაც პოლიტიკისა და მეცნიერების უპირველესი დანიშნულებაა, არ დაუშვას ასეთი შედეგები წინასწარ დასაბუთებული ღონისძიებების შემუშავებითა და შესრულებით. წინმსწრები სტრატეგიის აუცილებლობა დღეს საყოველთაოდაა აღიარებული. ამას ადასტურებს გაეროსა და მრავალი ქვეყნის მაგალითი, რომლებიც ახორციელებენ განვითარების გრძელვადიან პროგნოზს, მათ შორის მდგრადი განვითარების პროგრამებს. დასავლეთის წამყვან ქვეყნებში კონსტიტუციურად არის დაკანონებული სასიცოცხლო და სტრატეგიული ეროვნული ინტერესები, როგორც მათი უსაფრთხოების გარანტი[48]. ამასთან, უსაფრთხოება განიხილება სისტემურად, როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, სამხედრო უსაფრთხოების ერთობლიობა.

ეროვნული უსაფრთხოების ფუძემდებლური მნიშვნელობა საქართველოსთვის შიდა და გარე ფაქტორებით არის განპირობებული. შინაგანი ფაქტორებიდან მთავარია ის, რომ საქართველომ აღარასოდეს დაუშვას ისეთი ნგრევითი პროცესები, როგორიც 90-იან წლებში მოხდა - საკმაოდ მაღალი ცხოვრების დონის მქონე ქვეყნიდან იგი მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნების რიგში აღმოჩნდა. ახსნას მოითხოვს ის ფაქტი, რომ XIV საუკუნის შუახანებიდან, გიორგი ბრწყინვალეს მეფობიდან მოყოლებული, საქართველო ყოველ საუკუნეში ტერიტორიებისა და მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს კარგავს. აუცილებელია ამის მიზეზების გარკვევა, რომ ასეთი სავალალო შედეგები მომავალში მაინც ავიცილოთ თავიდან. გარე ფაქტორებიდან მთავარია უდიდესი გეოპოლიტიკური

---

[48] იხ. Nixon P. Seize the Moment. Americas Challenge ina One-Superpower World. N.Y. 1992.

ძვრები მსოფლიოში და ერთიანი გლობალური მსოფლიოს ჩამოყალიბების პროცესი[49]. ამ პროცესებს საფუძვლად უდევს არაგანახლებადი ბუნებრივი რესურსების მარაგების სწრაფი შემცირების ტენდენცია, ინტეგრაციული პროცესების, ურთიერთობების, საქონლის, კაპიტალის, სამუშაო ძალის სულ უფრო თავისუფალი მოძრაობის გაძლიერება ქვეყნებს შორის, ზესახელმწიფოებრივი მართვისა და რეგულირების ფუნქციების გაფართოება. ისინი ამცირებენ სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს, სულ უფრო გამჭვირვალეს ხდიან ეკონომიკურ საზღვრებს, ასტიმულირებენ რეგიონულ და ეთნიკურ სეპარატიზმს, გვაროვნული, კოსმოპოლიტური ადამიანის ჩამოყალიბებას, რომელიც წინა პლანზე აყენებს ზოგადსაკაცობრიო და პირად ინტერესებს, ხშირად ეროვნული ინტერესების საზიანოდაც. აუცილებელია გლობალიზაციის უარყოფითი შედეგების დაძლევა, რადგანაც მათი გაძლიერება უდიდეს საფრთხეს უქმნის კაცობრიობას (მისი გენეტიკური და კულტურული საფუძვლების თანდათან დასუსტებისა და მოშლის გამო). ამიტომ დღეს წინა პლანზე წამოწეულია მსოფლიოსა და ცალკეული ქვეყნების მდგრადი და უსაფრთხო განვითარების, მსოფლიოს ახალი წესრიგის ჩამოყალიბების პრობლემა[50].

ამგვარად, საქართველოში ეკონომიკური რეფორმების განხორციელების დროს, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კი, დაცული უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების მოთხოვნები. ხშირად ამ პრობლემებს სათანადო ყურადღება არ ექცევა იმიტომ, რომ თითქოს საბაზრო მექანიზმი თვითონ, ავტომატურად უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას. სხვა მიზეზად სახელდება ის, რომ ქვეყანაში მრავალი გადაუდებელი მიმდინარე პრობლემაა გადასაჭრელი

---

[49] იხ. **თ. ჩიკვაიძე.** გლობალური ცივილიზაციის ფორმირება და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება XXI საუკუნისათვის, - ჟ. „პოლიტიკა", 1997, № 1, გვ.3-8.

[50] იხ. **თ. ჩიკვაიძე.** ახალი მსოფლიო წესრიგი და საქართველოს მომავალი: სტრატეგია XXI საუკუნისათვის. - ჟ. „პოლიტიკა", 1998, № 4-6, გვ. 31-53.

და უსაფრთხოებაზე ზრუნვა აქტუალური არ არის. ასეთი პოზიცია გაუმართლებელია. პირიქით, თავიდანვე რეფორმის განხორციელება უსაფრთხოების მოთხოვნების გათვალისწინებით იყო საჭირო. ამგვარი მიდგომით, დარწმუნებული ვართ, მრავალ უარყოფით შედეგს თავიდან ავიცილებთ. პირველ ინდიკატურ გეგმაში ამ პრობლემისადმი სპეციალური პარაგრაფი იყო მიძღვნილი. მომდევნო პერიოდშიც ხდება მისი აქტუალიზაცია, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამის შემუშავების შესახებ სამთავრობო გადაწყვეტილება, ჯერჯერობით, არ არსებობს.

საქართველოს სტრატეგიული მიზნებისა და ეროვნული ინტერესების სისტემა უნდა ემყარებოდეს ქვეყნის საშინაო და საგარეო ფუნქციას, მისიას, დანიშნულებას საკუთარი მოსახლეობისა და კაცობრიობის მიმართ. საქართველოს უმნიშვნელოვანესი შინაგანი მისიაა მოსახლეობის თვითგანვითარებისათვის პირობების შექმნა, სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრესის გზით, ხოლო საგარეო ფუნქციაა საკაცობრიო პროგრესში, კულტურაში საკუთარი წვლილის მუდმივი გადიდება მისი ტრადიციული ეროვნული თავისებურებებისა და უახლესი მატერიალური და არამატერიალური ფასეულობების გამდიდრების გზით. ეს ფუნქციები უნდა დაკონკრეტდეს სტრატეგიული მიზნებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების სისტემის განსაზღვრით.

ჩვენი აზრით, საქართველოს გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნებია: ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა ნებისმიერ პირობებში და მუდმივად; სახელმწიფოებრიობის განმტკიცება; სამოქალაქო საზოგადოების დამკვიდრება და სრულყოფა; თითოეული ადამიანისა და ერის, მოსახლეობის თვითგანვითარების უზრუნველყოფა მაღალი ცხოვრების დონისა და ხარისხის საფუძველზე.

ეს მიზნები ობიექტურად რეალიზდება მრავალფეროვანი ეროვნული ინტერესების სისტემით სახელმწიფოს მშენებლობის, პოლიტიკის, ეკონომიკისა და სხვა სფეროში. საქარ-

თველოს უმთავრესი ეროვნული ინტერესია მისი თითოეული მოქალაქის თავისუფალი და ყოველმხრივი განვითარების უზრუნველყოფა. ამას უნდა ემსახურებოდეს ყველა სხვა ინტერესის რეალიზაცია. ეროვნული ინტერესების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს სწორედ ადამიანი, მისი კვალიფიკაციის დონე, როგორც საქართველოს ინტელექტუალური, შემოქმედებითი და მეწარმეობრივი უნარის მაჩვენებელი. საქართველოს რეალური პოტენციალი არის, პირველ რიგში, არა მისი ბუნებრივი და მატერიალური სიმდიდრე, ტექნოლოგიების ფლობა, არამედ მისი მოქალაქეების უნარი, გადაწყვიტონ მომავლის უფრო რთული საკითხები წარსულისა და აწმყოს ამოცანების ადეკვატური გადაწყვეტის საფუძველზე. განსაკუთრებით ფუძემდებლური მნიშვნელობისაა საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცება, მთელ მის ტერიტორიაზე დამოუკიდებლობის, მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფა. ბუნებრივი რესურსების სფეროში მთავარ ინტერესს წარმოადგენს საქართველოს გეოსტრატეგიული პოტენციალის გამოყენება საკუთარი და სხვა ქვეყნების განვითარების ხელშეწყობისათვის. მნიშვნელოვანია მატერიალური რესურსების გამრავლებასთან დაკავშირებული ინტერესიც. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ პროდუქციაში, ტექნოლოგიაში, ინფორმაციაში მატერიალიზებული უპირატესობანი სულ უფრო მეტყევი და არასაიმედოა. ამასთან, ყველა ამ ძირითადი და სხვა ეროვნული ინტერესის რეალური გახორციელება შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების, სახელმწიფოს, ეკონომიკის ეფექტიანი ინსტიტუციური მოწყობით, უწინარეს ყოვლისა, კონკურენტუნარიანი საწარმოების, ბიზნესის არსებობით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ უსაფრთხო განვითარებისა და ბიზნესის ურთიერთგანპირობებულობა გლობალიზაციის პირობებში მკვეთრად მაღლდება, განსაკუთრებით მცირე და ჩამორჩენილი ქვეყნებისათვის. ამიტომ საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ეროვნული ინტერესია იმის გათვითცნობიერება, რომ ბიზნესის ყოველმხრივი განვითარება მისი უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი საწინდარია. მეორე

მხრივ, ბიზნესი ვერ განვითარდება ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარეშე.

საქართველოს ეროვნული ინტერესების რეალიზაცია მოითხოვს მისი განვითარების გათვალისწინებას XXI საუკუნისათვის. ეს საკითხი ამჟამად გაეროს, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა და სამეურნეო დაწესებულების ყურადღების ცენტრშია. ამ სფეროში არსებული გამოკვლევების საფუძველზე, მიზანშეწონილია გავითვალისწინოთ მსოფლიო განვითარების შემდეგი ოთხი ტიპური სცენარი: 1. პესიმისტური სცენარი, რომელიც გულისხმობს მსოფლიოს დეზინტეგრაციას, „ლიბანიზაციას", დაშლას ანტაგონისტურ სახელმწიფოებად და რეგიონებად, კონფლიქტებისა და ომების გამრავლებას; 2. ოპტიმისტური სცენარი პლურალისტური და ეკოლოგიური საზოგადოების ჩამოყალიბებით, რომელიც განიხილება როგორც გარდამავალი ეტაპი საყოველთაო ძალადობიდან კაცობრიობის ჰარმონიული განვითარებისაკენ; 3. გლობალური მსოფლიოს ჩამოყალიბების სცენარი ერთიანი მსოფლიო ბაზრით, კულტურული და პოლიტიკური განსხვავებების თანდათან მოხსნით უფრო უნივერსალური ფასეულობების დამკვიდრების სასარგებლოდ; 4. კონვერგენციის სცენარი ერთი რომელიმე ქვეყნის ან ქვეყნების ჯგუფის ჰეგემონიის საფუძველზე.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ სცენარებიდან საქართველოსთვის მიუღებელია პირველი და უფრო მისაღებია მეორე სცენარი. მესამე და მეოთხე სცენარები შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ გამოიწვევს სახელმწიფოებრიობისა და ეროვნულობის დაკარგვას, ამიტომ ამ სცენარებით განვითარებისას დიდი ძალისხმევაა საჭირო საქართველოს თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. გასათვალისწინებელია, რომ დღეს უკვე ყალიბდება მაღალგანვითარებული ქვეყნების ჯგუფი, მისი მოსაზღვრე ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ჯგუფი და პერიფერიული ქვეყნების ზონა, რომლებიც ჩამორჩენილობითა და მუდმივი **შიდა კონფლიქტებით ხასიათდებიან.**

არ შეიძლება ეკონომიკური გარდაქმნების საბოლოო მი-

ზანი იყოს საბაზრო მეურნეობაზე გადასვლა. მისი უმთავრესი მიზანია უფრო მაღალი რანგის ისტორიული ტრანსფორმაციის განხორციელება – პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბება საქართველოში, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა, მისი გადასვლა მაღალგანვითარებული ქვეყნების ჯგუფში.

4.3. მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და რესტრუქტურიზაცია

პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების პროცესი საქართველოში ამჟამად უკვე შეუქცევადია, რაც ქვეყნის უდიდესი ისტორიული მიღწევაა. რეფორმების დასაწყისში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონკრეტული ღონისძიებების შესახებ მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა არსებობდა. პოლონეთსა და რუსეთშიც კი, სადაც რეფორმები საქართველოზე უფრო ადრე დაიწყო, აღნიშნული გადასვლა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური ტრანსფორმაციის გამოცდილებასა და დასავლეთის ეკონომიკური მეცნიერების მიღწევებს ემყარებოდა. ამასთან, აუცილებელი იყო ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინება. ამ თავისებურებებიდან ყველა პოსტსოციალისტურ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, მთავარი იყო: ცენტრალიზებული გეგმიანი სამეურნეო სისტემის დემონტაჟი, ღრმა ეკონომიკური კრიზისის რაც შეიძლება სწრაფად დაძლევა, საბაზრო მენტალიტეტის, ქცევის უქონლობა.

ამიტომ საბაზრო მეურნეობაზე გადასვლა, რეფორმების გატარება ობიექტურად მოითხოვდა, ჯერ ერთი, ეკონომიკური სტაბილიზაციის ღონისძიებების განხორციელებას და მეორე, საბაზრო წესრიგის დამკვიდრების საშუალო და გრძელვადიანი პოლიტიკის გატარებას. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ღონისძიებათა სისტემა გულისხმობს, უწინარეს ყოვლისა, წლიური ინფლაციის შემცირებას ერთნიშნა ციფრამდე, სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსებას, რესტრიქციულ ფულად პოლიტიკას, შემოსავლების შე-

ცხრილი 10

საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლები

მაჩვენებლები	1989 წ.	1990 წ.	1991 წ.	1992 წ.	1993 წ.	1994 წ.	1995 წ.	1996 წ.	1997 წ.
მშპ მიმდინარე ფასებში, ათასი ლარი		14,9	19,1	138,0	25,3	1419	2616	4547	6432
რეალური მშპ-ს ზრდა %-ში	-4,8	-15,0	-20,1	-39,7	-29,3	-12,1	3,3	11,2	11,3
სამრეწველო პროდუქციის ზრდა %-ში	-6,9	-29,9	-22,6	-45,8	-26,6	-39,7	-13,5	7,7	8,2
ბიუჯეტის დეფიციტი/მშპ (%)	-	-	-3,0	-28,0	-34,0	-	-4,5	-5,6	-3,6
ინფლაციის წლიური განაკვეთი (%)	6,4	3,3	75,3	746,4	1037,2	7741,5	57,4	13,5	7,3
მთლიანი სამომხმარებლო ფასების ინდექსი (%)		103,3	175,3	846,4	1137,2	7841,5	157,4	113,5	107,3
სახელმწიფო შემოსავლები/მშპ (%)	31,6	33,3	29,8	10,2	9,7	7,7	7,7	9,8	11,7
სახელმწიფო ხარჯები/მშპ (%)	30,6	32,0	31,7	35,6	33,3	23,5	11,1	17,0	15,0
ბიუჯეტის სოციალური ხარჯები/მშპ (%)			0,6	0,1	2,2	2,2	1,5	2,9	3,0
ბიუჯეტის ხარჯები ჯანდაცვაზე/მშპ (%)			4,2	2,8	2,5	2,5	0,9	0,7	0,8
ბიუჯეტის ხარჯები განათლებაზე/მშპ (%)	6,2	7,2	7,0	3,1	0,6		1,0	1,2	1,6
სახელმწიფო ხარჯები პენსიებზე/მშპ (%)	4,5	4,8	7,9	5,6	1,3		1,8	1,5	1,9
დასაქმების დონე	84,3	87,0	79,7	63,2	62,8		61,8		

წყარო: ჰუმანური განვითარების ანგარიში: საქართველო 1998. თბილისი, 1998, გვ. 96.

ზღუდვას და ეროვნული ვალუტის მყარი კურსის შენარჩუ-ნებას. რაც შეეხება საბაზრო წესრიგის დამკვიდრებას, იგი მოიცავს: საკუთრებითი ურთიერთობების გარდაქმნას, კერ-ძო სექტორის გაბატონებული მდგომარეობის მიღწევას, კონ-კურენციის უზრუნველყოფას, ქმედუნარიანი საბანკო, საგა-დასახადო, სადაზღვევო სისტემის, კაპიტალის, შრომისა და მიწის ბაზრის ჩამოყალიბებას. ✓

საქართველოს მაკროეკონომიკური მდგომარეობის ანალი-ზი გვიჩვენებს (იხ. ცხრილი 10), თუ როგორია რეფორმის ძირითადი შედეგები, რომელი მიზნები ხორციელდება და რომელი ვერა. ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის უპირვე-ლესი მნიშვნელობა ჰქონდა ინფლაციის დაძლევას. ეს პრო-ცესი ძალიან წინააღმდეგობრივად მიმდინარეობდა. დაჩქა-რებული ინფლაცია დაიწყო ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბო-ლოს, როდესაც საწარმოებს მიეცათ საწარმოო პროგრამე-ბისა და პარტნიორების შერჩევის უფლება, შემდეგ კი, ფა-სების დაწესების უფლებაც. ამას დაემატა ბიუჯეტის დეფი-ციტის ზრდის ტენდენციაც, რაც მანამდე საერთოდ უცნობი იყო საბჭოთა კავშირისათვის. მართალია, 1991 წ. აპრილში საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ ეკო-ნომიკურად ის კვლავ მიჯაჭვული იყო რუსეთთან, რადგა-ნაც არ ჰქონდა საკუთარი ეროვნული ვალუტა და რესურ-სების მნიშვნელოვანი ნაწილიც რუსეთიდან და სხვა ყოფი-ლი მოკავშირე რესპუბლიკებიდან შემოჰქონდა. ნედლეულის, სათადარიგო ნაწილების, ბენზინისა და საწვავის მისაღებად-წარმოება მთლიანად დამოკიდებული იყო სხვა რესპუბლი-კებზე. 1989 წ. მოხმარებული ელექტროენერგიის 25% შე-მოტანილი იყო (ისევე, როგორც თითქმის მთლიანად გაზი და თხევადი საწვავი), ხე-ტყის - 80%, ცემენტის - 50%, მსუ-ბუქ მრეწველობაში გამოყენებული ნედლეულის - 90%. შე-მოტანილი იყო რძის პროდუქტების - 60%, მარცვლეულის - 50%, ხორცის - 35%, შაქრის - 90%-ზე მეტი[51]. ამიტომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველო ვერც ად-

[51] საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

რინდელი მოცულობის პროდუქციას აწარმოებდა, ვერც ექსპორტსა და იმპორტს ართმევდა თავს. საკმარისია აღინიშნოს, რომ მისი იმპორტის ღირებულება ყოველწლიურად, დაახლოებით, 2,6 მილიარდ დოლარს შეადგენდა, საიდანაც 1,2 მლრდ. დოლარი ენერგორესურსებზე, 400 მლნ. დოლარი - სურსათზე, 300 მლნ. დოლარი - ფართო მოხმარების საგნებზე, 600 მლნ. დოლარი მანქანა-დანადგარების იმპორტზე მოდიოდა. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში რუსეთში დაწყებულმა რადიკალურმა რეფორმამ (კერძოდ, ფასების მასშტაბურმა ლიბერალიზაციამ 1992 წ. 2 იანვრიდან პირველ ეტაპზე და 18 სექტემბრის მეორე ეტაპზე, როდესაც ფასების ზედა ზღვარი ნავთობსა და ბუნებრივ გაზზე საერთოდ გაუქმდა), განაპირობა ინფლაციის ძალიან მაღალი ტემპით დაჩქარება საქართველოში.[52] მაგრამ რუსეთში მკაცრი ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკით შეძლეს ჰიპერინფლაციის თავიდან აცილება. საქართველოში კი, 1992-1993 წლებში ხორციელდებოდა სრულიად გაუმართლებელი, ზედმეტად ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, კრედიტების განუკითხავად გაცემა. 1993-1994 წლების მაღალი ჰიპერინფლაციის ძირითადი მიზეზი სწორედ მთავრობის არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა იყო. აღნიშნულის გარდა, იყო ისეთი სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორებიც, როგორიცაა სამოქალაქო ომი და შეიარაღებული კონფლიქტები საქართველოში. ინფლაციის წლიურმა ტემპმა 1990 წ. შეადგინა მხოლოდ 3,3%, 1991 წ. - 75,3%, 1992 წ. - 746%, ანუ უკვე დაიწყო ჰიპერინფლაცია, რომელმაც 1993 წ. შეადგინა 1037%, ხოლო 1994 წ. - 7741% (იხ. ცხრილი 11-დაზუსტებული მონაცემებით). მომდევნო პერიოდში საქართველომ შეძლო ინფლაციის დაძლევა: 1995 წ. მან შეადგინა 57%, 1996 წ. - 13,5%, 1997 წ. - 7,3%, 1998 წ. - 0,7%, 1999 წ. - 0.9%.

ფასების ლიბერალიზაცია საქართველოში იძულებითი ნა-

---

[52] იხ. Второй год экономических реформ в Росии. Под ред. Марека Домбровского. Варшава, 1994, გვ. 89.

ცხრილი 11

ინფლაციის ტემპი საშუალოდ წელიწადში, %-ში

ქვეყნები	წ ლ ე ბ ი										საშუალოდ 1985-1994 წლებში
	1985	1986	1987	1988	1989	1990	1991	1992	1993	1994	
საქართველო	-	-	-	-	0,9	4,8	78,5	913,0	3421,0	21068,1	4247,8
რუსეთის ფედერაცია	0	1,3	1,5	0,8	2,8	6,8	92,7	1353,0	896,0	302,0	295,2
აზერბაიჯანი		-	-	-	-	7,8	105,6	912,6	1129,7	1664,4	764,0
სომხეთი					4,8	10,3	100,3	824,5	3731,8	5267,8	1656,6
ბელორუსი					1,7	4,5	83,5	969,0	1188,0	2220,0	744,5
ყაზახეთი					-	4,2	91,0	1381,0	1662,3	1879,9	1003,7
ყირგიზეთი					-	3,0	85,0	854,6	1208,7	278,4	485,9
ლატვია					4,7	10,5	124,4	951,2	109,6	35,6	206,0
ლიტვა					2,1	8,4	224,7	1020,5	410,4	72,2	289,7
მოლდოვეთი					-	4,2	162,0	1276,0	837,0	111,1	478,1
ტაჯიკეთი					-	4,4	111,6	1156,7	2194,9	315,6	756,6
თურქმენეთი					2,1	4,6	102,5	492,9	3102,4	2397,0	1016,9
უზბეკეთი					0,7	3,1	105,0	645,0	534,0	723,0	395,1
უკრაინა					2,2	4,2	91,2	1209,7	4734,9	891,2	1155,6
ესტონეთი	-	-	-	-	6,1	23,1	210,6	1069,0	89,0	47,8	240,9
უნგრეთი	7,0	5,3	8,7	15,8	16,9	28,3	34,2	22,9	22,51	8,8	18,1
პოლონეთი	11,5	16,6	26,4	58,7	251,1	585,8	70,3	43,0	35,3	32,2	113,1
ჩეხეთი	2,3	0,5	0,1	0,1	2,3	10,8	56,7	11,1	20,8	10,1	11,5
აშშ	3,6	1,9	3,7	4,0	4,8	5,4	4,2	3,0	3,0	2,6	3,6
იაპონია	2,0	0,6	0,1	0,7	2,3	3,1	3,3	1,7	1,3	0,7	1,6
დიდი ბრიტანეთი	6,1	3,4	4,1	4,9	7,8	9,5	5,9	3,7	1,6	2,5	4,9
გერმანია	2,2	-0,1	0,2	1,3	2,8	2,7	3,5	4,0	4,1	3,0	2,4
საფრანგეთი	5,8	2,5	3,3	2,7	3,5	3,4	3,2	2,4	2,1	1,7	3,1
თურქეთი	45,0	34,6	38,8	73,7	63,3	60,3	66,0	70,1	66,1	106,3	62,4
ირანი	4,4	18,4	28,6	28,7	22,3	7,6	17,1	25,6	21,2	31,5	20,6
ჩინეთი	11,9	7,0	8,8	20,7	16,3	1,4	5,1	8,6	17,0	24,3	12,1
საშუალოდ მსოფლიოში	33,8	13,4	14,9	43,5	104,9	95,3	55,3	325,9	333,6	469,6	219,7

წყარო: ჟ. Вопросы экономики, №12, 1995, გვ. 105-115; საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე, ბოლო პერიოდში საქართველოს მონაცემები დაზუსტებულია.

ბიჯი იყო რუსეთში გახორციელებული ფასების რადიკალური ლიბერალიზაციის საპასუხოდ. ფასები უნდა გათავისუფლებულიყო, რადგანაც ჩვენ ვერ გავუიდდით (მაგალითად, ენერგორესურსებს) რუსეთზე უფრო იაფად. ენერგორესურსებზე ფასი უცებ რამდენჯერმე გაიზარდა და ტონა ნავთობის ღირებულებამ უკვე 1992 წ. 4000 მანეთს მიაღწია. სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი ფასები დარჩა მხოლოდ პურზე, ბავშვთა პროდუქტებზე, ელექტროენერგიაზე, ტრანსპორტზე. 1992 წ. გახორციელებული ფასების ლიბერალიზაცია, უდავოდ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საქართველოში საბაზრო მეურნეობაზე რეალურად გადასვლისთვის.

ამასთანავე, მცდარი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგად საქართველოში განვითარდა ისეთი მაღალი ჰიპერინფლაცია, რომლის მსგავსიც არ ყოფილა არცერთ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში და მსოფლიოში საერთოდ (იხ. ცხრილი 11). ამასთან, ყურადღებას იქცევს ინფლაციის სხვადასხვანაირი დინამიკა ქვეყნების ცალკეული ჯგუფების მიხედვით. კერძოდ, განვითარებულ ქვეყნებში ინფლაცია, როგორც წესი, დაბალია, ანუ ერთნიშნა რიცხვია, მაშინ, როდესაც განვითარებად ქვეყნებში იგი შედარებით მაღალია. პოსტსოციალისტური ქვეყნებიდან ინფლაციის დაბალი დონით ხასიათდებოდნენ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ბალტიისპირეთის ქვეყნების ჩათვლით და ჩინეთი, ხოლო პოსტსაბჭოთა სასტარტო პირობები მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის განხორციელებისათვის საქართველოში გაცილებით უფრო რთული იყო, ვიდრე სხვა რომელიმე პოსტსაბჭოთა ან ცენტრალური ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყანაში. ამიტომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მისაღწევად საჭირო იყო ძალიან მკაცრი და შედეგიანი ანტიინფლაციური პოლიტიკის რეალურად გატარება.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ შეიძლება გამოვყოთ ანტიინფლაციური პოლიტიკის შემდეგი ძირითადი ეტაპები. პირველი ეტაპი მოიცავს ინფლაციის დაჩქარების ეტაპს 1990-1991 წლებში, მეორე ეტაპი – ჰიპერინფლაციის პერიოდს

1992-1994 წლებში, მესამე ეტაპი - ინფლაციის ნორმალიზების პერიოდს 1995 წლის შემდეგ. ამ უკანასკნელის ფარგლებში გამოიყოფა პერიოდი 1998 წლის მეორე ნახევრამდე, რომელიც აღინიშნა ინფლაციის ერთნიშნა რიცხვამდე შემცირებით და მისი მომდევნო პერიოდი, როდესაც ინფლაციის საერთო დონემ რამდენადმე მოიმატა. ასეთი დინამიკა, უწინარეს ყოვლისა, მაკროეკონომიკური პოლიტიკის თავისებურებებით აიხსნება.

მაკროეკონომიკური დისპროპორციები, ინფლაციის ზრდა 90-იანი წლების დასაწყისშივე მოითხოვდა ეფექტიანი ანტიინფლაციური პოლიტიკის განხორციელებას. მაგრამ არ იყო გაცნობიერებული ის, თუ სტაბილიზაციის რომელი სტრატეგია უნდა ყოფილიყო შერჩეული და გატარებული. იგულისხმება ამ სტრატეგიის არა მხოლოდ კონცეპტუალური გადაწყვეტა, არამედ მისი კონკრეტული ღონისძიებებით ფაქტობრივი რეალიზაციის უნარი აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მეურნე სუბიექტების დონეზე. არ არსებობდა ანტიინფლაციური მექანიზმების ცოდნა, მათი მოქმედებისათვის საჭირო ინსტიტუციური გარემო და საბაზრო ქცევა.

მსოფლიო გამოცდილების შესწავლა გვიჩვენებს, რომ გამოიყოფა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ორი ძირითადი კრიტერიუმი: სტაბილიზაციის მიღწევის მთავარი საშუალებისა და ფულადი პოლიტიკის მთავარი მიზნის კრიტერიუმები. პირველ შემთხვევაში, ორთოდოქსული მიდგომით, სტაბილიზაციის მიღწევის მთავარ საშუალებად მიჩნეულია საბიუჯეტო და ფულადი პოლიტიკა, ბოლო არაორთოდოქსული მიდგომით - შემოსავლების პოლიტიკა, ხელფასსა და ფასებზე დროებითი კონტროლის შემოღება. მეორე შემთხვევაში, მონეტარული სტაბილიზაციის მიზანია ფულის მასის განსაზღვრული მოცულობის, ანუ საბანკო სისტემის წმინდა შიდა აქტივების განსაზღვრული სიდიდის უზრუნველყოფა, ხოლო გაცვლითი კურსის საფუძველზე სტაბილიზაციისას, მთავარ მიზნად ფულადი პოლიტიკისათვის ისახება ფიქსირებული ნომინალური გაცვლითი კურსის ან მისი წინასწარ გამოცხადებული ცვლილების უზრუნველყო-

ფა. ამ ორი კრიტერიუმის კომბინაციით, ლიტერატურაში გამოიყოფა სტაბილიზაციის პოლიტიკის, პროგრამების ოთხი ტიპი: 1. მონეტარული პროგრამა ორთოდოქსული მიდგომით; 2. მონეტარული პროგრამა არაორთოდოქსული მიდგომით; 3. პროგრამა გაცვლითი კურსის საფუძველზე ორთოდოქსული მიდგომით; 4. პროგრამა გაცვლითი კურსის საფუძველზე არაორთოდოქსული მიდგომით.[53] საქართველოს მაგალითმა გვიჩვენა, რომ სტაბილიზაციური პროგრამების ასეთი კლასიფიკაცია საკმარისი არ არის (იხ. ცხრილი 12). ინფლაციური პროცესები საქართველოში სხვა ქვეყნებისაგან სრულიად გამორჩეული, განსხვავებული თავისებურებებით ხასიათდება. მათგან მთავარია შემდეგი: სამოქალაქო

ცხრილი 12

სტაბილიზაციის პროგრამების კლასიფიკაცია

პროგრამის ტიპი	ორთოდოქსული	არაორთოდოქსული
მონეტარული	რუსეთი (1994-1995 წ.წ) ყაზახეთი (1994-1995წ.წ.) უკრაინა (1994-1995 წ.წ)	პერუ (1990 წ.) ბულგარეთი (1991-1992 წ.წ.) რუმინეთი (1991-1992 წ.წ.) სლოვენია (1992 წ.წ.) ლატვია (1992 წ.) ლიტვა (1993 წ.)
გაცვლითი კურსის საფუძველზე	არგენტინა (1978 წ.) ჩილე (1978 წ.) ურუგვაი (1978 წ.) არგენტინა (1991 წ.) ბოლივია (1985 წ.)	არგენტინა (1985 წ.) ბრაზილია (1986-1989 წ.) ჩეხოსლოვაკია (1991 წ.) ესტონეთი (1992 წ.) ისრაელი (1985 წ.) მექსიკა (1987 წ.) პერუ (1985 წ.) პოლონეთი (1990 წ.)
კომბინირებული: მონეტარული და გაცვლითი კურსის საფუძველზე	კომბინირებული: ორთოდოქსული და არაორთოდოქსული საქართველო (1994-1995 წ.წ.)	

[53] იხ. Бофингер П., Флассбек Г., Хоффман Л. Экономика ортодоксальной монетарной стабилизации: пример Росии, Украины и Казахстана. - ჟ.Вопросы экономики, 1995, №12, გვ. 26-44.

ომითა და სეპარატისტებთან კონფლიქტებით გამოწვეული სიძნელეები; ეროვნული ფულის უქონლობა 1995 წ.; არნახულად მაღალი ინფლაციის დონე; გარედან ძლიერი ეკონომიკური ექსპანსია კონტრაბანდის დიდი მასშტაბით ეკონომიკური საზღვრების დაუცველობის გამო. სწორედ ამ თავისებურებებმა განაპირობეს ის, რომ საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციით, 1994-1995 წ.წ. გახორციელდა კომბინირებული ხასიათის ძალიან მკაცრი ანტიინფლაციური პოლიტიკა, რის შედეგადაც წლიური ინფლაცის ტემპი 1994 წელს 7741%-დან, 1995 წელს შემცირდა 53%-მდე. ასეთი პოლიტიკა დღემდე გრძელდება, რაც ინფლაციის მინიმალური დონის შენარჩუნების საშუალებას იძლევა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მაღალი ჰიპერინფლაციის არდაშვება და, საერთოდ, მისი თავიდან აცილება შესაძლებელი იყო.

ამისათვის საჭირო იყო, პირველ რიგში, რეფორმის დაჩქარება საბანკო სისტემაში, მკაცრი ფულად-საკრედიტო და ფინანსური პოლიტიკის გატარება. ანუ როგორც ამას ოფიციალური დოკუმენტები მოითხოვს, ოფიციალურად თავიდანვე გაცხადებული იყო ფულად-საკრედიტო და ფინანსური პოლიტიკის გამკაცრება, კრედიტების ზრდის შესაბამისობის აუცილებლობა ინფლაციის შემცირების მოთხოვნასთან, საპროცენტო განაკვეთის გადაქცევა ფინანსური რესურსების ეკონომიკაში დაბანდების მთავარ ბერკეტად.[54]

1992 წ. მთავრობამ შეიმუშავა და 1993 წ. თებერვალში დაამტკიცა **„საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამა“**, სადაც მოცემულია მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ღონისძიებათა სისტემა. კერძოდ, განსაზღვრულია საბიუჯეტო ხარჯების შეზღუდვა შემოსავლების ოდენობით, სახელმწიფო ინვესტიციების, მმართველობითი ხარჯების შემცირება, ბი-

---

[54] იხ. **რ. გოცირიძე**, ეკონომიკა. პოლიტიკა, ცხოვრება. თბილისი, 1999, გვ. 197-209.

უჯეტის დეფიციტის ეროვნული ბანკის მიერ დაფინანსების კანონით აკრძალვა, პურპროდუქტებზე, რძესა და რძის ნაწარმზე, ელექტროენერგიასა და გაზზე ფასების დანახარჯებთან გათანაბრება, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 20-25%-მდე, ინფლაციის თვიური ტემპის შემცირება 10-15%-მდე, 1993 წელს ეროვნული ვალუტის შემოღება კუპონის ბაზაზე, 1993-1994 წლებში საპროცენტო განაკვეთის ამაღლება დეპოზიტებსა და ანაბრებზე, ინფლაციის გათვალისწინებით. ამასთან, აუცილებელ ღონისძიებად ჩაითვალა მინიმალური ხელფასისა და შრომის ანაზღაურების დონეების გაყინვა და სარეზერვო ვალუტების მიმართ მანეთის, შემდეგ კი კუპონის მცურავი კურსის შენარჩუნება.[55] აქედან ჩანს, რომ საშუალოვადიანი პროგრამით, ფაქტობრივად, არჩეული იყო სტაბილიზაციის მიღწევის კომბინირებული ვარიანტი. ის ითვალისწინებდა ერთდროულად მონეტარულ მიდგომას, ანუ სტაბილიზაციის მიღწევას ფულის მასის რეგულირებით, მცურავი სავალუტო კურსის შემოღებით და არაორთოდოქსულ მიდგომას, ანუ შემოსავლების ანტიინფლაციური პოლიტიკის განხორციელებას, ანუ ხელფასების გაყინვას.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირველ ინდიკატურ გეგმაში, 1993-1995 წლებისათვის, უპირველეს გადაუდებელ ამოცანად დაფიქსირებულია ინფლაციის ზრდის შეჩერება და თანდათანობითი ლიკვიდაცია. მითითებულია, რომ თუ არ მოხერხდა ჰიპერინფლაციის შეჩერება, მაშინ იგი წარმოების სრულ კრახს გამოიწვევს. დასაბუთებულია კატეგორიული მოთხოვნა, რომ უნდა შეწყდეს ეროვნული ბანკის ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და ბიუჯეტის დეფიციტის კრედიტით დაფარვა. განსაზღვრულია ჰიპერინფლაციის დაძლევის კონკრეტული მიჯნები. მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლაციამ 1992 წ. შეადგინა 1200%, 1993 წ. - 4434%, პირველი ინდი-

---

[55] იხ. საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამა. თბილისი, 1993, გვ. 88-94, 101-103.

კატური გეგმით კი 1994 წ. გათვალისწინებული იყო მისი შემცირება 340%-მდე და - 1995 წ. 105%-მდე. მოტანილია მკაცრი ფულად-საკრედიტო და ფინანსური პოლიტიკის ღონისძიებათა კონკრეტული ნუსხა. მაშასადამე, აქაც, საშუალოვადიანი პროგრამის ანალოგიურად, მთავრობის მიერ აღიარებული იყო სტაბილიზაციის უპირველესი მნიშვნელობა და მისი მონეტარული მეთოდით გახორციელება, მცურავი სავალუტო კურსისა და ხელფასების გაყინვის თანხლებით.[56]

აქედან ჩანს, რომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის საშუალოვადიანი პროგრამა და პირველი ინდიკატური გეგმა ითვალისწინებდა სწრაფი რადიკალური რეფორმისა და მონეტარული სტაბილიზაციის გახორციელებას საქართველოში. ეს ვერ მოხერხდა ძირითადად პოლიტიკური მიზეზების გამო, კერძოდ, პოლიტიკური სიტუაციისა და ქვეყანაში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო, თუმცა ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ დასახული ღონისძიებების შესრულება ვერ ხერხდებოდა სახელმწიფო და სამეურნეო სტრუქტურებში დასაქმებულთა კვალიფიციური მომზადების შეუთავსებლობით ახალი საბაზრო მოთხოვნებისადმი. ამიტომ საჭირო გახდა სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამის შემუშავება 1994-1995 წლებისათვის. იგი შემუშავდა 1993 წლის ბოლოს და პრეზიდენტის ბრძანებულებით, ძალაში შევიდა 1994 წ. თებერვლიდან. მასში ბევრ საკითხში, განმეორებული იყო ადრინდელი საშუალოვადიანი პროგრამის პრინციპული ხასიათის მოთხოვნები, ამასთან, შეიცავდა ახლებურ მიდგომებსაც.

ამ პროგრამის ძირითადი მოთხოვნები იყო: ჰიპერინფლაციის დაძლევა, ინფლაციის თვიური ტემპის შემცირება პირველ ეტაპზე 40%-მდე, მეორე ეტაპზე - 20-25%-მდე, მაკროეკონომიკური ტენდენციების კონტროლის მკაცრი საბი-

---

[56] საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირველი ინდიკატური გეგმა 1993-1995 წ.წ. - ჟ. „ეკონომიკა", 1993, №12, გვ. 22, 101-105, 173.

უჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკით, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება 25-30%მდე მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ, სახელმწიფო ხარჯების მკვეთრი შემცირება, საგადასახადო შეღავათების შემცირება და ბაზის გაფართოება, ინფლაციის შესატყვისი საბაზრო პროცენტის დაწესება წლიურად, მინიმუმ, 300%-ის ფარგლებში, კრედიტების მოცულობის ზრდის შეზღუდვა ინფლაციისა და წმინდა სავალუტო რეზერვების მატების ტემპით, ხელფასისა და პენსიების მინიმალური დონის დაწესება, ინდექსაციის დაუშვებლობა, ხელფასისა და შრომის ანაზღაურების დონეების გაყინვა, მცურავი სავალუტო კურსის რეჟიმის გაგრძელება, ეროვნული ფულის შემოღების აუცილებლობა.[57] ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ ანტიკრიზისული პროგრამაც მონეტარული სტაბილიზაციის პროგრამა იყო მცურავი სავალუტო კურსით და იმავდროულად არაორთოდოქსულიც იყო, რადგანაც ხელფასების გაყინვას ითვალისწინებდა.

ზემოთ აღნიშნული გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური სტაბილიზაციის, უკვე არსებული ჰიპერინფლაციის დაძლევის სტრატეგია, ღონისძიებათა დასახული სისტემა სწორი იყო, მაგრამ იგი ვერ ხორციელდებოდა ობიექტური და სუბიექტური მიზეზის გამო. კერძოდ, მართებული იყო ინფლაციის დაძლევის ნომერ პირველ პრობლემად წამოწევა, რადგანაც მაღალი ინფლაცია არა მარტო ცხოვრების დონეს აქვეითებს, არამედ იწვევს ინვესტიციური საქმიანობის შეწყვეტას და, შესაბამისად, წარმოების დაცემას განაპირობებს. მართებული იყო ეკონომიკური სტაბილიზაციის კომბინირებული მეთოდის არჩევაც, რადგანაც საჭირო იყო მაღალი ინფლაციის სწრაფად დაძლევა. გამორიცხული იყო მართულ ინფლაციაზე გადასვლა, მსგავსად 70-იანი წლების ლათინური ამერიკის ქვეყნებისა, ზომიერი ინფლაციის დაშვების მიზნით, რესტრიქციული ღონისძიებებით წარმოების შეზღუდვის თა-

---

[57] იხ. საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისული პროგრამა. თბილისი, 1994, გვ. 13-24, 68.

ვიდან ასაცილებლად, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველოს არ ჰქონდა საკუთარი ეროვნული ვალუტა. მაგრამ ინფლაციის გამომწვევი მთავარი მიზეზების – ბიუჯეტის დეფიციტისა და მიმოქცევაში ჭარბი ფულის მასის ლიკვიდაციისათვის, აუცილებელი იყო მკაცრი ფინანსური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის არსებობა. იმავდროულად საჭირო იყო მცურავი სავალუტო კურსის რეჟიმის დაცვა, რადგანაც ქვეყანას არ ჰქონდა სავალუტო რეზერვები ჯერ მანეთის, შემდეგ კი ლარის ფიქსირებული კურსის შესანარჩუნებლად. აუცილებელი იყო ხელფასების გაყინვაც, რადგანაც სხვა შემთხვევაში ინფლაცია გაძლიერდებოდა.

სინამდვილეში, ტარდებოდა არა მკაცრი ფინანსური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, არამედ ლიბერალური. საქმე ის არის, რომ 1992 წლიდან მნიშვნელოვნად დაეცა სახელმწიფო შემოსავლების მოცულობა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში. მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ სახელმწიფო შემოსავლების წილი 1991 წლის მონაცემებით – 30%-დან, 1994 წელს 4,2%-მდე დაეცა, ხოლო საგადასახადო შემოსავლების წილმა 1994 წლის დასაწყისისათვის მხოლოდ 2% შეადგინა. ასეთ პირობებში სახელმწიფო ხარჯების ზრდის აუცილებლობამ აიძულა ხელისუფლება, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება ემისიური კრედიტებით მოეხდინა. უკვე 1993 წელს ბიუჯეტის დეფიციტმა მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 34%-ს გადაჭარბა და იგი მთლიანად ემისიური კრედიტით დაიფარა. ასეთი წესით დაფინანსდა 1994 წლის ბიუჯეტი. 1992 წლიდან მოყოლებული, 1994 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ყოველგვარი გაანგარიშებისა და რესურსების გარეშე სხვადასხვა ორგანიზაციაზე დიდი ოდენობით სესხების გაცემამ, მოშალა საფინანსო-საკრედიტო სისტემა. ენერგორესურსებსა და პურზე ფასების ლიბერალიზაციის დაგვიანებითა და რეალურთან შედარებით დაბალი ფასების შენარჩუნებით, ხდებოდა წარმოების დიდი მოცულობით სუბსიდირება. 1993 წლის 57%-თან შედარებით, 1994 წლის პირველი ნახევრისათვის სუბსიდიების მოცულობა ბიუჯეტის ხარჯების საერთო მოცუ-

ლობაში 60%-მდე გაიზარდა.

ნიშანდობლივია, რომ კუპონის შემოღების შემდეგ, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მკვეთრად ლიბერალურ ხასიათს ატარებდა, რაც გამოიხატა ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად და სხვადასხვა პროგრამაზე დიდი ოდენობით შეღავათიანი კრედიტის გაცემით, ყოფილი სახელმწიფო კომერციული ბანკებისათვის საკორესპონდენტო ანგარიშებზე სოლიდურ თანხებში ოვერდრაფტების დაშვებით. ბუნებრივია, მიმოქცევაში დიდი მოცულობით გაშვებულმა კრედიტებმა მკვეთრად დააჩქარა სარეზერვო ფულის ზრდა, რომელიც 1993 წლის ბოლოსათვის 30-ჯერ გაიზარდა, წლის დასაწყისთან შედარებით. კრედიტებისა და ფულის მოცულობის მასშტაბურმა ზრდამ, კომერციული ბანკების სავალუტო ოპერაციებით დაინტერესება გამოიწვია, რაც კუპონის სწრაფი გაუფასურებით გამოიხატა. 1 აშშ დოლარი 1993 წლის 5 აპრილს ღირდა 1000 კუპონი, 1 ივლისს - 4800 კუპონი, 1 ოქტომბერს - 12.624 კუპონი, 1994 წლის 1 იანვარს - 102300 კუპონი, ხოლო 1 სექტემბერს - 5 მლნ. კუპონი. შედეგად, კუპონმა საბოლოოდ დაკარგა გადახდისა და დაგროვების ფუნქცია და, ფაქტობრივად, გამოიდევნა ანგარიშსწორების არხებიდან.

"ამგვარად, მართალია, მთავრობის მიერ ოფიციალურად გაცხადებული სტაბილიზაციის სტრატეგია მართებულად იყო განსაზღვრული, მაგრამ მისი რეალიზაცია მან ვერ შეძლო. ამის ძირითადი ობიექტური მიზეზები იყო ქვეყანაში არსებული პოლიტიკური დესტაბილიზაცია, საომარი მოქმედებები, მანეთის ზონაში ყოფნა, ხოლო სუბიექტური მიზეზებიდან - ხელისუფლების პოლიტიკური ნების უქონლობა, სწორი გადაწყვეტილებების მიღების უუნარობა, ბანკებისა და ბიზნესის სხვა წრეების მიერ სავალუტო ოპერაციების სპეკულაციური გამოყენება მაღალი მოგების მიღების მიზნით. ოფიციალურად გამოცხადებული იყო მკაცრი მონეტარული და ფისკალური სტაბილიზაციის კურსი, რეალურად კი, ტარდებოდა ლიბერალური პოლიტიკა."

მაგრამ 1994 წ. მეორე ნახევრისათვის უკვე ხელისუფლე-

ბისთვისაც ცხადი გახდა, რომ ლიბერალური პოლიტიკის გაგრძელება ქვეყანას კატასტროფით ემუქრებოდა. მეორე მხრივ, სეპარატისტებთან საომარი მოქმედების შეწყვეტა, პოლიტიკური სტაბილიზაციის მიღწევა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკთან რეალური თანამშრომლობის შესაძლებლობას იძლეოდა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია საქართველოში 1991, 1992, 1993 წლებშიც ჩამოდიოდა, მაგრამ ამ პერიოდში, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო, მასთან რეალური თანამშრომლობა ვერ ხერხდებოდა. შემობრუნება ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში 1994 წლის შუა ხანებიდან იწყება. 1994 წლის 17-31 ივლისსა და სექტემბერში საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალისტების მოლაპარაკებების შედეგად, შემუშავდა სტაბილიზაციისა და სტრუქტურული რეფორმების პროგრამა 1994 წლის 1 ნოემბრიდან 1995 წლის ოქტომბრის ბოლომდე პერიოდისათვის, რომელიც იმეორებს ანტიკრიზისული პროგრამის სტრატეგიულ ღონისძიებებს სტაბილიზაციის მიღწევის მიზნით, მაგრამ ახალი ვითარების შესაბამისად, აზუსტებს რაოდენობრივ მაჩვენებლებს და, რაც მთავარია, იწყებს მკაცრი მონეტარული სტაბილიზაციის რეალურად განხორციელებას.[58]

ამ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შემდეგი: 1994 წლის ოქტომბრიდან ბანკებში ავტომატური ოვერდრაფტის დაშვებისა და ე.წ. „ჰაერის ფულის“ მიმოქცევაში გაშვების შესაძლებლობის აღკვეთა; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიშებისა და ქვეყნის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების ეროვნული ბანკისათვის გადაცემა; ნაღდი და უნაღდო კუპონის ბაზრების უნიფიკაცია დეპოზიტების ნაღდ ფულად კონვერტაციის ყველა შეზღუდვის გაუქ-

---

[58] სისტემურ გარდაქმნათა დაფინანსების მექანიზმის ფარგლებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რესურსების გამოყენებისადმი მიძღვნილი მოლაპარაკების მოხსენება-რეზიუმე. საქართველოს რესპუბლიკა. 2 სექტემბერი, 1994; განცხადება ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ. - საქართველოს რესპუბლიკა, 20 ოქტომბერი, 1994.

მებით; საბიუჯეტო ხარჯების ძირეული გარდაქმნა, საწარმოების პირდაპირი სუბსიდიების მკვეთრად შემცირება, მათ შორის გაზის მოხმარების სუბსიდირების მთლიანი შეწყვეტა და პურზე ფასების 300-ჯერ მომატება 1994 წლის 15 ოქტომბრიდან, რითაც რეალური საფუძველი ჩაეყარა პურის ფასის ლიბერალიზაციას 1996 წლის 15 ივლისიდან.

სტაბილიზაციის პროგრამის განხორციელებამ შედეგი მოიტანა. 1994 წლის ბოლოს ქვეყნის არაოფიციალურ სავალუტო ბაზარზე 1 აშშ დოლარზე კუპონის გაცვლის კურსი 3,7 მლნ. კუპონით შემცირდა, სტაბილურობა კი - 1,3 მლნ. კუპონის დონეზე. 1995 წლის განმავლობაში ეს კურსი არ შეცვლილა, რამაც შესაძლებელი გახადა ეროვნული ვალუტის - ლარის შემოღება 1995 წლის 25 სექტემბრიდან. შემდგომ პერიოდში, ფაქტობრივად, იგივე კურსი 1998 წლის დეკემბრამდე შენარჩუნდა. ამან ინფლაციის დაძლევა და ნორმალიზება განაპირობა.

მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის უმნიშვნელოვანესი პირობა გახორციელდა. ამისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული ვალუტის მართვადი კურსის რეჟიმის დამკვიდრებას. ეს შესაძლებელი გახდა კუპონის ძლიერი გა-

ცხრილი 13

M2 ფულის აგრეგატის ზოგიერთი მნიშვნელობა

თვე		ნომინალური M2 (მლრდ. მანეთთან კუპონი)	M2 (აშშ დოლარი)	M2 (აშშ) დოლარი ერთ სულ მოსახლეზე
დეკემბერი	1991	12,9	7 588 000 000	1378
დეკემბერი	1992	71,6	173 000 000	32
ივლისი	1993	347,2	352 000 000	64
დეკემბერი	1993	1834	18 000 000	3,26
დეკემბერი	1994	37609	26 000 000	4,72
მარტი	1995	31740	24 000 000	4,44
ივნისი	1995	36761	28 000 000	5,14
სექტემბერი	1995	48132	37 000 000	6,73

წყარო: საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები. საწყისი მიმოხილვა. დეკემბერი. 1995. ტასისი. თბილისი, 1995, გვ. 21.

უფასურებით, ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვების თანდათან ზრდით, რაც მთავარია, საერთაშორისო სავალუტო ფონდის სისტემური ტრანსფორმაციის დაფინანსების სესხის მიღებით, რომელიც მიზნობრივად გამოიყენებოდა ჯერ კუპონის, შემდეგ კი ლარის კურსის სტაბილიზაციისთვის.

მე-13 ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ კუპონის კრახმა ობიექტურად მოამზადა ლარის შემოღება. საკუპონე რეზერვების დაბალმა სიდიდემ დოლარებში ეროვნულ ბანკს მისცა საშუალება, შეენარჩუნებინა კუპონის სტაბილური კურსი შედარებით მცირე ინვესტიციების მეშვეობით. მართალია, სტაბილიზაციის ღონისძიებები მეტ-ნაკლებად 1993-1994 წლებში ხორციელდებოდა, მაგრამ სავალუტო კურსზე აქტიური ზემოქმედების საშუალება ეროვნულ ბანკს მხოლოდ 1994 წლის დეკემბერში საერთაშორისო სავალუტო ფონდთან სისტემურ გარდაქმნათა პირველი ტრანშის მიღების შემდეგ მიეცა. ამ თანხამ დაახლოებით, 39 მლნ. დოლარი შეადგინა. მომდევნო პერიოდშიც ლარის კურსის სტაბილიზებას და შესაბამისად, ინფლაციის შემცირებას ამ კრედიტის მიღება განაპირობებდა.

ინფლაციის დაძლევა, ცხადია, იყო მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, მართალია უმნიშვნელოვანესი, მაგრამ მაინც მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტი. მისი სხვა უმნიშვნელოვანესი ელემენტებია: ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაცია, საგარეო ეკონომიკური დაბალანსების მიღწევა, განსაკუთრებით ეროვნული ვალუტის კურსის სიმყარე, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა. მათი ფაქტობრივი დინამიკა კი ისეთია, რომ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა საქართველოში კვლავ ფრიად სერიოზულ პრობლემად რჩება. კერძოდ, ბიუჯეტის დეფიციტი ქრონიკული გახდა: 1995 წ. მან 198 მლნ. ლარი, 1996 წ. - 255 მლნ. ლარი, 1997 წ. - 276 მლნ. ლარი, 1988 წ. - 188 მლნ. ლარი, 1999 წ. - 254 მლნ. ლარი, 2000 წ. - 196 მლნ. ლარი[59] შეადგინა. იგივე უნდა ითქვას საქართველოს სავაჭრო ბალანსის

[59] საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიში.

შესახებ: 1995 წ. უარყოფითმა სალდომ შეადგინა 240 მლნ. ლარი, 1996 წ. - 488 მლნ. ლარი, 1997 წ. - 704 მლნ. ლარი, 1998 წ. - 693 მლნ. ლარი, 1999 წ. - 382 მლნ. ლარი, 2000 წ.- 370 მლნ. ლარი[60]. რაც შეეხება ლარის კურსს, ლარმა მნიშვნელოვანი დევალვაცია განიცადა 1998 წლის შემოდგომაზე, როდესაც ოქტომბერში იგი გაუფასურდა 2,47%-ით, ნოემბერში - 4,51%-ით, ხოლო დეკემბერში - 17,85%-ით. საერთოდ, ლარი დოლარის მიმართ 1995 წელთან შედარებით, 2001 წლის დასაწყისში, დაახლოებით, 60%-ით არის გაუფასურებული. ამასთან, 1997 წელთან შედარებით (10,7%), მნიშვნელოვნად შემცირდა რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი. 1998 წელს მან შეადგინა 1,9%, 1999 წელს - 3,0%, ხოლო 2000 წელს - 1,9%[61]. იზრდება უმუშევრობის დონეც.

ის, რომ საქართველოში გახანგრძლივდა სრული მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა, გამოწვეულია, უწინარეს ყოვლისა, საბაზრო მოთხოვნებისადმი ეკონომიკის სტრუქტურული ადაპტაციის ჩამორჩენით. ეკონომიკის სტაბილურად განვითარებისათვის საჭიროა საწარმოთა და მაკროეკონომიკური რესტრუქტურიზაციები, ანუ მთელი სახალხო მეურნეობის მწარმოებლური ძალების, ეკონომიკური ურთიერთობებისა და ეკონომიკური ზედნაშენის სტრუქტურული სრულყოფა. რესტრუქტურიზაციის ყველაზე უფრო არსებითი ხასიათის ნიშანია სტრუქტურული სრულყოფა, გახორციელების მექანიზმი - ინოვაციების მუდმივად უზრუნველყოფა, ხოლო მიზანი - კონკურენტუნარიანობის, ეფექტიანობის ამაღლება.

ტრადიციულად, გამოიყოფა რესტრუქტურიზაციის სამი ფაქტორი: ტექნიკური პროგრესი, ცვლილებები წარმოების ფაქტორებში, ცვლილებები მოთხოვნილებაში. სტრუქტურული ძვრების თეორიის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ფრანგული სტრუქტურალიზმის სკოლას ფ. პერუს მეთაურობით, ინსტიტუციურ-სოციალურ და ნეოინსტიტუ-

---

[60] საქართველოს ეროვნული ბანკის "მონეტარული და სახელმწიფო სტატისტიკის ბიულეტენი, №1, 2001 წ., გვ. 59.

[61] სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ციურ თეორიებს, რომლებმაც ობიექტურ ფაქტორებთან ერთად წამოწიეს სუბიექტური და ინსტიტუციური ფაქტორების როლი მეურნეობის სტრუქტურულ გარდაქმნაში.

არსებული თეორიული კონცეფციებისა და განვითარების შესწავლის საფუძველზე, შეიძლება გამოვყოთ რესტრუქტურიზაციის შემდეგი ძირითადი ფაქტორები: ინოვაციები, ცვლილებები წარმოების ფაქტორებში, მოთხოვნილების სტრუქტურაში, მოთხოვნისა და მიწოდების დინამიკაში, კულტურულ-ფასეულობით ორიენტაციებში, საბაზრო სტრუქტურაში, კონკურენციის ხასიათში, აგრეთვე ეკონომიკური კრიზისის, ქრონიკული დეპრესიის, ჩამორჩენილობის ვითარება, სოციალური ფენის ადამიანების პირადი ინტერესები.

ამ კლასიფიკაციის უპირატესობაა სისტემურობა. მის შესაბამისად, მაკროეკონომიკური რესტრუქტურიზაციის მართვა კი, კომბინირებულ ეფექტს გამოიწვევს. ამასთან, შესაძლებელია ვითარების მიხედვით სხვადასხვა პრიორიტეტული ფაქტორის წამოწევა. კერძოდ, როდესაც ქვეყანაში არასაკმარისია რესურსები რესტრუქტურიზაციის გახორციელებისათვის, ქრონიკული ჩამორჩენილობის ან კრიზისული ვითარების გამო, საჭიროა უპირატესად ისეთი ნაკლებად რესურსტევადი ფაქტორების გამოყენება, როგორიც არის ორგანიზაციული, სოციალური, პოლიტიკური ინოვაციები, მეწარმეობრივი უნარი, მენეჯმენტი, სახელმწიფო მოთხოვნისა და მოხმარების შეზღუდვა ფირმებში, დაგროვების ხელშეწყობის მიმართ, კონკურენციის გაღრმავება, მომჭირნეობის კულტურის ამაღლება, საზღვარგარეთული ინვესტიციების მოზიდვა, სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის გაზრდა, სამთავრობო მენეჯმენტის მაღალი ხარისხის მიღწევა. სამწუხაროდ, საქართველოში დღემდე სწორედ ეს რესურსებია არასაკმარისად გამოუყენებელი. საჭიროა, პირველ რიგში, სახელმწიფო მართვის მაღალი ეფექტიანობა, ამ ფაქტორების მუდმივი მონიტორინგი, ეფექტიანი სიტუაციური და სტრატეგიული მართვის უზრუნველსაყოფად მაკროეკონომიკურ დონეზე.

ასეთი მართვა მაკროეკონომიკური რესტრუქტურიზაციის მაჩვენებელთა სისტემის საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს. ამისათვის მიზანშეწონილია გამოვყოთ მაჩვენებელთა შემდეგი ძირითადი ჯგუფები: ინსტიტუციური, სოციალური, ფინანსური, კვლავწარმოებითი რესტრუქტურიზაციის მაჩვენებლები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური რესტრუქტურიზაციის ისეთი მაჩვენებლები, როგორიც არის: ხელისუფლების მმართველობითი საქმიანობის ეფექტიანობის ინდექსი, ტრანსაქციული ხარჯებისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის, სამეურნეო აქტივობის, ადამიანის განვითარების პოტენციალისა და ეკონომიკური თავისუფლების ინდექსები, ინფლაციის ტემპი, ბიუჯეტის დეფიციტის წილი მთლიან შიდა პროდუქტში, გადასახადების წილი მოგებაში; რეალური საპროცენტო განაკვეთის, საბანკო სისტემის ნდობის ხარისხის, პირადი მოხმარების ხვედრითი წონის, ინფორმაციული სექტორის, მატერიალური ხარჯების წილი და მაკროეკონომიკური ეფექტიანობის დინამიკა, ექსტენსიური და ინტენსიური ფაქტორების წილი მთლიან შიდა პროდუქტში.

ამ მაჩვენებლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მართალია რეფორმის პერიოდში გახორციელდა ეკონომიკის მნიშვნელოვანი სტრუქტურული სრულყოფა, უწინარეს ყოვლისა, საკუთრების სტრუქტურული სრულყოფის, კერძო საკუთრების, საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების თვალსაზრისით, მაგრამ რაც გაკეთდა, საკმარისი არ არის. უფრო მეტიც, პოსტინდუსტრიული საზოგადოების შესაბამისი ეკონომიკური სტრუქტურა თანდათან თუ არ ჩამოყალიბდა, საქართველო ვერ შეძლებს სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევას. ნამდვილი აღმავლობის დაწყება შეუძლებელია ეფექტიანი სტრუქტურული გარდაქმნების გარეშე. კრიზისიდან სრულად გამოსვლა ფერხდება სერიოზული მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური დისპროპორციების კვლავწარმოებით. ეს იმიტომ, რომ არ შეიძლება კრიზისიდან სრულად გამოსვლა მხოლოდ ფულად-საკ-

რედიტო და ფინანსური პოლიტიკით. ასეთი რამ საერთოდ არ ხდება და არც საქართველოში მოხდება. რეფორმა, მათ შორის საკუთრებითი ურთიერთობების, მეურნეობის ფუნქციონირების მექანიზმის და ა.შ. რეფორმირებისთვის კი არ ტარდება, არამედ ძირეული გარდაქმნებისათვის ეკონომიკაში, ეფექტიანობის, ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლებისათვის.

სამწუხაროდ, ასეთი შედეგი საქართველოში, ჯერჯერობით, მიუღწეველია, რაც ეკონომიკაში კრიზისული მოვლენების წარმოშობისა და განვითარების მუდმივი წყაროა. რეფორმების, ტრანსფორმაციის სტრატეგია უნდა იყოს არა მხოლოდ სტაბილიზაციის უზრუნველყოფა, არამედ ეკონომიკური განვითარება მუდმივი და ეფექტიანი რესტრუქტურიზაციის საფუძველზე, რადგანაც ისინი ერთმანეთის გარეშე საერთოდ არ არსებობენ. ეკონომიკური სტაბილიზაციისა და რესტრუქტურიზაციის ერთიანი პოლიტიკის გატარება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა.

4.4. კონკურენტული გარემო და ანტიმონოპოლიური სტრატეგია

რეფორმის წარმატებისათვის, ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუდმივი ზრუნვა კონკურენტული გარემოს ჩამოსაყალიბებლად და ეფექტიანი ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება. ამასთან, აუცილებელია სისტემური მიდგომა ამ პრობლემისადმი. იგი გულისხმობს: კონკურენტული გარემოს მუდმივად უზრუნველყოფას, მონოპოლიური ურთიერთობების მიზეზების, ფორმების განსაზღვრას, ანტიმონოპოლიური სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას.

კონკურენტული გარემოს მუდმივად უზრუნველყოფის ამოცანა დაკავშირებულია, უწინარეს ყოვლისა, საბაზრო ფასების როლსა და დამახინჯებული ფასების პრობლემასთან. საბაზრო ეკონომიკაში, ფაქტობრივად, ძირითად ეკონომი-

კურ ამოცანებს ფასები წყვეტს. ფასის მიხედვით განსაზღვრავენ, რა ვაწარმოოთ, რომელი რესურსები და ტექნოლოგიები გამოვიყენოთ. საბაზრო ფასების უდიდესი მნიშვნელობა იმით გამოიხატება, რომ ისინი რესურსების იშვიათობას, ღირებულებას, მომხმარებლებისა და წარმოების ფაქტორების მესაკუთრეების გადაწყვეტილებებს ერთმანეთს უთავსებენ. კონკურენცია მომხმარებლებს, რესურსების მესაკუთრეებსა და მწარმოებლებს შორის, რესურსების კოორდინაციისა და გადაადგილების მექანიზმს უზრუნველყოფს. ეკონომიკური ორგანიზაციის ასეთი სისტემა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებით, კონკურენციის პირობებში მოგების მიღების მიზნით, წარმოების გახორციელებით ხასიათდება.

ამიტომ არის, რომ ფასწარმოქმნის რეფორმა ნებისმიერი ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური განვითარების მთავარი პირობაა. საბაზრო ფასების თავდაპირველი შემოღება საჭიროა „შავი" ბაზრისა და საქონლის ჩაწოლის თავიდან ასაცილებლად, საქონლის თავისუფალი მოძრაობის გზაზე შეზღუდვების მოსახსნელად. ნებისმიერ შემთხვევაში, ფასებზე კონტროლის გაუქმება რეფორმის საწყის სტადიაზე უნდა მოხდეს. მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილების საპასუხოდ, ფასები თავისუფლად უნდა იცვლებოდეს. საბაზრო ფასები ეკონომიკაში სასაქონლო დეფიციტის მოხსნის, საქონლის, მომსახურებისა და წარმოების ფაქტორების ეფექტიანი განაწილების უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი წანამძღვარია. საბაზრო ფასების დამკვიდრებისათვის კი, აუცილებელია ეკონომიკაში სახელმწიფოს პირდაპირი ჩარევის მაქსიმალურად შეზღუდვა და კონკრეტული გარემოს ჩამოყალიბება.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ დეფიციტი, რიგები და „შავი" ბაზარი მაშინ ჩნდება, როდესაც მთავრობა საბაზრო ფასთან შედარებით გაცილებით უფრო დაბალ ფასს აწესებს. მოთხოვნა პროდუქციაზე ამ შემთხვევაში მნიშვნელოვნად ჭარბობს მიწოდებას და მწარმოებელი ვერ აკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნას, ანუ ჩნდება დეფიციტი. ასეთი ვითარება იყო ყველა სოციალისტურ ქვეყანაში, მათ შორის

საქართველოშიც, განსაკუთრებით პირველადი მოხმარების საქონელზე (მათ შორის სურსათზე). ამიტომ ობიექტურად წარმოიშობა პროდუქციის ნორმირების სხვადასხვა ფორმა – რიგები, საბარათო სისტემა, ნაცნობობა, ქრთამი, „შავი" ბაზარი და ა.შ. გარდა ამისა, აუცილებელი ხდება არასაკმარისი პროდუქციის წარმოების სუბსიდირება. სოციალისტურ ქვეყნებში, როგორც წესი, სუბსიდირდებოდა ენერგიის, სურსათისა და ფართო მოხმარების საგნების წარმოება, ტრანსპორტი, საბინაო მეურნეობა. ხშირად საცხოვრებელ ბინაზე გადასახდელი უფრო მცირე იყო, ვიდრე მისი საექსპლუატაციო ხარჯები. ცხადია, ასეთი მეურნეობისას, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების სტიმული ქრება.

პოსტსოციალისტური ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ფასების რეფორმას ძალიან სწრაფად შეუძლია მოხსნას საქონლის დეფიციტი მაღაზიებში. მაგრამ ფასების რეფორმით განპირობებული წარმატება ფრიად მყიფე იქნება, თუ მას კონკურენტული ბაზრების ჩამოყალიბება არ მოჰყვა. ეს კი ხშირად ძალიან ფერხდება მწარმოებლებისა და მიმწოდებლების შეზღუდული რიცხოვნობის შედეგად. ამიტომ აუცილებელია სახალხო მეურნეობის დარგების დემონოპოლიზაცია შემდეგი ძირითადი მეთოდების – საწარმოთა დანაწევრების, ახალი მცირე და საშუალო საწარმოების ამოქმედებით, საგარეო ვაჭრობის გზით შიდა ბაზრებზე საერთაშორისო კონკურენციის დაშვებით.

საქართველოს ეკონომიკის რეფორმირება დაიწყო მონოპოლისტური სტრუქტურების ეკონომიკური საფუძვლების სერიოზული ტრანსფორმაციის გარეშე, სათანადო ანტიმონოპოლიური რეგულირებისა და კონტროლის სისტემის უქონლობის პირობებში. ფასებისა და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციამ მოხსნა მონოპოლიზმის ადმინისტრაციული შეზღუდვები, მაგრამ ვერ უზრუნველყო ანტიმონოპოლიური დაცვის სისტემა საბაზრო მექანიზმების საფუძველზე, ანუ კონკურენციის საფუძველზე. დაჩქარებული ინფლაცია, უპრეცედენტო წარმოების დაცემა, ხანგრძლივი ინვესტიციური კრიზისი, კაპიტალის საზღვარგარეთ გადინება დი-

დი მაჩვენებლებით სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია. აქედან ჩანს, რომ კონკურენტული ბაზრების ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია არა მარტო სათანადო ადმინისტრაციული ღონისძიებების გახორციელება, არამედ ეკონომიკური სტრუქტურის საბაზრო, კონკურენტულ საწყისებზე ჩამოყალიბებაც.

ამ პროცესის წარმატებით შესასრულებლად, საჭიროა, პირველ რიგში, მონოპოლიური ურთიერთობების კონკრეტული მიზეზების დადგენა, ანტიმონოპოლიური ღონისძიებებისა და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების პოლიტიკის გატარება.

მონოპოლისტური სტრუქტურების დამკვიდრება საქართველოში თავიდანვე სოციალური მეურნეობრივი სისტემის, ეკონომიკის განსახელმწიფოებრიობის ბუნებრივ შედეგად მოგვევლინა. თუკი დასავლური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი იყო საბაზრო მონოპოლიების წარმოშობა, ანუ წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის შედეგად აღმოცენებული მონოპოლიები, საბჭოთა პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო ადმინისტრაციული, უწყებრივი, მმართველობითი, ორგანიზაციული და ტექნოლოგიური მონოპოლიები. სამეურნეო კავშირის უმეტესი ნაწილი დირექტიულად ყალიბდებოდა, ატარებდა არა ეკონომიკურ, არამედ მკაცრად დეტერმინირებულ ორგანიზაციულ და ტექნოლოგიურ ხასიათს. სხვა ძირითადი მიზეზი იყო ეკონომიკის ქრონიკული სტრუქტურული დისპროპორციები. მწარმოებლების ტრადიციული დიქტატი მომხმარებლების მიმართ ვლინდებოდა მონოპოლიზმში პროდუქტიულ, დარგობრივ და რეგიონულ ბაზრებზე.

აქედან ჩანს, რომ კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბება და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გახორციელება საქართველოში ობიექტურად შემდეგ ძირითად ეტაპებს მოიცავს: სოციალისტური მონოპოლიზმის დემონტაჟის ეტაპს; საბაზრო კონკურენტული ურთიერთობების დამკვიდრების ეტაპს; საბაზრო ურთიერთობების პირობებში ადაპტაციის ეტაპს.

სოციალისტური მონოპოლიზმის დემონტაჟის ეტაპზე განხორციელდა, უწინარეს ყოვლისა, დირექტიული დაგეგმვის ლიკვიდაცია, სამინისტროებისა და სამთავრობო უწყებების უაღრესად დიდი რიცხვის მაქსიმალურად შეკვეცა, მართვის შუალედური რგოლების გაუქმება სახელმწიფო კონცერნების, ასოციაციების გაერთიანების სახით, საკრედიტო ბრუნვის, ვაჭრობისა და მომარაგების დემონოპოლიზაცია. ამ პერიოდის (ძირითადად 1991-1993 წ.წ.) ისტორიული მნიშვნელობა იმით გამოიხატება, რომ, ფაქტობრივად, მომზადდა ხელსაყრელი სასტარტო პირობები ფართომასშტაბიანი პრივატიზების პროცესის შესასრულებლად.

მომდევნო პერიოდში იწყება საბაზრო კონკურენტული გარემოს დამკვიდრების სტრატეგიის განხორციელება, მათ შორის დემონოპოლიზაციის სახელმწიფო პროგრამის რეალიზაცია. მისი უშუალო მიზანია, მონოპოლიებზე კონტროლის უზრუნველყოფა, კონკურენციის დონის ამაღლება, მეურნეობრიობის ახალი სუბიექტების სტიმულირება. მონოპოლისტზე უშუალოდ ზემოქმედებისათვის გამოიყენება შემდეგი ბერკეტები:

– მონოპოლიური ტიპის სტრუქტურის (კონცერნი, ასოციაცია და ა.შ.) დანაწილება, როდესაც იგი დაქვემდებარებული საწარმოებისა და სხვა სამეურნეო სუბიექტების პირდაპირ ცენტრალიზებულ მართვას ახორციელებს;

– საკუთარი მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისას, მასზე ქმედუნარიანი კონტროლისა და ოპერატიული რეაგირების სისტემის შექმნა;

– ისეთი საგადასახადო წესის შემოღება, რომელიც ფასების მონოპოლიურ ზრდას წამგებიანს გახდის.

კონკურენციის განვითარებისთვის ხელშეწყობა უზრუნველყოფილია შემდეგი ინსტრუმენტების გამოყენებით:

– ახალი სამეურნეო სუბიექტების შექმნა, სახელმწიფო სტრუქტურების კომერციონალიზაცია წარმოების განაწილების, მიმოქცევის სფეროში;

– ახლად შექმნილი საწარმოებისათვის (განსაკუთრებით მცირე საწარმოებისათვის), ხელშემწყობი ეკონომიკური პირობების უზრუნველყოფა;

– იმ საწარმოებისათვის, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ასუსტებენ ამა თუ იმ კონკრეტული ორგანიზაციის მონოპოლიურ მდგომარეობას, დამატებითი პრივილეგიების მინიჭება;

–არარენტაბელური საწარმოების ლიკვიდაციისადმი დიფერენცირებული მიდგომა, მათი შერჩევითი სანაციით, ახალი მონოპოლისტების წარმოქმნის დაუშვებლობის მიზნით.

ანტიმონოპოლიური სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს საფეხურად უნდა მივიჩნიოთ მონოპოლისტური საწარმოების სახელმწიფო რეესტრის შემუშავება და დემონოპოლიზაციის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედება 1994 წლიდან. რეესტრი განსაზღვრავს იმ მონოპოლისტური საწარმოების ნუსხას, რომელთა დანაწევრება ან მათზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება მოგვცემს საშუალებას, მაქსიმალურად შეიზღუდოს უკონტროლო ფასწარმოქმნა მათ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე. პროგრამაში კი აისახა ყველა დარგის მონოპოლისტური საწარმოების დანაწევრების ვადები და სისტემა, იმ ვარაუდით, რომ მან უარყოფითად არ იმოქმედოს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში მონოპოლიზმის სპეციფიკა გამოიხატება არა წარმოების მაღალი კონცენტრაციითა და საწარმოების დიდი ზომებით შიდა ბაზის მოცულობის მიმართ, არამედ წარმოების ძალიან ვიწრო სპეციალიზაციით, წარმოებული პროდუქციის ნომენკლატურის სიმცირით. ამიტომ ანტიმონოპოლიურ სტრატეგიაში არ შეიძლება გადამწყვეტი წარმოების დეკონცენტრაცია იყოს. მით უმეტეს, მონოპოლიზმი ღია ეკონომიკაში ძირეულად განსხვავდება მონოპოლიზმისაგან ჩაკეტილ მეურნეობაში. მონოპოლიზმი და კონკურენცია უნდა განვიხილოთ საგნობრივად, კონკრეტულად, ეროვნული ეკონო-

მიკისა და ეროვნული მწარმოებლების კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით. მსხვილი და უმსხვილესი ფირმები, რომლებიც აქტიურად საქმიანობენ მსოფლიო ბაზრებზე, არ შეიძლება იმავე კრიტერიუმებით შევაფასოთ, როგორც ცალკეულ ეროვნულ ბაზრებზე მოქმედი ფირმები. ეს უკანასკნელნი, ქვეყნის მასშტაბით, შეიძლება მსხვილი ფირმები იყვნენ, მაგრამ მსოფლიო ბაზრის მასშტაბით, მცირე ფირმები არიან. საჭიროა მსხვილი ფირმების როლის ობიექტური შეფასება მსოფლიო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის მოთხოვნების გათვალისწინებით. ამიტომ საწარმოების დანაწევრებას ძალიან ფრთხილად უნდა მივუდგეთ, რომ მათ ეფექტიანობასა და კონკურენტუნარიანობას ძირი არ გამოვუთხაროთ.

ეკონომიკის ლიბერალიზაციამ, უდავოდ, დიდი ბიძგი მისცა საბაზრო გარემოს განვითარებას, ბაზრის ახალი სუბიექტების ჩამოყალიბებას, კონკურენციისა და მონოპოლიის თანაფარდობის შეცვლას პირველის სასარგებლოდ. კონკურენტულ-საბაზრო ურთიერთობები ძნელად, მაგრამ მაინც თანდათანობით მკვიდრდება, როგორც მეურნეობრიობის მექანიზმის აუცილებელი ელემენტი. თუმცა, ჯერჯერობით, მაინც არ შეიძლება იმის თქმა, რომ საქართველოში კონკურენტული ბაზრები უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა.

ფასების ლიბერალიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა უდიდესი სხვაობა, ფასების დონისა და ფინანსური მდგომარეობის მიხედვით, დარგების სამ ჯგუფს შორის: საბაზრო რესურსების დარგში (სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი, მეტალურგია, ქიმია), გადამმუშავებელი მრეწველობა და მშენებლობა, სოფლის მეურნეობა და მსუბუქი მრეწველობა. სოფლის მეურნეობის კომპლექსში პროდუქციაზე ფასები და, შესაბამისად, დამატებული ღირებულების მოცულობა ძალიან დაბალია. მეორე მხრივ, ჩამოყალიბდა სრულიად ახალი თანაფარდობა რეალური ეკონომიკის, სავაჭრო-საშუამავლო და ფინანსურ სექტორებს შორის. რესურსებისა და

შემოსავლებისათვის მწვავე კონკურენცია მეურნეობის სექტორებს შორის იწვევს ფინანსური და საწარმოო კაპიტალის სულ უფრო მეტად დამოკიდებულ ფუნქციონირებას, კაპიტალის მასშტაბურად „გადადენას" ყველაზე უფრო მომგებიან სავაჭრო-საშუამავლო და ფინანსური ოპერაციების სფეროებში. ამით, ცხადია, რეალური სექტორის განვითარება ფერხდება. იმავდროულად ძლიერდება იმპორტზე დამოკიდებულება, რადგანაც ენერგომატარებლების უმეტესი ნაწილი შემოგვაქვს. ეს კი დიდ ფინანსურ რესურსებს მოითხოვს. ჩვენი პროდუქციის კონკურენტუნარიანობაც, ჯერჯერობით, იმპორტირებული ენერგომატარებლების ფასების დინამიკაზეა უპირატესად დამოკიდებული. შედარებით მაღალი გადასახადებიც ართულებს საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. შემოსავლების სიმცირის გამო, ამას ემატება ბაზრის მოცულობის შეზღუდულობაც. მკაცრი მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რაც საბოლოო ჯამში, აძლიერებს კონკურენციის ტვირთს საწარმოებზე, მაგრამ იგი არ არის არც სრულყოფილი და არც ეფექტიანი. უმეტეს შემთხვევაში, ჩვენ საქმე გვაქვს მონოპოლისტურ, არაკეთილსინდისიერ და კრიმინალურ კონკურენციასთან.

ამის მიზეზია ორი მთავარი ტენდენციის ურთიერთზემოქმედება. პირველი დაკავშირებულია პრივატიზების, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტიმულირების, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გახორციელების პროცესებთან. მეორე ტენდენცია კრიზისის დაძლევისა და კონკურენციის დამკვიდრების აუცილებლობასთანაა დაკავშირებული, რომელიც ახალი სუბიექტების წარმოშობასა და ბაზრის განვითარებას იწვევს. ამ ორი ტენდენციის ურთიერთქმედებამ გამოიწვია და შეუძლებელია არ გამოეწვია ბაზრების სხვადასხვა სტრუქტურის, მათ შორის მონოპოლიური და მონოპოლისტური კონკურენციის სტრუქტურების ჩამოყალიბება. საქართველოსთვის უპირატესად მონოპოლიზმის შემდეგი ფორმებია დამახასიათებელი: ლოკალური მონოპოლიზმი რეგიონული სასაქონლო ბაზრების საზღვრებში (დამახასიათებელი მაგალითია ადგილობრივი სოფ-

ლის მეურნეობრივი პროდუქციის მწარმოებელი საწარმოები, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ფირმები), ბუნებრივი ლოკალური მონოპოლიები სხვადასხვა სფეროში; ოლიგოპოლია - წარმოებასა და სასაქონლო ბაზრებზე რამდენიმე მსხვილი საწარმოს არსებობა; ბუნებრივი მონოპოლიები (რკინიგზა, ფოსტა, მილსადენი, ტრანსპორტი და ა.შ.); დეკონცენტრირებული მონოპოლისტური კონკურენციის დარგები (საცალო ვაჭრობა, საბანკო, სადაზღვევო მომსახურების ბაზრები, ავეჯის წარმოება, პარფიუმერია და კოსმეტიკა, საყოფაცხოვრებო ქიმია, სამშენებლო მასალების წარმოება, სანტექნიკა და სხვა).

საბაზრო კონკურენციის ხარისხი უნდა შეფასდეს ბაზარზე სასაქონლო მიწოდების მაჩვენებლების სრული ნუსხის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს მონაცემებს როგორც წარმოების, ასევე საექსპორტო-საიმპორტო მაჩვენებლებისა და მსოფლიო ბაზრებთან დამოკიდებულების შესახებ. ეს იმას ნიშნავს, რომ ღია ეკონომიკის პირობებში, არ შეიძლება მონოპოლიზმის ხარისხის მხოლოდ შიდა ბაზრის მონაცემების საფუძველზე განსაზღვრა. ამ შემთხვევაში, შეიძლება მცდარი გადაწყვეტილებები მივიღოთ, რადგანაც საერთაშორისო ბაზრებზე, როგორც წესი, მსხვილი ფირმები ბატონობენ და სწორედ ისინი განსაზღვრავენ, პირველ რიგში, ეკონომიკის განვითარების ფუძემდებლურ ტენდენციებს. ეს, უპირველესად, ტრანსნაციონალურ კომპანიებს შეეხება.

ანტიმონოპოლიური სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, ბაზრებზე კონკურენტების შესვლის ბარიერების ანალიზი, მათი შემცირების მეთოდების შემუშავება და განხორციელება. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ მონოპოლია ყოველთვის უარყოფით შედეგს როდი იძლევა, განსაკუთრებით მოკლევადიან პერიოდში. მონოპოლიზაციის მაღალ დონეს დარგში შეიძლება თან ახლდეს წარმოების მოცულობის შენარჩუნება საერთოეკონომიკური კრიზისის პირობებში, მენეჯმენტის მაღალი დონე და მაღალი საექსპორტო შემოსავლები. თუმცა, გრძელვადიან პერიოდში იგი მაინც უფრო დაბალი ეფექტიანობით ხასიათდება, ვიდრე სხვა

რომელიმე საბაზრო სტრუქტურა და აფერხებს განვითარებას. ყველაზე უფრო მნიშვნელოვან ბარიერებს მიეკუთვნება:

- ეკონომიკური ბარიერები, მათ შორის საგადასახადო, საკრედიტო, ინვესტიციური, ფასების მიხედვით არსებული ბარიერები, კაპიტალური დაბანდების გამოსყიდვის ვადა და ა.შ.

- ადმინისტრაციული ბარიერები: საწარმოთა რეგისტრაციის პროცედურები, ლიცენზიები საქმიანობის დაწყებაზე, ექსპორტ-იმპორტის წესი, კვოტირება, ტარიფები, არასატარიფო აკრძალვები და ა.შ.

- ბაზრის შეზღუდული მოცულობით გამოწვეული ბარიერები, ანუ მოთხოვნის შემზღუდველი წესები;

- საბაზრო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობით გამოწვეული ბარიერები;

- ეკონომიკური პოლიტიკით გამოწვეული ბარიერები ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაციის შეზღუდვის მიზნით;

- ბუნებრივი რესურსების იშვიათობითა და გარემოს დაცვის აუცილებლობით გამოწვეული ბარიერები;

- კრიმინალური ხასიათის ბარიერები;

- სამრეწველო ინფრასტრუქტურის, მათ შორის ენერგეტიკისა და ტრანსპორტის განუვითარებლობით გამოწვეული ბარიერები.

ამ ბარიერების მოხსნისა და შერბილებისათვის საქართველოში ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები, მაგრამ კონკურენციის სრულად დამკვიდრებას ძლიერი წინააღმდეგობა ხვდება. იგი, უწინარეს ყოვლისა, ინსტიტუციური გარდაქმნების, საბაზრო ქცევის დამკვიდრების, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების, ბიუროკრატიულ-კორუფციული, კრიმინალური ურთიერთობების დაძლევის ნელი ტემპის გამო ფერხდება. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა კონკურენტული ურთიერთობების სამართლებრივ უზრუნველყოფას ენიჭება.

თავი 5. ინსტიტუციური რეფორმები

5.1. საბაზრო მეურნეობის სამართლებრივი უზრუნველყოფა

ინსტიტუციური გარდაქმნები რეფორმების წარმატებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების აუცილებელი წანამძღვარია. ისინი, უწინარეს ყოვლისა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონტექსტში უნდა განვიხილოთ. მაგრამ რეფორმის განხორციელება რამდენიმე სერიოზული მიზეზით ბრკოლდება. მათგან მთავარია შემდეგი მიზეზები: პირველი, საბაზრო ინსტიტუტებისა და ინფრასტრუქტურის ჩამოუყალიბებლობა. მეორე, მათი დროული ფორმირებისათვის საჭირო ძალისხმევის, კონცეპტუალური და პროგრამული მზადყოფნის უქონლობა. ახალი ეკონომიკური და ინსტიტუციური სტრუქტურები ხშირად სტიქიურად, ქაოსურად, დიდი დაგვიანებით იქმნება. რაც მთავარია, მათი ხელმძღვანელობა სუსტადაა ორიენტირებული ეროვნული ინტერესების, მიზნებისა და პრიორიტეტების რეალიზაციაზე, ეფექტიანი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე. მნიშვნელოვანწილად სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სახელმწიფო პოლიტიკისა და რეფორმის მიზნები ვერ სრულდება, ან სრულდება, როგორც ეს ინფლაციის დაძლევიდან ჩანს, კვლავწარმოების სხვა სფეროების – ეკონომიკური ზრდის, ინვესტიციური შიმშილის, სიღატაკის გაღრმავების ხარჯზე. ინსტიტუციური გარდაქმნებისათვის ძალისხმევა სუსტია, რადგანაც იგი სხვადასხვა კერძო კორპორაციული ინტერესების მსხვერპლია, იგი სხვადასხვა ჯგუფურ, პარტიულ, ბიუროკრატიულ, კლანურ ინტერესებს ეწირება.

გარდა აღნიშნულისა, ინსტიტუციური გარდაქმნები საქართველოში უნდა განვიხილოთ ინდუსტრიულიდან პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლის კონტექსტშიც.

რეფორმამდე აქ პოსტინდუსტრიული განვითარების სერიოზული სასტარტო პირობები იყო – განათლების, მეცნიერების, კულტურის, სოციალური სფეროს განვითარების საკმაოდ მაღალი დონით. თუმცა, დასავლეთის ქვეყნების მიმართ ჩამორჩენაც დიდი იყო ინფორმატიკული, სტრუქტურული, ტექნოლოგიური, მენეჯმენტური განვითარების თვალსაზრისით. საქართველოს არ გაუვლია ინსტიტუციური გარდაქმნების ის სტადია, რაც აუცილებელია პოსტინდუსტრიულ განვითარებაზე გადასვლისათვის.

როგორც ჩანს, ინსტიტუციური გარდაქმნების კონკრეტული მიზნები, მიმართულებები და პრიორიტეტები ზემოთ დასახელებული გარემოებებითაა განპირობებული. ამ ასპექტში განსაკუთრებით ფუძემდებლური მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, რეფორმის საკანონმდებლო-სამართლებრივ უზრუნველყოფას აქვს, რომელიც, პირველ რიგში, საბაზრო მეურნეობის კონსტიტუციურ უზრუნველყოფას, მთავრობის როლის შეცვლასა და კანონთა სისტემას გულისხმობს.

უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს, დამოუკიდებელი საქართველოს კონსტიტუციის მიღებასა და მისი ეკონომიკურ-პოლიტიკური არსის დაკანონებას. აქ ასახულია ისეთი ფუძემდებლური პრინციპები, როგორიცაა: ადამიანის ძირითადი უფლებები, ინდივიდუალური თავისუფლების გარანტია, სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრების აუცილებლობა, თავისუფალი ბაზრის ძირითადი პრინციპები: კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა, ხელშეკრულებების დადების თავისუფლება, ინდივიდის თავისუფალი განვითარების უფლება მომხმარებლისა და მეწარმის სახით, კონკურენციის თავისუფლება, პროფესიის არჩევის თავისუფლება, ეკონომიკური გაერთიანებისა და კოალიციების წარმოშობის თავისუფლება. ამასთან, კონსტიტუციაში განსაზღვრულია სახელმწიფოს პასუხისმგებლობაც. მისი მოვალეობაა,

ჩაერიოს პროცესებში, როდესაც ამას მოითხოვს სოციალური სამართლიანობა, კონკურენციის დაცვისა და ინდივიდის თავისუფლების უზრუნველყოფის აუცილებლობა, მომხმარებლის ინტერესები.)

არსებითი მნიშვნელობისაა მთავრობის როლის შეცვლის პრობლემა.(აუცილებელია არა მარტო სამთავრობო ბიუროკრატიის შემცირება, არამედ მისი ადმინისტრაციული სტრუქტურისა და ფუნქციების ტრანსფორმაცია, მისი საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებისადმი უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.)ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. საჭიროა უფრო ფუძემდებლური გარდაქმნების განხორციელება. კერძოდ, აუცილებელია პარლამენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფა, სამინისტროების რიცხვისა და საერთოდ, სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულთა შემცირება, მიმდინარე და გრძელვადიანი ამოცანების გადაწყვეტის შეთავსება, კონიუნქტურული, სტრუქტურული, ინსტიტუციური, სტრატეგიული, ანტიკრიზისული და წინგამსწრები მართვის დაბალანსება. დაუშვებელია ფრაგმენტული, წერტილოვანი მართვისა და პოლიტიკის გატარება, რაც არაეფექტიანი და ხშირად მხოლოდ ზარალის მომტანია. წინა პლანზე გლობალური, სისტემური მართვა უნდა იყოს და ინსტიტუციური გარდაქმნებიც ამის განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს.

ინტენსიურად ვითარდება საკანონმდებლო სფერო. მიღებულია თითქმის ყველა არსებითი მნიშვნელობის კანონი. ისინი საბაზრო ეკონომიკის ინსტიტუციურ საფუძველს ქმნიან. აი, მათი მოკლე და არასრული ნუსხა:

საკუთრების შესახებ;
მიწის შესახებ;
მშრომელთა უფლებების შესახებ;
საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ;
შრომის შესახებ;
გარემოს დაცვის შესახებ;
საგადასახადო კოდექსი;
საგადასახადო სისტემისა და გადასახადების შესახებ;
მომხმარებელთა უფლების დაცვის შესახებ;
იჯარის შესახებ;
ფასებისა და ფასწარმოქმნის შესახებ;
აუდიტორული საქმიანობის შესახებ;
დაზღვევის შესახებ;
სტატისტიკის შესახებ;
კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ;
დასაქმების შესახებ;
სამეწარმეო საქმიანობის შესახებ;
გირავნობის შესახებ;
ჩეკის შესახებ;
ვექსილის შესახებ;
მეწარმეთა შესახებ;
ფასიანი ქაღალდების შესახებ;
ბუღალტრული აღრიცხვების ნორმების შესახებ;
სახელმწიფო ქონების;
პრივატიზების შესახებ;
მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ;
გაკოტრების შესახებ;
საინვესტიციო საქმიანობის შესახებ;
უცხოური ინვესტიციების შესახებ;
ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ;
ეროვნული ბანკების შესახებ;
ფულად-საკრედიტო რეგულირების შესახებ;
სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ;
სახელმწიფო კრედიტების შესახებ;
საგადასახადო სამსახურის შესახებ;
სახელმწიფო სუბსიდიების შესახებ;
ბირჟის შესახებ;
სამთო კანონი წიაღის შესახებ;
სახელმწიფო სამსახურის შესახებ;
საზღვაო კოდექსი;
საჰაერო კოდექსი;
სამოქალაქო სამართლის კოდექსი;
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შესახებ;
კონტრაქტების შესახებ და სხვა.

ახალი კანონებისა და პოლიტიკის გახორციელების მიზნით, შეიქმნა მართვის ახალი სტრუქტურები: სასამართლო სისტემა, ანტიმონოპოლიური სამსახური, სამეწარმეო საქმიანობის მარეგულირებელი ორგანოები, სახელმწიფო ქონების მართვის ორგანო, გარემოს დაცვის სტრუქტურები და ა.შ.

მიუხედავად აღნიშნულისა, ინსტიტუციური გარდაქმნები საქართველოში დღემდე ფრიად ნელი ტემპით მიმდინარეობს. ამას ადასტურებს რეალური კონკრეტული ბაზრების უქონლობა, სახელმწიფოს არაეფექტიანობა, საბაზრო ქცევის სუსტი ხარისხი. ასეთი ვითარება კი გამოწვეულია ინ-

სტიტუციური გარდაქმნების გადამწყვეტი მნიშვნელობის გაუთვითცნობიერებლობით, საკანონმდებლო საქმიანობის არადამაკმაყოფილებელი ინტენსიურობით, სახელმწიფოს სისუსტით, კერძო სექტორის, ახალი ფირმების განვითარების დაბალი ტემპით, არაკონკურენტუნარიანი საწარმოებისა და სამუშაო ადგილების კონსერვაციით, საბაზრო ინფრასტრუქტურების განუვითარებლობით, ინსტიტუციური ინვესტორების არარსებობით, შიდა ბაზრის დაუცველობით, კონტრაბანდის, კორუფციის, ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი დონით. ინსტიტუციური ჩამორჩენილობა, ახალი საბაზრო წესების განუვითარებლობა აფერხებს სტრუქტურულ გარდაქმნებს, მეურნეობაში დისპროპორციების აღმოფხვრასა და საბოლოოდ, ეკონომიკური და სოციალური შედეგების მიღებას.

5.2. კერძო სექტორის ჩამოყალიბება

საქართველოში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესის ერთ-ერთ უმთავრეს და ისტორიულ შედეგს კერძო სექტორის ჩამოყალიბება და მეწარმეობის განვითარება წარმოადგენს. მისი ძირითადი კომპონენტებია: კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრება, მეწარმეთა ფენის ჩამოყალიბება, კერძო საწარმოთა რიცხვის ზრდა, სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზება, კერძო ინვესტიციებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნა.

კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა საქართველოს კონსტიტუციით არის გარანტირებული და მას წინ ვერავინ აღუდგება. საწარმოთა რაოდენობის მიხედვით, კერძო სექტორი ამჟამად ეკონომიკის უდიდეს ნაწილს შეადგენს, მაგრამ, კერძო მეწარმეობა, ძირითადად, მცირემასშტაბიანია. მეწარმეთა უმეტესობა სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული სამუშაო ძალის გამოკვლევის მიხედვით, საქართველოში 754 000 ადამიანი იღებს ხელფასს, რომელთაგან 614 000

სახელმწიფო სექტორში მუშაობს, 30 000 ადამიანი სხვადასხვა სახის, ძირითადად კი საზოგადოებრივ ორგანიზაციაშია დასაქმებული, დაახლოებით 120 000 ადამიანი კი – კერძო სექტორში. თვითდასაქმებულთაგან მხოლოდ დაახლოებით 150 000 ადამიანი არ არის დასაქმებული სოფლის მეურნეობის სექტორში, მათგან 90 000 კი, ვაჭრობაშია ჩართული.[62]

ცხრილი 14

სახელმწიფო და კერძო სექტორის მეურნეობრიობის მაჩვენებლები 1998 წელს

მაჩვენებლები	სულ	მათ შორის:	
		სახელმწიფო სექტორი	კერძო სექტორი
საწარმოთა რაოდენობა სულ	13818	2681	11137
გამოშვებული პროდუქცია, მლნ. ლარი	1623,3	864,9	758,4
გამოშვებული პროდუქცია ერთ საწარმოზე, ათასი ლარი	117,5	322,6	68,0
დასაქმებულთა რიცხვი – სულ, ათასი კაცი	434,2	219,5	214,7
დასაქმებულთა რიცხვი ერთ საწარმოზე, კაცი	31,4	81,9	19,3
ერთ დასაქმებულზე წარმოებული პროდუქცია, ლარი	3738,3	3939,7	3532,4

წყარო: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1998 წელს. თბილისი, 1999, გვ. 9.

საინტერესოა კერძო სექტორის განვითარების დონის სხვა მაჩვენებლებიც (ცხრილი 14). 1998 წ. მონაცემებით, საქართველოში სულ 13 818 საწარმო იყო. მათ შორის 2681 სახელმწიფო სექტორში, ანუ 19,4%, მაშინ, როდესაც კერძო სექტორში 11 137 საწარმო, ანუ მათი საერთო რაოდენობის 80,6% მუშაობდა. ამავე დროს, საწარმოებში დასაქმებული პერსონალი დაახლოებით თანაბრად ნაწილდება ეკონომი-

[62] ჰუმანური განვითარების ანგარიში: საქართველო 1998. თბილისი, გვ. 56.

კის სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორებში – შესაბამისად 219,5 და 214,7 ათასი კაცი. გამოშვებული პროდუქციის ღირებულებამ სულ შეადგინა 1623,3 მლნ. ლარი. თუმცა მოყვანილი ციფრები საინტერესოა, მაგრამ სრულად ვერ ასახავს რეალურ ვითარებას, ვინაიდან სახელმწიფო სექტორში ცოტა, მაგრამ უმსხვილესი საწარმოები იყო დარჩენილი (მ.შ. ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, მრეწველობის). კერძო სექტორი კი, უმთავრესად, პრივატიზებული და კერძო კაპიტალზე დაფუძნებული მცირე და საშუალო საწარმოებისგან შედგება. ისინი დამოუკიდებელ ფუნქციონირებას სულ ცოტა ხნის წინ შეუდგნენ (პრივატიზების წინა პერიოდში ბევრს არაფერს ქმნიდნენ). ამიტომ ცხადია, თუ რაოდენ დიდი ძალისხმევაა საჭირო კერძო სექტორის შემდგომი განვითარებისათვის საქართველოში.

ამიტომაც, მარტო პრივატიზებაზე ყურადღების გამახვილება არასაკმარისია. განსაკუთრებით საშურია კერძო ბიზნესის, კერძო ინვესტიციების ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესის დაჩქარებული განვითარებისთვის. ხელშემწყობი პოლიტიკა გულისხმობს ახალი ფირმების წარმოშობას, საკანონმდებლო უზრუნველყოფას, საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარებას, საკრედიტო ბაზარზე რესურსების დეფიციტის დაძლევას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროგრამების გახორციელებას, სახელმწიფო შესყიდვების სისტემის სრულყოფას, დაფინანსების, დაზღვევის, ლიზინგის ეფექტიან ორგანიზაციას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხია ახალი ფირმების წარმოშობისათვის ხელშეწყობა, რეგისტრაციის თავისუფლების დამკვიდრება და საერთოდ, ბიზნესის განვითარებისათვის საჭირო ინსტიტუციური გარემოს ჩამოყალიბება. მეწარმეობისადმი ინტერესი, ანუ ბიზნესის გახსნილობის კოეფიციენტი, მოცემულ წელს შექმნილ საწარმოთა რაოდენობის პროცენტული ფარდობა საწარმოთა მთელ რი-

ცხოვნობასთან 1999 წელს 1,4%-ს შეადგენდა, მაშინ, როდესაც დასავლეთის ქვეყნებში იგი 5-8%-ია. ეს პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ კერძო სექტორის განვითარების ტემპი არადამაკმაყოფილებელია. ცნობილია, რომ მცირე ბიზნესის დასაწყებად, რეგისტრაციისათვის მრავალი ოფიციალური და სრულიად არააუცილებელი ნებართვის გარდა, საჭიროა საკმაო რაოდენობის ხარჯის გაწევა. ამის გამო ინდივიდუალური და ჯგუფური მეწარმეობის განვითარება ბრკოლდება.

ეს მაშინ, როდესაც ბიზნესის ორგანიზაციის სწორედ ეს ფორმებია ყველაზე უფრო გავრცელებული და პერსპექტიული. 2000 წ. დასაწყისისათვის რეგისტრირებულ ინდივიდუალურ საწარმოთა რაოდენობამ 30 ათასს მიაღწია, რაც ქვეყანაში არსებული საწარმოებისა და ორგანიზაციების საერთო რაოდენობის 45,9%-ს, ხოლო მცირე საწარმოთა, დაახლოებით, 60%-ს შეადგენს. მეორე ადგილზეა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შესაბამისად, 32,1% და 42,0%.

რაც შეეხება მცირე ბიზნესის დარგობრივ და რეგიონულ სტრუქტურას, აქ სადღეისოდ ახალი ვითარებაა. საწარმოთა, თითქმის, ნახევარი ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო სფეროს განეკუთვნება, თუმცა წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების საერთო მოცულობაში მათი წილი მხოლოდ 14%-ია. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მცირე ბიზნესის განვითარების დონე მრეწველობაში, მათ შორის გადამმუშავებელ მრეწველობაში, ძალიან დაბალია. მცირე ბიზნესის გააქტიურება აღინიშნება საშუამავლო კომერციის, სასტუმროების, რესტორნების, გასართობი ბიზნესის, კავშირგაბმულობის სფეროებში. სუსტია მცირე საწარმოს როლი სოფლის მეურნეობაში, თევზჭერის, სამთომომპოვებელი მრეწველობის, ენერგეტიკის, მშენებლობის, სამშენებლო მასალების მრეწველობაში, სოციალურ მომსახურებაში, საკურორტო მეურნეობაში. ამავე დროს, ყველა ამ დარგში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების კარგი შესაძლებლობებია.

საუკეთესოა ბუნებრივ-კლიმატური, რეკრეაციული პირობები, არის მადნეული და არამადნეული საბადოები, სამთო-ქიმიური ნედლეული, სამშენებლო მასალები, ხე-ტყის ნედლეული, ჰიდროენერგორესურსები, ჰელიორესურსები და ა.შ.

ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ დამაფიქრებელია, სოფლად გლეხური და ფერმერული მეურნეობების განვითარების დაბალი ტემპი. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ფაქტობრივად, ფუნქციონირებადი გლეხური და ფერმერული მეურნეობები მოქცეულია სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ჩარჩოებში და ისევე იბეგრება, როგორც მრეწველობის ან ვაჭრობის საწარმო.[63] განვითარებულ ქვეყნებში კი, ფერმერული მეურნეობები მრავალი შეღავათით სარგებლობენ და შესაბამისად, კაპიტალსაც სოლიდურად იზიდავენ.

ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ საკითხია, აგრეთვე, მიწის ბაზრის ჩამოყალიბება. ამის გარეშე შეუძლებელი იქნება მსხვილი სასაქონლო ფერმერული და სხვა ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ორგანიზაცია. სათანადოდ ვერ ვიყენებთ იჯარის შესაძლებლობებსაც, რომლებიც მსხვილი სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო წარმოების შექმნის ფრიად ეფექტიანი საშუალებაა.

სერიოზული დისპროპორციებია მცირე ბიზნესის რეგიონულ განვითარებაშიც, თბილისში მცირე საწარმოების დიდი ხვედრითი წონაა. აქ იწარმოება მცირე ბიზნესის სფეროში წარმოებული პროდუქციის, დაახლოებით, 60%, ხოლო დასაქმებულთა წილი დაახლოებით, 45%-ია. ეს იმას ნიშნავს, რომ რეგიონებში მცირე ბიზნესის განვითარებას სათანადო ყურადღება არ ექცევა და მათი სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობაც, გარკვეულწილად ამით არის გამოწვეული.

ცხადია, მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ბევრი რამ

---

[63] იხ. **ო. ვაშაკიძე, ლ. გარუჩავა, დ. დავითულიანი.** მეწარმეობის განვითარების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ასპექტები - საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ესპასკი-ს შრომების კრებული, ტომი V, თბილისი, 2000, გვ. 289-291.

გაკეთდა. შემუშავდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, ამოქმედდა მცირე ბიზნესის განვითარების მიზნობრივი პროგრამა, თუმცა უმნიშვნელო დაფინანსებით. მაგრამ საბოლოო შედეგების თვალსაზრისით, არ შეიძლება მიღწეული დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

მცირე ბიზნესის შედარებით განუვითარებლობა იმით აიხსნება, რომ იგი ვერ ასრულებს თავისი მნიშვნელოვანი ფისკალური და სამუშაო ადგილებით მოსახლეობის უზრუნველყოფის როლს. მცირე საწარმოებში შექმნილი დამატებული ღირებულების მოცულობა, დაახლოებით, 200 მლნ. ლარია, რაც ქვეყანაში შექმნილი დამატებული ღირებულების მხოლოდ 18%-ია. ამავე დროს, მცირე საწარმოთა წილად მოდის სამეწარმეო სფეროში დასაქმებულთა მხოლოდ 30%.

აქედან ჩანს, რომ მცირე ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებს ჯერ კიდევ ვერ ვიყენებთ. საკმარისია აღინიშნოს, რომ აშშ-ისა და გერმანიის მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით ნახევარი მცირე საწარმოებში იწარმოება, იაპონიაში - 70%. ამავე დროს, მცირე ბიზნესის განვითარება უმუშევრობის შემცირების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია. 1986-1990 წლებში აშშ-ში მსხვილ საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობა 3 მლნ. კაცით შემცირდა, ხოლო მცირე ბიზნესში 9 მლნ. კაცი დასაქმდა. მცირე ბიზნესის უპირატესობებია: წარმოების კაპიტალტევადობის სიმცირე, რაც წარმოების სწრაფად ორგანიზაციისა და ჩადებული ინვესტიციების სწრაფად ამოღების შესაძლებლობას იძლევა, ანუ რეინვესტირების პროცესი დაჩქარებულია; წარმოების მაღალი მოქნილობა, რაც ცვალებადი მოთხოვნილების სწრაფად დაკმაყოფილების შესაძლებლობასა და მომხმარებლების მოზიდვას განაპირობებს; ადგილობრივი რესურსებისა და მსხვილი საწარმოების ნარჩენების გამოყენების შესაძლებლობა. მაღალი ინოვაციური შესაძლებლობები, რაც მუშაკთა მაღალ ინტელექტუალურ და ტექნოლოგიურ უკუგებას ემყარება. ამის გამო, მცირე საწარმოებში სიახლეები თითოეულ მეცნიერსა და ინჟინერზე 24-ჯერ უფ-

რო იაფად ხორციელდება, ვიდრე მსხვილში, ხოლო გამოგონება ერთ მომუშავეზე, შესაბამისად, 45-ჯერ უფრო მეტია. ამგვარად, ეკონომიკის კერძო სექტორის ჩამოყალიბება საქართველოში უკვე მომხდარი ჭეშმარიტად უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია. მაგრამ კერძო სექტორი, მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნესი, ჯერჯერობით, არასაკმარისადაა განვითარებული. ამიტომ მისი დაჩქარებული განვითარების მიღწევა უახლოესი მომავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ამ ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად აუცილებელია იმ მიზეზების აღმოფხვრა, რაც კერძო სექტორის განვითარებას აფერხებს. მათგან მთავარია, პირველ რიგში, ინსტიტუციური ხასიათის მიზეზები, ინსტიტუციური გარდაქმნების გაუმართლებლად ნელი ტემპი, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის გახანგრძლივება, საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობა, ჩრდილოვანი ეკონომიკის, კორუფციის მაღალი დონე.

კერძო სექტორის განვითარებას ამსუბუქებს აგრეთვე პრივატიზების შეფერხება, მსხვილი საწარმოების სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენა. ნორმალური განვითარების პირობებში პრივატიზება შეიძლება გახანგრძლივდეს. მაგრამ სუსტი სახელმწიფოსა და მენეჯმენტის პირობებში ეს დაუშვებელია, რადგანაც გადასახადების აუკრეფლობით გამოწვეული ფინანსური კრიზისი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების დაფინანსებისა და ფუნქციონირების პირობებს კიდევ უფრო აუარესებს.

კერძო სექტორის განვითარებას აფერხებს მაკროეკონომიკური სტაბილურობის უქონლობა, კერძოდ, ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ქრონიკული დეფიციტი და ფინანსური კრიზისი. ეს აუარესებს ინვესტიციურ გარემოს და მკვეთრად ზრდის მეწარმეობის რისკს. რაც მთავარია, საქართველოში საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი, ფაქტობრივად, გაკოტრებულია. მათ ასამოქმედებლად საჭიროა მასშტაბური ინვესტიციები, რაც ფინანსური რესურსების სიმცირის გამო,

შეუძლებელია. დაბალია მეწარმეთა კვალიფიციური მომზადების დონეც. საწარმოთა მენეჯმენტს, უმრავლეს შემთხვევაში, არ ძალუძს მათი ეფექტიანი მართვის, მომგებიანი ბიზნესის, ინვესტიციური პროექტების გახორციელება. ამიტომ მეწარმეთა დიდი ნაწილი უპირატესობას სავაჭრო და სპეკულაციურ ოპერაციებში მონაწილეობას ამჯობინებს, სადაც მოგების მიღება გაცილებით უფრო ნაკლები ძალისხმევით და მოკლე დროში შეიძლება. ანალოგიურად იქცევა საბანკო სისტემაც. იგი ვერ ახორციელებს რეალური სექტორის დაკრედიტებას არა მარტო ფინანსური რესურსების უკმარისობის გამო, არამედ ასეთი დაკრედიტების მაღალი რისკის გამო. ამიტომ ბანკების უმრავლესობა, სწრაფი მოგების მიღების მიზნით უპირატესობას საკრედიტო რესურსების სავაჭრო-საშუამავლო ბიზნესს ანიჭებს. ინსტიტუციური, მაკროეკონომიკური მოუწესრიგებლობისა და კვალიფიკაციური მენეჯმენტის უქონლობის გამო, ვერც საზღვარგარეთული ინვესტიციების საჭირო მოცულობით მოზიდვა ხერხდება.

როგორც ჩანს, ეკონომიკის კერძო სექტორის განვითარება ფრიად რთული და კომპლექსური პრობლემაა. მაგრამ მისი დაჩქარება საქართველოსთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. სხვანაირად, ქვეყანა სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევას ვერ შეძლებს.

5.3. ფინანსური ინსტიტუტების ფორმირება

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფეხურია ეფექტიანი ფინანსური სისტემის ჩამოყალიბება. მისი მთავარი ფუნქცია რეალური ეკონომიკის ფუნქციონირებისა და განვითარების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფაში გამოიხატება. ამიტომ ფინანსური სისტემა, ანუ ეკონომიკის ფინანსური სექტორი, ფართო გაგებით, მოიცავს ფინანსური ინსტიტუტების ერთობლიობას:

სახელმწიფო ფინანსების სისტემას, საწარმოთა ფინანსების სისტემას, საბანკო სისტემას, ინსტიტუციური ინვესტორების სისტემას. სახელმწიფო ფინანსები მოიცავს ცენტრალურ, რეგიონული ერთეულებისა და ადგილობრივ ფინანსებს. საწარმოთა ფინანსები მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის საწარმოთა ფინანსებს მოიცავს. საბანკო სისტემა ცენტრალურ ბანკსა და კომერციული ბანკების ერთობლიობას ასახავს, ხოლო ინსტიტუციური ინვესტორების სისტემა – ინვესტიციური და საპენსიო ფონდებისა და სადაზღვევო კომპანიების ერთობლიობას.)ხშირად ფინანსურ სისტემას ვიწრო გაგებითაც იხილავენ, როდესაც ამ ჩამონათვალს საბანკო სისტემა აკლდება.

როგორც გეგმიანი მეურნეობისას, ასევე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სახელმწიფო ფინანსები ქვეყანაში სახელმწიფოებრივი ეკონომიკური პოლიტიკის გახორციელებისათვის სახსრების მობილიზაციის ინსტრუმენტია. მაგრამ განსხვავება ის არის, რომ სოციალისტური მეურნეობრიობისას სახელმწიფო ქვეყნის მთელი ფინანსური რესურსების მესაკუთრეა და შესაბამისად, ყველა მეურნე სუბიექტის ფინანსებსაც თვითონ მართავს; მაშინ, როდესაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსები დეცენტრალიზებულია, ანუ ფინანსური რესურსების უმეტესი ნაწილი სახელმწიფო მართვის სექტორის მიღმა, დამოუკიდებლად ფუნქციონირებს. არასახელმწიფო სექტორის ფინანსური რესურსები მეურნე სუბიექტების საკუთრებაშია. სახელმწიფო უშუალოდ მართავს მხოლოდ მის საკუთრებაში არსებულ რესურსებს, მეურნე სუბიექტების ფინანსურ რესურსებზე კი მხოლოდ ზემოქმედება შეუძლია.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ფინანსების ფუნქცია მოსახლეობისადმი, მთლიანად საზოგადოებისადმი არასაბაზრო მომსახურების გაწევითა, შემოსავლებისა და საკუთრების გადანაწილებით ვლინდება. სახელმწიფო ხარჯების დაფინანსება გადასახადებისა და ეკონომიკის არასახელმწიფო სექტორის სუბიექტების სხვა აუცილებელი გადასახადების

ხარჯზე ხორციელდება.

სახელმწიფო ფინანსებს განეკუთვნება: ცენტრალური ბიუჯეტი, ავტონომიური ერთეულების ბიუჯეტი, ადგილობრივი ბიუჯეტები, სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდები, საპენსიო ფონდი, სოციალური დაზღვევის ფონდი, მოსახლეობის დასაქმების ფონდი, აუცილებელი სამედიცინო დაზღვევის ფონდი და ა.შ..

ისევე, როგორც საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, ფინანსური რესურსების ძირითადი მასა საქართველოში სახელმწიფო მართვის სექტორიდან არასახელმწიფო სტრუქტურების დაქვემდებარებაში გადავიდა. ფინანსური რესურსების დეცენტრალიზაციის შედეგად, სახელმწიფო ფინანსური რესურსების წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ, მნიშვნელოვნად შემცირდა. თანდათან ყალიბდება ფინანსური ინსტრუმენტების ფართო წრეც: ერთობლივი ფონდები, აქციები, ობლიგაციები, ვექსელები, ვარანტები, დეპოზიტური სერტიფიკატები, სვოპები, ფორვარდული კონტრაქტები, ვადიანი დეპოზიტები, შემნახველი დეპოზიტები. მნიშვნელოვნად შემცირდა სახელმწიფოს ხარჯები სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებაზე. ასეთი საშუალებები ძირითადად, საწარმოთა ფინანსებით სრულდება, შემცირდა ცენტრალიზებული სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებები და ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან კრედიტების გამოყოფა.

მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ფინანსები ეკონომიკის ყველა სექტორის ფინანსური რესურსების მობილიზაციის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის გახორციელების მიზნით. სახელმწიფო ბიუჯეტსა და არასაბიუჯეტო ფონდებში აკუმულირებული რესურსები გამოიყენება იმ საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც კერძო სექტორის ფუნქციებში არ შედის. ასეთ სფეროებს მიეკუთვნება: სახელმწიფო მმართველობა, მოქალაქეთა საზოგადოებრივი უსაფრთხოება, სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარება, ეკოლოგია, თავდაცვა და ა.შ. რესურსების

გადანაწილება ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს განვითარებისათვის, სტრუქტურული სრულყოფისათვის, განათლების, მეცნიერების, კულტურის პროგრესისათვის ნებისმიერი სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირველესი ფუნქციაა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო ფინანსების სისტემა თვისებრივად შეიცვალა. სახელმწიფო ფინანსების რეფორმირების პროცესში მოხდა ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი მართვის დონეების უფლებებისა და პასუხისმგებლობის განაწილება გადასახადების მიღებისა და ხარჯების გაწევის სფეროებში.

სახელმწიფო ფინანსების მართვა ცენტრსა და ადგილებზე ხორციელდება საკანონმდებლო აქტების, ბიუჯეტების დამტკიცების, გადასახადებისა და გადახდის სხვა სახეების დადგენისა და გაუქმების გზით. ოპერატიულ მართვას ახორციელებს მთავრობა, ადგილობრივი აღმასრულებელი და სახელმწიფო ფინანსური ორგანოები, საგადასახადო სამსახურები, ხაზინა, სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების ხელმძღვანელობა. ცენტრალური ბიუჯეტი მტკიცდება პარლამენტის მიერ. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი საბიუჯეტო სისტემის ფორმირებისათვის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს „საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ". ამ კანონით განისაზღვრა რესპუბლიკური, ავტონომიური და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტის შედგენის, განხილვის, დამტკიცებისა და ხარჯების გამიჯვნის ძირითადი პრინციპები და საფინანსო-საბიუჯეტო უფლებამოსილებანი. ფრიად წინგადადგმული ნაბიჯი იყო, აგრეთვე, 1993 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საგადასახადო სისტემის სრულყოფის ახალი კანონების პაკეტი „საგადასახადო სისტემის საფუძვლების შესახებ", „საწარმოთა ქონების გადასახადის შესახებ", „ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის შესახებ", „დამატებული ღირებულების გადასახადის შესახებ", „აქციზების შესახებ", „საწარმოთა მოგების შემოსავლის გადასახადის შესახებ", „ფიზი-

კურ პირთა საშემოსავლო გადასახადების შესახებ". საეტაპო მნიშვნელობის იყო, საქართველოს საგადასახადო კოდექსის ამოქმედება 1997 წლის ივნისიდან. თუმცა ამ სფეროში, ისევე, როგორც ფინანსების სფეროში საერთოდ, კვლავ ბევრია გადაუჭრელი პრობლემა. მათზე უფრო დეტალურად ქვემოთ შევჩერდებით.

რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის, ცენტრალურ ბიუჯეტში კანონმდებლობით განისაზღვრება მათი შემოსავლების წყაროები. კანონში ბიუჯეტის შესახებ, განისაზღვრება გადასახადები და სხვა შემოსავლები, რომლებიც მხოლოდ ცენტრალურ ან მხოლოდ რეგიონულ ბიუჯეტს განეკუთვნებიან. ამ ბიუჯეტების სიდიდე დგინდება ხვედრითი წონის მიხედვით და დამოკიდებულია როგორც ცენტრალურ ბიუჯეტში გადასახადების შეტანის ფაქტობრივ სიდიდეზე, მოცემული რეგიონის ბიუჯეტში გადასახადების შეტანის ფაქტობრივ სიდიდეზე, ასევე მოცემული რეგიონის სპეციფიკაზე, მის წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების თავისებურებებზე. ცენტრალური ბიუჯეტიდან მცირეშემოსავლიან რეგიონებს, რომლებსაც მიმდინარე ხარჯების დაფინანსებისათვის სახსრები არ ჰყოფნით, დახმარება გამოეყოფა. ამასთან, რეგიონების ბიუჯეტებში გაუმართლებელი ხარჯები არ უნდა იყოს. სახსრების გამოყოფა შეიძლება შემცირდეს, რეგიონებისათვის დამატებითი დოტაციების, სუბსიდიებისა და შეღავათების მიცემის შემთხვევაში. ეს გამომდინარეობს პასუხისმგებლობის გადანაწილების პრინციპიდან - ცენტრალური ბიუჯეტი მასთან შეუთანხმებელ, რეგიონების ფინანსურ ვალდებულებებზე პასუხისმგებელი არ არის.

ქვეყნის ფინანსური სისტემის ოპტიმიზაციისთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლებსა და გასავლებს შორის ეფექტიანი თანაფარდობის მიღწევას. ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების დონე ისეთნაირად უნ-

და განისაზღვროს, რომ რეგიონებისა და ადგილობრივი ბიუჯეტები დოტაციებს არ საჭიროებდეს და ერთდროულად ცენტრალური ბიუჯეტის სახსრები საერთო სახელმწიფოებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფდეს. ეს წინააღმდეგობრივი პრობლემა წარმატებით მხოლოდ ქვეყნის ფინანსების, განსაკუთრებით კი, საგადასახადო სისტემის რაციონალურად მოწყობის შემთხვევაში გადაწყდება. გასათვალისწინებელია, რომ რეგიონების, ქალაქების, სოფლების დონეზე მრავალი პრობლემაა გადასაწყვეტი, მათ შორის საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში. ამისათვის მათ შემოსავლების დამოუკიდებელი წყარო ესაჭიროებათ, რაც რეგიონული და ადგილობრივი საგადასახადო სისტემის განვითარების აუცილებლობას განაპირობებს.

სერიოზულ პრობლემას უკავშირდება ცენტრალური ბიუჯეტიდან მართვის რეგიონული ორგანოებისადმი გაცემული კრედიტების დაბრუნების საკითხი. ეს ეხება, პირველ რიგში, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების, ხვნა-თესვისა და მოსავლის აღების მიზნობრივი პროგრამების გახორციელებისთვის გაცემულ კრედიტებს.

არსებით როლს ფინანსების განვითარებაში სხვადასხვა სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის სპეციალური ფონდები ასრულებენ. ისინი ფულადი რესურსების სხვადასხვა მიზნით აკუმულაციას ახდენენ. როგორც წესი, ასეთი ფონდები მსხვილი პრობლემების გადასაწყვეტად იქმნება. მათი სახსრების წყაროა მიზნობრივი გადასახადები და მოსაკრებლები, გადარიცხვები ბიუჯეტიდან, შემოსავლების კაპიტალიზაცია და სესხები. საფრანგეთსა და იაპონიაში მსგავსი ფონდების ხარჯზე, სახელმწიფო ხარჯების დაახლოებით ნახევარი ფინანსირდება, დიდ ბრიტანეთში - ერთი მესამედი, საქართველოში კი იგი, დაახლოებით, 18%, რაც ამ ინსტიტუტის განუვითარებლობაზე მეტყველებს. არასაბიუჯეტო ფონდები მიზნობრივი ხასიათისაა და სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, საკრედიტო და

სხვა ღონისძიებათა დაფინანსებისათვის გამოიყენება. ისინი ავტონომიური ორგანიზაციებია, რომლებიც მათ განკარგულებაში არსებული სახსრების მართვას ახორციელებენ.

საქართველოში ფუნქციონირებს ისეთი უმნიშვნელოვანესი ფონდები, როგორიც არის: სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდი, სახელმწიფო საგზაო ფონდი, სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანია.

მიზნობრივი საბიუჯეტო ფონდები და სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდები სახელმწიფო ფინანსების შემადგენელი ელემენტებია. ამიტომ მათ თავისი შემოსავლებითა და ხარჯებით უნდა იარსებონ, მათ შორის, სხვადასხვა დონის ბიუჯეტებისა და ფონდების ურთიერთშორის სახსრების გადადენის გზითაც. კონსოლიდირებული სახელმწიფო ფინანსების ჩამოყალიბებისას, ცხადია, ასეთი შემთხვევები უნდა გამოირიცხოს.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო კრედიტის ეფექტიანი სახეების ჩამოყალიბებას, კერძოდ, სახელმწიფოს შიდა და საგარეო ვალების მართვის საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ მოწესრიგებას. ეს ფრიად აქტუალური საკითხია, რადგანაც სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვა ქვეყანამ უნდა დაიწყოს სწორედ არაინფლაციური წყაროებიდან - ფასიანი ქაღალდების რეალიზაციიდან ამონაგები ფულადი სახსრებით.

ასევე, არსებითი მნიშვნელობისაა სადაზღვევო სისტემის განვითარებისათვის ხელშეწყობა. ქონებრივი და პირადი დაზღვევის ორგანიზაცია დაზღვევის სახელმწიფო კორპორაციაში და აქციონერული სადაზღვევო კომპანიების მიერ ფინანსური სახსრების მობილიზაციისა და ეფექტიანი გამოყენებისათვის, უდავოდ, წინგადადგმული ნაბიჯია. საპენსიო და სადაზღვევო ფონდების ინსტიტუტები უკვე მოქმედებენ და მათი შემდგომი განვითარება ქვეყნის ეკონომიკური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წანამძღვა-

რია.

სახელმწიფო ფინანსების სისტემის ჩამოყალიბებასთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა საწარმოთა დამოუკიდებელი ფინანსების ჩამოყალიბებას ენიჭება. მათი ავტონომიური ფუნქციონირების დაწყება რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა. საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმოთა ფინანსები მოიცავს სახელმწიფო, მუნიციპალური, აქციონერული და სხვა სახის საწარმოთა ფინანსებს და ფინანსურ ურთიერთობათა განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. საქართველოს ბიუჯეტის დეფიციტის აღმოფხვრის, საშინაო და საგარეო ვალების მომსახურების, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების პერსპექტივები, პირველ რიგში, საწარმოთა ფინანსების ზრდით, მომგებიანობის გადიდებითა და ზარალიანობის დაძლევის დინამიკით განისაზღვრება.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ღონისძიებებში ერთ-ერთი უმთავრესი საქართველოს საბანკო სისტემის ჩამოყალიბება იყო. ამით ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემა პრინციპულად შეიცვალა. ჩამოყალიბდა ორსაფეხურიანი საბანკო სისტემა, რომელიც ცენტრალურ ბანკსა და კომერციულ ბანკებს მოიცავს. სოციალისტური მეურნეობრიობისას, ეროვნული ბანკის ფუნქცია იყო ფულის ბეჭდვა სსრკ ცენტრალური ბანკის მიერ, რომლის ფილიალი იყო საქართველოს ცენტრალური ბანკი. კრედიტების განაწილებას, სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის მიხედვით, ბანკები ახორციელებდნენ. მათვე ევალებოდათ ამა თუ იმ დარგის, საწარმოს დაკრედიტება და დაფინანსება (ფინანსების დირექტიული ორგანოების მითითებით, როგორც წესი, ეს ხდებოდა არარეალური საპროცენტო განაკვეთებით და წინასწარ არც კი იხილავდნენ დასაფინანსებელი პროექტების ეფექტიანობის საკითხს). ბანკების გადახდისუნარიანობის პრობლემა საერთოდ არ იდგა, რადგანაც ისინი სახელმწიფოს საკუთრებაში იყო (იხ. ცხრილი 15).

აქედან გამომდინარე, საქართველოს საბანკო სისტემის სა-

ცენტრალიზებული და საბაზრო საბანკო სისტემის ძირითადი მახასიათებლები

ცენტრალიზებული საბანკო სისტემა	საბაზრო ეკონომიკის საბანკო სისტემა
1. სახელმწიფო - ბანკების ერთადერთი მესაკუთრეა.	1. ბანკების საკუთრების მრავალფეროვანი ფორმა.
2. სახელმწიფოს მონოპოლია ბანკების ფორმირებაზე.	2. ბანკების შექმნა ნებისმიერი იურიდიული და ფიზიკური პირის მიერ.
3. ერთსაფეხურიანი საბანკო სისტემა.	3. ორსაფეხურიანი საბანკო სისტემა.
4. მართვის ცენტრალიზებული, ვერტიკალური სისტემა.	4. მართვის დეცენტრალიზებული, ჰორიზონტალური სისტემა.
5. ერთიანი საბანკო პოლიტიკა.	5. მრავალი ბანკის პოლიტიკა.
6. სახელმწიფო პასუხისმგებელია ბანკების ვალდებულებებზე.	6. სახელმწიფო და ბანკები არ არიან პასუხისმგებელნი ვალდებულებებზე ერთმანეთის მიმართ.
7. ბანკები ოპერატიულ საქმიანობაში ემორჩილებიან მთავრობას.	7. ცენტრალური ბანკი ემორჩილება პარლამენტს, კომერციული ბანკები - თავის აქციონერებს, სამეთვალყურეო საბჭოს.
8. საკრედიტო და საემისიო ოპერაციები თავმოყრილია ერთ ბანკში, გარდა ცალკეული ბანკებისა, რომლებიც საემისიო ოპერაციებს არ ახორციელებენ.	8. საემისიო ოპერაციებს ახორციელებს მხოლოდ ცენტრალური ბანკი. საწარმოებისა და ფიზიკური პირების დაკრედიტებას ახორციელებენ მხოლოდ კომერციული ბანკები.
9.ბანკის ხელმძღვანელი ინიშნება ცენტრალური ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, მართვის ზემდგომი ორგანოს მიერ.	9. ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელი ინიშნება პარლამენტის მიერ. კომერციული ბანკის პრეზიდენტი ინიშნება მისი სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

ბაზრო ტრანსფორმაციისათვის აუცილებელი იყო შემდეგი ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორების ერთდროულად დაძლევა: საკრედიტო პორტფელების სისუსტე, როდესაც საბაზრო ღირებულება მნიშვნელოვნად მცირეა საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, საბუღალტრო აღრიცხვის მიხედვით; საბანკო სისტემაში სპეციალიზაციის გავრცელება, რაც ბანკებისათვის მძიმე შედეგების მომტანია ეკონომიკური დაქვეითებისა და ფასების ძლიერი მერყეობის შემთხვევაში; საკრედიტო პორტფელების უმნიშვნელო დივერსიფიკაცია; კონკურენციის უქონლობა; საკონტრაქტო პი-

რობების განმსაზღვრელი კანონმდებლობის არარსებობა; საბანკო პერსონალის კვალიფიკაციის დაბალი დონე, საბაზრო ცოდნისა და მენტალიტეტის განუვითარებლობა; საბუღალტრო აღრიცხვისა და ოპერაციების საერთო დაბალი დონე, შეუსაბამობა საბაზრო და საერთაშორისო მოთხოვნებთან.

ამიტომ საბანკო სისტემის ტრანსფორმაციისათვის განისაზღვრა შემდეგი ძირითადი მიზნები: ფულადი დაგროვების მობილიზაცია გადასახადების მექანიზმების ეფექტიანობის ამაღლებითა და გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტების დივერსიფიკაციით; ფონდების მიზანდასახული გადანაწილება სამეწარმეო სექტორში; კაპიტალური დაბანდების უპირატესი სტიმულირება სამომხმარებლო ხარჯებთან შედარებით; საწარმოებისა და ბანკების ფინანსური პასუხისმგებლობის დამკვიდრება; ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლება საბანკო და მთელი ფინანსური სისტემის სრულყოფის საფუძველზე.

ამისათვის რეფორმის პერიოდში უნდა გადაწყდეს შემდეგი ფუძემდებლური ამოცანები: ბანკების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, რაც აიძულებს მათ საკუთარი ბიუჯეტის მკაცრ საზღვრებში კაპიტალის ეფექტიანი გამოყენებისათვის იზრუნონ; ბანკის ეფექტიანი ინფრასტრუქტურის შექმნა თანამედროვე საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველზე; თანამედროვე საბუღალტრო და აუდიტორული სტანდარტების გამოყენება კომპანიებისა და ახალი პროექტების, უშუალოდ ბანკების ეფექტიანობისა და გადახდისუნარიანობის შესაფასებლად; კვალიფიციური კადრების არსებობა; საკრედიტო პორტფელების შეფასება; ფილიალებისა და მომსახურების ქსელის გაფართოება.

ამასთან, საქართველოში საბანკო სისტემის ფორმირებისას გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები: საბანკო სფეროში პრივატიზების გახორციელება და ამის საფუძველზე კერძო კომერციული ბანკების სისტემის ჩამოყალიბება; მცირე ბიზნესის მომსახურების უზრუნველყოფა საკრედიტო რესურსების საერთო უკმარისობის პირობებში; საპრო-

ცენტრო განაკვეთების სრული ლიბერალიზაციის მიღწევა; არამომგებიანი კრედიტებისგან გათავისუფლება.

დასახელებული მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციის მისაღწევად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა **„საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კანონს“**, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 1995 წლის 23 ივნისს მიიღო. სწორედ იგი აწესებს საქართველოს ფულადი სისტემის მთავარ ინსტიტუციურ საფუძვლებს. ამ კანონის მიხედვით, საქართველოს ოფიციალური ფულის ერთეულია ლარი, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გადახდის ერთადერთ კანონიერ საშუალებას წარმოადგენს.

ლარი (მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული, მიმდინარე, ვადიანი და საბანკო ანგარიში) უზრუნველყოფილია ოქროს მარაგით, უცხოეთის ქვეყნების სავალუტო კრედიტებით, საქართველოს ეროვნული ბანკის სხვა აქტივებით. საქართველოს ეროვნულ ბანკს ექსკლუზიური უფლება აქვს, მოახდინოს ბანკნოტებისა და მონეტების ემისია. უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად მათი გამოყენება აკრძალულია.

საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობა მიმართულია, უწინარეს ყოვლისა, მდგრადი საბანკო სისტემის დასამკვიდრებლად. შემუშავდა კომერციული ბანკების რეორგანიზაციის, შერწყმა-გაერთიანების ზოგადი სტრატეგია, რომელიც განუხრელად ხორციელდება. არსებული კანონმდებლობის შესაბამისად და მეანაბრეთა ინტერესების დაცვის გათვალისწინებით, მიმდინარეობს ლიცენზიაჩამორთმეული კომერციული ბანკების ლიკვიდაცია და ლიკვიდაციის პროცესზე ზედამხედველობა. 2000 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ქვეყანაში საბანკო საქმიანობის წარმოებაზე ლიცენზიის მქონე 36 ბანკიდან 8 ბანკს აქვს 3 მლნ. ლარიდან 5 მლნ. ლარამდე, ხოლო 6 ბანკს - 5 მლნ. ლარზე მეტი საწესდებო კაპიტალი.

ეროვნული ბანკი უშუალოდ აკონტროლებს ნაღდი ფულის მარაგს, ახორციელებს მის ემისიას, ბანკნოტებითა და მონეტებით უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკას. ამას-

თან, იგი შეიმუშავებს და ახორციელებს საქართველოს სავალუტო პოლიტიკას.

ამჟამად საქართველოს საკრედიტო სისტემა მოიცავს: 1. საქართველოს ეროვნულ ბანკს; 2. კომერციულ ბანკებს; 3. სპეციალიზებულ საკრედიტო-ფინანსურ ინსტიტუტებს: სადაზღვევო კომპანიებსა და საპენსიო ფონდს.

ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოს საკრედიტო სისტე-

ცხრილი 16

საქართველოს საკრედიტო სისტემის დინამიკა

ერთეულის დასახელება	1995	1996	1997	1998	1999
1. კომერციული ბანკები, სულ	101	61	53	43	36
მათ შორის:					
ყოველ 100 ათას კაცზე	1,87	1,13	0,98	0,80	0,67
2. ფილიალები უცხოური კაპიტალის მონაწილეობით	33	242	215	212	219
3. ვალუტის გადამცვლელი პუნქტები	863	805	616	242	204
მათ შორის:					
ყოველ 100 ათას კაცზე	15,98	14,91	11,41	4,48	3,78
4. არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებები:					
ა. საფონდო ბირჟები			-	-	-
ბ. სადაზღვევო კომპანიები	-	-	25	16	17
გ. საპენსიო ფონდები	1	1	1	1	1

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი, 1999, №9, გვ. 22.

მამ ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. მიმდინარეობს საკრედიტო დაწესებულებების გამსხვილების პროცესი, თუმცა საკრედიტო სისტემა ჯერ კიდევ შორსაა თანამედროვე სტანდარტებისგან და ამ მიმართულებით კვლავ დიდი ძალისხმევაა საჭირო.

ამგვარად, რეფორმის პერიოდში ფინანსური სისტემის საფუძვლები ასე ჩამოყალიბდა: ფუნქციონირებს საბაზრო პრინციპებზე მოქმედი საბიუჯეტო, საბანკო, საფონდო, საპენსიო, სადაზღვევო სისტემები. მართალია, მათი განვითარების დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება საბაზრო ეკონომი-

კის მოთხოვნებს, მაგრამ ამ გარდაქმნის მნიშვნელობის შეუფასებლობაც მართებული არ იქნებოდა. საბაზრო ეკონომიკისათვის აუცილებელი საფინანსო ინსტიტუტები ძირითადად ჩამოყალიბებულია. ამიერიდან საფინანსო ინსტიტუტების ამოცანაა, საქმიანობის მუდმივი სრულყოფა. სწორედ ამ ინსტიტუტების ეფექტიანობაზე იქნება დამოკიდებული უპირატესად საქართველოს შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი.

5.4. მართვის სრულყოფა და ეფექტიანობის ამაღლება

მართვის სრულყოფას საქართველოში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც სწორედ მისი ხარისხი და ეფექტიანობა განაპირობებს, საბოლოო ჯამში, ეკონომიკური კრიზისის დაძლევისა და განვითარების შესაძლებლობებს. ეს იმიტომ, რომ მართვა გულისხმობს მიზნებისა და ფასეულობების განსაზღვრის, ამოცანებისა და ფუნქციების შესრულების კოორდინაციის, მუშაკების სწავლებისა და მათი საქმიანობის მაღალი ეფექტიანობის მიღწევის უნარსა და ჩვევებს.

მართვის სრულყოფისათვის გარდამავალი ეკონომიკის პირობებში გასათვალისწინებელია, რომ ხორციელდება საბაზრო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი სრულიად ახალი ინსტიტუციური პირობებისა და საწარმოთა ქცევის ახალი მოდელების დამკვიდრება. უკანასკნელი წლების გამოცდილებამ საქართველოში დაადასტურა, რომ ფასების ლიბერალიზაციისა და პრივატიზების გახორციელება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე საწარმოთა ქცევაში რეალური და გრძელვადიანი ცვლილებების მიღწევა. გარდამავალ პერიოდში მართვის საბოლოო შედეგად ვერ ჩაითვლება ვერც წარმოების მოცულობა, ვერც მოგება და ვერც სამეურნეო საქმიანობის სხვა რომელიმე მაჩვენებელი, რადგანაც ახალი ეკონომიკური ურთიერთობების, მართვის მბრძანებლური

ტიპის ლიკვიდაციისა და საბაზრო სტრუქტურების ფორმირებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც საწარმოების გადარჩენას ენიჭება. ამისათვის კი, თანაბრად მნიშვნელოვანია ბაზარზე საკუთარი სეგმენტის მოპოვება, ინვესტიციური აქტივობის შენარჩუნება, მწარმოებლურობის ამაღლება, ადამიანური რესურსების განვითარება, ფინანსური შედეგების უზრუნველყოფა, ახალი საწარმოო კავშირების დამყარება. ყველაფერი ეს კი მხოლოდ ეფექტიანი მართვის პირობებშია შესაძლებელი.

გარდამავალი ეკონომიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდში, საწარმოთა გადარჩენის ამოცანის წინა პლანზე წამოწევა ობიექტურად მართვის სრულიად ახალ ტიპს, შუალედური, გარდამავალი მართვის ტიპს წარმოშობს, რომელიც უკვე აღარ არის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ხასიათის მართვა, მაგრამ ჯერჯერობით, არც სრულად ჩამოყალიბებული საბაზრო მართვის ტიპია. ობიექტურად იგი არის გარდამავალი მართვის ტიპი, რომელიც ორი თავისებურებით ხასიათდება: პირველი, ცვლილებებით საკუთრივ მართვის სფეროში, მისი დემოკრატიზაციის, დეცენტრალიზაციის, ვერტიკალურიდან ჰორიზონტულ კავშირებზე გადასვლის პროცესები და, მეორე, სოციალისტური მეურნეობრივი სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი. ზოგჯერ ამ თავისებურებების გათვალისწინება არ ხდება, რაც თეორიასა და პრაქტიკაში ორი უკიდურესი პოზიციით ვლინდება. პირველი პოზიციის მომხრეები მოითხოვენ სრულ და შეუზღუდავ საბაზრო თვითორგანიზაციაზე გადასვლას და საერთოდ უარყოფენ სახელმწიფოს მარეგულირებელ ფუნქციას ეკონომიკაში, ხოლო მეორე პოზიციის მომხრეები, ძველებურად, მხოლოდ მკაცრ მბრძანებლურ-ადმინისტრაციულ მართვას მოითხოვენ. ცხადია, ორივე ეს უკიდურესი პოზიცია მცდარია. რადგანაც უგულებელყოფს რეალურ სინამდვილეს და განვითარების ობიექტურ მოთხოვნებს. გარდამავალ ეკონომიკაში მთავარია საწარმოთა ინტერესების შედარება ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარების ინტერესებთან. ამ პირველი პრობლემის გადაწყ-

ვეტაზეა დამოკიდებული ტრანსფორმაციული კრიზისის დაძლევისა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის რეალური შესაძლებლობა.

ამიტომ არის, რომ გარდამავალ ეკონომიკაში საჭიროა არა მარტო ორგანიზაციის ახალი ფორმები და მართვის ახალი მეთოდები, არამედ, აგრეთვე, მეურნეობრიობის, ზრდის ახალი რეჟიმები, სტრუქტურების ეტაპობრივი ტრანსფორმაცია, რომელთა მიმართ სახელმწიფოსა და ბაზრის ზემოქმედების ხასიათი და ზომა საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების კვალობაზე იცვლება. მაშასადამე, აუცილებელია გავითვალისწინოთ ქვეყნის განვითარების თავისებურებანი, გარდამავალ პერიოდში მართვის ტრანსფორმაციის თავისებურებანი და იმავროულად, მართვის განვითარების ზოგადი ტენდენციები. შედეგად, ყალიბდება პირობები საქართველოში ეკონომიკის მართვის ეროვნული მოდელის დამკვიდრებისათვის, რომელიც ერთდროულად ითვალისწინებს როგორც მართვის საერთო კანონზომიერებებს - პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლის ისტორიული პროცესების ზეგავლენით, ასევე ქვეყნის სპეციფიკურ თავისებურებებსა და ინტერესებსაც.

მართვის საერთო კანონზომიერებებიდან შეიძლება გამოვყოთ მართვის ორგანიზაციის შემდეგი მახასიათებლები:

1. დემოკრატიული ორგანიზაცია. ტრადიციულად, დღემდე გაბატონებული იყო იერარქიული, მბრძანებლური მართვა. მაგრამ ინფორმაციულ საზოგადოებაში წინა პლანზე გამოდის დემოკრატიული მართვა, როდესაც თითქმის ყველა მუშაკი მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღებაში;

2. პროგნოზირებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია. განვითარების დაჩქარების, პირობების სწრაფი ცვალებადობის შედეგად განსაკუთრებით მაღლდება პროცესების მიმართულების, ფაქტორთა ახლებურად კომბინაციის წინასწარ განსაზღვრის, პროგნოზირების მნიშვნელობა სწორი გადაწყვეტილებისა და დადებითი შედეგების მისაღებად. ასეთი მიდგომა მართვის უმაღლესი ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ძირეული ფუნქციაა;

3. ინტეგრირებული ორგანიზაცია ურთიერთგადაჯვარედინებული ფუნქციებით. ტრადიციულად, გაბატონებული იყო ორგანიზაცია ფუნქციონალური ქვედანაყოფე-

ბით, რომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად საქმიანობდნენ. ახლა თანდათან გაბატონებული ხდება მატრიცული ფორმის ორგანიზაცია, რადგანაც შეუძლებელია მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, თუ იგი არ ითვალისწინებს სხვადასხვა ფუნქციის ინტეგრაციასა და კოორდინაციას;

4. მარტივი და სრულუფლებიანი ორგანიზაცია. ორგანიზაციის გამარტივებისა და იერარქიულობის შემცირების კვალობაზე იგი უფლებას ანიჭებს მუშაკებს, საკუთარ თავზე მეტი პასუხისმგებლობა აიღონ და დამოუკიდებლად იმუშაონ. იგივე შეიძლება ითქვას ორგანიზაციის ქვედანაყოფების შესახებაც. იშვიათი როდია, როდესაც ფირმის რომელიმე ქვედანაყოფი სრულიად დამოუკიდებელი ხდება, იურიდიულ პირად იქცევა და მომიჯნავე ქვედანაყოფებთან ან სხვა ფირმებთან კონტრაქტების საფუძველზე თანამშრომლობს. ასეთი ორგანიზაციის მოტივაცია, პასუხისმგებლობა, ეფექტიანობა, როგორც წესი, შედარებით მაღალია;

5. გლობალური ორგანიზაცია. საწარმოო, ინფორმაციული და ტექნოლოგიური შესაძლებლობების ზრდა იწვევს ორგანიზაციის გლობალური სტრატეგიის გახორციელებას, რომელიც მრავალ ქვეყანაში, დამატებული ღირებულების წარმოების ციკლის ნებისმიერ სტადიაზე საქმიანობას ასტიმულირებს. ადამიანური რესურსები, ფინანსები, ნედლეული, გასაღების ბაზები შეიძლება დედამიწის ნებისმიერ წერტილში გამოიყენონ;

6. ქსელური ორგანიზაცია. გლობალიზაცია განაპირობებს პროდუქციის სხვადასხვა ელემენტის დეტალის, ფაქტორის წარმოების, გაცვლის, განაწილების, მოხმარების ქსელურ გადაადგილებას დედამიწის მასშტაბით. ქსელური ხასიათისაა წარმოება, ფინანსური ინფორმაციის ნაკადების მოძრაობა, მათი მართვა თანამედროვე ტელეკომუნიკაციებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით. მომხმარებელიც და მწარმოებელიც ამ ქსელის ნაწილია;

7. ინფორმაციულ ტექნოლოგიაზე დამყარებული ორგანიზაცია. თანამედროვე პირობებში წარმოების, მართვის ეფექტიანობას, კონკურენტუნარიანობას ინფორმაცი-

ული ტექნოლოგიების გამოყენების ხარისხი განსაზღვრავს;

8. აქციონერსა და კლიენტზე ორიენტირებული ორგანიზაცია. თანამედროვე ორგანიზაცია არ შეიძლება ჩაკეტილი იყოს და მხოლოდ საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობდეს. მისთვის მნიშვნელოვანია აქციონერებისა და კლიენტების ინტერესების გათვალისწინება, სწრაფვა მათი მოთხოვნილების მაქსიმალურად დასაკმაყოფილებლად. გადაწყვეტილებათა მიღება და მათი გახორციელება სწორედ ამ მოთხოვნებს უნდა ეფუძნებოდეს;

9. დამატებულ ღირებულებაზე ორიენტირებული ორგანიზაცია. კონკურენტუნარიანობისთვის მთავარია დამატებული ღირებულების წარმოება მაღალხარისხიანი პროდუქციის გამოშვებით, მართვის ეფექტიანობის ამაღლებით, პრიორიტეტების სწორად შერჩევით;

10. დროზე ორიენტირებული ორგანიზაცია. ინფორმაციული საზოგადოებისთვის დამახასიათებელია არა მარტო განვითარების დაჩქარება, არამედ სხვადასხვა სიჩქარით განვითარება. ამიტომ, დროული კონკურენცია განვითარების დაჩქარებისთვის, ახალი პროდუქციის წარმოებისთვის, უპირატესობების მოპოვებისთვის გადამწყვეტი გახდა. მენეჯმენტმა, პირველ რიგში, დროის ეკონომია უნდა უზრუნველყოს;

11. ინოვაციური, მეწარმეობითი ორგანიზაცია. დროის ეკონომია, ხარისხის ამაღლება, გარემოსთან ადაპტაცია, მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება მხოლოდ მუდმივი განახლებით, ინოვაციური საქმიანობით შეიძლება. ამიტომ, წარმატების მთავარი საწინდარია ინოვაციური მენეჯმენტის დანერგვა, ინოვაციური საქმიანობის აქტიური სტიმულირება.[64]

ამ ტენდენციების რეალიზაცია თითოეული ქვეყნის თავისებურებებზეა დამოკიდებული და უცებ არ ხდება. ანალიზი გვიჩვენებს, რომ თანამედროვე პირობებში გამოიყოფა სა-

---

[64] იხ. Друкер П.Ф. Задачи менеджмента в XXI веке. М., 2000; Друкер П.Ф. Новые реальности. М., 1994; Антикризисное управление. Под ред. ".М.Короткова. М., 2000; Саймон Г.А., Ститбург Д.У., Томпсон В.А. Менеджмент в организациях. М., 1995; Бизнес и менеджер. М., 1992.

ცხრილი 17

საწარმოთა მართვის ტიპები

	შედარების კრიტერიუმი	საწარმო მბრძანებლურ ეკონომიკაში	საწარმო ლიბერალურ ეკონომიკაში	საწარმო კორპორა-ციულ ეკონომიკაში	საწარმო გარდამავალ ეკონომიკაში
1.	მიზნობრივი ფუნქცია	გეგმის შესრულება ნორმალური დაძაბულობისას	მოგების მაქსიმიზაცია	ორგანიზებული კაპიტალის მაქსიმიზაცია წარმოებისა და გაყიდვების მოცულობის ზრდით	საწარმოს გადარჩენა. შრომით კოლექტივის შენარჩუნება
2.	საკუთრების სტრუქტურა	ფორმალურად - სახელმწიფო-ებრივი, რეალურად - „აქტორის" საკუთრება	აქციონერული, ფიზიკური პირების სიკეთით	ფორმალურად - აქციონერული, რეალურად - აქციონერული კოლექტიური საწარმოს ელემენტებით	ფორმალურად - აქციონერული, რეალურად - რეკომბინირებული, საწარმოს მმართველების
3.	პრინციპალი გადაწყვეტილების განმსაზღვრელი	„აქტორი", სამინისტრო, უწყება	ინდივიდუალური აქციონერები	აქციონერებისა და კაპიტალიზ-ტიკ მუშაკების კოალიცია	საწარმოს ხელმძღვანელობა
4.	გარემოს მახასიათებელი	სტაბილური	რისკი	რისკი	არასტაბილური
5.	პრინციპალსა და აგენტს შორის პრობლემის გადაწყვეტის ხერხი	უშუალო კონტროლი - ადმინისტრა-ციული, პარტიული, პროფკავშირუ-ლი ან საბჭოთა ორგანოების მხრივ	„ხმის" მიხედვით ან „გამოსვლით"	ფირმის მოდელის გამოყენება აგენტების კოალიციის სახით	საწარმოს ხელმძღვანელობასა და-მის მუშაკებს შორის ურთიერთთა-ბებში პაულერალიზმის პოლიტიკა
6.	ურთიერთობა სახელმწიფოსთან	საგეგმო ორგანოების მრძანებე-ბისადმი დამორჩილება	სრული დამოკიდებულება	არბიტრის როლში გამოყენება სხვა საწარმოებთან კონფლიქ-ტისას	ფორმალურად დამოუკიდებლობა მაგრამ რეალურად სახელმწიფ-თავის თავზე იღებს ვალდებულე-ბას პასიურების ცენტრალიზებულ-მართვის ჩარჩოებში
7.	დასაქმების პოლიტიკა	შრომაზე მოთხოვნა, როგორც რესურსების მოსალოდნელი დეფიციტის ფუნქცია	შრომაზე მოთხოვნა, როგორც რესურსების მოსალოდნელი დეფი-ციტისა და ზღვრული მუშაკის შრომის მწარმოებლობის ფუნქცია	კაპიტალიზმიდან მუშაკებზე მოთხოვ-ნა სტაბილურია, პროდუქციაზე მოსალოდნელი მოთხოვნა ზემოქ-მედებს მნიშვნელოვანი და დროებითი დასაქმების მასშტაბზე	მოთხოვნა შრომაზე სტაბილური-შრომითი კოლექტივის შენარჩუ-ნებაზე ორიენტაციის გამო, ნება-ყოფლობითი გათავისუფლება

8.	ხელფასების პოლიტიკა	ფეოდალურული, ტროიანი სატტრიდი ბადის გამო	მაღალი ინფლაციის ზეფურული ფარგოფლურობასთან კავშირში	ფეოდალურული რაგეების ეიერარქიაში მუშაკის ადგილის მიხედვით	ფეოდალურული
9.	მუშაკების საქმიანობის კოორდინაცია	ეფექტიანური ფორეტების ზრდაზეების შესრულების სფეფერეზე	ეფექტიანური, ფორეტეა საკვანძო ზიგეა კოორდინაციის უზრუნველყოფაზე	ქორი ზიანტეული, მუშაკების რიტეცია და პირდაპირი კავშირები ქვედანაყოფებს შორის	ეფექტიანური, მუშაკის ფორეტეაზე დამოკიდებული მიხედვით
10.	პროფესიონალების ფუნქციები	მუშაკების კონტროლის დამატებითი მექანიზმი; სოციალური ფიგეალობის გაანწყლება	შუამავალი კონფლიქტისას მუშაკებსა და მენეჯმენტს შორის	ეფექტა მუშაკის ინტერესების ფიცვა	მინიმალური მინიმალი ზეფიური პოტენციალი

წარმოების ოთხი ტიპი, რომელთა მახასიათებელიც მე-17 ცხრილშია მოცემული. კერძოდ, გამოიყოფა საწარმო მბრძანებლურ ეკონომიკაში, ანუ საბჭოთა ტიპის საწარმო, საწარმო ლიბერალურ ეკონომიკაში, რომლის ტიპური წარმომადგენელი ამერიკული საწარმოა, საწარმო კორპორაციულ ეკონომიკაში, რომლის ტიპური წარმომადგენელი იაპონური საწარმოა და გარდამავალი ეკონომიკისათვის დამახასიათებელი საწარმოს ტიპი, რომელიც საქართველოსთვისაცაა დამახასიათებელი. ცხრილიდან ჩანს, რომ გარდამავალი ეკონომიკის საწარმოს მართვა პრინციპულად განსხვავდება ყველა სხვა ტიპის საწარმოს მართვისაგან. ლიბერალურ ეკონომიკაში საწარმოს მართვის მთავარი მიზნობრივი ფუნქციაა მოგების მაქსიმიზაცია, გარდამავალ ეკონომიკაში კი საწარმოს გადარჩენა, შრომითი კოლექტივის შენარჩუნება. ამიტომ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ანტიკრიზისულ მართვას, როგორც მაკროდონეზე, ასევე მიკროდონეზე.

სამწუხაროდ, საქართველოში ანტიკრიზისულ მართვას ნაკლები ყურადღება ექცევა. მართალია, 1994-1995 წ.წ. მოქმედებდა ანტიკრიზისული პროგრამა, მაგრამ მას მომდევნო პერიოდში მიღწეული ეკონომიკური ზრდის გამო ნაკლები ყურადღება დაეთმო, განსაკუთრებით მიკროეკო-

ნომიკურ დონეზე, თუმცა ანტიკრიზისული მართვის გახორციელება ეკონომიკის საერთო გაჯანსაღების საფუძველია. ამიტომ ეს პრობლემა ფრიად აქტუალურია დღევანდელ პირობებში, როგორც მაკროეკონომიკურ, ასევე მიკროეკონომიკურ დონეზე.

ანტიკრიზისული მართვის გახორციელება გულისხმობს: კრიზისების ტიპოლოგიას, ეკონომიკური კრიზისების მიზეზების დადგენას, კრიზისული სიტუაციების სახელმწიფოებრივ რეგულირებას, სახელმწიფოებრივი მართვის კრიზისის დაძლევას, მართვის კრიზისის დასაძლევად რეფორმების გატარებას, ანტიკრიზისული მართვის ეფექტიანობის ამაღლებას, მარკეტინგის დანერგვას ანტიკრიზისულ მართვაში, კრიზისების დიაგნოსტიკას, საწარმოების ბანკროტობის დიაგნოსტიკას, ანტიკრიზისული მართვის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებას, საწარმოთა რესტრუქტურიზაციას, ანტიკრიზისული მართვის ინოვაციური და ინვესტიციური პოლიტიკის გატარებას, პერსონალის ანტიკრიზისული მართვის სისტემურ ჩამოყალიბებას, ანტიკრიზისული მართვის მენეჯერების კვალიფიკაციის მუდმივ სრულყოფას, ანტიციკლური, მათ შორის კონიუნქტურული პოლიტიკის ეფექტიანობას.

ანტიკრიზისული მართვის მთავარი დანიშნულებაა ეკონომიკური კრიზისების დროული პროფილაქტიკა, თავიდან აცილება, ხოლო მისი არსებობისას - რაც შეიძლება სწრაფად და მცირე სოციალური დანაკარგებით დაძლევა. ამასთან, ანტიკრიზისული მართვა არაიზოლირებულად, არამედ ყოველთვის სტრუქტურული, ინვესტიციური, ინოვაციური მენეჯმენტის ღონისძიებებთან ინტეგრირებულად უნდა ხორციელდებოდეს.

მსოფლიო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ კომპანიების წარუმატებლობის მთავარი მიზეზია მათი მენეჯმენტის, ხელმძღვანელობის დაბალი ეფექტიანობა და ხარისხი, მათი შემოქმედებითი უნარის უკმარისობა, მცირე ინოვაციურობა, ორიენტაცია არსებულ საქმიან სცენარებზე, ტრა-

15. თ.ბასილია, ა.სილაგაძე, თ.ჩიკვაიძე

დიციულ მიზნობრივ მიჯნებსა და საქმიანობის სქემებზე. მართვის არაეფექტიანობის ძირითადი მიზეზია ორგანიზაციის მდგომარეობის არაობიექტური შეფასება, უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ არსებული პრობლემების ცალმხრივი და სუბიექტური ხედვა. სხვა მიზეზებია: ძველი მეთოდებისადმი ერთგულება, თუმცა ისინი უკვე შედეგს აღარ იძლევიან; მომხმარებლებთან კონტაქტის გაწყვეტა, ორგანიზაციის სტრუქტურული მოუქნელობა, უმოძრაობა; პერსონალის დაბალი კვალიფიკაცია და დინამიზმი; გარემოს არაადეკვატური აღქმა, გლობალური კონკურენციის მნიშვნელობის გაუთვითცნობიერებლობა.

მართვის ეფექტიანობის ამაღლება ყველა დასახელებული მიზეზის აღმოფხვრას გულისხმობს, მაგრამ, ამასთან ერთად, აუცილებელია ჰორიზონტულ კომპანიებზე გადასვლა, როდესაც ორგანიზაციული სტრუქტურა ყალიბდება არა დასმული ამოცანის მიმართ, არამედ პროცესის მიმართ. ფუნქციების მიხედვით სტრუქტურების შექმნის ნაცვლად, კომპანიის სტრუქტურა აიგება 3-5 ძირითადი პროცესის მიმართ თავისი სპეციფიკური მიზნებით. იქმნება ჰორიზონტული იერარქია. მცირდება ვერტიკალური ადმინისტრირება, იხურება საწარმოები, რომლებსაც დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდა არ შეუძლიათ. ხორციელდება საქმიანობის მინიმიზაცია, თითოეული პროცესის შიგნით. იქმნება სპეციალიზებული ჯგუფები, გუნდები ნებისმიერი სამუშაოს მართვისთვის. ჯგუფები თვითმმართველობის პრინციპზე ყალიბდება, რაც ამცირებს უმაღლესი ხელმძღვანელობის როლს. ამასთან, წარმატების მთავარ მაჩვენებლად განისაზღვრება მოთხოვნილების დაკმაყოფილება და არა მარაგების ან რენტაბელობის გადიდება. შრომის ანაზღაურება ხორციელდება მიღწეული საბოლოო შედეგის მიხედვით და არა მარტო ინდივიდუალური შედეგის მიხედვით. სტიმულირდება შემოქმედება და რამდენიმე პროფესიის ცოდნა (ვიწრო სპეციალიზაციის ნაცვლად).

მართვის ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი მთავარი

პირობაა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება. წარსულს ჰბარდება მართვის მბრძანებლურ-საკონტროლო ორგანიზაცია დეპარტამენტებისა და განყოფილებების გამოყოფით. სამაგიეროდ, ყალიბდება ინფორმაციაზე დაფუძნებული ორგანიზაცია. მისი თანამშრომლები გამოირჩევიან ერუდიციით, ცოდნით. მენეჯერების რიცხვი მკვეთრად შემცირდება, ხოლო სპეციალისტების, შემოქმედებითი მუშაკების როლი ამაღლდება. ეს იმას ნიშნავს, რომ თავისუფალი მეწარმეობა ფირმების შიგნითაც ინერგება: წრფივი, მარკეტინგული, ფუნქციონალური სტრუქტურები, უმაღლესი ხელმძღვანელობა დამოუკიდებელ ერთეულებად იქცევიან, თვითონ ყიდულობენ და ყიდიან საქონელს. მომსახურებას ეწევიან ფირმის შიგნით და გარეთ, ხოლო მათი გაერთიანება ინფორმაციული ქსელების, ფინანსური სისტემებისა და მეწარმეობრივი კულტურის ერთიანობის საფუძველზე ხორციელდება. ასეთი „მართვადი ბაზრების" განვითარება იწვევს სტრატეგიული ალიანსების, ტექნოლოგიების ერთობლივი გამოყენების, საერთო პრობლემების ერთობლივი გადაწყვეტის გაფართოებას. ფირმის შიგნით კი ყალიბდება ორგანიზაციული ბაზრები, რომლებიც (ოპერაციების შემცირების შედეგად) ამცირებენ ზედნადებ და სხვა სახის საწარმოო ხარჯებს.

დასასრულ, მართვის ეფექტიანობის ამაღლების უმთავრესი ფაქტორია კვალიფიციური კადრების არსებობა, ორგანიზაციის შემოქმედებითი, ცოდნისეული პოტენციალი, გონებრივად მომუშავეთა მწარმოებლურობა. ინფორმაციულ ეპოქაში, ორგანიზაციის მთავარ კაპიტალად თითოეული მუშაკის ცოდნა გადაიქცა.

როგორც ჩანს, მართვის ეფექტიანობის ამაღლება თანამედროვე პირობებში სრულიად ახალ მიდგომებს მოითხოვს. მაგრამ საქართველოში ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა, რადგანაც ეკონომიკისა და მართვის სფეროში მიმდინარე ცვლილებების გათვითცნობიერების ხარისხი ჯერ კიდევ ძალიან დაბალია.

5.5. ინსტიტუციური გარდაქმნების პოლიტიკური სტრატეგია

ეკონომიკის ინსტიტუციური რეფორმები მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკური სისტემის რეფორმებთან. მსოფლიო პრაქტიკისა და საქართველოს სინამდვილის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური ტრანსფორმაციის წარმატებისთვის მის პოლიტიკურ სტრატეგიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ეს უკანასკნელი გულისხმობს, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური ტრანსფორმაციის პოლიტიკური წანამძღვრების უზრუნველყოფას, მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური ხასიათის განსაზღვრას და, რაც მთავარია, შესაბამისი ღონისძიებების საფუძველზე სტრატეგიის კონკრეტულად გახორციელებას.

პოლიტიკური წანამძღვრებიდან მთავარია შემდეგი ინსტიტუციური პირობების უზრუნველყოფა: კერძო საკუთრების გარანტია, კონკურენციისა და მასთან დაკავშირებული საზღვრების გახსნილობის დამკვიდრება, ხელშეკრულების დადების თავისუფლება და სამართლებრივი წესრიგი, სტაბილური სავალუტო კურსის არსებობა, სოციალური მხარდაჭერა მათთვის, ვისაც არა საკუთარი მიზეზით, არამედ არსებული ინსტიტუციური წესრიგის გამო არ შეუძლია იარსებოს საბაზრო ეკონომიკის პირობებში. ტრადიციულად მიჩნეული იყო, რომ ამ წანამძღვრების უზრუნველყოფა საბაზრო ქცევის ჩამოყალიბებას ავტომატურად განაპირობებდა. მაგრამ პოსტსოციალისტური ქვეყნების გამოცდილებამ დაადასტურა, რომ ამას საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი ესაჭიროება. საქმე ის არის, რომ თვითონ საბაზრო ქცევის დამკვიდრება არის საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესი, მით უმეტეს ისეთ ქვეყნებში, სადაც სოციალისტური მეურნეობრიობა ათწლეულობით იყო გაბატონებული. მეორე მხრივ, დასახელებული ინსტიტუციური პირობების უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი ფაქტორია საბაზრო ქცევის ხასიათი, ხარისხი. საბაზრო ქცევა გულის-

ხმობს: საკუთარი შანსის ძიებას, იმის ცოდნას, თუ რისი გაკეთებაა საჭირო, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობისათვის. ასევე, გულისხმობს, ინოვაციურობას, ანუ არსებული პირობების შეცვლას, ინიციატივასა და საბოლოო შედეგებზე პირად პასუხისმგებლობას, სადღეისო სარგებელზე უარის თქმას ხვალინდელი ნორმალური ცხოვრების დონის უზრუნველსაყოფად, დანაზოგებისა და ინვესტიციების გასადიდებლად - ეკონომიკური ზრდისა და კეთილდღეობის ამაღლების მიზნით. აქედან ჩანს, რომ საბაზრო ქცევის დაუფლება, თეორიული შეგონებითა და სწავლებით, შეუძლებელია. მისი დამკვიდრება მხოლოდ თვითონ ბაზრის დადებითი და უარყოფითი სანქციების პროცესში უშუალო მონაწილეობის შედეგადაა შესაძლებელი. სხვების დახმარებას ამ პროცესის მხოლოდ გაადვილება შეუძლია.

ამასთან, რაც მთავარია, ზემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუციური პირობების უზრუნველყოფას სხვა უმნიშვნელოვანესი ფაქტორიც განაპირობებს. იგულისხმება თვითონ სახელმწიფოს, პოლიტიკური სისტემის ზემოქმედება დასახელებული ინსტიტუციური პირობების უზრუნველყოფის ტემპსა და ხასიათზე. ქვეყნის ინსტიტუციურ მოწყობას, ეკონომიკურ ტრანსფორმაციას, პირველ რიგში, არსებული სახელმწიფოს ხასიათი და თავისებურებანი განაპირობებს. ამიტომ, ტრანსფორმაციის პოლიტიკური სტრატეგიის საკვანძო საკითხია ის, თუ როგორ სახელმწიფოს ვაშენებთ საქართველოში, ანუ როგორი სახელმწიფოს დამკვიდრება არის მიზნად დასახული და რეალურად როგორი სახელმწიფო მკვიდრდება. რეფორმის ამ ერთ-ერთ ყველაზე უფრო კარდინალურ პრობლემას საქართველოში მეტი თეორიული და პრაქტიკული ყურადღება უნდა მიექცეს.

თანამედროვე ინსტიტუციური თეორია სახელმწიფოს ორ ძირითად მოდელს განიხილავს: კონტრაქტულ სახელმწიფოსა და ექსპლოატატორულ სახელმწიფოს.[65] კონტრაქტული სა-

---

[65] იხ. იხ. Олейник А.Н. Институциональная экономика. М., 2000, стр.344-361.

ხელმწიფო არის ისეთი, რომელიც იყენებს ძალადობაზე მონოპოლიას მხოლოდ მოქალაქეების მიერ მისადმი დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში და მათი ინტერესებისთვის, ხოლო მოქალაქეები გადასახადების გადახდას განიხილავენ არა როგორც სანქციას, არამედ როგორც თავიანთ ვალდებულებას. მაშასადამე, სახელმწიფო იმ გარიგებების გარანტის როლს ასრულებს, სადაც საკუთრების უფლების დაცვა მიზანშეწონილია უშუალოდ სახელმწიფოს დაევალოს. კონტრაქტული სახელმწიფოს მიზანია საკუთრების უფლების ისეთი განაწილება, რომელიც მაქსიმალურს ხდის საზოგადოების ერთობლივ შემოსავალს. ამასთანავე, უფლებამოსილება გადაეცემა იმ ეკონომიკურ სუბიექტებს, რომლებიც მის ოპტიმალურ მართვას შეძლებენ.

ამასთან, კონტრაქტული სახელმწიფოს არსებობის წანამძღვრებია: სახელმწიფოს საქმიანობის მკაფიო კონსტიტუციური ჩარჩოების არსებობა; განსაზღვრულია ინდივიდების მიერ სახელმწიფოსადმი დელეგირებული უფლებები და ის უფლებები, რომელთა გადაცემაც არ შეიძლება. აგრეთვე, სახელმწიფო აპარატის ფუნქციონირების ნორმები; სახელმწიფოს საქმიანობაში მოქალაქეების მონაწილეობის მექანიზმების არსებობა, მათ შორის პოლიტიკური დემოკრატიის, მართვაში მონაწილეობის უზრუნველყოფა, ანუ სოციალური კაპიტალის აქტიურად გამოყენება; ბაზრის ფუნქციონირება საკუთრების უფლებების განაწილების ალტერნატიული მექანიზმის სახით.

რაც შეეხება ექსპლოატატორულ სახელმწიფოს, იგი ძალადობაზე მონოპოლიას საკუთარი შემოსავლების საგადასახადო შემოსავლების მაქსიმიზაციისთვის, უფრო სწორად, სახელმწიფო აპარატის მაკონტროლებელი ჯგუფის შემოსავლების მაქსიმიზაციისთვის იყენებს. ექსპლოატატორული სახელმწიფო მაფიის მსგავსია, რადგანაც ორივე ძარცვავს მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. მისი სხვა თავისებურებაა, მოქალაქეებს შორის ძალადობის პოტენციალის განაწილება. სახელმწიფო აპარატს აკონტროლებს ადამიანთა ის ჯგუფი, რომელიც ძალადობის ყველაზე უფრო დიდ პოტენციალს ფლობს. ამ უკანასკნელის გადანაწილება მუდმი-

ცხრილი 18

კონტრაქტული და ექსპლოატატორული სახელმწიფოს ძირითადი მახასიათებლები

მახასიათებლები	კონტრაქტული სახელმწიფო	ექსპლოატატორული სახელმწიფო
1. მიზანი.	საზოგადოების წევრების ერთობლივი შემოსავლების (მშპ) მაქსიმიზაცია, ტრანსაქციური დანახარჯების შემცირება.	სახელმწიფო აპარატის მაკონტროლებელი ჯგუფის რენტის საგადასახადო შემოსავლების მაქსიმიზაცია.
2. ფუნქციები.	ინდივიდებს შორის გარიგებების გარანტი, საკუთრების უფლებების სპეციფიკაცია და დაცვა.	აქტიური ჩარევა ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობებში.
3. ინსტრუმენტი - ძალადობაზე მონოპოლიის გამოყენება.	შეზღუდულია სოციალური ხელშეკრულებითა და კონსტიტუციური ჩარჩოებით.	დამოკიდებულია მხოლოდ სახელმწიფოს მაკონტროლებელი ჯგუფის პოლიტიკურ ნებაზე.
4. პრინციპალისა და აგენტის პრობლემის გადაწყვეტის მექანიზმი.	პრინციპალი - მოქალაქეა: დემოკრატიული კონტროლის მექანიზმები, კონსტიტუციური ჩარჩოების, ალტერნატივების არსებობა. პრინციპალი - სახელმწიფოა: კანონისადმი ნებაყოფლობითი მორჩილება, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობის.	პრინციპალი არ არის მოქალაქე, არამედ სახელმწიფოა, ამიტომ დამახასიათებელია იძულებისა და ძალდატანების გამოყენება, საყოველთაო კონტროლის განხორციელების მცდელობა, მათ შორის ტოტალიტარული სახელმწიფოს პირობებში.
5. საბიუჯეტო შეზღუდვა.	მკაცრი, რომელიც განპირობებულია ბიუჯეტის დამტკიცების დემოკრატიული პროცედურით.	რბილი.
6. შემოსავლების ძირითადი სტადიები.	საგადასახადო შემოსავლები, უწინარეს ყოვლისა, საბაზრო გადასახადებისგან	კონფისკაციური გადასახადები და არასაგადასახადო შემოსავლები.
7. გასავლების ძირითადი სტადიები.	იუსტიცია, სამართალდამცავი საქმიანობა	თავდაცვა, სახელმწიფო მართვა, სამართლებრივი საქმიანობა.
8. ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის ძირითადი წყაროები.	სესხები საგარეო ბაზარზე.	ცენტრალური ბანკის კრედიტი მთავრობისადმი, სესხი შიდა ბაზარზე, აღებულ ვალდებულებებზე, როგორც კონფისკაციული გადასახადის სახეობაზე, შესაძლებელია უარის თქმა.

ვად იცვლება, რაც ექსპლოატატორული სახელმწიფოს არასტაბილურობას იწვევს. მაშასადამე, ექსპლოატატორული სახელმწიფო, ფაქტობრივად, მმართველი ელიტის „რენტის" მაქსიმიზაციაზე ორიენტირებული სისტემაა და მისი ტრანსფორმაცია ეფექტიან სახელმწიფოდ ფრიად დიდ ძალისხმევასა და კარდინალურ ცვლილებებთან არის დაკავშირებული.

სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის პოსტსოციალისტური ქვეყნების განვითარების შესწავლა საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ კონტრაქტული და ექსპლოატატორული სახელმწიფოს მახასიათებლები.[66]

ცხრილი 18-დან კარგად ჩანს, თუ რაოდენ დიდია სხვაობა სახელმწიფოს ამ ორ ძირითად ტიპს შორის. მიზნობრივ სფეროში კონტრაქტული სახელმწიფოსთვის მთავარია მოქალაქეთა კეთილდღეობა, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მაქსიმიზაცია, მაშინ, როდესაც ექსპლოატატორული სახელმწიფოსთვის მთავარია სახელმწიფო აპარატის მაკონტროლებელი ჯგუფის კეთილდღეობა, მათი შემოსავლების მაქსიმიზაცია. ფუნქციებიდან პირველ შემთხვევაში მთავარია კერძო საკუთრების დაცვა სახელმწიფოს მიერ, მეორე შემთხვევაში – აქტიური ჩარევა ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებში ბიუროკრატიის ჯგუფური ინტერესების სარეალიზაციოდ. სახელმწიფოს არსია ძალადობაზე მონოპოლია, რომლის გამოყენება კონტრაქტული სახელმწიფოს პირობებში შეზღუდულია სხვადასხვა ფენას შორის სოციალური კონტრაქტითა და კონსტიტუციური ჩარჩოებით, მაგრამ ექსპლოატატორული სახელმწიფოს პირობებში იგი ფაქტობრივად, მხოლოდ, სახელმწიფოს მაკონტროლებელი ჯგუფის პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება პრინციპალს, ანუ იმას, თუ ვინ იღებს საბოლოოდ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს, კონტრაქტულ სახელმწიფოში ორი სუბიექტია – მოქალაქე და სახელმწიფო. მოქალაქე ზემოქმედებს გადაწყვეტილებების მიღებაზე დემოკრატიული

---

[66] იხ. Бьюкенен Дж. Избранные труды. М., 1997; Тамбовцев В.Л. Государство и экономика. М., 1997; Тамбовцев В.Л. Государство и переходная экономика: пределы управляемости. М., 1997.

კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებით, სახელმწიფო მართვაში მონაწილეობით, მაშინ, როდესაც ექსპლოატატორულ სახელმწიფოში პრინციპალი მოქალაქე საერთოდ არ არის, იგი, ფაქტობრივად, ჩამოშორებულია სახელმწიფოებრივ მართვაში მონაწილეობას და უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღებასა და განხორციელებაზე ვერავითარ ზემოქმედებას ვერ ახდენს.

ცხრილი 19

საქართველოს სახელმწიფოს განმსაზღვრელი მახასიათებლები (პროცენტებში მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში)

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები 1999 წ.		სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 1999 წ.	
1. საგადასახადო შემოსავლები	7,4	1. სახალხო მეურნეობის მომსახურება	4,4
მათ შორის:		2. სოციალური მომსახურება, ხარჯები განათლებაზე, ჯანდაცვაზე, სოციუსრუნველყოფაზე, საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე, კულტურაზე, სპორტსა და რელიგიაზე	6,8
მოგებაზე გადასახადი	0,4	3. სახელმწიფო მართვა	2,2
საშემოსავლო გადასახადი	0,8	4. საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება	1,4
დღგ და აქციზები	5,8	5. თავდაცვა	0,6
2. არასაგადასახადო შემოსავლები	0,4		
3. ბიუჯეტის დეფიციტი	4,6		

წყარო: გაანგარიშებულია სსსდ-ის მონაცემების საფუძველზე.

მოტანილი ცხრილი (19) საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ კონტრაქტულ ან ექსპლოატატორულ სახელმწიფოსთან საქართველოს სიახლოვის ხარისხი. ამისთვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ შემდეგი კრიტერიუმები: **პირველი კრიტერიუმი** – არასაგადასახადო შემოსავლების წილი სახელმწიფო ბიუჯეტში. 1999 წ. იგი მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 0,4%-ს შეადგენდა, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია და ერთი მხრივ, კონტრაქტული, ხოლო მეორე მხრივ, ექსპლოატატორული სახელმწიფოს განუვითარებლობაზე მეტყველებს. არასაგადასახადო შემოსავლები მოიცავს: შემოსავლებს ეროვნული ბანკის მოგებიდან, გაცემული სახელმწიფო კრედიტების დაბრუნებას, შემოსავლებს საკუთრე-

ბიდან და სამეწარმეო საქმიანობიდან, ადმინისტრაციული ჯარიმებითა და სანქციებით მიღებულ შემოსავალს, ადმინისტრაციულ მოსაკრებლებსა და გადასახდელებს, შემოსავალს არაკომერციული და თანმდევი საქმიანობიდან. 1999 წ. არასაგადასახადო შემოსავლებმა ბიუჯეტში მხოლოდ 20,9 მლნ. ლარი, ანუ ძალიან მცირე თანხა შეადგინა, თუმცა შეიძლებოდა იგი გაცილებით უფრო მასშტაბური ყოფილიყო, განსაკუთრებით კი, გაცემული სახელმწიფო კრედიტების დაბრუნების, საკუთრებიდან და სამეწარმეო საქმიანობიდან შემოსავლის სფეროებში. მაგრამ სახელმწიფოს არაეფექტიანობის გამო ამ შესაძლებლობების გამოყენება არ ხდება.

მეორე კრიტერიუმი: ხუთი საბაზისო გადასახადის წილის ზრდა სახელმწიფო ბიუჯეტში და მთლიან შიდა პროდუქტში მოგებაზე გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი, დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი, აქციზი, საბაჟო გადასახადი გვიჩვენებს კონტრაქტული მოდელისკენ მოძრაობას, საბაზრო მეურნეობის გაფართოებას, თუმცა, აბსოლუტური მოცულობით, საგადასახადო შემოსავლები მცირეა და დინამიკურ განვითარებას ვერ უზრუნველყოფს.

მესამე კრიტერიუმი: ხარჯები თავდაცვასა და სახელმწიფო მართვაზე. მართალია, თავდაცვაზე ხარჯები მცირეა, მაგრამ ეს უფრო მეტად სახელმწიფოს სისუსტითაა განპირობებული, რომელსაც არ შეუძლია დააფინანსოს თავდაცვის ელემენტარული მოთხოვნები. სამაგიეროდ, შედარებით მაღალია სახელმწიფო მართვაზე (2,2%) და საზოგადოებრივ წესრიგსა და უშიშროებაზე (1,4%) გაწეული ხარჯები. ამ უკანასკნელთა ჯამური წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ (4,2%), თითქმის უტოლდება სახალხო მეურნეობის მომსახურებაზე ბიუჯეტიდან გაწეული სახსრების წილს (4,4%). ეს მონაცემები ექსპლოატატორული სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატის გაძლიერების ტენდენციასა და ეკონომიკური განვითარების ჩამორჩენილობაზე მიუთითებს.

მეოთხე კრიტერიუმი: სახელმწიფო გასავლების წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ. იგი საშუალებას გვაძლევს, შევაფასოთ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების

გადაწყვეტაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხი. 1999 წ. ეს მაჩვენებელი საქართველოში 16,2%-ს შეადგენდა, მაშინ, როდესაც აშშ-ში იგი დაახლოებით 23%-ია, საფრანგეთში - 42, ბელგიაში - 51, ინდოეთში 18, რუსეთში - 12%-ია. დასავლეთის ქვეყნებში მისი შედარებით მაღალი დონე გამოწვეულია იმით, რომ იქ სახელმწიფო ორიენტირებულია მოქალაქეთა დიდი უმრავლესობის ინტერესების დაცვაზე. ამიტომ, ამ მაჩვენებლის სიმცირე საქართველოში ან რუსეთში არ არის კონტრაქტულ სახელმწიფოზე გადასვლის უშუალო მაჩვენებელი. პირიქით, მისი სიმცირე ექსპლოატატორულ სახელმწიფოსთან სიახლოვეზე მიგვანიშნებს.

მეხუთე კრიტერიუმი: გადასახადების აკრეფის დონე და სახელმწიფოსადმი მოქალაქეთა ნდობის ხარისხი. საგადასახადო შემოსავლების წილი მთლიან შიდა პროდუქტში 1999 წ. შეადგენდა 7,4%-ს მაშინ, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში იგი 20-30%-ის ფარგლებში იყო. გადასახადების აუკრეფლობა არა მარტო კორუფციის მაღალი დონის, არამედ სახელმწიფოსადმი ბიზნესისა და მოქალაქეების უნდობლობის მაჩვენებელია. ესეც ექსპლოატატორულ სახელმწიფოსთან მისი სიახლოვის მანიშნებელია.

ამგვარად, საბაზრო ურთიერთობების განვითარება უდავოდ მიუთითებს კონტრაქტულ სახელმწიფოსკენ მოძრაობაზე. მაგრამ იმავდროულად ზემოთ ჩამოთვლილი ყველა კრიტერიუმი ექსპლოატატორული სახელმწიფოსკენ მოძრაობაზე მიუთითებს. მართალია, საგადასახადო შემოსავლები ნომინალურად იზრდება. მაგრამ აშშ დოლარებში გამოხატული, იგი ბოლო წლებში ფაქტობრივად არ გაზრდილა. სხვა კრიტერიუმები კი აშკარად ექსპლოატატორული სახელმწიფოსკენ მოძრაობას ადასტურებენ.

აღნიშნული ტრანსფორმაცია სხვადასხვა პოლიტიკური ძალისა და სოციალური ფენის ინტერესებსაც გამოხატავს. შემოსავლების მიხედვით, საზოგადოების უკიდურესი დიფერენციაცია, კორუფციის რეალურ არსებობასაც მოწმობს. ამიტომ, რეფორმების სოციალური ბაზა მცირდება და მოსახლეობაში სოციალისტური იდეებისა და „ძლიერი ხელის“

ნოსტალგია, „ეფექტიანი დიქტატურის“ მომხრეთა რაოდენობა იზრდება. ყოველივე ეს კი დემოკრატიისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს. შესამჩნევია, რომ საქართველოში ჯერ კიდევ გაბატონებულია იერარქიული, მბრძანებლური მართვა სახელმწიფო აპარატის მაკონტროლებელი ჯგუფის ინტერესების რეალიზაციის მიზნით.

ასეთ პირობებში რეფორმების ეფექტიანად გახორციელებისთვის, საქართველოს მომავლისთვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ტრანსფორმაციის პოლიტიკური სტრატეგიის მისაღწევად კონკრეტული ღონისძიებები იძენს. ამისთვის მთავარია, ჯერ ერთი, პოლიტიკური სტრატეგიის ძირითადი მიზნის, კონცეფციის, ქვეყნის განვითარების ფუნდამენტური მიმართულების სწორად განსაზღვრა, მეორე, ყველაზე უფრო ძირეული სტრატეგიული გარდაქმნების რეალურად შესრულება.

სტრატეგიული მიზნებისა და განვითარების ფუნდამენტური მიმართულების თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა საქართველოს პოსტინდუსტრიული საზოგადოების, ანუ ინფორმაციული საზოგადოების მშენებლობას ენიჭება (სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების გზით). სამოქალაქო საზოგადოების წინ წამოწევა აუცილებელია იმიტომ, რომ იგი პოლიტიკური დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის „მშენებლობისათვის“ ბუნებრივი ფუნდამენტია. სამოქალაქო საზოგადოების გარეშე შეუძლებელია განვითარებულ საბაზრო ეკონომიკასა და პოლიტიკურ დემოკრატიაზე გადასვლა. საქართველოს თავისებურება იმით გამოიხატება, რომ განსაკუთრებით აქტუალურია სწორედ სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პრობლემა. ტრადიციულად, მიჩნეული იყო და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე ტრანსფორმაციის შესახებ დისკუსიების თავდაპირველ ეტაპზე გავრცელებული იყო შეხედულება, რომ სამოქალაქო საზოგადოება არის სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების წანამძღვარი, ხოლო საბაზრო ეკონომიკა – სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების წინასწარი პირობა. მაგრამ ამ ქვეყნების, მათ შორის საქართველოს გამოცდილებამ სერიოზული

კორექტივი შეიტანა აღნიშნულ კონცეფციაში. სინამდვილეში, პოსტსოციალისტური ქვეყნების თავისებურებების გამო, სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პროცესი ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში და ურთიერთგანპირობებულობით მიმდინარეობს. ეს ბუნებრივია, რადგანაც მოქალაქეების თავისუფალი საზოგადოებრივი საქმიანობა აუცილებლად გულისხმობს დამოუკიდებელი ეკონომიკური არსებობის რაღაც დონეს. ყოველდღიურად, ფიზიკური არსებობისთვის მზრუნველი ადამიანი ვერასოდეს იქნება საზოგადოების აქტიური წევრი. ამიტომ, მიუღებელია მართვის მბრძანებლური სტილი, აუცილებელია ეკონომიკური და ფინანსური გამჭვირვალობა მეურნეობრიობის ყველა დონეზე, თითოეულ სამუშაო ადგილზე. ამავე დროს საჭიროა სიღარიბესთან ბრძოლის გააქტიურება. ამიტომაც სახელმწიფო საბაზრო ეკონომიკას მხარს უნდა უჭერდეს ბაზარსა და საერთოდ, ქვეყანაში წესრიგის უზრუნველსაყოფად სტაბილური სამართლებრივი სისტემის შექმნით, რომელსაც ეკონომიკური აგენტები მიმართავენ კონფლიქტურ სიტუაციებში და ა.შ. მაგრამ ასეთი ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბების აუცილებელი პირობაა დამოუკიდებელი კერძო მესაკუთრეებისა და მეწარმეების ფენის არსებობა. განსხვავებული ეკონომიკური ინტერესების მიუხედავად, მათ პოლიტიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად საერთო ინტერესი აერთიანებთ.

საქართველოსა და სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნების გამოცდილებამ დაადასტურა, რომ სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის ურთიერთგანპირობებულობას, მათი ერთდროული მშენებლობის აუცილებლობას საფუძვლად უდევს ამ სამივე სფეროს ერთიანი ძირეული პრინციპი, რომელიც არის პიროვნების, ინდივიდის თავისუფლების საფუძველი. ძველი და ახალი ლიბერალიზმის უპირველესი პრინციპია ინდივიდუალიზმი. სწორედ მისი რეალურად გახორციელება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში განსაზღვრავს ქვეყანაში პოლიტიკური დემოკრატიის, თავისუფალი საბაზრო მეურნეობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხარისხს.

აქედან ჩანს, საბაზრო მეურნეობის დამკვიდრებისთვის თუ რაოდენ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას საქართველოში, ანუ საერთოდ სისტემური ტრანსფორმაციის განხორციელებას, ინსტიტუციური გარდაქმნების დაჩქარებას, რაც, სამწუხაროდ, სინამდვილეში ჯერ კიდევ საკმარისად არ არის გათვითცნობიერებული და რეალიზებული. ამასთან, დაუშვებელია ტრანსფორმაციის დეფორმირებულად, დამახინჯებულად განხორციელება. კერძოდ, სამოქალაქო საზოგადოება გულისხმობს ინდივიდის თავისუფლებას, მოქალაქეთა თავისუფალი ორგანიზაციებისა და ურთიერთობების მუდმივ პროდუცირებასა და რეპროდუცირებას, რეფლექსურობას, პროგრამულობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ, ეროვნულ, რელიგიურ თავისუფლებას, ტრანსნაციონალურ შინაარსს, ანუ გლობალური, ზოგადსაკაცობრიო პრობლემების, ჰუმანიტარული გზით გადაწყვეტას, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არ არის ანტინაციონალური და ანტისახელმწიფოებრივი შინაარსის. პირიქით, სამოქალაქო საზოგადოება აუცილებლად უნდა ემსახურებოდეს ნაციონალური და სახელმწიფოებრივი ინტერესების რეალიზაციას, ძლიერი სახელმწიფოსა და ინსტიტუციური წესრიგის დამკვიდრებას. სხვა შემთხვევაში თვითონ სამოქალაქო საზოგადოებაც ფიქციად იქცევა, რადგანაც იგი, ეროვნულობის, ინდივიდუალიზმისა და მოქალაქეთა კეთილდღეობის გარეშე საერთოდ არ არსებობს.

ტრანსფორმაციის განხორციელების კონკრეტულ ღონისძიებებში იგულისხმება, პირველ რიგში, რეფორმების ინსტიტუციური უზრუნველყოფა, მათ შორის, მესაკუთრეთა ფენისა და საბაზრო ინსტიტუტების ჩამოყალიბება, ეფექტიანი პოლიტიკის გატარება მეურნეობრიობის ყველა სფეროში ცხოვრების ხარისხის ასამაღლებად. ასევე, საქართველოსათვის მნიშვნელოვანია მსოფლიოს აღმშენებლობით პროცესებში აქტიური მონაწილეობის მიღება.

თავი 6. პრივატიზების თავისებურებანი

6.1. პრივატიზების აუცილებლობა და ტემპები

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში განხორციელებულ პრივატიზების პროცესებს ანალოგი არ მოეპოვება. შედარებით ხანმოკლე პერიოდში გარდაქმნები უდიდესი მასშტაბით განხორციელდა. ეს კარგად ჩანს შემდეგი მონაცემებიდან. სახელმწიფო სექტორის ხვედრითი წილი დამატებული ღირებულების წარმოებაში შეადგენდა: საბჭოთა კავშირში - 96%-ს, ჩეხოსლოვაკიაში - 97%-ს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში - 97%-ს, უნგრეთში - 86%-ს, პოლონეთში - 82%-ს მაშინ, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში იგი, საშუალოდ, 1-12%-ის ფარგლებშია. ამავე დროს, საბჭოთა კავშირის საწარმოო სფეროში ფუნქციონირებდა 48 000 საწარმო, ჩეხოსლოვაკიაში - 4 800, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში - 8 000, უნგრეთში - 2 300, პოლონეთში - 7 500. პრივატიზებას პერიოდულად კაპიტალისტურ ქვეყნებშიც ჰქონდა ადგილი, მაგრამ აქ ათწლეულში 2-5 ასეთი საწარმოს პრივატიზება თუ ხორციელდებოდა.

პრივატიზების აუცილებლობა, როგორც წესი, გამოწვეულია შემდეგი ძირითადი მიზეზებით: სახელმწიფო საწარმოების შედარებით დაბალი ეფექტიანობითა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ობიექტური საჭიროებით; კერძო საკუთრების დამკვიდრების მოთხოვნით, რადგანაც მის გარეშე შეუძლებელია ცალკეული ინდივიდისა და ეკონომიკური აგენტის თავისუფლების უზრუნველყოფა; საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების აუცილებლობით, რის გარეშეც შეუძლებელია პოლიტიკური დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების აშენება.

შესაბამისად, პრივატიზებამ უნდა გადაწყვიტოს შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- **მწარმოებლურობის ამაღლება,** რადგანაც მესაკუთრეებს, მენეჯერებს, მუშაკებს უფრო ეფექტიანი საქმიანობისა და შემოსავლების გადიდების სტიმული უჩნდებათ;

– **საქონლის დეფიციტისა და ჭარბწარმოების შემცირება.** მომგებიანობის ამაღლების მიზნით საწარმო იძულებულია იზრუნოს მომხმარებელთა მოსაზიდად – მათი მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილების გზით. ეს კი პროდუქციის დივერსიფიკაციას, ხარისხის ამაღლებას, წარმოების დანახარჯებისა და ფასის შემცირებას ასტიმულირებს;

– **კონკურენციის გაძლიერება.** პრივატიზება სპობს სახელმწიფო საწარმოების მონოპოლიურ მდგომარეობას ეკონომიკაში და ხელს უწყობს კონკურენციის გაღრმავებას ქვეყანაში.

მაგრამ პრივატიზების განხორციელება რთული პროცესია. მას მრავალი სიძნელე ახლავს. ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში პრივატიზების პროცესს შემდეგი ძირითადი ფაქტორები აფერხებდა და აფერხებს:

– **კაპიტალის უკმარისობა ქვეყანაში.** ძალიან ცოტა ადამიანს აქვს საკმარისი ფინანსური რესურსები იმისთვის, რომ შეისყიდოს საწარმოების ძირითადი კაპიტალის ნაწილი. ამავე დროს, მათი მიყიდვა საზღვარგარეთული ინვესტორებისთვის შეზღუდულია პოლიტიკური და ინსტიტუციური მიზეზებით, ქვეყანაში შექმნილი არასასურველი მდგომარეობით. ამასთან, არსებობს იმის რეალური საფრთხე, რომ საწარმოების ნაწილს, სხვადასხვა არაკანონიერი გზით, ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმოშადგენლები დაისაკუთრებენ;

– **სიძნელეები საწარმოების ღირებულების ზუსტ შეფასებასთან დაკავშირებით.** აღმოჩნდა, რომ ძალიან რთულია საწარმოს ღირებულების შეფასება, არა მარტო ფასების თანაფარდობებისა და სტატისტიკური აღრიცხვის ნაკლოვანებების გამო, არამედ შესაბამისი კვალიფიციური კადრების უკმარისობის შედეგადაც. ამას ემატება კარდინალური ცვლილებები თანამედროვე ეკონომიკაში, კერძოდ, საწარმოთა ღირებულების განსაზღვრის სფეროში, რაც დღემდე გაუთვითცნობიერებელი რჩება მეწარმეებისა და სახელმწიფო მოხელეების დიდი ნაწილისთვის. ამასთანავე, ყიდვის მსურველებს საკმარისი კაპიტალი, როგორც წესი, არ აქვთ;

– ხარვეზები კანონმდებლობაში. შესაბამისი კანონმდებლობა ხელშეკრულებების, საკუთრების, გაკოტრების შესახებ და ა.შ. დაგვიანდა და ამავე დროს სრულყოფასაც საჭიროებს, რაც აფერხებს პრივატიზების სწრაფად განხორციელებას;

– კრედიტის შეზღუდულობა. ზემკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რაც უკვე დიდი ხანია, საქართველოში ხორციელდება, ბუნებრივია, ზღუდავს კრედიტის გამოყენების შესაძლებლობებს პრივატიზების მიზნებისთვის;

– პოლიტიკური ფაქტორები. დღეს უკვე სავსებით ნათელია, რომ პრივატიზების უფრო სრულყოფილად ჩატარებას სერიოზულად აბრკოლებდა და აბრკოლებს არაჯანსაღი კორუფციული ურთიერთობების გაბატონება. სახელმწიფოს პოლიტიკური ნება გადამწყვეტია პრივატიზების აქტიურად და სამართლიანად ჩატარებისთვის.

– პრივატიზების ტემპი. ანალიზი გვიჩვენებს, რომ რაც უფრო მაღალია პრივატიზების ტემპი, მით უფრო მეტია შეცდომები, მისი არასამართლიანად განხორციელების შანსი, რაც ამცირებს პრივატიზების საბოლოო სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს. ამიტომ ტემპის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე უფრო უმნიშვნელოვანესია პრივატიზების მთელ პროცესში.

ამ ასპექტში გამოკვეთილია ორი პოზიცია. პირველი პოზიციის მიხედვით, საწარმოების გაყიდვა მიზანშეუწონელია, თუ არ არის განსაზღვრული მათი ფასი და საიმედო ინფორმაცია პოტენციური მყიდველების მიერ ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილებათა მისაღებად. მეორე პოზიციის მიხედვით კი, პრივატიზების სწრაფად მიმდინარეობა ზუსტი ინფორმაციის უქონლობის შემთხვევაშიც აუცილებელია. ამასთან, სწრაფ პრივატიზებას შემდეგი ფაქტორები განაპირობებს:

Ⅰ პოლიტიკური ფაქტორები. რეალური ფასების განსაზღვრისას სწრაფი პრივატიზების განხორციელების მიზანშეწონილობა ეჭვს არ იწვევს, რადგანაც ამ შემთხვევაში საბჭოთა მენტალიტეტის მქონე ბიუროკრატია და უმუშევრად

დარჩენილი მუშაკები ვეღარ ახერხებენ, ორგანიზებული წინააღმდეგობა გაუწიონ მიმდინარე რეფორმებს. იქმნება მესაკუთრეთა ფენა, რომელიც დაინტერესებულია საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებით. მართალია, რეფორმების საწყის ეტაპზე უმუშევრობა იზრდება, ცხოვრების დონე მკვეთრად მცირდება, მაგრამ რეფორმების სწორად წარმართვის პირობებში ეკონომიკური ზრდა თანდათან ტრანსფორმაციის ამ უარყოფითი შედეგების დაძლევის საშუალებასაც იძლევა. ამიტომ, გარდამავალ ეკონომიკაში სწრაფი პრივატიზების პოლიტიკური მოტივებით დასაბუთება ყველაზე უფრო ძლიერი არგუმენტია. თუ პრივატიზება გახანგრძლივდა, იქმნება იმის რეალური საფრთხე, რომ იგი მოსახლეობის მიერ გაიგივებული იქნება უმუშევრობასთან, არაკანონიერ მაქინაციებთან, ჩრდილოვანი ეკონომიკისა და მეწარმეების გაძლიერებასთან და იგი შეიძლება საერთოდაც ვეღარ განხორციელდეს. მაშასადამე, რეფორმის სწრაფად და დროულად გატარების აუცილებლობა უპირატესად პოლიტიკური ფაქტორებითაა განპირობებული;

– **დეკაპიტალიზაციის სტიმულირება.** საქმე ის არის, რომ თუ საწარმო არ არის პრივატიზებული, ვერ მოხერხდა, გახანგრძლივდა ეფექტიანი მესაკუთრის შერჩევა, მაშინ, როგორც წესი, საწარმოს ხელმძღვანელობა მუშაკთა ღია თუ ფარული თანხმობით, განსაკუთრებით, ეკონომიკური კრიზისისა და ცხოვრების დონის გაუარესების პირობებში, აწესებს შედარებით მაღალ ხელფასებს, იღებს კრედიტებს იმ იმედით, რომ მათ სახელმწიფო გაისტუმრებს, ან ნაწილ-ნაწილ ყიდის შემორჩენილ მარაგებსა და ძირითად ფონდებს. საწარმოს ძალისხმევა, უპირატესად ამ მიმართულებებით ხორციელდება და არა შრომის მწარმოებლურობის, კონკურენტუნარიანობის ამაღლების, ახალი ბაზრების დაუფლების მიმართულებით, რადგანაც ამის მიღწევა რთულია, მაღალ კვალიფიკაციასა და ინტენსიურ შრომას მოითხოვს;

– **კონკურენტუნარიანობის, ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობა.** ტრანსფორმაციის პირობებში საწარმოების ტრადიციული ეკონომიკური კავშირები ხშირ შემ-

თხვევაში შეწყდა ან შეიკვეცა, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის შედეგად დაიკარგა არა მარტო საგარეო, არამედ საშინაო ბაზრების დიდი ნაწილი. ამიტომ საწარმოების კონკურენტუნარიანობის, ეფექტიანობის ამაღლების პრობლემა გამწვავდა. ამის გადაწყვეტა პრივატიზების შემთხვევაში უფრო პერსპექტიულია, ვიდრე სახელმწიფო საწარმოდ დარჩენის შემთხვევაში, რადგანაც სახელმწიფოს, ბიუჯეტის სიმწირის გამო, არ შეუძლია ქმედითი დახმარება გაუწიოს საწარმოებს სუბსიდირებით, შეღავათიანი დაბეგვრით და ა.შ. საბაზრო ფასწარმოქმნის პირობებში, როდესაც გაიზარდა ფასები ენერგიაზე, ნედლეულზე და ა.შ. საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის ღირებულება, მათ მიერ მოხმარებული რესურსების ღირებულებაზე უფრო მცირეა. ასეთ პირობებში მათ ან სწრაფად უნდა გაზარდონ ეფექტიანობა, ან შეწყვიტონ ფუნქციონირება.

აღნიშნულის საპირისპიროდ, ზოგიერთი ფაქტორი პრივატიზების პროცესის ნელი ტემპით გახორციელებაზე ახდენს გავლენას, ასეთი ფაქტორებიდან აღსანიშნავია:

– **ინსტიტუციური რეფორმების გახორციელების აუცილებლობა, რის გარეშეც პრივატიზება ვერ იქნება წარმატებული.** ამ შემთხვევაში იგულისხმება საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება, კერძო საკუთრების უფლებების განსაზღვრა, მისი გარანტიების შექმნა, რაც წესრიგის დამყარებას გულისხმობს და გარკვეულ დროს მოითხოვს;

– **სხვა რეფორმების გახორციელება,** მათ შორის საბაზრო ფასების, რეალური სავალუტო კურსების, დადებითი საპროცენტო განაკვეთის, მკაცრი საბიუჯეტო შეზღუდვის, კონკურენციის დამკვიდრებას ითვალისწინებს, ამასთანავე, დიდ დროს მოითხოვს;

– **გარკვეულ დროს მოითხოვს, აგრეთვე, საწარმოს ზუსტი ფასის განსაზღვრა.** თუ საწარმო აუქციონზე გაიყიდება, მაშინ ასეთი საორიენტაციოდ შეფასება სასარგებლოა მთავრობისთვისაც და ინვესტორისთვისაც. მაგრამ საწარმოს გაყიდვა ღირებულებაზე უფრო მცირე ფასად (თუ მასზე მოთხოვნა არ არის), რა თქმა უნდა, მიზანშეწონილია,

თუმცა სამართლიანად ვერ ჩაითვლება.

– სწრაფი პრივატიზების მაღალი სოციალური საზღაური. ეს განსაკუთრებით მსხვილ საწარმოებს ეხება, როდესაც მუშაკთა უმეტესობა უმუშევარი რჩება. ამიტომ, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყანაში პოლიტიკური და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის რაც შეიძლება სწრაფად მიღწევას, რადგანაც ეს უკანასკნელი პრივატიზების, რეფორმების ევოლუციურად გახორციელებისა და მასობრივი უმუშევრობის თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა. როდესაც ქვეყანა ვერ აღწევს მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას, ან იგი ძალიან მყიფეა, არამდგრადია, მაშინ პრივატიზების დაჩქარებაც აუცილებელი ხდება – სახელმწიფო ბიუჯეტიდან, უბრალოდ, ვერ შეძლებს ზარალიანი საწარმოების დაფინანსებას, მათი შრომითი კოლექტივების ხანგრძლივად შენარჩუნებას.

[პოლიტიკური ფაქტორები. სწრაფმა პრივატიზებამ, მის შედეგად წარმოშობილმა მასობრივმა უმუშევრობამ შეიძლება ისეთნაირად შეკვეცოს რეფორმების სოციალური ბაზა, მოსახლეობაში ისეთი უკმაყოფილება გამოიწვიოს, რომ რეფორმები საერთოდ შეჩერდეს. ამიტომ უფრო ზომიერად გახანგრძლივებული პრივატიზება, პოლიტიკურადაც უფრო მისაღები შეიძლება აღმოჩნდეს.)

როგორც ჩანს, გადაწყვეტილების მიღება პრივატიზების ტემპის შესახებ ფრიად რთულია. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მისი კრიტერიუმები მაინც არსებობს. ასეთი კრიტერიუმებია: სამართლიანობა (მისი მიღწევა უმეტესად, ყველაზე უფრო მისაღები მეთოდის შერჩევით შეიძლება); ეფექტიანობა; პერსპექტიულობა; სისწრაფე, სიმარტივე. მაგრამ ეს კრიტერიუმები კონკრეტულ შემთხვევებში ზოგჯერ ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან.

ყველა ეს ფაქტორი საქართველოში მოქმედებდა და დღესაც მოქმედებს. პრივატიზების პროცესიც, შესაბამისად, წინააღმდეგობრივი და სხვადასხვა სიჩქარისაა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პრივატიზება საკმაოდ მაღალი ტემპით მიმდინარეობდა. ბოლო პერიოდში კი იგი უფრო

მეტად ნელი ტემპით ხასიათდებოდა. მას ბევრი სირთულე და ნაკლიც ახლდა. ამის მიუხედავად ეს იყო აუცილებელი და პირველი ნაბიჯები საბაზრო ეკონომიკის დასამკვიდრებლად. პრივატიზებული საწარმოების დიდი ნაწილი ამუშავდა. მოიზიდა ინვესტორი, იხდის გადასახადებს, ქმნის სამუშაო ადგილებს. მართალია, მისი სოციალური საზღაური მაღალი აღმოჩნდა, მაგრამ შეუძლებელია არ ვაღიაროთ, რომ მან მოსახლეობის მენტალიტეტში, მეურნეობრიობაში ფუნდამენტური ცვლილებები გამოიწვია. მეურნე სუბიექტებმა გაიცნობიერეს საკუთრების გადამწყვეტი მნიშვნელობა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ძლიერებისათვის.

6.2. პრივატიზების გამოცდილება და მეთოდები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში პრივატიზების პროცესი საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარეობდა, იგი ჯერ კიდევ დაუმთავრებელია. ჯერ კიდევ მოსაძებნია ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებამოსილებათა ოპტიმალური კონცენტრაცია საკუთრების მოძრაობის ეფექტიანი ფორმების ჩამოყალიბებისთვის. ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმი უნდა გახდეს გადამწყვეტი საკუთრების უფლების გადანაწილებისათვის მისი ტრანსფორმაციის ახალ ეტაპებზე.

ამიტომ კვლავ აქტუალურია საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების განზოგადება ამ თვალსაზრისით. პრივატიზება როგორც საკუთრების ფორმების გარდაქმნის ხერხი, მრავალ ქვეყანაში ხორციელდება. მარტო 1980-1994 წლებში მსოფლიოში პრივატიზებული იყო, დაახლოებით, 1000 საწარმო (პოსტსოციალისტური ქვეყნების გარდა). დაგროვილია უდიდესი გამოცდილება პრივატიზების ხასიათის, მიზნების, ტემპების, შედეგების მიხედვით. ჩვენთვის საინტერესოა სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება, მათ შორის განვითარებული, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების, მაგრამ მაინც განსაკუთრებით საინტერესოა პოს-

ტსოციალისტური ქვეყნების გამოცდილება.

განვითარებული ქვეყნებიდან საინტერესოა ინგლისისა და საფრანგეთის გამოცდილება. ეს ქვეყნები გამოირჩევიან თითოეული საპრივატიზებო პროექტის ძალიან დეტალური მომზადებით, ეკონომიკური ეფექტიანობისა და ინვესტიციური პოტენციალის თვალსაზრისით. 80-იან წლებში აქ დაახლოებით მხოლოდ ორი ასეული საწარმო იყო პრივატიზებული, თანაც იგი ეტაპობრივად ხორციელდებოდა. ამ ქვეყნების გამოცდილებას, პრივატიზების შედეგების მიხედვით, ევოლუციური და ეფექტიანი შეიძლება ეწოდოს.

ზოგიერთი განვითარებული და განვითარებადი ქვეყანა პრივატიზებას კომერციული მიდგომის საფუძველზე ახორციელებს. ამ შემთხვევაში სახელმწიფო საწარმოების სანაციას ატარებდა. გაყიდვამდე, საპრივატიზებო საწარმოებს სასაქონლო სახე ეძლევა სახელმწიფო ბიუჯეტში მაქსიმალური შემოსავლების მისაღებად. გარდა ამისა, სახელმწიფო იძლევა სხვადასხვა შეღავათს, მომავალში სამეწარმეო საქმიანობისთვის, ყველაზე უფრო ხელსაყრელი ინვესტორის მოზიდვის მიზნით. ასეთი გამოცდილება აქვს გერმანიას (აღმოსავლეთ გერმანიასთან დაკავშირებით), ეგვიპტეს, ზამბიას და ზოგიერთი სხვა ქვეყანასაც. პრივატიზების ამ ტიპს შეიძლება სახელმწიფოებრივ-კომერციული ვუწოდოთ.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში დამახასიათებელი იყო პრივატიზების შემდეგი ტიპები: ზომიერად რადიკალური, რადიკალური და ევოლუციური. ზომიერად რადიკალური პრივატიზების მაგალითებია ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი. აქ წყდებოდა ორი წინააღმდეგობრივი ამოცანა. ერთი მხრივ, იყო სწრაფი პრივატიზების გახორციელების მისწრაფება, მეორე მხრივ კი, აქცენტი ინვესტიციებისა და ტექნოლოგიური მოდერნიზაციის პირობებზე კეთდებოდა. ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხის წინ წამოწევა იმან განაპირობა, რომ ამ ქვეყნებში წარმოების დაცემა შედარებით უფრო მცირე იყო და კრიზისიდან გამოსვლაც უფრო ხანმოკლე პერიოდში მოხდა. ამასთან, ყველაზე უფრო სამართლიანი და სოციალურად ზომიერი აღმოჩნდა კუპონუ-

რი პრივატიზების ჩეხოსლოვაკიური გამოცდილება, რომელიც განხორციელდა 1991 წლიდან. ქვეყნის ყველა სრულწლოვანმა მოქალაქემ მიიღო სახელობითი საკუპონე წიგნაკი, რომელიც არ ექვემდებარებოდა ყიდვა-გაყიდვას. მათ მფლობელებს შეეძლოთ ინვესტიციური ფონდების მეშვეობით დაუფლებოდნენ აქციების პაკეტს 70 000 კრონის, ანუ, დაახლოებით, 2800 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულებით. კუპონური პრივატიზება საკუთრების საკმაოდ ფართოდ „გაბნევის" საშუალებას იძლეოდა მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში. ეს კი მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბებასა და დიდი პრივატიზების მნიშვნელოვანი კრიმინალიზაციის თავიდან აცილებას უწყობდა ხელს.

მიუხედავად ამისა, საკუპონე წიგნაკების უფასოდ დარიგებას ჩეხეთსა და სლოვაკეთში რეალური კაპიტალის დაგროვება არ მოჰყოლია. შედეგად, მსხვილი პრივატიზებული საწარმოების დიდი რაოდენობა, რომლებსაც სანაცია და მოდერნიზაცია ესაჭიროებოდათ, სათანადო სახსრების გარეშე დარჩა. სწორედ ამიტომ, მართალია, ჩეხეთმა შედარებით სწრაფად მიაღწია პოზიტიურ მაკროეკონომიკურ შედეგებს 1994-1996 წლებში, მაგრამ მომდევნო პერიოდში უკვე თავი იჩინა სიძნელეებმა სტრუქტურული გარდაქმნების ერთგვარად შენელებისა და მცირე ინტენსიურობის გამო.

ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით, პრივატიზება ყველაზე უფრო შედეგიანი აღმოჩნდა პოლონეთში. მისთვის დამახასიათებელია პრივატიზების რადიკალური, სწრაფი განხორციელება საწარმოების კერძო პირებისთვის, მათ შორის საზღვარგარეთელი ინვესტორებისთვის მიყიდვის გზით. 8000 საწარმოდან 90-იანი წლების დასაწყისში პრივატიზებული იყო 1150 საწარმო. დანარჩენი 5000 საწარმო გადაეცა საპრივატიზებო უწყებას, რომლებიც თვითონ თავისი სახსრებით ახორციელებენ სანირებას, რენტაბელობის ამაღლების მომდევნო ეტაპზე პრივატიზაციის გაცილებით უფრო მაღალ ფასებად ჩატარების მიზნით. ამ საწარმოების აქციების გაყიდვა მიმდინარეობს ეტაპობრივად, დაწყებული 1995 წლის აგვისტოდან. თავდაპირველად გაიყიდა

დაახლოებით 413 საწარმოს აქციები. აქციები იყიდება ან ნაღდ ფულზე, ან საპრივატიზაციო სერტიფიკატებზე, რომლებიც როგორც ჩვენთან ვაუჩერები, თავისუფალ ყიდვა-გაყიდვას ექვემდებარება. სერტიფიკატები უნდა გაიცვალოს. საწარმოების აქციებისა და სერტიფიკატების გაყიდვა თითქმის დასრულებული იყო. დანარჩენი 2000- მდე საწარმო, მათი უპერსპექტივობის გამო, სასწრაფოდ დაიხურა, რამაც უმუშევრობის მკვეთრი მატება გამოიწვია. ამიტომ, პოლონეთში პრივატიზება სოციალური თანასწორობის თვალსაზრისით უფრო ნაკლებად მიმზიდველი აღმოჩნდა, თუმცა იგი კაპიტალის რეალური დაგროვებითაც ხასიათდებოდა, რამაც ქვეყანაში ტრანსფორმაციული კრიზისის შედარებით სწრაფად დაძლევას შეუწყო ხელი.

რუსეთში პრივატიზება რადიკალური იყო, თუმცა იგი თავისებურებებითაც გამოირჩევა. 1992-1994 წლებში ძირითადად „მცირე პრივატიზება" გახორციელდა, რომელმაც ამ კატეგორიის საწარმოების 70% მოიცვა. მცირე საწარმოები იყიდებოდა აუქციონებსა და კონკურსზე. მათი უმრავლესობა საწარმოთა კოლექტივების საკუთრება გახდა. „დიდი" პრივატიზება ამ პერიოდში უპირატესად უსასყიდლოდ, საპრივატიზაციო ჩეკების ანუ ვაუჩერების საშუალებით ჩატარდა, რომლებიც ყველა მოქალაქემ მიიღო. მსხვილი საწარმოები ჯერ სააქციო საზოგადოებებად ჩამოყალიბდა, შემდეგ ვაუჩერებზე გაიყიდა. ნაღდ ფულზე მხოლოდ განმეორებით გაიყიდა. ამასთან, დიდი შეღავათებით სარგებლობდნენ საწარმოთა მუშაკები, რომლებიც უსასყიდლოდ ან შეღავათებით დაეუფლნენ აქციონერული კაპიტალის 40-51%-ს. 1994 წლის მეორე ნახევრიდან აქ ხორციელდება პრივატიზების მეორე ეტაპი, საწარმოთა აქციების შეძენა მხოლოდ ფულზე ხდება, თუმცა მეორე ეტაპი ნელი ტემპით მიმდინარეობს, მოსახლეობის მცირე მყიდველობითუნარიანობის მიზეზით. ამასთან, „მცირე პრივატიზებით" ვერ მიაღწიეს მთავარ ეკონომიკურ და სოციალურ მიზანს - შეექმნათ ძლიერი საშუალო კლასი, რადგანაც მცირე საწარმოთა რიცხვი შედარებით უმნიშვნელო - დაახლოებით ერთი მლნ. აღმოჩ-

ნდა, მაშინ, როდესაც პოლონეთში 2 მილიონი მცირე საწარმოა. ამიტომ არის, რომ რუსეთში კვლავ მწვავეა უმუშევრობის პრობლემა. მისი გადაწყვეტა მხოლოდ მცირე საწარმოთა ქსელის გაფართოებით შეიძლება. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ სახელმწიფო თავისი კანონმდებლობით, საგადასახადო-საფინანსო და საკრედიტო პოლიტიკით ჯერ კიდევ სუსტად ასტიმულირებს მცირე ბიზნესის განვითარებას.

კიდევ უფრო წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა მსხვილი პრივატიზების შედეგები. მართალია, რუსეთის 55 მილიონი მოქალაქე გახდა აქციების მფლობელი, მათგან 40-მა მილიონმა ადამიანმა აქციები ვაუჩერებით შეიძინა, მაგრამ ამ გზითაც ვერ ჩამოყალიბდა ძლიერი საშუალო კლასი, რადგანაც ვაუჩერები არ იყო სახელობითი და საბოლოოდ მათ სხვები დაეპატრონენ. საწარმოების ღირებულებაც შემცირებული იყო, რადგანაც მათ კოლექტივებს ამ გზით უმნიშვნელო ფასად შეეძლოთ მათი შეძენა. აქციების გაყიდვა უცხო პირებზეც მცირე ფასად ხდებოდა. შესაბამისად, სახელმწიფოს ბიუჯეტმა სოციალური შემოსავლები დაკარგა. მეორე ეტაპზე პრივატიზებასთან დაკავშირებული ყველა შეღავათი გაუქმდა.

ამგვარად, პრივატიზება რუსეთში უპირატესად უსასყიდლოდ და შეღავათებით გახორციელდა. ამიტომ, იგი რეალური კაპიტალის დაგროვებით არ ხასიათდებოდა და ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობ მნიშვნელოვან ფაქტორადაც ვერ ჩამოყალიბდა.

დიდ ინტერესს იწვევს ჩინეთის გამოცდილება, რომელიც ევოლუციური პრივატიზებით გამოირჩევა. თავდაპირველად აქ საკუთრების უფლების გადანაწილება სახელმწიფოსა და საწარმოებს შორის, ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ ხორციელდებოდა, მაგრამ ეკონომიკურ ძალაუფლებასთან დაკავშირებული მთავარი უფლებების გადანაწილების გარეშე, ანუ ხორციელდებოდა საწარმოების კომერციონალიზაცია, თვითდაფინანსებასა და თვითმმართველობაზე გადასვლა სახელმწიფო საკუთრების შენარჩუნების პირობებში. საწარ-

მოებს არ შეეძლოთ წარმოების საშუალებებით, რესურსებით ვაჭრობა. მაგრამ ბოლო პერიოდში გაძლიერდა საკუთრების ახალი, ალტერნატიული ფორმების დამკვიდრება არა საწარმოების პრივატიზებით, არამედ ინვესტიციების ალტერნატიული წყაროების საფუძველზე, ახალი საწარმოების მშენებლობით. ჩინეთის რეფორმებისთვის დამახასიათებელია აქცენტი არა საკუთრების ფორმების შეცვლასა და ეკონომიკური ძალაუფლების გადანაწილებაზე, არამედ საქონლისა და მომსახურების წარმოების გადიდებაზე, ინვესტიციების გაფართოებაზე. ეს მიზნები რეალიზებულია და რეფორმებმა გამოიწვია არა წარმოების დაცემა, არამედ მისი მაღალი ტემპით ზრდა. ჩინეთის გამოცდილება გარკვეულად პასუხობს რეფორმის ეკონომიკურ კრიტერიუმებს: წარმოების ეფექტიანობის ზრდას, მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებას, ცხოვრების დონის ამაღლებას.

ამგვარად, საზღვარგარეთის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მთავარია არა პრივატიზების გახორციელების ხერხის, ტიპის შერჩევა, არამედ მისი საბოლოო შედეგი, შესაბამისობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ თავისებურებებთან. წარმატებული ან წარუმატებელი შეიძლება იყოს როგორც რადიკალური, ასევე ევოლუციური პრივატიზება. პრივატიზების დადებითი შედეგების მისაღებად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მის ორგანულ შერწყმას მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, სტრუქტურული და ინსტიტუციური გარდაქმნების პროცესებთან. ერთმანეთთან დაბალანსების გარეშე, ისინი შედეგს ვერ იძლევიან.

6.3. სახელმწიფო საკუთრების მართვის სტრატეგია და საწარმოთა რესტრუქტურიზაცია

პრივატიზების გახორციელება გართულებულია იმიტომ, რომ მისი გამოცდილება საქართველოში, ისევე როგორც საერთოდ, პოსტსოციალისტურ სივრცეში, არავის არ ჰქონდა და მასშტაბურად პირველად ხდება. ისიც გასათვალისწინე-

ბელია, რომ სოციალიზმის პირობებში ფასწარმოქმნა ძალიან დეფორმირებული იყო და საწარმოთა რეალური ღირებულების შეფასება რთულ-ამოცანად გადაიქცა. რთული საკითხია ის, თუ როდის უნდა მოხდეს პრივატიზება, საწარმოს „გამოჯანმრთელებამდე", თუ მის შემდეგ. როგორც წესი, ნორმალურ ვითარებაში, მისი პრივატიზება სანაციის შემდეგ ხდება, მაგრამ ზოგჯერ იქმნება ვითარება, როდესაც სანაციამდე უნდა მოხდეს პრივატიზება. მაგრამ ყველაზე უფრო მთავარია ის, რომ საქმე ეხება არა მხოლოდ პრივატიზებას, არამედ საერთოდ, სახელმწიფო საკუთრების მართვის სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელებას, რადგანაც კერძო საკუთრების ბატონობის პირობებშიც კი, სახელმწიფო საკუთრება მაინც უდიდეს როლს ასრულებს ნებისმიერი ქვეყნის განვითარებაში. მსოფლიო გამოცდილება და სამომავლო განვითარების ტენდენციები გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო საკუთრებაში რჩება არა მარტო ფინანსური და ინტელექტუალური რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი, არამედ განათლების, ჯანმრთელობის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ტელეკომუნიკაციების, ინფრასტრუქტურების, ინოვაციური სფეროს, ბუნებრივი რესურსების დიდი ნაწილი. სახელმწიფო, სხვა ეკონომიკურ აგენტებთან შედარებით, მაინც უდიდეს მესაკუთრედ რჩება.

აქედან ჩანს, რომ სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა არა მხოლოდ პრივატიზების, არამედ სახელმწიფო საკუთრების ეფექტიანი მართვის სტრატეგიის განხორციელება. ეს უკანასკნელი მოიცავს: სახელმწიფო საწარმოების მართვას, მათ რესტრუქტურიზაციასა და პრივატიზებას. სახელმწიფო მართვის ასეთი გაგება მხოლოდ უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბდა, როდესაც ნათელი გახდა, რომ არ შეიძლება მხოლოდ პრივატიზების პროექტების მართვით დაკმაყოფილება, არამედ საჭიროა სახელმწიფო საწარმოების სტრატეგიული მართვის განხორციელება, მათი მუდმივი რესტრუქტურიზაციის აუცილებლობის გათვალისწინებით. სწორედ ამ მიზნით ფუნქციონირებს საქართველოში ქონების მართვის სამინისტრო (ანალოგიურად სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნებისა).

მაგალითად, აღმოსავლეთ გერმანიაში წარმატებით ფუნ-ქციონირებს პრივატიზების სააგენტო, რომელიც პასუხის-მგებელია არა მარტო საწარმოთა პრივატიზებაზე, არამედ მათ სტრუქტურულ გარდაქმნაზე, რესტრუქტურიზაციაზე, „გამოჯანმრთელებაზე". საწარმოების გაყიდვა აქ ხდებოდა როგორც თანამემამულეებზე, ასევე უცხოელ ინვესტორებზე. ეს უკანასკნელი სტიმულირდებოდა კიდეც. სააგენტო ახორ-ციელებდა სპეციალურ ღონისძიებებს უცხოელი ინვესტო-რების მისაზიდად. ჩეხეთის პრივატიზების სამინისტროს საქ-მიანობაც საწარმოთა პრივატიზებისა და რესტრუქტური-ზაციის ფუნქციებით ხასიათდება. სწორედ რესტრუქტური-ზაციის წარმატებით ჩატარებამ განაპირობა, მნიშვნელოვან-წილად, ის, რომ ეკონომიკური კრიზისი ამ ქვეყანაში შედა-რებით სწრაფად იქნა დაძლეული. სახელმწიფო ქონების სა-აგენტო ფუნქციონირებს უნგრეთშიც, მაგრამ მისი საქმი-ანობა არ გამოირჩევა აქტიურობით, რადგანაც თვითონ პრი-ვატიზებაც ამ ქვეყანაში ევოლუციურად მიმდინარეობს. სა-მაგიეროდ, აქტიური საქმიანობით ხასიათდება პოლონეთის საკუთრების გარდაქმნის სამინისტრო, სადაც 1990 წ. გახორ-ციელდა სწრაფი პრივატიზება „შოკური თერაპიის" პოზი-ციებიდან. რუსეთშიც სახელმწიფო ქონების მართვის კომი-ტეტი, უპირატესად, პრივატიზების პროცესის გატარებითაა დაკავებული, ხოლო საწარმოთა რესტრუქტურიზაციას სა-თანადო ყურადღება არ ექცევა.

საქართველოშიც დღემდე ქონების მართვის სამინისტრო, უპირატესად, პრივატიზების გახორციელებით არის დაკავე-ბული, მაშინ როდესაც საწარმოთა სტრუქტურულ გარდაქ-მნას, რესტრუქტურიზაციას შედარებით ნაკლები ყურადღე-ბა ექცევა. სტრუქტურული გარდაქმნის მთავარი მიზანია სახელმწიფო საწარმოების მომზადება ეფექტიანი მეურნე-ობრიობისთვის, კონკურენციის პირობებში. ამიტომ, მრა-ვალი პრობლემის მოგვარება უმჯობესია პრივატიზებამდე მოხდეს. პრივატიზებამდე საწარმოთა სანაციას ის უპირა-ტესობა აქვს, რომ ამ შემთხვევაში საწარმოთა მომგებიანი ფუნქციონირება მომავალშიც გარანტირებულია და ეს, შე-

საბამისად, მის გასაყიდ ფასს, ანუ პრივატიზებით მიღებულ შემოსავლებს ზრდის. არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ უმუშევრობის პრობლემა წყდება სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯებით, სოციალური დაცვისა და მუშაკთა კვალიფიციური გადამზადების ღონისძიებების გატარებით. ახალ მესაკუთრეს ეს რთული პრობლემები გადასაწყვეტი აღარ რჩება. თუმცა, რესტრუქტურიზაცია ერთჯერადი როდია. იგი მუდმივი პროცესია და, პირველ რიგში, ტექნოლოგიების, მოთხოვნის, ფასების, კონკურენციის სფეროებში მიმდინარე ცვლილებებითაა გამოწვეული. მუდმივი განახლების გარეშე საწარმო ვერ შეძლებს კონკურენტუნარიანობის რენტაბელობის შენარჩუნებასა და ამაღლებას. მაგრამ საქართველოში ისევე, როგორც სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, არსებობს საწარმოთა რესტრუქტურიზაციის სხვა ობიექტური მიზეზიც: საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა შეუძლებელია საწარმოების კონკურენტუნარიანობის, რენტაბელობის მიღწევის გარეშე.

რესტრუქტურიზაციის თეორიისა და პრაქტიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ მიზანშეწონილია განისაზღვროს სამრეწველო საწარმოთა რესტრუქტურიზაციის მაჩვენებელთა შემდეგი სისტემა:

1. **რენტაბელობის დონე.** რესტრუქტურიზაციის ძირითადი მიზნებია სამრეწველო საწარმოთა ზარალიანობის დაძლევა, მათი რენტაბელობის ისეთი დონის მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს მათ ნორმალურ ფუნქციონირებას შიდა და მსოფლიო ბაზრებზე, გრძელვადიან პერიოდში კი - განვითარებულ ქვეყნებში არსებულ დონემდე. ამჟამად, საქართველოში საწარმოთა დიდი ნაწილი არარენტაბელურია, მაშინ როდესაც საჭიროა თითქმის ყველა საწარმო რენტაბელური იყოს, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებშია;

2. **დადებითი ოპერაციული ფულადი ნაკადი.** იგი გვიჩვენებს შემოსავლებს საწარმოს გაყიდვის შედეგად, წარმოების ფაქტორების ღირებულებისა და ხელფასის გამოკლებით. ამ მაჩვენებლით განისაზღვრება, აგრეთვე, ზარალიანი საწარმოების წილი მრეწველობაში. როგორც კი საწარმო მი-

აღწევს რენტაბელობის ამ დონეს, მას შეუძლია გამოიყენოს ოპერაციული ფულადი ნაკადი დავალიანების ვალდებულებების მომსახურებისა და ინვესტიციებისთვის, მოდერნიზაციასა და გაფართოებაზე;

3. **ოპერაციული ფულადი ნაკადი.** წინა მაჩვენებელი გვიჩვენებს ზარალიანი საწარმოების რაოდენობას, მაგრამ არ იძლევა ინფორმაციას ყველა საწარმოს რენტაბელობის შესახებ. ამიტომ, საწარმოების რენტაბელობის ხარისხის განსაზღვრისთვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ოპერაციული ფულადი ნაკადის მაჩვენებელი პროცენტებში, გაყიდვების მოცულობის მიმართ და გამოვიყენოთ იგი ყველა საწარმოსთვის;

4. **სამუშაო ძალის მწარმოებლურობა.** რესტრუქტურიზაციის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა არის ის, რომ საწარმოებში ჭარბი სამუშაო ძალაა თავმოყრილი. ამიტომ, საწარმოთა რენტაბელობის, კონკურენტუნარიანობის მისაღწევად აუცილებელია მინიმიზაცია და ლიკვიდაცია. ამ პროცესის მართვა კი უნდა მოხდეს სამუშაო ძალის მწარმოებლურობის მაჩვენებლის საფუძველზე. იგი განისაზღვრება როგორც დამატებული ღირებულება, ანუ გაყიდვების ღირებულება, საწარმოო ფაქტორების ღირებულების გამოკლებით, ხელფასის გარეშე, გაყოფილი დახარჯული ადამიან-საათების რაოდენობაზე, ან მუშაკთა საერთო რაოდენობაზე;

5. **ყველა ფაქტორის მწარმოებლურობა.** ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს ყველა საწარმოო ფაქტორის – სამუშაო ძალის, მატერიალური რესურსების, კაპიტალის მწარმოებლურობას. იგი იზრდება, თუ წარმოებული პროდუქციის მოცულობის ზრდა წის უსწრებს საწარმოო რესურსების მოცულობის ზრდას. მისი რაოდენობრივი გაანგარიშებისთვის საჭიროა გამოვიყენოთ რთული სტატისტიკური ანალიზის მეთოდები საწარმოო ფუნქციის საფუძველზე.

6. **საექსპორტო პროდუქციის მოცულობის ზრდა.** გარდამავალი ეკონომიკისთვის დამახასიათებელი ტრანსფორმაციული კრიზისი იწვევს შიდა ბაზრის მნიშვნელო-

ვან მოშლას, მისი მოცულობის შემცირებას. ასეთ პირობებში საწარმოების რესტრუქტურიზაციის არსებით ელემენტად გვევლინება მათი ექსპორტის გადიდების უნარი. ამისთვის აუცილებელია თანამედროვე მარკეტინგის დაუფლება, მარკეტინგული მართვა და გადაწყვეტილებების მიღება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება, მსოფლიო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა.

საწარმოთა რესტრუქტურიზაციას სწორედ ამ მაჩვენებლების მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი მართვა უნდა დაედოს საფუძვლად. მაგრამ საქართველოში მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი სწორედ საწარმოთა რესტრუქტურიზაციის დაგვიანება არის. ჯერ კიდევ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების პროგრამა ითვალისწინებდა საწარმოთა პრივატიზებისა და რესტრუქტურიზაციის დაჩქარებას: საშუალო და მსხვილი საწარმოების პრივატიზებას 40%-მდე 1994 წელს, სახელმწიფოს სანაციური პოლიტიკის განსაზღვრას 1993-1994 წლებში და ა.შ. რესტრუქტურიზაციის შეუფასებლობა კარგად ჩანს იქიდან, რომ გადასახადების აკრეფის გაუმჯობესების, საგადასახადო ბაზის გაფართოების ნაცვლად, მთავრობამ 1994 წელს მიიღო დადგენილება პრივატიზებიდან მიღებული სახსრების ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად გამოყენების შესახებ. მაშინ, როდესაც ადრინდელი გადაწყვეტილებით ეს სახსრები საწარმოთა სანაციის მიზნით უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ვთქვათ, 1991-1995 წლები რთული პერიოდი იყო, საჭირო იყო ფინანსური წონასწორობის მიღწევა, კრიზისის ფაზიდან გამოსვლა და ა.შ. რეფორმის პირველ ეტაპზე ფინანსური წონასწორობის მიღწევას, ფაქტობრივად, საწარმოთა რესტრუქტურიზაცია შეეწირა. მაგრამ მომდევნო პერიოდში საწარმოთა რესტრუქტურიზაციის სერიოზული შეფერხება, დაგვიანება ნამდვილად გაუმართლებელია.

ამგვარად, აუცილებელია სახელმწიფომ, კერძო სექტორმა, თითოეულმა მეწარმემ კარგად გაათვითცნობიეროს საწარმოთა რესტრუქტურიზაციის ფუძემდებლური მნიშვნე-

ლობა ეკონომიკური ზრდისთვის, ფინანსური კეთილდღეობისთვის და გაატაროს ქმედითი ღონისძიებანი მისი დროულად და მუდმივად გახორციელებისთვის.

6.4. პრივატიზების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

ყოფილი სსრ კავშირის დროს, პრაქტიკულად, ყველაფერი სახელმწიფოს ხელში იყო კონცენტრირებული - მხოლოდ „პერესტროიკის" პერიოდში დაიწყო თეორიული საუბრები კერძო საკუთრებაზე, რასაც დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბების შემდეგ, სახელმწიფო ქონების მასობრივი პრივატიზების პროცესი მოჰყვა.

თუმცა მანამდე, 1989 წ., ყოფილ სსრკ-ში მიღებული იყო კანონი იჯარის შესახებ, რომლითაც ავალდებულებდნენ ხელისუფლების ორგანოებს, ხელი შეეწყოთ შრომითი კოლექტივებისათვის, რათა მათ (სხვებსაც) აეღოთ საწარმოები იჯარით, შემდგომ წლებში გამოსყიდვის უფლებით. ასეთი საწარმოები გამოსყიდვის შემდეგ კერძო საკუთრებაში გადადიოდა, მაგრამ ეს პროცესი, ხელშეკრულების შესაბამისად, 5-10 წლის შემდეგ უნდა დასრულებულიყო - აქვე დაფიქსირებული იყო გამოსასყიდი თანხაც მანეთებში, რომელიც საწარმოთა ქონების საბალანსო ღირებულებიდან გამომდინარეობდა - მომავალში ინფლაციური პროცესების გაუთვალისწინებლად (მანეთის ინფლაციას ხომ მაშინ, პრაქტიკულად, არავინ აღიარებდა).

კერძო საკუთრებისაკენ მიმავალმა ზემოაღნიშნულმა გზამ სერიოზული შუქ-ჩრდილები დაამჩნია და დისკრედიტაცია გაუწია დამოუკიდებელ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოში) პრივატიზების პროცესს. საქმე ისაა რომ 1990-1991 წ.წ. საწარმოთა გამოსასყიდი ფიქსირებული თანხა, 1992-1993 წ.წ. ჰიპერინფლაციის პერიოდში მხოლოდ სიმბოლურ თანხად იქცა და ამ პროცესში მოხდა უმნიშვნელოვანეს საწარმოთა გამოსყიდვები, პრაქტიკულად, „ჩალის ფასში". საქარ-

თველოში ასეთი, დაახლოებით, 250-300 უმნიშვნელოვანესი საწარმო იყო.

საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1991 წლის 15 სექტემბერს მიიღეს კანონი, რომლითაც ქვეყანაში არსებული მთელი ქონება საქართველოს საკუთრებად გამოცხადდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ შეაჩერეს (ვერ გააუქმეს) ყოფილი სსრკ-ის კანონები იჯარისა და საწარმოთა შესახებ, რომლითაც ახალგაზრდა სახელმწიფოში ქონების ტრანსფორმაციის ქაოსურ პროცესს ბოლო მოეღებოდა. ამ მხრივ, წინგადადგმული ნაბიჯი იყო საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 5 მარტის დადგენილება. თითქმის იმავდროულად დაიწყო სახელმწიფო საბინაო ფონდების უსასყიდლო პრივატიზება ამ ბინებში მცხოვრებ მოქალაქეებზე.

1991 წლის 9 აგვისტოს მიიღეს კანონი **„სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ“**, რომლის შემდეგაც იწყება სახელმწიფო ქონების ტრანსფორმაცია. კანონის თანახმად, განისაზღვრა პრივატიზების 2 ფორმა - აუქციონი და კონკურსი. აღნიშნული კანონი არ არეგულირებდა მიწის საკითხებს - მიწა მოსახლეობას მუდმივ სარგებლობაში გადაეცა.

პრივატიზების პრაქტიკულ განხორციელებას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი სამუშაოები შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების შესაქმნელად. 1992 წლის 11 აგვისტოს დამტკიცდა პრივატიზების სახელმწიფო პროგრამა, რომელიც I ეტაპზე ითვალისწინებდა „მცირე საწარმოთა“ პრივატიზებას, II ეტაპზე კი - მასობრივ პრივატიზაციას ვაუჩერების გამოყენებით, რომელსაც წინ უძღოდა მსხვილი საწარმოების აქციონერების პროცესი. 1992 წლის ნოემბერში შეიქმნა პრივატიზების განხორციელების ერთიანი ორგანო - სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს სახით.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, „მცირე პრივატიზების“ პროცესი 1993 წლის I ნახევრიდან დაიწყო, მეტად რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში. არ იყო სათანადო გამოცდილება და სრულყოფილი

საკანონმდებლო ბაზა. მძიმე კრიმინოგენური ვითარება და საომარი მოქმედებები, ინდუსტრიისა და ტრანსპორტის პარალიზება, მწვავე ენერგეტიკული კრიზისი, მოშლილი საბანკო და საფინანსო სისტემა, კუპონის ჰიპერინფლაცია და სხვა – მეტად მძიმე სირთულეებს ქმნიდა ახალი საზოგადოების მშენებლობისა და რეფორმების გზაზე. ბუნებრივია, რომ ასეთი ვითარება უარყოფითად ზემოქმედებდა პრივატიზების პროცესზე, რამაც შეცდომები და ნაკლოვანებები განაპირობა.

ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა, რომელიც პროცესს წინ ეღობებოდა, ეს იყო საზოგადოების მენტალიტეტი, რომელიც ეჭვის თვალით უყურებდა მოსალოდნელ დადებით შედეგებს. და მაინც, მოსახლეობის უმრავლესობამ ეკონომიკური რეფორმებისა და პრივატიზებისადმი მხარდაჭერა გამოხატა.

ამას ხელს უწყობდა პროცესის პრაქტიკული გახორციელებაც. ობიექტებს პატრონი გაუჩნდათ, რომლებიც თავად ზრუნავდნენ მათ მოვლა-პატრონობასა და პერსპექტივაზე. იმავდროულად, დაფინანსების წყაროების გარეშე უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა სახელმწიფო საწარმოები და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი გაძარცვა-განადგურებას ვერ გადაურჩა (ხშირად აქვე დასაქმებულთა მიერ). აშკარად იკვეთებოდა გზა პრივატიზების სასარგებლოდ. სახელმწიფო არჩევანის წინაშე დადგა: ან საწარმოებისთვის უნდა ეპატრონა და დაეფინანსებინა, ანდაც ისინი გადაეცა მათთვის, ვინც ამას შეძლებდა.

[„მცირე პრივატიზება“, უპირველეს ყოვლისა, შეეხო ვაჭრობის, საზკვების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა სფეროების მცირე საწარმოებს. იგი, ძირითადად, კონკურსებისა და აუქციონების გზით ხორციელდებოდა] ამან გარკვეული წინააღმდეგობები შექმნა საწარმოთა შრომით კოლექტივებთან, რომლებიც ამ გზით ვერ ხდებოდნენ მესაკუთრეები. ისინი ხშირად პროცესს აფერხებდნენ. ამ „ჩიხიდან“ გამოსვლას ემსახურებოდა ქვეყნის სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის ბრძანებულება, რომლითაც

შრომით კოლექტივებს ერთი წლის განმავლობაში საწარმოთა უპირატესი შესყიდვის უფლება მიენიჭა - სხვა შემთხვევაში, ობიექტები საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა. შედეგმაც გაამართლა - მიღებული გადაწყვეტილებიდან მოკლე პერიოდში, ძირითადად დასრულდა „მცირე პრივატიზება".

საქართველოში მასობრივი პრივატიზების პროცესი მოსახლეობაში ვაუჩერების გავრცელებით დაიწყო. ამას წინ უძღოდა მსხვილ საწარმოთა აქციონერების პროცესი. ყოველი აქციონერული საზოგადოების აქციების 35% საბარათო აუქციონზე იქნა გატანილი ერთი წლის განმავლობაში - ანუ ვაუჩერების მოქმედების ვადაში. ამ პროცესშიაც მიეცა შრომით კოლექტივებს (მათი სურვილის შემთხვევაში) აქციათა 51%-ის უპირატესი შესყიდვის უფლება - ფასდაკლებისა და ანგარიშსწორებაში ვაუჩერების ნომინალური ღირებულებით გამოყენების უფლება. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მოსახლეობის 90%-მა მიიღო თავისი კუთვნილი ვაუჩერი და მათი 97% პროცესში გამოიყენეს. ამ პროცესში აქტიურად ჩაერთო საბარათო-საინვესტიციო ფონდებიც.

ბევრი დისკუსია მიმდინარეობდა ვაუჩერიზების პროცესის ირგვლივ. მას მართლაც ჰქონდა, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მომენტები. დადებითთაგან უნდა ითქვას, რომ ვაუჩერებმა დააჩქარა პრივატიზების პროცესი, ვინაიდან მყიდველუნარიანობას მოკლებულ მოსახლეობას, ქონების უფასოდ შეძენის დამატებითი საშუალება გაუჩნდა - ასეთი სურვილის არარსებობის შემთხვევაში, მათ თავისუფლად შეეძლოთ გაეყიდათ საკუთარი საპრივატიზებო ბარათები, ამან კი, მოკლე დროში სახელმწიფო ქონების დიდი ნაწილის ტრანსფორმაცია უზრუნველყო. ამ პერიოდში ჩატარდა 40-ზე მეტი სპეციალიზებული რესპუბლიკური საბარათო აუქციონი. საჯარო ვაჭრობებში აქტიურად მონაწილეობდნენ უცხოელი (ამერიკელი, გერმანელი, ფრანგი, რუსი და სხვა) ინვესტორებიც. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით, ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში. შედეგად, მხო-

ლოდ ვაუჩერების მოქმედების პერიოდში, უცხოელმა ინ-ვესტორებმა შეიძინეს პრივატიზებული ქონების დაახლო-ებით 20%. ამასთან, საქართველოს 0,5 მლნ-მდე მოქალაქე მესაკუთრე გახდა..)

თავდაპირველ ეტაპზე ინფლაციურმა პროცესებმა გაარ-თულა პრივატიზებულ ქონებასთან დაკავშირებული ანგა-რიშსწორების საკითხები, რომელიც მოგვარდა მას შემდეგ, რაც საპრივატიზებო ქონების ღირებულება აშშ დოლარებ-ში დაფიქსირდა, ანგარიშსწორება კი ეროვნულ ვალუტაში ხდება, გადახდის მომენტში დოლარსა და ეროვნულ ვალუ-ტას - ლარს (მანამდე კუპონს) შორის დადგენილი კურსით.

„დიდი პრივატიზება" პირველ ეტაპზე შეეხო მრეწველო-ბის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და მო-მსახურების სფეროს მსხვილ ობიექტებს, აქციონერული სა-ზოგადოებების ჩამოყალიბებითა და მათი აქციების საჯარო გაყიდვის გზით. პარალელურად, დღის წესრიგში დადგა პურ-პროდუქტების სისტემის რეორგანიზება-პრივატიზების პრო-ცესიც.

ქვეყანაში მოსახლეობის პურით გარანტირებული უზრუნ-ველყოფის მიზნით, ამ სფეროში საბიუჯეტო ხარჯებისა და კერძო სექტორის დამკვიდრების აუცილებლობიდან გამომ-დინარე, საჭირო გახდა პურპროდუქტების მრეწველობის სა-წარმოთა ფართო მასშტაბებით პრივატიზების თანმიმდევ-რულად, ეტაპობრივად ჩატარება - რეორგანიზაციის პრო-ცესში დაგროვილი გამოცდილების შესაბამისად, რათა გა-მორიცხულიყო ყოველგვარი შეფერხება წარმოების პროცეს-ში და არ შელახულიყო მოსახლეობის (განსაკუთრებით სო-ციალურად დაუცველი ფენების) ინტერესები. ამ პროცესის დაწყებისას დიდი რიგები იყო პურზე და კულუარებში ხში-რად საუბრობდნენ საშშ მოვლენებზე, რომელიც ამ სისტე-მის პრივატიზებას შეიძლება მოჰყოლოდა. თუმცა რეალურ-მა სინამდვილემ უარყო ასეთი პროგნოზები.

რესტრუქტურიზება-პრივატიზების პროცესი ჯანდაცვის სფეროსაც შეეხო, რომლის მიზანს შეადგენს რეგულირება-დი სამედიცინო ბაზის ჩამოყალიბებისა და მასთან ადაპტი-

რებული სამეურნეო სუბიექტების ფორმირება. იგი განხორციელდა პირდაპირი მიყიდვის, კონკურსისა და აუქციონის ფორმით. ამასთან, პრივატიზებისას უპირატესი შესყიდვის უფლება ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებს მიეცათ.

საპრივატიზებო სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებები 3 ჯგუფად დაიყო:

1. სახელმწიფო შეკვეთებისა, საბაზრო პროგრამებით მუშაობისა და ვიწრო პროფილის შენარჩუნებით. ვადა 10 წელი;
2. სამედიცინო პროფილის შენარჩუნებით. ვადა 10 წელი;
3. პირობითი შეზღუდვის გარეშე.

ეკონომიკური რეფორმების პროცესში უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო საბანკო სისტემის ტრანსფორმაციის განხორციელება. 1995-1996 წ.წ. მოხდა ყოფილი სახელმწიფო ბანკების: „ბინსოცბანკის", „ექსიმბანკის", „ინდუსტრიაბანკის", „შემნახველი ბანკისა" და „აგრობანკის" აქციონირება-პრივატიზება. შესაბამისად, სააქციო საზოგადოებებად (ს/ს) ჩამოყალიბდნენ: „საქართველოს ბანკი", „გაერთიანებული ქართული ბანკი" („ექსიმბანკის", „შემნახველი ბანკისა" და „ინდუსტრიაბანკის" ბაზაზე) და „აგრობანკი". ისინი დღეისათვის საქართველოს საბანკო სისტემაში განმსაზღვრელ როლს ასრულებენ. მათ გაძლიერებას ხელი შეუწყო უცხოურმა კაპიტალმა - სადამფუძნებლო კაპიტალში, რომლის 20% წილის შემთხვევაში, ბანკი მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათებით სარგებლობდა.

იყო ერთი პრობლემა, რომელიც ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია. ეს იყო შემნახველ ბანკებში შეტანილი ანაბრები, რომელიც, პრაქტიკულად, მთლიანად გაუფასურდა. ამან მოსახლეობა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. ეს პრობლემა დღესაც არ არის სრულყოფილად მოგვარებული. ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ამ გზაზე იყო, შემნახველი ბანკის პრივატიზებისას ბანკის მთლიანი ქონების ნახევრის მეანაბრეებზე (მათი სურვილის შემთხვევაში) უსასყიდლოდ გადაცემა. ათასობით მოქალაქემ ისარგებლა ამ წინადადებით და ისინი „გაერთიანებული ქართული ბანკის" თანამესაკუთრეები გახდნენ.

ბანკებისა და საწარმოების შედარებით წარმატებული პრი-

ვატიზების მიუხედავად, კვლავ რჩება მათ შორის ე.წ. „ჩატეხილი ხიდი“. მხედველობაში მაქვს მაღალი საპროცენტო განაკვეთი (20%-ზე მეტი, წლიური), რომლითაც საწარმოები იშვიათად თუ სარგებლობენ და ის, ვინც კრედიტს ასეთი განაკვეთით იღებს, მასაც გარკვეული პერიოდის შემდეგ პრობლემები უჩნდება.

საწარმოთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განსაზღვრაში გადამწყვეტი როლი შეასრულა კანონმა **„მეწარმეთა შესახებ“** (1994), რომელიც აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს. კანონის შესაბამისად, „სახელმწიფო საწარმო“, როგორც სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტი, აღარ არსებობს. 1995 წლის 15 ივნისიდან ძალაში შევიდა კანონი **„იჯარის შესახებ“**. ამოქმედდა ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი – შეიქმნა აქციების რეგისტრაციის სისტემა. 1997 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა **„კანონი გაკოტრების შესახებ“**. „მიწის შესახებ“კანონით კი ადრე პრივატიზებულ საწარმოთა მესაკუთრეებს მიწა კერძო საკუთრებაში გადაეცემათ, იმ ფართის შესაბამისად, სადაც საწარმოებია განლაგებული. სხვა მიწის ნაკვეთი გამოსყიდვის ობიექტია, ხოლო ამჟამად საწარმოს პრივატიზება მიწის ნაკვეთთან ერთად ხდება.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დაშვებულია, რომ თუკი საჯარო ვაჭრობით ორჯერ ვერ გაიყიდება ქონება (აქციები, წილი), მაშინ მათი გასაყიდი ფასი 50%-ით მცირდება. დასაშვებია, აგრეთვე, ქონების გაყიდვა საინვესტიციო პროგრამით – სიმბოლური საწყისი ფასით, 1 ლარად.

ყურადღებას იპყრობს საქართველოში პირველად გამოყენებული მექანიზმები – **„ნულოვანი საწყისი ფასით“** აუქციონის ჩატარება. ასეთი აუქციონები ტარდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მოქალაქეს, მათ შორის უცხოელს, მათ მიერ კონკრეტული საწარმოების აქციებზე ჩარიცხული ნებისმიერი თანხით. ამისათვის ყველა ქალაქში, რაიონში გახსნილია საბანკო ანგარიში. მონაცემები დახურულია – ისინი აუქციონის დამთავრების შემდეგ თავს იყრის საქართველოს ეროვ-

ნულ ბანკში, რომელსაც ხსნის სპეციალური კომისია. საბოლოო შედეგები გადაეცემა ქონების მართვის სამინისტროს, რომელიც განსაზღვრავს აუქციონის კურსს, ანუ ყოველ შეტანილ 1 ლარზე შეძენილი აქციების რაოდენობას, ამ მეთოდით ყველა აქციის პრივატიზება გარანტირებულია.

ბოლო ეტაპზე, რესტრუქტურიზება-პრივატიზება გახორციელდა ენერგეტიკის, კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო სფეროში. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 4 ივლისის №437 ბრძანებულება **„ელექტროენერგეტიკული სექტორის რესტრუქტურიზაციის შესახებ“**, რომლის შესაბამისად „საქენერგოს“ ბაზაზე ჩამოყალიბდა 3 დამოუკიდებელი - გენერაციის, გადაცემათა დისპეტჩერიზაციისა და განაწილების (დისტრიბუციის) სექტორები. I და III-ში შემავალი საწარმოები გარდაიქმნენ აქციონერულ საზოგადოებად - დაიწყო მათი პრივატიზებაც, უპირველეს ყოვლისა, დისტრიბუციის ობიექტებით - მიმდინარეობს საერთაშორისო ტენდერები. არის პირველი შედეგიც - 1998 წელს ს/ს „თელასის“ აქციათა პაკეტი (75%) შეისყიდა ამერიკულმა კომპანია „AES“-მა, რომელმაც აქციათა პაკეტის შესასყიდად გადაიხადა 25,0 მლნ აშშ დოლარი და ტენდერის პირობებით, მანვე კომპანიაში 10 წლის განმავლობაში უნდა დააბანდოს 84,0 მლნ-მდე აშშ დოლარის ინვესტიცია.

ამჟამად გრძელდება ტენდერები ენერგეტიკის ობიექტების ნაწილის პრივატიზებისა და ნაწილის (უპირატესად, გენერაციის) 25 წლით მართვის უფლების გადაცემისათვის.

ტელეკომუნიკაციების სექტორში არსებული საწარმოების, ს/ს „საქართველოს ელექტროკავშირის“ (აქციათა 75%) პრივატიზება ან მართვის უფლებით გადაცემის სატენდერო პროცესი, გარკვეული დაგვიანებით, ამჟამად მიმდინარეობს.

მიმდინარეობს ფოთის ნავსადგურის რესტრუქტურიზების პროცესი. ევროკავშირის (TACIS) ექსპერტთა მიერ შემუშავებულია ნავსადგურის რესტრუქტურიზების სატენდერო დოკუმენტაცია, რომელიც ამჟამად განხილვის პროცესშია.

სულ ქვეყანაში პრივატიზებულია 15,0 ათასამდე ობიექტი, მათ შორის 1000-ზე მეტი მსხვილი საწარმო. საექსპერტო შეფასებით, კერძო სექტორის წილი, ბიუჯეტის შემოსავლებში 85-მდე პროცენტია.

პრივატიზებული ობიექტების 55-60%-მა შედარებით წარმატებით გაართვა თავი მათ წინაშე მდგარ ამოცანებს. ბევრი ობიექტის მესაკუთრემ გააუმჯობესა მუშაობა, გაზარდა ასორტიმენტი, მომსახურების კულტურა, კეთილმოაწყო შეძენილი საწარმოები და მიმდებარე ტერიტორიები, საწარმოთა ახალი მესაკუთრეები ეწევიან საქველმოქმედო საქმიანობას, ბევრ ობიექტს ჩაუტარდა კაპიტალური სარემონტო სამუშაოები, გაიზარდა მათში დასაქმებულთა ხელფასები და სხვა.

მიუხედავად ზემოთ მოყვანილი დადებითი მაგალითებისა, უნდა აღინიშნოს, რომ პრივატიზებული ობიექტების 40-45% კვლავ უმოქმედოა. ზოგიერთი მათგანის ამოქმედების პერსპექტივები არც ჩანს. ამ საქმეში თავისი სიტყვა უნდა თქვას პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონმა „გაკოტრების შესახებ". თუმცა, ქვეყანაში ამ კანონის ამოქმედებას რეალური შედეგები, ჯერჯერობით, არ მოუტანია.

საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიმდინარეობისას დიდი დახმარება გაგვიწიეს: მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, ევროკავშირის, გერმანიის ტექნიკური დახმარების (GZT) სპეციალისტებმა, რომლებიც აქტიურად ჩაერთვნენ ამ პროცესებში.

ამჟამად მიღებულია სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ ახალი კანონი (1998 წ.) და შემუშავებულია პრივატიზების ახალი პროგრამა 2001-2003 წლებისათვის.

აღნიშნული კანონისა და პრივატიზების სახელმწიფო პროგრამის მიღებამ მნიშვნელოვნად უნდა დახვეწოს პრივატიზების პროცესი. ახალი კანონის საფუძველზე მიმდინარეობს ენერგეტიკის, კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო სფეროს რესტრუქტურიზაციისა და პრივატიზების პროცესი. 2001 წ. ბოლომდე გაზის სექტორში გახორციელდება

ს/ს „თბილგაზის“ აქციათა პაკეტის პრივატიზება, ს/ს „საქთხევადგაზის“ რესტრუქტურიზაცია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად, რომელიც სამართავად გადაეცემა საერთაშორისო კორპორაციას და შემდგომში მოხდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის პრივატიზება. გეგმის თანახმად, მოხდება ქვანახშირის მრეწველობის საწარმოთა რესტრუქტურიზაცია და პრივატიზება. 2001 წლის ბოლომდე ჩატარდება „საქნავთობის“ რესტრუქტურიზაციის შედეგად დარჩენილი აქციონერული საზოგადოების კაპიტალში არშესული ქონების პრივატიზება. სოფლის მეურნეობის დარგში დაიწყება საცდელი სადგურების საყრდენი პუნქტების ექსპერიმენტული, სანერგე, სანაშენე, საჯიშე მეურნეობების, მანქანათა სადგურების, სელექციური მიღწევების გამოცდის, მეცნიერებათა აკადემიის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაქვემდებარებაში მყოფი ნაკვეთებისა და მეურნეობების პრივატიზება. დაგეგმილია, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, პირველი რიგის საწარმოთა რესტრუქტურიზაცია, პრივატიზება ან ლიკვიდაცია. ს/ს „ელმავალმშენებლისა“ და ს/ს „ელექტროვაგონშემკეთებლის“ აქციათა საკონტროლო პაკეტის პრივატიზება სიმბოლური ფასით გახორციელდება. ასევე დაგეგმილია, სააქციო საზოგადოების: „საქტრაქტორის“, „კოლხიდას“, „ელექტრომექანიკოსის“, „საქაბრეშუმის“, „ლითოფონის“ რესტრუქტურიზაცია და აქციათა საკონტროლო პაკეტის პრივატიზება. გაგრძელდება სოციალურ-კულტურული და ძალოვანი სტრუქტურების ობიექტების გამოუყენებელი ქონების პრივატიზებაც.

პრივატიზების პროცესის გახორციელებამ აუცილებლად უნდა გამოიწვიოს ეფექტიანი მესაკუთრისა და საშუალო კლასის ჩამოყალიბება. სხვანაირად მას აზრი ეკარგება.

თავი 7. ეკონომიკური დინამიკის თავისებურებანი

7.1. ეკონომიკური ზრდის მახასიათებლები

საქართველოში მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი არის ის, რომ შედარებით ნაკლები ყურადღება ეთმობა ეკონომიკური განვითარების დინამიკის პრობლემებს. ეს კი გამოწვეულია ნეოკლასიკური მიმდინარეობის გაბატონებით, რომელმაც ეკონომიკური დინამიკის კვლავწარმოებითი კონცეფციის ნაცვლად, წინ რესურსების წრებრუნვის კონცეფცია წამოსწია. ეს უკანასკნელი ისევე, როგორც მაკროეკონომიკა, საერთოდ, მეურნეობაში არსებულ რაოდენობრივ კავშირებს, ანუ დროის მოცემულ პერიოდში მეურნეობის ფუნქციურ ანალიზს ასახავს. რაოდენობრივი კავშირების დინამიკას, მათი კანონზომიერებების ცოდნას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მეურნეობის მართვისთვის. მაგრამ ეს მაინც არასაკმარისია. მთავარია ეკონომიკის განვითარების უზრუნველყოფა, მისი კანონზომიერებების ცოდნა, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლა, მეურნეობაში თვისებრივი ხასიათის ცვლილებების განხორციელების საფუძველზე.

ტრადიციული მაკროეკონომიკა, რესურსების წრებრუნვის თეორია განიხილავს ეკონომიკური ზრდისა და მისი ფაქტორების საკითხებს, მაგრამ მათი სოციალურ-ეკონომიკური არსის, სოციალური წინააღმდეგობების, დისპროპორციების, ეკონომიკური ურთიერთობების, საკუთრების, ქცევის, მეცნიერულ-ტექნოლოგიური, ინსტიტუციური განვითარების გარეშე.

მაშასადამე, ტრადიციული მაკროანალიზი მოიცავს რესურსების წრებრუნვას, მაშინ, როდესაც ეროვნული კვლავწარმოება - საზოგადოებრივ კვლავწარმოებას მთლიანობაში, ანუ მწარმოებლური ძალებისა და წარმოებრივი ურთიერთობების, სოციალური და ინსტიტუციური განვითარების დინამიკას, მათი შინაგანი წინააღმდეგობებისა და დისპროპორციების დაძლევის პროცესს მოიცავს. ამასთან, ტრადი-

ციული მაკროეკონომიკა უკიდურესად ამარტივებს რეალური ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებასა და განვითარებას, ცალმხრივად, მხოლოდ რაოდენობრივ ასპექტში განიხილავს მათ მაშინ, როდესაც სინამდვილეში ეკონომიკა, მისი ფუნქციონირება და განვითარება თავისი მრავალფეროვანი სტრუქტურით, რთული სისტემაა. შესაბამისად, ცალმხრივია, არასისტემურია მიმდინარე პროცესების ანალიზი და მასზე დაფუძნებული დასკვნები, ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ამ დასკვნებს ემყარება.

კერძოდ, ეკონომიკური სისტემის საზოგადოებრივი კვლავწარმოების სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს: 1. წარმოების ეფექტიანობის კრიტერიუმის მიხედვით: ინტენსიური, ექსტენსიური და დეზინტენსიური კვლავწარმოება; 2. სივრცეში წარმოების შედეგის მიხედვით: გაფართოებული, მარტივი, კლებადი კვლავწარმოება; 3. კვლავწარმოების ფაზების დროში თანამიმდევრობის მიხედვით: წარმოების, გაცვლის, განაწილების, მოხმარების ფაზები; 4. კვლავწარმოების სუბიექტების მიხედვით: საზოგადოების, კოლექტივების, ადამიანის კვლავწარმოება; 5. კვლავწარმოების ობიექტის მიხედვით: მწარმოებლური ძალების, წარმოებრივი ურთიერთობების, საზოგადოებრივი პროდუქტის კვლავწარმოება; 6. კვლავწარმოების დონეების მიხედვით: ეროვნული, რეგიონული, ინდივიდუალური კვლავწარმოება; 7. კვლავწარმოების ხასიათის მიხედვით: ფუნქციური, სტრუქტურული, ინსტიტუციური კვლავწარმოება.

როგორც ჩანს, ტრადიციული მაკროეკონომიკური ანალიზი არასაკმარისია. მისთვის დამახასიათებელია ეკონომიკის მდგრადობის, წონასწორობის, პროპორციების, დაბალანსების რაოდენობრივი პირობების განსაზღვრა, მატერიალური ფაქტორების, მატერიალურ-ნივთობრივი და ღირებულებითი სტრუქტურის, რესურსების იშვიათობის, ინფლაციის შემცირების, ბაზრის ფუნქციონირების, კონკურენციის, ფიზიკური და ფინანსური კაპიტალის განვითარების საკითხებზე ყურადღების აქცენტირება. მაგრამ ამის მიღმა რჩება მრავალი პრობლემა, პროცესი, რომელთა მნიშვნელობა სულ უფ-

რო მეტად გადამწყვეტი ხდება და რომლებიც უფრო ტევადი პროცესის – საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესის შემადგენელი ელემენტებია. ამ უკანასკნელისთვის დამახასიათებელია ეკონომიკური განვითარების თვისებრივი მხარეების წინ წამოწევა, სოციალურ-ეკონომიკური და ინსტიტუციური მდგრადობის, წონასწორობის, დაბალანსების ხარისხის განსაზღვრა, განვითარების სტადიების, ერთი სტადიიდან უფრო მაღალ სტადიაზე გადასვლის მექანიზმის, პირობების, ადამიანური ფაქტორის, ადამიანური, სოციალური, ინსტიტუციური კაპიტალის, გადაწყვეტილებათა მიღების ადაპტაციის, არამატერიალური სიმდიდრის, ინფორმაციული სექტორის, ცხოვრების ხარისხის საკითხებზე ყურადღების აქცენტირება, ანუ დროსა და სივრცეში რაოდენობრივი და თვისებრივი ურთიერთკავშირების მუდმივი განმეორების, გაფართოებული კვლავწარმოების კანონზომიერების დადგენა.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ რეფორმები საქართველოში მიმდინარეობს უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური დისპროპორციების კვლავწარმოების პირობებში. საქართველოში ეროვნული კვლავწარმოების თავისებურებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი:

პირველი, ექსტენსიური და დეზინტენსიური კვლავწარმოების გაბატონება. ეს იქიდან ჩანს, რომ წარმოებაში დამკვიდრებულია ხელით შრომა, მოძველებული ტექნოლოგიები, რის გამოც შრომის მწარმოებლურობა ან ძალიან ნელი ტემპით იზრდება, ან საერთოდ მცირდება. მაგალითად, შრომის მწარმოებლურობა სახალხო მეურნეობაში (ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი შეფარდებული დასაქმებულთა რიცხვზე) 1996-1999 წლებში, 1860 ლარიდან 2627 ლარამდე გაიზარდა. მაგრამ ეს ზრდა უფრო მცირე იყო, ვიდრე ფასების ზრდის ინდექსი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ რეალურად შრომის მწარმოებლურობა კი არ გაიზარდა, არამედ შემცირდა;

მეორე, ეკონომიკური ზრდა და განვითარება მაღალი არამდგრადობით ხასიათდება: 1989-1994 წლებისთვის აღი-

ნიშნებოდა ღრმა სტაგფლაცია, მთლიანი შიდა პროდუქტის მასშტაბური დაცემა მაღალი ჰიპერინფლაციისას, 1995-1997 წლებში - მისი ზრდა, 1998-2000 წლებში - რეცესია ღრმა ფინანსური კრიზისის თანხლებით;

მესამე, დამახასიათებელია კვლავწარმოების მთლიანი პროცესის დისფუნქციურობა, რადგანაც მისი ცალკეული ფაზები - წარმოება, გაცვლა, განაწილება, მოხმარება ერთმანეთთან სუსტად არის დაკავშირებული, ერთმანეთს სუსტად განაპირობებს, რადგანაც სამამულო წარმოება, ინვესტიციები მცირე მასშტაბისაა, არასაკმარისია და ეკონომიკის ზრდა და ფუნქციონირება უპირატესად გარე ფაქტორებზე, საზღვარგარეთულ ინვესტიციებზეა დამოკიდებული. რომ არა საერთაშორისო დახმარებები, კრედიტები, სასაქონლო იმპორტი, ვერ დაბალანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტი, ვერ შენარჩუნდებოდა ლარის კურსი, ვერ დაკმაყოფილდებოდა მოსახლეობის მოთხოვნილება, რადგანაც საკუთრივ სამამულო წარმოება ფრიად შეზღუდულია, დეფიციტურია. ასეთ პირობებში წარმოებისა და მოთხოვნილების დაბალანსების პრობლემა გამწვავებულია. კვლავწარმოების ძირითად პრობლემად კვლავ რჩება წარმოების მოცულობისა და სტრუქტურის დაბალანსება ხარჯებისა და შემოსავლებისადმი, რაც საბოლოოდ, საზოგადოებრივი პროდუქტის რეალიზაციის პრობლემად ყალიბდება, ისევე როგორც ეს ყველა სხვა ქვეყანაშია. მაგრამ საქართველოში რეალიზაციის პრობლემა უკიდურესად მწვავეა, რადგანაც ბოლო ათწლეულში ჩამოყალიბდა ერთგვარი დახშული წრე: მცირე წარმოება განაპირობებს მცირე დასაქმებას. ეს უკანასკნელი მცირე შემოსავლებს, მცირე მოხმარებას, რაც კვლავ წარმოების მცირე მასშტაბით კვლავწარმოებას იწვევს. ამ წრიდან გამოსვლა, რეალიზაციის პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ეფექტიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის გახორციელებით: რეალური საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდით, ფასების დონის სტაბილურობითა და ექსპორტ-იმპორტის წონასწორობით;

მეოთხე, დამახასიათებელია მაკროეკონომიკური დისპრო-

პორციების კვლავწარმოება, მათ შორის საქონლისა და მომსახურების დეფიციტი, საგარეო დავალიანების ზრდა, უკიდურესად მძიმე სოციალური პირობები მოსახლეობისთვის, ცხოვრების უკიდურესად დაბალი დონე და ხარისხი, უმუშევრობა, მართვისა და აზროვნების მოძველებული სტილი. მაგრამ სახეზეა არა მარტო საზოგადოებრივი, არამედ ინდივიდუალური კვლავწარმოების, მიკროეკონომიკური დისპროპორციების გაღრმავება: არაკონკურენტული ბაზრების გაბატონება საბაზრო სტრუქტურებში, წარმოების მცირე მომგებიანობა, დაგროვების მცირე მასშტაბები საწარმოებში, მათი მოძველებული ძირითადი კაპიტალის ტექნიკური გადაიარაღების შეუძლებლობა, არარენტაბელური და გაჩეჩებული საწარმოების დიდი ხვედრითი წონა საწარმოთა საერთო რიცხოვნობაში, დისპროპორციები დარგობრივ სტრუქტურაში, შედარებით ნაკლებეფექტიანი დარგების წილის ზრდა მთლიან შიდა პროდუქტში. სწორედ აღნიშნული დისპროპორციების შედეგია ის, რომ არ არსებობს მყარი ორგანული კავშირი მაკროეკონომიკასა და მიკროეკონომიკას შორის, ანუ კვლავწარმოების პროცესის უწყვეტი, თანამიმდევრული და დამოუკიდებელი ფუნქციონირება ქვეყნის მასშტაბით. ეს პროცესი, მნიშვნელოვანწილად, დამოკიდებულია საზღვარგარეთიდან კაპიტალისა და საქონლის შემოტანაზე, რაც ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლად ფუნქციონირების უკიდურესად დაბალ უნარზე მიუთითებს;

მეხუთე, მწარმოებლური ძალებისა და წარმოებრივი ურთიერთობების განვითარების დაბალი დონის კვლავწარმოება. აღნიშნული ვლინდება, უწინარეს ყოვლისა, მთლიანი შიდა პროდუქტის გაფართოებული კვლავწარმოების მცირე მასშტაბებით, ქვეყნის ტექნოლოგიური ჩამორჩენილობით, ცხოვრების დაბალი დონით, კონკურენტული ურთიერთობების, სოციალური სტრუქტურის, საკუთრების განუვითარებლობით. ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა ვლინდება არა მარტო იმით, რომ თითქმის არ გაგვაჩნია თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმოები. მისთვის ნიშანდობლივია, ეკონომიკის სტრუქტურული ჩამორჩენილობა. საკ-

მარისია აღინიშნოს, რომ ამჟამად მრეწველობაში დასაქმებულია მომუშავეთა 28,5%, ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში – 35,2%, ხოლო ინფორმაციულ სექტორში (განათლება, მეცნიერება, კულტურა და ა.შ.) – მხოლოდ 10%.[67] ეს იმ დროს, როდესაც დასავლეთის ქვეყნების ინფორმაციულ სექტორში დასაქმებულია მომუშავეთა 60-75%. ამავე დროს, მთლიანი შიდა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე ხანგრძლივი რეფორმების მიუხედავად სტაბილურად 1000 აშშ დოლარზე ნაკლებია, დაახლოებით 800 დოლარია, ანუ საქართველო ცხოვრების დონის მიხედვით მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნების ჯგუფშია. მოსახლეობის 49,6%-ის შემოსავალი საარსებო მინიმუმზე (102 ლარი) ნაკლებია, ანუ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არიან.[68]

მეექვსე, ეროვნული ეკონომიკა სუსტად არის ჩამოყალიბებული, რადგანაც ძალიან სუსტია კავშირი ეროვნულ, რეგიონულ და ინდივიდუალურ კვლავწარმოებას შორის, დღემდე ერთიანი ჩამოყალიბებული ეროვნული ბაზარი არ არსებობს. მაშასადამე, იგი, ფაქტობრივად, ანკლავური ხასიათისაა, როდესაც ცალკეული რეგიონები, დარგები, საწარმოები მოქმედებენ ერთმანეთთან ეკონომიკური კავშირების არარსებობის, ან სუსტად არსებობის პირობებში. ამის მთავარი მიზეზია ის, რომ რეგიონთაშორისი, დარგთაშორისი, საწარმოთაშორისი რესურსების ნაკადები სუსტია;

მეშვიდე, შენარჩუნებულია ღრმა დისპროპორციები ფუნქციური, სტრუქტურული, ინსტიტუციური კვლავწარმოების სფეროებში. კერძოდ, ფუნქციურად, სახეზეა ჩამორჩენილი, ველური, არაკონკურენტული ბაზრების კვლავწარმოება, სტრუქტურულ ასპექტში – დისპროპორციები მატერიალურ-ნივთობრივი, ფინანსური, ინტელექტუალური რესურსების ნაკადებს შორის, ჩამორჩენილი, არაკონკურენტუნარიანი სტრუქტურის კვლავწარმოება ბევრ სფეროში, ინსტიტუცი-

---

[67] საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, 1999. თბილისი, 2000, გვ.10.

[68] ჰუმანური განვითარების ანგარიში, საქართველო, 1999. თბილისი, 1999, გვ.16.

ურ ასპექტში – დისპროპორციები პოტენციურ რესურსებსა და მათი გამოყენების ინსტიტუციურ პირობებს შორის, ანუ ამისთვის საკანონმდებლო, სამართლებრივი, ორგანიზაციული, მენეჯმენტური პირობების უზრუნველყოფა საბაზრო წესრიგის გაბატონებით, კორუფციული, კრიმინალური ურთიერთობების ლიკვიდაციით, რეფორმებისადმი მოსახლეობის ნდობის განმტკიცებით.

ამგვარად, რეფორმის წარმატებისთვის, ეკონომიკური ზრდის დაჩქარებისთვის საჭიროა არა მარტო ტრადიციული მაკროეკონომიკური პოლიტიკის გახორციელება, არამედ უფრო სისტემური კვლავწარმოებითი მიდგომა განვითარებისადმი, რადგანაც ისტორიული ტრანსფორმაცია საქართველოში ობიექტურად მიმდინარეობს მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური დისპროპორციების კვლავწარმოების პირობებში. ფრიად საშურია გავათვითცნობიეროთ, რომ უმნიშვნელოვანესი კრიზისის შემქმნელი ფაქტორი, პირველ რიგში, სწორედ ამ დისპროპორციების კვლავწარმოებაა, მათი აღმოფხვრის უუნარობაა. ამიტომ, მათი რაც შეიძლება სწრაფად დაძლევა აუცილებელია საქართველოს სისტემური კრიზისიდან გამოსასვლელად და ჩამორჩენილობის სალიკვიდაციოდ.

7.2. მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა და სტრუქტურა

ეკონომიკური რეფორმების პერიოდში საქართველოსთვის დამახასიათებელია მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ძალიან ცვალებადი დინამიკა და ღრმა სტრუქტურული ძვრები მისი ფაქტორების სისტემაში. ამასთან, წარმოების ხანგრძლივი დაცემა გვიჩვენებს, რომ მომხდარი ძვრებიდან ყველა როდი იყო დადებითი შედეგის მომტანი. ამ პერიოდის განმავლობაში ჩამოყალიბდა ახალი მაკროეკონომიკური დისპროპორციები, რომლებიც აფერხებენ ეკონომიკურ ზრდას და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გაუარესების წყაროდ გვევლინებიან. ამიტომ, სახელმწიფოს პოლი-

ტიკის პრიორიტეტები ასეთი ნეგატიური მაკროეკონომიკური ტენდენციების აღმოფხვრას უნდა ითვალისწინებდეს.

ყურადღებას იქცევს, პირველ რიგში, წარმოების დაცემის სიღრმე, ხანგრძლივობა და ზრდის ტემპების ძლიერი მერყეობა (იხ. ცხრილი 20). საქართველოში, ოფიციალური მონაცემებით, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის შემცირება აღინიშნებოდა 1989-1994 წლებში, ანუ 6 წლის განმავლობაში. 1989 წ. იგი შემცირდა 4,8%-ით, 1990 წ. - 15,0%-ით, 1991 წ. - 21,1%-ით, 1992 წ. - 44,9%-ით, 1993 წ. - 29,3%-ით, 1994 წ. - 10,4%-ით. აქედან ჩანს, რომ წარმოების ყველაზე უფრო დიდი დაცემა მოხდა 1992 წ., მომდევრო - 1993 წ. დაცემის ტემპი მკვეთრად ნელდება 15,6 პროცენტული პუნქტით, ანუ 35%-ით. ასევე მკვეთრად ნელდება იგი 1994 წელს - 19 პროცენტული პუნქტით, ანუ 75%-ით, რის შემდეგ ამ მაჩვენებლის საშუალო წლიურმა ზრდის ტემპმა 1995-1997 წლებში შეადგინა 10%. მაგრამ უკვე 1998 წ. აღინიშნა ზრდის მკვეთრი დაცემა, რეცესია, როდესაც მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი, წინა წელთან შედარებით თითქმის 4-ჯერ დაეცა და მხოლოდ 2,9% შეადგინა. 1999 წლის განმავლობაში დადებითი ტენდენციების შენარჩუნება თითქოს უფრო განმტკიცდა, მაგრამ ზრდა მაინც დაახლოებით წინა წლის დონით აღინიშნა. 2000 წ. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი, წინა წელთან შედარებით, კვლავ მკვეთრად ეცემა 1,5%-მდე, - უპრეცედენტო გვალვის შედეგად, სოფლის მეურნეობრივი წარმოების მკვეთრად შემცირების გამო.

ამგვარად, განვლილი პერიოდი ხასიათდებოდა არა მარტო ხანგრძლივი ეკონომიკური კრიზისით, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის მკვეთრი აბსოლუტური შემცირებით, არამედ ზრდის ორი რეცესიით, როდესაც მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი ჯერ 1998 წელს 4-ჯერ შემცირდა, ხოლო შემდეგ, 2000 წელს 2-ჯერ შემცირდა. ამასთან, მთლიანი შიდა პროდუქტის მინიმალური დონე აღინიშნებოდა 1994 წ. 27,5%-ის ოდენობით. მაგრამ მომდევნო წლებში ზრდა მაინც იმდენად უმნიშვნელო და უთანაბრო

აღმოჩნდა, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ამჟამად 1990 წ. დონის დაახლოებით 40%-ს უახლოვდება. პოსტსაბჭოთა სივრცის არც ერთ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი არ ყოფილა ისეთი ღრმა და ხანგრძლივი, როგორც საქართველოში იყო. ეს ძალიან დამაფიქრებელი შედეგებია. იგი სამწუხაროდ, შემდეგი, ფრიად არასასიამოვნო დასკვნების გამოტანის აუცილებლობას განაპირობებს. პირველი: 90-იან წლებში საქართველოში ეკონომიკის კატასტროფული მოშლის პროცესები განვითარდა;

მეორე: მიუხედავად იმისა, რომ კრიზისის შემდეგ საკმაოდ ხანგრძლივი, 6-წლიანი პერიოდი გავიდა, ქვეყანამ მაინც ვერ შეძლო, წარმოების მოცულობის კრიზისამდე არსებული დონე აღედგინა.

ცხრილი 20

მშპ-ის ზრდის ტემპი და დონე 1991-1999 წ.წ. (%)

ქვეყანა	წლები									მინიმალური დონე		1999 წ 1990 წელთან %-ობით
	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	%	წელი	
რუსეთის ფედერაცია	-5,0	-19,4	-10,4	-11,6	-4,2	-3,4	0,9	-4,5	3,2	54,2	1998	55,9
ბელორუსი	-1,0	-9,7	-7,0	-13,2	-10,4	2,9	11,4	8,3	3,0	64,6	1995	82,6
უკრაინა	-9,0	-17,0	-14,2	-22,9	-12,2	-10,2	-3,0	-1,7	-0,4	35,0	1999	35,0
ყაზახეთი	-11,0	-5,3	-9,2	-12,6	-8,2	0,5	1,7	-2,5	1,7	61,3	1998	62,3
უზბეკეთი	-1,0	-11,1	-2,3	-4,2	-0,9	1,6	-2,4	4,4	4,1	80,9	1997	87,9
ტაჯიკეთი	-3,6	-28,9	-11,1	-21,4	-12,5	-4,4	1,7	5,3	3,7	39,3	1997	43,8
თურქმენეთი	4,8	-5,3	4,0	-17,3	-7,2	-6,7	-11,3	5,0	16,0	66,0	1997	80,1
საქართველო	-21,1	-44,9	-29,3	-10,4	2,6	11,2	10,8	2,9	3,0	27,5	1994	36,8
აზერბაიჯანი	-1,0	-22,7	-23,1	-19,7	-11,8	1,3	5,8	10,0	7,4	41,7	1995	52,8
სომხეთი	-12,0	-52,6	-14,1	5,4	6,9	5,9	3,3	7,2	4,0	39,2	1993	53,9
მოლდოვა	-17,0	-29,7	-1,2	-31,2	-1,4	-7,8	1,3	-8,6	-5,0	31,7	1999	31,7
ესტონეთი	-14,0	-21,6	-8,2	-2,0	4,3	3,9	10,6	4,0	-1,3	60,7	1994	74,7
ლატვია	-10,0	-35,2	-16,1	2,1	0,3	3,3	6,5	3,6	0,8	56,5	1999	66,5
ლიტვა	-13,0	-21,3	-16,2	-9,8	3,3	4,7	7,3	5,1	-3,3	51,8	1994	61,1
პოლონეთი	-7,0	2,6	3,8	5,2	7,0	6,0	6,8	4,8	4,1	93,0	1991	137,7
ბულგარეთი	-12,0	-7,3	-1,5	1,7	-2,2	-10,9	-7,0	3,5	2,5	69,2	1997	73,4
რუმინეთი	-13,0	-8,7	1,5	3,9	7,1	3,9	-6,1	-5,4	-3,9	79,4	1999	79,5

წყარო: Research Reports. The Vienna Institute for Comparative Economic Studies; №253, February 1999, გვ.2.

ბუნებრივია, ეკონომიკური ზრდის ასეთ დინამიკას თან ახლდა ფუნდამენტური სტრუქტურული ძვრები მთლიან შიდა პროდუქტში. ამ ძვრებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი (იხ. ცხრილი 21). **პირველი:** მატერიალური წარმოების წილის მკვეთრი შემცირება მთლიან შიდა პროდუქტში 80%-დან 63%-მდე, რაც, თავისთავად, უდავოდ, პროგრესული მოვლენაა, თუმცა არ შეიძლება იმის იგნორირება, რომ იგი მატერიალური წარმოების დეგრადაციის, დაკნინების შედეგად გახორციელდა.

მეორე: მრეწველობის წილის მკვეთრი შემცირება 24%-დან (1990 წელს) - 12%-მდე (2000 წელს). განვითარებულ ქვეყნებში ასეთი ტენდენცია დიდი ხანია შეიმჩნევა, 30-იანი წლების დასასრულიდან აშშ-ში, 60-იანი წლების დასასრულიდან დიდ ბრიტანეთში, 70-იანი წლების დასაწყისიდან გერმანიაში. მაგრამ ამ ქვეყნებში ეს პროცესი გამოწვეული იყო ეკონომიკის განვითარების ობიექტური კანონზომიერებებით, კერძოდ, ინფორმაციული სექტორისა და მომსახურების სფეროს დაჩქარებული განვითარებით. უკანასკნელი გამოკვლევებით დასტურდება, რომ გადამმუშავებელი მრეწველობის წილი პოსტინდუსტრიული ეკონომიკის მთლიან შიდა პროდუქტში შეიძლება 5-10%-მდე შემცირდეს.

სამწუხაროდ, საქართველოში დეინდუსტრიალიზაციის პროცესი გამოწვეულია არა მეურნეობის ნორმალური განვითარებით, არამედ დასავლეთისათვის დამახასიათებელი ტრანსფორმაციული პროცესებით: საბაზრო ფასწარმოქმნაზე გადასვლით, წარმოების ხარჯების მკვეთრი ზრდით, შესაბამისად, სამამულო წარმოების პროდუქციის არაკონკურენტუნარიანობით შიდა და მსოფლიო ბაზრებზე, საწარმოების პარტნიორებთან სამეურნეო კავშირების უეცარი შეწყვეტით, მათი საბაზრო გარემოსთან ადაპტაციის დაბალი უნარით და ა.შ.

შედეგად, ჩვენი ქვეყნის სამრეწველო საწარმოებისა და დარგების მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოჩნდა არარენტაბელური და საგარეო-ეკონომიკური ლიბერალიზაციის პირობებში ფუნქციონირებას ვერ ახერხებს. მაშასადამე, სახეზეა, ერთი

ცხრილი 21

ცალკეული დარგების წილი მთლიან შიდა პროდუქტში, მიმდინარე ფასებში (%-ით)

	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1998
მრეწველობა	24,1	28,8	12,8	8,5	25,4	15,1	14,0	12,3
სოფლის მეურნეობა	31,9	28,8	55,5	70,4	34,4	39,5	32,6	25,3
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	6,4	6,8	4,0	3,5	10,5	4,5	5,9	10,6
მშენებლობა	9,9	9,0	7,0	0,9	6,5	4,2	5,1	4,2
ვაჭრობა	7,1	7,3	2,9	6,7	7,6	22,3	24,6	10,4
სხვა დარგები	0,7	0,6	0,6	1,2	1,4	1,7	1,8	0,4
სულ მატერიალური წარმოება	80,1	81,4	82,8	91,1	85,6	87,3	84,1	63,2
სულ არამატერიალური წარმოება	19,9	18,6	17,2	8,9	14,4	12,7	15,9	36,8
მშპ საბაზრო ფასებით	100	100	100	100	100	100	100	100

წყარო: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1999. სსსდ. თბილისი 2000, გვ.9; საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები: 1997 წლის მესამე კვარტალი. ტასისი, თბილისი, 1997, ცხრილი A2.

მხრივ გაჩერებული სამრეწველო საწარმოები, გამოუყენებელი სიმძლავრეები, მეორე მხრივ, ახალი კონკურენტუნარიანი სამრეწველო საწარმოებისა და სიმძლავრეების მშენებლობის შეუძლებლობა, რაც საბოლოოდ დეინდუსტრიალიზაციის არასასურველ პროცესს განაპირობებს. ეკონომიკური ზიანი ამით კოლოსალურია, რადგანაც როგორც წესი, სამრეწველო წარმოება, განსაკუთრებით მისი თანამედროვე დარგები, მაღალშემოსავლიანია. საქართველომ დაკარგა მრავალი მაღალშემოსავლიანი წარმოება და დარგი, მაგრამ მათი კომპენსირება ახალი მაღალშემოსავლიანი წარმოებების ათვისებით დღემდე ვერ მოახერხა. ყველაზე უფრო დიდი დაცემა სამრეწველო წარმოებამ განიცადა 1992-1993 წლებში. მომდევნო პერიოდში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა თანდათან მნიშვნელოვნად მატულობდა. მაგრამ 1998 წ. კვლავ დაიწყო სამრეწველო წარმოების დაცემა, რაც 1999 წლის სექტემბრამდე გრძელდებოდა.

მართალია, მომდევნო პერიოდში სამრეწველო წარმოება აღმავლობის გზაზეა, მაგრამ მდგომარეობა მაინც არამდგრადია. ცალკეულ დარგებში სიმძლავრეები მხოლოდ 5-10%-ითაა დატვირთული. საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი უმოქმედოა, ან მინიმალურ დონეზე ფუნქციონირებს. რესტრუქტურიზაციისთვის, კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებისთვის სახსრების უქონლობის, შიდა და საგარეო ბაზრების დაკარგვის, საბრუნავი საშუალებების მწვავე დეფიციტის, საბანკო კრედიტების გამოუყენებლობის გამო, პრაქტიკულად დადგა ქვეყანაში მსუბუქი, ხე-ტყის გადამამუშავებელი და ავეჯის მრეწველობის, ჩარხმშენებლობის, სასოფლო-სამეურნეო და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის, ელექტროტექნიკური, ელექტრონული, მეტალურგიული, ქვანახშირის, ქიმიური, თავდაცვის მრეწველობისა და სხვა საწარმოთა შემდგომი მუშაობის შესაძლებლობის პრობლემა. ამასთან, მრეწველობაში უცხოელი ინვესტორების დაინტერესება დღემდე მხოლოდ ნედლეულის რესურსებთან დაკავშირებული საწარმოებით შემოიფარგლება. ექსპორტში დიდია ბუნებრივი რესურსებისა და ჯართის წილი, რაც ქვეყანაში დეინდუს-

ტრიალიზაციის მაღალ დონეზე მიუთითებს და ახალი მაღალშემოსავლიანი სამრეწველო წარმოების განვითარების აუცილებლობას ააშკარავებს. მოხდა არა მხოლოდ მრეწველობის წილის მკვეთრი შემცირება მთლიან შიდა პროდუქტში, არამედ სამრეწველო წარმოების სტრუქტურის გაუარესება, რადგანაც თითქმის შეწყდა მანქანებისა და მოწყობილობების, ხელსაწყოების, ელექტრონული მანქანების, სატრანსპორტო საშუალებების, მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის გამოშვება;

მესამე, აღინიშნება სასოფლო სამეურნეო წარმოების ძალიან მერყევი დინამიკა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი ხასიათდება ძალიან დაბალი ელექტროტევადობით, ტექნოტევადობით, მეცნიერებატევადობით და, შესაბამისად, ბუნებრივ-კლიმატურ პირობებზე ძლიერი დამოკიდებულებით. დარგი, ფაქტობრივად, დაუცველია არახელსაყრელი კლიმატური ფაქტორების ზემოქმედებისგან. გვალვასთან თუ სხვა უარყოფით ბუნებრივ მოვლენებთან დაკავშირებით, მისი წარმოება მკვეთრად ეცემა, რაც მაშინვე აისახება მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაზე, რადგანაც დეინდუსტრიალიზაციის გაღრმავების გამო, მისი წილი ამ უკანასკნელში კვლავ მაღალია. ამ დარგის განმსაზღვრელი მნიშვნელობა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდისთვის, იქიდანაც ჩანს, რომ მისი წილი 1990-1993 წლებში 32-დან 70%-მდე გაიზარდა. მართალია, მომდევნო პერიოდში ეს წილი თანდათან მცირდებოდა, მაგრამ ბოლო წლებში იგი მაინც, დაახლოებით, 25%-ის ფარგლებშია, რაც საერთაშორისო სტანდარტებით საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედარებით ჩამორჩენილობაზე მიუთითებს.

სოფლის მეურნეობისთვის განსაკუთრებით მძიმე იყო 1990-1994 წლები, როდესაც მისი ყველა დასახელების პროდუქციის წარმოება თითქმის განახევრდა.

მომდევნო წლებში, მიუხედავად კერძო სექტორის ინტენსიური განვითარებისა, ჯერ კიდევ მიღწეული არ არის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ისედაც ჩამორჩენილი 1990 წლის დონე. მაგალითად, ხორბალი 1990 წ.

ცხრილი 22

წარმოების სტრუქტურა 1998 წ. მონაცემებით

ქვეყნები	მშპ მლნ დოლარი	დამატებული ღირებულება %-ში მშპ-ის მიმართ		
		სოფლის მეურნეობა	მრეწველობა	მომსახურება
რუსეთი	446982	9	42	49
საქართველო	5244	32	23	45
აზერბაიჯანი	4127	19	44	36
სომხეთი	1628	41	36	23
ირანი	1 92664	18	32	50
თურქეთი	189878	15	28	57
ბელორუსი	22629	14	44	42
ყაზახეთი	21029	10	27	63
მოლდოვა	1872	31	35	34
ტაჯიკეთი	1990	-		
თურქმენეთი	4397	-	-	-
უზბეკეთი	14194	28	30	42
უკრაინა	49677	12	40	48
ლატვია	5527	7	31	62
ლიტვა	10517	14	40	46
ესტონეთი	5462	5	27	67
ისრაელი	100031	-	-	-
ავსტრია	212069	1	30	68
დიდი ბრიტანეთი	1357429	2	31	67
ბულგარეთი	10085	23	26	50
რუმინეთი	34843	15	36	48
უნგრეთი	45725	6	34	60
პოლონეთი	148863	4	26	70
ჩეხეთი	52035	-	-	-
სლოვენია	18201	5	39	57
ჩინეთი	960927	18	49	33
ესპანეთი	551923	3		
შვეიცარია	264352	-	-	-
საბერძნეთი	120304	14	25	61, 2
დანია	174272	5	29	66, 2
პოლანდია	382487	3	32	64, 2
ბელგია	247076	1	27	72
აშშ	8210600	2	27	71
გერმანია	2142018	1	35	64
იაპონია	9783140	4	42	54, 2
საფრანგეთი	1432902	2	26	72
იტალია	1171044	3	31	66
ინდოეთი	383429	25	30	45
ბრაზილია	778292	8	36	56

შენიშვნები: 1. ირანის მონაცემები 1980 წლისაა;
2. წარმოების სტრუქტურის მონაცემები 1980 წლისაა.

წყარო: На пороге 21-го века. Доклад о мировом развитии 1999/2000 года. ВБ.М., 2000, გვ.236-237.

წარმოებული იყო 257 ათასი ტონა, ხოლო 1999 წ. - 246 ათასი ტონა; სიმინდი, შესაბამისად - 270 და 250 ათასი ტონა, ბოსტნეული - 577 და 525 ათასი ტონა, კარტოფილი - 336 და 433 ათასი ტონა, მზესუმზირა - 7,8 და 40 ათასი ტონა, ხილი და კენკრა - 591 და 280 ათასი ტონა, ყურძენი - 691 და 410 ათასი ტონა, ციტრუსი - 283 და 85 ათასი ტონა, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი - 516 და 46,5 ათასი ტონა, ხორცი - 170 და 126 ათასი ტონა, რძე - 660 და 610 ათასი ტონა, კვერცხი - 769 და 390 მლნ. ცალი, მატყლი - 6,2 და 1,8 ათასი ტონა.

აქედან ჩანს, რომ სასოფლო სამეურნეო წარმოება თანდათან უახლოვდება კრიზისის წინა მაქსიმალურ დონეს, მაგრამ კრიზისის საბოლოოდ დასაძლევად ჯერ კიდევ სერიოზული ძალისხმევა იქნება საჭირო, რადგანაც დარგის განვითარება დღემდე კლიმატურ პირობებზეა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული;

მეოთხე. აღნიშნულთან ერთად სახეზეა დადებითი ტენდენციებიც. იგულისხმება, პირველ რიგში ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ვაჭრობის წილის განუხრელი ამაღლება მთლიან შიდა პროდუქტებში და მშენებლობის წილის შემცირება. თუ საქართველოს გეოპოლიტიკურ უპირატესობებსა და მსოფლიო მეურნეობის განვითარების ტენდენციებს გავითვალისწინებთ, საინფორმაციო-საკომუნიკაციო კომპლექსისა და ვაჭრობის განვითარების დაჩქარების უზრუნველყოფა ხანგრძლივ პერიოდშიც, უდავოდ, ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტულ ამოცანად დარჩება. რაც შეეხება მშენებლობის წილის შემცირებას, ეს საერთო ობიექტური პროცესია, მაგრამ როდესაც იგი გამოწვეულია თვითონ მშენებლობის კრიზისითა და ქვეყანაში ინვესტიციური საქმიანობის მინიმუმამდე შეკვეცით, რა თქმა უნდა, ამასთან შეგუება შეუძლებელია. მშენებლობის განვითარებისთვის საქართველოში საუკეთესო პირობები არსებობს: გამოუყენებელი კვალიფიციური სამუშაო ძალა, სამშენებლო მასალები, საბინაო და წარმოებრივი მშენებლობის გაფართოების სტრატეგიული მოთხოვნილება. ამიტომ, აუცილებელია შესაბამისი ინსტიტუციური და სამეურნეო-ფინანსური გარე-

მოს ჩამოყალიბება სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ერთობლივი ძალისხმევით;

მეხუთე. ანალიზი გვიჩვენებს, რომ მთლიანი შიდა პროდუქტისა და მისი სტრუქტურული ელემენტების აბსოლუტური მოცულობანი უკიდურესად მცირეა. ისინი ვერ პასუხობენ ქვეყნის პროგრესული განვითარების მოთხოვნებს. მათ საფუძველზე ვერ ხერხდება ინდივიდუალური და საწარმოო მოთხოვნილების დაკმაყოფილება. სასაქონლო და ფინანსური რესურსების დარგთაშორისი და რეგიონთაშორისი გადადენა, მათი მუდმივი წრებრუნვა, შიდა ბაზრის ჩამოყალიბება, ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანი ინტეგრაცია, საკუთარი რესურსის ნაკადების გაფართოებული კვლავწარმოებით, რის გამოც აუცილებელი ხდება მათი გარედან მასშტაბური მოზიდვა.

მთლიანი შიდა პროდუქტისა და მისი სტრუქტურული ელემენტების აბსოლუტურ მოცულობათა სიმცირე კარგად

ცხრილი 23

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

ქვეყანა	მოსახლეობა მლნ.კაცი	ტერიტორია ათას კვ.კმ	მთლიანი ეროვნული პროდუქტი მლნ.დოლარი	მთლიანი ეროვნული პროდუქტი 1 სულ მოსახლეზე	ტერიტორიული ინტენსიფიკაცია: მლნ/1 ათას კვ.კმ დოლარებში
საქართველო	5	70	5,19	30,0	73000
აზერბაიჯანი	8	87	3,9	490,0	44800
სომხეთი	4	30	1,8	480,0	60000
ლატვია	2	65	5,9	2430,0	90769
ლიტვა	4	65	9,0	2440,0	138461
ესტონეთი	1	45	4,9	3390,0	108888
ბულგარეთი	8	111	10,1	1230,0	90991
უნგრეთი	10	93	45,6	4510,0	490322
ჩეხეთი	10	79	51,8	5040,0	655696
სლოვენია	2	20	19,4	9760,0	970000
ბელგია	10	33	259,0	25380,0	7848480
დანია	5	43	176,4	33260,0	4100080
ნიდერლანდები	16	41	388,7	24760,0	9463400
ავსტრია	8	84	217,2	26850,0	2583300
შვეიცარია	7	41	284,8	40080,0	6951200
ისრაელი	6	21	95,2	15940,0	4523800

წყარო: На пороге 21-го века. Доклад о мировом развитии 1999/2000, М., 2000, გვ.214-215.

ჩანს 22 და 23 ცხრილებიდან. 1998 წ. საქართველოს მთლიანმა შიდა პროდუქტმა შეადგინა მხოლოდ 5,2 მლრდ. ლარი, რაც წარმატებული საშუალო დასავლური ფირმის წლიური შემოსავლის ტოლია. იგი მნიშვნელოვნად მცირეა ტერიტორიითა და მოსახლეობით საქართველოსთან შესადარ მრავალ პოსტსაბჭოთა, პოსტსოციალისტურ და განვითარებულ ქვეყანასთან შედარებით. მაგალითად, ესტონეთი 5-ჯერ ჩამორჩება საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობით, ამავე დროს მისი ტერიტორია საქართველოს ტერიტორიის ორი მესამედიც კი არ არის, მაგრამ მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა თითქმის იგივეა, რაც საქართველოსი. სლოვენია 2,5-ჯერ ჩამორჩება საქართველოს მოსახლეობას რიცხოვნობით, 3,5-ჯერ - ტერიტორიის ფართობით, მაგრამ მთლიან შიდა პროდუქტს 4-ჯერ უფრო მეტს აწარმოებს, ვიდრე საქართველო. შვეიცარიის ტერიტორია შეადგენს საქართველოს ტერიტორიის 58%-ს, მოსახლეობა სჭარბობს საქართველოს მოსახლეობას 40%-ით, მაგრამ მისი მთლიანი შიდა პროდუქტი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტს კოლოსალურად - 57-ჯერ აჭარბებს. ისრაელის მოსახლეობა საქართველოს მოსახლეობასთან შედარებით ოდნავ მეტია, მისი ტერიტორია - 3,5-ჯერ მცირე, მაგრამ მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით იგი თითქმის 4-ჯერ სჭარბობს საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას და ა.შ.

ამასთან ერთად, მოტანილი ცხრილები საშუალებას გვაძლევს, გამოვყოთ საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის აბსოლუტური მოცულობის სიმცირის ძირითადი მიზეზები. მათგან მთავარია ეკონომიკის დაბალი განვითარების დონე, კონკურენტუნარიანობა, მწარმოებლურობა და ეფექტიანობა, რაც ერთ სულ მოსახლესა და ტერიტორიის ერთი ათას კვადრატულ კილომეტრ ფართობზე მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობით აისახება. საქართველოს მთლიანი ეროვნული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 1998 წ. მხოლოდ 930 დოლარს შეადგენდა, რაც ღარიბი ქვეყნის მაჩვენებლია, მაშინ, როდესაც ესტონეთის ანალოგიური მაჩ-

ვენებელი იყო 3390 დოლარი, ანუ 3,6-ჯერ უფრო მაღალი, სლოვენიის - 9760 დოლარი, ანუ 10,5-ჯერ უფრო მაღალი, ისრაელის - 15940 დოლარი, ანუ 17-ჯერ უფრო მაღალი, ბელგიის - 25380 დოლარი, ანუ 27-ჯერ უფრო მაღალი, დანიის - 33260 დოლარი, ანუ 36-ჯერ უფრო მაღალი, შვეიცარიის - 40080 დოლარი, ანუ 43-ჯერ უფრო მაღალი. ასევე დაბალია საქართველოში წარმოების ტერიტორიული ინტენსიფიკაციის დონე. იმავე 1998 წ. იგი შეადგენდა 73000 დოლარს ათას კვადრატულ კილომეტრზე, რაც 1,5-ჯერ უფრო მცირეა, ვიდრე ანალოგიური მაჩვენებელი ესტონეთისთვის, 13-ჯერ მცირე, ვიდრე სლოვენიისათვის, 62-ჯერ მცირე, ვიდრე ისრაელისთვის, 107-ჯერ მცირე, ვიდრე ბელგიისთვის, 130-ჯერ მცირე, ვიდრე ნიდერლანდებისთვის, 12-ჯერ მცირე, ვიდრე აშშ-ისთვის, 148-ჯერ მცირე, ვიდრე იაპონიისთვის.

სხვა მნიშვნელოვანი მიზეზია ეკონომიკის სტრუქტურული ჩამორჩენილობა და იმავდროულად, მისი ცალკეული სფეროების განუვითარებლობა, მცირე შემოსავლიანობა. ანალიზი გვიჩვენებს, რომ თანამედროვე პირობებში მთლიანი შიდა პროდუქტის ღირებულებითი მოცულობა განისაზღვრება, უწინარეს ყოვლისა, მომსახურების სფეროს განვითარების დონითა და წილით მთლიან შიდა პროდუქტში. მნიშვნელობით მეორე ფაქტორია მრეწველობის განვითარების დონე და წილი მთლიან შიდა პროდუქტში. ყველა მაღალგანვითარებულ ქვეყანაში მომსახურების წილი მთლიან შიდა პროდუქტში, როგორც წესი, 60%-ზე მაღალი, მაშინ, როდესაც საქართველოში იგი მხოლოდ 45%-ს შეადგენს, ანუ სახეზეა მომსახურების სფეროს ძლიერი ჩამორჩენილობა, რაც ყველაზე მეტად საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ამუხრუჭებს. მრეწველობის წილი განვითარებული ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტში 25-35%-ის ფარგლებშია. ამიტომ, საქართველოსთვის ამჟამინდელი მაჩვენებელი 23%-ის ოდენობით ძალიან მცირეა. სამაგიეროდ, ძალიან მაღალია სოფლის მეურნეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში - 32%-ის ოდენობით, მაშინ, როდე-

საც მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ამ დარგის განვითარების კარგი პირობების არსებობისას იგი 5%-საც კი არ აღემატება.

მაგრამ პრობლემა მარტო სტრუქტურული ჩამორჩენილობა როდია. არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თვითონ ამ ცალკეული სფეროების განვითარების დონე, შემოსავლიანობა, მწარმოებლურობა არის უკიდურესად დაბალი. მაგალითად, ლიტვაში მომსახურების წილი მთლიან შიდა პროდუქტში თითქმის იგივეა, რაც საქართველოში, მაგრამ მისი ღირებულებითი მოცულობა შეადგენს 4838 მლნ. დოლარს, მაშინ, როდესაც საქართველოში - 2360 მლნ. დოლარს, ანუ 2-ჯერ უფრო მცირეშემოსავლიანია. სამავე დროს სოფლის მეურნეობის წილი ლიტვის მთლიან შიდა პროდუქტში შეადგენს 14%-ს, ანუ 2-ჯერ უფრო მცირეა, ვიდრე საქართველოში, მაგრამ მისი ღირებულებითი მოცულობა შეადგენს 1472 მლნ. დოლარს, მაშინ, როდესაც საქართველოში - 1678 მლნ. დოლარს, ანუ სასოფლო სამეურნეო წარმოების 1% ლიტვაში 14,7 მლნ. დოლარის შესატყვისია, ხოლო საქართველოში - მხოლოდ 16,8 მლნ. დოლარის. კიდევ უფრო კოლოსალურია სხვაობა სხვა ქვეყნებთან: ბელგიაში სასოფლო სამეურნეო წარმოების 1%-ის მოცულობა შეადგენს 24,70 მლნ. დოლარს, ჰოლანდიაში - 114,75 მლნ. დოლარს, გერმანიაში - 214,2 მლნ. დოლარს, აშშ-ში - 1642,1 მლნ. დოლარს, იაპონიაში - 1513,2 მლნ. დოლარს, რუსეთში - 402,2 მლნ. დოლარს. ასეთი სხვაობა სასოფლო სამეურნეო წარმოების შემოსავლიანობის მიხედვით, ქვეყნებს შორის გამოწვეულია არა მარტო მისი მასშტაბებით, ხვედრითი წილით მთლიან შიდა პროდუქტში, არამედ საერთო განვითარების დონით, მოხმარებაში სურსათის მაღალი წილით, ფასების დონითა და საექსპორტო სპეციალიზაციით. როგორც წესი, იქ, სადაც განვითარების საერთო დონე მაღალია, მაღალგანვითარებულია სოფლის მეურნეობაც და მით უფრო მცირეა მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში.

იგივე დასკვნა ძალაშია მრეწველობის მიმართ. მაგალითად, მრეწველობის წილი ბელგიის მთლიან შიდა პროდუქ-

ტში მხოლოდ 17%-ით აღემატება ანალოგიურ მაჩვენებელს საქართველოში. მაგრამ ამ დარგის დამატებული ღირებულების მოცულობა 666,9 მლრდ. დოლარის ოდენობით 55-ჯერ აღემატება საქართველოს შესაბამის მაჩვენებელს 1,2 მლრდ. დოლარის ოდენობით. მრეწველობაში დამატებული ღირებულების 1%-ის მოცულობა საქართველოში, მოტანილი ცხრილის მიხედვით, შეადგენს 12 მლნ. დოლარს, ბელგიაში - 666,9 მლნ. დოლარს, ჰოლანდიაში - 1224 მლნ. დოლარს, გერმანიაში - 7497 მლნ. დოლარს, აშშ-ში - 22 168 მლნ. დოლარს, იაპონიაში - 15889 მლნ. დოლარს, რუსეთში - 1877 მლნ. დოლარს. აქაც სხვაობა გამოწვეულია სამრეწველო წარმოების მასშტაბებითა და ეფექტიანობით, განვითარების დონით, სხვადასხვა ფასითა და საექსპორტო სპეციალიზაციით, ცალკეული ქვეყნების მიხედვით. როგორც წესი, იქ, სადაც განვითარების საერთო დონე მაღალია, მაღალგანვითარებულია სამრეწველო წარმოებაც და მით უფრო მცირეა მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში.

ამგვარად, (რეფორმების პერიოდში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში მოხდა ფრიად მნიშვნელოვანი სტრუქტურული ტრანსფორმაცია, რაც მრეწველობის წილის მკვეთრი შემცირებითა და მის ხარჯზე სოფლის მეურნეობისა და მომსახურების სფეროს წილის ამაღლებით გამოიხატა.) მაგრამ ეკონომიკის განვითარება მკვეთრად ფერხდება არა მარტო სოფლის მეურნეობის მაღალი წილით მთლიან შიდა პროდუქტში, არამედ იმითაც, რომ (რეალური სექტორის ყველა სფერო -(სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მომსახურება განვითარების დონით მკვეთრად ჩამორჩება და ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს)

ამავე დროს, მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკაზე სხვა მაკროეკონომიკური ფაქტორებიც ზემოქმედებენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფლაციის, ბიუჯეტის დეფიციტის, სავალუტო კურსის, სავალუტო რეზერვების, სავაჭრო ბალანსის, საგარეო ვალის, ინვესტიციების, დანაზოგების დინამიკის ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდაზე (იხ.ცხრილი 24)

ამ საკითხების განხილვა საშუალებას გვაძლევს, გავარკვი-

ოთ, თუ როგორ წყდება საქართველოში რეფორმის მთავარი პრობლემა – საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისა და განვითარებისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტების მიერ.

ცხრილი 24

უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ზრდის წლიური ტემპების შედარება (%–ში წინა წლის მიმართ)

მაჩვენებლები	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000
მშპ	-15,0	-21,0	-44,2	-29,3	-11,0	2,4	1,4	10,8	2,9	3,0	1,5
ინფლაცია	-	76	746	1037	7741	53	13,5	7,3	10,7	10,9	4,5
საგადასახადო შემოსავლების მშპ-ს %	- 22,1	8,2	2,0	3,0	3,8	10,8	13,0	8,5 1	0,2	-	
ბიუჯეტის დეფიციტ	-	-3,0	-28,0	-34,0	68,0	-4,7	-7,4	-7,0	-6,4	-6,9	
საალუტო კურსი (ლარი/დოლარი) წლის ბოლოს	-	-		0,1	1,28	1,23	1,26	1,3	1,8	1,93	1,95
საალუტო რეზერვები. მლნ. დოლარი	-	-	0,7	1,0	41	157	158	173	118	132	
საალუტო ბალანსი. მლნ. დოლარი	-					-244,5	-488	-703,7	-693,3	-381	
წმინდა ექსპორტი	-5,5	-3,2	-49,6	-14,9	-17,0	-15,3	-7,6				
სახელმწიფო ვალი. საბოლოო მოხმარება	76,2	75,7	124,4	113,8	115,7	114,2	94,5				
ინვესტიციები %-ში მშპ-სთან	22,6	18,9	17,7	0,8	0,9	0,8	7,9	15,6	24,4	14,6	
დანაზოგები %-ში მშპ-სთან							-1,2	4,9	13,3	6,7	
მუშაკთა საშუალო ხელფასი %-ში						13,6	29,0	42,5	55,4	67,5	
დასაქმება						98,9	117,7	109,7	97,0	96,0	
უმუშევრობის დონე						2,9	2,4	5,0	3,7	4,6	

წყარო: საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები. პირველი კვარტალი 1997, ტასისი, თბილისი, 1997, ცხრილი A4; ჰუმანური განვითარების ანგარიში საქართველო 1997, თბილისი, 1998, გვ.18-19; სოციალურ-ეკონომიკური გაჯანსაღებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის პროგრამა. თბილისი, 2000, გვ.5; საქართველოში სიღარიბის დაძლეევისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამის შუალედური დოკუმენტი. მთავრობის განაცხადი. თბილისი, 2001, გვ.69.

ერთ-ერთი უპირველესი პირობაა ინფლაციის დაძლევა. საქართველოს მაგალითი თვალნათლივ ადასტურებს, რომ წარმოების არნახული დაცემა 90-იანი წლების დასაწყისში

გამოწვეული იყო, უწინარეს ყოვლისა, მაღალი ინფლაციით, რომელიც 1992-1994 წლებში ჰიპერინფლაციაში გადაიზარდა, მაგრამ სტაბილიზაციის პროგრამის ამოქმედების შემდეგ საქართველომ შეძლო საოცარი გარდატეხის მიღწევა, ჰიპერინფლაციის დაძლევა, ინფლაციის ტემპის შემცირება 1995 წელს 53%-მდე, რამაც წარმოების დაცემის შეწყვეტა და მთლიანი შიდა პროდუქტის 2,4%-ით ზრდა განაპირობა. 1996-2000 წლებში ინფლაციის საშუალო წლიური ტემპი დაახლოებით 10%-ის ფარგლებშია, რაც ამ ხნის განმავლობაში შენარჩუნებული დადებითი ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ ამ პერიოდში მაინც გამორჩეულია 1996-1997 წლები, როდესაც მთლიანი შიდა პროდუქტის განსაკუთრებით მაღალი ზრდა აღინიშნებოდა, წარმატებული ანტიინფლაციური პოლიტიკის საფუძველზე. ინფლაციის დაძლევა ამ პერიოდში განპირობებული იყო მკაცრი ფულად-საკრედიტო და საფინანსო პოლიტიკით, რაც ფულის მასის რეგულირებით, სავალუტო კურსის მდგრადობით, ბიუჯეტის დეფიციტის მკვეთრი შემცირებით გამოიხატებოდა.

მაგალითად, ინფლაციის მკვეთრი ზრდა საქართველოში პირველად 1992 წ. აღინიშნა, როდესაც იგი ათჯერ გაიზარდა 746%-მდე. ეს გამოწვეული იყო, უწინარეს ყოვლისა, M2 ფულის აგრეგატის 5,5-ჯერ გადიდებით 12,9 მლრდ. მანეთიდან (1991 წელს) 71,8 მლრდ. მანეთამდე (1992 წელს). 1993-1994 წლებში M2 აგრეგატი კვლავ მკვეთრად იზრდება, შესაბამისად 25-ჯერ და 20-ჯერ, რის გამოც წლიური ინფლაცია, შესაბამისად, 1037%-სა და 7741%-ს აღწევს, მაგრამ 1994 წლის შემოდგომიდან, სტაბილიზაციის ღონისძიებების გახორციელების კვალობაზე, ვითარება მკვეთრად იცვლება. 1995 წელს M2 აგრეგატი იზრდება, დაახლოებით, 30%-ით, რაც აისახება კიდეც ჰიპერინფლაციის დაძლევითა და ინფლაციის შემცირებით 53%-მდე. 1996 წ. M2 აგრეგატი გაიზარდა, დაახლოებით, 32%-ით. ინფლაციამ შეადგინა

13,5%, 1997 წ. აღნიშნული მაჩვენებლები იყო 30% და 7,3%, 1998 წ. - 5% და 10,7%, 1999 წ. - 9% და 10,9% [69].

მაშასადამე, მართალია, ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ ფულის მასის დინამიკა უშუალოდ განსაზღვრავს ინფლაციის ტემპს, მაგრამ ამ მონაცემებიდანაც ჩანს, რომ იგი განისაზღვრება, კერძოდ, ბიუჯეტის დეფიციტითა და ეროვნული ვალუტის კურსით. ანალიზიდან ჩანს, რომ ჰიპერინფლაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი სწორედ ბიუჯეტის დეფიციტი იყო, რომელმაც 1992 წელს შეადგინა მთლიანი შიდა პროდუქტის 28%, 1993 წ. - 34%, 1994 წ. - 68%, მაგრამ რესტრუქციულმა ფულად-საკრედიტო და ფინანსურმა პოლიტიკამ საოცარი შედეგი გამოიღო და აღნიშნული მაჩვენებელი უკვე 1995 წ. 4,7%-მდე შემცირდა, რაც, უდავოდ, კოლოსალური მიღწევა იყო.

აქედან ჩანს, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება იქნებოდა სულ სხვანაირი, მსგავსი ღონისძიებები რომ უფრო ადრე გატარებულიყო. რაც შეეხება სავალუტო კურსის მდგრადობას, მან, რა თქმა უნდა, უდიდესი როლი შეასრულა ჰიპერინფლაციის დაძლევაში, 1996-1997 წლების ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაში, მაგრამ მაინც მისი განმსაზღვრელი მნიშვნელობა გამოაშკარავდა 1998 წლის მომდევნო პერიოდში, როდესაც სახელმწიფომ ვეღარ შეძლო ეფექტიანი ფინანსური პოლიტიკის გახორციელება და ფინანსური კრიზისი გამწვავდა.

ამგვარად, 90-იანი წლების პირველი ნახევრის პრაქტიკამ საქართველოში დაადასტურა, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა რეფორმის პერიოდში დამოკიდებულია სასტარტო პირობებზე, ეკონომიკის სტრუქტურაზე, ინფლაციის, ბიუჯეტის დეფიციტის, სავალუტო კურსის დონეზე. იგივე დასკვნა ძალაშია სხვა პოსტსაბჭოთა და ცენტრალური და აღმოსავ-

---

[69] იხ. საქართველოს ეკონომიკის მიმართულებები. დეკემბერი 1995. ტასისი. თბილისი, 1996, გვ.21; მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი, 2000, №6, გვ.10 და ჩვენი გაანგარიშება.

ლეთ ევროპის ქვეყნებისთვის, რაც მრავალი სპეციალური გამოკვლევით არის დადასტურებული. შესრულდა სხვა ფუნდამენტური გამოკვლევებიც, სადაც ზრდისა და მასზე ზემოქმედი ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულება შესწავლილია მსოფლიო მასშტაბით, განვითარებული, განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნების გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი ეკონომიკური დინამიკის გათვალისწინებით. შესაბამისად, მიღებულია უდიდესი მნიშვნელობის თეორიული და პრაქტიკული ხასიათის დასკვნები, რომელთა მართებულობა საქართველოს განვითარებითაც დასტურდება: 1. ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობაა მაღალი ინფლაციის დაძლევა, მისი საშუალო წლიური დონის უზრუნველყოფა 50%-ზე ქვემოთ; 2. ეკონომიკური ზრდის სხვა უმნიშვნელოვანესი პირობაა ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, არა უმეტეს 6%-ისა მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ; 3. ინფლაციის დინამიკის უმნიშვნელოვანესი განმსაზღვრელი ფაქტორებია ფულის მასა და მისი მიმოქცევის სიჩქარე; 4. არ არსებობს მონეტიზაციის კოეფიციენტის სტანდარტული სიდიდე, რადგანაც მოთხოვნა ფულის მასაზე ყველა ქვეყნისთვის ინდივიდუალურია და შესაბამისად, ინდივიდუალურია მისი სიდიდეც; 5. ფულის ემისიის გადიდება იწვევს ფულზე მოთხოვნისა და მონეტიზაციის კოეფიციენტის შემცირებას (ფულის მიმოქცევის სიჩქარის ზრდას), რაც ზრდის ინფლაციას, რაც, თავის მხრივ, კვლავ ფულზე მოთხოვნისა და მონეტიზაციის კოეფიციენტის შემცირებას განაპირობებს; 6. ფინანსური სტაბილიზაციის კრიტერიუმია ინფლაციის ისეთი დონე, როდესაც მონეტიზაციის კოეფიციენტის დინამიკა იცვლის თავის ნიშანს საპირისპიროზე. მსოფლიოს 166 ქვეყნისთვის უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში (1971-1995 წ.წ.) იგი 21-44% წლიური ინფლაციის ფარგლებში მერყეობდა; 7. ეკონომიკის ლიბერალიზაცია, სახელმწიფო ხარჯებისა და სახელმწიფო სექტორის მინიმიზაცია არ არის ზრდის უშუალოდ განმსაზღ-

ერელი ფაქტორი; 8. მართალია, ინფლაციის დაძლევა ზრდის აუცილებელი პირობაა, მაგრამ არასაკმარისი, რადგანაც ზოგჯერ მინიმალური ინფლაციის პირობებშიც არ ხერხდება

ცხრილი 25

მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილება რეფორმების პერიოდში, ლიბერალიზაციის ინდექსი და ინფლაციის ტემპები 1989–1994 წლებში

ქვეყნები	1991 წლ. მისახლეობის მეოთხედწლიანი პირეტის მისედვით, %-ში, 1991-ის დონესან	1996 წ. 1989 წ. მიმართ	ლიბერალიზაციის ინდექსი 1995 წლისთვის	არასახელმწიფო სექტორის წილი 1996 წ.	ინფლაცია 1990–1995 წ.წ. საშუალოდ წელიწადში, %	წარმოების კუმული დაცემა (%, 1989=100%)	წარმოების ზრდა ყველაზე უფრო ღრმა დაცემის მიმართ (%)
საქართველო	26,5	31	1,32	50	2280,2	74,6	
აზერბაიჯანი	21,7	39	1,03	25	747,6	59,0	-
სომხეთი	26,5	37	1,44	50	896,6	66,8	5,4
რუსეთი	30,6	57	1,92	60	517,0	48,3	-
უკრაინა	20,4	39	0,80	40	1040,5	52,1	
ბელორუსი	25,1	64	1,07	15	878,8	39,3	
ყაზახეთი	24,2	57	1,31	40	805,5	51,2	
უზბეკეთი	12,5	85	1,11	40	628,4	15,6	
მოლდავეთი	22,4	35	1,62	40	355,0	60,6	
თურქმენეთი	18,7	60	0,63	20	1167,0	36,5	
ყირგიზეთი	13,5	57	1,81	50	337,3	50,6	-
ლატვია	24,1	52	2,39	60	149,1	52,0	2,8
ლიტვა	33,8	42	2,62	65	241,4	61,1	1,7
ესტონეთი	29,9	71	2,93	70	151,4	34,9	3,0
პოლონეთი	21,4	104	4,14	60	34,9	17,8	13,0
ჩეხეთი	44,1	89	3,61	75	18,3	21,4	2,5
სლოვაკეთი	33,0	90	3,53	70	16,0	25,1	4,8
სლოვენია	33,3	95	4,16	45	62,1	16,8	6,9
ხორვატია	30,0	70	4,02	50	328,0	36,9	1,1
რუმინეთი	22,7	88	2,35	60	158,4	26,4	4,8
ბულგარეთი	23,5	67	2,96	45	81,2	27,4	1,4
ჩინეთი	5,8	189	2,00		4,0	-	-
ვიეტნამი	2,0	167	3,72	-	26,3	-	-
უნგრეთი	28,9	86	4,11	70	22,3	18,3	2,1

წყარო: Попов В. Динамика производства при переходе к рынку. - ჟ. „Вопросы экономики“, 1998, №7, გვ.45; Фишер С., Сахаи Р., Вег К.А. Стабилизация и рост в переходных экономиках: первые уроки - ჟ. „Вопросы экономики“, 1997, №5. გვ.26.

მდგრადი და შედარებით მაღალი ტემპით ზრდა, რადგანაც ზრდისთვის უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობა ინსტიტუციურ ფაქტორს, ინსტიტუტების ეფექტიანობას, ეფექტიანი, ძლიერი სახელმწიფოს არსებობას ენიჭება[70].

აღნიშნული საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ 90-იან წლებში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკის განმსაზღვრელი უშუალო ფაქტორები. 1989-1994 წლების წარმოების ღრმა დაცემის მთავარი მიზეზები იყო ტრანსფორმაციული კრიზისი და უხეში შეცდომები ეკონომიკურ პოლიტიკაში, ტრანსფორმაციული კრიზისი გამოწვეული იყო სერიოზული სტრატეგიული დეფორმაციებით. საქართველოს ეკონომიკური განვითარება დიდად იყო დამოკიდებული რუსეთიდან ენერგიის შემოტანასა და საკუთარი პროდუქციის საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში გატანაზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველომ ვერ შეძლო ენერგიის, სხვა პროდუქციის მაღალი ფასებით იმპორტი და საკუთარი პროდუქციის ადრინდელი მასშტაბით ექსპორტი, რამაც წარმოების ძლიერი დაცემა გამოიწვია. სხვა მთავარი მიზეზი იყო მაღალი ინფლაცია და ჰიპერინფლაცია, რომელიც ფულის მასის მკვეთრმა ზრდამ, ბიუჯეტის დეფიციტის მნიშვნელოვნად გადიდებამ, საწარმოებს შორის კავშირის წყვეტამ, კონკურენტული ბაზრების უქონლობამ, მართვის მოშლამ გამოიწვია. კრიზისი გახანგრძლივდა, რადგანაც ფულადი სტაბილიზაციის მიღწევა გაიწელა დროში. შედეგად, მკვეთრად შემცირდა ფულის მა-

---

[70] იხ. Домбровский М. Фискальный кризис в период трансформации. Варшава, 1996; Маевский В. Экономический рост, инфляция и мировая статистика - „Вопросы экономики"; 1996, №10, გვ.125-136; Бруно М. Глубокие кризисы и реформа „Вопросы экономики", 1997, №2, გვ.4-29; Илларионов А. Закономерности мировой инфляции - „Вопросы экономики", 1997, №2, გვ.30-57; Гайдар Е. Детские болезни постсоциализма - „Вопросы экономики", 1997, №4, გვ.4-25; Фишер С., Сахан Р., Вег К.А. Стабилизация и рост в переходных экономиках: первые уроки - „Вопросы экономики", 1997, №5, გვ.19-39; Попов В. Динамика производства при переходе к рынку - „Вопросы экономики", 1998, №7, გვ.42-64.

სისა და ბიუჯეტის შემოსავლების ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქტში, მოსახლეობის ცხოვრების დონე, გავრცელდა არგადახდების პრაქტიკა, სიმძლავრეების დაუტვირთაობა, უმუშევრობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. 1995-1997 წლებში ეკონომიკური ზრდის მთავარი ფაქტორი იყო ინფლაციის დაცემა, სავალუტო კურსის სტაბილურობა, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, ერთობლივი მოთხოვნის ზრდა, საბაზრო და სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირების გაუმჯობესება, მაგრამ 1998 წლის მეორე ნახევრიდან ვითარება იცვლება. საქმე ის არის, რომ 1995-1997 წლებში, მიუხედავად ეკონომიკური ზრდით გამოწვეული ხელსაყრელი პირობებისა, სახელმწიფომ ვერ შეძლო სერიოზული სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება, რაც სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება. იგულისხმება, პირველ რიგში, საგადასახადო სისტემის სრულყოფა, საგადასახადო ტვირთის შემცირება, გადასახადების აკრეფის სერიოზული გაუმჯობესება, საწარმოების რესტრუქტურიზაცია, კონკურენტული ბაზრების ჩამოყალიბება, ცალკეულ დარგებში რეფორმების გატარება, მათ შორის ენერგეტიკის სფეროში, ბიზნესის განვითარებისთვის სამართლებრივი ბაზის შექმნა, ინვესტიციური გარემოს უზრუნველყოფა, სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანობის ამაღლება, კორუფციისა და მასშტაბური კონტრაბანდის აღმოფხვრა. რეფორმების შეფერხებას, ინსტიტუციური გარდაქმნების გადამწყვეტი მნიშვნელობის გაუთვითცნობიერებლობასა და უგულებელყოფას თან დაერთო 1997-1998 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისის, კერძოდ, რუსეთში არსებული კრიზისის სერიოზული უარყოფითი მოქმედება საქართველოს ეკონომიკაზე, რის გამოც მნიშვნელოვნად შემცირდა რუსეთში ექსპორტის შესაძლებლობანი და, შესაბამისად, სავალუტო შემოსავლები. შედეგად, 1998 წლის ბოლოს მოხდა ლარის მკვეთრი დევალვაცია, რამაც იმავდროულად მოსახლეობის ცხოვრების დონისა და შემოსავლების მკვეთრი დაცემა გამოიწვია. მართალია, მომდევნო პერიოდში მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის

გახორციელებით, მოხერხდა ლარის კურსის შენარჩუნება და ინფლაციის კვლავ ერთნიშნა რიცხვამდე შემცირება, მაგრამ, სამაგიეროდ, განვითარდა მწვავე ფინანსური კრიზისი ბიუჯეტის მასშტაბური დეფიციტის თანხლებით.

ამგვარად, თუ რეფორმის პირველ ეტაპზე საქართველოს ეკონომიკა ჰიპერინფლაციამ დაანგრია, მომდევნო პერიოდში ხანმოკლე გამოცოცხლების შემდეგ აღინიშნება დეპრესიული ვითარება, რაც, ძირითადად, საბიუჯეტო კრიზისის დაძლევის გადავადებით, ინსტიტუციური გარდაქმნების დაგვიანებით, სახელმწიფო ინსტიტუტების არაეფექტიანობითაა გამოწვეული. დეპრესიის, მთლიანი შიდა პროდუქტის უმნიშვნელო ზრდის ძირითადი მიზეზი არის ის, რომ ასეთ პირობებში ხდება სახელმწიფო და კერძო გასავლების ინვესტიციების იძულებითი ადაპტაცია შემოსავლების კიდევ უფრო დაბალ დონესთან. მაშასადამე, **ინსტიტუციური რეფორმების გადავადებას, ინსტიტუტების არაეფექტიანობას, მწვავე ფინანსურ კრიზისს შეუძლია ისეთივე დიდი ზიანი მოუტანოს ქვეყანას, როგორც ჰიპერინფლაციამ.**

ზემოთ აღნიშნული გვიჩვენებს, რომ **სახეზეა ეკონომიკური ზრდის წყაროების ფუნდამენტური მოშლა ინსტიტუციური, სტრუქტურული და ფაქტორული თვალსაზრისით.** მოცემული საწარმოო რესურსების პირობებში ეკონომიკური ზრდა განისაზღვრება ერთობლივი მოთხოვნით შინამეურნეობების, სახელმწიფოს, ინვესტორებისა და ექსპორტიორების მხრივ. მისი ძირითადი ელემენტია შინამეურნეობების მოთხოვნა, რომელიც ძირითადად მოსახლეობის შემოსავლებით, ხელფასით განისაზღვრება, მაგრამ მუშაკთა საშუალო ხელფასი საქართველოში უკიდურესად დაბალია. 1995-1999 წლებში იგი 13,6 ლარიდან 67,5 ლარამდე გაიზარდა. მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში 17-23%-ის ფარგლებში მერყეობს, მაშინ როდესაც განვითარებულ ქვეყნებში იგი 50-60%-ის ფარგლებშია. მაგრამ თუ მოსახლეობის მოთხოვნა ასეთნაირად არის დათრგუნული, მაშინ რომელი წყაროდან უნდა საზრდოობდეს ეკონო-

მიკა? შეიძლება მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, თუ მკვეთრად არ ამაღლდა მოსახლეობის კეთილდღეობა, ხელფასის წილი მთლიან შიდა პროდუქტში? მოსახლეობის მოთხოვნასთან ერთად დათრგუნულია სახელმწიფოს მოხმარებაც. საგადასახადო შემოსავლების წილი მთლიან შიდა პროდუქტში დაახლოებით 11%-ია, მაშინ როდესაც განვითარებულ ქვეყნებში იგი 3-4-ჯერ უფრო მაღალია, ხოლო კონსოლიდირებული ბიუჯეტის წილი - დაახლოებით 40%. ამიტომ არის, რომ საქართველოში სახელმწიფომ ჯერ კიდევ სრულად ვერ შეძლო საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი ინვესტიციებისა და საზოგადოებრივი დოვლათის უზრუნველყოფა. ეს იწვევს დამნაშავეობის ზრდას, განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის, კულტურის, სპორტის ჩამორჩენას, თავდაცვისუნარიანობის გაუარესებას. მინიმალურია კერძო ინვესტიციებიც, თუმცა წარმოება, ინფრასტრუქტურა და საბინაო მშენებლობა საჭიროებს მასშტაბურ-მოდერნიზაციასა და ახალ მშენებლობებს. ინვესტიციების წილი მთლიან შიდა პროდუქტში 1995 წლის შემდეგ მხოლოდ 8-16%-ის ფარგლებშია, დინამიკურად განვითარებულ ქვეყნებში კი იგი 2-3-ჯერ უფრო მაღალია. ეს ამიტომ, რომ მოსახლეობის სიღუხჭირის გამო ძალიან მცირეა დანაზოგების წილი მთლიან შიდა პროდუქტში - მხოლოდ 5-15%-ის ფარგლებში მერყეობს.

ასეთ პირობებში, ცხადია, გამოსავალია უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, მაგრამ არასახარბიელო ინსტიტუციური და ინვესტიციური გარემოს გამო, ზრდის ეს წყაროც ფრიად შეზღუდულია. უფრო მეტიც, ქვეყნის დაბალი კონკურენტუნარიანობის გამო საგარეო-ეკონომიკური სფერო ზრდის შემაფერხებელ ფაქტორადაც გვევლინება. საკმარისია აღინიშნოს, რომ უდიდეს მასშტაბებს მიაღწია სავაჭრო ბალანსის უარყოფითმა სალდომ და საგარეო ვალის მომსახურებამ, რის შედეგადაც ყოველწლიურად ქვეყნიდან 400-500 მლნ. დოლარი გაედინება. საჭიროა კარგად გავათვითცნობიეროთ, რომ მოხმარების, ინვესტიციების, ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსება შეიძლება მხოლოდ დანაზოგების საფუძველზე, მაგრამ მათი უდიდესი ნაწილი საზოგადოების ძალიან მცირე ფენაზე ნაწილდება ან საზღვარგარეთ გაედი-

ნება.

როგორც ჩანს, ეკონომიკურ ზრდას საქართველოში აფერხებს სტრუქტურული დისპროპორციები, ბიუჯეტის დეფიციტი, ინსტიტუციური მოუწესრიგებლობა, კონკურენციის უქონლობა, საგადასახადო და საბანკო სისტემის სისუსტე, მაგრამ მაინც **მთავარი შემაფარხებელი ფაქტორია მოსახლეობის არასაკმარისი დახმარება, შემოსავლებისა და დანაზოგების სიმცირე.** ამიტომ, აუცილებელია არა მარტო სტრუქტურული და ინსტიტუციური გარდაქმნების დაჩქარება, არამედ აგრეთვე ეკონომიკური პოლიტიკის ფისკალური და ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტების გამოყენება ერთობლივი მოთხოვნის და, შესაბამისად, ზრდის სტიმულირებისთვის, რაც მთავარია საბაზრო პირობებისადმი ეკონომიკის ნეგატიური ადაპტაციის, რეფორმების მაღალი სოციალური საზღაურის დაძლევა.

7.3. ინვესტიციური კრიზისის მიზეზები

ინვესტიციური საქმიანობა ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ჯერ ერთი, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის ინვესტიციები, მოსახლეობის შემოსავლებთან ერთად, ერთობლივი მოთხოვნის ძირითადი კომპონენტებია. მეორე, ინვესტიციები ახალი ტექნოლოგიების დასანერგად, მანქანა-დანადგარების, შესაძენად, საწარმოების მოდერნიზაციისთვის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის საწინდარია. აქედან ჩანს, რომ აუცილებელია, პირველ რიგში გავაანალიზოთ საქართველოში ღრმა ინვესტიციური კრიზისის მიზეზები და გამოვლინების ფორმები. ამის საფუძველზე უნდა დავსახოთ ინვესტიციური საქმიანობის გააქტიურების კონკრეტული ღონისძიებები.

აღნიშნული მიზეზებიდან, ჩვენი აზრით, მთავარია შემდეგი:

1. **კაპიტალური დაბანდებებისა და დაგროვების მკვეთრი შემცირება.** უწინარეს ყოვლისა, უნდა განისაზღვროს ინვესტიციური კრიზისის სიღრმე საქართველოში ეკონომიკური კრიზისის ფონზე. მოტანილი ცხრილიდან ჩანს,

რომ ინვესტიციური კრიზისი საქართველოში გაცილებით უფრო ღრმა არის, ვიდრე საერთოდ ეკონომიკური კრიზისი: მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ ყველაზე უფრო მწვავე კრიზისულ 1994 წელს შეადგინა წინაკრიზისული 1988 წლის დონის 27,8%, ხოლო კაპიტალური დაბანდებების მოცულობამ – მხოლოდ 2,8%. მართალია, მომდევნო წლებში ეს მაჩვენებლები იზრდებოდა, მაგრამ მაინც უმნიშვნელოდ და 1999 წ. შეადგინა, შესაბამისად, 37,6 და 5,7%. აქედან ჩანს, თუ რაოდენ ღრმა არის ინვესტიციური კრიზისი საქართველოში და რატომ ვერ ხერხდება დღემდე მთლიანი შიდა პროდუქტის წინაკრიზისული დონის მიღწევა. აღნიშნულ პერიოდში ინვესტიციების შემცირება 6,5-ჯერ უსწრებდა წინ მთლიანი შიდა პროდუქტის დაცემას წინაკრი-

ცხრილი 26

ეკონომიკური და ინვესტიციური კრიზისის მაჩვენებლები საქართველოში

მაჩვენებლები	1988	1994	1995	1996	1997	1998	1999
მთლიანი შიდა პროდუქტი	100	27,8	28,7	31,9	35,5	36,5	37,6
მრეწველობის მთლიანი პროდუქცია	100	15,6	13,6	14,2	15,4	15,0	15,8
სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია	100	49,2	55,6	58,9	64,8	59,6	62,9
კაპიტალური დაბანდებები	100	2,8	2,9	3,4	6,3	13,4	5,7

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ზისულ დონესთან შედარებით.

დამაფიქრებელია ისიც, რომ ძირითად კაპიტალში ინვესტიციების დიდი ნაწილი უცხოურ ინვესტიციებზე მოდის. 1995-1999 წლებში სულ საქართველოში გახორციელდა 1347 მლნ. ლარის მოცულობის ინვესტიცია, მათ შორის 60,9% უცხოური ინვესტიციების სახით.

ბოლო წლებში შედარებით სწრაფად იზრდება ინვესტიციები მომსახურების სფეროში, რის გამოც საწარმოო სფეროში ინვესტიციების წილი ჯამური ინვესტიციების მოცულობაში 1999 წელს 53%-მდე შემცირდა. საწარმოო ინვეს-

ტიციებში იზრდება სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის წილი და მცირდება ინვესტიციების წილი გადამმუშავებელ მრეწველობაში, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობაში. ამ ტენდენციის უარყოფითი ზემოქმედება გრძელვადიან ხასიათს ატარებს, რადგანაც ინვესტიციური კომპლექსის განუვითარებლობა უარყოფითად იმოქმედებს საერთოდ, ქვეყნის განვითარებაზე მომავალში. ამას ემატება ის, რომ მთლიანი დაგროვებისა და მთლიანი ინვესტიციების წილი მთლიან შიდა პროდუქტში

ცხრილი 27

ძირითად კაპიტალში ინვესტიციების სტრუქტურა

წლები	ინვესტიციები ძირითად კაპიტალში						
	სულ მლნ ლარი	საწარმოო სფეროში		არასაწარმოო სფეროში		უცხოური ინვესტიციები	
		მლნ ლარი	%	მლნ ლარი	%	მლნ ლარი	%
1995	127	78	61,4	49	38,6	43	33,9
1996	170	109	64,1	61	35,9	86	50,6
1997	266	208	78,2	58	21,8	180	67,7
1998	481	410	85,2	71	14,8	378	78,6
1999	313	238	53,0	75	47,0	134	42,7
ჯამი	1347	1033	76,7	314	23,3	821	60,9

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

გაცილებით უფრო მცირეა, ვიდრე ამას ქვეყნის სწრაფი განვითარების ინტერესები მოითხოვს ან სხვა დინამიკურად განვითარებულ ქვეყნებშია: 1999 წლის მონაცემებით, ისინი, შესაბამისად, 21%-სა და 18%-ს შეადგენდნენ. დაგროვების ზრდა კი უშუალოდ მოსახლეობის ფულადი დანაზოგების ზრდაზეა დამოკიდებული, რაც კიდევ ერთხელ ააშკარავებს რეფორმების სოციალური ორიენტაციის გაძლიერების აუცილებლობას საქართველოში;

2. **რეფორმების შედეგები ინვესტიციურ სფეროში.** ინვესტიციური კრიზისი გამოწვეულია, პირველ რიგში, ძირეული ცვლილებებით კაპიტალური მშენებლობის სფეროში ეკონომიკური ტრანსფორმაციის პირობებში. რეფორმამდე ინვესტიციური საქმიანობა ხორციელდებოდა დირექ-

ტიული ხუთწლიანი გეგმის ფარგლებში. მისი დაფინანსება, მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა ხდებოდა ცენტრალიზებულად, საკავშირო და რესპუბლიკური დანიშნულების საწარმოების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის კონკრეტული ნუსხის მიხედვით, მაგრამ რეფორმამ გამოიწვია ინვესტიციების მართვის დეცენტრალიზაცია, მისი დირექტიული დაგეგმვის, დაფინანსებისა და მართვის სისტემის ლიკვიდაცია. შედეგად, ინვესტიციური საქმიანობის განხორციელება ცალკეული სამეურნეო სუბიექტების ფუნქცია გახდა, ხოლო სახელმწიფოსა და საწარმოების ფინანსური უძლურების გამო, სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების მოცულობა თანდათან მინიმუმამდე დაეცა. მსხვილი სამშენებლო ორგანიზაციები რეფორმამდელ პერიოდში ფუნქციონირებდნენ, მშენებლობა კი ხორციელდებოდა სპეციალიზებული სამინისტროების მიერ. რეფორმამ გამოიწვია ასეთი სამინისტროების ლიკვიდაცია და სამშენებლო ორგანიზაციების დანაწევრება. მათი დიდი უმრავლესობა არარენტაბელური ან მცირერენტაბელური აღმოჩნდა.

კაპიტალური დაბანდებების მკვეთრი შემცირების შედეგად, 1993 წლიდან, ფაქტობრივად, შეწყდა ძირითადი კაპიტალის ზრდა. მრავალ დარგში ინვესტიციები არასაკმარისია მარტივი კვლავწარმოებისთვისაც კი. გაძლიერდა ძირითადი კაპიტალის ხანდაზმულობა, შემცირდა მათი ტექნიკური დონე. შენელდა მოძველებული და არაეფექტიანი კაპიტალის ექსპლუატაციიდან გამოსვლის ტემპი, მათი განახლება მხოლოდ იშვიათად თუ ხდება, ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა საწარმოო სიმძლავრეების მასშტაბური დაუტვირთაობა და მათი ჯართად გაყიდვის პროცესი. ყოველივე ეს აფერხებს წარმოების სტრუქტურულ სრულყოფასა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებას.

ინვესტიციების მოცულობის შემცირების ძირითად ფაქტორად, მათი დაფინანსების წყაროების, მრეწველობისა და სხვა დარგების ინვესტიციური დაკვეთის შემცირება მოგვევლინა. იგულისხმება როგორც შიდა, ასევე საკავშირო დაფინანსების წყაროები და დაკვეთები, რადგანაც საქართვე-

ლოს ინვესტიციური კომპლექსი საკავშირო ინვესტიციური კომპლექსის ორგანული ნაწილი იყო. საინვესტიციო კომ-პლექსში წარმოების ფაქტორების მიწოდებამ გადააჭარბა გა-დახდისუნარიან მოთხოვნას, რადგანაც ობიექტების მშენებ-ლობა თითქმის შეწყდა და მისი საწარმოების დიდი ნაწილი მანქანათმშენებლობის, მეტალურგიის, საკონსტრუქტორო მასალების, მშენებლობის დარგებში ან გაჩერდა, ან ძალიან მცირე სიმძლავრით მოქმედებს.

ბუნებრივია, ერთდროულად გაუარესდა ინვესტიციური საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებლებიც - შრომის მწარ-მოებლურობისა და კაპიტალუკუგების დონე ინვესტიციურ კომპლექსში.

როგორც ჩანს, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლამ ინ-ვესტიციური საქმიანობა მკვეთრად გააუარესა. ამის მთავა-რი მიზეზია რეფორმის სტრატეგიის არასრულყოფილება. მასში გათვალისწინებული არ იყო საბაზრო გარდაქმნების რეალური შედეგები ინვესტიციურ კომპლექსში და კონკრე-ტული ტრანსფორმაციული ღონისძიებების არაადეკვატუ-რობა ეკონომიკური ზრდის მოთხოვნების მიმართ;

3. საოჯახო მეურნეობებისა და საწარმოს ფინანსე-ბის გაუარესება. ეროვნულ მეურნეობრიობაში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ენიჭება საოჯახო მეურნეობებისა და სა-წარმოების ფინანსებს.[71]

საოჯახო მეურნეობები დამოუკიდებლად განკარგავენ ფუ-ლად შემოსავალს, მათ გამოყენებასა და დაზოგვას, ღებუ-ლობენ გადაწყვეტილებებს მათი საბანკო ანგარიშებზე შე-ნახვის ან ბიზნესში დაბანდების შესახებ. ამიტომ, ეს შემო-სავლები ინვესტიციების დაფინანსების ერთ-ერთი უმნიშ-ვნელოვანესი წყაროა. ასევე, მნიშვნელოვანი წყაროა საწარ-მოების ფინანსები, კერძოდ, მათი მოგება. სამწუხაროდ, სა-ქართველოს მოსახლეობის შემოსავლებისა და დანაზოგების დონე რეფორმის პერიოდში მკვეთრად შემცირდა, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებს ინვესტიციური საქ-მიანობის გააქტიურებაზე. იგივე უნდა ითქვას საწარმოების შემოსავლებისა და მოგების შესახებ.

---

[71] იხ. **რ.კაკულია.** ფინანსების ზოგადი თეორია. თბილისი, 2001, გვ. 298-318.

საწარმოების დიდი უმრავლესობის ფინანსური მდგომარეობა ეკონომიკის რეფორმირების პირობებში საგრძნობლად გაუარესდა. ეს გამოვლინდა რეალური მოგების შემცირებით, საწარმოთა რენტაბელობის შემცირებით, ზარალიანი საწარმოების გადიდებით, მათი დავალიანებისა და არგადახდების ზრდით.

საწარმოების ინვესტიციურ შესაძლებლობებს განსაკუთრებით ამცირებს დაბეგვრის სიმძიმე. გადასახადების გადახდის შემდეგ, საწარმოებს რჩებათ ისეთი მოგება, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, არასაკმარისია აქტიური ინვესტიციური საქმიანობის საწარმოებლად. ამას ემატება საწარმოების დავალიანება და არგადახდები. საწარმოების კრედიტორული დავალიანება არის მათ მიერ დროებით მოზიდული ფულადი რესურსები, რომელიც შეძენილი საქონლის, მომსახურების, ფინანსური აქტივების სანაცვლოდ, უკან უნდა დაუბრუნდეს ბაზრის სხვა სუბიექტებს. დავალიანების ზრდა, ფაქტობრივად, თავისებური რეაქციაა რეფორმების მკაცრ ფინანსურ-საკრედიტო პოლიტიკაზე, რომელიც საწარმოთა რეალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებს ხშირად არ ითვალისწინებს. არგადახდების გზით, საწარმოები და ბანკები რამდენადმე აკომპენსირებენ ინფლაციით გამოწვეულ ზარალს ან მოგებულიც რჩებიან, რადგანაც სახსრებს გადარიცხავენ ხოლმე მათი ნომინალური ღირებულებით შემცირებული ინფლაციის სიჩქარით გადახდის გადაცილების პერიოდში. რაც მეტია არგადახდის პერიოდი, მით მეტია ამ გზით მიღებული მოგება.

რეფორმის პერიოდისთვის დამახასიათებელია ამორტიზაციის გამოყენების დეფორმაციაც. მისი როლი ინვესტიციების დაფინანსებაში ძალიან შეიკვეცა არა მარტო იმიტომ, რომ საერთო შემოსავლების შემცირების გამო შემცირდა ამორტიზაცია, არამედ იმიტომაც, რომ ფინანსური რესურსების ქრონიკული უკმარისობისას მისი გამოყენება ხდება არადანიშნულებისამებრ, სხვა გადაუდებელი გადახდების გახორციელებისთვის.

ინვესტიციების დაფინანსებისთვის მკვეთრად შემცირებულია საბანკო კრედიტის გამოყენებაც. ეს გამოწვეულია, ძი-

რითადად, საკრედიტო რესურსების საერთო შემცირებითა და მაღალი საპროცენტო განაკვეთით;

4. **ინვესტიციების სახელმწიფო დაფინანსების შემცირება.** ასეთი შემცირება გათვალისწინებულია თვითონ რეფორმების საერთო კონცეფციით, „შოკური თერაპიით", მაგრამ აღმოჩნდა, რომ გრძელვადიან პერიოდში ასეთი პოლიტიკა ძალზე წამგებიანია და იგი შესაძლებელია, მხოლოდ მაშინ, თუ ქვეყანა სტაბილიზაციას შედარებით ხანმოკლე პერიოდში აღწევს. საქართველოს შემთხვევაში, მდგრადი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა ძალიან გახანგრძლივდა და ასეთ პირობებში ინვესტიციების სახელმწიფო დაფინანსების შეკვეცა ეკონომიკის პარალიზების ფაქტორად გვევლინება. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ინვესტიციების დაფინანსების მკვეთრი შემცირება გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით: საკუთრების განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზების ტემპით; ანტიინფლაციური პოლიტიკით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების აუცილებლობით; სახელმწიფო ინვესტიციური პროგრამების შეკვეცით. ეს იმას ნიშნავს, რომ **მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, ბიუჯეტის შემცირების ამოცანას ინვესტიციური საქმიანობის ინტენსიფიკაცია, ანუ ფაქტობრივად ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობა ეწირება, რაც მიუღებელია.** როგორც უკვე ითქვა, მრავალმა ქვეყანამ შეძლო მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა სახელმწიფო ინვესტიციების შემცირების გარეშე;

5. **პრივატიზებიდან მიღებული შემოსავლების სიმცირე.** მიჩნეული იყო, რომ საწარმოების, განსაკუთრებით, მსხვილი საწარმოების გაყიდვიდან მიღებული რესურსების ინვესტიციების სახით გამოყენება, დააჩქარებდა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. მეორე მხრივ, თვითონ პრივატიზებული საწარმოები შეძლებდნენ უფრო ეფექტიან, მომგებიან ფუნქციონირებასა და ინვესტიციების დაფინანსებისთვის დამატებითი სახსრების მოზიდვას, მაგრამ სინამდვილეში ეს იმედები სრულად არ გამართლდა. პრივატიზებული საწარმო-

ები, ისევე როგორც სახელმწიფო საწარმოები, განიცდიან ფინანსური რესურსების უკმარისობას და ამცირებენ ინვესტიციურ ხარჯებს. უფრო მეტიც, პრივატიზებული საწარმოების ფინანსური რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი გადავიდა ჩრდილოვან ეკონომიკაში ან საერთოდ, ქვეყნიდან არალეგალურად გაიტანეს. ამასთან, მთლად არ გამართლდა უცხოური ინვესტიციების მასშტაბურად შემოსვლის იმედებიც, უპირატესად, ქვეყნის ინსტიტუციური მოუწყობლობის გამო. ამიტომაც ნაკლებად იზიდავს უცხოელ ინვესტორებს.

ამგვარად, გარდამავალ პერიოდში საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებისთვის აუცილებელია ინვესტიცური კრიზისის გამომწვევი ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების აღმოფხვრა. საქართველოს უახლოესი მომავალი ამ ამოცანის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული.

7.4. ინდივიდუალური კვლავწარმოების თავისებურებანი: საწარმოთა დანახარჯები და მეწარმეობა

ნებისმიერი მეწარმეობრივი საქმიანობა წარმოების, გაცვლის, განაწილების, მოხმარების უწყვეტ განმეორებად პროცესს წარმოადგენს. ინდივიდუალური კვლავწარმოება სწორედ ასეთ სამეურნეო საქმიანობას გულისხმობს, რომლის მეშვეობითაც მეწარმის მიერ ავანსირებული ღირებულების ანაზღაურება და გადიდება ხორციელდება. მაშასადამე, ინდივიდუალური კვლავწარმოებისთვის დამახასიათებელია წარმოებისა და მიმოქცევის ერთიანობა, რადგანაც ნებისმიერ სტადიაზე მისი დარღვევა კაპიტალის ანაზღაურებას აბრკოლებს. კვლავწარმოების მიზანი არის ღირებულების, შემოსავლის გადიდება ავანსირებული კაპიტალის ნამატის სახით. ამასთან, ინდივიდუალური კვლავწარმოების გახორციელების საფუძველია საზოგადოებრივი კვლავწარმოება, მისთვის სათანადო მაკროეკონომიკური პირობების უზრუნველყოფა. საწარმოსთვის (ფირმისთვის) მთავარია არა ტექნოლოგიური ორგანიზაციის სახით კვლავწარმოება, არამედ სა-

კუთარი საბაზრო ღირებულების გადიდება, მომხმარებელთა მოთხოვნილების ადეკვატურად დაკმაყოფილების უნარის შენარჩუნებითა და ამაღლებით.

ამის მისაღწევად კი აუცილებელია საწარმოთა ქცევის ჩვევების, ტიპის ტრანსფორმაცია კომერციალიზაციისა და რესტრუქტურიზაციის გზით. რეფორმების განვლილმა პერიოდმა დაადასტურა, რომ საბაზრო ქცევის საწარმოთა ჩამოყალიბება საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. თუმცა, მისი გაცილებით უფრო ინტენსიურად და ნაყოფიერად წარმართვაც შესაძლებელია.

საბჭოთა და საბაზრო ტიპის საწარმოების მახასიათებლების შედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ მიმართულებით საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

გარდამავალ პერიოდში წარმოშობილ სიძნელეებზე საწარმომ შეიძლება უპასუხოს ქცევის შემდეგი სცენარით:

1. **ნოვატორულ–ტრანსფორმაციული სცენარით,** რომელიც გულისხმობს წარმოების დანახარჯების შემცირებას, რესტრუქტურიზაციას, ნომენკლატურის განახლებას, საბაზრო საქმიანობის აქტივიზაციას, მაგრამ მისი რეალიზაციისთვის აუცილებელია კრეატული, ანუ შემოქმედებითი ქცევა, რესურსების ძველი კომბინაციის შემოქმედებითი დაშლა და ახალი კომბინაციის შექმნა, მაღალკვალიფიციური მენეჯმენტი, მუშაკები, ფინანსური რესურსები. ამიტომ, ამ ჯგუფის საწარმოები საქართველოში, ჯერჯერობით, თითზე ჩამოსათვლელია;

2. **ადაპტაციურ–ოპორტუნისტული სცენარით,** რომელიც გულისხმობს წარმოებრივი სიმძლავრეების შენარჩუნებას, პროდუქციის სტაბილური გამოშვების მიღწევას ცვალებად პირობებთან შეგუების გზით. მისი გახორციელება აუცილებლად მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის უზრუნველყოფას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფირმები ოპორტუნისტულად იქცევიან, რაც არგადახდების, ჩრდილოვან ეკონომიკაში გადასვლის პრაქტიკით ვლინდება. საქართველოში საწარმოების დიდი ნაწილი ამ სცენარით

ცხრილი 28

საბჭოთა და საბაზრო ტიპის საწარმოების ძირითადი მახასიათებლები

მახასიათებლები	საწარმოს ტიპი	
	საბჭოთა ტიპი	საბაზრო ტიპი
1 ინსტიტუციური	სამეურნეო ადაპტაცია	ეკონომიკური მეტოქეობა
1.1. წარმატების ეკონომიკური საფუძველი	სიდიდე და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა	კონკურენტუნარიანობა და კონტროლი ბაზარზე
1.2. ორგანიზაციული სტრუქტურა	მკაცრი, იერარქიული, ორიენტირებული ავტომატიზაციაზე	მოქნილი, ორიენტირებული ტრანსაქციული ხარჯების ოპტიმიზაციაზე
1.3. საკუთრებითი ურთიერთობების რეალიზაციის ფორმა	საკუთრების ნათლად ჩამოყალიბებული უფლებების უქონლობა	საკუთრებითი უფლებების ნათლად ჩამოყალიბება, გამიჯვნა
1.4. ინტერესების სტრუქტურა	ბიუროკრატიული, უფროსისა და უმცროსის თანამდებობრივი ურთიერთობების ფარგლებში	სისტემურად ორგანული, მესაკუთრის – მმართველის – მიმწოდებლების – კლიენტების – კონკურენტების ინტერესთა დაბალანსების ფარგლებში
1.5. სოციალური ფუნქცია	სოციალური დაცვა	ადამიანური კაპიტალის, ადამიანის განვითარების ინდექსის ამაღლება
2 ფუნქციონალური	გამოშვების მოცულობის მაქსიმიზაცია რესურსების დეფიციტის პირობებში	რესურსების გამოყენების რაციონალიზაცია
2.1. საქმიანობის ხასიათი	წარმოებრივი	კომერციული
2.2. დაგეგმვის ხერხი	დირექტიული	შიდა და გარეგანი შეზღუდვების გათვალისწინების საფუძველზე
2.3. წარმოების პრიორიტეტები	გამოშვების მოცულობის ზრდა	ეფექტიანობის, მომგებიანობის ამაღლება
2.4. ფინანსური საქმიანობის წარმართვა	აღრიცხვა და კონტროლი	ფინანსური ნაკადების მართვა
2.5. მიმოქცევის სფეროს წარმართვა	რესურსებით უზრუნველყოფა	გასაღების ბაზრის დაუფლება წარმართვა
2.6. განვითარების ხასიათი	სპონტანური	სტრატეგიული
3 მმართველობითი	განსაზღვრული ამოცანების შესრულების უზრუნველყოფა	საბაზრო სიგნალებზე რეაგირების უნარი, განვითარებისთვის მზადყოფნა
3.1. ორგანიზაციის ფორმა	იერარქიული	საკუთრების უფლებების განაწილების ხასიათის მიხედვით, დემოკრატიული, მონაწილეობითი
3.2. მართვის სტილი	მბრძანებლურ-ადმინისტრაციული	მოტივაციურ-მასტიმულირებელი
3.3. მიზანი	გეგმის შესრულება	ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა

მოქმედებს, რადგანაც მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია არამყარია და ბიზნესის განვითარებისთვის ინსტიტუციური სრულყოფილი პირობების შექმნა სახელმწიფომ, ჯერჯერობით, ვერ მოახერხა;

3. **ინერტულ–მოჩვენებითი სცენარი,** რომლისთვისაც დამახასიათებელია წარმოებისა და პროდუქციის ნომენკლატურის შემცირება, რენტაბელურობის დაცემა, წარმოებრივი პროცესების მასშტაბების შეკვეცა. ასეთი საწარმოების ფინანსური მდგომარეობა თანდათან უკიდურესად უარესდება. ისინი არსებობენ მხოლოდ მომწოდებლებისთვის, მუშაკებისა და ბიუჯეტისთვის არგადახდების ხარჯზე. ამ საწარმოების რაოდენობაც ძალიან დიდია, მათგან უმრავლესობა, ფაქტობრივად, გაკოტრებულია...

ამგვარად, კრეატული ტიპის საწარმოები საქართველოში ერთეულებია მაშინ, როდესაც გაბატონებულია პასიურად ადაპტაციური ტიპის საწარმოები. ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთ პროდუქციაზე კონკურენტუნარიანი ფასები არა წარმოების ხარჯების შემცირებით, არამედ რენტაბელობის შემცირების, არგადახდების, ჩრდილოვან ეკონომიკაში გადასვლის გზით. ასეთი პასიური ადაპტაციური ტიპის საწარმოების სიმრავლე გამოწვეულია სახელმწიფოს უუნარობით, შექმნას სათანადო პირობები ბიზნესის განვითარებისთვის, აგრეთვე თვითონ საწარმოების მენეჯმენტის დაბალი კვალიფიკაციით, მათი ტექნოლოგიური ჩამორჩენილობით, აუცილებელი გარდაქმნების გასატარებლად საჭირო ფინანსური რესურსების უკმარისობით.

ინდივიდუალური კვლავწარმოების შედეგების თავისებურებანი აისახება ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა: მთლიანი შემოსავალი, ანუ გაყიდვების მოცულობა; მოგება პროდუქციის რეალიზაციიდან; საქმიანი აქტივობის მაჩვენებელი; სამეურნეო საქმიანობის შემოსავლიანობა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საგადასახადო ფაქტორის ზემოქმედებას საწარმოს საქმიანობის შედეგებზე, მაგრამ შედეგების აღრიცხვის სისტემა მოითხოვს ძირეულ გაუმჯობესებას, რადგანაც იგი, ჯერჯერობით, უპირატესად ფისკა-

ლური მიზნების გახორციელებას ემსახურება და საკმარისად ვერ ასახავს მეწარმოების საბაზრო პრინციპებს. მაგალითად, დამახასიათებელი გახდა ფაქტორული შემოსავლების დეფორმირება. დაქირავებული მუშაკი ხშირად მხოლოდ ხელფასს იღებს, მაშინ როდესაც საწარმოს ხელმძღვანელები იღებენ ყველა ფაქტორულ შემოსავალს: მოგებას, რენტას და სამეწარმეო შემოსავალს – მის გარდაქმნილ ფორმაში. ეს უკანასკნელი იმით გამოიხატება, რომ გადასახადების გადახდის თავიდან აცილების მიზნით საწარმოები ცდილობენ ნულოვანი მოგების მიღებას. ამავე დროს ფაქტორულმა შემოსავლებმა, ფორმალურად, მენეჯერების ხელფასის სახე მიიღო, რის გამოც, ჩვეულებრივი მუშაკების ხელფასებთან შედარებით მათი ხელფასები საოცრად მაღალია.

ინდივიდუალური კვლავწარმოების თავისებურებანი საქართველოში მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური ფაქტორებით განისაზღვრება. პირველი ჯგუფის ფაქტორებიდან უნდა დავასახელოთ: გადახდისუნარიანი მოთხოვნის მოცულობა; ინვესტიციური კლიმატი; სახელმწიფოს ინვესტიციური აქტივობა; საკრედიტო და წარმოებრივი რესურსების მიღების შესაძლებლობა. მეორე ჯგუფის ფაქტორები უშუალოდ საწარმოს თავისებურებებითაა განპირობებული: წარმოების მასშტაბები; საწარმოო ციკლის თავისებურებანი და ბრუნვის სიჩქარე; საწარმოო პოტენციალის ხარისხობრივი დონე და წარმოების დივერსიფიკაციის შესაძლებლობები; პროდუქციაზე მოთხოვნისა და მისი მიწოდების ელასტიკურობა; შიდა რესურსებით უზრუნველყოფისა და გარე რესურსებზე დამოკიდებულების დონე. ამ ორი ჯგუფის ფაქტორების ურთიერთმოქმედება განაპირობებს ინდივიდუალური კვლავწარმოების რეალური გახორციელების შესაძლებლობებს. კერძოდ, მაკროეკონომიკურმა ფაქტორებმა რეფორმის დასაწყის პერიოდში თითქმის საერთოდ მოშალა ინდივიდუალური კვლავწარმოება. მომდევნო პერიოდში მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა, მაგრამ ინდივიდუალური კვლავწარმოების პროცესში მაინც დიდი წინააღმდეგობებია. განსაკუთრებით ხელშემშლელია შემდეგი ფაქტორები:

პირველი. მოთხოვნის მკვეთრი შემცირების პირობებში, საწარმოებს უჭირთ მზა პროდუქციის გასაღება, რაც წარმოებაში ავანსირებული საშუალებების ანაზღაურებას აფერხებს. ფულადი რესურსების უქონლობა არ იძლევა წარმოების რესურსებით უწყვეტი მომარაგების შესაძლებლობას, რაც საბოლოო ანგარიშით დამატებული ღირებულების მიღებას აბრკოლებს. ეს კი საწარმოს განვითარებისთვის აუცილებლობას წარმოადგენს.

მეორე. საწარმო იძულებულია, შეამციროს სიმძლავრეები, რაც წარმოების დანახარჯების გადიდებას იწვევს. მეორე მხრივ, ახალი პროდუქციის გამოშვება, მისი ასორტიმენტის გაფართოება ბაზრის მოთხოვნებთან შეგუებისთვის, აგრეთვე, წარმოების დანახარჯების გადიდებას განაპირობებს. საწარმოო რესურსებზე ფასების ზრდასთან ერთად, ეს ხარჯების განუწყვეტელ ზრდას უწყობს ხელს, რაც, ცხადია, მოგებას ამცირებს;

მესამე. ფინანსური რესურსების უკმარისობა, საწარმოთა რესტრუქტურიზაციის აუცილებლობის პირობებში, აძლიერებს მოთხოვნას საკრედიტო რესურსებზე, მაგრამ შემოსავლებისა და დანაზოგების სიმცირის გამო, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ მეურნეობის დაკრედიტების შემცირების შედეგად, საკრედიტო რესურსების ფასი მკვეთრად იზრდება. მატერიალურ ფაქტორებზე ფასების ზრდასთან ერთად ეს, საბოლოო ანგარიშით, ინვესტიციური პროცესის მკვეთრ გაძვირებას ასტიმულირებს. ამიტომ, აღმოცენებული სიძნელეების გადალახვა აქტიური ინვესტიციური პოლიტიკის გატარებით ფრიად გართულებულია და ინდივიდუალურ კვლავწარმოებაში, ბუნებრივია, კრიზისული მოვლენები ვითარდება.

აღნიშნული ვითარების დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ ეფექტიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარებით, სადაც პრიორიტეტი ინვესტიციურ პოლიტიკას უნდა მიენიჭოს. აუცილებელია ინვესტიციურ პროცესში სახელმწიფოს მონაწილეობის შემცირება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა შემცირდეს მისი, როგორც ინვესტიციური კლიმატის განმაპირობებელი ფაქტორის როლი. სახელმწიფო ვალდე-

ბულია, უზრუნველყოს ასეთი კლიმატი ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისთვის.

აღნიშნულიდან ჩანს, რომ ინდივიდუალური კვლავწარმოების კრიზისი საქართველოში გამოწვეულია, უწინარეს ყოვლისა, შემდეგი მიზეზებით: საწარმოების ფინანსური მდგომარეობის გაუარესებით, რადგანაც ფასების ზრდა წარმოებრივ რესურსებზე, უმეტეს შემთხვევაში, წინ უსწრებს ფასების ზრდას მზა პროდუქციაზე, ხოლო გასაღების სიძნელეები იწვევს კრედიტორული დავალიანების სწრაფ ზრდასა და საწარმოთა ფინანსური მდგრადობის დაცემას. ამას ემატება მაღალი საგადასახადო ტვირთი, რომელიც წლების განმავლობაში გრძელდება; საწარმოების კვლავწარმოებითი წყაროების მოშლით, რაც საკუთარი საბრუნავი საშუალებების უკმარისობის გამო, გამოწვეულია ამორტიზაციის სახსრების გამოყენებით. შეიქმნა დახშული წრის მსგავსი სიტუაცია – პროდუქციის წარმოებისა და გასაღების შემცირება იწვევს ფინანსური რესურსების უკმარისობას. ეს უკანასკნელი – საწარმოო აპარატის განახლებისა და გადადების შეუძლებლობას, ეს უკანასკნელი – კვლავ პროდუქციის წარმოებისა და გასაღების შემცირებას, არგადახდების გავრცელებით ბარტერული ოპერაციების, ურთიერთჩათვლებისა და ფინანსური თამასუქების საფუძველზე; ინვესტიციური წყაროების კრიზისით, რასაც ხელს უწყობს საბანკო კრედიტზე მაღალი პროცენტი, საკრედიტო ბაზრის მცირე მოცულობა, ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის განუვითარებლობა, ბაზრის არასტაბილურობა და არაპროგნოზირებადობა, უცხოური კრედიტების, ინვესტიციების მოზიდვის მცირე შესაძლებლობები.

ამგვარად, საწარმოების სტრუქტურული გარდაქმნა, საწარმოო აპარატისა და პროდუქციის განახლება, უდავოდ, გადაუდებელი ამოცანაა, მაგრამ ფინანსური რესურსების უქონლობის გამო ვერ ხერხდება ამ გარდაქმნების გახორციელება. ამ პრობლემის გადაწყვეტა სახელმწიფოს ეკონომიკური და ინვესტიციური პოლიტიკის სრულყოფას მოითხოვს.

თავი 8. საფინანსო-საკრედიტო სისტემის ჩამოყალიბება

8.1. ფინანსური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებანი

ფინანსური სფეროს განვითარება ფინანსური სისტემის ჩამოყალიბებასთან ერთად ფინანსების მართვასაც გულისხმობს, რომელიც კონკრეტული საფინანსო-საგადასახადო პოლიტიკის მეშვეობით ხორციელდება. ამ უკანასკნელის ძირითადი მიმართულებანია: სახელმწიფოს საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავება და გატარება; არასაბიუჯეტო ფონდების ფუნქციონირება; საწარმოთა ფინანსების განვითარება; ფინანსური ბაზრების ფუნქციონირება.[72] ამასთან, ფინანსური პოლიტიკის თავისებურებანი ქვეყნის განვითარების მოცემული ეტაპით განისაზღვრება. ამიტომ, მიზანშეწონილია იგი საქართველოში მიმდინარე რეფორმების ცალკეული ეტაპების ფონზე განვიხილოთ.

1992-1995 წლებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები საფინანსო-საბიუჯეტო სფეროს მდგომარეობით ყველაზე უფრო სრულად აისახა. კერძოდ. 1992 წლიდან ქვეყანაში დაწყებულმა საომარმა კონფლიქტებმა მძიმე გავლენა იქონია ეკონომიკასა და ფინანსებზე. გაიზარდა სახელმწიფო ხარჯები, ბიუჯეტის დეფიციტი, მოიშალა სახელმწიფო შემოსავლების სისტემა. სახელმწიფო შემოსავლების წილი მთლიან შიდა პროდუქტში 1991 წელს 30%-დან 1994 წელს 4,2%-მდე შემცირდა, ხოლო საგადასახადო შემოსავლების წილმა 1994 წლის დასაწყისისთვის მხოლოდ 2% შეადგინა. ამიტომ ხელისუფლება იძულებული იყო, ბიუჯეტის დეფიციტი ემისიური კრედიტებით დაეფინანსებინა. უკვე 1993 წელს ბიუჯეტის დეფიციტმა მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 34%-ს გადააჭარბა და მთლიანად ემისიური კრედიტით დაიფარა. ასეთივე წესით დაფინანსდა 1994 წლის ბიუჯეტი. ამასთან ერ-

---

[72] იხ.**რ.კაკულია**. ფინანსების ზოგადი თეორია. თბილისი, 1997.

თად, 1994 წლის მეორე ნახევრამდე ეროვნული ბანკის მიერ, ყოველგვარი გაანგარიშებისა და რესურსების გარეშე, სხვადასხვა ორგანიზაციაზე დიდი ოდენობით სესხების გაცემამ მოშალა საფინანსო-საკრედიტო სისტემა. ამ პერიოდში, ჰიპერინფლაციაც, ძირითადად, ამავე მიზეზებით იყო გამოწვეული. თუმცა, მას სახელმწიფო ბიუჯეტის არარაციონალურმა გამოყენებამაც შეუწყო ხელი. მაგალითად, ფასების ლიბერალიზაციის დაგვიანებითა და რეალურთან შედარებით, დაბალი ფასების შენარჩუნებით, ენერგორესურსებსა და პურზე ხდებოდა წარმოების დიდი მოცულობით სუბსიდირება. 1993 წლის 57%-თან შედარებით, 1994 წლის პირველი ნახევრისთვის სუბსიდირების მოცულობა ბიუჯეტის ხარჯების საერთო მოცულობაში 60%-მდე გაიზარდა. მოსახლეობისა და სამეურნეო სუბიექტების არგადახდებიც ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, ხორბლისა და პურის ფქვილის მიხედვით, სულ უფრო იზრდებოდა. ამან, საბოლოო ანგარიშით, როგორც ამ დარგების კრიზისი, ასევე ქვეყნის საგარეო ვალების მკვეთრი ზრდა გამოიწვია.[73]

ასეთ ვითარებაში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების პროგნოზირება შეუძლებელი იყო. ამიტომ, მხოლოდ 1993 წლის პირველი და 1994 წლის მეოთხე კვარტალის ბიუჯეტების პარამეტრების დამტკიცება გახდა შესაძლებელი. დანარჩენ პერიოდში ქვეყანა, პრაქტიკულად, ბიუჯეტის გარეშე ცხოვრობდა, რაც სახელმწიფო სახსრების უყაირათო და არაეფექტიან გამოყენებას უწყობდა ხელს.

გარდამტეხი მნიშვნელობის იყო 1994 წლის მეოთხე კვარტალი, როდესაც საბიუჯეტო ხარჯების სტრუქტურის ძირეული გარდაქმნა დაიწყო და საწარმოების პირდაპირი სუბსიდირების ხარჯების წილი მკვეთრად შემცირდა. სამაგიეროდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოსახლეობის სოციალური დაცვის ხარჯები და მთავრობას მიეცა საშუალება, დაეწყო ფასების ლიბერალიზაციის შემდგომი გაღრმავების პროცესი. 1992 წლის შემდეგ, პირველად 1995 წელს გახდა

---

[73] რეფორმების პირველი შედეგები. თბილისი, 1998, გვ.13-15.

შესაძლებელი წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცება. 1995 წელს, წინა წელთან შედარებით, ბიუჯეტის დეფიციტის ხვედრითი წონა მთლიან შიდა პროდუქტში თითქმის 3-ჯერ შემცირდა. აიკრძალა მისი ემისიური დაკრედიტება და ინფლაციის ტემპიც მნიშვნელოვნად შემცირდა. რეფორმის პირველი ეტაპის მაკროეკონომიკური პარამეტრები, მკაცრი საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკის გახორციელების საფუძველზე, ძირითადად, მიღწეულიყო.

ამგვარად, რეფორმების საწყის ეტაპზე დამახასიათებელი იყო ლიბერალური საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა წარმოების ზრდის სტიმულირების მიზნით, მაგრამ, სინამდვილეში, წარმოებრივი სექტორი პარალიზებული აღმოჩნდა პოლიტიკური არასტაბილურობის, წარმოებრივი კავშირების წყვეტისა და ჰიპერინფლაციის განვითარების შედეგად. 1994-1995 წლებში ვითარება თანდათან დადებითი ტენდენციებით იცვლება, მკაცრი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის გახორციელებაზე გადასვლასთან დაკავშირებით. დადებითი ტენდენციები, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური ზრდის განახლებით გამოიხატა.

ცხრილი 29

სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების დინამიკა

მაჩვენებლები	1996	1997	1998	1999	2000	2001 გეგმა
1. მთლიანი შიდა პროდუქტი (მლნ. ლარი)	3768	4505	4795	5594	5825	7023
სულ - %	100	100	100	100	100	100
2. სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლები, მლნ. ლარი	518,1	593,2	621,9	639,4	686,1	839,7
პროცენტულად მშპ-სთან	13,8	13,2	13,0	11,5	11,8	12,0
3. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები, მლნ. ლარი	643	776,8	797,3	958	979,0	1117,3
პროცენტულად მშპ-სთან	17,1	17,2	16,6	17,1	16,8	16,0
4. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, მლნ. ლარი	124,9	183,6	175,4	318,6	292,9	277,6
პროცენტულად მშპ-სთან	3,3	4,0	3,6	5,6	5,0	4,0

* 2000-2001 წ.წ. კაპიტალური შემოსავალი წარმოადგენს დეფიციტის დაფინანსების წყაროს და არ არის შეტანილი მთლიან შემოსავლებში.

წყარო: საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემები

(მომდევნო ეტაპზე საგადასახადო-საბიუჯეტო მოწყობის სრულყოფამ გავლენა მოახდინა სახელმწიო ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზაციის დონეზე, საბიუჯეტო ხარჯების კონტროლის გაძლიერებასა და აღრიცხვა-ანგარიშების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.)

ცხრილიდან ჩანს, რომ 1996-2000 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის წილი მთლიან შიდა პროდუქტში ხასიათდებოდა: 1996 წელს 3,3%-ს, ხოლო 2000 წელს დაახლოებით 5,0%-ს შეადგენდა. ეს იმიტომ, რომ ამ პერიოდში ხარჯების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად უსწრებს მთლიანი შიდა პროდუქტისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის ტემპს, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო ხარჯების ზრდა ბიუჯეტის დეფიციტის ზრდის მიზეზად ვერ გამოდგება, რადგანაც ეს ხარჯები ისედაც მიზერულია და სოციალური სფეროს, ჯანმრთელობის, განათლების, მეცნიერების, თავდაცვის ინფრასტრუქტურების განვითარების მინიმალურ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს.

ცხრილი 30

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების დინამიკა

მაჩვენებლები	1996	1997	1998	1999	2000	2001 წ. პროექტი
შემოსავლები მლნ ლარი	518,1	593,2	621,8	650,2	597,7	919,7
მლნ აშშ დოლარი	411,2	456,3	4444,1	321,9	300,3	459,9

წყარო: საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემები

მაშასადამე, საბიუჯეტო განვითარების მთავარი პრობლემა არის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპის დაჩქარება, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის ტემპისა და მასშტაბების გადიდება, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების გადაჭარბებამ შემოსავლებზე 1996 წელს შეადგინა დაახლოებით 24%, 1997 წელს - 31%, 1998 წ. - 28%, 1999 წ. - 50%, 2000 წ. - 43%, 2001 წლისათვის მოსალოდნელია 33%. შედეგად, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი კვლავ მაღალია. ამიტომ, სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების მობილიზება ქვეყნის გან-

ცხრილი 31

1996–2000 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები

შემოსავლები	1996		1997		1998		1999		2000	
	ლარი	დოლარ.	ლარი	დოლარ.	ლარი	დოლარ.	ლარი	დოლარ.	დოლარ.	ლარი
შემოსავალი და გრანტები	518,1	411,2	593,2	456,3	621,8	444,1	650,2	321,9		640,3
1. სულ შემოსავალი	446,6	354,4	568,8	437,5	591,4	422,4	600,8	297,4	300,3	625,9
1.1. სულ საგადასახადო შემოსავალი	295,0	234,1	352,7	271,3	330,0	235,7	414,4	205,1	225,3	437,9
1.1.1. საშემოსავლო	43,8	34,8	28,7	22,1	39,2	28,0	44,9	22,2	15,8	31,3
1.1.2. მოგების	33,1	26,3	13,5	10,4	20,4	14,6	20,2	10,0	10,6	20,9
1.1.3. დღგ	124,3	98,7	199,9	153,8	184,6	131,9	212,7	105,3	133,1	254,9
საგადასახადო ინსპექციიდან	103,2	81,9	130,0	100,0	104,5	74,6	124,4	61,6	79,5	148,3
საბაჟო დეპარტამენტიდან	21,1	16,7	69,8	53,7	80,1	57,2	88,3	43,7	53,5	106,6
1.1.4. აქციზი	13,7	10,9	49,1	37,8	27,6	19,7	110,7	54,8	43,6	86,6
საგადასახადო ინსპექციიდან	3,4	2,7	4,8	3,7	3,3	2,4	13,5	6,7	5,3	10,4
საბაჟო დეპარტამენტიდან	10,3	8,2	44,3	34,1	24,3	17,4	97,2	48,1	38,3	76,3
1.1.5. საბაჟო გადასახადი	20,3	16,1	58,7	45,2	58,1	41,5	25,9	12,8	22,1	43,9
1.1.6. სხვა გადასახადები	59,6	47,3	2,6	2,0	-	-	-	-		-
1.2. არასაგადასახადო შემოსავალი	32,1	25,5	101,2	77,8	71,6	51,1	20,9	10,31		31,6
1.3. კაპიტალური შემოსავალი	20,9	16,6	13,1	10,1	47,0	33,6	21,0	10,4	-	?
1.4. სახელმწიფო სპეცფონდების შემოსავალი	98,5	78,2	101,7	78,2	142,7	101,9	144,5	71,5	75,0	156,5
სოციუზრუნველყოფის ერთიანი ფონდი	69,3	55,0	71,6	55,1	105,8	75,6	107,3	53,1	70,3	127,5
დასაქმების ერთიანი ფონდი	2,2	1,7	3,1	2,4	3,2	2,3	3,6	1,8	24,8	4,5
საგზაო ფონდი	19,6	15,6	26,9	20,7	33,6	24,0	33,7	16,7		24,5
2. გრანტები და ტრანსფერტები	71,5	56,7	24,4	18,8	30,4	21,7	49,3	24,4	-	14,3
B. საგადასახადო დეპარტამენტი	243,1	192,9	179,6	138,2	167,4	119,6	202,9	100,4	111,3	210.9
C. საბაჟო დეპარტამენტი	51,7	41,0	172,8	132,9	162,5	116,1	211,5	104,7	114,0	226,9

წყარო: საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემები; საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიში.

ვითარების ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად რჩება.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების დინამიკა არამყარია. 1996-1998 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი შემოსავლები (გრანტების ჩათვლით) იზრდებოდა, მაგრამ 1999 წელს, წინა წელთან შედარებით, ზრდა არ ყოფილა, თუ 1999 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელში არ ჩავთვლით ინვალიდთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიღებულ შემოსავალს 22 მლნ. ლარის ოდენობით. 2000 წელს ფაქტობრივმა შემოსავალმა 597,7 მლნ. ლარი შეადგინა, რაც ოდნავ აღემატება 1997 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, მაგრამ კიდევ უფრო ცუდ სურათს

ცხრილი 32

1997-2001 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების სტრუქტურა %-ში

მაჩვენებლები	1997 წ.	1998 წ.	1999 წ.	2000 წ. გეგმა	2001 წ. პროექტი
შემოსავალი და გრანტები	100	100	100	100	100
1. სულ შემოსავალი	95,9	95,1	92,4	94,7	91,6
1.1. სულ საგადასახადო შემოსავალი	59,5	53,1	63,7	65,9	62,3
1.1.1. სამემოსავლო	4,8	6,3	6,9	4,7	2,0
1.1.2. მოგების	2,3	3,3	3,1	3,0	1,5
1.1.3. დღგ	33,7	29,7	32,7	38,6	38,2
საგადასახადო ინსპექციიდან	21,9	16,8	19,1	22,8	22,9
საბაჟო დეპარტამენტიდან	11,8	12,9	13,6	15,8	15,3
1.1.4. აქციზი	8,3	4,4	17,0	14,2	15,3
საგადასახადო ინსპექციიდან	0,8	0,5	2,1	1,6	1,7
საბაჟო დეპარტამენტიდან	7,5	3,9	14,9	12,5	13,6
1.1.5. საბაჟო გადასახადი	9,9	9,3	4,0	5,5	5,4
1.1.6. სხვა გადასახადები	0,4				
1.2. არასაგადასახადო შემოსავალი	17,1	11,6	3,2	3,9	5,8
1.3. კაპიტალური შემოსავალი	2,2	7,6	3,2	-	-
1.4. სახ.სპეციფონდების შემოსავალი	17,1	22,9	22,2	24,9	23,0
სოციუზრუნველყოფის ერთიანი ფონდი	12,1	17,0	16,5	19,5	18,0
დასაქმების ერთიანი ფონდი	0,5	0,5	0,6	0,7	0,5
საგზაო ფონდი	4,5	5,4	5,2	4,7	5,0
2. გრანტები და ტრანსფერტები	4,1	4,9	7,0	5,3	8,4

წყარო: საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემები.

იძლევა საბიუჯეტო შემოსავლების დინამიკა აშშ დოლარებში გაანგარიშებისას. თუ 1997 წელს მაქსიმალური მთლიანი შემოსავლების დონე 456,3 მლნ. აშშ დოლარის ტოლი იყო, 1998 წ. იგი შემცირდა 444,1 მლნ. დოლარამდე, 1999 წელს - 321,9, ხოლო 2000 წ. - 300,3 მლნ. დოლარამდე. მაშასადამე, სახელმწიფო ბიუჯეტის რეალური შემოსავლები (დოლარებში) 1997-2000 წლებში 156 მლნ. დოლარით შემცირდა.

ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისთვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი ტენდენციები (ცხრილი 31 და 32).

პირველი. საკუთარი შემოსავლების წილის შემცირებისა და გრანტების წილის გადიდების ტენდენცია, რაც მეურნეობის სისუსტეზე მიუთითებს. ძლიერი ეკონომიკისათვის დამახასიათებელია საწინააღმდეგო ტენდენცია.

მეორე. აღინიშნება საგადასახადო შემოსავლებისა და სპეცფონდების შემოსავლების წილის ზრდა საკუთარ შემოსავლებში 1997-2000 წლებში. პირველი გაიზარდა 62,5-დან 75,0%-მდე, ხოლო მეორე - 17,9-დან 24,9%-მდე.

მესამე. სახეზეა მნიშვნელოვანი განსხვავება ცალკეული გადასახადების წილის მიხედვით სახელმწიფოს მთლიან შემოსავლებში. ჩვენთან საშემოსავლო გადასახადების წილი სახელმწიფოს მთლიან შემოსავლებში საშუალოდ მხოლოდ 5%-ია, რუსეთში - დაახლოებით 8%, განვითარებულ ქვეყნებში - 30-დან 50%-მდე. მოგებაზე გადასახადი ჩვენთან სახელმწიფოს მთლიანი შემოსავლების მხოლოდ 3%-ია, რუსეთში - 13%, აშშ-ში - 8,7%. სოციალური დაზღვევის მოსაკრებლები ჩვენთან სახელმწიფოს მთლიანი შემოსავლების 20%-იც არ არის, რუსეთში 25%-ია, აშშ-ში - 37%. სამაგიეროდ, ჩვენთან ისევე, როგორც რუსეთსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ძალიან მაღალია არაპირდაპირი გადასახადების წილი, განსაკუთრებით დამატებული ღირებულების, აქციზებისა და საბაჟო გადასახადების, რომლებიც ერთად სახელმწიფოს მთლიანი შემოსავლების, დაახლოებით, 58%-ს შეადგენენ.

ცხრილი 33

საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების მონაცემები

მაჩვენებლები	1996	1997	1998	1999	2000
გეგმა, მლნ. ლარი	562,8	680,4	752,5	797,5	702,0
ფაქტობრივი შესრულება, მლნ. ლარი	518,1	593,2	538,1	678,9	707,4
სხვაობა, მლნ. ლარი	-44,7	-87,2	-214,1	-116,6	5,2
გეგმის შესრულება, %	92,0	87,2	71,5	85,1	100,8

წყარო: საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემები

მართალია, ეს გადასახადები, თეორიულად, მომხმარებლის გადასახადია და ფასში შედის, მაგრამ, პრაქტიკულად, მას საწარმოები იხდიან მანამდე, სანამ პროდუქციის რეალიზაციის საფასურს მომხმარებელი გადაიხდის. ამიტომ საწარმოები ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან, რადგანაც მათ, ფაქტობრივად არ რჩებათ საბრუნავი საშუალებანი, ვერ აფართოებენ წარმოებას და შედეგად, იზრდება გადასახადების გადაუხდელობა. კერძოდ, 2000 წელს საგადასახადო შემოსავლების გეგმა იყო 453 236 ათასი ლარი, ფაქტობრივი შესრულება - 448 434 ათასი ლარი, მათ შორის: საშემოსავლო გადასახადის გეგმა - 32 031, ფაქტობრივი შესრულება - 31 452, მოგების გადასახადის გეგმა - 20 300, ფაქტობრივი შესრულება - 21 237, დღგ-ს გეგმა - 265 530, ფაქტობრივი შესრულება - 264 957, აქციზის გეგმა - 97 714, ფაქტობრივი შესრულება - 86 798, საბაჟო გადასახადის გეგმა - 37 661, ფაქტობრივი შესრულება - 43 990, სახელმწიფო სპეციალურ ფონდებში შემოსავლების გეგმა - 156 100, ფაქტობრივი შესრულება - 149 267, თამბაქოს ნაწარმის იმპორტიდან შემოსავლების გეგმა - 57 800, ფაქტობრივი შესრულება - 77 770 ათასი ლარი. 2001 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბიუჯეტის ვადაგადაცილებულმა დავალიანებამ 542 315 800 ლარი, სახელმწიფო ფონდების ვადაგადაცილებულმა დავალიანებამ - 120 801 300 ლარი, ხოლო სულ დავალიანებამ 663 117 100 ლარი შეადგინა, რაც 65,4 მლნ. ლარით აჭარბებს 2000 წლის მთლიან სახელმწი-

ფო შემოსავლებს და 214,7 მლნ. ლარით აჭარბებს მთლიან საგადასახადო შემოსავლებს 448,4 მლნ. ლარის ოდენობით.[74] საბიუჯეტო შემოსავლების გადიდებისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას, საგადასახადო ბაზის გაფართოებას, გადასახადების სრულყოფას, „ჩრდილოვანი ეკონომიკის" ლეგალიზაციას, შემოსავლების სტრუქტურის გაუმჯობესებას, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მოწესრიგებას, საგადასახადო კონტროლის გაძლიერებას, რამაც გადასახადების მაქსიმალური ამოღება უნდა უზრუნველყოს.

ყველა ამ მიმართულებით საქმიანობა ძლიერდება, მაგრამ შედეგი მაინც არ არის დამაკმაყოფილებელი. მიმდინარეობს საგადასახადო კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა. მცირდება საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული არაეფექტიანი საგადასახადო შეღავათები. იხვეწება გადასახადების ადმინისტრირების მეთოდები, ხორციელდება გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის პროცედურების გამარტივება. ძლიერდება სანქციები ურჩი გადამხდელების მიმართ. თუ გაკოტრებაზე, 1998 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, გადაცემული იყო 113 ორგანიზაცია, 17 მლნ. ლარის თანხით, 1999 წელს გადაცემული ორგანიზაციების რიცხვმა შეადგინა 193, თანხით 25,4 მლნ. ლარი. ადმინისტრირების გაძლიერებამ, უდავოდ, შეუწყო ხელი იმას, რომ უკანასკნელი წლებისგან განსხვავებით, 2000 წელს პირველად გახდა შესაძლებელი საგადასახადო შემოსავლების წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესრულება.

წინა წლებთან შედარებით, შეინიშნება ფაქტობრივად მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების ზრდა. 2000 წელს მობილიზებული საგადასახადო შემოსავლები 28,6 მლნ. ლარით აღემატება 1999 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს და 169,3 მლნ. ლარით – 1998 წლის მაჩვენებელს. 1996-2000 წლებში საგადასახადო შემოსავლები იზრდებოდა აბსოლუ-

---

[74] იხ. ანგარიში 2000 წლის საქართველოს საგადასახადო სისტემის მუშაობის შესახებ. საქართველოს საგადასახადო შემოსავლების სამინისტრო. თბილისი, 2001, გვ.68, 95-97.

ტურად და გადასახადების სახეობების მიხედვითაც. მაგალითად, საშემოსავლო და მოგების გადასახადების დინამიკა შემდეგ სურათს იძლევა: 1998 წლის შესრულება - 139,9 მლნ. ლარი, 1999 წელს - 159,8 მლნ. ლარი, 2000 წელს - 188,5 მლნ. ლარი. მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში მათი წილი ძალიან ნელა იზრდება: 1998 წელს იგი შეადგენდა 2,7%-ს, 1999 წელს - 2,8%-ს, 2000 წელს - 3,1%-ს. დღგ-ის მოცულობა 2000 წელს 1999 წელთან შედარებით გაიზარდა 37,3 მლნ. ლარით, ხოლო 1998 წელთან შედარებით - 66,1 მლნ. ლარით, მაგრამ მისი წილი მშპ-ში დაბალია, მხოლოდ 4,7%-ია. საბაჟო გადასახადი 2000 წელს მობილიზებული იყო 10,8 მლნ. ლარით მეტი, ვიდრე 1999 წელს და 11,3 მლნ. ლარით მეტი, ვიდრე 1998 წელს.

სერიოზული პრობლემებია გადასახადების აკრეფის მხრივ ცალკეული რეგიონების მიხედვითაც. ასე მაგალითად, 2000 წლის მთლიანი საგადასახადო შემოსავლების გეგმა ვერ შეასრულეს კახეთის (94,6%), იმერეთის (92,3%), გურიის (78,1%), სამცხე-ჯავახეთის (77,6%), შიდა ქართლის (91,8%), სამეგრელოსა და ზემო სვანეთის (92,70) და ქვემო ქართლის (95,7%) რეგიონებმა. ცენტრალურ ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების გეგმური მაჩვენებლები არ შესრულდა ქვეყნის 40 ქალაქსა და რაიონში. ქ.თბილისში საგადასახა-

ცხრილი 34

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა 1997-2001 წლებში

მაჩვენებლები	1996	1997	1998	1999	2000 გეგმა	2001 პროექტი
სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები, მლნ. ლარი	771,3	776,8	798,9	904,8	979,1	1117,0
ზრდის ტემპი წინა წელთან შედარებით	100%	100,7%	102,9%	113,3%	108,2%	114,12%
სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები მლნ. დოლარი	593,3	597,5	570,7	452,4	489,55	559
ზრდის ტემპები წინა წელთან შედარებით	100%	100,7%	95,5%	79,3%	108,2%	114%

წყარო: საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემები.

დო შემოსავლების სახით 2000 წელს მობილიზებული იყო 101,8 მლნ. ლარი, ანუ გეგმის 94,3%.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დინამიკას, იგი შემდეგი ძირითადი ტენდენციებით ხასიათდება:

მთავარი ტენდენცია არის ის, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი ლარებში, მართალია, იზრდება, მაგრამ დოლარებში 1998-2000 წლებში შემცირდა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ, რეალურად, საბიუჯეტო კრიზისი გრძელდება და იგი თავისი უმნიშვნელოვანესი ფუნქციების შესრულებას ვერ ახერხებს. მეორე მხრივ, ჯერ კიდევ ვერ აღდგა 1997 წლის ხარჯების სიდიდე დოლარებში, რაც კრიზისის არა მარტო ხანგრძლივობაზე, არამედ მის დიდ სიღრმეზე მიუთითებს. ამასთან, საერთო ხარჯებში იზრდება სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯებისა და იმ ხარჯების წილი, რომლებიც არ განეკუთვნებიან ძირითად განყოფილებებს, ანუ ე.წ. სხვა ხარჯები. ფრიად დამაფიქრებელია, რომ მცირდება ისეთი სფეროების ხარჯები, როგორიც არის: თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, კულტურა, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, გარემოს დაცვა (იხ.ცხრილი 34). სურათი კიდევ უფრო მძიმეა თუ ამ ხარჯებს დოლარებში განვიხილავთ: ყველა ამ სფეროში ეს ხარჯები მკვეთრად შემცირდა.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების საერთო სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფად: მიმდინარე ხარჯები, კაპიტალური ხარჯები და დაკრედიტება დაფარვის გამოკლებით.

მიმდინარე ხარჯებში იგულისხმება ქვეყნის სამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიმდინარე საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ოპერაციები. კაპიტალური ხარჯები ითვალისწინებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითად ამოცანებს. დაკრედიტება დაფარვის გამოკლებით გულისხმობს კრედიტის მოცულობას, წლის განმავლობაში მთავრობის მიერ გაცემული სესხების დაფარვის გამოკლებით.

ცხრილი 35

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა 1996–2001 წლებში

დასახელება	1996		1997		1998		1999		2000		2001 წელი	
	ათას ლარებში	მლნ. დოლარებში	მლნ. ლარებში	მლნ. დოლარებში	მლნ. ლარებში	მლნ. დოლარებში	მლნ. ლარებში	მლნ. დოლარებში	მლნ. ლარებში	მლნ. დოლარებში	მლნ. ლარებში	მლნ. დოლარებში
1. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება			95,8	73,7	62,8	44,87	123,48	61,7	191,3	95,6	195,5	97,7
2. თავდაცვა			67,5	51,9	56,48	40,3	35,7	17,8	27,0	13,5	39,8	19,9
3. საზ.წესრიგი და უსაფრთხოება			93,3	71,75	65,03	64,4	75,7	37,8	65,0	32,5	88,6	44,3
4. განათლება			46,3	35,6	30,4	21,7	29,8	14,6	26,4	13,2	34,3	17,1
5. ჯანდაცვა			25,6	19,7	27,29	19,5	15,7	7,8	31,5	15,7	37,9	18,9
6. სოც.დაზღვევა,და უზრუნველყოფა			189,97	146,1	216,0	154,3	246,9	123,4	267,8	133,9	266,46	133,2
7. საბინაო-კომუნალური მეურნეობა			5,79	4,4	7,32	5,2	5,1	2,5	4,28	2,1	4,8	2,4
8. კულტურა, სპორტი, რელიგია			36,08	27,7	33,0	25,6	25,0	12,5	19,0	9,5	21,01	10,5
9. ენერგეტიკა			12,0	9,1	3,2	3,0	12,5	6,2	21,15	10,6	4,5	2,3
10. სოფლის მეურნეობა			17,37	13,3	22,7	16,3	15,5	7,7	14,3	7,2	19,6	9,8
11. სამთო-მომპოვებელი მრეწველობა; გადამმუშავებელი მრეწველობა და მშენებლობა			2,67	2,0	2,00	1,4	0,76	0,4	0,47	0,23	0,9	0,45
12. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა			38,61	29,7	54,4	38,8	35,7	17,8	36,2	18,09	42,8	21,4
13. გარემოს დაცვა			3,35	2,6	12,1	8,6	2,68	1,3	1,53	0,76	3,6	1,8
14. სხვა ხარჯები			142,48	109,6	206,0	147,1	280,6	140,3	272,9	136,46	357,38	178,7
სულ	771,300	593,3	776,77	597,5	798,93	570,6	904,48	452,4	979,0	489,5	1117,3	558,6

წყარო: საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემები.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურული ძვრები ფრიად არასახარბიელო ტენდენციებით ხასიათდება: მკვეთრად მცირდება კაპიტალური ხარჯების წილი; მცირდება მიმდინარე ხარჯების წილი; მკვეთრად იზრდება დაკრედიტების წილი; მცირდება შრომის ანაზღაურების წილი; მკვეთრად იზრდება პროცენტების გადახდა; მკვეთ-

ცხრილი 38

საქართველოს 1997–2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

მაჩვენებლები	1997		1998		1999		2000 ფაქტ*		2001 გეგმა	
	მლნ. ლარი	წილი %	მლნ. ლარი	წილი %	მლნ. ლარი	წილი %	მლნ. ლარი	წილი* %	მლნ. ლარი	წილი %
1. მიმდინარე ხარჯები	681,1	87,7	721,0	90,4	758,0	83,8	724,1	80,1	921,1	82,1
1.1. მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება	67,5	8,7	70,7	8,9	72,4	8,0	65,2	6,5	79,8	7,1
1.2. დამქირავებლიდან ანარიცხები	11,6	1,5	9,7	1,2	9,4	1,0	11,6	1,2	19,2	1,7
1.3. მიელინებები	7,8	1,0	6,3	0,8	10,0	1,1	5,4	0,4	4,9	0,4
1.4. სხვა საქონელი და მომსახურება	280,2	36,1	233,7	29,3	208,9	23,1	111,5	13,4	250,0	22,3
1.5. პროცენტების გადახდა	70,1	9,0	128,1	16,1	148,6	16,4	169,8	18,3	156,0	14,0
1.6. სუბსიდიები და სხვა მიმდინარე ტრანსფერტები	243,9	31,4	272,5	34,2	308,7	34,1	334,9	37,1	365,8	32,6
2. კაპიტალური ხარჯები	80,3	10,3	40,5	5,1	20,7	2,3	13,6	1,7	10,5	0,9
2.1. მანქანა-დანადგარებისა და შენობა-ნაგებობების კაპიტალური შეკეთება			23,2	2,9	13,0	1,4	7,9	1,0		
2.2. სხვა კაპიტალური ხარჯები			17,3	2,2	7,6	0,8	5,4	0,7		0,5
3. დაკრედიტება	–	–	35,7	4,5	126,2	13,9	96,1	18,2	189,3	17,0
3.1. დაკრედიტების დაფარვის გამოკლებით	15,4	2,0	35,7	4,5	126,2	13,9	96,1	18,2	189,3	17,0
სულ	776,8	100,0	797,3	100,0	904,8	100,0	833,9	100,0	1120,8	100,0

*გეგმის მიხედვით

წყარო: საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემები, საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიში, საქართველოს კანონი „საქართველოს 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ".

რად მცირდება სხვა საქონლისა და მომსახურების წილი; იზრდება სუბსიდიებისა და სხვა მიმდინარე ტრანსფერტების წილი. ეს იმას ნიშნავს, რომ მწირი საბიუჯეტო შემოსავლები ელემენტარულ მიმდინარე მოთხოვნილებასაც კი ვერ აკმაყოფილებს, ხოლო ეკონომიკური განვითარების ამოცანა ბიუჯეტის წინაშე საერთოდ არ დგას.

ამასთან, მკვეთრად იზრდება მე-14 მუხლის ხარჯები, რომლებიც არ განეკუთვნებიან ძირითად განყოფილებებს. ამ მუხლის უმეტეს ნაწილს შეადგენს საგარეო და საშინაო ვალების მომსახურება და ტრანსფერტები ტერიტორიულ ბიუჯეტში. კერძოდ, თუ 1997 წელს ბიუჯეტის ხარჯებში ეს მუხლი მხოლოდ 18,3%-ს შეადგენდა, 1998 წელს - 25,8%-ს, 1999 წელს -31%-ს. მაშასადამე, ბოლო ხუთ წელიწადში ამ მუხლის წილი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიან მოცულობაში თითქმის გაორმაგდა. გარდა ამისა, მე-14 მუხლის მნიშვნელოვანი ნაწილი (46%) წარიმართება საგარეო და (16%) საშინაო ვალის მომსახურებაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ საგარეო ვალების მომსახურებაზე უკვე ამჟამად ბიუჯეტის ხარჯების დიდი ნაწილი მიდის და იგი თანდათან უფრო იზრდება. შედეგად, სახელმწიფოს სულ უფრო ნაკლები სახსრები რჩება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების-

ცხრილი 37

სახელმწიფო სპეციალური ფონდების ხარჯების დინამიკა (მლნ. ლარი)

№№	დასახელება	1997	1998	1999	2000 ფაქტი	2001 გეგმა
1.	სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი	130,8	146,9	162,9	167,2	216,3
2.	სახელმწიფო ფონდი დასაქმების ერთიანი	3	3,2	3,6	3,5	5,1
3.	სახელმწიფო სახელმწიფო საგზაო ფონდი	34,5	37,1	33,9	21,7	41,9
	სულ	168,3	187,2	200,4	192,4	263,3

წყარო: საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემები; საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიში.

თვის. საბიუჯეტო სახსრების სიმცირის გამო და მასშტაბური საგარეო მომსახურების გამო, მინიმალურ დონეზეც კი ვერ ფინანსდება სასიცოცხლო მნიშვნელობის სფეროები.

1999 წლის ბიუჯეტში პირველად აისახა სახელმწიფო ვალის, მათ შორის, სახელმწიფო საშინაო ვალის ზღვრული მოცულობა, რომელიც საორიენტაციო გათვლებს ეფუძნება. აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალებიდან, პირველ რიგში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად და სახელმწიფო ბიუჯეტის მოკლევადიანი საკასო სხვაობის დასაფარავად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, საქართველოს ეროვნული ბანკიდან და რეზიდენტი საკრედიტო დაწესებულებებიდან აღებული კრედიტების მომსახურება და დაფარვა. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიის შემთხვევაში მათი მომსახურება და განაღდება. დაფარვის ვადის დადგომის მიხედვით, აღნიშნული ვალდებულებების შესრულება გარდაუვალია ქვეყნებისთვის, რაგინდ მცირეც არ უნდა იყოს შემოსავლების ოდენობა.

ასეთ პირობებში ძნელდება სახელმწიფო ბიუჯეტის დაცული მუხლების მომსახურება. იმავდროულად შეზღუდულია სახელმწიფო სპეციალური ფონდების ხარჯების ზრდა. შესაბამისად, ისინი ვერ აკმაყოფილებენ ამ სფეროში არსებულ მზარდ მოთხოვნილებებს.

სოციალური უზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხარჯების 90%-ზე მეტი პენსიების ხარჯების დასაფარავადაა გათვალისწინებული. თუ რაოდენ რთულია ამ ფონდის ფუნქციონირება იქიდანაც ჩანს, რომ 2001 წლის დასაწყისისთვის ქვეყანაში არსებული მთლიანი საპენსიო დავალიანება 96,0 მლნ. ლარს, ანუ ფონდის წლიური ხარჯების დაახლოებით ნახევარს შეადგენდა. დასაქმების ერთიანი სახელმწიფო ფონდის ხარჯების მოცულობა საერთოდ მიზერულია, რის გამოც ამ ფონდით გათვალისწინებული უმუშევართა შემწეობის, მათი დროებითი დასაქმებისა და დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები, ბუნებრივია, ამ პრობლემების გადაწყვეტაზე ქმედით ზემოქმედებას ვერ ახდენს.

იგივე უნდა ითქვას საქართველოს ერთიანი სახელმწიფო საგზაო ფონდის ხარჯების მოცულობის შესახებაც. იგი გზების მოვლა-პატრონობის, შეკეთებისა და ახლის მშენებლობას ემსახურება, მაგრამ ეს სფერო ერთ-ერთი ყველაზე უფრო ჩამორჩენილია საქართველოში. გზების ხარისხი კი დიდ ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის მიმზიდველობის რეიტინგზე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე და, ხაურთოდ, ეკონომიკური აღმავლობის დინამიკაზე.

ამგვარად, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების და შესაბამისად, ხარჯების წილის ზრდა მთლიან შიდა პროდუქტში საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის ტემპისა და მასშტაბების გადიდება არის ერთადერთი რეალური გზა სოციალური დაცვის, ჯანმრთელობის, განათლების, მეცნიერების, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განვითარებისთვის.

ამისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საგადასახადო და საბაჟო სისტემის რეფორმებს, რომლებიც საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ხორციელდება. პერიოდულად მიმდინარეობს საქართველოს საგადასახადო კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანა. მისი მიზანია საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება, ბიზნესის სტიმულირება, არაეფექტიანი შეღავათების გაუქმება, გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის პროცედურების გამარტივება. იხვეწება გადასახადების ადმინისტრირებაც. შეიქმნა მსხვილ გადამხდელთა და გენერალური ინსპექციები. გადასახადების აკრეფის მიზნით, მკაცრდება კონტროლი და სანქციები ურჩ გადამხდელთა წინააღმდეგ. იზრდება სასამართლოზე გადაცემული საწარმოებიდან დაყადაღებული ქონების რეალიზაციით მიღებული ბიუჯეტის შემოსავალი, მაგრამ მაინც, მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანება დიდია. 2000 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, სახელმწიფო ფონდების ჩათვლით, იგი 356,8 მლნ. ლარს შეადგენდა. ამიტომ საგადასახადო სისტემის რეფორმა ერთ-ერთ ყველაზე

უფრო უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება.

ჩამოყალიბდა საგადასახადო დეპარტამენტისა და მისდამი დაქვემდებარებული საგადასახადო სამსახურების რეფორმის პროგრამა, რომელიც ხელმოწერილი იყო 2000 წლის 8 მარტს აშშ-ისა და საქართველოს მთავრობებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმის სახით. მის საფუძველზე მიმდინარეობს საგადასახადო სისტემის კომპიუტერიზაცია, რაც, უდავოდ, აამაღლებს საგადასახადო ადმინისტრირების ეფექტიანობას. განხორციელდა საგადასახადო დეპარტამენტის ცენტრალური აპარატისა და რეგიონული განყოფილებების სტრუქტურული რეორგანიზაცია. ჩატარდა საგადასახადო ორგანოების მოხელეთა ტესტირება.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანადგომით, საგადასახადო შემოსავლების სამინისტროში საბაჟო დეპარტამენტის უშუალო მონაწილეობით, შემუშავებულია საბაჟო დეპარტამენტის რეფორმის სტრატეგიის პროექტი, რომელიც ძალიან ნელი ტემპით ხორციელდება. 1999 წლის 2 ივლისს საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტსა და ბრიტანულ კომპანია „ინტერტეკ ტესტინგ სერვისს" („აიტიეს") შორის, „საბაჟო სისტემის რეფორმისა და საქონლის გადაზიდვამდე ინსპექტირების მომსახურების" შესახებ კონტრაქტი გაფორმდა, რომელიც ძალაში შევიდა 23 აგვისტოს 24.00 საათიდან. დადგინდა წესი, რომლის თანახმად, იმპორტიორებმა საიმპორტო საქონლის მოსალოდნელ ტრანსპორტირებამდე არანაკლებ 7 დღით ადრე „აიტიესის" ოფისს უნდა მიაწოდონ საქონლის დოკუმენტაცია და შეავსონ შემოწმების ორდერი. ამის საფუძველზე ხორციელდება საქონლის გადაზიდვამდე ინსპექტირება საქონლის ექსპორტიორ ქვეყანაში, იმპორტირებული საქონლის რაოდენობის, ღირებულების, ხარისხის, სასაქონლო კლასიფიკაციის დადგენის მიზნით. ინსპექტირების შედეგად „აიტიესის" ოფისი გასცემს შესაბამის სერტიფიკატს, რომლის საბაჟო ორგანოში წარდგენაც საქონლის თავისუფალი მიმოქცევის რეჟიმით საბაჟო გაფორმების უფლებას იძლევა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულია მისი მოქმედების

პირველ წელს საბაჟო შემოსავლების 50%-ით, ხოლო ყოველ მომდევნო წელს - 20-20%-ით ზრდა. იგი ითვალისწინებს აგრეთვე საქართველოს საბაჟო სისტემის ინსტიტუციურ განვითარებას, საბაჟო ტერიტორიის კონტროლის გაუმჯობესებას, კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას, მენეჯმენტის სისტემის სრულყოფას, ტრენინგს, საბაჟო სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, მის ტექნიკურ აღჭურვილობას. კონტრაქტის ხანგრძლივობა 2,5 წელია.

მაგრამ 1999 წლის დასაწყისიდან 2000 წლის აგვისტოს ჩათვლით, ანუ ხელშეკრულების ამოქმედებამდე 8 თვისა და ამოქმედებიდან 12 თვის მონაცემების ანალიზი შემდეგ სურათს იძლევა: ხელშეკრულების ამოქმედებამდე საბაჟო შემოსავალი შეადგენდა 11,22 მლნ. აშშ დოლარს თვეში, ხოლო ამოქმედების შემდეგ - 11,06 მლნ. აშშ დოლარს, ანუ, პრაქტიკულად, არ შეცვლილა; გაიზარდა იმპორტული საქონლის რაოდენობა; შემცირდა ერთეულ იმპორტირებულ საქონელზე მიღებული შემოსავალი; არ შეიცვალა დღგ-სგან გათავისუფლებული საქონლის წილი; პრაქტიკულად, არ შეიცვალა ინვესტიციით, გრანტითა და ჰუმანიტარული დახმარებით იმპორტირებული საქონლის წილი; შემცირდა აქციზური პროდუქციის წილი როგორც იმპორტის საერთო რაოდენობაში, ასევე მიღებულ შემოსავლებში; ხელშეკრულების ამოქმედებამდე, მსუბუქი ავტომანქანების იმპორტზე დარიცხული გადასახადებით ბიუჯეტში შემოდიოდა 0,24 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო შემდეგ - 0,17 მლნ. აშშ დოლარი. ზარალი წელიწადში, დაახლოებით, 1,5 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს; აქციზური პროდუქციიდან მიღებული შემოსავალი ხელშეკრულების ამოქმედებამდე შეადგენდა თვეში, დაახლოებით, 7,6 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო შემდეგ - 6,0 მლნ. აშშ დოლარს, ანუ ზარალმა წელიწადში, დაახლოებით, 19 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. კერძოდ, ნავთობპროდუქტების წილი იმპორტის საერთო მოცულობაში იყო 11,3%, გახდა 9,6%, შესაბამისად, ახალი პროდუქციის წილი შემოსავლებში იყო 36,4%, გახდა 33,5%. თამბაქოდან შემოსავალი იყო 2,97 მლნ. აშშ დოლარი, გახდა 1,72 მლნ. აშშ დოლარი,

ხოლო ზარალმა წელიწადში, დაახლოებით, 15 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტის გაზრდის მიუხედავად, შემოსავლების გაუზრდელობა გამოწვეულია არა იმ საქონლის იმპორტის ზრდით, საიდანაც არ შემოდის გადასახადი, არამედ ისეთი საქონლის იმპორტის მოცულობის შემცირებით, საიდანაც უნდა შემოდიოდეს მაღალი გადასახადი. აქედან ჩანს, რომ „აიტიესთან" დადებულმა ხელშეკრულებამ შემოსავლების ზრდაზე გავლენა ვერ მოახდინა და ნაკისრი ვალდებულებანი შეუსრულებელი დარჩა.

საბიუჯეტო საგადასახადო პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლება კვლავ ერთ-ერთ ყველაზე უფრო გადაუდებელ ამოცანად გვევლინება. სხვანაირად ვერ შევძლებთ ბიუჯეტის დეფიციტის დაძლევას და მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე გადასვლას.

ცხრილი 38

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების წყაროები 1996–2001 წლებში (მლნ. ლარებში)

	წყაროები	1996	1997	1998	1999	2000	2001 გეგმა
	დეფიციტის დაფინანსების წყაროები	256,8	225,2	177,8	309,4	196,5	277,6
1.	ადგილობრივი	201	121,8	110,8	24,6	152,0	100
1.1.	საქართველოს ეროვნული ბანკის კრედიტი	185,9	116,0	120,3	15,5	128,6	
1.2.	სახაზინო ვალდებულებები	0	5,8	-9,5	9,1	4,2	20
1.3.	კაპიტალური შემოსავალი	-	-	-	-	13,0	80
1.4.	სხვა წყაროები	15,1	0	0	0	6,2	0
2.	საგარეო	70,3	103,4	67,0	284,8	44,4	177,6
2.1.	მსოფლიო ბანკის კრედიტები	55,8	101,9	67,0	254,8	39,0	80
2.2.	სხვა წყაროები	14,5	1,5	0	30	5,4	97,6
3.	დეფიციტის წილი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში (%)	33,3	29	22,3	25,1	23,5	24,8
4.	დაფინანსების საგარეო წყაროების წილი დეფიციტის დაფინანსებაში (%)	27,4	45,9	37,7	92,0	22,6	64,0

წყარო: საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემები; საქართველოს 2000 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1998 წლიდან დაწყებული ფინანსური კრიზისის შემდეგ ჩამოყალიბდა სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების უარყოფითი ტენდენცია: თუ ადრე დეფიციტის დაფინანსებაში ადგილობრივი წყაროების საერთო მოცულობა მნიშვნელოვნად სჭარბობდა საგარეო დაფინანსებას, მომდევნო პერიოდში პირიქით – საგარეო დაფინანსება მნიშვნელოვნად სჭარბობს შიდა დაფინანსებას. ადგილობრივი დაფინანსებიდან მთავარია ეროვნული ბანკის კრედიტი, მაშინ, როდესაც ძალიან სუსტად ვიყენებთ სახაზინო ვალდებულებების წყაროს, თუმცა, სხვა ქვეყნებში ეს უკანასკნელი ინსტრუმენტი ძალიან აქტიურად გამოიყენება.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ოპტიმიზაციას.[75] ამჟამად ურთიერთობები საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტსა (ცენტრალური ბიუჯეტი და ბიუჯეტგარეშე სახელმწიფო ფონდები) და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს შორის რეგულირდება საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების საშუალებით. საქართველოს 1996 წლის 29 მაისის კანონით, „საბიუჯეტო სისტემებისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“, ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში მთლიანად ჩაირიცხება ყველა ადგილობრივი გადასახადი, მოსაკრებელი და არასაგადასახადო შემოსავალი, მაგრამ ეს მათი ბიუჯეტების შემოსავლებისა და ხარჯების დაბალანსებისთვის არასაკმარისია. ამიტომ, ზემოთ დასახელებული კანონის შესაბამისად, ტერიტორიულ ბიუჯეტებში მთლიანად ჩაირიცხება შემოსავლები ისეთი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან, როგორიცაა: მიწის გადასახადი, გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს გაბინძურებისთვის, გადასახადი ქონების გადაცემისთვის და ა.შ. გარდა ამისა, და-

---

[75] იხ. **ვ.ზურაბიშვილი.** ბიუჯეტთაშორისო ურთიერთობების რეგულირების სრულყოფისთვის – საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. ესპსი. შრომების კრებული. IV ტომი. თბილისი, 1999, გვ.281-284.

წესდა სახელმწიფო გადასახადებიდან ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივები 1997-1999 წლებისთვის. მაგრამ ეს პრობლემა დღემდე არ არის სათანადოდ გადაწყვეტილი. მაგალითად, მარეგულირებელ გადასახადებს არ მიეკუთვნება დღგ და აქციზი, მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებში ეს გადასახადები მოგებისა და ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადებთან ერთად, მნიშვნელოვან მარეგულირებელ შემოსავლად ითვლება. სადავოა მიწის გადასახადი. საგადასახადო კოდექსის მიხედვით, იგი საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადს მიეკუთვნება. მაგრამ კანონით საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში ჩაირიცხება. სოფლად მეწარმეობის სუსტი განვითარების გამო, ამ გადასახადის გადახდა ძალიან გაძნელებულია. დასაზუსტებელია თვითონ გადასახადის განაკვეთები. ამიტომ იგი ფაქტობრივი შემოსავლების არარეალური წყაროა და მარეგულირებელი შემოსავლის წყაროს არ წარმოადგენს.

1995-1998 წლებში არ შესრულებულა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილი, რაც 1998 წელს ჩამოყალიბებული ფინანსური კრიზისის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად მოგვევლინა. ეს ტენდენცია მომდევნო წლებშიც გრძელდება. მარეგულირებელი შემოსავლებიდან, ანარიცხების გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივების სრულყოფასთან ერთად, საჭიროა ადგილობრივი გადასახადების გადასინჯვა და ამ გადასახადებიდან შემოსავლების მოცულობის სწორი განსაზღვრა. ამასთან, მარეგულირებელ შემოსავლებს, მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებთან ერთად, მიზანშეწონილია დღგ და აქციზიც მიემატოს. ამით, გადასახადების აკრეფით ადგილობრივი ორგანოების დაინტერესებაც ამაღლდება.

ამგვარად, საქართველოს სახელმწიფო ფინანსების სისტემა ჯერ კიდევ მრავალი ნაკლით ხასიათდება. მათ შორის აღსანიშნავია, პირველ რიგში, საგადასახადო სისტემის სუსტი ინსტიტუციური მოწყობა, როგორც სამართლებრივი, ასევე ადმინისტრირების თვალსაზრისით, საბიუჯეტო შემოსავ-

ლების სიმწირე, ღრმა საბიუჯეტო კრიზისი, რომელიც დღემდე გრძელდება. საბიუჯეტო კრიზისი, ინსტიტუციური მიზეზების გარდა, საწარმოთა ფინანსების განუვითარებლობითაც არის გამოწვეული. სამრეწველო საწარმოების დიდი ნაწილი საერთოდ გაჩერებულია. ვინც მუშაობს, მათი მოგებაც, მაქსიმუმ, 3-4%-ია (წარმოების მაღალი დანახარჯების გამო). განსაკუთრებით მაღალია დანახარჯები ენერგიაზე. ენერგომატარებლებზე ტარიფების სისტემატურმა ზრდამ სამამულო პროდუქციის 26%-ით გაძვირება გამოიწვია და არაკონკურენტუნარიანი გახადა. მაგრამ საწარმოთა უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობას სხვა მიზეზებიც განაპირობებს. მათგან უნდა დავასახელოთ, პირველ რიგში, საბრუნავი საშუალებების უქონლობა, დამზადებული პროდუქციის ღირებულების დიდი დაგვიანებით ანაზღაურება, არგადახდები, გადასახადების გადახდა პროდუქციის რეალიზაციამდე, მაღალი საბანკო პროცენტი. საკმარისია აღინიშნოს, რომ საბრუნავი საშუალებების დაფინანსება, როგორც წესი, 60-80%-ის ფარგლებში, საბანკო კრედიტის მეშვეობით იფარება. მაგრამ მაღალი პროცენტის გამო, მრავალი საწარმო ამ კრედიტით ვერ სარგებლობს და ისიც, ფაქტობრივად გაჩერებულია ან საწარმოები იძულებული არიან აიღონ ბანკის კრედიტები მაღალი საპროცენტო განაკვეთით. მის დასაფარავად იგი იძულებული ხდება, ახალი კაბალური კრედიტი აიღოს. მეორე მხრივ, შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთები და გადასახადები პროდუქციას აძვირებს და მისი კონკურენტუნარიანობა მცირდება. აქედან ჩანს, რომ საწარმოებში, ფაქტობრივად, შეუძლებელია ნორმალური კვლავწარმოების გახორციელება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ეფექტიანი განვითარება. საწარმოთა ფინანსების განუვითარებლობა კი სახელმწიფო ფინანსების განუვითარებლობას განაპირობებს.

8.2. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, უდავოდ, ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს საქართველოს საბაზრო ეკონო-

მიკაზე გადასვლისა და საერთოდ, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისთვის. თუმცა, იგი იზოლირებულად არ ხორციელდება და თვითონაც განვითარების მოთხოვნილების შესაბამისად ფორმირდება. ამიტომ მიზანშეწონილია გამოიყოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ტრანსფორმაციის შემდეგი ძირითადი ეტაპები: **პირველი ეტაპი** მოიცავს პერიოდს, როდესაც საქართველოს არ ჰქონდა საკუთარი ფულადი სისტემა და იძულებული იყო, მანეთის ზონაში დარჩენილიყო. **მეორე ეტაპი** არის ეროვნული ვალუტის შემოღებისთვის პირობების მომზადების პერიოდი, ანუ კუპონის არსებობის პერიოდი. **მესამე ეტაპი** ლარის შემოღებასა და დამკვიდრებას გამოხატავს მის დევალვაციამდე, 1998 წლის დეკემბერში და ბოლოს, **მეოთხე ეტაპი,** რომელიც დევალვაციის შედეგების ლიკვიდაციისა და ლარის შემდგომი განმტკიცების აუცილებლობით ვლინდება.

პირველი ეტაპი კუპონის შემოღებამდე, ანუ 1993 წლის 1 აპრილამდე გრძელდებოდა. მართალია, საქართველო უკვე იყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, 1991 წლის აგვისტოდან ეროვნული ბანკიც ფუნქციონირებდა, მაგრამ ეროვნული ვალუტის უქონლობის გამო იგი დამოუკიდებელ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ვერ ახორციელებდა; ასეთ პირობებში რუსეთი საქართველოზე, ისევე როგორც სამანეთო ზონის სხვა სახელმწიფოებზე, გარკვეულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ზემოქმედებას ახდენდა. თუმცა, საქართველოს მთავრობა და ეროვნული ბანკი ამ ეტაპზე, თვითონაც ფრიად უპასუხისმგებლო და ქვეყნისთვის საზიანო ფულად-საკრედიტო პოლიტიკას აწარმოებდა. იგულისხმება იაფი ფულის პოლიტიკა, როდესაც დიდი მოცულობის კრედიტები გაიცემოდა ყოველგვარი რესურსით უზრუნველყოფის გარეშე და ძალიან დაბალი საპროცენტო განაკვეთით. შედეგად, მკვეთრად დაჩქარდა ინფლაცია და მანეთის ემისიაზე მოთხოვნა. ანალოგიური სურათი იყო ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებშიც, მაგრამ რუსეთში 1992 წლის ბოლოსთვის ეკონომიკური კრიზისი და ინფლაცია იმ ზომამდე გამწვავდა, რომ მან უარი თქვა მათ ფინანსურ მეურვეობაზე და ისინი სამანეთო ზონიდან გააძევა კიდეც.

ერთ-ერთ ყველაზე უფრო დრამატულ პერიოდად საქართველოს უახლეს ისტორიაში კუპონის პერიოდი დარჩება, 1993 წლის 5 აპრილიდან ლარის შემოღებამდე - 1995 წლის 25 სექტემბრამდე. რა თქმა უნდა, კუპონის შემოღებას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ამით საქართველო გამოვიდა სამანეთო ზონიდან და, ფაქტობრივად, მის საფუძველზე დამოუკიდებელმა ეროვნულმა ფულადმა სისტემამ ფუნქციონირება დაიწყო. მიმოქცევაში შევიდა 5, 10, 50, 100, 500, 100, 5000, 10000 ნომინალის მქონე კუპონის კუპიურები, ბრუნვაში უკვე არსებული სსრკ-ისა და რუსეთის ფედერაციის მიერ 1961-1992 წლებში გამოშვებული ფულის ნიშნების პარალელურად და პარიტეტული კურსით. 1993 წლის ივლისში რუსეთმა მიმოქცევიდან ამოიღო 1993 წლამდე გამოშვებული რუბლის ბანკნოტები. ამიტომ **1993 წლის 3 აგვისტოდან კუპონი ერთადერთ საგადასახადო საშუალებად გამოცხადდა,** რომელიც, გარკვეულწილად, ეროვნული ვალუტის როლს ასრულებდა. თითოეულ რეზიდენტს უფლება მიეცა 100 ათასი რუბლი გადაეცვალა კუპონზე 1:1 კურსით. ამავე კურსით გავრცელდა საბანკო დეპოზიტებისა და კრედიტების კუპონზე გადაყვანა. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ნაღდ კუპონზე გაიცვალა 177 მილიონი რუბლი, რაც საქართველოში ბრუნვაში არსებული რუბლის მხოლოდ ერთ პროცენტს შეადგენდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს მოსახლეობამ თავიდანვე უნდობლობა გამოუცხადა ქართულ კუპონს.

მაგრამ მთავარი ის იყო, რომ კუპონის შემოღების შემდეგაც გაგრძელდა აშკარად ლიბერალური ხასიათის ფულადსაკრედიტო პოლიტიკა. იგი, უწინარეს ყოვლისა, სასურსათო პროგრამის რეალიზაციისთვის, სოფლის მეურნეობაში მოსავლის აღებისთვის, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვისათვის, მასშტაბური შეღავათიანი კრედიტების გაცემითა და ყოფილი სახელმწიფო ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე ოვერდრაფტის დაშვებით გამოიხატა. სწორედ ასეთი პოლიტიკის შედეგი იყო, რომ 1993 წლის განმავლობაში ეროვნული ბანკის ფულად-

მა ემისიამ, კრედიტების მოცულობისა და ფართო ფულის სწრაფმა ზრდამ, კომერციული ბანკების სავალუტო ოპერაციებით დაინტერესება და კუპონის მკვეთრი დაცემა გამოიწვია. 1994 წლიდან კუპონის გაუფასურების ტემპმა კიდევ უფრო იმატა, რასაც სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად, 1993 წლის შემოდგომაზე ყურძნის ჩამბარებლებთან ანგარიშსწორების მიზნით გაცემულმა ათეულ მილიონობით ნაღდმა კუპონმა შეუწყო ხელი. ჰიპერინფლაციის სტადიაზე კუპონმა საბოლოოდ დაკარგა გადახდისა და დაგროვების ფუნქცია და ანგარიშსწორებიდან, ძირითადად, გამოიდევნა.

მეორე ეტაპი. ასეთ პირობებში საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკთან საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მჭიდრო თანამშრომლობით, 1994 წლის მეორე ნახევარში შემუშავდა ფინანსური სტაბილიზაციისა და სტრუქტურული რეფორმების კომპლექსური პროგრამა. ამ პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება; ეროვნული ბანკის ნებართვების საფუძველზე გაცემული მილიარდობით სესხის შესაბამისი ბანკების ბალანსებზე ბუღალტრული ჩანაწერებით აღრიცხვა, რასაც ბანკების მიერ აღებული სესხების დაფარვის გააქტიურება მოჰყვა; 1994 წლის ოქტომბრიდან ავტომატური ოვერდრაფტისა და შესაბამისად, „ჰაერის ფულის“ მიმოქცევაში გაშვების აკრძალვა; ფულის მიწოდებისადმი კონტროლის გასაძლიერებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანგარიშების ეროვნულ ბანკში გადმოტანა; ქვეყნის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების განკარგვის უფლების ეროვნული ბანკისადმი გადაცემა, რომელიც სამეურნეო სუბიექტების მიერ უცხოურ ვალუტაში მიღებული ამონაგების 32%-ის სახელმწიფოსთვის სავალდებულო მიყიდვით იქმნებოდა და მანამდე მას ფინანსთა სამინისტრო განკარგავდა.

გატარებული ღონისძიებების შედეგად, უკვე 1994 წლის ბოლოს ქვეყნის საშინაო არაოფიციალურ სავალუტო ბაზარზე ერთ აშშ დოლარზე კუპონის გაცვლის კურსი - 3,7 მლნ.

კუპონით შემცირდა და სტაბილიზაცია 1,3 მლნ. კუპონის ოდენობით დაფიქსირდა. ფულის მასის ზრდის შესაჩერებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მთავრობისთვის საბანკო სისტემის მიერ გასაცემი წმინდა კრედიტების, აგრეთვე, ეროვნული ბანკის წმინდა საშინაო და საერთაშორისო აქტივების ზღვრული ოდენობის განსაზღვრას. ამავდროულად, აქტიურად გამოიყენებოდა ეროვნული ბანკის ინტერვენციები სავალუტო ბაზარზე უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა-მიწოდების გაწონასწორებისა და მოსალოდნელი სპეკულაციების თავიდან აცილებისთვის. 1995 წელს ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გაიყიდა 68,7 მლნ. აშშ დოლარი, მათ შორის ეროვნული ბანკის მიერ - 54,5 მლნ. აშშ დოლარი, რაც საერთო თანხის 79%-ს შეადგენდა. ამის შედეგად, 1995 წლის პირველი 9 თვის განმავლობაში შენარჩუნდა ეროვნული ვალუტის გაცვლის სტაბილური კურსი. თუმცა, კუპონმა მაინც ვერ აღიდგინა 1993-1994 წლებში დაკარგული ავტორიტეტი, ქვეყნის ტერიტორიაზე ვერ შეძლო რუსული რუბლის მიმოქცევიდან განდევნა და ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გადაქცევა. ამიტომ, ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა სრულფასოვანი ეროვნული ვალუტის შემოღება.

მესამე ეტაპი სწორედ ლარის გამოშვების ისტორიული მნიშვნელობის ფაქტთან არის დაკავშირებული. თუმცა, იგი საერთოდ წინააღმდეგობრივი ხასიათის იყო, რადგანაც მას უდიდეს წარმატებასთან ერთად, ლარის დევალვაციის სახით (1998 წლის ბოლოს) მარცხიც მოჰყვა. წარმატებათა შორის მთავარი, რა თქმა უნდა, ლარის ეროვნულ ვალუტად დამკვიდრება იყო, რაც, პირველ რიგში, მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებამ, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფამ, ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების გადიდებამ განაპირობა. მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისთვის ხელშეწყობის თვალსაზრისით, ამ ეტაპზე, არსებითი მნიშვნელობის მქონე ღონისძიებებიდან აუცილებელია გამოვყოთ შემდეგი:

1. ისეთი ძირითადი **ფულადი მაჩვენებლების დინამი-**

კაზე-კონტროლი, როგორიცაა საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა საშინაო აქტივები, საბიუჯეტო სექტორის წმინდა შიდა კრედიტები, წმინდა ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები;

2. **მინიმალური სარეზერვო განაკვეთის ცვლილებით, ფულის მასის რეგულირება ეკონომიკური ვითარების შესაბამისად.** 1995 წ. აღნიშნული განაკვეთი 20% იყო, მაგრამ 1996 წლის 1 იანვრიდან იგი 2 პროცენტით, 1996 წლის აგვისტოდან - 3 პროცენტული პუნქტით, ხოლო 1997 წლის 1 სექტემბრიდან კვლავ 3 პროცენტით შემცირდა და 12 პროცენტის ოდენობით განისაზღვრა. სარეზერვო განაკვეთის ასეთმა შემცირებამ, უდავოდ, დიდი როლი შეასრულა კომერციული ბანკების საკრედიტო საქმიანობის ინტენსიფიკაციისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის;

3. **საკრედიტო აუქციონების ორგანიზაცია.** ეს ინსტრუმენტი 1993 წლის მეორე ნახევრიდან ამოქმედდა, მაგრამ ჰიპერინფლაციის პირობებში, ბუნებრივია, მან შეწყვიტა, ფუნქციონირება. 1995 წლიდან კი მისი ჩატარება დაიწყო ერთი ფასის მეთოდით, რაც მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსების საფუძველზე ერთიანი საპროცენტო განაკვეთის ჩამოყალიბებას გულისხმობს. ამ დროს კრედიტის უზრუნველყოფის საფუძველია, ეროვნულ ბანკებში კომერციული ბანკების მიერ მინიმალური რეზერვების ანგარიშზე დეპონირებული სახსრები, რაც აუქციონში მონაწილე ბანკებს საშუალებას აძლევდა გაეცათ კრედიტი და ემართათ ლიკვიდობა. აუქციონებზე ყოველთვიურად იზრდებოდა გარიგებების მოცულობები რეალური საპროცენტო განაკვეთით, მატულობდა მონაწილე ბანკების რაოდენობაც. 1997 წელს მოქმედი 61 კომერციული ბანკიდან, 45 მუდმივად გამოდიოდა მყიდველის ან გამყიდველის სტატუსით. ამ პროცესებმა 1996 წლის თებერვლიდან საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია. კერძოდ, 7 დღემდე ვადიან კრედიტებზე დაფიქსირებულმა საშუალო წლიურმა განაკვეთმა 1996 წლის თებერვალში 43% შეადგინა, ხოლო ოქტომბერში იგი 13%-მდე შემცირდა. 30 დღემდე ვადით კრედიტებ-

ზე წლიურმა საპროცენტო განაკვეთმა 1996 წლის ბოლოს 24% შეადგინა, ანუ 30%-ით ნაკლები, საშუალო წლიურ საპროცენტო განაკვეთთან შედარებით. ამასთან, ერთმანეთს დაუახლოვდა 1-დან 3 თვემდე კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთები. ამ უკანასკნელის ოდენობამ 1996 წლის დეკემბერში შეადგინა 25% წლიურად. საპროცენტო განაკვეთების კლების ტენდენცია, ბუნებრივია, ეკონომიკურ ზრდას ასტიმულირებდა;

4) **ეროვნული ბანკის მიერ მთავრობის დაფინანსება.** საქართველოს ეროვნული ბანკის ორგანული კანონით, იგი უფლებამოსილია ფინანსთა სამინისტროზე 6 თვემდე ვადით საკრედიტო ბაზარზე მოქმედი საპროცენტო განაკვეთით გასცეს სესხი, აგრეთვე, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების მიზნით, გასცეს სესხი 5 წლამდე ვადით, წლიური 15%-მდე საპროცენტო განაკვეთით. აღნიშნული სესხების გაცემა საქართველოს პარლამენტის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე ხორციელდება.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1994 წლიდან 2000 წლის 1 ნოემბრამდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროზე (მთავრობაზე) ეროვნული ბანკის მიერ ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად 709,7 მლნ. ლარის ოდენობის სესხი გაიცა. მისი აუცილებელი პირობა მთავრობის წმინდა დავალიანების ლიმიტის დაცვაა, რომელიც საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული პროგრამული მაჩვენებლების გათვალისწინებით განისაზღვრება. ამ პროგრამით განისაზღვრება, აგრეთვე, წლის განმავლობაში მთავრობაზე გასაცემი სესხებისა და მთავრობის დეპოზიტების ლიმიტი. მთავრობის წმინდა დავალიანება ეროვნული ბანკის მიმართ მთავრობის სასესხო დავალიანებასა და მთავრობის დეპოზიტებს შორის სხვაობას გამოხატავს. 1994-1995 წლებში გაცემული სესხების დაფარვის ვადა 1999-2000 წლებში დადგა, თუმცა მოხდა მათი 6 წლით რესტრუქტურიზება: პირველ ორ წელიწადში განვადებულ სასესხო დავალიანებაზე 1%-ის, ხოლო მომდევნო ოთხის წლის განმავლობაში ინფლაციის წლიურ ტემპს პლუს

1%-ის დარიცხვის გათვალისწინებით. ეროვნული ბანკის მიერ მთავრობის დაფინანსება უდიდეს როლს ასრულებს ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის დამკვიდრებისთვის;

5. **სავალუტო კურსის მდგრადობის უზრუნველყოფა,** რაც ინფლაციურის მოლოდინის გაქარწყლებასა და ეროვნული ვალუტის მიმართ ეკონომიკური სუბიექტებისა და მოსახლეობის ნდობის შენარჩუნებას განაპირობებდა. 1996 წელს საბოლოოდ დასრულდა ფიქსირებულიდან ვალუტის რეგულირებად მცურავ კურსზე გადასვლა. ეროვნული ბანკი არ ეწინააღმდეგებოდა ლარის გამყარებას მიმოქცევის არხებში ეროვნული ვალუტის დროებითი ნაკლებობის შედეგად. მეორე მხრივ, მყარ ვალუტაზე, პირველ რიგში, აშშ დოლარზე მოთხოვნის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში, რაც, მეტწილად, ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად მთავრობისთვის კრედიტების გაცემასა და საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ოპერაციების განხორციელებასთან იყო დაკავშირებული, ეროვნული ბანკი უშვებდა ლარის გარკვეულ დევალვაციას. დევალვაციის სიდიდე მკაცრად კონტროლდებოდა ისეთი ფაქტორების მიხედვით, როგორიცაა: საერთაშორისო რეზერვების დონე - საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული ლიმიტების გათვალისწინებით, შიდა ინფლაცია და ეკონომიკის რეალური სექტორის ზრდის ხასიათი. ლარის გაცვლის კურსმა 1996 წლის განმავლობაში ერთ აშშ დოლართან 1,230 შეადგინა, მაქსიმალურმა - 1,282, ანუ რყევის ამპლიტუდამ 4%-ს მიაღწია. რეგულირებად

ცხრილი 39

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მთავრობაზე გაცემული სესხებისა და საპროცენტო განაკვეთების დინამიკა

მაჩვენებლები	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000 (10 თვე)
საპროცენტო განაკვეთი	1	1 15	15	11	12	12	12
სესხი (მლნ. ლარებში)	18,3	67,4 25	185,9	116	128,8	97,5	70,8

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

მცურავ კურსზე გადასვლამ ეროვნულ ბანკს საშუალება მისცა მოქნილი საინვესტიციო პოლიტიკა გაეტარებინა და საერთაშორისო რეზერვები დაეზოგა. ინტერვენციები უპირატესად არამატერიალურ ხასიათს ატარებდა და მისი გამოყენება მიზნად ისახავდა არა მხოლოდ შიდასავალუტო ბაზრის კონიუნქტურის რეგულირებას, არამედ მიმოქცევის არხებში არსებული ფულადი სახსრების განეიტრალებასა და ინფლაციის მოთოკვას.

მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გახორციელებამ, საერთაშორისო რეზერვების ფლობამ ქვეყანაში ლარი გადახდის ერთადერთ საშუალებად აქცია. ასევე უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო მაღალი ინფლაციის დაძლევის გამყარება, მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა 1995 წლიდან 1998 წლის შემოდგომამდე პერიოდში.

მაგრამ 1998 წლის სექტემბერში ვითარება ქვეყანაში მკვეთრად იცვლება. ამ პერიოდიდან დაწყებული, მზარდი ფისკალური კრიზისისა და ძლიერი საგარეო შოკის გავლენით, რომელიც რუსეთში მიმდინარე მწვავე კრიზისით იყო განპირობებული, უცხოურ ვალუტაზე აჟიოტაჟური მოთხოვნა თანდათან მკვეთრად გაიზარდა. ამით სავალუტო ბაზრის დეფორმაციის საფუძველი ჩამოყალიბდა. ამიტომ, საქართველოს ეროვნული ბანკი 1998 წლის 9 სექტემბრიდან იძულებული გახდა, მოეხდინა დოლარის მიმართ ლარის კურსის თანდათანობით 1,35 ლარის ნიშნულიდან დაწევა. მისმა სიდიდემ, აღნიშნულ დონესთან შედარებით, დეკემბრის დასაწყისისთვის 28% შეადგინა.

ამ ღონისძიების მიუხედავად, აჟიოტაჟური მოთხოვნის განეიტრალება ვერ მოხერხდა, რადგანაც 1998 წლის ნოემბრიდან რუსეთიდან იაფფასიანი იმპორტის მოზღვავებით, ქვეყნის სავაჭრო ბალანსი მნიშვნელოვნად გაუარესდა. ასეთ ვითარებაში წინა პლანზე წამოიწია სავალუტო რეზერვების შენარჩუნებისა და საგადასახდელო ბალანსის კრიზისის დაძლევის პრობლემამ. ეროვნულმა ბანკმა 1998 წლის 7 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება თბილისის ბანკთაშორის სა-

ვალუტო ბირჟაზე ინტერვენციების შეწყვეტის შესახებ, რაც, თავისთავად, მცურავ საკურსო რეჟიმზე გადასვლას ნიშნავდა. ლარის გაცვლის კურსმა გარკვეული მერყეობის შემდეგ წონასწორობის ნიშნულს მიაღწია, რომლის მერყეობის დიაპაზონი 1 აშშ დოლარის მიმართ 2 ლარის ფარგლებში ჩამოყალიბდა.

იმავდროულად, შიდა სავალუტო ბაზარზე მყარ ვალუტაზე მზარდი მოთხოვნის შემცირების მიზნით, ეროვნულმა ბანკმა ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა კიდევ უფრო გაამკაცრა. სავალდებულო რეზერვების ნორმა 12%-დან 16%-მდე გაიზარდა. ასევე, მკვეთრად გაიზარდა საკრედიტო რესურსების აუქციონზე 30 დღემდე ვადით ნაყიდი კრედიტების მოცულობა, ხოლო ფინანსთა სამინისტროს შეუწყდა კრედიტებით სარგებლობის უფლება. ამასთან, სავალდებულო რეზერვების ტვირთის შემსუბუქების მიზნით, 1998 წლის დეკემბრიდან დაინერგა მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დეკადურად გამოანგარიშებისა და გადახდის წესი. და შემოიღეს სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე დეპონირებულ თანხაზე პროცენტის დარიცხვა. 1998 წლის დეკემბერში კომერციული ბანკების სასარგებლოდ გადახდილი იყო 2 მლნ. ლარი, ხოლო 1999 წელს - 5,1 მლნ. ლარი. აქედან ჩანს, რომ ტარდებოდა ეფექტიანი ღონისძიებები მძიმე ვითარებაში კომერციული ბანკების გადარჩენისა და გაძლიერებისთვის.

ამისათვის 1999 წლის 12 იანვრიდან კვლავ ამოქმედდა საკრედიტო რესურსების აუქციონი, 1999 წლის 18 აგვისტოდან აღდგა სახაზინო ვალდებულებების პირველადი აუქციონები, რომელიც 1998 წლის სექტემბერში, ფინანსური კრიზისის განვითარებასთან დაკავშირებით, ფინანსთა სამინისტრომ შეწყვიტა. მთავრობის ფასიანი ქაღალდების მეორეული ბაზრის განვითარების მიზნით, დაინერგა ეკონომიკისთვის ფულის მიწოდების ისეთი მექანიზმები, როგორიცაა ლომბარდული კრედიტები, რეპო ოპერაციები, იპოთეკური კრედიტები, თუმცა მათი მასშტაბები ჯერ კიდევ მცირეა.

თანამედროვე ეტაპის თავისებურება ის არის, რომ მწვავე

ფინანსური კრიზისის პირობებში ვერ ხერხდება ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შერბილება. აუცილებელია სტაბილური გაცვლითი კურსის უზრუნველყოფა ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის შესამცირებლად და საერთაშორისო რეზერვების საკმარისი დონის მისაღწევად. ასეთ პირობებში უნდა შენარჩუნდეს მთავრობისა და ბანკების დაკრედიტება, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები. ბანკების დაკრედიტება კი კვლავაც მოქმედი საბაზრო მექანიზმებისა და ახლის დანერგვის საფუძველზე უნდა მოხდეს. ეს შესაძლებლობას მისცემს ბანკებს უფრო ეფექტიანად მართონ თავიანთი ლიკვიდობა. ბანკებისთვის პრიორიტეტი უზრუნველყოფილი კრედიტების გაცემას უნდა მიენიჭოს. თანდათან უნდა გაფართოვდეს გირაოში მთავრობის სახაზინო ვალდებულებების მიღების მოცულობა. ამით ბანკებს მიეცემათ გარანტირებული შესაძლებლობა ნებისმიერ სამუშაო დღეს მიიღონ ლომბარდული კრედიტი.

მაგრამ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგიანობის ამაღლებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბანკო ზედამხედველობის გაძლიერება. ეს პროცესი შემდეგი ტენდენციებით ხასიათდებოდა: 1994 წლამდე საბანკო ზედამხედველობა, ფაქტობრივად, არ ფუნქციონირებდა. იგი მხოლოდ საბანკო ლიცენზიების გაცემითა და უშედეგო რევიზიებით ამოიწურებოდა, რადგანაც საბანკო საქმიანობის მარეგულირებელი ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები საერთოდ ძალიან მწირი იყო. 1994 წლიდან იწყება ეროვნული ბანკის მიერ საზედამხედველო ფუნქციების გახორციელება. ამოქმედდა კომერციული ბანკებისთვის დადგენილი ეკონომიკური ნორმატივები, გამოანგარიშებისა და მათი შესრულების კონტროლის წესი, რომელიც, თავის მხრივ, 5 ნორმატივს მოიცავდა. 1995 წლის 6 მაისს საქართველოს ეროვნული ბანკის დადგენილებით, ახალი გაუმჯობესებული ეკონომიკური ნორმატივები და ლიმიტები შემოიღეს. გამკაცრდა მოთხოვნები ბანკების მიმართ, როგორც ანგარიშების წარმოდგენის ვადების დაცვასთან, ასევე ნორმატივების დარღვევასთან დაკავშირებით. დაიწყო ფსევდობანკე-

ბის ლიკვიდაციის პროცესი. თუ 1995 წელს, პიკის დროს, ფუნქციონირებდა 232 კომერციული ბანკი, უკვე 1996 წლის 1 იანვრისთვის ლიცენზია ჩამოერთვა 128 კომერციულ ბანკს. 1995 წლის 29 მაისის ეროვნული ბანკის დადგენილებით, ბანკები ვალდებული გახდნენ, ეტაპობრივად, 1998 წლის 1 ივნისამდე გაეზარდათ მინიმალური საწესდებო ფონდი 500 000 აშშ დოლარის ეკვივალენტამდე ეროვნულ ვალუტაში. კაპიტალის ბაზის გაზრდამ კომერციულ ბანკებს, საკრედიტო საქმიანობისა და, შესაბამისად, შემოსავლიანი აქტივების გაფართოების საშუალება მისცა. გაძლიერდა ფიზიკური და იურიდიული პირების ლტოლვა საბანკო სისტემისაკენ. საბოლოო ანგარიშით, მნიშვნელოვნად გაიზარდა საბანკო არხებში ფულის მასა. 1996 წლის მარტიდან დაიწყო მოქმედი კომერციული ბანკების სერტიფიკაციის პროცესი. მოქმედი კომერციული ბანკებიდან სერტიფიკაცია გაიარა 47-მა ბანკმა. აქედან, 1996-1998 წლებში, სხვადასხვა მიზეზის გამო, ლიცენზია ჩამოერთვა 6 ბანკს. საქართველოს საბანკო სისტემა ნელ-ნელა იკრეფდა ძალებს, აფართოებდა საბანკო ოპერაციებს, ითვისებდა ახალ საბანკო პროდუქტებს.

უმნიშვნელოვანესი იყო ყოფილი სახელმწიფო კომერციული ბანკების – „აგრომრეწვბანკის", „საქართველოს ბანკის", „გაერთიანებული ქართული ბანკის" ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, 1996 წელს ეროვნულ ბანკსა და აღნიშნულ ბანკებს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც ამ ბანკების სანაციის საფუძველი გახდა. უკვე 1997 წლისთვის „საქართველოს ბანკმა" და „გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა" დაძლიეს ურთულესი პრობლემები, რაც მათი სერტიფიცირებით აღინიშნა, ხოლო „აგრომრეწვბანკმა" წარმოადგინა შემდგომი სანაციის სამწლიანი ბიზნესგეგმა და სტრატეგია.

მნიშვნელოვანი საფეხური იყო, აგრეთვე, ეროვნული ბანკის მიერ 1996 წლის აგვისტოში მიღებული გადაწყვეტილება, სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ფორმირების, გამოყენების, აღრიცხვისა და ანგარიშგების წესის შესახებ და ახალი ნორმატივების საფუძველზე, CAMEL-ის რე-

იტინგულ სისტემაზე გადასვლა. ამით შესაძლებელი გახდა ბანკების აქტივების გაწმენდა უიმედო და ჩამოსაწერი სესხებისგან, რაც ბალანსებს ხელოვნურად ზრდიდა. შეიქმნა პირობები სესხების რეალური კლასიფიკაციისა და შესაბამისად, აქტივების ხარისხის მონიტორინგისთვის. საერთაშორისოდ აპრობირებულ რეიტინგულ სისტემაზე გადასვლა კი არა მარტო ბანკების ადეკვატური შეფასების საშუალებას იძლეოდა, არამედ იმავდროულად მათი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ეფექტიანი გზების დასახვის შესაძლებლობასაც განაპირობებდა. 1997 წლის განმავლობაში, ამ მეთოდის გამოყენებით შემოწმდა 35 კომერციული ბანკი. აქედან 34 ბანკს მიენიჭა რეიტინგი, ხოლო 1 კომერციულ ბანკს ლიცენზია ჩამოერთვა. 34 ბანკიდან I კატეგორია ვერ მიიღო ვერც ერთმა, მე-2 კატეგორია მიენიჭა ორ ბანკს, მე-3 კატეგორია - 21 ბანკს, მე-4 კატეგორია - 8 ბანკს, ხოლო მე-5 კატეგორია - 3 ბანკს. გამოვლინდა შემდეგი სახის დარღვევები და ხარვეზები: თითქმის არც ერთ ბანკში არ იყო შემუშავებული და დამტკიცებული, დოკუმენტურად გაფორმებული კაპიტალის, საკრედიტო და ლიკვიდობის პოლიტიკა; უმეტეს შემთხვევაში, არ ჰქონდათ შემოსავლებისა და ხარჯების გეგმა, ანუ ბიუჯეტი. ვისაც ჰქონდა, ისიც არ აკმაყოფილებდა მოთხოვნებს; საბანკო კანონმდებლობის, წესების, ნორმატივების, ლიმიტების დარღვევები.

მომდევნო პერიოდში გახორციელდა ღონისძიებები ამ და სხვა ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. ეროვნული ბანკი ატარებდა გამკაცრებული ზედამხედველობის რეჟიმს. 1998 წლის 1 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესების ახალი რედაქცია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კაპიტალის საკმარისობას. დაინერგა სრულიად ახალი, რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების ცნება, რომელიც საშუალებას გვაძლევს, დადგინდეს კომერციული ბანკების აქტივების მგრძნობელობა საკრედიტო რისკის მიმართ. 1999 წლის 1 იანვრიდან დაინერგა აღრიცხვის საერთაშორისო

სტანდარტების შესაბამისი კომერციული ბანკების ანგარიშ-გების ახალი ფორმები, რაც საშუალებას იძლევა, გაღრმავ-დეს მათი ფინანსური ანალიზი და შეფასება.

საბანკო ზედამხედველობის გაუმჯობესებამ, უდავოდ, დიდი როლი შეასრულა საქართველოს საბანკო სისტემის შემდგო-მი განვითარებისთვის. 1999 წლის დასაწყისში იგი წარმოდ-გენილი იყო 44 კომერციული ბანკით, რომელთა მთლიანი აქტივები 459 მლნ. ლარს შეადგენდა, ხოლო მთლიანი ვალ-დებულებები - 306 მლნ. ლარს. მათ მიერ სახალხო მეურ-ნეობის დაკრედიტებამ იმავე პერიოდისთვის 320 მლნ. ლა-რი შეადგინა. ვადაგადაცილებული სესხები შეადგენდა 14,7 მლნ. ლარს, ანუ მთლიანი საკრედიტო დაბანდების, დაახ-ლოებით, 5%-ს, ხოლო ჩამოწერილი სესხების სახით გარესა-ბალანსო ანგარიშებზე ირიცხებოდა 31,6 მლნ. ლარი. ბანკე-ბის გამსხვილება გრძელდება. 2001 წლის მარტის მდგომა-რეობით საქართველოში 28 კომერციული ბანკი და ორი უცხო ქვეყნის ბანკის ფილიალი ფუნქციონირებდა. უკვე რამ-დენიმე წელია, საბანკო აქტივების 75-80%-ს, ძირითადად, 10 კომერციული ბანკი აკონტროლებს.

ბოლო წლებში CAMEL-ის ხუთბალიანი რეიტინგული სის-ტემით, პირველ და მეორე კატეგორიაში მუდმივად ხვდება 8-12 კომერციული ბანკი, რომელთა აქტივები, საშუალოდ, მთელი საბანკო სისტემის ჯამური აქტივების 50%-ს აღე-მატება. 1999 წლის ბოლოსთვის პირველი კატეგორია პირ-ველად მიენიჭა სამ კომერციულ ბანკს, ხოლო პირველი და მეორე კატეგორიის ბანკების ჯამური აქტივების სიდიდე 70%-ს მიუახლოვდა. იმავე წელს მთლიანი აქტივები 115 მლნ. ლარით გაიზარდა და 568 მლნ. ლარი შეადგინა. იმავდრო-ულად გაიზარდა ვალდებულებებიც 65 მლნ. ლარით და, სა-ერთო ჯამში მან 368 მლნ. ლარი შეადგინა. ამავე დროს, კომერციული ბანკების საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 30 მლნ. ლარით და 148 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანი კაპიტალი გაიზარდა 50 მლნ. ლარით და 200 მლნ. ლარი შეადგინა, დადებითი ტენდენციები 2000 წელსაც გრძელდე-ბოდა. საბანკო სისტემის მთლიანი აქტივები 765 მლნ. ლა-

რამდე გაიზარდა.[76]

აქ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მთლიანი კაპიტალის ზრდის ტემპი წინ უსწრებს საწესდებო კაპიტალის ზრდას, რაც დადებითი ფინანსური შედეგების მიღწევას ადასტურებს. ბანკებისადმი ნდობის გაძლიერებაზე ისიც მეტყველებს, რომ 2000 წელს საბანკო დეპოზიტები და ანაბრები ეროვნულ ვალუტაში 59%-ით გაიზარდა, უცხოურ ვალუტაში - 50%-ით. 2000 წლის დასაწყისისთვის უცხოურ ვალუტაში ერთ წელზე მეტი ვადიანი დეპოზიტების წილი მთლიანად ვადიან დეპოზიტებში 9-დან 13,5%-მდე გაიზარდა. მთლიან ვადიან დეპოზიტებში ერთ წელზე მეტი ვადიანი დეპოზიტების წილი წლის განმავლობაში 4-4,5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა, რაც საკმაოდ დიდი მაჩვენებელია. მოკლევადიანი დეპოზიტების წილი 2-7 პროცენტული პუნქტით შემცირდა. 2000 წლის განმავლობაში გრძელვადიანი სესხების წილი კომერციული ბანკების ეკონომიკის მიმართ დავალიანებაში 18-დან 26%-მდე გაიზარდა. საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე შემცირდა 1-2 პროცენტული პუნქტით, სესხებზე - 3-5 პროცენტული პუნქტით, ანუ შემცირდა მართვა მათ შორის, რაც რისკიანობის შემცირებაზე მეტყველებს.[77]

(ფულად-საკრედიტო პოლიტიკის წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საწინდარია საბანკო სისტემის კაპიტალიზაციის გაუმჯობესება. ამ მიმართულებით არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან მინიმალური საწესდებო კაპიტალის 2001 წლისთვის 5 მლნ. ლარამდე ზრდის მოთხოვნას, რაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს ემყარებოდა. მანამდე მოქმედი 43 კომერციული ბანკიდან ამჟამად ფუნქციონირებას აგრძელებს 37. ეს იმას ნიშნავს, რომ მინიმალური საწესდებო კაპიტალისადმი გაზრდილი მოთხოვნების მიუხე-

---

[76] საქართველოს ეროვნული ბანკის ყოველკვირეული ბიულეტენი, 2001, №14(32), გვ.1.

[77] იქვე.

დავად, კომერციული ბანკების მასობრივი შემცირება, როგორც ეს ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში მოხდა, ჩვენთან არ მომხდარა.

კაპიტალიზაცია კომპანიის მიერ გამოშვებული ყველა ფასიანი ქაღალდის საერთო ჯამურ ღირებულებას გამოხატავს. იგი მოიცავს ობლიგაციებს, ვალის წერილობით ვალდებულებებს, პრივილეგირებულ და ჩვეულებრივ აქციებს, სარეზერვო კაპიტალს. ბანკების კაპიტალიზაციის მთავარი ფაქტორებია შემოსავლების, მოგების ზრდა და გარედან კაპიტალის მოზიდვა. საბოლოო ანგარიშით, იგი ისეთი პროცესებით აისახება, როგორიც არის: ბანკების მიერ გახორციელებული დაფინანსების სოციალური და დარგობრივი სტრუქტურის დინამიკა; სესხების საპროცენტო განაკვეთების დინამიკა; ვადიანი დეპოზიტების დინამიკა; დეპოზიტების დინამიკა; საკრე-

ცხრილი 40

საქართველოს კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაფინანსება

№	ეკონომიკის დავალიანება	1996	1997	1998	1999	2000
1.	სულ, ათასი ლარი	111834	169157	224084	280793	423274
2.	სახელმწიფო სექტორი, ათასი ლარი	20355	19293	21608	32204	34390
	პროცენტულად ჯამთან	18,2	11,4	9,6	10,7	8,1
3.	კერძო სექტორი, ათასი ლარი	91479	148864	202476	278081	388884
	პროცენტულად ჯამთან	81,8	88,6	90,4	89,7	91,9

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები

დიტო რესურსების აუქციონებზე გარიგებათა მოცულობისა და საპროცენტო განაკვეთების დინამიკა.

საბანკო კაპიტალიზაციის ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საბანკო სისტემის შემოსავლების ზრდა. მისმა წმინდა მოგებამ 1998 წელს 22,4, ხოლო 1996 წელს 23,9 მლნ. ლარი შეადგინა, კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაფინანსება იზრდება როგორც სახელმწიფო, ასევე, კერძო სექტორის მიხედვითაც. 1996-1999 წლებში სახელმწიფო და

კერძო სექტორების დაფინანსება 112-დან 281 მლნ. ლარამდე გაიზარდა. აქედან სახელმწიფო სექტორის დაფინანსება 18,2-დან 10,7%-მდე შემცირდა, ხოლო კერძო სექტორის დაფინანსება პირიქით - 81,8-დან 89,7%-მდე გაიზარდა (იხ. ცხრილი 40). აქედან ჩანს, რომ ეკონომიკის დაფინანსების ზრდის ტემპი თითქოს მაღალია. იგი ამ პერიოდში 2,5-ჯერ გაიზარდა. ამასთან, უფრო მეტად - 3-ჯერ, გაიზარდა კერძო სექტორის დაფინანსება, მაგრამ მაინც, აბსოლუტური მოცულობის თვალსაზრისით, ეს სიდიდეები, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის, რადგანაც ქვეყნის ეკონომიკის ინტენსიური განვითარება გაცილებით უფრო დიდი მასშტაბის კაპიტალური დაბანდებების გახორციელებას მოითხოვს.

ცხრილი 41

კომერციული ბანკების სესხების საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთების დინამიკა

სესხების საპროცენტო განაკვეთები (% წლიური)	1996	1997	1998	1999	2000
1. ეროვნულ ვალუტაში:					
მოკლევადიანი	77	45	39	26	23
გრძელვადიანი	58	31	29	27	24
სულ	76	45	38	26	18
2. უცხოურ ვალუტაში:					
მოკლევადიანი	73	53	42	32	27
გრძელვადიანი	38	32	25	22	30
სულ	73	49	39	30	20

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები, ბიულეტენი № 1 2001 წ. გვ. 37.

დადებითი ძვრებით ხასიათდება დაფინანსების დარგობრივი სტრუქტურაც. კერძო სექტორში დაფინანსების ყველაზე უფრო მაღალი ტემპით ვაჭრობა გამოირჩევა, სადაც იგი 2,7-ჯერ ანუ 70-დან 189 მლნ. ლარამდე გაიზარდა. იმავდროულად იზრდებოდა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დაფინანსებაც. მათი დაფინანსება გაიზარდა, შესაბამისად, 1,4 და 11-ჯერ, რაც პრივატიზების გაგრძელებასთან ერთად ამ დარგების შემდგომი განვითარების პერსპექტივებს ქმნის. დადებითი ტენდენციებით ხასიათდება კო-

მერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთების დინამიკაც. კერძოდ, მოკლევადიანი სესხების საპროცენტო განაკვეთები ეროვნულ ვალუტაში 1996-1999 წლებში 77-დან 26%-მდე შემცირდა, გრძელვადიანი სესხების - 58-დან 27%-მდე, ხოლო უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად, 73-დან 32%-მდე და 38-დან 22%-მდე. მაგრამ მიღწეული, ცხადია, საკმარისი არ არის, რადგანაც საპროცენტო განაკვეთები მაინც შედარებით მაღალია და საწარმოთა ინვესტიციურ აქტივობას საკმარისად ვერ ასტიმულირებს. მით უმეტეს, გრძელვადიანი სესხები ბანკების მთლიან საკრედიტო პორტფელში კვლავ მცირეა და საშუალოდ 15 პროცენტს შეადგენს.

იზრდება დეპოზიტების მოცულობაც. 1995-1999 წლებში

ცხრილი 42

კომერციული ბანკების ვადიანი დეპოზიტების მოცულობა და სტრუქტურა (ათასი ლარი)

დეპოზიტების სახეები	1995	1996	1997	1998	1999	2000
სადეპოზიტო ვალდებულებები სულ	57672	82020	133176	156350	208343	303 248
	100%	100%	100%	100%	100%	100%
მათ შორის:						
1. მიმდინარე ანგარიშები	43355	56490	69889	89828	106956	149556
	75,2%	68,9%	52,5%	57,5%	51,3%	49,3
2. იურიდიული პირების	315	2225	16736	19942	29864	31197
ვადიანი დეპოზიტები	0,5%	2,7%	12,6%	12,8%	14,3%	10,3
3. ფიზიკური პირების ანაბრები	10374	19985	44102	42688	65584	108405
	18,0%	24,4%	33,1%	27,3%	31,5%	35,7
4. სხვა დეპოზიტები მოთხოვნამდე	3628	3320	2449	3891	5943	14090
	6,3%	4,0%	11,8%	2,5%	2,9%	4,6

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

იგი 57 672-დან 208 343 ათას ლარამდე, ანუ 3,6-ჯერ გაიზარდა, რაც ბანკებისადმი ნდობის გაძლიერებაზე მეტყველებს. ამასთან, შედარებით ნელა იზრდება მიმდინარე ანგარიშების მოცულობა (სულ 2,5-ჯერ, აღნიშნულ პერიოდში), რის გამოც მისი წილი დეპოზიტების საერთო მოცულობაში 75,2-დან 51,3%-მდე შემცირდა. სამაგიეროდ, სწრაფად იზრდება იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების

წილი, რის გამოც მათი წილი ვადიანი დეპოზიტების საერთო მოცულობაში გაიზარდა, შესაბამისად, 0,5-დან 14,3%-მდე და 18,0-დან 31,5%-მდე. ეს ტენდენცია, უდავოდ, დადებითი მოლოდინისა და მეურნე სუბიექტების საინვესტიციო განწყობაზე მიუთითებს.

საბანკო სისტემაში დეპოზიტების მოცულობის ზრდა, ბუნებრივია, სადეპოზიტო განაკვეთების შემცირებას განაპირობებს, როგორც მიმდინარე ანგარიშებზე, ასევე ვადიან დეპოზიტებზე. კომერციული ბანკების დეპოზიტების საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთები ეროვნულ ვალუტაში 40,0-დან 4,0%-მდე, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 19,0-დან 13,0%-მდე შემცირდა.

ორივე ტენდენცია, კომერციული ბანკების სესხების სა-

ცხრილი 43

კომერციული ბანკების დეპოზიტების საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთების დინამიკა (% წლიური)

საპროცენტო განაკვეთები	1996	1997	1998	1999	2000
ეროვნულ ვალუტაში:					
1. მოკლევადიანი	0,4	12	9	5	4
2. გრძელვადიანი	44	9	7	2	2
სულ	40	12	9	4	3
უცხოურ ვალუტაში:					
1. მოკლევადიანი	19	24	15	13	10
2. გრძელვადიანი	30	29	28	13	11
სულ	19	24	15	13	11

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

შუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთების შემცირებისა და მის პარალელურად, სადეპოზიტო განაკვეთების კლება საბანკო სისტემის ლიკვიდობისა და მდგრადობის ხარისხის ამაღლების მაჩვენებელია.

ამასთან, საბანკო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ბანკთაშორის სესხებზე დამოკიდებულების ხარისხსაც ენიჭება. რაც უფრო მეტად არის იგი ამ სესხებზე დამოკიდებული, მით უფრო მცირეა შიდა კრედიტის მოცულობა და საბანკო სისტემის უნა-

რი, მოიზიდოს გარედან თავისუფალი ფულადი რესურსები, როგორც ცხრილი 43 -დან ჩანს, 1998 წლიდან კვლავ შეინიშნება 7-დღიან კრედიტებზე მოთხოვნის ზრდა. ამ სახის კრედიტებს კი ბანკები, როგორც წესი, სალაროს გამაგრებისთვის იყენებენ, რაც, ძირითადად, თავისუფალი ფულადი სახსრების დეფიციტითა და საბანკო არხებს გარეთ მბრუნავი ფულადი მასის მაღალი პროცენტული წილით (საშუალოდ 80%) არის გამოწვეული. თუმცა, იმავდროულად ნაღდ ფულზე მოთხოვნის ზრდა ეკონომიკური აქტივობის ამაღლებაზეც მიუთითებს, რადგანაც საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების მასშტაბები შედარებით მოკრძალებულია. 2000 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, ბანკთაშორისი საკრედიტო რესურსების აუქციონების ბრუნვის საერთო მოცულობამ 65 447 ათასი ლარი შეადგინა. მათ შორის, ეროვნული ბანკის ხვედრითი წონა 64,7% იყო, იყიდა 41 396 ათასი ლარი და გაყიდა 959 ათასი. თუმცა, კომერციული ბანკები სხვა კომერციულ ბანკებზე სესხებს პირდაპირ, აუქციონის გარეშეც გასცემენ: 1998 წელს აუქციონზე გაიცა 48 784 ათასი ლარი საკრედიტო რესურსი, აუქციონის გარეშე - 40 801 ათასი, 1999 წელს, შესაბამისად - 31 757 და 44 151, ხოლო 2000 წელს - 53 771 და 25 967 ათასი ლარი. მაშასადამე, აუქციონების მეშვეობით გაცემული სესხები მაინც მნიშვნელოვნად სჭარბობს მის გარეშე გაცემულ სესხებს. ეს იმიტომ, რომ კომერციული ბანკები პრიორიტეტს იაფ, მაგრამ გარანტირებულ შემოსავლებს ანიჭებენ.

საკრედიტო რესურსების ბაზარზე გარიგებების მოცულობასა და საპროცენტო განაკვეთებზე გაცვლითი კურსის, სავალდებულო რეზერვებისა და სახაზინო ვალდებულებების დინამიკა უშუალოდ ზემოქმედებს. 1998 წლის დასასრულიდან, ლარის კურსის მკვეთრ ცვლილებებთან დაკავშირებით, ბანკებმა თავისუფალი რესურსები უპირატესად სავალუტო ბაზარზე მიმართეს. სავალუტო რისკის დაზღვევის მიზნით, ბანკები გრძელვადიან სესხებს, ძირითადად, უცხოურ ვალუტაში გასცემენ. კრიზისამდე პერიოდში ბანკების

ცხრილი 44

ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების აუქციონზე გარიგებათა მოცულობა და საპროცენტო განაკვეთების დინამიკა

საკრედიტო რესურ-სების აუქციონი	7 დღე	30 დღე	90 დღე	სარეზერვო განაკვეთი %
1995				18%
ბრუნვა ათასი ლარი	2735,9			
საშუალო % წლიური	48%			
1996				15%
ბრუნვა ათასი ლარი	22247,1	11623,92	7352,58	
საშუალო % წლიური	17%	41%	37%	
1997				12%
ბრუნვა ათასი ლარი	24654	23797,05	11218,35	
საშუალო % წლიური	19%	31%	22%	
1998				16%
ბრუნვა ათასი ლარი	13457,3	28371,7	25050,5	
საშუალო % წლიური	40%	40%	35%	
1999				16%
ბრუნვა ათასი ლარი	29350,0	1595,0	0	
საშუალო % წლიური	29%	34%	-	
2000				14%
ბრუნვა ათასი ლარი	41658,0	28957,0	217,0	
საშუალო % წლიური	18%	17%	20%	

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

საკრედიტო პორტფელები ლარსა და უცხოურ ვალუტაზე თითქმის თანაბრად ნაწილდებოდა. მაგრამ შემდგომ პერიოდში უცხოური ვალუტით გაცემული ვადიანი სესხების 80%-ზე მეტი ისევ უცხოური ვალუტით გაიცემა. ამასთან, საკრედიტო რესურსების პროცენტების სიდიდეზე სავალუტო კურსის მცირეოდენი ცვლილებაც კი აისახება. იგივე უნდა ითქვას სავალდებულო სარეზერვო განაკვეთთან დამოკიდებულებაზე. 2000 წელს ეროვნულმა ბანკმა ეს უკანასკნელი 16-დან 14%-მდე შეამცირა და 1 ოქტომბრიდან მასზე პროცენტის დარიცხვა შეწყვიტა. შესაბამისად, შემცირდა საკრედიტო აუქციონების საპროცენტო განაკვეთები.

საერთო ჯამში, ბანკთაშორის საკრედიტო რესურსებზე მოთხოვნისა და შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთების შემცირება საბანკო სისტემის ბანკთაშორის საკრედიტო რე-

სურსებისადმი დამოკიდებულების შემცირებასა და ალტერ-ნატიული წყაროების გაჩენაზე მიუთითებს. ეს კი მოსახლე-ობისა და კერძო სექტორის დანაზოგების ზრდით არის გა-მოწვეული. ამჟამად, საკრედიტო რესურსების აუქციონებს კომერციული ბანკები მხოლოდ მოკლევადიანი ლიკვიდო-ბის დარეგულირებისთვის იყენებს.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლე-ბისთვის, კომერციული ბანკების მოკლევადიანი ლიკვიდო-ბის პრობლემის გადაწყვეტისთვის, საკრედიტო რესურსების აუქციონების გარდა, ეროვნულ ბანკს ოთხი ინსტრუმენტი გააჩნია: 3 დღემდე ვადით კრედიტები, ლომბარდული კრე-დიტები, უკურეპო და სარეაბილიტაციო სესხები. 3 დღემდე ვადით კრედიტებისა და ლომბარდული კრედიტების საგა-რანტიო უზრუნველყოფას სახელმწიფო ფასიანი ქაღალდე-ბი წარმოადგენს. ამიტომ საპროცენტო განაკვეთების გაან-გარიშებისას გამოიყენება სახაზინო ვალდებულებების პირ-ველად აუქციონზე დადგენილი საპროცენტო განაკვეთები. რეპო აუქციონი ერთი ფასის გამოცხადების მეთოდს ემყა-რება. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მეორეული ბაზ-რის ჩამოყალიბებამდე საპროცენტო განაკვეთის გამოთვლა საკრედიტო რესურსების აუქციონების საპროცენტო განაკ-ვეთებს ეფუძნება. რეპო სესხის სარგებლობის ფასია, ბოლო საკრედიტო აუქციონზე დადგენილ საპროცენტო განაკვეთს პლუს ერთი პუნქტი, ხოლო საანგარიშსწორებო ფასი – საკ-რედიტო აუქციონზე დადგენილ საპროცენტო განაკვეთს და-მატებული ხუთი პუნქტი. ამავე დროს, საქართველოს ეროვ-ნული ბანკის ორგანული კანონის 62-ე მუხლის თანახმად, ეროვნული ბანკი, როგორც ბოლო ინსტანციის კრედიტორი, კომერციულ ბანკებზე გასცემს სარეაბილიტაციო სესხებს. ეს უკანასკნელნი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ კანონის 33-ე მუხლში მითითებული აქტივებით, თუმცა ეროვნულ ბანკს შეუძლია გასცეს კრედიტი ან ვალდებულება უგარან-ტიოდ, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ სარეაბილიტაციო სესხებზე საკრე-დიტო აუქციონებზე დადგენილი საპროცენტო განაკვეთები

გამოიყენება.[78]

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგიანობა, საბოლოოდ, მეურნეობის ფულით უზრუნველყოფაში გამოიხატება. ჭარბი ფულის მასა მიმოქცევაში ინფლაციას იწვევს, ხოლო მისი ნაკლებობა ეკონომიკურ ზრდას სერიოზულად აფერხებს. ამიტომ, იგი განსაკუთრებით დიდ ყურადღებას იმსახურებს. 1995-2000 წლებში ნაღდი ფულის გამოშვებას მიმოქცევის არხებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, შემდეგი სახე ჰქონდა:

1995 წელი - 131 365 ათასი ლარი,
1996 წელი - 165 574 ათასი ლარი,
1997 წელი - 254 555 ათასი ლარი,
1998 წელი - 221 976 ათასი ლარი,
1999 წელი - 259 772 ათასი ლარი,
2000 წელი - 303 810 ათასი ლარი.

როგორც ჩანს, 2000 წელს მიმოქცევის არხებში ნაღდი ფულის მთლიანი მოცულობა წინა წლებთან შედარებით შემდეგია: 1995 წელთან შედარებით - 193%, 1996 წელთან შედარებით - 153%, 1997 წელთან შედარებით - 99%, 1998 წელთან შედარებით - 114%, 1999 წელთან შედარებით - 117%. მიმოქცევის არხებში ფულის მასის ზრდა საანალიზო პერიოდის ყოველ მომდევნო წელს შემდეგია:

1996 წელს - 1995 წელთან შედარებით - 126%,
1997 წელს - 1996 წელთან შედარებით - 153%,
1998 წელს - 1997 წელთან შედარებით - 87%,
1999 წელს - 1998 წელთან შედარებით - 117%,
2000 წელს - 1999 წელთან შედარებით - 117%.

ფულის მასის ზრდის შედეგად იზრდება მოსახლეობის ხელთ არსებული ფულის რაოდენობაც: 1995 წ. საქართვე-

---

[78] იხ.საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებათა რეპო ოპერაციების შესახებ დამტკიცებულ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. დებულება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებისთვის სამ დღემდე ვადით კრედიტის გაცემისა და დაფარვის შესახებ. - ჟურნალი „ბანკი", 2001, №1, გვ.59-63.

ლოს ერთ სულ მოსახლეზე მოდიოდა 29 ლარი, 1996 წელს - 45, 1997 წელს - 56, 1998 წელს - 49, 1999 წელს - 56, 2000 წელს - 68 ლარი. ზრდა აშკარაა.

მაგრამ ფულის მასის ოპტიმალობა, მთლიან შიდა პროდუქტთან შედარებით ფასდება. განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი ამ უკანასკნელის 40-50%-ის დონეზეა, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში იგი კიდევ უფრო მაღალია. მაგალითად, იაპონიაში მიმოქცევაში არსებული ფულის მასის ღირებულება ამ ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტს აღემატება. საქართველოში ეს მაჩვენებელი შეადგენდა, შესაბამისად: 1996 წელს - 4%-ს, 1997 წელს - 5%-ს, 1998 წელს - 4,5%-ს, 1999 წელს - 4,7%-ს, 2000 წელს - 4,9%-ს[79]. აქედან ჩანს, თუ რაოდენ შორსაა ეს მაჩვენებელი ოპტიმალური თანაფარდობისგან.

ამავე დროს, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფულის მასა 2000 წლის ბოლოსთვის გაიზარდა 70,9 მლნ. ლარით და შეადგინა 314,9 მლნ. ლარი. ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფულის წილი ფართო ფულის მასაში (M3 1995 წლიდან თითქმის ორჯერ გაიზარდა და 2000 წელს 84% შეადგინა). აქედან გამომდინარე, ეკონომიკის სათანადო მოცულობის ფულით უზრუნველყოფა, ანუ ფართო ფულის ზრდა, უპირატესად, უნდა მოხდეს არა სარეზერვო ფულის ზრდის მეშვეობით, არამედ ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფულის (როგორც ლარის, ასევე უცხოური ვალუტის) საბანკო არხებში მოქცევითა და საბანკო დაწესებულებების საშუამავლო ფუნქციის გაძლიერების შედეგად, ფულის მულტიპლიკატორის ზრდის მეშვეობით. 1996-2000 წლებში M3-ის მულტიპლიკატორი 1.23-დან 1.63-მდე გაიზარდა, ხოლო M2-ის მულტიპლიკატორი 1.04-დან 0.98-მდე შემცირდა[80]. მაშასადამე, ფულით

---

[79] საქართველოს ეროვნული ბანკი. ყოველკვირეული ბიულეტენი, 2001, №3, გვ.1; ჟურნალი „ბანკი", 2000, №3, გვ.14.

[80] საქართველოს ეროვნული ბანკი. მონიტორული და საბანკო სტატისტიკის ბიუჯეტები, 1995, №5, გვ. 8; 2001, №4, გვ. 8.

ეკონომიკის უზრუნველყოფის რეზერვები ამ მიმართულებებით საკმაოდ დიდია.

ამგვარად, განვლილ პერიოდში ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ფრიად მნიშვნელოვანი დადებითი შედეგებით ხასიათდება. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: დამოუკიდებელი ფულადი სისტემის ჩამოყალიბება, ლარის საფუძველზე, რაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის განმტკიცების აუცილებელი საწინდარია; ლარის კურსის მდგრადობის მისაღწევად და ინფლაციის დასაძლევად ეროვნული ბანკის მიერ ეფექტიანი პოლიტიკის გახორციელება; ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტარიუმის განუხრელი დივერსიფიკაცია, რაც მომავლისთვის პერსპექტიულია.

მაგრამ ამასთან ერთად, სახეზეა მრავალი გადასაწყვეტი პრობლემაც. საქმე ის არის, რომ დღემდე ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, უპირატესად, ანტიინფლაციური ხასიათისაა. ეს ძალიან კარგია, მისასალმებელია, მაგრამ სრულიად არასაკმარისი. მას სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქციაც აკისრია – ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის ფუნქცია. ამ ფუნქციას კი იგი, ჯერჯერობით, დამაკმაყოფილებლად ვერ ასრულებს.

8.3. სადაზღვევო ბაზრის წარმოშობა

საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება შეუძლებელია სადაზღვევო ბაზრის გარეშე. ეს გამოწვეულია შემდეგი ძირითადი მიზეზებით: საჭიროა მოსახლეობისა და მეურნე სუბიექტების დაცვა რისკებისგან, მათ შორის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, კეთილდღეობის დაცვის ორგანიზაცია; ეკონომიკის განვითარებისთვის ინვესტიციების დასაფინანსებლად, აუცილებელია სადაზღვევო კომპანიების დროებით თავისუფალი რესურსების გამოყენება.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ დაზღვევა თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სექტორია. იგი სამი სადაზღვევო ფონდის შექმნით ხორციელდება: თვითდაზღ-

ვევის, სადაზღვევო-სარეზერვო ფონდისა და მზღვეველის სადაზღვევო ფონდის მეშვეობით. თვითდაზღვევა განისაზღვრება მეურნე სუბიექტების ეკონომიკური შესაძლებლობებით, ცენტრალიზებული სადაზღვევო ფონდები დამახასიათებელი იყო სოციალისტური მეურნეობისთვის. საბაზრო მეურნეობის პირობებში, აქტიურად ვითარდება დაზღვევის სხვადასხვა სახე. თუმცა, საქართველოში ეს პროცესი დაგვიანდა და ჯერ კიდევ სუსტია, მოსახლეობისა და საწარმოების მწირი ფინანსური რესურსების გამო. სადაზღვევო სფეროს განვითარება დაჩქარდა 1997 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ **„დაზღვევის შესახებ"** კანონის მიღებით, სადაც გაცხადებულია სადაზღვევო საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირების ძირითადი პრინციპები და მიმართულებები.

სადაზღვევო ფონდების ფუნქციონირების საფუძველია კომპლექსურობის, მრავალფეროვნების, მონაწილეთა ინტერესების დაცვის პრინციპები. დაზღვევა პრინციპულად განსხვავდება ფინანსებისა და კრედიტისგან. იგი წარმოადგენს ეკონომიკური ურთიერთობების სისტემას, რომელიც მოიცავს იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ შენატანების საფუძველზე ფინანსური სახსრების სპეციალური ფონდის შექმნას, მის გამოყენებას ზარალის ანაზღაურებისთვის სტიქიური უბედურებების ან სხვა არახელსაყრელი მოვლენების შედეგად, ასევე, მოქალაქეებისთვის დახმარების გაწევას მათ ცხოვრებაში სხვადასხვა სადაზღვევო მოვლენის დადგომასთან დაკავშირებით.

თუ ფინანსებისთვის დამახასიათებელია ფულადი სახსრების ფორმირება, დაზღვევა შეიძლება იყოს ნატურალურიც. მისი დამახასიათებელი თავისებურებაა, დაინტერესებულ მონაწილეებს შორის ზარალის განაწილება. კრედიტს დაზღვევა იმითაც ემსგავსება, რომ რესურსები დაზღვევის შემთხვევაშიც უნდა დაბრუნდეს. შენატანების დიდი ნაწილი ბრუნდება სადაზღვევო.შემთხვევის დადგომისთანავე. მიუხედავად ამ მსგავსებისა, დაზღვევას მაინც საკუთარი ფუნქციები გააჩნია, რომელთაგან აღსანიშნავია შემდეგი:

- ფულადი სახსრების სპეციალიზებული სადაზღვევო ფონდის ჩამოყალიბება;

- ზარალის ანაზღაურება და მოქალაქეთა პირადი მატერიალური უზრუნველყოფა;

- სადაზღვევო შემთხვევის პროფილაქტიკა და უბედური შემთხვევებისა და სტიქიური უბედურებებისგან გამოწვეული ზარალის შემცირება;

- მატერიალური ზარალის ჩაკეტილი განაწილება სადაზღვევო ფონდში მობილიზებული სახსრების დაბრუნების საფუძველზე.

ამგვარად, დაზღვევა წარმოადგენს განსაკუთრებულ, ჩაკეტილ, განაწილებით ურთიერთობათა ერთობლიობას, მისი მონაწილეების მიერ მიზნობრივ სადაზღვევო ფონდში ფულადი შენატანების ფორმირების გზით. მისი დანიშნულებაა, სამეურნეო სუბიექტებისთვის, ან საოჯახო მეურნეობის შემოსავლებისთვის სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის დაფარვის უზრუნველყოფა.[81] დაზღვევის პროცესის ძირითადი მონაწილეებია: დამზღვევი, მზღვეველი და დაზღვეული. სადაზღვევო რეზერვები, რომლებიც მზღვეველების მიერ იქმნება, საგადასახადო დაბეგვრას არ ექვემდებარება. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს დაზღვევის სწრაფ განვითარებას დასავლეთის ქვეყნებში, სადაც, საპენსიო ფონდებთან ერთად, იგი უძლიერეს ინსტიტუციურ ინვესტორებადაა ცნობილი და ინვესტიციების დაფინანსების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს წარმოადგენს.

სადაზღვევო ბაზრის ფორმირება, ტრადიციულად, საბანკო, საკრედიტო ბაზრების ჩამოყალიბების შემდეგ ხდება. სადაზღვევო საქმის განვითარება იმ ეკონომიკურ პირობებს ემყარება, რომლებსაც საბანკო, საკრედიტო ორგანიზაციები ქმნიან. საქართველოში ეს პროცესები, ფაქტობრივად, ერთდროულად მიმდინარეობს და მათი ინტენსიურობა ეკონომიკური ზრდის კვალობაზე გაძლიერდება. ამიტომ, აუცილებლად გასათვალისწინებელია ქვეყნის თავისებურება-

---

[81] **რ.კაკულია.** ფინანსების ზოგადი თეორია. თბილისი, 2001, გვ.360.

ნი, განვითარების სადღეისო და სამომავლო ინტერესები.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების სრულყოფას. მართალია, უკვე მიღებულია არაერთი საკანონმდებლო აქტი, მაგრამ პრობლემა ამით არ ამოიწურება. ფრიად მწვავეა საკუთრების სხვადასხვა ფორმის სადაზღვევო კომპანიის საქმიანობის სამართლებრივი პირობების განსაზღვრა და ურთიერთობის მოწესრიგება. ბაზარზე შეიძლება მოქმედებდნენ სახელმწიფო სადაზღვევო ორგანიზაციები, აქციონერული კომპანიები, ურთიერთდაზღვევის საზოგადოებები და ა.შ. მაგრამ ყველა სადაზღვევო ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს დაზღვევის სახეობის შერჩევის ერთნაირი უფლება. მათი საქმიანობის ძირითადი პრინციპია – დამზღვევის, მზღვეველისა და დაზღვეულის ინტერესების დაცვა, გადახდის გარანტიის უზრუნველყოფა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას. ასეთი რეგულირების მექანიზმი უნდა იყოს სადაზღვევო ზედამხედველობის გახორციელება და სატარიფო და საგადასახადო პოლიტიკა. სადაზღვევო კომპანიებს შორის კონკურენციის საფუძველზე, სახელმწიფომ უნდა არეგულიროს დაზღვევის აუცილებელ სახეებზე უფლებების განაწილება. ამასთან, სახელმწიფომ შეღავათიანი დაბეგვრის პირობებით უნდა ასტიმულიროს დაზღვევის იმ სახეების განვითარება, რომლებიც შეიძლება ამჟამად არარენტაბელურია, მაგრამ დიდია მისი სოციალური მნიშვნელობა.

სხვა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დაზღვევის ნებაყოფლობით და სავალდებულო სახეებს შორის ოპტიმალური თანაფარდობის უზრუნველყოფა. ნებაყოფლობითი დაზღვევა ხორციელდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მისი სახეობები, პირობები, გახორციელების წესები მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული ხელშეკრულებებით განისაზღვრება. სავალდებულო დაზღვევისას დაზღვევის ობიექტი, სახეობები და გახორციელების წესი განისაზღვრება კანონის ძალით და სავალდებულოა მზღვეველსა და დამზღვევს შორის სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისას. საქართველოში სავალდებულო წესით ხორციელდება:

– მოქალაქეთა მფლობელობაში არსებული ქონების სა-

ვალდებულო დაზღვევა (საცხოვრებელი სახლები, შენობები, პირუტყვი);

- იჯარით გაცემული შენობა-ნაგებობების სავალდებულო დაზღვევა;
- მგზავრთა სავალდებულო დაზღვევა ტრანსპორტზე;
- მოქალაქეთა სავალდებულო სამედიცინო დაზღვევა.

დანარჩენი სახის ქონებრივი და პირადი დაზღვევა ხორციელდება ნებაყოფლობის საფუძველზე, მაგრამ თანამედროვე პირობებში სულ უფრო აქტუალური ხდება ეკონომიკური სისტემის დაზღვევის გაფართოება. საქართველოში დღემდე მას შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა. მხედველობაში გვაქვს ისეთი სპეფიციკური რისკები, როგორიც არის: საბანკო კრედიტების დაზღვევა; საბირჟო ოპერაციებისა და გარიგებების დაზღვევა; საგირავნო ოპერაციების დაზღვევა, საექსპორტო სესხების დაზღვევა; სავალუტო კურსის მერყეობით მიღებული ზარალის დაზღვევა; ინფლაციისგან დაზღვევა; ბოროტმოქმედების შედეგად მიღებული ფინანსური ზარალის დაზღვევა; ტვირთების დაზღვევა; სამეწარმეო რისკის დაზღვევა; ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების რისკის დაზღვევა. მოსალოდნელი რისკის დაზღვევა ეკონომიკის განვითარებისა და გლობალიზაციის გაღრმავების კვალობაზე სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ამიტომ, მათ ინსტიტუციურ და ეკონომიკურ უზრუნველყოფას დღეს უკვე არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

სადაზღვევო ბაზრის ფორმირების მესამე უმნიშვნელოვანესი პრობლემაა განსაკუთრებით მაღალი რისკების დაზღვევის ორგანიზაცია. ასეთია: გლობალიზაციასთან დაკავშირებული რისკი, მათ შორის ინფორმაციულ ომებთან, სახელმწიფოთაშორისი ფინანსური ნაკადების მოძრაობასთან დაკავშირებით; გლობალურ პრობლემებთან დაკავშირებული რისკი, მათ შორის კლიმატის შეცვლასთან, ეკოლოგიურ კატასტროფებთან, ახალი ავადმყოფობების გავრცელებასთან დაკავშირებით; ქვეყნის მთავრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკასთან დაკავშირებული რისკი.

მეოთხე უმნიშვნელოვანესი პრობლემაა საზღვარგარეთული კომპანიების მოზიდვა საქართველოს სადაზღვევო ბა-

ზარზე. მართალია, ამ მიმართულებით პირველი დამაიმედებელი ნაბიჯები უკვე გადაიდგა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არასაკმარისია.

სადაზღვევო ბაზრის ფორმირება საქართველოში მხოლოდ საწყის ეტაპზეა. მის განვითარებას აფერხებს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ცხოვრების დაბალი დონე, შემოსავლებისა და დანაზოგების სიმცირე. სადაზღვევო ბაზრის ფინანსური შოცულობა ძალიან მცირეა. ასევე, მცირეა სადაზღვევო კომპანიების საწესდებო კაპიტალიც. ამიტომ არის, რომ დაზღვევა ჯერ კიდევ ვერ გახდა ქვეყნის ინვესტიციების წყარო, მაგრამ სადაზღვევო ბაზრის განვითარება ობიექტური მოთხოვნაა. ამიტომ, მისი ფორმირების დაჩქარება სახელმწიფო პოლიტიკისა და კერძო სექტორის ერთ-ერთი გადაუდებელი ამოცანაა.

დაზღვევა ეკონომიკური კონიუნქტურის გაუარესებისგან თავდაცვის, ინვესტიციების დაფინანსების, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ეფექტიან საშუალებად უნდა გადაიქცეს. ამას მსოფლიო გამოცდილება ადასტურებს და საქართველო გამონაკლისი არ უნდა იყოს.

8.4. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირება

ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში ჩამოყალიბების პროცესშია. ერთდროულად ფორმირდება როგორც მისი ელემენტები, ასევე ინფრასტრუქტურა. იგი საბანკო კრედიტების ბაზართან ერთად ფინანსური ბაზრის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია.

ფინანსური ბაზარი საბაზრო ურთიერთობების ის სფეროა, სადაც ქვეყნის ფულად რესურსებზე მოთხოვნა-მიწოდება ყალიბდება და ამავე დროს ხორციელდება მათი მოძრაობა კაპიტალით წარმოებრივი და არასაწარმოებრივი ინვესტიციების დაფინანსების მიზნით. საქმე ის არის, რომ ნებისმიერ ეკონომიკაში არსებობს დამატებითი ფულადი რესურსების მოზიდვის აუცილებლობა ინვესტირებისთვის.

იმავდროულად, არსებობს თავისუფალი ფულადი რესურსებიც, რომლებიც მომგებიანი დაბანდების სფეროს ეძებს. ფულადი რესურსების დეფიციტიცა და სიჭარბეც ერთდროულად არსებობს ეკონომიკის რეალურ სექტორებშიც – საწარმოებშიც (ფირმებში), სახელმწიფო სექტორშიც – საბიუჯეტო სახსრებისა და არასაბიუჯეტო ფონდების მოძრაობისას და მოსახლეობაშიც. ფინანსური ბაზარი ასრულებს შუამავლის როლს თავისუფალ ფულად სახსრებსა და ინვესტორების ობიექტებს შორის. აქედან გამომდინარე, მისი ძირითადი ფუნქციებია: ფულის აკუმულაცია, განაწილება და გადანაწილება მთელი ეკონომიკის მასშტაბით.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, საქართველოში, ისევე როგორც სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, 90-იანი წლების დასაწყისში ორი ძირითადი ამოცანა წამოიჭრა: საკუთრებითი ურთიერთობების რეფორმირებისა და ეკონომიკური განვითარების ფინანსური წყაროების ფორმირების ამოცანა. მაგრამ რაც დრო გადის, მით უფრო აქტიური ხდება საქართველოში ფინანსური ბაზრის ჩამოყალიბება. საქართველოს მაგალითმა გვიჩვენა, რომ საკუთრებითი ურთიერთობების გარდაქმნა ეფექტიანი ფინანსური ბაზრის გარეშე, ძალზე უარყოფით შედეგებს იწვევს. კომერციული ბანკები საწარმოებთან, ორგანიზაციებთან ურთიერთობებს მხოლოდ კომერციულ საფუძველზე აგებენ. მაგრამ, ტრანსფორმაციული კრიზისი, წარმოების დაცემა, მაღალი ინფლაცია აძვირებს კრედიტს, ხოლო მოთხოვნა მასზე თავისი სტრუქტურით არ შეესაბამება მიწოდებას. ბანკებისთვის უფრო მომგებიანია მოკლევადიანი კრედიტები, მაშინ როდესაც წარმოებისთვის საჭიროა საშუალოვადიანი და გრძელვადიანი სესხები. სწორედ, ფინანსური ბაზრის განუვითარებლობითაა გამოწვეული არგადახდები, გადასახადებისგან თავის არიდება, საწარმოების ფინანსური უძლურების გაფართოება, რაც თანამედროვე საქართველოს დამახასიათებელი თავისებურება გახდა. აქაც თავისებური დახშული წრე ჩამოყალიბდა: ფინანსური ბაზრის განუვითარებლობა, მისი მაღალი რისკი რეალურ სექტორში ინვესტიცი-

ებს აფერხებს ; დაფინანსების უკმარისობა აჩქარებს წარმოების დაცემას, კუმშავს კვლავწარმოებას; ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, აღრმავებს კრიზისულ მოვლენებს თვითონ ფინანსურ ბაზარზე.

ასეთი წრის გასარღვევად აუცილებელია ქვეყნის შიდა რეზერვების მობილიზაცია ფასიანი ქაღალდების ბაზრის ამოქმედებით. ფასიანი ქაღალდი ქონებრივი უფლებების გამომხატველი დოკუმენტია, რომელსაც აქვს ღირებულება, შეუძლია დამოუკიდებლად იმოძრაოს ბაზარზე, ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების მეშვეობით. სწორედ ამიტომ, ფასიანი ქაღალდები, როგორც კაპიტალის ნაირსახეობა, მუდმივი ან ერთჯერადი შემოსავლის წყაროა. აქედან ჩანს, რომ ფასიანი ქაღალდების განუვითარებლობის გამო ჩვენ, ფაქტობრივად, ვერ ვიყენებთ ინვესტიციების დაფინანსების უმნიშვნელოვანეს წყაროს, რომელიც ქვეყანაში რეალურად არსებობს. კერძოდ, ვერ ვიყენებთ სათანადოდ ფასიანი ქაღალდების პირველადი და მეორეული ბაზრების, აგრეთვე ტაქტიკური და სტრატეგიული ინვესტორების შესაძლებლობებს. უდავოდ, ბევრი რამ გაკეთდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინსტიტუციური პირობების შესაქმნელად. გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წლის 24 დეკემბერს მიღებულ კანონს **„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“,** რასაც მოჰყვა შესაბამისი ცვლილებები კანონებში „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ და ა.შ. მაგრამ მაინც ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინსტიტუციური და ეკონომიკური პირობების შესაქმნელად ბევრი საკითხია გადასაწყვეტი.

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

1. **იგი, ჯერჯერობით, საკმაოდ განუვითარებელია, მხოლოდ ჩანასახობრივ მდგომარეობაშია,** რაც ვლინდება არა მარტო ბაზრის მოცულობის სიმცირით, არამედ ფასიანი ქაღალდების დივერსიფიკაციის ძალიან დაბალი დონით. აღნიშნული კარგად ჩანს ფასიანი ქაღალდების კლასი-



ფიკაციის შედარებითი ანალიზით საქართველოს მაგალითზე. ასეთი კლასიფიკაცია შეიძლება გახორციელდეს შემოსავლების, ემიტენტის, მოქმედების ვადისა და ფუნქციონირების ადგილის კრიტერიუმების მიხედვით.

შემოსავლის მიხედვით ფასიანი ქაღალდები შეიძლება იყოს სასესხო და საინვესტიციო. პირველს მიეკუთვნება ყველა სახის ობლიგაცია და თამასუქი ემიტენტისა და მათი არსებობის ხანგრძლივობისგან დამოუკიდებლად. მეორეს კი მიეკუთვნება ყველა სახის აქცია, რომელიც მის მფლობელს ემიტენტის აქტივების ნაწილზე საკუთრების უფლებას აძლევს. ემიტენტის კრიტერიუმის მიხედვით, სასესხო და საინვესტიციო ფასიანი ქაღალდი შეიძლება იყოს: სახაზინო, კორპორაციების, ბანკების, ინსტიტუციური ინვესტორების, მეწარმეთა კავშირების. მოქმედების ვადებისა და ფუნქციონირების ადგილის მიხედვით შეიძლება იყოს არასაბაზრო და საბაზრო ფასიანი ქაღალდები. არასაბაზროს მიეკუთვნება საშემნახველო, საპენსიო ფონდებისა და სადეპოზიტო ობლიგაციები, ხოლო საბაზროს – ფულის ბაზრისა და კაპიტალის ბაზრის ფასიანი ქაღალდები. ფულის ბაზარს მიეკუთვნება მოკლე-

ვადიანი ფასიანი ქაღალდები 1 დღიდან 1 წლამდე ვადით, კაპიტალის ბაზარს – 1 წელზე მეტი ვადის მოქმედების აქციები და ობლიგაციები.

აქედან ჩანს, რომ არ შეიძლება ფასიანი ქაღალდების მხოლოდ ფინანსურ ან მხოლოდ მონეტარულ ასპექტში განხილვა. თანამედროვე ეკონომიკაში მათი ფინანსური და მონეტარული ფუნქციები ერთმანეთთან მჭიდროდაა გადახლართული. ისინი, ერთი მხრივ, ინვესტიციების დაფინანსების, ფინანსური რესურსების წყაროა, ფულის მასის მართვის ინსტრუმენტია, მაგრამ მეორე მხრივ, ფულის ნიშნების ოქროთი უზრუნველყოფის შეწყვეტის პირობებში, ობიექტურად, ფულის ზოგიერთ ფუნქციას ასრულებს. დასავლეთის ქვეყნების შედარებით, მდგრადი ფინანსური მდგომარეობა, მნიშვნელოვანწილად, იმით განისაზღვრება, რომ აქ ფუნქციონირებს მაღალგანვითარებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რომელიც ორივე ფუნქციას წარმატებით ასრულებს. წინააღმდეგ ამისა, სადღეისოდ ფასიანი ქაღალდების ბაზრის კაპიტალიზაციის დონე საქართველოში იმდენად დაბალია, რომ მას მნიშვნელოვანი ფისკალური ან მონეტარული ეფექტი არ გააჩნია. ამიტომ, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების უპირველესი ამოცანაა, მისი მასშტაბების გაფართოება, ემიტენტებისა და ინვესტორების ზრდა, მისი მონაწილეების ინტერესების შესაბამისად, ბაზრის სხვადასხვა სეგმენტის ჩამოყალიბება.

2. **დამახასიათებელია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, უპირველესად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული სახაზინო ვალდებულებების პირველადი აუქციონების ფუნქციონირების სახით.** მაგრამ მისი წვლილი ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვაში ჯერ კიდევ უმნიშვნელოა, მაშინ როდესაც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ამ დეფიციტის დაფინანსება სწორედ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საფუძველზე ხორციელდება, ხოლო დაფინანსება ცენტრალური ბანკების სესხების ან საგარეო წყაროების საფუძველზე, შედარებით დაბალია. სახელმწიფო ფასიანი ქაღალ-

დების აქტიური გამოყენება მისი ანტიინფლაციური ბუნებით აიხსნება. 1999 წ. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტმა 254,6 მლნ. ლარი შეადგინა, რომლის 38,3% საქართველოს ეროვნული ბანკის სესხის ხარჯზე დაიფარა, საგარეო წყაროების ხარჯზე - 56,9%, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ხარჯზე - მხოლოდ 1,7%.[82]

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი საქართველოში სხვადასხვა მიზეზის გამო დროულად ვერ ჩამოყალიბდა. მისი განვითარება 1997 წ. დაიწყო, მაგრამ 1998 წ. მწვავე საბიუჯეტო კრიზისისა და უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის სწრაფი ზრდის გამო მკვეთრად აიწია საპროცენტო განაკვეთმა და სახაზინო ვალდებულებათა ემისიები შეწყდა. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის აღდგენა მხოლოდ 1999 წლის აგვისტოდან გახდა შესაძლებელი. მაგრამ სახაზინო ვალდებულებებისადმი ნდობა მხოლოდ რეზიდენტმა ბანკებმა გამოხატეს, უცხოელი ინვესტორების მხრიდან დაინტერესება კი დღემდე არ არსებობს. ამიტომ, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის, კერძოდ რეპო და ლომბარდული ოპერაციების გაფართოებას. რეპო შეთანხმებაა შემდგომი გამოსყიდვის პირობით, ფასიანი ქაღალდების დათქმულ ფასად გაყიდვის თაობაზე. ფაქტობრივად, იგი კრედიტის სახეობაა, იურიდიულად, იგი ერთი მხარის აქტივის მეორისთვის საკუთრების უფლებით გადასვლას გულისხმობს. მისი უპირატესობა ის არის, რომ ჩვეულებრივ შემთხვევაში ფასიანი ქაღალდების უზრუნველყოფით კრედიტის გაცემისას, კრედიტორს საკუთრების უფლების მისაღებად სასამართლოს გადაწყვეტილება სჭირდება, რაც ხარჯებსა და დროსთან არის დაკავშირებული. რეპო ოპერაციებისთვის ეს პრობლემა მოხსნილია. კომერციული ბანკები ლიკვიდურ სახსრებზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ცენტრალურ ბანკებს ფასიან ქაღალდებს გადასცემენ და სანაცვლოდ სახ-

---

[82] **გ.ჩიქავა, ბ.მიქელაშვილი.** მთავრობის ნასესხობის დინამიკა და სტრუქტურა საქართველოში. - ბანკი, №3, 2000, გვ.4.

სრებს იღებენ. საქართველოში რეპო ოპერაციები დაშვებულია როგორც ეროვნულ ბანკსა და ნებისმიერ კომერციულ ბანკს, ასევე კომერციულ ბანკებს შორის. მისი ჩატარება დაიწყო 2000 წლის მაისიდან. ეროვნული ბანკის საკუთრებაში არსებული სახაზინო ვალდებულებები, საშუალოდ, 0,5-1,0 მლნ. ლარის ფარგლებში მერყეობს. კომერციული ბანკის განაცხადი სახაზინო ვალდებულებების რეპო ოპერაციით შესყიდვაზე დაიშვება მხოლოდ ეროვნულ ბანკში, მის სალარე საკორესპონდენტო ანგარიშზე არსებული ნაშთების ფარგლებში, ხოლო რეპო-გარიგებები ხორციელდება 1-10 დღემდე ვადით.[83]

აქედან ჩანს, რომ ეროვნული ბანკი რეპოს ჭარბი ლიკვიდობის ამოღების მიზნით იყენებს. იმ შემთხვევაში, თუ ბანკს ლიკვიდურობის პრობლემა ექნება, მას შეუძლია ეროვნულ ან კომერციულ ბანკთან უკურეპო განახორციელოს. გარდა ამისა, იმ კომერციულ ბანკებს, რომლებიც სისტემატურად მონაწილეობენ სახაზინო ვალდებულებების პირველად აუქციონში, შეუძლიათ ისარგებლონ კრედიტით 3 დღემდე ვადით, რაც, აგრეთვე, ასტიმულირებს ფასიანი ქაღალდების ბაზრის გაფართოებას, კერძოდ, მისი მეორეული ბაზრის ჩამოყალიბებას. სხვა მასტიმულირებელი მექანიზმია ის, რომ რესურსის მყიდველ კომერციულ ბანკებს შეუძლიათ მათ მფლობელობაში არსებული სახაზინო ვალდებულებების 80% გამოიყენონ სესხის უზრუნველსაყოფად. რაც მეტი აქვს სახაზინო ვალდებულებები საკუთრებაში ბანკს, მით უფრო დიდი სესხის აღება შეუძლია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მის რესურსულ შესაძლებლობებს.

მაგრამ თუ ბანკი ვერ იყენებს ზემოთ ჩამოთვლილ მექანიზმებს, მას შეუძლია ნებისმიერ დროს მიმართოს ეროვნულ ბანკს ლომბარდული კრედიტის მისაღებად, რომელიც სახაზინო ვალდებულებების უზრუნველყოფით გაიცემა – სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე დაფიქსირებული საპ-

---

[83] იხ. **კ.გულედანი, ა.გეგენავა.** სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი საქართველოში: რეპო და ლომბარდული ოპერაციები: // ბანკი, №2, 2001, გვ.34-37.

როცენტო განაკვეთი პლუს 5 პუნქტი წლიურად. საქართველოს კომერციული ბანკები ამ მექანიზმს იშვიათად იყენებენ, რადგანაც იმ ბანკებს, რომლებსაც სახაზინო ვალდებულებების პორტფელი აქვთ, ლიკვიდობის პრობლემა არ ექმნებათ, მაგრამ თუ ასეთი მომენტი დადგა, მათ ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების აუქციონზე უფრო იაფი რესურსის შეძენა შეუძლიათ.

ამგვარად, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ქმედუნარიანი ბაზრის ჩამოყალიბებამდე ჯერ კიდევ შორს ვართ. ამიტომ, საჭიროა გაიზარდოს როგორც სახაზინო ვალდებულებების ვადა, ასევე მისი მოცულობა. ამჟამად მიმოქცევაში მხოლოდ 28 დღის დაფარვის ვადის მქონე სახაზინო ვალდებულებებია. მიზანშეწონილია, ბაზარზე მოთხოვნის ზრდის კვალობაზე, გავრცელდეს 90-დღიანი სახაზინო ვალდებულებები. მით უმეტეს, ამჟამად მიმოქცევაშია, დაახლოებით, 5 მილიონი ლარის სახაზინო ვალდებულებები, რაც ძალიან მცირეა ბაზრის პოტენციულ შესაძლებლობებთან შედარებით. 2001 წელს ბიუჯეტში, დეფიციტის შესავსებად, გათვალისწინებულია სახაზინო ვალდებულებებით 20 მლნ. ლარის მოზიდვა, რაც წლის განმავლობაში 70-80 მლნ. ლარის გამოშვებას საჭიროებს და უდავოდ, ხელს შეუწყობს მეორადი ბაზრის ოპერაციების გააქტიურებას.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებასთან ერთად, თანდათან უარი უნდა ეთქვას ეროვნული ბანკის პირდაპირი დაკრედიტების საფუძველზე ბიუჯეტის დეფიციტის მიმდინარე ხარჯების დაფინანსების პრაქტიკას და მისი შევსება, ძირითადად, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიით უნდა მოხდეს.

ზემოთ აღნიშნულიდან იკვეთება ფასიანი ქაღალდების განვითარების მეორე უმნიშვნელოვანესი პრობლემა – ფასიანი ქაღალდების, უპირატესად, პირველადი განთავსებიდან მეორეული ბაზრის განვითარებაზე გადასვლის დაჩქარება, ფასიანი ქაღალდების საჯარო განთავსების მოცულობისა და წილის წინგამსწრები ზრდის პირობებში, მათი კერძო განთავსების მოცულობასა და წილთან შედარებით, ანუ, უპირატესად, ინსტიტუციური ინვესტორების – საპენსიო ფონ-

დების, სადაზღვევო და საინვესტიციო კომპანიების მეშვეობით;

3. **კორპორაციული ფასიანი ქაღალდების განუვითარებლობა.** საწარმოთა აქციების ბაზარი საქართველოში მხოლოდ ახლა ყალიბდება. განვითარებულ ქვეყნებში აქციების ბაზრის კაპიტალიზაცია მთლიანი შიდა პროდუქტის 60-90%-ს შეადგენს, რუსეთში - დაახლოებით 10%-ს, ხოლო საქართველოში კიდევ უფრო მცირეა. აქციები ძალიან ნელა, მაგრამ მაინც ექცევა მეორეული ბაზრის სტრუქტურაში. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის საქმიანობას, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს აქციონერული საზოგადოებების გამჭვირვალობა და აქციონერთა უფლებების დაცვა. ამჟამად საქართველოში 380 ანგარიშვალდებული საწარმოა და მათგან 260 დაშვებულია საფონდო ბირჟაზე. კორპორაციული ფასიანი ქაღალდების წილი, ბანკების ჩათვლით, აქციებისა და ობლიგაციების საერთო მოცულობაში ჯერ კიდევ მცირეა, თუმცა მომავალში, საფონდო ბაზრის ფუნქციონირებაში, იგი წამყვან როლს შეასრულებს.

წარმოებაში კაპიტალის მოზიდვის მოთხოვნილება განისაზღვრება ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობებით, მოდერნიზაციისა და რესტრუქტურიზაციის მასშტაბებით. მაგრამ რესურსების მოზიდვის რეალური შესაძლებლობები შეზღუდულია შინაგანი თავისუფალი რეზერვებით, უცხოური კაპიტალის სუსტი შემოდინებით და, რაც მთავარია, ეკონომიკური კლიმატით, რომელიც ინვესტიციების ეფექტიანი გამოყენების საშუალებას არ იძლევა.

კაპიტალის მოზიდვას რეალურ წარმოებაში აფერხებს შემდეგი ძირითადი ფაქტორები: შემოსავლების სიმცირე, რაც დანაზოგების სიმცირეს განაპირობებს; დაბეგვრისა და საბანკო პროცენტის შედარებით მაღალი დონე; ეკონომიკის სტაგნაცია, საწარმოების დაბალი რენტაბელობა და ზარალიანობა; შიდა ბაზრის მცირე მოცულობა, საგარეო ბაზარზე აქტიური გასავლის შეუძლებლობა პროდუქციის დაბალი

კონკურენტუნარიანობის გამო; ფასიანი ქაღალდების ბაზრის განუვითარებლობა, მისი ინფრასტრუქტურის ჩამორჩენილობა; მენეჯმენტის არასაკმარისი დონე; ინსტიტუციური ინვესტორების ჩამორჩენილობა.

ამ შემაფერხებელი ფაქტორების დაძლევა აუცილებელია კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის, მოსახლეობისა და საწარმოების დანაზოგების ზრდისთვის, რაც კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირებას ქვეყნის კეთილდღეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ გადააქცევს;

4. **იპოთეკური ვალდებულებებისა და სათამასუქო მიმოქცევის სიუხვე**. იპოთეკური კრედიტი საბაზრო მეურნეობაში უდიდეს როლს ასრულებს. ხშირად განვითარებულ ქვეყნებში იპოთეკური ვალდებულებების მოცულობა მნიშვნელოვნად აღემატება მთავრობის ფასიანი ქაღალდებისა და კორპორაციული ობლიგაციების მოცულობას. საქართველოში იპოთეკური კრედიტის, ფაქტობრივად, უქონლობა ფრიად აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას. ამიტომ, ამ სფეროს განვითარების სტიმულირება ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა.

გრძელვადიანი იპოთეკური ვალდებულებების განვითარებისთვის აუცილებელია შემდეგი პირობების დაცვა: მიწაზე საკუთრების შესახებ მკაფიო კანონმდებლობის არსებობა; ნორმატიული აქტები იპოთეკურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ძირითადი ოპერაციების განსაზღვრისთვის; სახელმწიფო ორგანიზაციების ტერიტორიული ქსელის ფუნქციონირება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებების უფლებრივი ცვლილებების რეგისტრაციისთვის; იპოთეკური ვალდებულებების მეორეული ბაზრის ჩამოყალიბება; მეორეულ ბაზარზე ფასიანი ქაღალდების სახით წარმოდგენილი იპოთეკური სესხების მაღალი ლიკვიდობის უზრუნველყოფა; იპოთეკური ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობა უნდა შეედრებოდეს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობას; იპოთეკური ბაზრის კლიენტებმა კრედიტი

უნდა აიღონ ობლიგაციებით და დაფარონ იგი რეალური ფულით (კრედიტის მიღებისას, მის უზრუნველსაყოფად გირაოს წარდგენის საფუძველზე); იპოთეკური კრედიტის გადახდის ვადა მიზანშეწონილია 15-20 წლის განმავლობაში.

მსოფლიოს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იპოთეკური კრედიტის მიღებისას საჭიროა ბანკს ჰქონდეს ინფორმაცია ოჯახის აქტივებისა და პასივების შესახებ, 5-7 წლის განმავლობაში. კრედიტი გაიცემა იმ პირობით, თუ ყოველთვიური გადახდები არ აღემატება გადასახადების გადახდამდე შემოსავლის 30%-ს. გადახდა კრედიტზე წლიური 5-7%-ია. მსხვილი კომპანიების შუამავლობით მთავრობა გამოდის იპოთეკური ფასიანი ქაღალდების გარანტად. ისინი გადაეცემა ინვესტორს, რომელიც ამისთვის მუდმივ შემოსავალს იღებს. აქედან ჩანს, რომ ასეთი ბაზრის ჩამოყალიბება საქართველოში საკმაოდ დიდ დროსა და ძალისხმევას საჭიროებს: პროდუქციის სარეალიზაციოდ მყიდველისთვის მოხერხებული პირობების შექმნის მიზნით, შესაბამისი თამასუქით გაფორმებული კომერციული კრედიტის მიცემით მიმწოდებლები გადახდის გადავადებაზე თანხმობას აცხადებენ.

საქართველოში სათამასუქო მიმოქცევა ძალიან ნელა ვითარდება, რაც არსებული მძიმე ეკონომიკური ვითარებითა და ფინანსური კრიზისითაა გამოწვეული. ჩვეულებრივ, თამასუქი არის ფასიანი ქაღალდი, რომელიც გაიცემა სესხის უზრუნველსაყოფად და არ არის გამიზნული ანგარიშსწორების მიზნით გამოყენებისთვის. საქართველოში კი თამასუქი ზოგჯერ გადახდის საშუალებადაც გამოიყენება. იგი დეპოზიტურ განაკვეთთან შესადარისი საპროცენტო შემოსავლის მიღების შესაძლებლობას იძლევა.

სათამასუქო მიმოქცევა, როგორც წესი, განსაზღვრულ ეკონომიკურ პროცესებს ემსახურება და მისი განვითარება საქართველოშიც აუცილებელია. კორპორაციული საწარმოების თამასუქების გამოშვება საბრუნავი საშუალებების გა-

ფართოებას ისახავს მიზნად, ადგილობრივი ფინანსური ორგანოების თამასუქები – მათი რესურსების შევსებას, ხოლო საბანკო თამასუქი, ფაქტობრივად, ბანკის ბანკნოტია, რომელიც გამოიყენება შეზღუდულად, მათ შორის გადასახადების დასაფარავად, საპენსიო და საგზაო ფონდებში გადახდებისთვის და ა.შ. რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროს თამასუქებს, იგი გამოიყენება, უპირატესად, კომერციული და რეგიონული ბანკების მიერ ცენტრალიზებული კრედიტების დაფარვისას, მათი რესურსების შესავსებად. მაგრამ, ცხადია, სათამასუქო მიმოქცევა თავისი მოცულობით შეზღუდულია. მრავალ ქვეყანაში იგი ფულის მასის 25-28%-ს შეადგენს. იგი დროებითი საგადასახადო საშუალებაა და ნორმალურ ფულს ანგარიშსწორებისას რამდენადმე ცვლის. მაგრამ მისი მოცულობა ობიექტურად შეზღუდულია ემიტენტების კაპიტალის მასშტაბითა და ინფლაციური ზემოქმედების აღკვეთის აუცილებლობით.

ამგვარად, ფასიანი ქაღალდების სექტორის ჩამოყალიბების დაწყება რეფორმების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს სექტორი ძალიან ნელა ვითარდება. ფინანსური მობილიზების საბაზრო სფეროებიდან, საქართველოში შედარებით უკეთ არის განვითარებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სექტორი. კორპორაციული აქციების, იპოთეკური ვალდებულებებისა და სათამასუქო მიმოქცევის სფეროების განვითარების დონე ვერ უზრუნველყოფს წარმოებაში ფინანსების სათანადოდ მოზიდვას. **ფასიანი ქაღალდების ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად განვითარების გარეშე, ქვეყნის ეკონომიკის ინტენსიური განვითარება შეუძლებელი იქნება.**

თავი 9. სოციალურ–ეკონომიკური პოლიტიკა და შრომის ბაზრის ფუნქციონირება

9.1. სოციალური ორიენტაციის შინაარსი

არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში მიმდინარე გარდაქმნების სოციალური შინაარსის განსაზღვრას და მის შეფასებას. თავისთავად, ეკონომიკა, მისი განვითარება თვითმიზანი არ არის. იგი არ შეიძლება ბაზარზე გადასვლით, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებით შემოიფარგლოს. ეს უკანასკნელი მხოლოდ მაშინ იქნება შედეგიანი, თუ ცხოვრების მაღალ დონესა და ხარისხს მივაღწევთ. ეკონომიკური რეფორმის შეფასებისთვის მთავარი კრიტერიუმია მოსახლეობის კეთილდღეობის, ცხოვრების ხარისხის ამაღლება, მისი სოციალური ორიენტაციის შინაარსი.

ამიტომ, სოციალური ფაქტორების თვალსაზრისით, საქართველოს ეკონომიკის წინაშე, ობიექტურად, შემდეგი ძირითადი პრობლემები იკვეთება:

– როგორ შეიძლება მოსახლეობის სოციალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება;

– როგორ მივაღწიოთ დოვლათის სოციალურად სამართლიან განაწილებას;

– რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ კეთილდღეობის ამაღლება ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების კვალობაზე ხორციელდებოდეს.

ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის თითოეული ამ ძირითადი პრობლემის გადაწყვეტა სპეციალურ ძალისხმევასა და საშუალებებს მოითხოვს. მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის მთავარია, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის გადიდება და მისი სტრუქტურის სრულყოფა მოთხოვნილების ცვლილების შესაბამისად, აგრეთვე, მოსახლეობის შემოსავლების დონე და სტრუქტურა. დოვლათის სამართლიანი განაწილება გულისხმობს: საკუთრების განაწილებას; საარსებო მინიმუმით განპირობებული შეზღუდვების რეალიზაციას; საზოგადოების უმუშევარი წევრებისთვის

მოხმარების უზრუნველყოფის აუცილებლობას; დასაქმების უფლებას და ა.შ. კიდევ უფრო რთულია მესამე პრობლემის გადაწყვეტა, რადგანაც წარმოების შესაძლებლობები ყოველ მოცემულ მომენტში შეზღუდულია. სწორედ ამ მესამე ამოცანის გადაწყვეტის ხარისხით განისაზღვრება საზოგადოების სოციალური ორიენტაციის რეალური შესაძლებლობები.

სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკის ძირითადი ნიშნებია სოციალური მდგრადობა და მოქალაქეების კეთილდღეობის სტაბილური ზრდა. სოციალური მდგრადობა გულისხმობს მოქალაქეების ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის სტაბილურობას, საკუთარი კვლავწარმოების მუდმივად უზრუნველყოფის უნარს. სოციალური მდგრადობის გამოვლენის ფორმები სხვადასხვანაირია და შემდეგი მიმართულებების საშუალებით მიიღწევა: ძირითად პროდუქციასა და მომსახურებაზე ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა; მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრი დიფერენციაციის თავიდან აცილება; ახალი თაობებისთვის თანაბარი სასტარტო პირობების შექმნა; საზოგადოების წევრებისთვის სოციალური დაცვისა და დახმარების ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. მოქალაქეთა სოციალურ მდგომარეობაში უკიდურესად ექსტრემალური დარღვევების თავიდან აცილება.

მსოფლიოს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, რომელიც, თავისთავად, არასტაბილურია, იზრდება სოციალური არამდგრადობის საფრთხე და ძლიერდება ეკონომიკური სისტემის ისეთი მოდელის ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალურ მდგრადობასა და სტაბილურ მდგომარეობას, მათი კეთილდღეობის ამაღლებას ეკონომიკის განვითარების კვალობაზე.

საქართველოს მაგალითი გვიჩვენებს, რომ გარდამავალი ეკონომიკის პირობებში სოციალური არამდგრადობის გაძლიერება ვლინდება: მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრი დიფერენციაციით; ხელფასების, პენსიების, დახმარებების სისტემატური გაუცემლობით; რადიკალური ცვლილებების

მუდმივი „შოკებით“, რეალური შემოსავლების შემცირებითა და მოქალაქეთა პირადი დანაზოგების გაუფასურებით.

ასეთ პირობებში, მაღლდება ხელისუფლებისა და მოქალაქეთა სოციალური პასუხისმგებლობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შედეგებისთვის. იგი, უწინარეს ყოვლისა, შემდეგი მოთხოვნების შესრულებას მოითხოვს: პირველი, მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ეკონომიკური ზრდის საფუძველზე. მეორე, შემოსავლებისა და მოხმარების ეფექტიან დიფერენციაციას მოქალაქეთა საქმიანობისა და მეწარმეობითი აქტიურობის შედეგების შესაბამისად, სპეკულაციური და არაკანონიერი შემოსავლების დაუშვებლობას. მესამე, სოციალურ მიზნებზე სახელმწიფოს, მოქალაქეებისა და მეწარმეების მიერ გაწეული ხარჯების ოპტიმიზაციას, ერთი მხრივ, ჭარბი პატერნალიზმისა და, მეორე მხრივ, გაუმართლებელი სოციალური დიფერენციაციის დაუშვებლობის მიზნით. აქედან ჩანს, რომ სოციალური პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება საქართველოში ხანგრძლივი პროცესია, რადგანაც იგი დაკავშირებულია არა მარტო ეკონომიკური მდგომარეობის მასშტაბების განუხრელ ზრდასთან, არამედ სახელმწიფოს, მოქალაქეების, მეწარმეების საბაზრო ქცევის დამკვიდრებასთანაც.

მაგრამ ეკონომიკური რეფორმა იმიტომ ხორციელდება, რომ რაც შეიძლება ხანმოკლე დროში მოხდეს შერეული ეკონომიკისთვის დამახასიათებელი სოციალური პასუხისმგებლობის დამკვიდრება საქართველოში. იგი ემყარება საზოგადოებრივი ცხოვრების სულ სხვა საფუძვლებს, ვიდრე ეს იყო ახლო წარსულში სოციალიზმის პირობებში. მათ შორის მნიშვნელოვანია კერძო საკუთრება, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობების საფუძველი და საბაზრო ურთიერთობების სისტემა, როგორც ეკონომიკის სუბიექტების კოორდინაციის ძირითადი წესი. სწორედ საბაზრო ეკონომიკის ფორმირება ქმნის სოციალური მდგრადობის ეკონომიკის იმანენტურ ელემენტად ჩამოყალიბებისა და შემდეგ პოსტინდუსტრიულ განვითარებაზე გადასვლის წანამძღვრებს.

ასეთი წანამძღვრები მოიცავს: ცალკეული მოქალაქეებისა და მათი ოჯახების შემოსავლების გადიდების შესაძლებლობას მათი სოციალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად; მოთხოვნილების დაკმაყოფილების ახალი წყაროების წარმოშობას კერძო მეწარმეობის განვითარების გზით; ეკონომიკის სტრუქტურულ სრულყოფას იმ პროდუქციისა და მომსახურების ხვედრითი წონის გადიდების მიმართულებით, რომლებიც აუცილებელია სოციალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებად; პირადი დაინტერესების გადიდებას საქმიანობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისთვის; სოციალური მომსახურების ალტერნატიული ფორმების გაფართოებას ფასიანი და უფასო სახით.

ცხადია, ეს პროცესი ძალიან რთული და წინააღმდეგობრივია. მისი წარმატებით გახორციელება დამოკიდებულია მოქალაქეების, მეწარმეებისა და სახელმწიფოს ერთობლივ ძალისხმევაზე, მაგრამ მაინც პრიორიტეტული პასუხისმგებლობა ეკუთვნის სახელმწიფოს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს თანაბარი სასტარტო შესაძლებლობები ქვეყნის ახალი თაობებისთვის და კონკრეტული პირობები ეფექტიანი მეურნეობრიობისთვის.

9.2. სოციალური პოლიტიკის უპირველესი ამოცანები და პრიორიტეტები, შრომის ბაზარი

გარდამავალ პერიოდში სოციალური პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა საქართველოში სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლითა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებით გამოიხატება. ამ ამოცანის გადაწყვეტა გართულდა ღრმა და ხანგრძლივი ტრანსფორმაციული კრიზისით. განსაკუთრებით გამწვავდა მინიმალური შემოსავლების უზრუნველყოფის, შრომის ბაზრის ჩამოყალიბების, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პრობლემები.

ქმედითი სოციალური პოლიტიკის გასატარებლად აუცი-

ლებელია მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესახებ სრული ინფორმაციის არსებობა. სოციალური პოლიტიკის ეფექტიანობის განსაზღვრისთვის გამოიყენება სხვადასხვა მაჩვენებელი. სიცოცხლის ხარისხის უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო მაჩვენებლად მიჩნეულია ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი, რომელიც იანგარიშება სამი მაჩვენებლის საფუძველზე: ცხოვრების მოსალოდნელი ხანგრძლივობა, განათლების დონე და ცხოვრების დონე, რომელიც ერთ სულ მოსახლეზე რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას გამოხატავს. გამოიყენება სხვა მაჩვენებლებიც:

– ცხოვრების დონის მაჩვენებლები: შემოსავლების დიფერენციაციის დეცილური კოეფიციენტი, მოსახლეობის შემოსავლების დიფერენციაციის ინდექსი, ანუ ჯინის ინდექსი, სიღარიბისა და სიმდიდრის ზღვარი, მოსახლეობის სოციალური სერტიფიკაციის კოეფიციენტი, მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხი, შემოსავლებისა და გასავლების სტრუქტურა და ა.შ.;

– სოციალურ-დემოგრაფიული მაჩვენებლები: სიცოცხლის ხანგრძლივობა, შობადობის, სიკვდილიანობის, ავადმყოფობის დინამიკა;

– მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებლები: დასაქმებისა და უმუშევრობის დონე, დასაქმების სტრუქტურა, თვითდასაქმება, დამნაშავეობის დინამიკა, კორუფცია და ა.შ.;

– სოციალური სფეროს განვითარების მაჩვენებლები: სოციალური ხარჯების დინამიკა და წილი ბიუჯეტში, ბიუჯეტური უზრუნველყოფის დონე რეგიონში, არასაბიუჯეტო სოციალური ფონდები, ფასიანი, შეღავათიანი და უფასო მომსახურების თანაფარდობა და ა.შ.;

– ეკოლოგიაზე გაწეული ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში.

ამ მაჩვენებლების მიხედვით, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ რეფორმას არ ახლდა მკაფიოდ გამოხა-

ტული სოციალური პოლიტიკა და სახელმწიფომ სათანადოდ ვერ შეძლო უმნიშვნელოვანესი სოციალური პროცესების კონტროლი. შედეგად, ჩამოყალიბდა უმძიმესი კრიზისი, რეფორმების სოციალური ფასი მოსახლეობის დიდი უმრავლესობისა და ქვეყნისთვისაც უკიდურესად მაღალი აღმოჩნდა. თუმცა რეფორმის სხვადასხვა ეტაპზე სოციალური ტრანსფორმაცია სხვადასხვანაირად მიმდინარეობდა.

განსაკუთრებით მძიმე სოციალური შედეგებით ხასიათდებოდა რეფორმის პირველი ეტაპი. ეკონომიკის კატასტროფულმა დაქვეითებამ, ცხადია, შესაბამისი გავლენა იქონია მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. 1990-1994 წლებში, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 1990 წელს 2063 აშშ დოლარიდან 1992 წელს 911 აშშ დოლარამდე, ხოლო 1994 წელს კი 450 აშშ დოლარამდე შემცირდა. მოსახლეობის შემოსავლების ოდენობა მკვეთრად შემცირდა როგორც ნომინალურ, ასევე რეალურ გამოსახულებაში. კერძოდ, მინიმალური ხელფასი 1989 წლის მიხედვით 70 მანეთიდან (107,7 აშშ დოლარი) 1994 წლისთვის 2,5 მლნ. კუპონამდე (1,78 აშშ დოლარი) დაეცა. საშუალო ხელფასი კი, შესაბამისად, 197,7 მანეთიდან (304,2 აშშ დოლარი) 6,27 მლნ. კუპონამდე (5,02 აშშ დოლარი). იმავე პერიოდში პენსიების ოდენობა 70 მანეთიდან (107,7 აშშ დოლარი) 2,5 მლნ. კუპონამდე (1,78 აშშ დოლარი) შემცირდა. 1992-1994 წლებში რეალური ხელფასი (მყიდველობითუნარიანობის გათვალისწინებით) შემცირდა 8,4-ჯერ, საშუალო ხელფასის ოდენობა - 3-ჯერ, მინიმალური პენსიის ოდენობა - 7,4-ჯერ. იმავე პერიოდში ქვეყანაში 80 პროცენტამდე გაიზარდა სიღარიბის ზღვარზე დაბალი შემოსავლების მქონე შინამეურნეობათა ხვედრითი წონა. იცვლებოდა შემოსავლების განაწილების სტრუქტურაც. ჯინის ინდექსი, რომელიც ზომავს შემოსავლების განაწილების უთანაბრობას, 1992 წლის 0,3-დან 1994 წელს 0,52-მდე გაიზარდა, რაც მოსახლეობის შემოსავლების მკვეთრ უთანაბრობაზე მეტყველებდა. შესაბამისად, გამოიკვეთა სიღარიბის ზღვარს მიღმა დარჩენილი მოსახლეობის ფენები, რომელთა ძირითად ნაწილს უმუშე-

ვრები, პენსიონერები, დევნილები, ინვალიდები, ინტელიგენციის დიდი ნაწილი და საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულები წარმოადგენდნენ.

მომდევნო პერიოდში, 1995-2000 წლებში მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, მართალია, გაუმჯობესდა, მაგრამ უმნიშვნელოდ. ცხრილიდან ჩანს, რომ ჩვეულებრივი საშუალო თვიური ხელფასი 1995 წელს სამომხმარებლო კალათის მინიმუმის მხოლოდ 33%-ს შეადგენდა. სხვაობა მათ შორის მომდევნო წლებში მცირდებოდა, მაგრამ 1999 წელს ამ მაჩვენებელმა 59,1% შეადგინა, ანუ საშუალო თვიური ხელფასი კვლავ მნიშვნელოვნად ჩამორჩება სამომხმარებლო კალათის მინიმუმს.

ამასთან, ანალიზი გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის შემო-

ცხრილი 45

მოსახლეობის შემოსავლების მაჩვენებლები 1995-1999 წლებში

შემოსავლები	ერთეული	1995	1996	1997	1998	1999
მოსახლეობის ფულადი შემოსავლები	მლნ. ლარი	1164,0	2500,0	1800,0	1751,8	1723,7
მოსახლეობის ფულადი დანახარჯები	მლნ. ლარი	1077,0	2454,6	2390,0	2534,6	2677,2
ჩვეულებრივი სამუალო თვიური ხელფასი	ლარი	13,6	29,0	42,5	127,6	114,4
რეალური თვიური ხელფასის ზრდა	%	134,4	152,9	139,8	123,2	103,6
სამომხმარებლო კალათის მინიმუმი	ლარი	41,3	47,7	182,7	183,9	193,5
მინიმალური სასურსათო კალათა	ლარი	28,9	33$4	128,1	128,0	135,5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

სავლები საქართველოში, სხვა პოსტსოციალისტურ ქვეყნებთან შედარებით, უფრო დაბლა დაეცა. თუ 80-იან წლებში ხელფასის წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში 40%-ს შეადგენდა, 90-იან წლებში იგი უკვე 16%-მდე ანუ 2,5-ჯერ შემცირდა, მაშინ როდესაც უნგრეთში გაიზარდა, შესაბამისად, 32-დან 35%-მდე, პოლონეთში - 27-დან 32%-

მდე, ესტონეთში შემცირდა 46-დან 33%-მდე, რუსეთში - 41-დან 22%-მდე.

ტრანსფორმაციის ერთ-ერთი მთავარი უარყოფითი შე-

ცხრილი 46

მოსახლეობის წილი მთლიან შიდა პროდუქტში

ქვეყნები	საშუალო ხელფასი		თვითდასაქმება		მთლიანი შიდა პროდუქტის დაცემა	შემოსავლების დინამიკა
	80-იანი წლები	90-იანი წლები	80-იანი წლები	90-იანი წლები		
უნგრეთი	32	35	20	25	-15	1
პოლონეთი	27	32	22	28	-12	8
ესტონეთი	46	33	8	10	-35	-31
რუსეთი	41	22	5	35	-38	-42
საქართველო	40	16	7	54	-56	-48

წყარო: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი №37, 2000, გვ.12.

დეგი არის ის, რომ ხელფასმა, ფაქტობრივად, დაკარგა თავისი ფუნქცია. იგი არ არის დაკავშირებული შრომის შედეგთან, შესრულებული სამუშაოს მოცულობასა და ხარისხთან, არამედ ერთგვარ სოციალურ გასაცემად გადაიქცა, თუმცა მისი დროულად გაუცემლობაც ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. მცირე ხელფასის დროს მწვავდება სოციალური დაძაბულობა საზოგადოებაში, მცირდება მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობა და შესაბამისად, მათი დანაზოგი, რაც, თავის მხრივ, წარმოების, შრომისმწარმოებლურობის შემცირებას განაპირობებს. შეუძლებელი ხდება წარმოების ტექნოლოგიური განახლება, იზრდება უმუშევრობა, კადრების დენადობა, ფართოვდება ჩრდილოვანი ეკონომიკა და ა.შ.

სახეზეა პრინციპული ხასიათის ძვრები დარგების მიხედვით, საშუალო ნომინალური ხელფასის სიდიდის მიხედვით. რეფორმის დაწყებამდე, ხელფასის დონის მიხედვით მოწინავე დარგების ხუთეული ასე გამოიყურებოდა: მშენებლობა, კრედიტის სფერო, სახელმწიფო მმართველობა, მრეწვე-

ცხრილი 47

საშუალო ნომინალური ხელფასი საქართველოს სახალხო მეურნეობაში

	დარგები	1990 მანეთი	1995 ლარი	1999 ლარი
1.	მრეწველობა	249,0	20,5	85,3
2.	სოფლის მეურნეობა	196,4	4,6	27,5
3.	ტრანსპორტი	215,4	32,5	106,9
4.	კავშირგაბმულობა	186,1	25,6	100,6
5.	ვაჭრობა	160,0	8,7	37,6
6.	მშენებლობა	334,4	38,8	145,9
7.	დაკრედიტება, დაზღვევა, საბანკო საქმე	329,7	28,9	251,3
8.	განათლება	156,9	5,5	44,1
9.	მეცნიერება და სამეცნიერო მომსახურება	236,5	9,9	72,3
10.	კულტურა	144,4	4,0	50,1
11.	ხელოვნება	147,9	5,8	66,6
12.	ჯანდაცვა, სოციალური მომსახურება, ფიზიკური კულტურა და სპორტი	133,9	5,5	34,9
13.	საბინაო-კომუნალური მეურნეობა და საყოფაცხოვრებო მომსახურება	168,2	18,8	99,9
14.	სახელმწიფო მმართველობა	255,9	10,4	86,0
	სულ	214,0	13,6	67,5

წყარო: ნ.ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. III ნაწილი. თბილისი, 2001, გვ.404.

ლობა, მეცნიერება. 1999 წლის მონაცემებით კი, ეს ხუთეული წარმოდგენილი იყო შემდეგი დარგებით: კრედიტის სფერო, მშენებლობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, საბინაო-კომუნალური მეურნეობა და საყოფაცხოვრებო მომსახურება. ჩამონათვალს გამოაკლდა: სახელმწიფო მმართველობა, მრეწველობა და მეცნიერება. ამასთან, როგორც ცხრილიდან ჩანს, ხელფასების შემცირება განსაკუთრებით მასშტაბური იყო სოციალური სფეროს დარგებში, ანუ იმ დარგებში, რომლებიც დღეს საზოგადოებრივი პროგრესის განმსაზღვრელია. მაგალითად, 1990 წელს განათლების სფეროში საშუალო ნომინალური ხელფასი 26,7%-ით ჩამორჩებოდა საერთოდ, ეკონომიკაში საშუალო ხელფასს, 1999 წელს კი – 34,7%-ით, ჯანმრთელობის სფეროში ეს მაჩვენებლები

შესაბამისად იყო 37,5 და 48,3%, ხოლო მეცნიერების სფეროში - 110,5 და 107,1%.

ყურადსაღებია, აგრეთვე, კარდინალური ძვრები მოსახ-

ცხრილი 48

მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავალი ოჯახების მიხედვით, ლარებში

წემოსავალი	1997	1998	1999
1. ძირითადი ფულადი შემოსავალი	94,2	103,2	104,0
დაქირავებული შრომა	32,9	40,9	41,6
თვითდასაქმება	26,5	21,8	14,6
სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია	18,1	20,5	26,6
უძრავი ქონების გაქირავება ან განკარგვა	0,2	0,6	1,2
პენსიები, სუბსიდიები და სხვა	8,3	9,4	7,8
უცხოეთიდან მიღებული თანხები	1,5	4,1	5,4
მეგობრებისგან მიღებული თანხები	6,7	6,0	6,7
2. სხვა ფულადი შემოსავლები	13,3	23,9	22,2
ქონების გაყიდვიდან	6,0	10,1	6,4
ფულის სესხება, დანაზოგის გამოყენება	7,3	13,8	15,8
3. სულ ფულადი რესურსები	107,4	127,1	126,2
4. არაფულადი რესურსები	40,1	35,3	40,8
5. სულ რესურსები	147,5	162,4	167,0

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ლეობის შემოსავლების სტრუქტურაში. თუ ადრე, სოციალიზმის პირობებში, მოსახლეობის დიდი ნაწილის შემოსავალი უპირატესად, დაქირავებული შრომით მიღებული ხელფასითა და პენსიით განისაზღვრებოდა (კოლმეურნეთა დამხმარე მეურნეობის გამოკლებით), სადღეისოდ, ამ წყაროს წილი მხოლოდ 41,6 ლარს, ანუ 25%-ს შეადგენს. სამაგიეროდ, იზრდება თვითდასაქმებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციით, ფულის სესხებით მიღებული შემოსავლებისა და არაფულადი რესურსების წილი. აქედანაც ჩანს, რომ ხელფასის როლი მკვეთრად შემცირებულია და წინა პლანზე გამოდის სხვადასხვა გზით მიღებული შემოსავალი. ამიტომ, ცხოვრების დონის დინამიკის რეალისტურად შეფასებისთვის სწორედ ეს მაჩვენებელი უნდა გა-

მოვიყენოთ, თუმცა ხელფასის როლის ამაღლების პრობლემა, უდავოდ, ერთ-ერთ ყველაზე უფრო აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, რადგანაც ამის გარეშე შეუძლებელია ეფექტიანი შრომის სტიმულირება და საბოლოოდ კეთილდღეობის მაღალი დონის მიღწევა.

აქედან გამომდინარე, საინტერესოა სოციალური აზრის

ცხრილი 49

საქართველოს მოსახლეობის საშუალო თვიური ხარჯები და შემოსავლები ოჯახების მიხედვით, ლარებში

მაჩვენებლები	1997	1998	1999	2000
ხარჯები	237,1	251,8	270,4	277,3
შემოსავლები	147,5	162,4	167,0	283,0

წყარო: 1997, 1998, 1999 წლების მონაცემები საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან; 2000 წლის მონაცემები „გორბის" გაანგარიშებით. იხ.ჰუმანური განვითარების ანგარიში, საქართველო 2000, გვ.32-35.

კვლევის ცენტრის „გორბის" მონაცემები ამასთან დაკავშირებით. ირკვევა, რომ ოფიციალური მონაცემებით, დიდი შეუსაბამობაა საქართველოს მოსახლეობის მთლიან ფულად შემოსავალსა და ხარჯებს შორის. 1997 წლიდან მოყოლებული, რეგისტრირებული ხარჯები სისტემატურად აღემატება რეგისტრირებულ შემოსავლებს. სხვაობა მათ შორის იზრდება.

მაგალითად, 1997 წელს აღნიშნული სხვაობა 24,7% იყო, 1998 წელს - 30,9%, ხოლო 1999 წელს - 35,6%. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ის, რომ მართალია, რეალური ხელფასის ზრდის ტენდენცია სახეზეა, მაგრამ მოსახლეობის უმეტესობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება, ხოლო დაბალი ხელფასებისა და შემოსავლების პირობებში, დაბეგვრის შიშით, არ სურს განაცხადოს თავისი რეალური შემოსავალი. მაგრამ ახალი გაანგარიშებით, 2000 წლის ივლისში

ცხრილი 50

შემოსავლებისა და ხარჯების სხვადასხვა ტიპის მიხედვით გაანგარიშებული ჯინის ინდექსის დინამიკა, %

მაჩვენებლები	1996 IV კვარტალი	1997 IV კვარტალი	1998 IV კვარტალი	1999 IV კვარტალი	2000 I კვარტალი
1. ფულადი შემოსავლების მიხედვით	0,62	0,54	0,55	0,60	0,59
2. მთლიანი შემოსავლების მიხედვით	0,58	0,52	0,50	0,54	0,53
3. ფულადი ხარჯების მიხედვით	0,47	0,46	0,45	0,45	0,48
4. მთლიანი ხარჯების მიხედვით	0,45	0,44	0,43	0,44	0,46
5. მთლიანი მოხმარების მიხედვით	0,39	0,39	0,39	0,39	0,40

წყარო: საქართველოს შინამეურნეობები 1998-1999. სსსდ. თბილისი, 2000, გვ.112.

„ბორბის" მიერ ჩატარებული, საქართველოს მოსახლეობის აღწერის საბოლოო ანგარიშიდან მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ 2000 წელს ხარჯებმა შეადგინა 277,3 ლარი, შემოსავლებმა - 283,0 ლარი, ხოლო საშუალო თვიური შემოსავალი უკვე აღემატება სამომხმარებლო კალათის მინიმუმს.

მიუხედავად ამ ტენდენციისა, სოციალური დიფერენციაცია და სიღარიბე კი არ შემცირდა, არამედ გაღრმავდა. თუ ჯინის ინდექსი 1994 წელს 0,52-ს შეადგენდა. ამჟამად იგი, ოფიციალური მონაცემებით, 0,6-ის ფარგლებშია, ფულადი შემოსავლების მიხედვით, ხოლო მთლიანი მოხმარების მიხედვით კი - 0,40-ის ტოლია. ეს იმაზე მიუთითებს, რომ სოციალური დიფერენციაცია განსაკუთრებით მაღალია ფულადი შემოსავლების მიხედვით; მთლიანი მოხმარების მიხედვით შედარებით უფრო დაბალია. ამიტომ, შემოსავლების ამპლიტუდა ოჯახების მიხედვით განსაკუთრებით შემაშფოთებელია.

ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველოს მოსახლეობის 6,4%-ს შემოსავალი საერთოდ არ გააჩნია. თუ გავითვალისწინებთ, რომ საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი

ცხრილი 51

ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიური ხარჯების სტრუქტურა 1999 წელს, ლარი

მაჩვენებლები	ხარჯი
1. სამომხმარებლო ხარჯები, სულ	179,7
სურსათზე	97,2
სასმელზე	1,3
თამბაქოს ნაწარმზე	3,8
ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე	11,8
საოჯახო მოხმარების საქონელზე	21,0
ჯანმრთელობის დაცვაზე	6,3
სათბობსა და ელექტროენერგიაზე	12,5
ტრანსპორტზე	11,2
განათლებაზე, კულტურასა და დასვენებაზე	5,2
სხვა სამომხმარებლო ხარჯები	5,4
2. სხვა ხარჯები, სულ	16,5
მ.შ.: სასოფლო-სამეურნეო ხარჯები	4,2
ტრანსფერტებზე	0,4
დაზოგვაზე ან გასესხებაზე	11,9
3. ფულადი ხარჯები, სულ	196,2
4. არაფულადი ხარჯები	41,6
5. ხარჯები, სულ	237,8

წყარო: საქართველოს შინამეურნეობები 1998-1999. თბილისი, 2001, გვ.92.

ამჟამად დაახლოებით 105 ლარია, მაშინ გამოდის, რომ საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 40% სიღარიბის საზღვრის ქვემოთ იმყოფება და კიდევ 40% ამ ზღვართან ახლოს არის, რადგანაც ყოველდღიური ელემენტარული მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც ძლივს ახერხებს. ეს კარგად ჩანს ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიური ხარჯების სტრუქტურიდან და კვების პროდუქტების მოხმარების მკვეთრი შემცირებით ბოლო ათწლეულის განმავლობაში.

ცხრილიდან ჩანს, რომ ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიური ხარჯი, დაახლოებით, 240 ლარია. ამასთან, ყურადღებას იქცევს თითოეული სტრიქონის მიხედვით ხარჯების უკიდურესად დაბალი დონე. მაგალითად, სურსათზე შინამეურნეობებში თვეში იხარჯება 97 ლარი, ანუ დღეში დაახლოებით 3 ლარი, რაც უკიდურესად მცირეა და უღარიბესი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. საოცრად დაბალია ჯან-

ცხრილი 52

კვების პროდუქტების მოხმარება საქართველოში 1985–1999 წლებში, წელიწადში ერთ სულზე კგ

	დასახელება	1985	1990	1991	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999
1.	პურპროდუქტები	175,1	184,6	183,9	175,0	214,3	152,6	163,5	161,3	154,2	151,4	141,1
2.	ბოსტნეული და ბაღჩეული	87,5	81,2	87,0	62,9	75,5	55,4	60,8	97,7	93,4	58,2	55,2
3.	ხილი	60,1	48,3	49,3	42,5	43,9	33,2	36,7	66,3	60,2	57,8	43,5
4.	შაქარი	24,5	20,8	19,8	8,6	9,5	5,7	6,7	23,6	25,9	25,0	24,8
5.	ხორცი და ხორცის პროდუქტები	41,5	36,5	26,4	19,5	22,9	9,4	12,5	14,6	15,6	20,8	19,8
6.	თევზი	7,3	8,0	6,6	2,8	1,4	0,4	0,6	1,3	1,4	1,8	0,0
7.	რძე და რძის პროდუქტები	321,0	311,3	308,0	144,1	148,0	90,6	97,9	178,4	217,6	202,5	209,0
8.	კვერცხი	149,3	140,0	112,9	89,1	75,0	63,2	66,1	105,0	107,7	122,5	124,6
9.	მცენარეული ცხიმები	3,5	4,5	4,2	5,6	3,8	2,4	3,3	10,6	11,2	8,3	8,2
10.	ღვინო (ლიტრი)	41,0	23,6	25,3	23,2	25,3	30,0	39,3	24,0	25,4	11,0	12,2
11.	ჩაი								1,5	1,3	0,3	0,2
12.	მინერალური წყალი								0,4	0,5	0,7	0,7

წყარო:_საქართველოს შინამეურნეობები 1998-1999. თბილისი, 2000, გვ.132-133.

მრთელობის დაცვაზე, განათლებაზე გაწეული ხარჯებიც.

რაც შეეხება კვების პროდუქტების მოხმარებას, იგი საბჭოთა პერიოდთან შედარებით, საგრძნობლად შემცირებულია. პურპროდუქტების მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე 1985-1999 წლებში შემცირდა 175 კგ-დან 141 კგ-მდე, ბოსტნეულისა - 87,5-დან 55,2-მდე, ხილისა - 60-დან 43,5-მდე, ხორცისა - 41,5-დან 19,8-მდე, რძისა და რძის პროდუქტებისა - 321-დან 209 კილოგრამამდე. როგორც ჩანს, შემცირება საგრძნობია. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მოტანილი ოფიციალური მონაცემები კიდევ დასაზუსტებელია. მასში გათვალისწინებული არაა, რომ მრავალი პროდუქტის მოხმარება ოფიციალურ სტატისტიკაში არ აისახება ჩრდილოვანი ეკონომიკის დიდი მასშტაბების გამო.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში კარდინალური ცვლილებები მოხდა დასაქმების სფეროში. კერძოდ, მკვეთრად შეიცვალა დასაქმების მასშტაბები, მისი სტრუქტურა, ჩამოყალიბდა ქრონიკულად უმუშევრების საკმაოდ დიდი მასა. მაგალითად, საერთო დასაქმებულთა რიცხვი 1990-1999 წლებში 2,5-დან 2,3 მლნ. კაცამდე შემცირდა. საბჭოთა პერიოდში თვითდასაქმებული და უმუშევარი ადამიანების რაოდენობა ძალზე უმნიშვნელო იყო. ეკონომიკური რეფორმების პერიოდში დასაქმების სტრუქტურა შეიცვალა. ადრე გაბატონებული იყო სახელმწიფო სექტორში დასაქმება, მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიური ნაწილი წარმოდგენილი იყო მოსამსახურეების, მუშების, კოლმეურნე გლეხების სახით. თვითდასაქმებული და უმუშევარი ადამიანების რაოდენობა ძალზე უმნიშვნელო იყო. ეკონომიკური რეფორმების პერიოდში ეს სტრუქტურა შეიცვალა. 1990-1999 წლებში მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებულთა რიცხოვნობა ყველაზე უფრო შემცირდა: მრეწველობაში - 80%-ით, სოფლის მეურნეობაში - 90%-ით, მშენებლობაზე - 87%-ით, ტრანსპორტზე - 47%-ით. დასაქმება შემცირდა ეკონომიკის არასამრეწველო სფეროშიც: სამთავრობო სტრუქტურებში - 12%-ით, განათლების სისტემაში - 22%-ით, ჯანდაცვის სისტემაში - 59%-ით, კულტურისა და სპორტის სფეროში - 58%-ით, მეცნიერების სფეროში - თითქმის 90%-ით. მაშასადამე, სახელმწიფო მართვისა და გა-

ნათლების სფერომ ჯერჯერობით შეძლო მისი თანამშრომლების თითქმის 3/4-ის შენარჩუნება.

ცხრილიდან ჩანს, რომ დასაქმების სტრუქტურაში ამჟამად გაბატონებულია თვითდასაქმება და დაქირავებით დასაქმება. პირველის წილი ეკონომიკაში დასაქმებულთა სა-

ცხრილი 53

დასაქმებულთა განაწილება დასაქმების სტატუსის მიხედვით, ათასი კაცი

დასაქმების სტატუსი	1996 IV კვარტალი	1997 IV კვარტალი	1998 IV კვარტალი	1999 IV კვარტალი	2000 I კვარტალი
1. დაქირავებით დასაქმებული	792,5	687,8	770,6	721,5	722,8
2. თვითდასაქმებული	1348,6	1614,4	1353,7	1302,6	1273,4
3. დასაქმებულთა რაოდენობა, სულ	1965,6	2092,5	1927,9	1867,9	1838,3
4. ერთდროულად დაქირავებითა და თვითდასაქმებით მომუშავე	175,5	209,7	196,5	156,1	157,9

წყარო: საქართველოს შინამეურნეობები 1998-1999. თბილისი, 2000, გვ.57.

ერთო რიცხოვნობაში 2000 წლის დასაწყისში შეადგენდა 69,3%-ს, ხოლო მეორის - 39,3%-ს. ამავე დროს, საკმაოდ მაღალი იყო, ერთდროულად, დაქირავებითა და თვითდასაქმებით მომუშავეთა წილი - 8,6%.

დაქირავებით დასაქმებულთა დიდი ნაწილი (63%) სახელმწიფო სექტორშია დასაქმებული, ხოლო 37% - არასახელმწიფო სექტორში. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ სახელმწიფო სექტორში დაქირავებულ და დასაქმებულთა 43,5% საბიუჯეტო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მუშაობს, ამიტომაც ამ სფეროში რეფორმების გაგრძელება კვლავ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად რჩება.

საინტერესოა დაქირავებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით. აქ აღინიშნება მრეწველობაში დასაქმებულთა წილის დაცემა 12,2%-მდე და მომსახურების სფეროში დასაქმებულთა შედარებით მაღალი წილი, მათ შორის: ვაჭრობაში - 10,4%, სახელმწიფო მართვაში - 12,7%, ჯანდაცვაში - 12,1%, განათლებაში - 18,7%. ქა-

ცხრილი 54

დაქირავებით დასაქმებულთა განაწილება და საშუალო თვიური ხელფასი ეკონომიკის სექტორებისა და სქესის მიხედვით 1999 წელს, ათასი კაცი

სექტორი	ქალი	მამაკაცი	სულ	ლარი
1. სახელმწიფო სექტორი, მათ შორის:				
სახელმწიფო საკუთრების საწარმო	60,2	82,9	143,0	71,6
საბიუჯეტო ორგანიზაცია	192,3	129,2	321,6	54,1
2. არასახელმწიფო სექტორი, მათ შორის:				
არასახელმწიფო საკუთრების საწარმო	81,8	163,7	245,5	102,4
უცხოეთის ან ერთობლივი საწარმო, ორგანიზაცია	5,1	6,2	11,3	266,4
3. სხვა	5,3	9,3	14,6	116,0
4. არაა მითითებული	1,3	1,2	2,5	78,7
სულ	346,1	392,5	738,5	79,2

წყარო: საქართველოს შინამეურნეობები 1998-1999, თბილისი, 2000, გვ.58.

ლების წილი განსაკუთრებით მაღალია განათლების, ჯანდაცვის, ვაჭრობის სფეროებში.

რეფორმის განვლილი პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურებაა ის, რომ აქტიურად ვითარდებოდა თვითდასაქმებულთა კატეგორია. თვითდასაქმებული გულისხმობს მესაკუთრის საქმიანობას მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით.

არაც შეეხება თვითდასაქმებულთა განაწილებას, საყურადღებოა ის, რომ თვითდასაქმებულთა 87% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში - 1139 ათასი კაცი, ხოლო დანარჩენი 13% - არასასოფლო-სამეურნეო დარგებში. საერთოდ, თვითდასაქმება ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

შესაბამისად, ბოლო წლებში შეიცვალა შრომის ბაზარზე ჩამოყალიბებული ტენდენციებიც, რაც იმით გამოიხატება, რომ სამუშაო ადგილების ზრდის სიმცირის გამო, უმუშევრები უფრო მეტად თვითდასაქმების ძიებით არიან დაკავებულნი. 2000 წელს უმუშევართა რაოდენობამ, დაახლოებით, 110 ათასი კაცი შეადგინა, ანუ უმუშევრობის დონე, დაახლოებით, 5%-ის ფარგლებშია. აღრიცხული უმუშევრებიდან 54% ქალია. უმუშევრების 33,7% 30 წლამდე ასაკისაა,

ცხრილი 55

დაქირავებულთა განაწილება და საშუალო თვიური ხელფასი ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით, 1999 წელს

საქმიანობის სახე	ქალები	მამაკაცები	სულ		საშუალო ხელფასი
	ათასი კაცი	ათასი კაცი	ათასი კაცი	%	
1. არაა მითითებული	1,0	1,7	2,8	0,4	192,3
2. სოფლის მეურნეობა, მეტყეველობა, თევზჭერა	13,1	29,3	42,4	5,7	50,6
3. სამთო და გადამმუშავებელი მრეწველობა	24,4	65,5	89,9	12,2	84,1
4. ელექტროენერგია, გაზი, წყალმომარაგება	5,0	20,7	25,7	3,5	95,5
5. მშენებლობა	2,2	21,6	23,8	3,2	135,1
6. ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტი	36,7	39,9	76,6	10,4	109,8
7. ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა	14,0	44,8	58,8	8,0	92,8
8. სახელმწიფო მართვა, თავდაცვა	25,6	68,2	93,7	12,7	83,5
9. განათლება	108,0	29,8	137,7	18,7	43,1
10. ჯანდაცვა	72,9	16,6	89,5	12,1	44,1
11. კულტურა, სპორტი, დასვენება, სხვა მომსახურება	24,9	29,2	54,0	7,3	70,4
12. სხვა დარგები	18,4	25,0	43,5	5,9	142,1
სულ	346,1	392,5	738,5	100,0	79,2

წყარო: საქართველოს შინამეურნეობები 1998-1999. თბილისი, 2000, გვ.62.

ხოლო 21,8% 50 წელს არის გადაცილებული. უმუშევრობის ხანგრძლივობის მიხედვით, უმუშევართა სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება: უმუშევრები 1 წლამდე - უმუშევართა საერთო რაოდენობის 15,7%-ს, 1-დან 3 წლამდე - 36,2%-ს, 3 და მეტი წლის ხანგრძლივობით - 48,1%-ს შეადგენს. ეს მაჩვენებლები ქვეყანაში ქრონიკული უმუშევრობის არსებობაზე მიუთითებს.

ამგვარად, რეფორმების განვლილ პერიოდში სოციალურმა სფერომ არსებითი ხასიათის ცვლილებები განიცადა. სულ უფრო ფართოდ მკვიდრდება საბაზრო ურთიერთობები, კარდინალურად იცვლება დასაქმებისა და შემოსავლების სტრუქტურა, შრომის მოტივაციის მექანიზმი. მაგრამ ეს პროცესები ჯერ კიდევ გრძელდება. მათი ინტენსიურობა რე-

ფორმის საბოლოო შედეგებისა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის განმსაზღვრელ ფაქტორად გვევლინება. სიტუაცია არაერთგვაროვანი და წინააღმდეგობრივია, რადგანაც სიღარიბემ სტაბილური მდგომარეობისათვის საფრთხის შემცველი მასშტაბები შეიძინა. განვლილმა პერიოდმა გამოკვეთა სოციალური პოლიტიკის შემდეგი ძირითადი პრიორიტეტული ამოცანებიც: ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, სიღარიბის დაძლევა, ხელფასის მკვეთრი ამაღლებისა და ფუნქციების აღდგენის მიღწევა, უმუშევრობის შემცირება, მკვეთრი სოციალური დიფერენციაციის ლიკვიდაცია, განათლების, ჯანმრთელობის, მომსახურების სფეროს დაჩქარებული განვითარების უზრუნველყოფა.

ცხრილი 56

თვითდასაქმებულთა განაწილება მომუშავის სტატუსის მიხედვით და წმინდა შემოსავალი, 1999 წელს

მომუშავის სტატუსი	ყველა დარგში ათასი კაცი	არასასოფლო დარგებში ათასი კაცი	სოფლის მეურნეობაში ათასი კაცი	წმინდა შემოსავალ ლარი
1. მეწარმე, მეურნე დამქირავებელი	15,3	10,6	4,7	204,5
2. მეწარმე, მეურნე, დაქირავებული პირების გარეშე	630,4	129,8	500,6	96,7
3. ოჯახურ საწარმოში უსასყიდლოდ მომუშავე	641,9	11,0	631,0	
4. საწარმოო ან სამეურნეო ამხანაგობის წევრი	7,1	5,9	1,2	125,6
5. სხვა	11,7	10,1	1,5	15,7
6. არაა მითითებული	0,7	0,2	0,5 1	06,5
სულ	1306,4	167,4	1139,0	104,7

წყარო: საქართველოს შინამეურნეობები 1998-1999. თბილისი, 2000, გვ.69.

იმაზე, თუ როგორ და რა სიჩქარით გადაწყდება ეს ამოცანები, დიდად იქნება დამოკიდებული საქართველოს მომავალი.

9.3. სოციალური სფეროს გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი

სოციალური სფეროს გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი მოიცავს: სოციალური სფეროს რეფორმირებას, სოციალური დაცვის კონკრეტული ფორმებისა და მეთოდების რეალიზაციას, სოციალური სფეროს განვითარების ფინანსურ უზრუნველყოფას.

სოციალური სფეროს გარდაქმნა ძალზე რთული და ხანგრძლივი პროცესია. მას სხვადასხვა ობიექტური მიზეზი აფერხებს. საქმე ისაა, რომ სოციალური ორიენტაციის ახალი ტიპის ჩამოყალიბება ხორციელდება ადრინდელი სოციალისტური სისტემისთვის დამახასიათებელი სახელმწიფოებრივი გარანტიების მოცულობის მკვეთრი შემცირების პირობებში და, ბუნებრივია, რომ ქვეყანა და მოქალაქეთა დიდი ნაწილი, ფაქტობრივად, მოუმზადებელი შეხვდა ეგალიტარული სახელმწიფოს მსხვრევას. სხვა მიზეზია ის, რომ საბაზრო მექანიზმები ჯერ კიდევ ვერ მოქმედებენ სრულად ვერც სოციალურ და ვერც წარმოებრივ სფეროებში. ამასთანავე, ეკონომიკის ხანგრძლივი კრიზისითაა გამოწვეული მთლიანი შიდა პროდუქტის უმნიშვნელო ზრდა. მწირი ფინანსური რესურსების გამო, მცირდება სოციალური სფეროს გარდაქმნის ყველაზე უფრო ეფექტიანი ვარიანტების შერჩევა.

მიუხედავად ამისა, სოციალური სფეროს გარდაქმნა, განვითარების ადეკვატური სოციალური დაცვის სფეროს ჩამოყალიბება სოციალური მდგრადობისა და პასუხისმგებლობის ამოსავალ პრინციპებს უნდა ემყარებოდეს. საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი სოციალური დაცვის სისტემა განსხვავდება ადრინდელი სოციალური უზრუნველყოფის სისტემისგან. მისი კონკრეტული მიმართულებებიდან მთავარია შემდეგი: სოციალური მხარდაჭერის თანამედროვე სისტემის შექმნა, სოციალური დახმარების გაწევა, ქვეყნის მოქალაქეებისთვის მინიმალური საზოგადოებრივი გარანტიების უზრუნველყოფა, საბაზრო საფუძველზე სოციალური სექტორის განვითარება, სოციალური უზრუნველყოფის ახალი ფინანსური მექანიზმის ფორმირება, სოციალური უზრუნველყოფის ახალი პრინციპებისა და მეთოდების, უწინარეს ყოვ-

ლისა, დაზღვევის გამოყენება. აქედან ჩანს, რომ ეს მიმართულებები სოციალური განვითარების ცალკეული კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტას ემსახურება.

სოციალური მხარდაჭერა გულისხმობს მოქალაქეებისათვის დახმარების პროგრამებს, იმ შემთხვევაში, თუკი მათი შემოსავალი სიღარიბის ზღვარზე უფრო დაბალია და საარსებო მინიმუმს არ აღემატება. სოციალური დახმარება – სოციალური დაცვის საქმიანობაა ცალკეული პირებისთვის. თუ მათ მძიმე სოციალური მდგომარეობა აქვთ, მატერიალურად ძალიან უჭირთ, მაგრამ არ გააჩნიათ სოციალური დაზღვევის მიღების უფლება, როგორც წესი, ბიუჯეტიდან ფინანსდებიან. მინიმალური სოციალური სტანდარტების უზრუნველყოფა გულისხმობს სახელმწიფოს მიერ სოციალური დაცვის ისეთი პრინციპებისა და მეთოდების შექმნას, რომლებიც ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის განსაზღვრული სოციალური მომსახურებისა და სოციალური დოვლათის მინიმალური მოცულობის მიღების საშუალებას იძლევა (წარმოებრივ საქმიანობაში მისი მონაწილეობის ხარისხის მიუხედავად). სოციალური სექტორის განვითარება მოიცავს სოციალური მოთხოვნილების უზრუნველმყოფი დარგებისა და ინსტიტუტების გარდაქმნას. მათ შორისაა, უწინარეს ყოვლისა, განათლება, სამედიცინო, სოციალური, საბინაო-კომუნალური მომსახურება. ახალი სოციალური მექანიზმის ფორმირება გულისხმობს (ფინანსური რესურსების ეფექტიანობის ამაღლებისა და გამოყენების წყაროების გაფართოების მიზნით) ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნებს. სოციალური დაცვის ახალი მექანიზმები გულისხმობს კონკრეტული ადამიანებისთვის სოციალური დახმარების გაძლიერებას, სოციალური დაზღვევის სისტემის სრულყოფას, საპენსიო რეფორმას. სოციალური დაზღვევა საშუალებას იძლევა დავაზღვიოთ ის მრავალრიცხოვანი რისკები, რომლებიც დამახასიათებელია საბაზრო მეურნეობისთვის.

საქართველოში მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიღწევაა ის, რომ ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა, თუმცა მათი შედეგიანობა არასაკმარისია, რადგანაც ქვეყა-

ნამ სხვადასხვა ინსტიტუციური თუ სხვა მიზეზის გამო, მთლიანი შიდა პროდუქტისა და წარმოების ეფექტიანობის მასშტაბური გადიდება ვერ მოახერხა. მაგრამ, როგორც წესი, სახელმწიფო ვალდებულია ისეთნაირად გარდაქმნას სოციალური დაცვის სისტემა, რომ არ დაუშვას სიღარიბის გაძლიერება. ამისთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალური დაცვის პრინციპებისა და დაფინანსების მეთოდების ეფექტიან გამოყენებას. პრინციპებიდან მთავარია: დაზღვევის, ინდივიდუალური სოციალური დაცვისა და თანასწორობის პრინციპები. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ დაზღვევა თავისი არსით შეზღუდულია. საზოგადოებრივი და კერძო დაზღვევაც კი, ერთად აღებული, მაინც ვერ გადაფარავს შესაძლო სოციალურ რისკებსა და უბედურებებს, მასობრივ სიღატაკეს და ა.შ. ამიტომ, მას აუცილებლად უნდა დაემატოს სოციალური დახმარება, როგორც ეს მრავალ

ცხრილი 57

საქართველოს სოციალური დაცვის ძირითადი პროგრამები

დახმარების სახე	წყარო	გაზა
პენსია	საპენსიო ფონდი	შრომითი სტაჟი და ადრინდელი ხელფასი. მინიმალური ზღვარი მინიმალური პენსიის ტოლია
უმუშევრობის დახმარება	დასაქმების ფონდი	უმუშევრობის ხანგრძლივობა. ქვედა ზღვარი ტოლია მინიმალური ხელფასის
ოჯახური დახმარება	ადგილობრივი ბიუჯეტი	რესურსების არსებობისას
დახმარება ბავშვის დაბადებისას	სოციალური დაზღვევის ფონდი	მინიმალური ხელფასის მიხედვით
ერთდროული ყოველთვიური დახმარება	ადგილობრივი ბიუჯეტი	რესურსების არსებობისას
დახმარება 15 თვემდე ბავშვის მოვლაზე	სოციალური დაზღვევის ფონდი	არაა დაკავშირებული ხელფასთან
დახმარება 3 წლამდე ბავშვის მოვლაზე	წარმოებრივი	არაა დაკავშირებული ხელფასთან
ავადმყოფობით დროებითი შრომისუუნარობის ანაზღაურება	სოციალური დაზღვევის ფონდი	მიმდინარე შემოსავლებიდან
სოციალური დახმარება საცხოვრებელ ადგილზე	ადგილობრივი ბიუჯეტი	რესურსების არსებობისას
დახმარება ბინაზე	ადგილობრივი ბიუჯეტი	რესურსების არსებობისას

ქვეყანაშია. თუმცა, ყველასთვის თანაბარი დახმარება არ ამართლებს. ჯერ ერთი, შემოსავლის დაკარგვის სიდიდე

ცხრილი 58

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დინამიკა სოციალური სექტორის განვითარებისთვის (ათასი ლარი)

კოდი	დასახელება	1996	1997	1998	1999	2000 გეგმა	2001
0400	განათლება		46319	30414	29279	26453	35106,7
0500	ჯანმრთელობის დაცვა		25608	27287	15722	31505	38064,9
0600	სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა		189971	216076	246974	267780	266460,1
0700	საბინაო-კომუნალური მეურნეობა		5787	7323	5101	4280	4791,4
0800	საქმიანობა კულტურის, სპორტისა და რელიგიის სფეროში		36085	33007	25046	18997	22387,1
1300	გარემოს ბუნებრივი რესურსების დაცვა		3352	12114	2680	1528	3367,0
	სულ		307122	326221	324802	350543	370177,2
	სულ სახელმწიფო ბიუჯეტი	771300	776771,6	798933,5	904837,0	979007,0	1120888,0
				ათასი	დოლარი		
0400	განათლება		35629,7	21724,4	14639,5	13226,0	
0500	ჯანმრთელობის დაცვა		19698,6	19491,0	7861,0	15753,0	
0600	სოციალური დაზღვევა და სოციალური უზრუნველყოფა		46131,5	154339,8	123487,0	133890,0	
0700	საბინაო-კომუნალური მეურნეობა		4451,7	5230,5	2550,5	2140,0	
0800	საქმიანობა კულტურის, სპორტისა და რელიგიის სფეროში		27757,8	23576,3	12523,0	9498,0	
1300	გარემოს ბუნებრივი რესურსების დაცვა		2578,5	8652,6	1340,0	764,0	
	სულ		236247,8	233014,6	162401,0	175271,0	
	სულ სახელმწიფო ბიუჯეტი	593307,7	597516,6	570666,8	452418,5	489503,9	

წყარო: მოხსენება საქართველოს 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. თბილისი, 2000, გვ.85-86; საქართველოს კანონი 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

სხვადასხვა ინდივიდისთვის სულ სხვადასხვაა. მეორე, თანაბარი დახმარება ამცირებს შრომის მოტივაციას, რის გამოც დახმარება სუბსიდირების ფორმით მიზანშეუწონელია. იგი უფრო შეძლებული ფენებისთვის არის მომგებიანი, ვიდრე ღარიბებისთვის. სწორედ ამასთან დაკავშირებით აქტუალური ხდება მინიმალური სოციალური გარანტიების პრობლემა. გარდამავალ პერიოდში, საზოგადოებას შეუძლია მისი უზრუნველყოფა.

ამ პრობლემის გადაწყვეტის პირობებია: სიღარიბის ოფიციალური ზღვარის არსებობა; შემოსავლების არსებობა სიღარიბის დონის დაბლა და აქტივების არსებობა, განსაზღვრული მინიმუმის ქვემოთ დახმარების განსაზღვრისა და გადახდისთვის; სახელმწიფოს მცდელობა, გადახდების სისტემით მოიცვას სხვაობა სიღარიბის ზღვარსა და რეალურ შემოსავალს შორის. აქედან ჩანს, რომ ამ სისტემის არსებობა მოითხოვს ძალიან დიდ ხარჯს, დიდ შემოსავალს ბიუჯეტში. ამითაა გამოწვეული, რომ მინიმალური სოციალური გარანტიების სისტემა დღემდე უმრავლეს პოსტსოციალისტურ ქვეყანაში ვერ გახორციელდა. მის ნაცვლად ფუნქციონირებს შემოსავლის დონის შეფასების სისტემა, რომელიც არ გულისხმობს მინიმალური შემოსავლის აუცილებელ გარანტიებს საარსებო მინიმუმის დონეზე. ამ შემთხვევაში ხდება არა დაკარგული შემოსავლის ანაზღაურება, არამედ განსაზღვრულ დონეზე მინიმალური შემოსავლების უზრუნველყოფა. აქ მხედველობაში ისიც მიიღება, რომ სოციალურმა დახმარებამ შრომის ანტისტიმული არ ჩამოაყალიბოს და ინდივიდი სხვის ხარჯზე ცხოვრებას არ მიაჩვიოს.

ცხრილიდან ჩანს, რომ სოციალური პროგრამები საქართველოში მრავალფეროვანია, მაგრამ თითოეული ცალკე აღებული დახმარება ინდივიდისთვის, პენსიების ჩათვლით უკიდურესად დაბალია. საკმარისია აღინიშნოს, რომ პენსია, გამონაკლისის გარდა, დაახლოებით 15 ლარია, ანუ იგი სინამდვილეში, ისევე როგორც ხელფასი, თავის ფუნქციას ვერ

ასრულებს. ეს იმით აიხსნება, რომ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, სოციალური პოლიტიკის რესურსული ბაზა საქართველოში უკიდურესად შემცირებულია. ამიტომ, სოციალური სფეროს ფინანსური უზრუნველყოფის გაძლიერება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს.

ამჟამად, სოციალური სფეროს ფინანსური წყაროები საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ნაკადებით ფორმირდება. საბიუჯეტო წყაროები მოიცავს ცენტრალური და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს, ხოლო არასაბიუჯეტო - სპეციალიზებულ ფონდებს, საწარმოებისა და მოსახლეობის სახსრების მოზიდვას უშუალოდ ან ადგილობრივი ობლიგაციების, ლატარიის გამოშვებით ან შემოწირულობის სახით.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად სოციალური სფეროს პრიორიტეტულობისა, ბოლო წლების განმავლობაში, პრაქტიკულად, საპირისპირო პროცესებს ჰქონდა ადგილი და სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან ხარჯებში სოციალური სფეროს წილი განუხრელად მცირდებოდა. ეს სოციალური სფეროს ყველა სექტორს შეეხება. სოციალური სექტორის წილი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში 1997 წელს 39,5%-ს, ხოლო 2000 წელს - 35,8%-ს შეადგენდა. ლარებში მან თითქოს მოიმატა, აშშ დოლარებში მნიშვნელოვნად შემცირდა, შესაბამისად, 236 247,8 ათასი დოლარიდან 175 271,0 ათას დოლარამდე, ანუ 60 976,2 ათასი დოლარით, რაც ძალიან საგრძნობი შემცირებაა. განათლებაზე ხარჯების წილი სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან ხარჯებში იმავე პერიოდში 6,0%-დან 2,7%-მდე შემცირდა, კერძოდ, 46 319 ათასი ლარიდან 26 453 ათას ლარამდე, ანუ 1,75-ჯერ, ხოლო დოლარებში - 35 630 ათასი დოლარიდან 13 226 ათას დოლარამდე, ანუ 2,7-ჯერ.

ეს მაშინ, როდესაც სხვა ქვეყნებში განათლება, რეალურად, ყველაზე უფრო მთავარი პრიორიტეტია. საბიუჯეტო ხარჯები განათლებაზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ შეადგენს 5,5%-ს,

საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში - 5,1%-ს, დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში - 3,9%-ს, საქართველოში - 2,0%-ს. ჯანმრთელობის დაცვაზე შესაბამისი ხარჯები ლარებში გაიზარდა 23%-ით, დოლარებში კი პირიქით - შემცირდა 1,25-ჯერ. ამავე დროს სახელმწიფო დაფინანსების წილი მაღალი შემოსავლების მქონე მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ შეადგენს 6%-ს, საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებისთვის - 2,5%-ს, დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებისთვის - 1,0%-ს, ხოლო საქართველოსთვის - მხოლოდ 0,7%-ს. სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები ლარებში გაიზარდა 1,4-ჯერ, ხოლო დოლარებში პირიქით - შემცირდა 9%-ით. ამასთან, 70%-ით შემცირდა გარემოს ბუნებრივი რესურსების დაცვისთვის გამოყოფილი სახელმწიფოს დაფინანსება, რაც ყოვლად დაუშვებელი ქმედებაა.

აღნიშნული ანალიზი ადასტურებს, რომ მიუხედავად ქვეყანაში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესებისა, რეფორმების სოციალური შედეგები უკიდურესად უარყოფითია. ტრანსფორმაციის უმნიშვნელოვანესი მიზანი - სოციალური სფეროს განვითარების დაჩქარება, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლება, მოსახლეობის დაუცველი ფენებისთვის რეალური დახმარების გაწევა - კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

თავი 10. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობანი

10.1. ღია ეკონომიკაზე გადასვლა

საბაზრო ეკონომიკის ფორმირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ღია ეკონომიკაზე გადასვლა. ამის აუცილებლობა გამოწვეულია არა მარტო საქართველოს სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირების გაფართოების საჭიროებით, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მისი მონაწილეობის გაღრმავებით, არამედ საერთოდ, განვითარების ახალი მოდელის ჩამოყალიბებით. ამ მოდელისთვის დამახასიათებელია: მსოფლიოს ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, რის გამოც ეროვნული ეკონომიკის განვითარებას, პირველ რიგში, მსოფლიო მეურნეობის განვითარების ტენდენციები განაპირობებს; პოსტინდუსტრიული საზოგადოების თანდათან დამკვიდრება, როდესაც განვითარების მთავარ ფაქტორად ცოდნა, ინფორმაცია გვევლინება, რომელიც თავისუფალ გავრცელებას მოითხოვს. ამიტომ ჩამოყალიბდა სრულიად ახალი სიტუაცია, როდესაც ქვეყნისთვის უფრო მომგებიანია არა კონფრონტაციული, არამედ თანამშრომლობითი, კოოპერაციული ურთიერთობების გაღრმავება, რაც ყველაზე უფრო უკეთესად ღია ეკონომიკის პირობებში შეიძლება გახორციელდეს.[84]

ქვეყნების დიდი უმრავლესობა დღეს ღია ეკონომიკით ხასიათდება. ღია ეკონომიკის ძირეული ნიშანია ის, რომ მისთვის დამახასიათებელია მინიმალური შეზღუდვები სხვა ქვეყნებთან გაცვლისთვის. თუმცა, ისეთი ქვეყანა, რომელსაც ასეთი შეზღუდვა საერთოდ არ აქვს, არ არსებობს. ჩაკეტილი ეკონომიკები კი, პირიქით, ხასიათდებიან მნიშვნელოვანი, ზოგჯერ ამკრძალავი შეზღუდვებით სხვა ქვეყნებთან გაცვლისთვის.

---

[84] იხ. **Giersch H.**Konjunktur und Wachstumspolitik in der offenen Wirtschaft. Wiesbaden, 1977; **Buomberger P.**Theorie und Strategie der Geldpolitik in einer kleinen, offenen Volkswirtschaft. Zurich, 1979; Меньшиков С. Новая экономика. М., 1999, გვ.244-265, 346-352.

აღნიშნული ზოგადი ნიშნის გარდა, ღია ეკონომიკა ხასიათდება სხვა სპეფიციკური ნიშნებით – მაკროეკონომიკურ, მიკროეკონომიკურ დონეზე და სახელმწიფოს საქმიანობის ხასიათის მიხედვით. მაკროეკონომიკურ დონეზე გამოიყოფა შემდეგი ნიშნები: ქვეყნის მდგრადი საგარეო-ეკონომიკური სპეციალიზაცია, როდესაც გაცვლა მსოფლიო მეურნეობასთან ხორციელდება არა სამამულო პროდუქციის დეფიციტის ან სიჭარბის გამო, არამედ საქონლის წარმოების შეფარდებითი ხარჯების საფუძველზე; ძირითად საქონელზე შიდა და მსოფლიო ფასებს შორის თანაფარდობა; ქვეყნის სავალუტო-ფინანსური მდგომარეობის მდგრადობის ხარისხი, როდესაც საგარეო ვალის მომსახურება არ აფერხებს ეკონომიკურ ზრდასა და ახალი კრედიტების მოზიდვას; ეროვნული ვალუტის საერთაშორისო კონვერტირებადობა.

მიკროეკონომიკურ დონეზე ღია ეკონომიკა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით: საკუთრების ყველა ფორმის საწარმოების თავისუფალი გასვლა საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებზე; ეკონომიკური სუბიექტების მიერ საზღვარგარეთული პარტნიორებისა და ბაზრების თავისუფალი არჩევანი; საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის საწარმოთა მეურნეობრიობის ორგანულ შემადგენელ ნაწილად გადაქცევა.

სახელმწიფო საქმიანობის სფეროში ღია ეკონომიკა ხასიათდება შემდეგი ძირითადი ნიშნებით: შიდა ბაზრის გახსნა საზღვარგარეთული კონკურენციისათვის ადგილობრივი მწარმოებლების ინტერესების დაცვის გათვალისწინებით; საზღვარგარეთული კაპიტალის ფუნქციონირებისთვის საჭირო სამართლებრივი და ეკონომიკური გარანტიების უზრუნველყოფა; მეცნიერულ-ტექნოლოგიური, სამრეწველო და სოციალური პოლიტიკის მსოფლიო სტანდარტებსა და განვითარების ტენდენციებზე ორიენტაცია; სამამულო სამეურნეო სამართლის მიახლოება საერთაშორისო სამართალთან, ამ უკანასკნელის პრიორიტეტის აღიარება სამამულო სამართლის ნორმების მიმართ; მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული საგარეო-ეკონომიკური რეგულირების ინსტრუმენტა-

რიუმის გამოყენება ქვეყნის თავისებურებების შესაბამისად; საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებში აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა; საგარეო ბაზრებზე სამამულო ექსპორტიორების დაცვა; საქართველოს საგარეო-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

აქედან ჩანს, რომ ღია ეკონომიკაზე გადასვლა ძალზე რთული პროცესია. რაც მთავარია, იგი ისეთნაირად უნდა განხორციელდეს, რომ მან საქართველოს განვითარებისთვის ახალი შესაძლებლობები უზრუნველყოს, მისი კონკურენტუნარიანობისა და ცხოვრების ხარისხის ასამაღლებლად. აღნიშნული სირთულე გამოწვეულია ობიექტური წინააღმდეგობებით, კონფლიქტებით ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის მიზანთა სისტემაში. საქმე ის არის, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიზანია ქვეყნისთვის მაქსიმალური სახალხო-სამეურნეო ეფექტიანობის მიღება მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციისგან ამ უკანასკნელის რაც შეიძლება მცირე დანახარჯების პირობებში. მაგრამ, ამასთან ერთად, ობიექტურად არსებობს სხვა მიზანიც – ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციის უზრუნველყოფა, რომელიც მოკლევადიან და საშუალოვადიან პერიოდში პრიორიტეტულია ინფლაციის დაუშვებლობის მოთხოვნის გამო. მაღალი კურსის შენარჩუნება, მართალია, ხელს უწყობს საგარეო ვალის მომსახურებას, იმპორტის გადიდებას, მაგრამ სამაგიეროდ ხელს უშლის ეკონომიკურ ზრდას, ექსპორტის გადიდებას, საზღვარგარეთული კაპიტალის მოზიდვას. მაშასადამე, **ინფლაციის აღკვეთას სავალუტო კურსის მდგრადობის შენარჩუნებით, ეწირება ეკონომიკური ზრდა და ექსპორტის გადიდების შესაძლებლობა, ანუ მსოფლიო მეურნეობაში აქტიური ინტეგრაცია, რადგანაც მარტო იმპორტის გადიდებით ინტეგრაცია (ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში) განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემას ვერ წყვეტს.**

მიზანთა სხვა კონფლიქტი წარმოიშობა მაშინ, თუ საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა სოციალურ მიზნებს დაექ-

ვემდებარება. იგულისხმება პროტექციონისტული ღონისძიებებით ცალკეული დარგებისა და საწარმოების დაცვა საზღვარგარეთული კონკურენციისგან, ეროვნული წარმოების შენარჩუნებისა და უმუშევრობის ზრდის თავიდან აცილების მიზნით. ასეთ შემთხვევაში სამამულო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ამოცანა განუხორციელებელი რჩება და ქვეყნის მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაციაც ხანგრძლივდება, ანუ, ფაქტობრივად, ქვეყნის ჩამორჩენილობის კონსერვაცია ხდება.

მესამე კონფლიქტი დაკავშირებულია იმასთან, რომ საერთაშორისო კონკურენციაში ჩართვა მოითხოვს მაღალი კვალიფიკაციის კადრების არსებობას, ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების უპირატესად წარმართვას, სოციალური სფეროს სწრაფად განვითარებას, მაგრამ, სინამდვილეში ყველა ამ სფეროში ძალიან დიდი დეფიციტია. ამის გამო, შიდა ბაზარზე საზღვარგარეთელი ინვესტორებისა და კონკურენტების შემზღუდავი პოლიტიკის პროვოცირება ხდება.

ამ კონფლიქტების არსებობა წინა პლანზე პროტექციონიზმისა და ლიბერალიზმის, საერთოდ, საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიის საკითხებს აყენებს, თანაც არა ზოგადად, არამედ გარდამავალი ეკონომიკის პირობებში (კერძოდ, საქართველოს პირობებში). მსოფლიო გამოცდილება (მათ შორის გარდამავალი ეკონომიკის მქონე პოსტსოციალისტური ქვეყნების გამოცდილება) გვიჩვენებს, რომ თანამედროვე პირობებში პროტექციონიზმისა და ფრიტრედერიზმის აბსოლუტური დაპირისპირება არასწორია. მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, რომელიც მხოლოდ პროტექციონიზმის ან მხოლოდ თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკას ახორციელებდეს. ყველა ნორმალური სახელმწიფო იმ პოლიტიკას ატარებს, რომელიც ყველაზე უფრო უკეთ შეესაბამება ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს, მისი სადღეისო და სამომავლო განვითარების მოთხოვნებს. რეალურად, გარდამავალ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, არსებობს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიის შემდეგი ვარიანტები:

1. ფიქსირებული გაცვლითი კურსის შენარჩუნება საერთაშორისო გაცვლითი კურსის უფრო ეფექტიანად გამოყენების მიზნით (წინააღმდეგ გაცვლითი კურსის პოლიტიკისა ფულის ღირებულების სტაბილიზაციის მიზნით);

2. ეკონომიკის არაკონკურენტუნარიანი დარგების მხარდამჭერი პროტექციონისტული პოლიტიკა, სოციალური გარანტიების სუსტი სისტემის ან მატერიალური და ადამიანური კაპიტალის დაგვიანებით შექმნის გამო (წინააღმდეგ ლიბერალიზაციისა და დემონოპოლიზაციის პოლიტიკისა, შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობების უკეთ გამოყენების მიზნით);

3. ავტონომიური საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკა (წინააღმდეგ ევროპის ეკონომიკურ კავშირში ინტეგრაციაზე ორიენტირებული პოლიტიკისა- საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, სამუშაო ძალის მოძრაობისთვის ბარიერების თანდათან შემცირების გზით);

4. გადახდებისა და კაპიტალის მიმოქცევის ლიბერალიზაცია უცხოური კაპიტალის მოზიდვის მიზნით (წინააღმდეგ საზღვარგარეთული სესხების განაწილების ცენტრალიზებული რესურსებისა და ადგილობრივი მეწარმეების მხარდაჭერისა).

რა თქმა უნდა, სტრატეგიის ვარიანტების ასეთი კლასიფიკაციაც პირობითია (რეალურად შესაძლებელია, კლასიფიკაციის სხვადასხვანაირად და სხვადასხვა ზომით კომბინირებასაც ჰქონდეს ადგილი), მაგრამ წარმოდგენილი კლასიფიკაცია საგარეო-ეკონომიკური სტრატეგიის კონკრეტული ანალიზის საშუალებას იძლევა.

ეროვნული ვალუტის შემოღების შემდეგ საგარეო-ეკონომიკურ სტრატეგიაში გამოკვეთილია სამი ძირითადი ეტაპი:

პირველი ეტაპი მოიცავს პერიოდს ეროვნული ვალუტის შემოღებამდე, 1995 წლის შემოდგომამდე. ეს არის პერიოდი, როდესაც ეროვნული ვალუტის უქონლობის გამო საქართველოს საგარეო-ეკონომიკური სტრატეგია, ფაქტობრივად, არც ჰქონდა;

მეორე ეტაპი – 1995 წლის შემოდგომიდან 1998 წლის დასასრულამდე; მისი მთავარი დამახასიათებელი თავისებურება იყო ფიქსირებული გაცვლითი კურსის პოლიტიკა ლარის გაუფასურებისა და ინფლაციის თავიდან აცილების, საგარეო ვალის უკეთ მომსახურების მიზნით;

მესამე ეტაპი – 1998 წლის დასასრულიდან დღემდე, რომლის თავისებურებაა საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაცია შრომის საერთაშორისო დანაწილების უპირატესობათა უკეთ გამოყენების მიზნით, მცურავ გაცვლით კურსზე გადასვლისა და რესურსების მოძრაობისთვის ბარიერების შემცირების გზით. მეორე ეტაპის წარმატებით გახორციელებით, საქართველოს ევროპის ეკონომიკურ კავშირში ინტეგრაციაზე ორიენტირებული საგარეო-ეკონომიკური სტრატეგიის გატარების საშუალება მიეცემა.

პირველი ეტაპისთვის დამახასიათებელი იყო შემდეგი ძირითადი თავისებურებანი:

ცხრილიდან ჩანს, რომ უკვე პირველ ეტაპზე გამოიკვეთა საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუარესების, იმპორტის მიმართ ექსპორტის მნიშვნელოვანი შემცირების ტენდენცია. უკვე 1991 წელს, ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების შედეგად, ექსპორტიცა და იმპორტიც თითქმის ორ-

ცხრილი 59

საქართველოს სავაჭრო ბალანსი 1991–1995 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)

მაჩვენებლები	1990	1991	1992	1993	1994	1995
ექსპორტი	4602,5	2940,0	746,9	550,0	290,8	285,0
იმპორტი	5260,0	2960,0	1930,0	897,0	603,1	715,0
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	9862,5	5900,0	2676,9	1447,0	893,9	1000,0
სალდო (%-)	-697,5	-20,0	-1183,1	-347,0	-312,3	-430,0
სალდო მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ, %	5,5	0,5	8,5	15,5	10,8	14,4
ექსპორტი იმპორტის მიმართ, %	87,5	99,3	38,7	61,3	48,2	39,9

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ჯერ შემცირდა მაგრამ სავაჭრო სალდო ოდნავ უარყოფითი იყო. უკვე 1992 წელს, ანუ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ უარყოფითი სალდო უცებ კოლოსალურად გაიზარდა 1183 მლნ. დოლარამდე, რადგანაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან მარტო ენერგორესურსების იმპორტი 1,2 მლრდ. დოლარი უჯდებოდა. მართალია, მომდევნო წლებში უარყოფითი სალდო აბსოლუტური მოცულობით მნიშვნელოვნად შემცირდა (1995 წელს მან 430 მლნ. დოლარი შეადგინა), მაგრამ ეს შემცირება, უპირატესად, ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებით იყო გამოწვეული, რაც იქიდანაც ჩანს, რომ იმპორტი, ექსპორტთან შედარებით, მცირე განსხვავებით, მაგრამ მაინც უფრო მეტად მცირდებოდა.

ცხრილი 60

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის გეოგრაფიული სტრუქტურა, %

ქვეყნები	1991	1992	1993	1994	1995
რუსეთი	58,1	29,7	20,3	15,4	14,2
თურქმენეთი	1,1	21,0	30,5	44,5	12,0
აზერბაიჯანი	4,0	1,0	6,0	14,5	12,2
სომხეთი	1,2	0,9	1,8	2,0	5,2
თურქეთი	3,5	1,1	20,0	13,2	24,2
სხვა ქვეყნები	32,1	46,3	21,4	10,4	32

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

მკვეთრი ცვლილებები მოხდა პირველ ეტაპზე, საქართველოს სავაჭრო პარტნიორების სტრუქტურაში. თუ ადრე საქართველოს სავაჭრო ბრუნვაში დომინირებდა რუსეთი, 1993 წლიდან მან დაკარგა ეს მდგომარეობა და საქართველოს უპირველეს სავაჭრო პარტნიორად ამ პერიოდში ჯერ თურქმენეთი, ხოლო შემდეგ თურქეთი მოგვევლინა. თუ რაოდენ მკვეთრი იყო რუსეთთან ვაჭრობის შემცირება, ჩანს შემდეგი მონაცემებიდან: 1991 წელს რუსეთიდან საქართველოში შემოტანილი იყო 1480 მლნ. დოლარის ღირებულების პრო-

დუქცია, 1995 წელს კი - მხოლოდ 18,64 მლნ. დოლარის ღირებულების, ანუ ამ ქვეყნიდან იმპორტი 80-ჯერ დაეცა. საქართველოდან ექსპორტი რუსეთში შესაბამისად, 1969,8 მლნ. დოლარიდან 43,04 მლნ. დოლარამდე, ანუ 45,8-ჯერ შემცირდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ სავაჭრო ბრუნვის ახალი შემცირება, უპირატესად, საწარმოო-ტექნოლოგიური დანიშნულების პროდუქციის ხარჯზე მოხდა, მაშინ, როდესაც თურქმენეთის წილი გაიზარდა, უპირატესად, გაზის იმპორტთან დაკავშირებით, ხოლო თურქეთისა - მისი ელექტროენერგიის, სოფლის მეურნეობისა და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის იმპორტის შედეგად.

მკვეთრად შეიცვალა ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაც. ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაში მნიშ-

ცხრილი 61

საქართველოს მიერ 1992–1995 წლებში აღებული საზღვარგარეთული კრედიტები

	კრედიტორი	მლნ. აშშ დოლარი	დავალიანება 1996 წ. 1 აპრილის მდგომარეობით
	სულ	1223,23	694,42
	მათ შორის		
1.	დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა	597,96	141,75
	რუსეთი	147,36	105,45
	სომხეთი	17,5	11,87
	აზერბაიჯანი	7,58	1,28
	უზბეკეთი	22,351	23,15
	თურქმენეთი	440,300	რესტრუქტურირებულია
2.	სხვა ქვეყნები	175,42	92,82
	ავსტრია	110,5	19,42
	ჩინეთი	3,6	3,6
	თურქეთი	50,0	50,0
	გერმანია	19,8	19,8
3.	საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები	459,85	459,85
	ევროგაერთიანება	141,65	141,65
	მსოფლიო ბანკი	103,1	103,1
	საერთაშორისო სავალუტო ფონდი	197,0	197,0
	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი	18,1	18,1

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები.

ვნელოვნად შემცირდა მანქანა-მოწყობილობის წილი. ამიტომ, მისი უდიდესი ნაწილი, დაახლოებით 42-45%-ის ოდენობით, ლითონებსა და მათ ნაწარმზე მოდიოდა, ალკოჰოლსა და უალკოჰოლო სასმელებზე - 15-16%, ჩაიზე - 5-8%, მინერალურ წყლებზე - 5-6%. იმპორტში გაბატონდა ენერგორესურსები და სასურსათო პროდუქცია. სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამამულო პროდუქციის მკვეთრი დაცემის შედეგად, ამ პერიოდში, ქვეყნის მოსახლეობის სასურსათო მოთხოვნილების 70%-ზე მეტი იმპორტით იფარებოდა.

ბუნებრივია, რომ პირველი ეტაპისთვის დამახასიათებელი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამო, საქართველო იძულებული გახდა საზღვარგარეთული კრედიტი მოეზიდა. ეს პროცესი, ძირითადად, 1994 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო. თუმცა, 1992-1995 წლებში აღებული 1223,23 მლნ. დოლარის მოცულობის კრედიტიდან მან მაინც შეძლო 43,2%-ის გასტუმრება. ეს იქიდანაც ჩანს, რომ 1996 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, დავალიანებამ 694,42 მლნ. დოლარი შეადგინა. ანუ ქვეყანას, მიუხედავად ნგრევითი პროცესებისა, მაინც აღმოაჩნდა პოტენციალი საზღვარგარეთული კრედიტების საკმაოდ დიდი ნაწილის გასასტუმრებლად. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ კრედიტების დიდი ნაწილი არაეფექტიანად, ძვირადღირებული მოხმარების საგნების, ან უხარისხო პროდუქციის შესაძენად გაიხარჯა. ამონაგები თანხით კი ვერ უზრუნველყოფდნენ კრედიტების დაფარვას.

ამგვარად, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების რეალური შედეგები, უმთავრესად, უარყოფითი იყო, რადგანაც დომინირებდა საგარეო ვაჭრობის სფერო, რომლის ბრუნვა, განსაკუთრებით ექსპორტი, მკვეთრად შემცირდა. ამავე დროს საქართველოს დაუგროვდა მნიშვნელოვანი ოდენობის საგარეო ვალი, ხოლო პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანაში საერთოდ უმნიშვნელო იყო.

მეორე ეტაპზე საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შედეგები, მართალია, წინააღმდე-

გობრივი, მაგრამ მაინც შედარებით უფრო დივერსიფიცირებული და თვისებრივად გაუმჯობესებული გახდა, რაც გამოიხატება შემდეგით.

ჯერ ერთი, საქართველოს სავაჭრო ბალანსი 1996-1998 წლებში საბოლოო შედეგების მიხედვით, გაუარესდა: უარყოფითი სალდო 1995 წლის 430 მლნ. დოლარიდან 1998 წელს 693 მლნ. დოლარამდე გაიზარდა, ექსპორტის წილი საგარეო ბრუნვის საერთო მოცულობაში, შესაბამისად, 28,5%-დან 17,7%-მდე შემცირდა, ხოლო ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი 39,5%-დან 21,5%-მდე დაეცა. გაუარესდა ექსპორტის სასაქონლო სტრუქტურაც, საიდანაც საწარმოო-ტექნოლოგიური დანიშნულების პროდუქცია თითქმის სრულიად გამოირიცხა. მაგრამ ასეთი გაუარესების ფონზე აშკარად გამოჩნდა საქართველოს საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული სტრუქტურის გაუმჯობესების ტენ-

ცხრილი 62

საქართველოს სავაჭრო ბალანსი 1996-2000 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)

მაჩვენებლები	1995	1996	1997	1998	1999	2000
1. ექსპორტი	285	198,8	239,8	189,9	238,2	329,9
2. იმპორტი	715	686,8	943,5	883,2	601,9	700,2
3. საგარეო სავაჭრო ბრუნვა	1000,0	885,6	1183,3	1073,1	840,1	1030,1
4. სალდო	-430	-488,0	-703,7	-693,3	-363,7	-370,3
5. ექსპორტის წილი ბრუნვის მოცულობაში, %	28,5	22,4	20,3	17,7	28,4	32,0
6. ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი, %	39,9	28,9	25,4	21,5	39,6	47,1
7. ექსპორტი პროცენტობით მშპ-სთან		13,3	15,5	15,4	23,0	10,6
8. იმპორტი პროცენტობით მშპ-სთან		32,3	41,9	41,9	41,1	22,5

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

დენცია.

კერძოდ, ცხრილიდან ჩანს, რომ ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან, აშშ-სა და იაპონიასთან. თუ გავითვალისწინებთ, რომ

ცხრილი 63

საქართველოს ექსპორტ-იმპორტი რეგიონებისა და ქვეყნების მიხედვით
(ათასი აშშ დოლარი)

რეგიონები, ქვეყნები	1996		1997		1998		1999		2000	
	თანხა	%	თანხა	%	თანხა	%	თანხა	%	თანხა	%
ექსპორტი სულ	199279	100	250125	100	194029	100	240748	100	329892	100
მათ შორის										
დსთ	127514	64,5	137407	54,9	104106	53,7	108044	44,9	136203	41,3
ევროკავშირი	16500	8,3	22597	9,0	38349	19,8	48934	20,3	68355	20,7
აშშ	1347	0,7	4219	1,7	10843	5,6	10010	4,2	6425	1,9
თურქეთი	25886	13,0	50054	20,0	24146	12,4	37385	15,7	73623	22,3
იაპონია	142	0,1	8	-	4	-	404	0,2	381	0,1
იმპორტი სულ	647285	100	858572	100	1048607	100	622581	100	700226	100
დსთ	244531	37,8	325720	37,9	368849	35,2	239863	38,5	221576	31,6
ევროკავშირი	155900	24,1	192119	22,4	276351	26,4	131581	21,1	167066	23,8
აშშ	43500	6,7	63199	7,4	73644	7,0	73855	11,9	70911	10,1
თურქეთი	72502	11,2	102619	12,0	116459	11,1	74197	11,9	108634	15,5
იაპონია	176	-	373		2593	0,2	2675	0,4	7112	1,0

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ამ ქვეყნებთან ვაჭრობისა და თანამშრომლობის განვითარებას საქართველოს მომავლისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ამ ფაქტის დაკნინება გაუმართლებელი იქნებოდა. პრაქტიკულად, დადასტურდა, რომ საქართველოს შეუძლია მონახოს საკუთარი ნიშა ამ ქვეყნების შიდა ბაზრებზე.

მეორე, მნიშვნელოვნად გააქტიურდა სასესხო კაპიტალის შემოდინება ქვეყანაში, განსაკუთრებით გრძელვადიანი კრედიტების სახით. თუმცა იგი საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის ზრდას მოასწავებდა და შესაბამისად, მისი მომსახურების მოცულობაც გაიზარდა. გრძელვადიანი საგარეო კრედიტების მოცულობა 1995-1998 წლებში 1149,68 მლნ. დოლარიდან 1627,36 მლნ. დოლარამდე ანუ 41,5%-ით გა-

ცხრილი 64

საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი
(მლნ. აშშ დოლარი)

მაჩვენებლები	1995	1996	1997	1998	1999	2000
მოლიანი საგარეო ვალი	1149,68	1347,66	1508,74	1627,36	1630,54	1543,14
მათ შორის:						
მოკლევადიანი კრედიტები						
გრძელვადიანი კრედიტები	1149,68	1347,66	1508,74	1627,36	1630,54	1543,14
საგარეო ვალის მომსახურებასთან დაკავშირებული გადასახდელები	19,43	24,07	43,35	166,58	106,17	106,26
მოლიანი საგარეო ვალი პროცენტულად მოლიან შიდა პროდუქტთან		45,14	43,46	47,23	60,14	491

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2000 წელი მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი. №6, გვ.65-66; 2001 წ. № 1, გვ. 56.

იზარდა.

მესამე, მკვეთრად გაიზარდა პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების ყოველწლიური შემოსვლა ქვეყანაში. 1995 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 42,8 მლნ. ლარი, ხოლო 1998 წელს - თითქმის 401 მლნ. ლარი, ანუ თითქმის 10-ჯერ გაიზარდა. განსაკუთრებით მაღალი ტემპით გაიზარდა პირდაპირი ინვესტიციები აშშ-დან, გაერთიანებული სამე-

ცხრილი 65

საქართველოში ძირითად კაპიტალში განხორციელებული უცხოური ინვესტიციები ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიხედვით (ფაქტობრივად, მოქმედ ფასებში, ათასი ლარი)

ქვეყნები და ორგანიზაციები	1995		1996		1997		1998		1999		2000	
	ათასი ლარი	%	ათასი ლარი	%	ათასი ლარი	%	ათასი ლარი	%	ათასი ლარი	%	ათასი ლარი	%
ავსტრალია		-	-	-	9054	5,0	1728	0,4			898	0,8
ავსტრია	-	-	266	0,3	-	-	-	-	-	-	-	-
აზერბაიჯანი	-	-	-	-	6714	3,7	24223	6,0	8311	4,9	-	-
აშშ	505	1,2	1852	2,1	28981	16,1	131150	32,7	40881	24,2	24484	20,6
ბელგია	-	-	-	-	1093	0,6	1934	0,5	-	-	-	-
გაერთიანებული სამეფო	24888	58,1	3289	3,8	33958	18,9	52054	13,0	16698	9,9 30	-	
გერმანია	-	-	22345	25,9	11089	6,2	17193	4,3	37	-	753	0,6
ვენესუელა	-	-	-	-	157	0,1	-	-	-	-	-	-
თურქეთი	163	0,4	8459	9,8	9711	5,4	26338	6,6	7618	4,5	35460	29,8
იაპონია	-	-	-	-	3357	1,9	9447	2,4	7877	4,7	3743	3,3
ირლანდია	30	0,1	238	0,3	489	0,3	-	-	163	0,1	-	-
ისრაელი	-	-	1523	1,8	151	0,1	189	-	2936	1,7	-	-
იტალია	-	-	1063	1,2	7190	4,0	770	0,2	174	0,1	-	-
კანადა	-	-	-	-	-	-	-	-	1277	0,8	21640	18,2
კვიპროსი				2388	1,3	-	-	-	-	-	-	
კორეის რესპუბლიკა		-	-	-	21025	11,7	-	-	2366	2,0	-	-
ლატვია		-	137	0,2	3	-	268	0,1	-	-	-	-
ლიტვა		-	-	-	-	-	-	-	1434	0,9		-
ლიხტენშტეინი	-	-	752	0,9	207	0,1	-	-	-	-	-	-
ნიდერლანდები	2248	5,1	705	0,8	1331	0,7	3017	0,8	607	0,4	12706	10,7
ნორვეგია	-	-	-	-	5707	3,2	20589	5,1	7065	4,2	-	-
რუსეთი	-	-	800	0,9	6714	3,7	26047	6,5	8311	4,9	-	-
საბერძნეთი			2556	3,0	1133	0,6	323	0,1	1923	1,2	10	-
საუდის არაბეთი		-	-	-	1141	0,6	4555	1,1	1417	0,8	-	-
საფრანგეთი	-	-	-	-	2345	1,3	18563	4,6	5664	3,4	1435	1,2
შვეიცარია	5302	12,4	19023	22,0	21404	11,9	1540	0,4	-	-	101	0,1
ჩეხეთი	-	-	-	-	-	-	3883	1,0	-	-	-	-
ჩინეთი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	2350	2,0
გაერო	-		929	1,1	-	-	-	-	-	-	1461	1,2
განვითარებისა და რეკონსტრუქციის	-		14300	16,5		-	11660	2,9		-	1461	1,2
ევროპული სააგენტო												
ევროკავშირი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	110 0,1	
მსოფლიო ბანკი	9716	22,7	8065	9,3	4517	2,6	45518	11,3	52847	31,3	13589	11,4
სულ	42853	100,0	86434	100,0	179860	100,0	400989	100,0	168606	100,0	118803	100,0

წყარო: საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემები.

ფოდან, გერმანიიდან, შვეიცარიიდან, რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან, აგრეთვე, მსოფლიო ბანკიდან. მაგალითად, აშშ-ის პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში 1995-1998 წლებში 0,5 მლნ. ლარიდან 131 მლნ. ლარამდე გაიზარდა და მან უცხოური პირდაპირი ინვესტიციების საერთო მოცულობის 32,7% შეადგინა. მომდევნო ადგილები ასე განაწილდა: გაერთიანებული სამეფო (13,0%), მსოფლიო ბანკი (11,3%), თურქეთი (6,6%), რუსეთი (6,5%) და ა.შ.

ამასთან, ყოველწლიურ მატებასთან ერთად, აღინიშნა პირდაპირი ინვესტიციების ჯამური მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდაც. თუ 1995 წელს პირდაპირი ინვესტიციების საერთო მოცულობა ქვეყანაში 42,8 მლნ. ლარი იყო, 1998 წელს მან უკვე 710,1 მლნ. ლარი შეადგინა, ანუ 16,6-ჯერ გაიზარდა. აღნიშნული მაჩვენებელი დოლარებში გაიზარდა, შესაბამისად, 32,9 მილიონი დოლარიდან 546,2 მლნ. დოლარამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ 1998 წლის დასასრულისთვის პირდაპირი ინვესტიციების საერთო მოცულობამ ქვეყანაში ნახევარ მილიარდ დოლარს გადააჭარბა. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინვესტიციების დიდი ნაწილი მოხმარდა არა უშუალოდ კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების ამოცანის გადაწყვეტას, არამედ ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების, სოფლის მეურნეობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ჯანდაცვის, კულტურის სფეროების განვითარებას.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1996 წელს ქვეყანაში შემოვიდა დაახლოებით 99 მლნ. დოლარი პირდაპირი ინვესტიცია, 1997 წელს - 238 მლნ., ხოლო 1998 წელს - 507 მლნ. დოლარი პირდაპირი ინვესტიცია, რამაც განსაკუთრებით ძლიერი დადებითი ზეგავლენა მოახდინა საქართველოს საგადასახდელო ბალანსის დინამიკასა და გაწონასწორებაზე, რადგანაც სავაჭრო ბალანსი, როგორც უკვე აღინიშნა, დიდი უარყოფითი სალდოთი ხასიათდებოდა.

ცხრილიდან ჩანს, რომ მეორე ეტაპზე სავაჭრო ბალანსი ძალზე გაუარესდა, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ამ წლებში აღინიშნებოდა მთლიანი შიდა პროდუქტის საკმაოდ მა-

ღალი ტემპით ზრდა, რასაც მხარი ვერ აუბა ექსპორტის ზრდამ. მაგრამ აღნიშნული გაუარესება თითქმის გადაფარა კაპიტალური და ფინანსური ანგარიშის ზრდამ, კერძოდ, პირდაპირი ინვესტიციების შედარებით მასშტაბურმა შემოსვლამ ქვეყანაში. შედეგად, 1996 წლის საგადასახდელო ბალანსი აღინიშნა 400 ათასი დოლარის დადებითი სალდოთი, 1997 წელს იგი გაწონასწორებული იყო, ხოლო 1998 წელს კაპიტალის ძლიერმა შემოდინებამ მაინც ვერ გადაფარა ექსპორტის ძლიერი დაცემა და საგადასახდელო ბალანსის უარყოფითმა სალდომ 67,7 მლნ. დოლარი შეადგინა.

ამგვარად, მეორე ეტაპი მნიშვნელოვანი ცვლილებებით ხასიათდებოდა: გაფართოვდა ექსპორტის გეოგრაფიული სტრუქტურა, კაპიტალისა და პირდაპირი ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში. ამ ცვლილებებს პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი უარყოფითი სავაჭრო სალდოს გამო, ქვეყანა მყარი ვალუტის რეზერვების გარეშე დარჩებოდა და უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ეს იმის დამადასტურებელია, რომ ფიქსირებული კურსის სტრატეგიამ სავსებით გაამართლა. ფიქსირებული კურსის შენარჩუნების, ინფლაციის მოთოკვის გარეშე, კაპიტალი და პირდაპირი ინვესტიციები საქართველოში არ შემოვიდოდა.

მაგრამ 1998 წლის დასასრულს საქართველომ ვეღარ შეძლო ფიქსირებული კურსის შენარჩუნება. სავაჭრო ბალანსის მკვეთრი გაუარესების, საბიუჯეტო კრიზისის პირობებში ქვეყანა სავალუტო რეზერვების სრული გაქრობის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და მცურავი სავალუტო კურსის სისტემაზე გადასვლაც აუცილებელი გახდა. შესაბამისად, დაიწყო საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის სრულიად ახალი ეტაპი, რომელიც, ჯერჯერობით, დამაიმედებელი შედეგებით ვერ გამოირჩევა.

ზემოთ მოტანილი ცხრილებიდან კარგად ჩანს, რომ მესამე ეტაპი ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით: საგარეო ვაჭრობის სფეროში აღინიშნება - ექსპორტის მნიშვნელოვანი

ცხრილი 66

საქართველოს ძირითად კაპიტალში განხორციელებული უცხოური ინვესტიციები ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიხედვით (ფაქტობრივად, მოქმედ ფასებად)

ქვეყნები და ორგანიზაციები	1995		1996		1997		1998		1999		2000	
	ათასი ლარი	%	ათასი ლარი	%	ათასი ლარი	%	ათასი ლარი	%	ათასი ლარი	%	ათასი ლარი	%
აზერბაიჯანი	-	-	-	-	6714	2,2	30997	4,4	39248	4,5	39248	3,9
აშშ	505	1,2	2357	1,8	31338	10,1	162488	22,9	203369	23,1	227853	22,8
გაერთიანებული სამეფო	24888	58,1	28177	21,8	62135	20,1	114189	16,1	130887	14,9	130917	13,1
გერმანია	-	-	22345	17,3	33434	10,8	50627	7,1	50664	5,8	51417	5,2
თურქეთი	163	0,4	8622	6,7	18333	5,9	44671	6,3	52289	6,0	87749	8,8
იაპონია	-	-	-	-	3357	1,1	12804	1,8	20681	2,4	24424	2,4
კანადა	-	-	-	-	-	-	-	-	1277	0,1	22917	2,3
ნიდერლანდები	2248	5,2	2953	2,3	4284	1,4	7301	1,0	7908	0,9	20614	2,1
ნორვეგია	-	-	-	-	5707	1,8	26296	3,7	33361	3,8	33361	3,3
რუსეთი			800	0,6	7514	2,4	33561	4,7	41872	4,8	41872	4,2
საფრანგეთი	-	-	-	-	2345	0,8	20908	2,9	26572	3,0	28007	2,8
შვეიცარია	5302	12,4	24325	18,8	45729	14,8	47269	6,7	47269	5,4	47370	4,7
განვითარებისა და რეკონსტრუქციის ევროპული საგენტო	-	-	14300	11,1	-	-	11660	1,6	11660	1,3	13121	1,3
მსოფლიო ბანკი	9716	22,7	17781	13,8	22298	7,2	67816	11,3	120663	13,7	134252	13,5
და სხვა	30	0,1	6697	5,2	51500	16,7	65150	9,2	75563	8,6	78964	7,9
სულ	42852	100,0	129286	100,0	309146	100,0	710135	100,0	878741	100,0	997544	100,0

წყარო: საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემები.

ზრდა 1998 წელს 190 მლნ. დოლარიდან, დაახლოებით 330 მლნ. დოლარამდე 2000 წელს, რაც რეკორდული მიღწევაა ბოლო ათწლეულში; მისი ხვედრითი წონის მნიშვნელოვანი ამაღლება სავაჭრო ბალანსში, შესაბამისად 17,7%-დან 32,0%-მდე. ექსპორტით იმპორტის დაფარვის მნიშვნელოვანი გადიდება 21,5%-დან 47,1%-მდე, რაც, უდავოდ, კარგი მაჩვენებელია; ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა ევროკავშირისა და დსთ-ის სივრცეში, თურქეთში. თუმცა გადაუჭრელ პრობლემად რჩება ექსპორტის სტრუქტურა, სადაც განმსაზღვრელი კვლავ ნედლეულისა და ბუნებრივი რესურსების ჯგუფია. 2000 წელს პირველ ადგილზე იყო ლითონის ჯართი - 50 მლნ. დოლარი, მომდევნო ადგილებზე - ღვინო 28,3, კაკალი - 22,3, ფეროშენადნობი - 13,9 მლნ. დოლარი. ამავე დროს, სახეზეა კაპიტალის შემოდინების ტემპის შემცირება წინა ეტაპთან შედარებით როგორც საგარეო კრედიტების, ასევე პირდაპირი ინვესტიციების შემთხვევაში. თუმცა, აღებული კრედიტების გასტუმრების ვადის დადგომასთან დაკავშირებით და მწვავე საბიუჯეტო კრიზისის გამო, საგარეო ვალის მომსახურება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად გადაიქცა. 2000 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, საქართველოს საგარეო ვალი მთლიანი შიდა პროდუქტის 55%-ია.

მხოლოდ საგარეო ვალის მომსახურებაზე 1999 წელს მთლიანი ხარჯების 14,5% დაიხარჯა, 2000 წელს - 13,5%, 2001 წელს გათვალისწინებულია, დაახლოებით, 14,8%, ანუ, დაახლოებით, 84 მლნ. დოლარი. საქართველომ 2000 წელს საგარეო ვალების დასაფარავად გადაიხადა 316 მლნ. დოლარი. აქედან ძირითადი ვალის დასაფარავად 113,1 მლნ. დოლარი, ხოლო პროცენტების სახით - 203 მლნ. დოლარი. ამ თანხებიდან ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის, ძირითადი ვალის გადახდილი თანხა შეადგენს 41,118 მლნ. დოლარს, დარიცხული პროცენტის გადახდილი თანხა - 26,330 მლნ. დოლარს, რაც მთლიანად შეადგენს 67,4 მლნ. დოლარს. გარდა ამისა, სახელმწიფო გარანტიით აღებული ძირითადი ვალის გადახდილმა თანხამ

ცხრილი 67
საქართველოს საგადასახდელო ბალანსი (მლნ. აშშ დოლარი)

	მაჩვენებლები	1992	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000
1.	მიმდინარე ანგარიში	-248	-353,9	-276,0	-363,6	-295,4	-499,1	-416,4	-195,1	- 261,9
	საგაჭრო ბალანსი	-378	-448,3	-363,2	-421,7	-313,3	-675,2	-760,4	-533,8	- 506,1
	მომსახურების ბალანსი	22,6	-17,1	-47,4	4,9	4,3	147,8	-55,2	-3,9	- 8,7
	შემოსავალი	36,4	-19,7	-35,4	-60,7	-70,5	127,4	190,8	147,0	117,5
	ტრანსფერტები	71,2	131,2	170,0	113,9	84,1	196,4	208,7	195,7	135,4
2.	კაპიტალური და ფინანსური ანგარიში	0,0	0,0	274,5	210,3	323,6	378,4	342,8	228,9	50,1
	კაპიტალური ანგარიში					46,7	-6,5	-6,0	-7,0	0,0
	ფინანსური ანგარიში					276,9	399,0	348,8	235,9	50,1
	პირდაპირი ინვესტიციები						242,6	265,3	81,2	- 131,7
	პორტფელური ინვესტიციები						2,4 0	0		2,7
	სხვა ინვესტიციები			274,5	210,3	276,9	154,0	83,48	1541,7	- 84,3
3.	წმინდა შეცდომები და გამოტოვებები			20,2	112,5	-27,8	120,7	5,9	-64,9	191,8
4.	მთლიანი ბალანსი	-247,7	-353,9	18,7	-40,8	0,4	0,0	-67,7	-30,4	- 20,0
5.	სარეზერვო აქტივების ცვლილება (% შემცირება, - ზრდა)	247,7	359,9	-18,7	40,8	-0,4	0,0	%67,7	30,4	20,0

წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემები; საქართველოს ეროვნული ბანკის, მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი, 2001 წ., №7, გვ.71.

შეადგინა 9,478 მლნ. დოლარი, ხოლო მათზე დარიცხულმა პროცენტებმა - 12,105 მლნ. დოლარი. ამ თანხების ნაწილიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიფარა. აქედან ჩანს, თუ რაოდენ დიდ ტვირთად აწვება საქართველოს ისედაც მწირ ბიუჯეტს საგარეო ვალის მომსახურება. უფრო მეტიც, ანალიზი გვიჩვენებს, რომ რესტრუქტურიზაციის გარეშე, საგარეო ვალის მომსახურების ვადადამდგარი გადასახდელების სრულად დაფარვისთვის 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების დაახლოებით 47%, ანუ 353,6 მლნ. დოლარი იქნებოდა საჭირო.

<ამიტომ არის, რომ საგარეო ვალის მომსახურების დიდი მოცულობის გამო, 1998 წლიდან საქართველო, შეძლებისდაგვარად თავს არიდებს დავალიანებების სრულ დაფარვას, რადგანაც ამ შემთხვევაში ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდება. მართალია, მთავრობა აღწევს ხოლმე რესტრუქტურიზაციას გარკვეულ ჩარჩოებში, მაგრამ ამით პრობლემა საბოლოოდ არ გვარდება. გადავადებული ვალი მაინც ახლო პერიოდში გასასტუმრებელია. ეს პრობლემა მხოლოდ ქვეყნის განვითარების, უწინარეს ყოვლისა, მისი საექსპორტო შემოსავლების მკვეთრი გადიდების გზით შეიძლება გადაწყდეს.

>ამგვარად, ბოლო ათწლეულში საქართველოს საგარეოეკონომიკური სტრატეგიის ძირითადი მიზნები იყო, ამ სფეროში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრება და ღია ეკონომიკაზე გადასვლა. ეს მიზნები, ძირითადად, მიღწეულია, მაგრამ ძალიან დიდი სოციალური საზღაურით, საწარმოთა დიდი ნაწილის ფაქტობრივი გაკოტრებით, უმუშევრობის მკვეთრი ზრდით. ქვეყნის ეკონომიკა უკვე ჩართულია მსოფლიო მეურნეობრიობაში, მაგრამ ძალიან სუსტად, რადგანაც იგი მის აქტიურ სუბიექტად ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა. მისთვის ქრონიკულად დამახასიათებელი გახდა: საგაჭრო ბალანსის მნიშვნელოვანი უარყოფითი სალდო, ექსპორტის მცირე მოცულობის შედეგად. მართალია, ბოლო წლებში ექსპორტი იზრდება, რასაც 1998 წლის დასასრულს ლარის დევალვაციამ უდავოდ შეუწყო ხელი, მაგრამ მის სერიოზულ ზრდას არ აქვს წარმოებრივ-ტექნოლოგიური სა-

ცხრილი 68

საქართველოს საგარეო ვალები 2000 წლის 10 სექტემბრის მდგომარეობით (მლნ. აშშ დოლარი)

კრედიტორი ქვეყნები	მიღებული კრედიტის თანხა	ათვისებული თანხა	საპროცენტო განაკვეთი	შეღავათიანი პერიოდი, წელი	წლიდან მოლარგ თანხაში %	კრედიტის ხანგრძლივობა	კრედიტების ხელმოწერისა და რესტრუქტურიზაციის წელი
1. რუსეთი	179,27	179,27	4%	3	9,13	10	14.01.97
2. სომხეთი	19,59	19,59	4	5	1,0	10	05.06.96
3. აზერბაიჯანი	16,19	16,19	4	5	0,82	10	18.02.97
4. ყაზახეთი	27,77	27,77	4	5	1,41	10	01.07.96
5. თურქმენეთი	393,57	393,57	4	3	20,04	8	20.03.96
6. უზბეკეთი	*1	1	4	5	0,05	10	28.05.96
7. უკრაინა	0,915	0,915	4	4	0,05	8	14.02.97
8. ავსტრია	71,70	71,70	4	5	3,65	14	10.01.97
9. ჩინეთი	3,15	3,15	4	5	0,16	10	20.12.97
10. გერმანია	51,2	7,9	-	-	2,61	-	-
11. თურქეთი	54,337	54,337	4	4	2,77	13	04.02.98
12. ირანი	12,826	12,826	4	5	0,65	10	03.11.96
13. აშშ	40,00	39,62	-	-	2,04	-	-
14. იაპონია	49,5	2,8	2,3	10	2,52	30	19.01.98
15. საერთაშორისო საკალუტო ფონდი	324,148	324,148	-	-	16,50	-	
16. მსოფლიო ბანკი (28 პროექტი)	515,839	340,84			26,29		1994-1999
17. ევროგაერთიანება	97,394	97,394	Libor+	10	4,96	15	12.12.97
18. ერგბ	99,85	99,85	-	-	5,08	-	-
19. სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი	6,1	2,8	0,75	10	0,31	40	15,05.97
სულ	1964,26	1704,48					

წყარო: საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემები.

ფუძველი)ეს ხელს უშლის საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებით წარმოშობილი შესაძლებლობების რეალიზაციას; საზღვარგარეთული ინვესტიციების შემოსვლის მცირე მასშტაბები; საგარეო ვალის პრობლემის უკიდურესად გამწვავება, რადგანაც მისი მომსახურება ქვეყნის ბიუჯეტიდან სულ უფრო რთულდება. აქედან ჩანს, რომ საქართველოს საგარეო-ეკონომიკური სექტორი დღემდე სათანადოდ მაინც ვერ ასრულებს თავის ძირითად ფუნქციებს - ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდისა და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლების აქტიური

ფაქტორის ფუნქციებს.

ასეთი ვითარება გამოწვეულია შემდეგი ძირითადი მიზეზებით:

– პროდუქციის ხარისხის დაბალი დონით, რაც ადამიანური კაპიტალისა და წარმოებრივი ტექნოლოგიური ბაზის ჩამორჩენილობით ექსპორტის განვითარების შესაძლებლობას არ იძლევა;

– ქვეყნის საერთო მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, მათ შორის შიდა ბაზრის მოცულობის სიმცირით, ერთობლივი მოთხოვნის კრიზისითა და ინვესტიციური შიმშილით, რაც საგარეო-ეკონომიკური კომპლექსის ინტენსიურ განვითარებას სერიოზულად აფერხებს;

– საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებისა და საბაზრო მექანიზმის შესაძლებლობების გამოუყენებლობით, ექსპორტის სუსტი სტიმულირებით, გადასახადების შემცირებისა და დაგროვების გადიდების პოტენციალის უგულებელყოფით; ამასთანავე, საგარეო კრედიტები წარმოებრივ-ტექნოლოგიური დანიშნულებით კი არა, სხვა დარგისთვის გამოიყენება.

აღნიშნული გვიჩვენებს, რომ საქართველოს საგარეო-ეკონომიკური კომპლექსის განვითარება სისტემურ გადაწყვეტას მოითხოვს. ცალკეული, ერთმანეთთან დაუბალანსებელი ღონისძიებებით ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელია. ანალიზი ადასტურებს, რომ წარმატება ამ პრიორიტეტული მიმართულებით შესაძლებელია მხოლოდ საგარეო-ეკონომიკური ლიბერალიზაციის სტრატეგიის გაგრძელებით, რაც შიდა ბაზრის, საერთო ეროვნული ინტერესების დაცვასაც გულისხმობს ზომიერი პროტექციონისტული ღონისძიების გახორციელებით ისევე, როგორც ეს ყველა სხვა წარმატებული ქვეყნისთვის არის დამახასიათებელი.

10.2. საგარეო-ეკონომიკური კავშირები საზღვარგარეთის ქვეყნებთან

საქართველოს მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაცია

საზღვარგარეთის ქვეყნებთან საგარეო-ეკონომიკური კავშირების გაფართოებით ხორციელდება. ასეთი კავშირები როგორც დასავლეთის განვითარებულ, ასევე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (ასევე, სხვა) ქვეყნებთან უნდა ვითარდებოდეს. თუმცა, რა თქმა უნდა, სტრატეგიულად გაცილებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური ურთიერთობები განვითარებულ ქვეყნებთან (და არა ჩამორჩენილთან). საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და წარმოებრივ-ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დაძლევა მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებთან პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებით შეიძლება. მართალია, მათი განვითარების შესაძლებლობანი ყველა მიმართულებით, მათ შორის ვაჭრობის, სასესხო კაპიტალის მოძრაობისა და პირდაპირი ინვესტიციების სფეროებში შეზღუდულია, მაგრამ ბოლო პერიოდის სინამდვილემ დაადასტურა, რომ პროგრესი აქ, უდავოდ, რეალურია.

მხედველობაში გვაქვს არა მარტო სასაქონლო ექსპორტის ზრდა აშშ-ში, ევროკავშირისა და დსთ-ის ქვეყნებში, არამედ მომსახურების ექსპორტის საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტულ მიმართულებად ჩამოყალიბება. იგულისხმება საქართველოს სატრანზიტო ფუნქციისა და ტურიზმის გაფართოების პერსპექტივები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლების დროული სტრატეგიული ხედვისა და უდიდესი ძალისხმევის შესახებაც.[85]

საქართველოსა და კავკასიის სატრანსპორტო და საკომუნიკაციო დერეფნის ამუშავების გარეშე, ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი მდგომარეობა და პერსპექტივები ძალიან არასახარბიელო იქნებოდა. მაგრამ ამ პროექტის რეალიზაციას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობაც აქვს. იქმნება დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოების, უძვე-

[85] იხ. ე.შევარდნაძე. დიდი აბრეშუმის გზა. თბილისი, 1999.

ლესი „აბრეშუმის გზის“ აღორძინების შესაძლებლობა. ამ პროექტის პირველი ეტაპი საქართველოს სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნის ფუნქციას გვაკისრებს. იგი დღეს სამ კომპონენტად მოიაზრება: ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი (TRACECA), ტრანსკავკასიური სტრატეგიული ენერგეტიკული დერეფანი და ტრანსკავკასიური სატელეკომუნიკაციო ქსელი. მის განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობენ ევროკავშირის ქვეყნები, აშშ, ჩინეთი, იაპონია, საქართველო, აზერბაიჯანი და სხვები, აგრეთვე, საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური ორგანიზაციები. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტს უკვე ყაზახეთიც შეუერთდა.

ამ კონტექსტში აღსანიშნავია ფრიად მნიშვნელოვანი შედეგები, რომლებიც უკვე მიღწეულია:

– ბაქო-სუფსის ნავთობის მილსადენის ამოქმედება;

– საქართველოს სარკინიგზო ხაზების რეკონსტრუქციის კვალობაზე, აზერბაიჯანის გავლით, ყაზახეთის ნავთობის ბათუმის პორტამდე გადაზიდვა;

– აზერბაიჯანი-საქართველოს შემაერთებელი ახალი „წითელი ხიდის“ აშენება და ძველი, ისტორიული ხიდის რეკონსტრუქციის დასრულება;

– ბათუმში საბორნე გადასასვლელისა და ფოთში სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელის აშენება;

ცხრილი 69

მილსადენების პროექტები საქართველოს გავლით

მილსადენი	გამტარუნარიანობა	სიგრძე	პროექტის ღირებულება	მშენებლობის დამთავრება
ბაქო-სუფსა (მოქმედი)	5 მლნ. ტონა/წელიწადში	820 კმ	0,565 მლრდ. დოლარი	აშენდა 30 თვეში
ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი (პროექტი)	50 მლნ. ტონა/წელიწადში	1730 კმ	2,4 მლრდ. დოლარი	2003 წ.
ტრანსკასპიური გაზსადენი (პროექტი)	90 მლრდ. მ³ წელიწადში	1210 კმ	3 მლრდ. დოლარი	2002 წ.

წყარო: საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს მონაცემები.

– თბილისის მთავარი აეროპორტის მოდერნიზაციის დასრულება და მისი ტვირთბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდა;

– საქართველოს, აზერბაიჯანს, უზბეკეთსა და თურქმეთს შორის შეთანხმების მიღწევა მათ ტერიტორიაზე გამავალ საქონელზე ტარიფების შემცირების შესახებ.

განსაკუთრებით ხაზგასასმელია „ტრასეკას“ პროექტის დიდი მნიშვნელობა საერთაშორისო ეკონომიკის განვითარებისთვის. მას, საქართველოს პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის აზრით, ოთხი სტრატეგიული მიზანი ახასიათებს: 1. სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოების სუვერენიტეტის, მათი პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცება, ამ ქვეყნების ეკონომიკის ევროპულ და მსოფლიო ბაზრებთან ალტერნატიული სატრანსპორტო სატრანზიტო კომუნიკაციებით დაკავშირება; 2. ამ სახელმწიფოთა რეგიონული თანამშრომლობისა და კოოპერირების განვითარება; 3. ამ ქვეყნებში საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების დაინტერესებისა და კერძო საინვესტიციო რესურსების გამოყენების გზით; 4. ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის – ტრასეკას დაკავშირება ტრანსევროპულ და, მაშასადამე, მსოფლიო სატრანსპორტო კომუნიკაციებთან.[86]

თუ რაოდენ დიდია კავკასიის სატრანსპორტო დერეფნის როლი საერთაშორისო ეკონომიკის განვითარებისთვის უახლოეს ათწლეულებში, კარგად ჩანს აშშ-ის სენატის მიერ 1999 წლის 30 ივნისს მიღებული კანონით **„აბრეშუმის გზის სტრატეგიის 1999 წლის აქტი“**. მასში აღნიშნულია, რომ სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში საკმარისი რაოდენობით მოიპოვება ნავთობი და გაზი იმისთვის, რომ აშშ დამოკიდებული აღარ იყოს სპარსეთის ყურის რეგიონიდან ენერგიის არამდგრად მიწოდებაზე.[87]

საქართველოსა და სამხრეთ კავკასიას შეუძლია უდიდესი როლი შეასრულოს საერთაშორისო ტელეკომუნიკაციური

---

[86] იხ. **ე.შევარდნაძე**. დიდი აბრეშუმის გზა. თბილისი, 1999., გვ. 40.

[87] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1-2 აგვისტო, 1999.

ცხრილი 70

უცხოური ინვესტიციები ძირითად კაპიტალში ეკონომიკური საქმიანობის სფეროების მიხედვით (ათასი აშშ დოლარი)

საქმიანობის სფეროები	1998		1999		2000	
	თანხა	%	თანხა	%	თანხა	%
1. უცხოური ინვესტიციები სულ	286421	100	84303,0	100	59401,0	100
2. სოფლის მეურნეობა	-	-	3005,0	3,5	265,5	0,4
3. სამთო-მომპოვებელი მრეწველობა	1425	0,5	1035,5	1,2	11308,0	19,0
4. გადამმუშავებელი მრეწველობა	25231	8,8	5052,0	5,9	3442,5	5,8
5. ელექტროენერგია, გაზი, წყალმომარაგება	52038	18,1	2472,5	29,3	3731,5	6,3
6. მშენებლობა	1381	0,5	-	-	-	-
7. ვაჭრობა და საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტი	6123	2,1	124,5	0,1		
8. სასტუმროები და რესტორნები	4245	1,5	2733,5	3,2	9653,5	16,3
9. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	194423	67,9	46404,0	55,0	23856,0	40,2
10. ოპერაციები უძრავი ქონებით, კომერციული საქმიანობა					313	0,5
11. სახელმწიფო მართვა, თავდაცვა, საჭალდებულო დაზღვევა	1361	0,5	504,0	0,6	3656,5	6,1
12. განათლება			719,0	0,9	448,5	0,8
13. ჯანმრთელობა	-	-		-	721,5	1,2
14. სხვა კომუნალური, სოციალური, პერსონალური მომსახურება	191	0,1			2004	3,4

წყარო: საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემები.

კავშირების განვითარებაშიც, რაც არანაკლებ შემოსავლიანია, ვიდრე სატრანსპორტო ფუნქციის განხორციელება.

ამჟამად, უცხოური ინვესტიციებისთვის კვლავ ყველაზე უფრო მიმზიდველია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფერო, შემდეგ კი სასტუმროებისა და რესტორნების ბიზნესი, სამთო-მომპოვებელი მრეწველობა. ენერგეტიკის სფეროში უცხოური ინვესტიციები ბოლო წლებში მკვეთრად შემცირდა, თუმცა ამ სფეროს განვითარების პერსპექტივები გააჩნია (ასევეა სოფლის მეურნეობისა და მომსახურების სფეროებში).

აღნიშნულიდან ჩანს, რომ საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები საზღვარგარეთის ქვეყნებთან, ზემოთ დასახელებული მიზეზების შედეგად, ჯერ კიდევ მოკრძალებულია. მაგრამ საქართველო საკმაოდ მნიშვნელოვანი კონკურენტული უპირატესობითაც ხასიათდება. ეს კი საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოების შესაძლებლობებს იძლევა (განვითარებულ ქვეყნებთან, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან, დსთ-ის ქვეყნებსა და სხვებთან).

განვითარებული ქვეყნების (აშშ, დასავლეთ ევროპის ქვეყნები, იაპონია, კანადა და ზოგიერთი სხვა) ეკონომიკა საქართველოსთვის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი მახასიათებლის მიხედვით, გარკვეულწილად, ორიენტირი უნდა იყოს სამომავლო განვითარებისთვის. თუმცა, მათი გამოცდილების უშუალოდ გადმოტანა დაუშვებელია. ეს მხოლოდ ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ასეთ ორიენტირებს მიეკუთვნება: ეკონომიკური პოტენციალის განვითარების დონე; ინფორმაციული და ბიოლოგიური ტექნოლოგიების გავრცელების სოციალურ-ეკონომიკური შედეგები; მენეჯმენტის მიღწევები პერსონალის მართვის, წარმოების ორგანიზაციის, სტიმულირებისა და კონტროლის სფეროში; საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებისა და სრულყოფის გამოცდილება, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ფორმები; მეურნეობის ინსტიტუციური მოწყობა, ეფექტიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების ამოცანები და მეთოდები; ეფექტიანი კონკურენციის უზრუნველყოფა, მომხმარებლებისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვა; მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისების მეთოდები; დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა; სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მეთოდები; ჩამორჩენილი საწარმოების, დარგების, რეგიონების სანაციის გამოცდილება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ქვეყნებთან საბჭოთა პერიოდში საქართველოს თითქმის არ ჰქონდა ურთიერთობები, ამჟამად უკვე საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული, მაგრამ, საერთო ჯამში, ამ ურთიერთობების მას-

შტაბები და სიღრმე არასაკმარისია. ამიტომ, იგი ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ ყოველდღიურ და განუხრელ პრიორიტეტად უნდა ჩამოყალიბდეს.

პერსპექტივები აქვს საქართველოს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისთვის. ეს დამოკიდებულია რეფორმების მიმდინარეობაზე, როგორც საქართველოში, ასევე ამ ქვეყნებში - სამამულო საექსპორტო შესაძლებლობების გაფართოებასა და სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ქსელის განვითარებაზე, ბულგარეთთან, რუმინეთთან, უნგრეთთან, სლოვაკეთთან, ჩეხეთთან, იუგოსლავიასთან, პოლონეთთან ურთიერთობების გაფართოების პერსპექტივები უკვე დღეს იკვეთება არა მარტო სავაჭრო-სატრანზიტო, არამედ საწარმოო-კოოპერაციულ სფეროშიც.

მაგრამ შედარებით უფრო მეტი შესაძლებლობები არსებობს საქართველოს უშუალო მეზობლებთან საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიფიკაციისთვის. მათი დიდი უმრავლესობა საქართველოს პარტნიორია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, ან შავი ზღვის აუზის ქვეყნების ინტეგრაციულ გაერთიანებებში.

დსთ-ის შექმნა მიზნად ისახავდა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, ჰუმანიტარული, კულტურული, სამხედრო თანამშრომლობის განვითარებას, ნებაყოფლობითობისა და სრული დამოუკიდებლობის პრინციპების საფუძველზე. თანამეგობრობის განვითარებაში მნიშვნელოვანი მიჯნა იყო 1993 წლის სექტემბერში ხელმოწერილი ხელშეკრულება ეკონომიკური კავშირის შექმნის შესახებ. განისაზღვრა თანამშრომლობის საერთო ვექტორი - ქვეყნებს შორის სამეურნეო ურთიერთობების დაფუძნება საბაზრო საფუძვლებზე, საერთაშორისო სამართლით აღიარებულ პრინციპებსა და წესებზე. უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო 1994 წლის აპრილში ხელმოწერილი ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის თაობაზე, რომელიც განიხილება როგორც საბაჟო კავშირზე გადასვლის გარდამავალი საფეხური. მნიშვნელოვანი გადაწყ-

ვეტილებები იყო მიღებული, აგრეთვე, საწარმოო კოოპერაციის, ქვეყნებს შორის კაპიტალის მოძრაობის ხელშეწყობის, სამეცნიერო-ტექნოლოგიური თანამშრომლობის, ტრანსნაციონალური საწარმოო, კომერციული, საკრედიტო-საფინანსო გაერთიანებების შექმნის, საგადასახდელო-ანგარიშსწორების სფეროს მოწესრიგების შესახებ.

იმავდროულად ჩამოყალიბდა დსთ-ის ინსტიტუციური სისტემა. შექმნილია 30-ზე მეტი მაკოორდინებელი ორგანო. 1993 წლის 22 იანვარს მიღებული წესდება განსაზღვრავს, რომ დსთ არ არის სახელმწიფო და არ აქვს ზესახელმწიფოებრივი უფლებამოსილებანი, მისი გადაწყვეტილებები მხოლოდ საკონსულტაციო და სარეკომენდაციო ხასიათისაა. უმაღლესი ორგანოებია სახელმწიფოთა მეთაურებისა და მთავრობათა მეთაურების საბჭოები. ასევე ფუნქციონირებს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო, ეკონომიკური საბჭო, ეკონომიკური საკითხების კომისია, ეკონომიკური სასამართლო, საპარლამენტთაშორისო ასამბლეა, აღმასრულებელი კომიტეტი, აგრეთვე, დარგობრივი თანამშრომლობის 55 ორგანო - საგარეო-ეკონომიკური უსაფრთხოების, საბაჟო სამსახურის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის და ა.შ. სფეროებში.

არსებული წესით, თუ სახელმწიფომ ხელი არ მოაწერა მიღებულ დოკუმენტს, იგი ვალდებული არ არის მის შესრულებაზე. თითოეულ სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა, თვითონ აირჩიოს თანამშრომლობის ფორმა და მიმართულებები.[88]

დსთ-ის არსებობის 8 წლის განმავლობაში სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მიერ მიღებული 156 დოკუმენტიდან მხოლოდ 6 შევიდა ძალაში თანამეგობრობის ყველა წევრისთვის. 112 ასეთი ხელმოწერილი დოკუმენტიდან საქართველომ წარადგინა რატიფიცირებული სიგელები და შეტყობინებები მხოლოდ 5 დოკუმენტზე, თურქმენეთმა - 11-ზე (55-დან), მოლდოვამ - 34-ზე (131-დან), რუსეთის

---

[88] იხ. Правила процедуры Совета глав государств и Совета глав правительств СНГ.- Содружество, Информационный вестник СГГ и СГП СНГ, 1996, № 3, გვ. 56-65.

ფედერაციამ - 48-ზე (146-დან), უკრაინამ - 47-ზე (104-დან).

ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში მიღებული დოკუმენტებიდან თურქმენეთმა არ მოაწერა ხელი ყოველ მეორე დოკუმენტს, საქართველომ - ხუთიდან ორს, აზერბაიჯანმა - ყოველ მესამეს, უკრაინამ - ყოველ მეხუთეს. ამასთან, დოკუმენტზე ხელმოწერაც არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოები აუცილებლად შეასრულებენ მას. გადაწყვეტილებების მიხედვით ნებაყოფლობით და კეთილსინდისიერად სრულდება აღებული ვალდებულებები (კონტროლის ეროვნული მექანიზმების და სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე).[89]

ამგვარად, დსთ-ში საერთოდ არ მოქმედებს მიღებული გადაწყვეტილებების აუცილებლად შესრულების მექანიზმი და წესი. თუ მიღებული გადაწყვეტილება რომელიმე სახელმწიფოს ინტერესებს არ შეესაბამება, მას ვერავინ დააძალებს მის მიღებასა და შესრულებას. ინტეგრაციის ასეთი რბილი (სადღეისოდ ერთადერთი მისაღები)ვარიანტი დსთ-ის სახელმწიფოთა ინტერესების დაბალანსებას უწყობს ხელს, თუმცა ინტეგრაციის ნელ ტემპსაც განაპირობებს.

ასეთი ნელი ტემპი ობიექტური პირობებითაც არის გამოწვეული. მათ შორის მთავარია: განვითარების სხვადასხვანაირი დონე, განსხვავებული ეკონომიკური პოტენციალის არსებობა, რეფორმების გახორციელების სხვადასხვანაირი სტრატეგია და ტემპი, გარკვეული უნდობლობა სსრკ-ის სამართლებრივი მემკვიდრისადმი - რუსეთის ფედერაციისადმი.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, დსთ-ის სივრცე სამ რეგიონად შეიძლება წარმოვადგინოთ: შედარებით უფრო განვითარებული აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი, შედარებით საშუალოდ განვითარებული ამიერკავკასიის რეგიონი და შედარებით სუსტად განვითარებული ცენტრალური აზიის ქვეყნების რეგიონი. მაგალითად, დსთ-ის აღმოსავლეთ ევ-

---

[89] იხ. Механизм реализации решений СГГ и СГП СНГ. - Содружество, 1999, № 3.

როპის რეგიონზე (რუსეთი, უკრაინა, ბელორუსი, მოლდოვა) მოდის დსთ-ის მოსახლეობის 74,8% (212,1 მლნ. კაცი) და მისი მთლიანი შიდა პროდუქტის 85% (1325 მლრდ. დოლარი ეროვნული ვალუტების მყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით). განვითარების დონით იგი მნიშვნელოვნად უსწრებს ორ სხვა რეგიონს: მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე აქ არის 6250 დოლარი, ამიერკავკასიაში - 4050, შუა აზიაში - 3075 დოლარი ეროვნული ვალუტების მყიდველობითუნარიანობის პარიტეტის მიხედვით. საბაზრო რეფორმების გახორციელების თვალსაზრისით, სადღეისოდ უდავოდ, წინ არიან რუსეთი, მოლდავეთი, სომხეთი. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მათი მიმზიდველობა უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისთვის, დსთ-ის სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფრო მაღალია: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ რუსეთში 1997 წელს შეადგინა 3,9 მლრდ. დოლარი, 1998 წელს - 2,5, 1999 წელს - 3,4, 2000 წელს - 5 მლრდ. დოლარი. რუსეთისთვის ამ ინვესტიციებს დიდი მნიშვნელობა აქვს მისი მეურნეობის სტრუქტურული გარდაქმნისა და საექსპორტო პოტენციალის გაძლიერებისთვის. მაგრამ თვითონ რუსეთისადმი ნდობა დსთ-ის მრავალ ქვეყანაში დაბალია. ეს აიხსნება მისი მმართველი ელიტის განუწყვეტელი მცდელობით, ზეგავლენა მოახდინონ ამ ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაზე. ამ ქვეყნის სამეცნიერო წრეები კი დღესაც ასაბუთებენ თანამეგობრობისათვის ზესახელმწიფოებრივი ფუნქციების მინიჭების აუცილებლობას[90]. საქართველო, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებული გამოცდილებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, არ დასთანხმდება დსთ-ის ასეთ ევოლუციას.

ცხადია, საქართველოს რუსეთთან თანასწორუფლებიანი და ურთიერთსარგებლიანი ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება აინტერესებს. იგივე უნდა ითქვას თურქეთთან ურთიერთობების შესახებაც. ცხრილიდან (71) ჩანს, რომ ამ

---

[90] საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემები.

ორ ქვეყანასთან ვაჭრობა 1998 წლის შემდეგ საგრძნობლად შეფერხდა (რაც ამ ქვეყნებში კრიზისული სიტუაციებით იყო გამოწვეული). მომდევნო წლებში ვითარება გაუმჯობესდა. ოფიციალური მონაცემებით, გარდატეხა მოხდა 2000 წელს, როდესაც თურქეთთან საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ წინ გაუსწრო რუსეთთან საგარეო სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებელს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსეთი კვლავ რჩება საქართველოს უმნიშვნელოვანეს სავაჭრო პარტნიორად. ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველია: ჯერ ერთი, აბსოლუტური მოცულობების მიხედვით, სხვაობა ამ ორ ქვეყანას შორის არ არის. მეორე, საქართველოს ოფიციალური მონაცემები სიზუსტით ვერ გამოირჩევა. საკმარისია აღი-

ცხრილი 71

საქართველოს რუსეთსა და თურქეთთან ვაჭრობის დინამიკა (მლნ. აშშ დოლარი)

მაჩვენებლები	1995		1996		1997		1998		1999		2000	
	რუსეთ	თურქეთ	რუსეთ	თურქეთ	რუსეთ	თურქეთ	რუსეთ	თურქეთ	რუსეთ	თურქეთ	რუსეთ	თურქეთ
ექსპორტი	34,1	56,6	25,9	68,7	39,4	55,2	20,3	45,5	37,7	68,1	73,6	
იმპორტი	84,8	127,2	76,6	126,1	116,8	130,6	98,4	127	73,3	90,2	108,6	
საგარეო ბრუნვა	118,9	183,8	102,5	194,8	156,2	185,8	118,7	172,5	111,0	158,3	182,3	
სალდო	-50,7	-70,6	-50,7	-57,4	-77,3	-75,4	-78,1	-81,4	-35,5	-22,2	-35,0	
წილი სავაჭრო ბრუნვაში	21,5	20,8	11,6	16,5	13,2	17,3	11,1	20	13,0	15,4	17,7	
წილი მთელ ექსპორტში	14,8	28,5	13,0	28,6	16,4	29,1	10,7	18,9	15,7	20,6	22,3	
წილი მთელ იმპორტში	22,4	18,5	11,2	13,4	12,4	14,8	11,1	20,4	11,8	12,9	15,5	

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

ნიშნოს, რომ სარკისებრი ანალიზით სულ სხვა მონაცემებია.

მაგალითად, 1998 წელს საქართველოს მხარემ აღრიცხა მხოლოდ 98,4 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის იმპორტი, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, რომელიც თურქეთის მხარეს ეყრდნობა, იგი 164 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა. ანალოგიური ვითარება იყო მომდევნო წლებშიც. მეორე მხრივ, 1997 წელს საქართველოს მხარის

მიერ აღრიცხული ექსპორტის მოცულობა რუსეთში მხოლოდ 68,7 მლნ. აშშ დოლარის ტოლი იყო, რუსეთის საბაჟო კომიტეტის მონაცემებით კი, საქართველოდან გატანილი იყო 148,0 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების საქონელი, ხოლო იმპორტის მონაცემებმა, შესაბამისად, 126,1 და 144,5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ანუ ამ წელს საქართველოს დადებითი სავაჭრო ბალანსი ჰქონდა რუსეთთან ვაჭრობაში. სხვადასხვა მაჩვენებელი იყო რუსეთთან საქართველოს ვაჭრობაში მომდევნო წლებშიც. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც კონტრაბანდული საქონლის მოძრაობა ორივე ქვეყნისთვის მასშტაბური გახდა. მესამე, თურქეთში საქართველოს ექსპორტის ძალიან მნიშვნელოვანი წილი ჯართის ექსპორტზე მოდის. ამ წელს მან 43 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ამ ჯართის გარეშე თურქეთში ექსპორტი იქნებოდა, დაახლოებით, 29,6 მლნ. აშშ დოლარი, ანუ იგივე, რაც საშუალოდ 1994-1998 წლებში. ეს მოცულობა კი მნიშვნელოვნად ჩამორჩება 2000 წელს საქართველოდან რუსეთში ექსპორტს (68,1 მლნ. აშშ დოლარი) და გერმანიაში ექსპორტს (30,9 მლნ. აშშ) დოლარი.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოდან თურქეთში, ძირითადად, ნედლეული და ბუნებრივი რესურსები გადის, ხოლო იქიდან შედარებით უხარისხო სასურსათო და ფართო მოხმარების პროდუქცია შემოდის. მეორე მხრივ, საქართველოსთვის აგრარული და სამრეწველო პროდუქციის ყველაზე რეალურ და უდიდესი პოტენციალის მქონე ბაზრად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცე, უწინარეს ყოვლისა კი, რუსეთი რჩება. განსაკუთრებით დიდია რუსეთის ენერგორესურსების იმპორტზე საქართველოს დამოკიდებულება.

მართალია, რუსეთი და თურქეთი დღეს საქართველოს უმთავრეს პარტნიორებად გადაიქცნენ, მაგრამ როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, სხვა მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობების გაფართოებასაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. განსაკუთრებით დიდია დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებთან საქართველოს ეკონომიკური კავშირების ინტენსიფიკაციის მნიშვნელობა. ამის რეალური შესაძლებლობები არის

არა მხოლოდ საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის სფეროში, არამედ წარმოებრივ, მეცნიერულ-ტექნოლოგიური კოოპერაციის სფეროში, რადგანაც ამისთვის საჭირო ინტელექტუალური და მეცნიერული პოტენცია ქვეყანაში არსებობს. უკვე მიღწეული საერთაშორისო კონტრაქტები ტელეკომუნიკაციების, კოსმოსური თანამშრომლობის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, თვითმფრინავმშენებლობისა და სხვა თანამედროვე წარმოებების სფეროში, ამის ნათელი დადასტურებაა.

ამასთან ერთად, გადასაწყვეტია შემდეგი პრობლემაც. რუსეთიდან, თურქეთიდან, სხვა ქვეყნებიდან საქართველოში შემოდის დიდი მოცულობით ისეთი პროდუქცია (დაწყებული სურსათით, ფართო მოხმარების საგნებით და დამთავრებული წარმოებრივ-ტექნოლოგიური პროდუქციით), რომლის წარმოება ქვეყანაში (მცირე დანახარჯებით) და მათი შემდგომი ექსპორტიც კი, სავსებით შესაძლებელია. ანუ **საქართველომ პრიორიტეტულად ექსპორტის წარმოება უნდა განავითაროს, მაგრამ იმავდროულად, იმპორტის შემცვლელი წარმოების განვითარებაც უნდა მოვახერხოთ, რომ ქვეყნის სავალუტო რეზერვები უყაირათოდ არ ვხარჯოთ.**

დასასრულ, საუკეთესოა არა ის პოლიტიკა, რომელიც ყველაზე უფრო დიდი ეფექტის მოტანას გვპირდება, არამედ ის, რომლის რეალურად რეალიზებაც შესაძლებელია. რეფორმების შედეგად საქართველოში ღია ეკონომიკა ჩამოყალიბდა, მაგრამ მისგან სასურველი რეალური ეფექტი, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ჯერჯერობით, ქვეყანაში ნაკლებად იგრძნობა. ამიტომ, აქცენტი დღეიდან სხვა ქვეყნებთან საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ეფექტიანობის ამაღლებაზე უნდა გაკეთდეს. სხვანაირად, საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას აზრი ეკარგება.

10.3. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

ახალი სახელმწიფოს შენების პროცესში საქართველო ურთულესი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ქვეყნის სახელმწიფოებრიობის მშენებლობაში, დემოკრატიული სისტემის ჩამოყალიბებაში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში, მოსახლეობის სოციალური დაცვის უზრუნველყოფაში საქართველოს მსოფლიოს ბევრმა სახელმწიფომ და საერთაშორისო ორგანიზაციამ გაუწია ფასდაუდებელი დახმარება. რომ არა ასეთი დახმარება, საქართველოს მდგომარეობა დღეს გაცილებით უფრო მძიმე იქნებოდა. საერთაშორისო ორგანიზაციებიდან განსაკუთრებით შედეგიანი საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობაა.

/საქართველოში საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მოღვაწეობა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ჯერ კიდევ 1991 წლიდან იწყება, როდესაც ქვეყანას ეწვია საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მისია. ეს იყო ამ საერთაშორისო ორგანიზაციის პირველი სტუმრობა საქართველოში, რომლის მიზანსაც საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა და სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებების განსაზღვრა წარმოადგენდა. **ასეთი თანამშრომლობა განსაკუთრებით 1992 წლის 5 მაისს, საქართველოს საერთაშორისო სავალუტო ფონდში ოფიციალურად გაწევრიანების შემდეგ გააქტიურდა.** ამასთან, იგი სულ უფრო მრავალმხრივ ხასიათს იძენდა, დაწყებული მემორანდუმების, რეკომენდაციების, მოხსენებითი ბარათების, ხელშეკრულებების მომზადებით და დამთავრებული, საქართველოს მთავრობისადმი მიზნობრივი სესხების გაცემით, ეს, საერთოდ, ფონდის მოღვაწეობისთვის არის დამახასიათებელი და მისი ფუნქციებიდან გამომდინარეობს.

---

[91] იხ. Статьи соглашения Международного валютного Фонда. МВФ. Вашингтон, 1992.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი მოწოდებულია, ხელი შეუწყოს საერთაშორისო სავალუტო სისტემის სტაბილურობას. იგი 1945 წელს შეიქმნა, დიდი სახელმწიფოების გადაწყვეტილებით ბრეტონ-ვუდსკის სისტემის ანუ ფიქსირებული სავალუტო კურსის სისტემის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.[91] იგი აძლევს კრედიტებს წევრ-სახელმწიფოებს მათი საგადასახდელო ბალანსის, ეროვნული ვალუტისა და ფინანსური სისტემის სტაბილიზაციისთვის. ამასთან, კრედიტის მიმღები ქვეყნები ვალდებული არიან, შეასრულონ ფონდის მკაცრი მოთხოვნები ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის სფეროში.

70-იანი წლების დასაწყისიდან ფონდის ძირითადი ფუნქცია იყო ფიქსირებული სავალუტო კურსის შენარჩუნება ცალკეულ ქვეყნებში, მაგრამ მომდევნო პერიოდში მას დაემატა გრძელვადიანი ადაპტაციისა და დაბალანსებული ზრდის უზრუნველყოფის ფუნქციები. შედეგად, ფონდისა და მსოფლიო ბანკის საქმიანობის მიმართულებები ერთმანეთს დაუახლოვდა. ამ უკანასკნელის მიზანი ყოველთვის იყო ეკონომიკური ზრდისთვის ხელშეწყობა კონკრეტული ინვესტიციური პროექტების გახორციელებით. მაგრამ ორივე ორგანიზაციამ გააცნობიერა როგორც საგარეო, ასევე შიდა პრობლემების გადაწყვეტა. მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური პოლიტიკის მჭიდრო კოორდინაციას მოითხოვს: საგადასახდელო ბალანსის წონასწორობის მიღწევისათვის აუცილებელ სტრუქტურული გარდაქმნების გახორციელებასა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებას, ხოლო ამ უკანასკნელისთვის კი საჭიროა - ეფექტიანი საერთაშორისო ურთიერთობებისა და ეროვნული ვალუტის რაციონალური გაცვლითი კურსის არსებობა.

მაგრამ 90-იანი წლების დასაწყისისთვის აღმოჩნდა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის პოლიტიკა სტრუქტურული ადაპტაციისა და სტაბილიზაციის ღონისძიებების სახით სასურველ შედეგს არ იძლეოდა, რადგანაც სახელმწიფო ხარჯების შემცირება, მზარდი უმუშევრობა, რეალური ხელფასის დაცემა, სასურსათო სუბსი-

დიების შეწყვეტა მოსახლეობის უღარიბესი ფენების მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებდა. ამას დაემატა სხვადასხვა დარგში საზოგადოების გათვითცნობიერება, განათლების, ჯანმრთელობის, ეკოლოგიის პრობლემების აქტუალიზაცია. ამიტომ, წინა პლანზე 90-იანი წლებიდან, გაეროს ინიციატივით, ადამიანის განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პრობლემა დგას. თუმცა, მისი პრიორიტეტულობა საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მხოლოდ ახალი საუკუნის მიჯნაზე აღიარა.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარება საქართველოსადმი, ისევე როგორც სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნისადმი, ხორციელდება შემდეგი სამი ფორმით:

1. **რეკომენდაციები ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისთვის.** რეგულარულად (ჩვეულებრივ სამ თვეში ერთხელ) საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელი პირები და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მაღალი რანგის თანამშრომლები მართავენ კონსულტაციებს და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ფონდის მისიის მიერ შემუშავებული მოხსენებები, მემორანდუმები, სათანადო რეკომენდაციებით გადაეცემა საქართველოს მთავრობასა და ფონდის აღმასრულებელ საბჭოს. ამ უკანასკნელის განხილვის შედეგები კი ეგზავნება საქართველოს მთავრობას.

სსფ-ის უმდიდრესი გამოცდილების გამოყენება საშუალებას აძლევს საქართველოს მთავრობას, სწორად განსაზღვროს ქვეყნის განვითარების ყველაზე უფრო გადამწყვეტი პრიორიტეტები;

2. **დახმარება საქართველოს საგადასახდელო ბალანსის მოკლევადიანი სიძნელეების დაფინანსებაში.** თუ საქართველოს ფინანსური რესურსების სიმწირეს გავითვალისწინებთ, ასეთ დახმარებას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ლარის სიმყარის შენარჩუნებისთვის, ინფლაციის თავიდან აცილებისთვის და შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის წანამძღვრების უზრუნველყოფისთვის. გარდა ამისა, სსფ-ის დახმარება იწვევს ფინანსური რესურსების დამა-

ტებით მოზიდვას მსოფლიო ბანკისაგან და სხვა კერძო და სახელმწიფო წყაროებიდან;

3. **ტექნიკური დახმარება.** უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ სახის დახმარებას, რაც საქართველოსთვის ცოდნისა და კვალიფიკაციის გადაცემას გულისხმობს საბაზრო ეკონომიკის ნორმალურად ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ინსტიტუტების შესაქმნელად, დაწყებული საბანკო სისტემიდან და დამთავრებული სოციალური დაცვის კომპლექსური სისტემის ჩამოყალიბებით. საქართველოს მთავრობისა და მრავალი უწყების მუშაკმა გაიარა სასწავლო კურსები საბაზრო ეკონომიკის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გასაღრმავებლად, პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესების გამოცდილების ასათვისებლად. თბილისში იმყოფება სსფ-ის მუდმივი წარმომადგენელი, რომელიც საქართველოს მთავრობასთან აქტიურად თანამშრომლობს და სამთავრობო პროგრამის რეალიზაციაში გვეხმარება.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ განვლილ პერიოდში საქართველოს მთავრობისა და სსფ-ის თანამშრომლობა, უწინარეს ყოვლისა, საგადასახდელო ბალანსის წონასწორობისა და მთლიანი შიდა პროდუქტის მდგრადი ზრდის მიღწევის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებითა და გახორციელებით გამოიხატება. ამისთვის, შეთანხმებულ დოკუმენტებში, მოკლევადიან და საშუალოვადიან პროგრამებში ჩამოყალიბებულია თანამშრომლობის ძირითადი მიზნები და მათ შესასრულებლად აუცილებელი მაკროეკონომიკური, სტრუქტურული და ინსტიტუციური პოლიტიკა. კერძოდ, როგორც წესი, განსაზღვრულია შემდეგი ძირითადი მიზნები: მიმდინარე საგადასახდელო ბალანსის დეფიციტისა და ინფლაციის ტემპის შემცირება, წარმოების ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მცირეშემოსავლიანი მოსახლეობის სოციალური დაცვის უზრუნველყოფა. ამ მიზნების რეალიზაციისთვის ყოველი შეთანხმებული პროგრამა ითვალისწინებდა კონკრეტულ ღონისძიებებს.

მაგალითად, სავალუტო პოლიტიკის სფეროში: უფრო

ცხრილი 72

საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკა საგადასახდელო ბალანსის წონასწორობისა და მთლიანი შიდა პროდუქტის მდგრადი ზრდის მიღწევისთვის საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში

№	მიზანი	მაკროეკონომიკური პოლიტიკა	სტრუქტურული პოლიტიკა	ინსტიტუციური რეფორმები
1	2	3	4	5
1	მიმდინარე საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის შემცირება 1.1. სამამულო საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის ამაღლებით 1.2. საგარეო მოთხოვნის ცვლილებებთან მეწარმეთა ადაპტაციით 1.3. ინფლაციის შემცირებითა და კონკურენტუნარიან საწარმოებში გამოშვების გადიდებით	საავალუტო პოლიტიკა: უფრო რეალისტურ საავალუტო კურსზე გადასვლა	საავალუტო და სავაჭრო შეზღუდვების გაუქმება	
2 2.1.	ინფლაციის ტემპის შემცირება: ერთობლივი მოთხოვნის მოხმარების შემცირების გზით	ფულად-საკრედიტო პოლიტიკა: ა) საპროცენტო განაკვეთების შენარჩუნება ინფლაციის ტემპზე უფრო მაღლა ბ) ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკებისადმი (საწარმოებისადმი) გაცემული კრედიტების შემცირება გ) ბანკების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების შემცირება	საპროცენტო განაკვეთების ლიბერალიზაცია	ფინანსური სექტორის რეფორმა: ა) ორდონიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება ბ) ირიბი ზემოქმედების ინსტრუმენტების შემოღება გ) ფინანსური სექტორის უფრო რაციონალურ ორგანიზაციაზე გადასვლა

1	2	3	4	5
		ფისკალური პოლიტიკა ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება	საგადასახადო სისტემის რეფორმისა და სახელმწიფო ხარჯების შეცვლა	
	2.2. მოთხოვნის შერჩევითი შეზღუდვის გზით	შემოსავლების პოლიტიკა: ხელფასის მაღალი ტემპით ზრდის არდაშვება	სუბსიდიების შემცირება	მონოპოლისტური პრაქტიკის შემზღუდავი კანონების მიღება და განხორციელება
	3 წარმოების ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის პროგრამა 3.1. კაპიტალდაბანდებებისა და წარმოების შესახებ სახელმწი- ფოს მონაწილეობის შემცირე- ბის გზით 3.2. სახელმწიფო სექტორის ეფექტიანობის ამაღლება	ფულად-საკრედიტო პოლიტიკა: ა) შეღავათიანი კრედიტების გაუქმება ბ) ცენტრალური ბანკის მიერ საწარმოებისადმი კრედიტების აკრძალვა ფისკალური პოლიტიკა: ა) ბიუჯეტის დავალიანების შემცირება ბ) საბიუჯეტო სუბსიდიების გაუქმება	ფასების ლიბერალიზაცია ფინანსური სექტორის რეფორმა: ა) ორდონიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება ბ) ირიბი ზემოქმედების ინსტრუმენ- ტების შემოღება გ) საგადასახადო სისტემის რეფორმა და ცვლილებები სახელმწიფო ხარჯებში დ) სახელმწიფოებრივი ხარჯების შემოსავლების მაღალი ნიხრი პროექტებზე კონცენტრაციის მიზნით	კერძო საკუთრების უფლების გარანტიის უზრუნველმყოფი კანონები, პრივატიზება ან სახელმწიფო საწარმოების კომერციულ ანგარიშსწორება- ზე გადაყვანა
	4 ეკონომიკური ტვირთის შემცირება მცირე შემოსავ- ლების მქონე ჯგუფებზე 4.1. სოციალური დაცვის სისტემის სრულყოფის გზით		ადრეული დახმარება სოციალური უზრუნველყოფის სისტემის რეფორმა	დარგების ან უმუშევრობისთვის დახმარების უზრუნველმყოფი სისტემის ჩამოყალიბება

რეალისტურ სავალუტო კურსზე გადასვლას; ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სფეროში: საპროცენტო განაკვეთების შენარჩუნებას ინფლაციის ტემპზე უფრო მაღლა, ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკებისა და საწარმოებისადმი გაცემული კრედიტების მოცულობის შემცირებას, ბანკების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების შემცირებას; სტრუქტურული პოლიტიკის სფეროში: სავალუტო და სავაჭრო შეზღუდვების გაუქმებას, საპროცენტო განაკვეთების ლიბერალიზაციას, საგადასახადო სისტემის რეფორმას, სახელმწიფო ხარჯების შემცირებას, სუბსიდიების შემცირებას, ფინანსური სისტემის რეფორმას, სოციალური სისტემის რეფორმას; ინსტიტუციური პოლიტიკის სფეროში: საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, პრივატიზებას და ა.შ.

მაგრამ ერთია მიზნებისა და პოლიტიკის გაცხადება და სხვა არის მათი რეალური განხორციელება. თავდაპირველად შეთანხმებული პროგრამები, ძირითადად, სრულდებოდა, მაგრამ შემდეგ, განსაკუთრებით 1998 წლიდან, ძირითადი პარამეტრები ძნელად ან საერთოდ არ სრულდებოდა. ცხადია, ასეთი შეუსრულებლობა აძნელებდა არსებული პრობლემების გადაწყვეტას, აფერხებდა რეფორმებს, არ იძლეოდა მისი უფრო მაღალ საფეხურზე გადასვლის საშუალებას. ამას თითოეული შეთანხმების ანალიზი ადასტურებს. ამიტომ, ამ ასპექტში ძალიან საინტერესოა სსფ-ის მემორანდუმებისა და პროგრამების თანამიმდევრული შეფასება.

კერძოდ, მიზანშეწონილია გამოვყოთ საქართველოს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობის სამი ძირითადი ეტაპი: პირველი, დაწყებული 1991 წლიდან 1994 წლის შემოდგომამდე; მეორე - 1994 წლის შემოდგომიდან 1998 წლის დასასრულამდე; მესამე - 1998 წლის დასასრულიდან დღემდე.

მართალია, პირველ ეტაპზე ფონდთან თანამშრომლობას, უპირატესად, სარეკომენდაციო ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მან, უდავოდ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ხელი-

სუფლების მიერ ქვეყნის განვითარების სტრატეგიის, კრიზისის დაძლევისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონკრეტული ღონისძიებების განსაზღვრაში. თავის მემორანდუმებში, რეკომენდაციებში ფონდი მწვავედ, შეულამაზებლად, რეალისტურად აფასებდა არსებულ ვითარებას და მისი გაუმჯობესების კონკრეტულ ღონისძიებებს სახავდა. ფონდის პირველივე მისიის მემორანდუმი მოიცავდა იმ კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალს, ჰიპერინფლაციის დაძლევის მიზნით, ხაზს უსვამდა რეფორმების სისტემურად გახორციელების აუცილებლობას, იძლეოდა ეკონომიკური და საფინანსო-საკრედიტო რეფორმების კომპლექსურ პაკეტს, რომელიც ითვალისწინებდა 1994 წლის დასასრულისთვის ინფლაციის შემცირებას ერთნიშნა რიცხვამდე, სარეზერვო ფულის მოცულობის ზრდის მინიმიზაციას, ეროვნულ ბანკში ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე ავტომატური ოვერდრაფტების პრაქტიკის დაუყოვნებლივ შეწყვეტას და ა.შ.[92]

შემდეგი მისიის ანგარიშში კიდევ უფრო დეტალურად გაანალიზდა საქართველოში მიმდინარე პროცესები, განისაზღვრა რეფორმის ღონისძიებები, დასაბუთდა, რომ მიზანშეუწონელია სამანეთო ზონაში შესვლა, მრავალი ვალუტის გამოყენების პრაქტიკის შეწყვეტისა და ლარის შემოღების დაგეგმვის აუცილებლობა.[93]

მომდევნო მისიის დროს კი უკვე შეთანხმდა სტაბილიზაციისა და სტრუქტურული რეფორმების კონკრეტული პარამეტრები, რომელიც ფონდის რესურსების გამოყენებით განხორციელდებოდა სისტემური გარდაქმნების დაფინანსების მექანიზმის (STF) ჩარჩოებში.[94]

---

[92] იხ. МВФ. Грузия - консультативные дискуссии в рамках Статьи IV Статей соглашения МВФ. Итоговый меморандум. 8 апреля 1994 года.

[93] იხ. სსფ-საქართველო - 1994 წლის ანგარიში სტატია IV კონსულტაციებისთვის. 1994 წლის 6 ივნისი.

[94] МВФ. Доклад-резюме хода переговоров, посвященных использованию ресурсов МВФ в рамках Механизма финансирования системных преобразований. 31 июля 1994 года.

პირველი ეტაპის მნიშვნელობა გამოიხატება იმით, რომ საქართველოს ხელისუფლებამ გააცნობიერა კრიზისის დაძლევისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შეთავაზებული სტრატეგიისა და ღონისძიებების აუცილებლობა და მათ შესასრულებლად პოლიტიკური მზადყოფნა დაადასტურა.

მეორე ეტაპზე, საქართველოს ფონდთან თანამშრომლობა მათი არსებობისა და განვითარებისთვის უდიდესი შედეგებით აღინიშნება, რადგანაც ფონდის რეკომენდაციების შესრულება ხელისუფლებისთვის სავალდებულოა. ამის გამოა, რომ დასახული პარამეტრების მისაღწევად ხელისუფლება მაქსიმალურ ძალისხმევას ავითარებს.

ფონდთან შეთანხმებული სტაბილიზაციისა და სტრუქტურული რეფორმების პირველი 12-თვიანი პროგრამა 1994 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა. შესაბამისად, განაცხადი STF კრედიტზე (1994 წლის სექტემბრის მისიის საქართველოს მთავრობასთან წარმატებით დამთავრებული მოლაპარაკებების შემდეგ) სსფ-ის აღმასრულებელ კომიტეტს წარედგინა და კიდეც დაკმაყოფილდა.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფონდთან თანამშრომლობა განსაკუთრებით ინტენსიური და ნაყოფიერი მეორე ეტაპზე იყო. ამას, უდავოდ, ხელი შეუწყო 1994 წლის აგვისტოდან ფონდის მუდმივი წარმომადგენლის მუშაობამ საქართველოს მთავრობასთან. მისიების ვიზიტებიც უფრო რეგულარული და შედეგიანი გახდა. ისინი მუდამ რეალისტურად აანალიზებდნენ რეფორმის მიმდინარეობას, წინა პროგრამის შედეგებს და საქართველოს მთავრობასთან აზუსტებდნენ ახალი პროგრამის პარამეტრებს. ფონდი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ საგარეო დაფინანსების პერსპექტივები ძალიან შეზღუდულია და საქართველოს ხელისუფლებას ქვეყნის შიდა რესურსების გამოყენების აქტივიზაციაზე მიუთითებდა.[95] არ-

---

[95] იხ. МВФ. Республика Грузия. Памятная записка. Консультации по статье IV и первая проверка выполнения договоренности по кредитам „Стенд-бай". 14 августа 1995 года, გვ. 3.

სებითი მნიშვნელობა ჰქონდა დასკვნებს იმის თაობაზე, რომ 1995 წლიდან, მიუხედავად ეკონომიკური ზრდის განახლებისა, საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობა საშუალოვადიან პერსპექტივაში მაინც უკიდურესად რთულად გამოიყურებოდა. სტაბილიზაციის სფეროში მნიშვნელოვანი საწყისი მიღწევების მიუხედავად, საგარეო სფეროში მდგრადობის მიღწევა მაინც შორეულ მიზნად რჩება.[96] ეს იმიტომ, რომ გასათვალისწინებელია როგორც მიმდინარე ოპერაციების დეფიციტის, ასევე ქვეყნის საგარეო ვალის მოხმარების გადასაწყვეტად წამოჭრილი ძალიან მძიმე და გრძელვადიანი პრობლემები.

ამასთან, ფონდის ფუძემდებლური დოკუმენტები ხასიათდებოდა კომპლექსურობით. აქ განიხილებოდა როგორც უკანასკნელი პერიოდის მოვლენები, მიღებული პროგრამების გახორციელების შედეგები, ასევე, წინადადებები პოლიტიკისთვის საბიჯეტო-საგასახადო, ფულად-საკრედიტო სფეროებში, საგადასახდელო ბალანსის, საგარეო ვალის, საგარეო დაფინანსების, სტრუქტურული რეფორმების, ტექნიკური დახმარების, სტატისტიკის სრულყოფის საკითხები, საქართველოს განვითარების სცენარები 2005 წლამდე პერიოდისთვის.[97] როგორც წესი, წლის დასასრულს უკვე მომზადებული იყო მომავალი წლის ეკონომიკური პროგრამა, ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით, კონკრეტული მაჩვენებლებით საბიუჯეტო-საგადასახადო, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სფეროებში და ა.შ.[98]

მესამე ეტაპზე ვითარება იცვლება მწვავე საბიუჯეტო კრიზისთან დაკავშირებით. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს

---

[96] იხ. МВФ. Республика Грузия. Доклад сотрудников МВФ в связи с консультациями 1995 года статье IV и первым обзором выполнения программы, поддерживаемой по линии кредита „Станд-бай" . 11 сентября 1995 года, გვ. 33.

[97] იხ. МВФ. Грузия. Доклад персонала в связи консультациями 1996 года согласно статье IV. 9 сентября 1996 года, გვ. 53-62.

[98] იხ. МВФ. Грузия. Памятная записка. 29 октября - 7 ноября 1996 года; გვ.7-24.

აღინიშნოს, რომ სსფ, დაწყებული პირველი მისიიდან, ყოველთვის მიუთითებდა, რომ გადასახადების აკრეფა საქართველოში ძალიან დაბალ დონეზეა და ამ სერიოზული ნაკლის სასწრაფოდ გამოსწორება აუცილებელია. მოტანილი ცხრილიდან ჩანს, რომ გადასახადების აკრეფა საქართველოში კატასტროფული იყო 1998 წლის საბიუჯეტო კრიზისამდეც: საგადასახადო შემოსავლები მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ საქართველოში 1993 წელს შეადგენდა 3,4%-ს, ხოლო 1996 წელს მხოლოდ 8,1%-მდე გაიზარდა, ანუ ორჯერ უფრო მცირე იყო, ვიდრე სომხეთსა და აზერბაიჯანში, ოთხჯერ - ვიდრე რუსეთში, დაახლოებით 5-ჯერ უფრო მცირე - ვიდრე ესტონეთში, უკრაინაში, ბელორუსში, უზბეკეთში და ა.შ.

ცხრილი 73

საგადასახადო შემოსავლები მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ (პროცენტებში)

ქვეყნები	1993	1994	1995	1996	1997	1998	1999	2000
სომხეთი	16,0	15,8	16,2	16,2	17,1	19,3	16,3	-
აზერბაიჯანი	40,6	26,1	15,2	16,2	19,7	17,2	18,2	20,8
ბელორუსი	54,7	48,3	42,7	41,9	45,5	44,5	45,7	
ესტონეთი	38,5	41,3	39,9	39,0	-	-	-	-
საქართველო	3,4	4,2	5,1	8,1	13,0	13,2	14,2	14,1
ყაზახეთი	29,9	25,6	26,1	23,6				
ყირგიზეთი	24,6	20,8	16,7	17,0	-	-	-	-
ლატვია	35,8	36,5	35,5	36,4	41,3	42,6	40,0	37,5
ლიტვა	31,5	32,7	32,8	30,0	-	-	-	-
მოლდოვა	22,1	32,0	33,5	31,5	33,9	33,1	27,3	26,6
რუსეთი	36,2	34,6	27,9	24,7	30,8	26,2	28,8	32,2
ტაჯიკეთი	27,1	44,5	15,2	12,3	13,7	12,0	13,5	13,6
თურქმენეთი	19,2	10,4	12,5	15,1	-	-	-	-
უკრაინა	42,8	44,3	38,5	37,2	38,8	36,0	34,7	34,4
უზბეკეთი	42,6	32,3	34,6	34,2				
აუწონავი საშუალო მნიშვნელობა	31,3	28,9	26,9	25,5				

წყარო: МВФ. Грузия. Последние сообщения в экономике и отдельные вопросы. 12 июня 1998 г. გვ.50; საერთაშორისო სავალუტო ფონდის ინტერნეტგვერდი: www.imt.org.lexte

სავალუტო ფონდთან შეთანხმებული პარამეტრების შეუსრულებლობის გამო საქართველოს შეუწყდა სტრუქტურული გარდაქმნის გაფართოებული მექანიზმის ESAF-ის კრედიტის გამოყოფა, თუმცა თანამშრომლობა სხვა სფეროებში გაგრძელდა. კერძოდ, შემუშავდა ახალი პროგრამა 1999 წლისთვის, ხოლო 1999 წლის იანვარში გაკეთდა ერთობლივი მემორანდუმი ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის შესახებ, სადაც გაცხადდა ორივე მხარის მზადყოფნა კრიზისის დაძლევისთვის საჭირო ღონისძიებების გასატარებლად. პროგრამა ითვალისწინებდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას 2%-ით, ინფლაციის წლიურ ტემპს 13%-ის ოდენობით, ოფიციალური სავალუტო რეზერვების გადიდებას 213 მლნ. დოლარის მოცულობით, ანუ იმპორტის 2,5 თვის დაფარვით, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას 1,8%-მდე, ნაცვლად 4,3%-ისა 1998 წელს, კერძო სექტორის განვითარებისთვის ხელშეწყობას და ა.შ.[99]

სამწუხაროდ, პროგრამით დასახული პარამეტრები 1999-2000 წლებში, ვერ შესრულდა. საბიუჯეტო-ფინანსური კრიზისის გაგრძელების შედეგად, შექმნილი ვითარების მიზეზები და კრიზისის დაძლევის გზები კონკრეტულად არის განსაზღვრული სსფ-ის 1999 წლის 11 დეკემბრის სპეციალურ დოკუმენტში, სტრუქტურული გარდაქმნების გაფართოებული მექანიზმის ESAF-ის პროგრამის შეფასებისა და მომავალი ეკონომიკური რეფორმებისთვის შედეგების შესახებ. შეფასებისას გამოყოფილია ის სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი მიღწევები აღინიშნა, ან გარდატეხა ჯერ კიდევ პრობლემატურია. კრიზისის დასაძლევად და რეფორმის დასაჩქარებლად დასახელდა პროგრამის ხელშემშლელი ფაქტორები, ახალი მიჯნები და პრიორიტეტები.[100]

მიღწევათა შორის გამოყოფილია მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია, სამეურნეო აქტივობა, საბანკო სისტემის რე-

---

[99] იხ. МВФ. Грузия. Дополнительное заявление об экономической и финансовой политике. Январь, 1999 года.

[100] იხ. МВФ. Грузия. Оценка программы ESAF и последствия для будущих экономических реформ. 11 декабря 1999 года.

ფორმა, ვაჭრობის ლიბერალიზაცია საბიუჯეტო კრიზისამდე პერიოდში. გადაუწყვეტელი პრობლემებიდან დასახელებულია, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო ფინანსების სისუსტე, განსაკუთრებით გადასახადების აუკრეფლობა, სახელმწიფო სახსრების გამოყენების დაბალი ეფექტიანობა, სოციალური დაცვის ჩამორჩენილობა, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის არაპირდაპირი ინსტრუმენტების უქონლობა, საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი, მსხვილი პრივატიზების განუხორციელებლობა, სოფლის მეურნეობისა და ენერგეტიკის განვითარების დაბალი დონე. ხაზგასმულია სახელმწიფოებრივი მართვის დაბალი ქმედუნარიანობა, არასაკმარისი ყურადღება ინსტიტუტების შექმნისადმი, კორუფციის დაძლევისადმი, გადასახადების აკრეფის უუნარობა, საბაზრო მექანიზმების სისუსტე, რომლებმაც ვერ შეძლეს საწარმოების გარდაქმნა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. ყოველივე ეს ხელს უწყობს მასშტაბური კონტრაბანდის ზრდას და საბიუჯეტო შემოსავლების შემცირების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია.

დოკუმენტში ფართოდ არის განხილული კრიზისის დაძლევის ღონისძიებათა სისტემა. მთავარ ამოცანად ჩამოყალიბებულია საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის სისუსტის დაძლევა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის, ზრდისა და საგადასახდელო ბალანსის მდგრადობის მიღწევისთვის.

1999 წლის დასასრულს შემუშავდა ხელისუფლებისა და სსფ-ის ერთობლივი პროგრამა 2000 წლისთვის. მასში განსაზღვრულია არა მარტო მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების ზრდის დამატებითი წყაროები. შეთანხმდა შემდეგი ძირეული მაკროეკონომიკური მიზნები: მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა - 4%-ით, ინფლაციის ტემპი - 7%, სავალუტო რეზერვების ზრდა - 39 მლნ. დოლარით, მიმდინარე ანგარიშების დეფიციტის დონე მშპ-ის მიმართ - 9%, ნაცვლად 10%-ისა 1999 წელს.[101]

---

[101] იხ. МВФ. Грузия. Памятная записка. 13 декабря 1999 года.

2000 წლის პროგრამის შეუსრულებლობამ კიდევ უფრო გაამწვავა საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის გამკაცრების პრობლემა. ჩამოყალიბდა ახალი მოთხოვნები საერთაშორისო სავალუტო ფონდისგან ახალი კრედიტის მიღებისთვის და შესაბამისი პარამეტრები 2001 წლისთვის:

- კორექტირებული ბიუჯეტის მიღება პარლამენტის მიერ;
- რაოდენობრივი მიზნობრივი მაჩვენებლების შესრულება 2000 წლის ბოლომდე;
- კორუფციისა და მართვის პრობლემების გადაწყვეტისთვის ღონისძიებების გატარება;
- სიღარიბის შემცირების სტრატეგიის შემუშავება.[102]

ზემოთ აღნიშნული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სსფ-სთან თანამშრომლობამ საქართველოსთვის უდიდესი როლი შეასრულა. იგი, პირველ რიგში, ასე გამოიხატება:

პირველი: სსფ-მა უდავოდ გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოში ჰიპერინფლაციის, უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პრაქტიკული სტრატეგიის შემუშავება-განხორციელებაში. უშუალოდ მისი რეკომენდაციების საფუძველზე ხორციელდებოდა და ხორციელდება ეკონომიკური რეფორმა საქართველოში, მათ შორის ეროვნული ვალუტის შემოღება, საფინანსო და საბანკო სისტემების ჩამოყალიბება და ა.შ;

მეორე: განსაკუთრებით დიდია სსფ-ის დოკუმენტების, რეკომენდაციების, ტექნიკური დახმარების როლი საქართველოს სახელმწიფო მართვის აპარატისა, სპეციალისტებისთვის, მოსახლეობის ფართო მასების გათვიცნობიერების მიზნით, საბაზრო მენტალიტეტის განსამტკიცებლად, მეურნეობრიობის საბაზრო მექანიზმის ფუნქციონირებისა და თავისებურებების საკითხებში გასარკვევად;

მესამე: სსფ-ის კრედიტებმა გადამწყვეტი როლი შეას-

---

[102] იხ. МВФ. Грузия. Памятная записка. 21 июня 2000 года.

რულა ლარის კურსის შენარჩუნებასა და ინფლაციის მოთოკვაში, რაც ეკონომიკური ზრდის აღორძინების უმნიშვნელოვანესი საწინდარია. გარდა ამისა, ისინი ინიცირებდნენ გაცილებით უფრო მეტ კრედიტებს, ინვესტიციებს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, ქვეყნებისა და კერძო სექტორისგან;

მეოთხე: ფასდაუდებელია სსფ-ის როლი ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების პრიორიტეტების სწორად განსაზღვრაში. სერიოზული ჩავარდნა ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკისა და კონკრეტული შედეგების თვალსაზრისით, როგორც წესი, აღინიშნებოდა იმ სფეროში, სადაც ფონდთან შეთანხმებული პოლიტიკა და პარამეტრები ირღვეოდა;

მეხუთე: უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ფონდთან თანამშრომლობას საერთოდ ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური, ინსტიტუციური წესრიგის ჩამოყალიბებისთვის, რადგანაც ფონდის რეგულარული მონიტორინგი საქართველოში მიმდინარე პროცესებისადმი, აჩქარებს ინსტიტუციურ და საკანონმდებლო გარდაქმნებს, ხელს უწყობს სახელმწიფო მართვის ქმედუნარიანობის ამაღლებას.

ამგვარად, სსფ-სთან თანამშრომლობამ უდიდესი როლი შეასრულა XX საუკუნის დასასრულის საქართველოს ისტორიული და პოლიტიკური შედეგების ჩამოყალიბებაში. ამ შედეგებიდან მთავარია: ჰიპერინფლაციისა და ღრმა სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევა, ეროვნული ფულის შემოღება, საბაზრო ურთიერთობებზე ძირითადად გადასვლა, საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბება.

ეს არ არის გადაჭარბებული შეფასება, არამედ ფაქტის კონსტატაციაა, რეალობაა. თუმცა, ეს არც იმას ნიშნავს, რომ სსფ-ის მოღვაწეობა საერთოდ და მათ შორის საქართველოში შეცდომებითაც არ ხასიათდებოდა.[103] წარუმატებელი „შოკური თერაპიის" ქვეყნებში მოდაშია სსფ-ის მოღვაწე-

---

[103] **იხ. ვლ.პაპავა.** საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბილისი. 2000.

ობის შემდეგი კრიტიკა: ფონდის სტრატეგიის განმსაზღვრელი იდეებია სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსება და ინფლაციის დაძლევა, რაც მკაცრ ფულად-საკრედიტო და საფინანსო-საგადასახადო პოლიტიკას, კერძოდ, ფულის მასისა და სახელმწიფო ხარჯების შემცირებას განაპირობებს. ეს კი, თავის მხრივ, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის შეფერხებას, უმუშევრობის გადიდებას, შემოსავლების შემცირებას, ცხოვრების დონის გაუარესებას იწვევს. მაგრამ პრაქტიკა ადასტურებს, რომ ეს ყოველთვის არ ხდება. მრავალ ქვეყანაში „შოკური თერაპია" სსფ-ის ხელშეწყობით წარმატებით დაგვირგვინდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მთავარია შემოთავაზებული რეკომენდაციების თავსებადობა ქვეყანაში არსებულ ვითარებასთან, რამდენად თანმიმდევრულად და სისტემურად ხორციელდება რეფორმები, მათ შორის სტრუქტურული და ინსტიტუციური გარდაქმნები. რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, სსფ მიმღებ ქვეყანას არასოდეს თავს არ ახვევს თავის რეკომენდაციებს, სამოქმედო პროგრამები მუშავდება თავისუფალი შეთანხმების საფუძველზე, ხოლო მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ქვეყნის ხელისუფლებაა.

დასასრულ, არ უნდა დაგვავიწყდეს: ფონდის რესურსები შეზღუდულია და იგი გაცემული კრედიტების დაბრუნებაზე უნდა ზრუნავდეს, სხვანაირად, იგი, უბრალოდ, ვერ იარსებებს; ფონდის უშუალო ფუნქციაა, დახმარება ქვეყნებისადმი საგადასახდელო ბალანსის გაწონასწორებისა და ეროვნული ვალუტის სიმყარის მიღწევაში. ამიტომ, მისი დახმარება მოკლევადიანი და საშუალოვადიანი ხასიათისაა, მას ვერ დავაკისრებთ გრძელვადიანი პრობლემების ხანმოკლე პერიოდში გადაწყვეტას, მით უმეტეს, თუ მიმღები ქვეყანა შეთანხმებულ პროგრამებს არღვევს.

ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ფონდის საქართველოში საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები, შეცდომები განხილვას არ ექვემდებარება. პირიქით, ასეთი განხილვა სამომავლოდ თანამშრომლობის შედეგიანობის ამაღლებისათვის აუცილებელიც არის. ჩვენი აზრით, ამ თანამშრომლობას ახლდა შემდეგი ძირითადი ნაკლი. **პირველი:** არ იყო სათანა-

დოდ გათვალისწინებული საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თავისებურებანი. კერძოდ ის, რომ გაბატონებული სოციალისტური მენტალიტეტის ქვეყანაში, ჩრდილოვანი ეკონომიკის თავიდანვე მაღალი მასშტაბებით, კონკურენტული ურთიერთობები უცებ ვერ მყარდება და კრიმინალური ეკონომიკაც სწრაფად ვითარდება. ამიტომ, საჭირო იყო მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციასთან ერთად, ინსტიტუციური და სტრუქტურული გარდაქმნებისთვის რეალური პრიორიტეტის მინიჭება.

მეორე: მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია ეკონომიკური ზრდის ინტენსიფიკაციისთვის არის საჭირო. მაგრამ სინამდვილეში ამ უკანასკნელის მნიშვნელობა დაკნინებული აღმოჩნდა. კერძოდ, 1995-1997 წლების პერიოდში საჭირო იყო საგადასახადო სისტემის სერიოზული ტრანსფორმაციის დაწყება მაინც, გადასახადების საერთო სიდიდის შემცირებისა და გამარტივების მიზნით, რაც საწარმოთა ინვესტიციურ შესაძლებლობებს გააფართოვებდა. მომდევნო წლებში სიტუაციის გაუარესების გამო ასეთი ძვრების განხორციელება კიდევ უფრო გაძნელებულია. საერთოდ, აქცენტი უფრო მეტად გადასახადების აკრეფაზე კეთდება და გადასახადების შემცირებით, ბიზნესის სტიმულირების პრობლემა მეორე პლანზეა გადაწეული.

მესამე: ფაქტობრივად დაკნინებული აღმოჩნდა წინგამსწრები, პროფილაქტიკური მიდგომა მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესებისადმი, ანუ ეკონომიკური და სოციალური უსაფრთხოების პრობლემა. მაგალითად, საბიუჯეტო კრიზისი, უარყოფითი სავაჭრო სალდოს მკვეთრი გაუარესება და ლარის დევალვაცია 1998 წლის დასასრულს მოულოდნელი აღმოჩნდა არა მარტო საქართველოს ხელისუფლებისათვის, არამედ უდიდესი გამოცდილების მქონე სსფ-სთვისაც. მაგალითად, 1998 წლის ივლისში საქართველოს ხელისუფლება სსფ-ს თხოვნას უგზავნის სტრუქტურული გარდაქმნების გაფართოებული დაფინანსების მექანიზმის ESAF-ის ჩარჩოებში ახალი 76 მლნ. დოლარის მოცულობის კრედიტის გამოყოფის თაობაზე. დოკუმენტს ერთვის განაცხა-

დი ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის შესახებ. მართალია, ამ უკანასკნელში აღნიშნულია გადასახადების აკრეფის გაუარესებაზე, მაგრამ არაფერია ნათქვამი მოსალოდნელ ფინანსურ კრიზისზე, თუმცა ამის სიმპტომები უკვე შეინიშნებოდა.[104] იგივე უნდა ითქვას სსფ-ის მიერ შემუშავებული 1998 წლის პროგრამისა და ერთობლივად შემუშავებული 1998-2000 წლების ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლების შესახებ.[105] მხოლოდ უკვე აშკარად გამოვლენილი საბიუჯეტო კრიზისის შემდეგ, სსფ-მა გაამკაცრა თავისი შეფასებანი, აღიარა, რომ შეთანხმებული პროგრამები არ სრულდება და მოითხოვა სასწრაფო ღონისძიებების გატარება, მცურავ სავალუტო კურსზე გადასვლის ჩათვლით.[106] **აქედან ჩანს, რომ სსფ-ს არ ჰქონდა საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა სრულყოფილი შესაძლო ვარიანტული გათვლები და წინგამსწრები სტრატეგია მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებისთვის.**

აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ დასახელებული ნაკლი მხოლოდ სსფ-ს დავაბრალოთ. მისი ძირითადი ფუნქციაა დაგვეხმაროს საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის შემცირებაში, ეროვნული ვალუტის კურსის სიმყარის შენარჩუნებაში. შემუშავებული პროგრამებიც, პირველ რიგში, ამას ემსახურება. ეს პროგრამები ჩვენთან ერთად მუშავდება, მისი შესრულებაც საქართველოს მთავრობის ფუნქციაა. ამიტომ, თუ ამ პროგრამებში რაიმე არ აისახა, ან ისინი ვერ გახორციელდა, ფონდი არაფერშუაშია. საქართველოს მხარეს უნდა ჰქონდეს იმის უნარი, რომ თუ საჭიროა, უფრო მიზანშეწონილი ალტერნატივები მიაწოდოს ფონდს და დაუსაბუთოს მათი მართებულობა. არაობიექტურობაა, უსამართლო-

---

[104] იხ. Грузия. Заявление об экономической и финансовой политике. 9 июля 1998 года.

[105] იხ. ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლები 1998-2000 წლებში დეკემბერი, 1998 წელი_ МВФ. Грузия. Памятная записка. Ноябрь 1997 года.

[106] МВФ. Грузия. Памятная записка. 21 сентября 1998 года; МВФ. Грузия. Памятная записка. 18 ноября 1998 года.

ბაა, როდესაც ფონდის ცალკეულ მცდარ რეკომენდაციაზე ჯერ თანხმობას ვაცხადებთ, შემდეგ კი მარტო მის შეცდომებზე ვიწყებთ ლაპარაკს, თითქოს საქართველოს მხარე არ ყოფილიყოს ცალკეული პროგრამის შემუშავების თანამონაწილე და მის რეალიზაციაზე მთავარი პასუხისმგებელი. **ფონდი გვიზიარებს გამოცდილებას, გვაძლევს რეკომენდაციებს, შეღავათიან კრედიტს, სანაცვლოდ ითხოვს შეთანხმებული პროგრამების შესრულებას. ჩვენ ამ პროგრამებს ზოგჯერ ვერ ვასრულებთ, ლარს ვაუფასურებთ, სიღარიბეს შემცირების ნაცვლად ვზრდით და კრედიტების სტერილიზაციას ვახერხებთ, ვალს კი საჩუქრად მომავალ თაობებს ვუტოვებთ. ცხადია, ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა საქართველოს მხარეს ეკისრება და მარტო სსფ-ის შეცდომებზე ლაპარაკი მიუღებელია. სსფ-სთან თანამშრომლობა საქართველოს მომავალშიც დასჭირდება და საქართველოს იგი კიდევ უფრო მეტ დადებით შედეგს მოუტანს.**

სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან განსაკუთრებით ნაყოფიერია თანამშრომლობა **მსოფლიო ბანკთან.** იგი ეხმარება საქართველოს მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაში, სახელმწიფო სექტორის ინსტიტუციურ განვითარებაში, კონკრეტული ინვესტიციური პროექტების დაფინანსებაში, სოციალური სექტორის გაძლიერებასა და სიღარიბის აღმოფხვრაში, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაში, გარემოს დაცვასა და კერძო სექტორის განვითარებაში.

ეს თანამშრომლობა განსაკუთრებით გაძლიერდა 1995 წლის შემდეგ. 1992-1995 წლებში მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსადმი გაცემული კრედიტის მოცულობამ 103,1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2000 წლის 10 სექტემბრის მდგომარეობით, მან 28 სხვადასხვა პროექტის მიხედვით 515,839 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია. ამ მოცულობით იგი ყველა ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციიდან მიღებულ კრედიტს აჭარბებს, ხოლო მისი წილი საქართველოს საგარეო ვალში ყველაზე უფრო მაღალია - 26,29%-ის ოდენობით. ამასთან, ყოველწლიურად მატულობს მსოფლიო ბან-

კის მიერ განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები ძირითად კაპიტალში: თუ 1996 წელს იგი 13,7 მლნ. აშშ დოლარი იყო, 2000 წელს მან 67,1 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, ანუ თითქმის 5-ჯერ გაიზარდა.

ამჟამად, საქართველოში მრავალი პროექტია შემუშავებული, რომელიც ეკონომიკის თითქმის ყველა პრიორიტეტულ სექტორში ხორციელდება. 1999 წელს საპროექტო პორტფელის სიდიდე 110 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა. იზრდება სამომავლოდ დაგეგმილი პროექტების რიცხვი, რომლებიც მომზადების სტადიაშია.

დასრულდა ქვეყნის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის განკუთვნილი სამი პროექტი, რისთვისაც 25,5 მლნ. აშშ დოლარის ოდენობის კრედიტი იყო გამოყოფილი. ამავე დროს, საგადასახდელო ბალანსის გასაუმჯობესებლად გამოყოფილი კრედიტების თანხამ 195 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. სხვადასხვა სექტორში მიმდინარეობს 12 პროექტი, რომლისთვისაც მსოფლიო ბანკმა მთლიანად 175 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების კრედიტი გამოყო 1995 წლიდან და მისი განხორციელების ვადა საშუალოდ ხუთი წელია.

1999 წელს ხელი მოეწერა შვიდ პროექტს: სასამართლო რეფორმის - 13,4 მლნ. აშშ დოლარი, სტრუქტურული რეფორმების მხარდაჭერის - 16,5 მლნ. დოლარი, ენერგეტიკაში სტრუქტურული გარდაქმნების - 25,0 მლნ. დოლარი, სტრუქტურული გარდაქმნების მესამე კრედიტს - 60,0 მლნ. დოლარი, ზღვის სანაპირო ზოლის კომპლექსური მართვის - 4,4 მლნ. დოლარი, საწარმოების აღდგენის - 15,0 მლნ. დოლარი, ტრანსპორტის სამინისტროს რესტრუქტურიზაციის - 2,3 მლნ. დოლარი, სულ 136,7 მლნ. აშშ დოლარის მოცულობის პროექტს.[107]

მზადდება სხვა პროექტებიც პრიორიტეტული დარგების გარდაქმნისა და განვითარებისთვის. ამ პროექტის სარეალიზაციოდ დაგეგმილია 230 მლნ. აშშ დოლარის გამოყოფა.

ძლიერდება არასაკრედიტო დახმარებაც. 1998 წელს ბანკის დახმარებით, ჩატარდა სიღარიბის შეფასება, 1999 წელს

---

[107] Всемирный банк. Годовой отчет 1999. Вашингтон. 2000. გვ.70.

– საინვესტიციო კლიმატის გამოკვლევა, 2000 წელს – მთლიანი ბაზრის შესწავლა. მეტად მნიშვნელოვანია საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრები, რომელსაც მსოფლიო ბანკი სისტემატურად აწყობს საქართველოსთვის. იგი საგარეო დახმარების მობილიზებას უწყობს ხელს.

ფრიად მნიშვნელოვანია საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქმიანობის გააქტიურება საქართველოში. 1995 წლიდან კორპორაციამ საქართველოსთვის დაამტკიცა შვიდი პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება 55 მლნ. აშშ დოლარია. კორპორაცია ავითარებს პროექტებს ენერგეტიკის, საბანკო მომსახურების, ტურიზმის, მეურნეობის სფეროებში, აგრეთვე ტექნიკურ დახმარებას, საქართველოში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებისთვის.

თანდათან ძლიერდება ურთიერთობა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკთან, რომელიც მსოფლიო ბანკის წამყვანი ქვედანაყოფია. ქვეყნის გადახდისუნარიანობის ზრდის კვალობაზე მოსალოდნელია, რომ მსოფლიო ბანკის მთელი დახმარების 25%-ს საქართველო სწორედ რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკიდან მიიღებს.

ამგვარად, მსოფლიო ბანკთან საქართველოს თანამშრომლობა ფრიად მრავალმხრივი და ნაყოფიერია. გარდა იმისა, რომ იგი უშუალოდ მონაწილეობს უმნიშვნელოვანესი საინვესტიციო პროექტების დაფინანსებაში – ენერგეტიკის, მილსადენების, ინფრასტრუქტურის, განათლების, ჯანდაცვის, საწარმოების რესტრუქტურიზაციის, გარემოს დაცვის სფეროებში, იგი აქტიურ დახმარებას გვიწევს ინსტიტუციური მშენებლობის კრედიტის, სტრუქტურული გარდაქმნის მეორე კრედიტისა (SATAC II) და მესამე კრედიტის (SATAC III) ფარგლებში. მეორე კრედიტი ითვალისწინებს ტექნიკურ დახმარებას შვიდ სფეროში: სასამართლო რეფორმა და კორუფციის საწინააღმდეგო ინსტიტუტები; ფინანსური სექტორი; ენერგეტიკის რეფორმა; სოციალური დაცვა; ჯანდაცვა; სახსრების მობილიზაცია; საზოგადოების ფორმირება. მესამე კრედიტი ითვალისწინებს მთავრობის რეფორმის გახორციელებას მაკროეკონომიკური დისბალანსის შემცირებისა და

კერძო სექტორის განვითარებისთვის სათანადო მასტიმულირებელი სისტემების დანერგვის გზით. იგი უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობას ფინანსური სახსრებით, რომლებიც მას რეფორმების გაღრმავებასა და ეკონომიკური ზრდის განმსაზღვრელი ძირითადი დარგების ხელშეწყობაში დაეხმარება. კრედიტი დააჩქარებს ძირითადი ფონდების რეაბილიტაციასა და ფისკალურ გარდაქმნებს, ხელს შეუწყობს სიღარიბის დაძლევას შემოსავლების ზრდის დაჩქარებით, სოციალური მომსახურების გაუმჯობესებით, სოციალური დახმარების მიზნობრიობის გაძლიერებით.

სულ უფრო ფართოვდება გაეროს განვითარების პროგრამა. მისი მიმდინარე პროექტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ანტიკორუფციული ცენტრის ჩამოყალიბება და მხარდაჭერა, საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერა, სახელმწიფო მართვის სისტემის სრულყოფა დემოკრატიული მმართველობის დამკვიდრებისთვის, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პოსტკონფლიქტური რეაბილიტაცია, სახალხო დამცველის ინსტიტუტის ჩამოყალიბება, გარემოს დაცვის ინსტიტუტისა და ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის შესაძლებლობების გაძლიერება, ტყვიაშემცველი ბენზინის ხმარებიდან ამოღების პროგრამის ხელშეწყობა, სამოქალაქო ავიაციის გენერალური გეგმის შედგენა, მიწის მართვა და ა.შ. მნიშვნელოვანია ახალი პროექტებიც: ჰიდროენერგეტიკის განვითარება, გათბობისა და ცხელი წყლით მომარაგების მუნიციპალურ სისტემებში ენერგოეფექტიანობის ამაღლება, მანქანების გადამუშავებაში თანამედროვე მართვის სისტემის დანერგვა.

მასშტაბური ხდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან თანამშრომლობაც. საქართველოში მისი საქმიანობის ძირითადი სფეროებია: ინვესტიციები კერძო სექტორში, ენერგეტიკის სექტორი, სატრანსპორტო სექტორი, ფინანსური სექტორი. 1999 წელს ბანკმა დაამტკიცა 40-მილიონიანი კრედიტი ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციისთვის. ყურადღების ცენტრშია საპორტო და სარკინიგზო სექტორები. დამტკიცებულია 20 მლნ. აშშ ღირებულების სარკინიგზო

პროექტის დაკრედიტება. ფოთის პორტის პრივატიზებასთან დაკავშირებით მუშავდება მისი მოდერნიზაციის პროექტი. გამოიყო საკრედიტო ხაზები ქართული ბანკებისთვის – მათ შორის „აბსოლუტ-ბანკისთვის", „გაერთიანებული ქართული ბანკისა" და „საქართველოს ბანკისთვის" – 22 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით.

ევროგაერთიანება კვლავ რჩება საქართველოს წამყვან პარტნიორად. 1999 წელს ძალაში შევიდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება საქართველოსა და ევროკავშირს შორის, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის, ევროკავშირთან ჩვენი დაახლოებისთვის. 1992 წლიდან ევროგაერთიანების მიერ საქართველოსთვის გაწეული დახმარება 330 მლნ. ევროს შეადგენს. აქედან დაახლოებით 200 მლნ. ევროს დახმარება გაწეული იყო მხოლოდ გრანტების სახით ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების ოფისის (ECHO) სტრუქტურული სასურსათო უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში. გარდა ჰუმანიტარული დანიშნულებისა, იგი ითვალისწინებს დახმარებას საქართველოს ბიუჯეტის მიერ სახელმწიფო ხარჯების დაფარვისთვის სოფლის მეურნეობისა და მიწის მართვის სფეროებში, საერთოდ, აგრარული რეფორმის გახორციელებისთვის.

ძალზე მნიშვნელოვანია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა „ტასისი". მის ფარგლებში 1991 წლიდან საქართველოს გამოეყო გრანტები 67 მლნ. ეკიუს ოდენობით საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და დემოკრატიის განმტკიცებისთვის ხელშეწყობის მიზნით. მის ფარგლებში გახორციელდა შემდეგი პროექტები: ევრაზიული სატრანსპორტო დერეფნის განვითარების პროექტი – TRACEKA, გაზისა და ნავთობის მილსადენის მოდერნიზაციის პროექტი – INOGATE, სასოფლო-სამეურნეო რეფორმის რეგიონული პროგრამა – RARE, შავი ზღვის რეგიონის გარემოს დაცვის რეგიონული პროექტი.

ნავთობისა და გაზის მილსადენების რეაბილიტაციის პროგრამის – INOGATE-ს ფარგლებში მიმდინარეობს 8 ახალი პროექტის შესრულება ტრანსკასპიის პროექტების ჩათ-

ვლით.

საქართველოს მომავლისთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მის გაწევრიანებას საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში, რომელიც ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარებასა და ლიბერალიზაციას ემსახურება. ამ ორგანიზაციის მთავარი მიზანია არადისკრიმინაციულ სავაჭრო პირობებზე, თანასწორუფლებიანობაზე, კეთილსინდისიერ კონკურენციასა და მრავალმხრივ ურთიერთობებზე დაფუძნებული თავისუფალი ბაზრის ფორმირება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. გაწევრიანების პერიოდში დასავლეთის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური და ტექნიკური დახმარების შედეგად, საქართველოში თითქმის მთლიანად დასრულდა საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაცია საერთაშორისო ნორმებთან. საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად, მიღებულია სამოქალაქო, საბაჟო, საზღვაო და საჰაერო კოდექსები, კანონები პრივატიზების, სავაჭრო მარკების, სახელმწიფო შესყიდვების, საავტორო უფლებების, პატენტების შესახებ და სხვა. **პარლამენტმა მიიღო სპეციალური დადგენილება, რომლის მიხედვითაც 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოში მიღებული ყველა ახალი საკანონმდებლო აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროპის კავშირის სამართლებრივ ნორმებს.**

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში საქართველოს გაწევრიანების შედეგად ჩვენი სამამულო პროდუქცია უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის პირობით ისარგებლებს ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ბაზრებზე. ამავე დროს ჩვენი ბაზარი უფრო საიმედოდ იქნება დაცული არაკეთილსინდისიერი კონკურენციისგან, ფალსიფიკაციისა და გაუმართლებელი შეზღუდვებისგან, რაც მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისთვის. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ პრობლემები არ იქნება. საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის წესებით, სამამულო წარმოების საქონელი და იმპორტული საქონელი დამატებული ღირებულების გადასახადითა და აქციზით ერთნაირი წესითა და ერთნაირი განაკვეთით უნდა დაიბეგროს. თუ სამამულო და

იმპორტული პროდუქცია იბეგრება სხვადასხვა განაკვეთით, ეს შეიძლება პროტექციონიზმად ჩაითვალოს, რაც ეწინააღმდგება საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის წესებს დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ. ამიტომ, თავისთავად, ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება სამამულო პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის ძალისხმევის გაძლიერებასაც მოითხოვს.

გაწევრიანებამ ხელი უნდა შეუწყოს ექსპორტ-იმპორტის დივერსიფიკაციას, შეამციროს მისი დამოკიდებულება რომელიმე ერთ ან ორ ბაზართან, რაც განსაკუთრებით საჭიროა გლობალიზაციის პირობებში კრიზისული მოვლენების ქვეყნიდან ქვეყანაში გადასვლის თავიდან აცილებისთვის. ეს კარგად გამოჩნდა 1997-1998 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისის მაგალითზე, როდესაც მან ძალიან უარყოფითად იმოქმედა რუსეთის ეკონომიკაზე, ამ უკანასკნელმა კი საქართველოს ეკონომიკაზე, რასაც საბოლოოდ ლარის დევალვაცია მოჰყვა.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება გააუმჯობესებს საინფორმაციო გარემოს საქართველოში, რადგანაც ინვესტორებს გარანტირებული ექნებათ როგორც პროგნოზირებადი და გამჭვირვალე სავაჭრო პოლიტიკა საქართველოში, ასევე თანასწორუფლებიანი სტატუსი მსოფლიო ბაზრებზე. უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის სტატუსი, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის ჩარჩოებში დავის გადაწყვეტის მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობა, გაუადვილებს საქართველოს საქონელს სხვა ქვეყნების ბაზრებზე შეღწევას. მეორე მხრივ, ინტელექტუალური საკუთრების, ქონებრივი უფლებების დაცვა, ფინანსური ინფორმაციის გავრცელების წესების დაცვა, უდავოდ, ხელსაყრელ პირობებს ქმნის უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის საქართველოში. გარდა ამისა, საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება გააძლიერებს საქართველოს პოზიციას დსთ-ის ფარგლებში საბაჟო კავშირის შექმნის მოლაპარაკებებთან დაკავშირებით, თუ მათი პოლიტიკა უფრო შემზღუდავი აღმოჩნდება, ვიდრე უკვე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა.

დასასრულ, საქართველო ამიერიდან აქტიურად უნდა ჩაერთოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის საქმიანობაში ურთულესი პრობლემების გადასაწყვეტად, კერძოდ, ახალი „სავაჭრო რაუნდის" გადაწყვეტილებათა მიღებაში. რეალობამ დაადასტურა, რომ მხოლოდ დეკლარირებული თანასწორობა საერთაშორისო ვაჭრობაში არ არის საკმარისი. განვითარებადი ქვეყნები ეკონომიკური, ტექნოლოგიური, ინსტიტუციური, მენეჯმენტური ჩამორჩენილობის გამო ხშირად, ფაქტობრივად, ვერ სარგებლობენ ვაჭრობის ლიბერალიზაციით. ამჟამად, ძალიან მწვავედ დგას საერთაშორისო ინვესტიციების, კონკურენციის, სტანდარტების პრობლემა. კერძოდ, ინვესტიციებთან დაკავშირებით განიხილება მიმღები ქვეყნის წილის საკითხი ეროვნულ ინტერესებთან მიმართებაში, კონკურენციასთან დაკავშირებით - კონკურენციის ეროვნული ნორმების მოქმედებიდან ცალკეული სექტორების გამოყვანის საკითხი, განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე დიფერენცირებული რეჟიმის პრინციპის აღიარების საფუძველზე. ძალიან მწვავედ დგას საერთაშორისო სტანდარტების საკითხი. განვითარებადი ქვეყნები ხშირად ვერ აკმაყოფილებენ ამ სტანდარტებს, რაც ზღუდავს მათ საექსპორტო შესაძლებლობებს. მათთვის არახელსაყრელია აგრეთვე შრომითი სტანდარტების მიბმა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სავაჭრო ნორმებთან, რაც სერიოზულად დააბრკოლებს მათი შრომატევადი საქონლის ექსპორტს და ა.შ.[108]

ახალი საუკუნის დასაწყისში საქართველო საერთაშორისო ცხოვრების სრულუფლებიანი მონაწილე გახდა. ეს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია, საქართველოს საერთაშორისო ფუნქციის აღიარებაა. ინტენსიური თანასწორუფლებიანი ურთიერთობები მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს შემდგომი პროგრესის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

---

[108] იხ. ЮНКТАД. Доклад о торговле и развитии, 1999 год. Нью-Йорк и Женева, 1999 год, გვ.44-49.

თავი 11. პოსტინდუსტრიული განვითარების მოთხოვნები და ტრანსფორმაციის ახალი სტრატეგია

11.1. ნეოეკონომიკის ფორმირება: სტრუქტურული მოდერნიზაცია, მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე გადასვლა

ზემოთ აღნიშნულმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ მიუხედავად ისტორიული გარდაქმნებისა, საბაზრო ურთიერთობებზე ძირითადად გადასვლისა, ტრანსფორმაციის რეალური შედეგები საქართველოში ჯერ კიდევ არასაკმარისია. კერძოდ, გრძელდება ეკონომიკის სერიოზული სტაგნაცია: მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 1998 წელს, 1997 წელთან შედარებით, 10,7%-დან 2,9%-მდე, ანუ 3,7-ჯერ შემცირდა, 1999 წელს იგი 3%-ით გაიზარდა, ხოლო 2000 წელს - მხოლოდ 1,9%-ით. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, სადაც წარმოებული პროდუქციის მოცულობა, ფაქტობრივად, არ იცვლება. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც ინვესტიციების მოცულობა ეკონომიკაში მცირდება: 1998 წელს მან დაახლოებით 365,5. მლნ. დოლარი შეადგინა, 1999 წელს - 182,0 მლნ. დოლარი, 2000 წელს - 174,0 მლნ. დოლარი. მათ შორის მცირდება უცხოური ინვესტიციების აბსოლუტური მოცულობაცა და წილიც ინვესტიციების საერთო მოცულობაში. ამ უკანასკნელმა მაჩვენებელმა, შესაბამისად, შეადგინა 78,3%, 46,4% და 34,1%. ამ ფონზე სახეზეა ძალიან მწვავე საბიუჯეტო კრიზისი, როდესაც გაძნელებულია ხელფასების, პენსიების, დახმარებების გაცემა, ხოლო ბიუჯეტის სეკვესტრი და დავალიანების მკვეთრი ზრდა ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. უკიდურესია მოსახლეობის ცხოვრების დონე, გაფართოვდა სიღარიბის მასშტაბები.

შემთხვევითი არ არის, რომ სსფ-მა და მსოფლიო ბანკმა ბოლო პერიოდში საქართველოში ვითარების გაუმჯობესებამდე შეაჩერა მორიგი ტრანშების გამოყოფა. ეს მაშინ, რო-

დესაც მდგომარეობა ფინანსებსა და საგარეო-ეკონომიკურ სფეროებში განსაკუთრებით შემაშფოთებელია. მართალია, 2000 წელს ექსპორტი, 1999 წელთან შედარებით, დაახლოებით 90 მლნ. დოლარით გაიზარდა, მაგრამ ექსპორტში, სამწუხაროდ, დიდია ჯართის წილი, რომელმაც 2000 წელს დაახლოებით 50 მლნ. დოლარი შეადგინა და მისი მარაგი ძალიან შემცირდა. მეორე მხრივ, საქართველოს საგარეო ვალმა დაახლოებით 4,3 მლრდ. ლარი შეადგინა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის 70%-ია, მათგან საგარეო ვალი 1,6 მლრდ. დოლარს შეადგენს. თუ გავითვალისწინებთ ეკონომიკის მომხმარებლურ ხასიათს, ინვესტიციების ნაკლებობას, ექსპორტის ზრდის სირთულეებს, მაშინ არსებული ტენდენციების შენარჩუნების შემთხვევაში, საქართველოს ლარის დევალვაციისა და დეფოლტის რეალური საფრთხე ემუქრება. ამის გამო უფრო უკიდურესად გაუარესდება მისი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა.

ამასთან, აშკარად გამოიკვეთა სხვა უარყოფითი შედეგებიც, რომელიც საქართველოს განვითარების გრძელვადიან შემაფერხებელ ფაქტორებად გადაიქცა. მათ შორის აღსანიშნავია ქვეყნის საგანმანათლებლო, მეცნიერულ-ტექნოლოგიური, წარმოებრივი პოტენციალის მნიშვნელოვანი შემცირება 90-იანი წლების განმავლობაში. მაგრამ **ყველაზე უფრო ფუძემდებლურია ის გარემოება, რომ ახალ საუკუნეს, ახალ ათასწლეულს საქართველო ხვდება ტაქტიკურად და სტრატეგიულად არასათანადოდ მომზადებული, იმ გამოწვევებში არასრულყოფილად გათვითცნობიერებული, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებასთან, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ რევოლუციასთან, საყოველთაო გლობალიზაციის პროცესთან.**

საქართველოს უმთავრესი ამოცანაა, უპასუხოს ამ ისტორიულ გამოწვევებს, უზრუნველყოს მოსახლეობის ცხოვრების მაღალი ხარისხი. დამოუკიდებლობა, დემოკრატიისა და საბაზრო მეურნეობის თანდათან დამ-

კვიდრება ამისათვის კარგ საფუძველს იძლევა. მაგრამ ამის პარალელურად, არსებობს რეალური მუქარა, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყნის მომავალს. **განსაკუთრებით დამაფიქრებელია საქართველოს საკმაოდ დიდხანს ჩამორჩენილ ქვეყნად დარჩენა, რომელიც სახელმწიფოებრივი ერთიანობის დაკარგვის ტოლფასია.** დღეს ნებისმიერი სახელმწიფოს ძლიერებისათვის განმსაზღვრელია მსოფლიო შემოსავლებსა და მოგების განაწილებაში მონაწილეობის ხარისხი. კონკრეტული მუქარაა ადამიანის განვითარების პოტენციალის ჩამორჩენა, ინვესტიციური საქმიანობის, ექსპორტის ჩამორჩენა, ვალის ზრდა, სტრუქტურული და ინსტიტუციური ჩამორჩენა.

აღნიშნულიდან ჩანს, რომ საქართველოს პროგრესისათვის აუცილებელია ქვეყნის მზადყოფნის უზრუნველყოფა, ისტორიული გამოწვევებისა და მუქარების საპასუხოდ, ანუ განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელება. **გადარჩენის მექანიზმი ერთადერთია – მდგრად და უსაფრთხო განვითარებაზე გადასვლა, ანუ ქვეყნის თვითგანვითარების მაღალი დონის უზრუნველყოფა, პოსტინდუსტრიული საზოგადოების შესაბამისი ეკონომიკის დამკვიდრება.**

ანალიზი გვიჩვენებს, რომ თანამედროვე პირობებში განვითარებულ ქვეყნებში ყალიბდება **ნეოეკონომიკა,** რომელიც შემდეგი ძირითადი თავისებურებებით ხასიათდება:

– საკუთრების სფეროში: კერძო საკუთრების გაბატონებული მდგომარეობის თანდათანობითი დაძლევა და ინდივიდუალური, პირადი საკუთრების ფორმების, საზოგადოებრივი საკუთრების მნიშვნელობის ამაღლება, ცოდნაზე, ინფორმაციაზე, ინტელექტუალურ პოტენციალზე საკუთრების წინა პლანზე წამოწევა;

– განვითარების მექანიზმის სფეროში: ინფორმაციის, ცოდნის, შემოქმედებითი უნარის, მენეჯმენტის გადაქცევა განვითარებისა და ეფექტიანობის მთავარ ფაქტორად, დემოკრატიზაციის პროცესი, თანამშრომლობითი ურთიერთობების გაბატონება. ამასთან, განმსაზღვრელი ხდება არა ცალკეული ცოდნა, არამედ ერთობლივი ცოდნის საერთო პო-

ტენციალი, განვითარების შესახებ გლობალური ხედვა, კონ-ცეფცია, სტრატეგია და ამის საფუძველზე პროცესების თა-ნამიმდევრული მართვა. ეფექტიანი მენეჯმენტის გახორცი-ელება უნდა ემყარებოდეს არა მხოლოდ არსებულ რესურ-სებს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, შესაძლებლობებს, რას შე-უძლია მიაღწიოს ინდივიდმა, ფირმამ, ქვეყანამ;

– **განვითარების სტრატეგიის სფეროში:** მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგიის გაბატონება;

– **საქმიანობის მოტივაციის სფეროში:** მატერიალუ-რი, ფინანსური მოტივის მნიშვნელობის შედარებითი შემ-ცირება და განმსაზღვრელი მოტივის, მიზნის სახით ცოდ-ნის, ინტელექტის დაგროვების, სამუშაოთი უზრუნველყოფის, საზოგადოებაში პრესტიჟის, თვითდამკვიდრების, თვითგან-ვითარების მოტივების ჩამოყალიბება, წინ წამოწევა;

– **სტრუქტურის სფეროში:** არამატერიალური წარმო-ების უპირატესი განვითარება, საქმიანობისა და აზროვნე-ბის ვირტუალიზაცია, ნანოეკონომიკის გაბატონება. ეს უკა-ნასკნელი ეფუძნება თანამედროვე ნანოტექნოლოგიების, მათ შორის, ინფორმაციული, ბიოლოგიური, სხივური, ქიმიური, უნარჩენო ტექნოლოგიების გამოყენებას, რაც წარმოების მი-ნიატიურიზაციას, სამუშაო და საცხოვრებელი ადგილების გაერთიანებას, სამუშაო და თავისუფალი დროის შერწყმას, მაღალი შრომის მწარმოებლურობას განაპირობებს. უმუ-შევრობის პრობლემის დაძლევა სწორედ ნანოეკონომიკის მა-ღალი განვითარების შედეგად არის შესაძლებელი. მსხვილი წარმოება, რა თქმა უნდა, დარჩება, მაგრამ მხოლოდ დიდი, მასშტაბური პროექტების გახორციელებისათვის.

– **რესურსების სფეროში:** განახლებადი რესურსების უპირატესად გამოყენებაზე გადასვლა, რაც ტრადიციული ეკონომიკის საფუძვლის – რესურსების აბსოლუტური იშ-ვიათობის თანდათან დაძლევის საშუალებას იძლევა;

– **კონკურენტუნარიანობის სფეროში:** განმსაზღვრე-ლი ხდება კონკურენტუნარიანობა ცოდნის, განათლების, ტექ-ნოლოგიების სფეროში, მენეჯმენტში, ხარისხის მიხედვით და არა კონკურენტუნარიანობა ბუნებრივი რესურსების, მატე-რიალური კაპიტალის მიხედვით.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ნეოეკონომიკისათვის დამახასიათებელ ტენდენციებს უფრო სწრაფად და სრულად პასუხობენ - სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მაღალ დონეზე იმყოფებიან, ხოლო ისინი, ვინც ამას ვერ ახერხებენ - ჩამორჩენილი ქვეყნების ჯგუფში რჩებიან. საქართველოს დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, მნიშვნელოვანწილად, იმით არის გამოწვეული, რომ აქ ჩამოყალიბებული ტენდენციები ძალიან ხშირად წინააღმდეგობაშია ნეოეკონომიკის განვითარების ტენდენციებთან. აქ არ იგულისხმება მხოლოდ რაოდენობრივი ასპექტი, თუმცა ესეც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ბევრი ჩამორჩენილი ქვეყანა ახერხებს განვითარების დაჩქარებას, ჩვენ კი ვერ გამოვდივართ სტაგნაციიდან. გარდა ამისა, ყველაზე უფრო დამაფიქრებელია თვისებრივი ხასიათის არაჯანსაღი ტენდენციები: სიღარიბის ზრდა, განათლების, ჯანმრთელობის სისტემების მოუგვარებლობა, ჩამორჩენა ცოდნის, ტექნოლოგიების, მენეჯმენტის სფეროში, გარემოს მდგომარეობის გაუარესება და ა.შ.

ამიტომ **აუცილებელია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი ალტერნატიული სტრატეგიის შემუშავება და გახორციელება, რომელიც, პირველ რიგში, ნეოეკონომიკის თანდათან, მაგრამ განუხრელად დამკვიდრებას გულისხმობს.** ამისათვის კი საჭიროა, პირველ რიგში, საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ტრაექტორიაზე გადასვლა.

მდგრადი და უსაფრთხო განვითარება უკვე დიდი ხანია თეორიისა და პოლიტიკის ყურადღების ცენტრშია. იგი განიხილება ცალკეული ინდივიდის, ფირმის, ქვეყნისა და მსოფლიოს მასშტაბით. ამასთან, განვითარების კვალობაზე, მისი არსი და შინაარსი ცვალებადობს. მიუხედავად იმისა, რომ მდგრადი განვითარების კონცეფცია წარმოიშვა ეკოლოგიასთან დაკავშირებით, ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ეკოლოგიური მდგრადობის მიღწევა შეუძლებელია საზოგადოების განვითარების ყველა სფეროში მდგრადობის უზრუნ-

ველყოფის გარეშე. რაც შეეხება უსაფრთხოების პრობლემას, იგი 80-იანი წლების ბოლომდე გაიგივებული იყო ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოებასთან, მაგრამ სადღეისოდ მისი ასეთი გაგების უკმარისობა უკვე ეჭვს არ იწვევს. მართალია, დღეს შეიძლება კიდევ შეგვხვდეს აზრთა სხვაობა მდგრადი და უსაფრთხო განვითარების არსის შესახებ, მაგრამ თანდათან იკვეთება ერთიანი შეხედულების შემუშავების ტენდენცია. მდგრადი და უსაფრთხო განვითარების თეორიის შემუშავება მეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე უფრო აქტუალურ პრობლემად გადაიქცა.

მდგრადი და უსაფრთხო განვითარების არსში გასარკვევად აუცილებელია ორივე კატეგორიისადმი სისტემური მიდგომა. მდგრადობა და უსაფრთხოება მოცემული სისტემის უმნიშვნელოვანესი მახასიათებელია. მათი დაპირისპირება არ შეიძლება, თითოეული მათგანი თავისებურად ახასიათებს მოცემულ სისტემას. სისტემის მდგრადობა ახასიათებს მისი ელემენტების, სისტემის შიგნით არსებული ვერტიკალური, ჰორიზონტალური და სხვა კავშირების სიმყარეს, საიმედოობას, შინაგანი და გარეგანი დატვირთვის ატანის უნარს, რაც სისტემის მთლიანობის შენარჩუნებას განსაზღვრავს და მის დაშლას, ენტროპიას არ დაუშვებს. უსაფრთხოება კი არის ობიექტის, მისი კავშირების მდგრადობა გადარჩენისა და განვითარების უნარის თვალსაზრისით, შინაგანი და გარეგანი მუქარის, საშიშროების, გამოწვევის, აგრეთვე, შეუცნობადი და ძნელად პროგნოზირებადი ფაქტორების მოქმედების პირობებში. რაც უფრო მდგრადია მოცემული სისტემა, მისი სტრუქტურა, ცალკეული ელემენტების ურთიერთდაბალანსება, მით უფრო ძლიერმოქმედია სისტემა. მისი ხარისხი კი მაღალია და უსაფრთხო. სისტემის ელემენტებს შორის პროპორციებისა და კავშირების დარღვევა იწვევს მის დესტაბილიზაციას და უჩვენებს სისტემის გადასვლას უსაფრთხო მდგომარეობიდან საფრთხეში, დაშლის რეალურ შესაძლებლობას. მაშასადამე, მდგრადობა უსაფრთხოების საფუძველია, მისი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით, საქართველოს

მდგრადი განვითარება გულისხმობს საზოგადოებრივი მოთხოვნების დაკმაყოფილებას მომავალი თაობებისათვის ზიანის მიუყენებლად, სტრუქტურული დაბალანსების საფუძველზე. საქართველოს უსაფრთხოების არსი, ჩვენი აზრით, განისაზღვრება საზოგადოებისა და ხელისუფლების ინსტიტუტების ისეთი მდგომარეობით, როდესაც უზრუნველყოფილია ეროვნული ინტერესების გარანტირებული დაცვა, ქვეყნის სოციალურად ორიენტირებული განვითარება, სახელმწიფოებრიობა და ტერიტორიული მთლიანობა შინაგანი და გარეგანი პროცესების ყველაზე უფრო არახელსაყრელ პირობებშიც კი.

ამგვარად, საქართველოს უსაფრთხო განვითარება მოიცავს არა მარტო მის მდგრად განვითარებას, ეროვნული ინტერესების დაცვას, არამედ, აგრეთვე, ხელისუფლების ინსტიტუტების მზადყოფნასა და უნარს, შექმნას ეროვნული ინტერესების რეალიზაციისა და დაცვის, საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობისა და განვითარების მექანიზმი, საქართველოს სახელმწიფოებრივი უსაფრთხოება მისი შემადგენელი ელემენტების, კრიტერიუმების მაჩვენებლების სისტემითა და უსაფრთხოების პოლიტიკით. გამომდინარე უსაფრთხოების კომპლექსური გაგებიდან, იგი მოიცავს შემდეგ ქვესისტემებს: ადამიანის; იდეოლოგიურ-კულტურულ და ფსიქოლოგიურ; პოლიტიკურ; ეკონომიკურ; სოციალურ; დემოგრაფიულ; ეკოლოგიურ; მეცნიერულ-ტექნიკურ; ინფორმაციულ და სამხედრო უსაფრთხოებას.

საქართველოს სახელმწიფოებრივი უსაფრთხოების საფუძველია, ეკონომიკური უსაფრთხოება. იგი გამოხატავს ეკონომიკური სისტემის უნარს, უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების ნორმალური პირობები, ეროვნული მეურნეობის განვითარების მდგრადი მომარაგება რესურსებით, სახელმწიფოებრივი ინტერესების თანმიმდევრული გახორციელება. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოება არის იმ პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკის დამოუკიდებლობასა და მდგრადობას, სა-

ხელმწიფოებრივი მთლიანობისა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების მიზნით, მისი მუდმივი განახლების, სრულყოფისა და თვითგანვითარების უნარს.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია გულისხმობს:

- ეკონომიკური უსაფრთხოების შინაგანი და გარეგანი მახასიათებლების დახასიათებას;
- ეკონომიკური უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისი კრიტერიუმებისა და პარამეტრების განსაზღვრას;
- ეკონომიკური პოლიტიკის, ინსტიტუციური გარდაქმნებისა და ყველა იმ მექანიზმის განსაზღვრას, რომლებიც ეროვნული ეკონომიკის მდგრადობის დარღვევის თავიდან აცილების შესაძლებლობას იძლევა.

საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას ძირითადად ემუქრება:

1. მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციისა და სიღარიბის გადიდება, რაც სოციალური მშვიდობისა და საზოგადოებრივი თანხმობის მოშლას იწვევს;
2. ინსტიტუციური მოწყობისა და წესრიგის სისუსტე, რაც ექსპლუატატორული სახელმწიფოს, არაეფექტიანი პოლიტიკის, კორუფციის გაბატონების, ფინანსური და საბანკო სისტემების პოტენციალის უკმარისობის სახით ვლინდება;
3. ეკონომიკის სტრუქტურული დეფორმაცია, რაც წარმოების ეფექტიანობის, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის, მსოფლიო მეურნეობაში მონაწილეობის დაბალი დონით, საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის მაღალი დონით, საგარეო ვალის მომსახურების გაძნელებით, ინფორმაციული სექტორის ჩამორჩენილობით გამოიხატება;
4. ქვეყნის რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უთანაბრობის გაღრმავება;
5. საზოგადოებისა და სამეურნეო საქმიანობის კრიმინალიზაცია.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების მდგომარეობა ხასიათდება განსაზღვრული თვისებრივი კრიტერიუმებითა და პარამეტრებით, ანუ ზღვრული მაჩვენებლებით. მა-

თი განსაზღვრისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ:

- ეკონომიკის გაფართოებული კვლავწარმოების რეჟიმში ფუნქციონირების უნარი;
- ეკონომიკის გლობალიზაციის, ლოკალიზაციის, ვირტუალიზაციის ტენდენციები;
- ინფორმაციული ცოდნის, ეკონომიკის, ინფორმაციული პროდუქციის მზარდი მნიშვნელობა;
- ცხოვრების მაღალი დონის მიღწევისა და შენარჩუნების აუცილებლობა;
- ფინანსური სისტემის მდგრადობა შინაგანი და გარეგანი შოკის პირობებში;
- საგარეო ვაჭრობის რაციონალური სტრუქტურის მიღწევა;
- საგანმანათლებლო და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოტენციალის გაფართოება;
- შიდა ბაზრის მთლიანობისა და ფართო რეგიონთაშორისი კავშირების უზრუნველყოფა;
- ინსტიტუციური და სოციალური პირობების შექმნა საზოგადოებისა და ბიზნესის კრიმინალიზაციის აღმოსაფხვრელად;
- სახელმწიფოებრივი რეგულირების უზრუნველყოფა ჩვეულებრივ და ექსტრემალურ პირობებში ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ქვემოთ მოტანილი მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ **ქვეყანა მნიშვნელოვნად შორსაა უსაფრთხო განვითარებისათვის აუცილებელი მინიმალური ზღვრული მაჩვენებლებისაგან, ანუ მას დაკარგული აქვს გაფართოებული კვლავწარმოებისა და თვითგანვითარების უნარი, რაც, თუ ასე გაგრძელდა, სახელმწიფოებრიობის დაკარგვის რეალურ საფრთხეს შეიცავს.**

განსაკუთრებით შემაშფოთებელია ჩვეულებრივი მოქალაქისათვის ნორმალური ცხოვრების პირობების უქონლობა, რაც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არსებული მოსახლეობის რაოდენობიდან (52%) და ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის დაბალი მაჩვენებლებიდან ჩანს. **თუ**

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების მაჩვენებლები

მაჩვენებლები	ზღვრული მნიშვნელობა, %	ფაქტობრივად, % 2000 წელი
1. მთლიანი შიდა პროდუქტის დაცემა	25	62
2. მრეწველობის დაცემა	30	82
3. ინვესტიციების წილი მთლიან შიდა პროდუქტში	25	8
4. მოსახლეობის მიერ მოხმარებული იმპორტის წილი	30	67
5. საზღვარგარეთული ვალუტის მოცულობა ნაღდი ლარის მოცულობაში	25	100
6. მოსახლეობის რაოდენობა საარსებო მინიმუმის ქვემოთ	10	52
7. შიდა ვალის მოცულობა მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ	40	98
8. საგარეო ვალის მოცულობა მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ	25	60
9. დანახარჯები მეცნიერებაზე	2	0,2
10. მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე* :		
შემოსავლების მაღალი დონის ქვეყნების მიმართ	50	28,0
შემოსავლების საშუალო დონის ქვეყნების მიმართ	100	53,7
შემოსავლების საშუალო შეფარდ. დონის მიმართ	100	51,4
11. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (წელი)	70	72,6
12. დამნაშავეობის დონე (1000 კაცზე)	500	1000

* აშშ-ის დოლარებში მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის მიხედვით

წყარო: გამოანგარიშებულია საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების საფუძველზე;
Экономическая безопасность.htm.Page 1 of 7.
file://c:\win98\Desktop\Serge\New\V.

მოსახლეობის ცხოვრების დონე მკვეთრად არ ამაღლდა, ისე ეკონომიკურ ზრდას ვერ დავაჩქარებთ. ასევე შემაშფოთებელია საქართველოს მეცნიერულ-ტექნოლოგიური და წარმოებრივი ჩამორჩენილობა, რაც მეცნიერებაზე დანახარჯებისა და მთლიან შიდა პროდუქტში ინვესტიციების წილის მაჩვენებლებიდან ჩანს. ძალზე მაღალია მოსახლეობის მიერ მოხმარებული იმპორტის წილი. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მყარი ვალუტის უქონლობის ან რაიმე სხვა მიზეზის, მაგალითად, პოლიტიკური მიზეზის გამო, საქართველომ ვერ შეძლო ასეთი მასშტაბური იმპორტის გახორციელება, მოსახლეობას შიმშილი და ქვეყანას უმძიმესი სიტუაცია ემუქრება. იგივე უნდა ითქვას ფინანსური უსაფ-

რთხოების შესახებ, რაც ძალიან მყიფეა და საგარეო ფაქტორებზე დიდადაა დამოკიდებული.

საქართველოს უსაფრთხოების ზღვრული და ფაქტობრივი მაჩვენებლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი უსაფრთხოების დაცვა კომპლექსური ამოცანაა. **სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას მხოლოდ დღევანდელი კრიზისული სიტუაციის სწრაფად დაძლევით, სტრუქტურული და ტექნოლოგიური ტრანსფორმაციით, მდგრადი განვითარების ტრაექტორიაზე გადასვლით მივაღწევთ.**

ჩვენი მიახლოებითი და წინასწარი გათვლით, საქართველოს მდგრადობის ძირითადი პირობები შემდეგნაირად გამოიყურება:

- მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე, არანაკლებია განვითარებული ქვეყნების ჯგუფის მინიმალური დონისა, ამჟამად იგი, დაახლოებით, 8-10 ათასი დოლარია;
- სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი არ უნდა აღემატებოდეს მშპ-ის 3-5%-ს;
- სახელმწიფო ვალი არ უნდა აჭარბებდეს მშპ-ის 60%-ს;
- ფულის მასის ზრდა უნდა შეესაბამებოდეს წარმოების ზრდას;
- საერთაშორისო რეზერვების მოცულობა საკმარისი უნდა იყოს, როგორც მინიმუმი, საქონლის იმპორტის დასაფარავად სამი თვის განმავლობაში;
- საგარეო ვალის მომსახურებაზე გაწეული ხარჯი არ უნდა აღემატებოდეს წლიური საექსპორტო შემოსავლების 20%-ს;
- ინვესტიციური საქმიანობის უზრუნველსაყოფად დაგროვების წილი პროდუქტში არ უნდა იყოს 20%-ზე ნაკლები.

ცხადია, განვითარების კვალობაზე, მდგრადობის პარამეტრები იცვლება ახალ ვითარებასთან დაკავშირებით, მაგალითად, სტრუქტურული ძვრების გააქტიურებისას, ცხოვრების ხარისხის ამაღლებისას, ეკოლოგიური სიტუაციის შეცვლისას და ა.შ.

მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უზრუნველყოფა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო უმნიშვნელოვა-

ნესი სტრატეგიული ამოცანაა. **ამიტომ აუცილებელია შეშუშავდეს და განხორციელდეს საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების გრძელვადიანი პროგრამა, როგორც სახელმწიფოს სტრატეგიისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი პერიოდებისათვის.**

პროგრამას საფუძვლად უნდა დაედოს პოსტინდუსტრიული საზოგადოებისა და მისი შესაბამისი ნეოეკონომიკის ჩამოყალიბების კონცეფცია. აქედან გამომდინარე, **მასში უნდა აისახოს შემდეგი ძირითადი ეტაპები:**

– პირველი ეტაპი (2001-2005 წლები): ეკონომიკური განვითარებისათვის წანამძღვრების შექმნა;

– მეორე ეტაპი (2006-2010 წლები): ნეოეკონომიკის საფუძვლების მომზადება;

– მესამე ეტაპი (2011-2015 წლები): ნეოეკონომიკის ჩამოყალიბების ინტენსიფიკაცია, განვითარებული ქვეყნების ჯგუფში გადასვლა.

საქართველოს მომავალი დამოკიდებული იქნება, უწინარეს ყოვლისა, იმაზე, თუ რამდენად დროულად და ეფექტიანად განახორციელებს იგი მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგიას მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით.

11.2. რეფორმის ახალი სტრატეგია: ინსტიტუციური, სტრუქტურული და ფინანსური ტრანსფორმაციის ოპტიმიზაცია

საქართველოში მიმდინარე რეფორმის მაღალი სოციალური საზღაურის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ის, რომ მისი კომპლექსური, სისტემური განხორციელება დღემდე ვერ მოხერხდა. რეფორმა სხვადასხვა სფეროში სხვადასხვა დროს და ერთმანეთთან დაუბალანსებლად ხორციელდება. მართალია, ოფიციალურ დოკუმენტებში, ხაზგასმით აღინიშნებოდა, რომ აუცილებელი იყო რეფორმების გატარება ცალკე-

ული დარგებისა და საწარმოების დონეზეც კი, მაგრამ სისტემურობის გათვითცნობიერება, საბჭოთა კადრების კვალიფიციური მომზადების საბაზრო მოთხოვნებისადმი შეუსაბამობის გამო, სრულად მაინც ვერ მოხერხდა. რეფორმის მეორე ეტაპზე კი, აქცენტი უპირატესად მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევაზეა გადატანილი და სისტემურობას ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. განსაკუთრებით ჩამორჩა ინსტიტუციური და ცალკეულ დარგებში გარდაქმნები.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ მაღალი ინფლაციის დაძლევის, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და 1995-1997 წლებში **ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების დადებითი შედეგები მომდევნო პერიოდში სრულიად საპირისპირო მაჩვენებლებით შეიცვალა, რაც გამოიწვია პირველ რიგში, ინსტიტუციური გარდაქმნების ჩამორჩენამ, კერძოდ, სამართლებრივი წესრიგის მოუგვარებლობამ, ბიზნესის კრიმინალიზაციამ, კორუფციამ, ჩრდილოვანი ეკონომიკის გაფართოებამ, მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური მართვის დაბალმა ეფექტიანობამ.** სხვა მნიშვნელოვანი მიზეზია, თვითონ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისათვის ფინანსური სტაბილიზაციის გადაჭარბებით შეფასება, რადგანაც გრძელვადიან პერიოდში მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია მხოლოდ ინფლაციის დაძლევით, ან ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაციით შეუძლებელია. ინფლაცია შეიძლება არ იყოს, ბიუჯეტიც გაწონასწორებული იყოს, ამის მიღწევა შეიძლება მკაცრი ფულად-საკრედიტო და საფინანსო-საგადასახადო პოლიტიკით, ანუ მოსახლეობის მყიდველობითი უნარიანობისა და სახელმწიფო ხარჯების მკაცრად შეზღუდვით, მაგრამ არ იყოს ეკონომიკური ზრდა, ეკონომიკური განვითარება, როგორც ეს საქართველოშია.

აღნიშნული ვითარება სრულად ვლინდება ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ანალიზით, რომელიც ქვეყნების სხვადასხვა ტემპით განვითარების მიზეზების ახსნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. იგი 1994 წლიდან

რეგულარულად ქვეყნდება. დადასტურდა, რომ უმეტეს შემთხვევაში, მაღალი ეკონომიკური თავისუფლების მქონე ქვეყნები გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის გაცილებით მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდებიან, ვიდრე შედარებით დაბალი ეკონომიკური თავისუფლების მქონე ქვეყნები. ეკონომიკურ თავისუფლებაში იგულისხმება ინდივიდების თავისუფლების ხარისხი საქონლის ან მომსახურების წარმოების, განაწილებისა და მოხმარების სფეროებში. ამის გასარკვევად იზომება სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეზღუდვების ხარისხი. მაშასადამე, ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს, თუ რამდენად თავისუფალნი არიან ცალკეული ინდივიდები მეურნეობრიობაში და რამდენად ზღუდავს ან ზრდის ეკონომიკურ თავისუფლებას სახელმწიფოს პოლიტიკა. აქედან გამომდინარე, **ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი გვიჩვენებს მიზეზებს, რატომ არის ქვეყნების ერთი ნაწილი მდიდარი, სხვა – ღარიბი,** მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მათთვის წლების განმავლობაში გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისა. რაც მთავარია, ეკონომიკური თავისუფლების მნიშვნელობა თანდათან მაღლდება, რადგანაც ინფორმაციულ საზოგადოებაში განვითარების მთავარი ფაქტორია ცოდნა, ცოდნის ეკონომიკა, ინტელექტუალური პოტენციალი, რომლის ზრდას, პირველ რიგში, ადამიანის თავისუფლების ხარისხი განსაზღვრავს.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 10 ფაქტორის ურთიერთმოქმედებით განისაზღვრება. ამასთან, თითოეული ფაქტორი რამდენიმე პარამეტრს მოიცავს.

მიღებული მეთოდოლოგიით, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი დასახელებული 10 ფაქტორის საფუძველზე განისაზღვრება. ამასთან, ძნელი არ არის დავინახოთ, რომ ეს ფაქტორები სინამდვილეში საფინანსო-საგადასახადო, ფულად-საკრედიტო, საგარეო ეკონომიკურ, ინვესტიციურ, სტრუქტურულ, ინსტიტუციურ, სოციალურ სფეროებში პოლიტიკის შედეგს გამოხატავს მეურნე სუბიექტების თავისუფლების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ანუ ტრან-

სფორმაციის, რეფორმის შედეგებს გამოხატავს აღნიშნული სფეროების მიხედვით. თითოეული ფაქტორის მაჩვენებელი იცვლება 1-დან 5-მდე. 1 ყველაზე მეტად შეესაბამება თავი-

ცხრილი 75

თავისუფლების ინდექსის ფაქტორული სტრუქტურა

ფაქტორები	ფაქტორები
1. სავაჭრო პოლიტიკა	5.7. შეზღუდვები შემოსავლების რეპატრიაციაზე
1.1. საშუალო სატარიფო განაკვეთი	5.8. ადგილობრივი ფინანსების ხელმისაწვდომობა უცხოური კომპანიებისათვის
1.2.არასატარიფო განაკვეთი	6. სახელმწიფოს საკუთრებაში
1.3.კორუფცია საბაჟოზე	6.1. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ბანკები
2. სახელმწიფოს ფისკალური შეზღუდვა	6.2. შეზღუდვები უცხოურ ბანკებზე, გახსნან ფილიალები და განყოფილებები
2.1. საშემოსავლო გადასახადის უმაღლესი განაკვეთები	6.3. მთავრობის გავლენა კრედიტების განაწილებაზე
2.2. საშუალო შემოსავლის საგადასახადო განაკვეთი	6.4. სახელმწიფო რეგულირება
2.3. მოგების გადასახადის უმაღლესი განაკვეთი	6.5. თავისუფლება ყველა სახის მომსახურებაში: უძრავი ქონების, ფასიანი ქაღალდების, სადაზღვეო პოლისების ყიდვა-გაყიდვა
2.4. სახელმწიფო ხარჯები	7. ხელფასებისა და ფასების კონტროლი
3. მთავრობის ჩარევა ეკონომიკაში	7.1. კანონი მინიმალური ხელფასის შესახებ
3.1. სახელმწიფო ხარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში	7.2. ფასების დაწესების თავისუფლება სახელმწიფოს გავლენის გარეშე
3.2. სახელმწიფოს საკუთრების წილი მრეწველობასა და ბიზნესში	7.3. მთავრობის კონტროლი ფასებზე
3.3. სახელმწიფოს წილი სახელმწიფო საწარმოებიდან და ქონებიდან მიღებულ შემოსავლებში	7.4. ფასებზე სახელმწიფო კონტროლის გამოყენების ხარისხი
3.4. სახელმწიფოს მიერ წარმოებული პროდუქცია	7.5. სახელმწიფო სუბსიდიები, რომლებიც აისახება ფასებში
4. მონეტარული პოლიტიკა	8. საკუთრების უფლება
4.1. ინფლაციის საშუალო ტემპი ბოლო 10 წელიწადში	8.1. თავისუფლება სახელმწიფო გავლენისგან და ეფექტიანი სამართავი სისტემა
4.2. მონეტარული პოლიტიკის მაჩვენებელი	8.2. კონტრაქტების მარეგულირებელი საკანონმდებლო სისტემა
5. კაპიტალი და უცხოური ინვესტიციები	8.3. განსახილველი კონტრაქტების უცხოურ არბიტრაჟზე სანქცირება
5.1. კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ	8.4. საკუთრებაზე სახელმწიფო ექსპროპრიაცია
5.2. შეზღუდვები კომპანიებზე, რომლებიც ღიაა უცხოური ინვესტიციებისთვის	8.5. კორუფცია სასამართლო სისტემაში
5.3. შეზღუდვები და მოთხოვნები უცხოური კომპანიებისთვის	8.6. სასამართლო გადაწყვეტილებების დაყოვნება
5.4. შეზღუდვები უცხოელებისთვის საკუთრებაზე	8.7. კანონით გარანტირებული და დაცული კერძო საკუთრება
5.5. მიწის საკუთრების უფლება უცხოელებისათვის	
5.6. კანონის ძალა, რომელიც თანაბრად ვრცელდება როგორც სამამულო, ასევე უცხოურ კომპანიებზე	

9. რეგულირება
9.1. ბიზნესის წარმოებისათვის აუცილებელი სალიცენზიო მოთხოვნილება
9.2. ბიზნესის დაწყებისათვის საჭირო ლიცენზიის მიღების სიმარტივე
9.3. ბიუროკრატიული კორუფცია
9.4. შრომის რეგულირება: კვირის საშუალო დღედ დაწესება, ფასიანი შვებულება და ა.შ.
9.5. გარემოს დაცვა და მომხმარებლის უსაფრთხოება
9.6. რეგულირების რაოდენობა, რომელსაც აწესებენ ბიზნესის მიმართ

10. შავი ბაზარი
10.1. კონტრაბანდა
10.2. მეკობრეობა ინტელექტუალურ საკუთრე ბაზე შავ ბაზარზე
10.3. სოფლის მეურნეობისა და სამრეწველო პროდუქციის მიწოდება შავ ბაზარზე
10.4. მომსახურების მიწოდება შავ ბაზარზე
10.5. სატრანსპორტო საშუალებების მიწოდება
10.6. შრომის მიწოდება შავ ბაზარზე

წყარო: თ. მიმინოშვილი, ა. ქათამაძე. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი. – საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი, №40, ივლისი 2000. გვ. 3-17

სუფალ ეკონომიკას, ხოლო 5 მიუთითებს ყველაზე ნაკლებად თავისუფალ ეკონომიკაზე. ფაქტორთა მაჩვენებლები ჯამდება, გამოიანგარიშება საშუალო მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც ფასდება ქვეყნები. გამოიყოფა ქვეყნების 4 ჯგუფი:

1. თავისუფალი ქვეყნები, რომელთა საშუალო მაჩვენებელი 1,9 ან უფრო მცირეა;
2. შედარებით თავისუფალი ქვეყნები, რომელთა საშუალო მაჩვენებელი 2,00-2,99 ფარგლებშია;
3. შედარებით არათავისუფალი ქვეყნები, რომელთა საშუალო მაჩვენებელი 3,00-3,99 შორისაა;
4. ჩაკეტილი ქვეყნები, რომელთა საშუალო მაჩვენებელი 4,0 ან უფრო მეტია.

სამწუხაროდ, საქართველო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიხედვით (3,65), 1999 წლის მონაცემებით, მსოფლიოს 161 ქვეყანას შორის 116-ე ადგილზეა და შედარებით არათავისუფალი ქვეყნების ჯგუფში აღმოჩნდა. თუ რატომ მოხდა ასე, ამას დასახელებული ფაქტორების ანალიზი გვიჩვენებს. [109] მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოთ,

[109] იხ. **თ. მიმინოშვილი, ა. ქათამაძე.** ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი. – საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი, №40, ივლისი 2000, გვ. 3-17.

რომ ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა მაჩვენებელი, ეკონომიკური თავისუფლების ინდექსიც არ არის თავისუფალი ნაკლისაგან და არ შეიძლება იმის თქმა, რომ იგი ეკონომიკური ზრდის მექანიზმის პირობებს სრულყოფილად ახასიათებს.

საქმე ის არის, რომ ეკონომიკური თავისუფლება ახასიათებს ეკონომიკას სახელმწიფოს მხრივ მეურნე სუბიექტების შეზღუდვისა და თავისუფლების ხარისხის მიხედვით, მაგრამ, თავისთავად, თავისუფლება არ არის ზრდის ერთადერთი განმსაზღვრელი ან საკმარისი ფაქტორი. თუ ქვეყანა ჩამორჩენილია ტექნოლოგიურად, ინტელექტუალურად, ფინანსურად, მარტო თავისუფლება ვერ უშველის, თუმცა იგი ნამდვილად არის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი და სხვა ფაქტორების ამოქმედების პირობა. დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებს რამდენიმე საუკუნე დასჭირდათ, რომ ცხოვრების მაღალი ხარისხისთვის მიეღწიათ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეკონომიკური თავისუფლების ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი, უწინარეს ყოვლისა, სწორედ თავისუფლების კრიტერიუმებიდან არის დანახული, რადგანაც ამ შემთხვევაში მიზანი ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის გაზომვაა, მაგრამ ყველა ამ ფაქტორს სხვა მხარეებიც გააჩნია, რომელთა ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე ფრიად მნიშვნელოვანია.

ამგვარად, მიზანშეწონილია არა მარტო დასახელებული ფაქტორების კომპლექსური ანალიზი, ანუ ანალიზი ეკონომიკური თავისუფლების თვალსაზრისით და საერთოდ, ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, არამედ, აგრეთვე, მათი შედარებითი ანალიზი, ანუ ურთიერთგანმსაზღვრელი კავშირების დადგენა საქართველოს რეალური სიტუაციის გათვალისწინებით.

ფაქტორებისა და მათი შესაბამისი სფეროების ანალიზი გვიჩვენებს, რომ **შედეგები ფრიად წინააღმდეგობრივი, დაუბალანსებელი და დისპროპორციულია:**

– სავაჭრო პოლიტიკის სფეროში მიღწეულია მნიშვნელოვანი ლიბერალიზაცია, ზომიერი პროტექციონიზმის დონე; ქვეყანა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა, მაგ-

რამ, რეალურად, ეს მხოლოდ დასაწყისია, რადგანაც ექსპორტი ძალზე ჩამორჩენილია, ხოლო უარყოფითი სავაჭრო სალდო სოლიდურია. მაშასადამე, დღევანდელი საქართველოსთვის დამახასიათებელია სავაჭრო ლიბერალიზაცია, მაგრამ, იმავდროულად, საექსპორტო სექტორის ჩამორჩენილობა, ტექნოლოგიური ჩამორჩენილობისა და არაკონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების გამო. ეს იმიტომ, რომ **რეფორმამ წინ გაუსწრო რეალურ გარდაქმნებს წარმოებაში.** საზღვრები, ფაქტობრივად, გახსნილია, ხოლო დაბალი ხარისხის სამამულო პროდუქცია იმპორტულს კონკურენციას ვერ უწევს, მით უმეტეს, კონტრაბანდის დიდი მასშტაბების პირობებში;

– სახელმწიფოს ფისკალური შეზღუდვა, საერთო ჯამში, როგორც გადასახადების, ასევე სახელმწიფო ხარჯების თვალსაზრისით, ზომიერია, მაგრამ იგი ვერ ახდენს დადებით ზემოქმედებას ეკონომიკურ ზრდაზე. ამას შემდეგი ძირითადი მიზეზები განაპირობებს: ჯერ ერთი, შემოსავლების მოცულობა დაბალია, გამოშვებული პროდუქციის სიმცირისა და ნელი ზრდის გამო, საწარმოების ტექნოლოგიური გადაიარაღება, დანახარჯების შემცირება, მოგების მნიშვნელოვანი ზრდა ვერ ხერხდება. საწარმოების ფინანსური სისუსტე კი, სახელმწიფოს ფისკალურ სისუსტეს განაპირობებს. მეორე, საოცრად დაბალია გადასახადების აკრეფა. გამოდის, რომ **სინამდვილეში, გადასახადების დონე მაღალია, იგი მხოლოდ ფისკალურ მიზნებს ემსახურება და უგულებელყოფს ბიზნესის განვითარების ამოცანას, რაც საგადასახადო ბაზრის გაფართოების შესაძლებლობებს ავიწროებს.** მეორე მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მცირე ხარჯები მიღწევად ვერ ჩაითვლება, რადგანაც ვერ ფინანსდება აუცილებელი სფეროები, ინვესტიციური საქმიანობა და ზრდა ფერხდება;

– მართალია, მთავრობის ჩარევა ეკონომიკაში მკვეთრად შემცირდა, მაგრამ იგი მაინც მაღალია ~~იმის~~ გათვალისწინებით, რომ მსხვილი საწარმოების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის პრივატიზებული და სახელმწიფოს საკუთრებაშია;

– მონეტარული პოლიტიკა, ერთი შეხედვით, თითქოს ყველაზე უფრო ეფექტიანია, რაც ინფლაციის დონის მინიმიზაციით გამოიხატება. მაგრამ მაინც მისი ძირითადი ფუნქცია არის მეურნეობის განვითარების მიზნით ფულის სათანადო რაოდენობით მომარაგება, რაც, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება. ამის მაჩვენებელია ფულის მასის ბანკებს გარეთ დიდი რაოდენობით მიმოქცევა და ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი დონე. მაშასადამე, **დღემდე მონეტარული პოლიტიკა უპირველესად ანტიინფლაციურ ფუნქციას ასრულებს, ხოლო ეკონომიკურ ზრდას სუსტად ასტიმულირებს;**

– უცხოური ინვესტიციების შესახებ საკანონმდებლო ბაზა თითქმის სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. მიუხედავად ამისა, მათი შემოსვლა ქვეყანაში მასშტაბურობით არ გამოირჩევა, ხოლო უკანასკნელ წლებში აბსოლუტური მოცულობით კლებულობს კიდეც. ეს იმას ნიშნავს, რომ თავისთავად, საკანონმდებლო ბაზის მოგვარება პრობლემას ვერ წყვეტს. ამისათვის სხვა რეალური გარემოცაა საჭირო;

– ლიბერალიზებულია საბანკო საქმეც. არ არსებობს შეზღუდვები უცხოურ ბანკებზე, ფილიალებისა და განყოფილებების გასახსნელად. მიუხედავად ამისა, **ეკონომიკურ ზრდაზე ბანკების ზემოქმედება სუსტია, რადგანაც ისინი, ძირითადად, მხოლოდ მოკლევადიან კრედიტებს იძლევიან;**

– ფასწარმოქმნა, ძირითადად, ლიბერალიზებულია, მაგრამ ინფლაციის მოთოკვის მიზნით, გრძელდება სამუშაო ძალის ფასზე კონტროლი. **ამით ირღვევა საბაზრო თანასწორობის პრინციპი და რეფორმის მხარდაჭერა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება: ხელფასის ფუნქციის მოშლა აფართოებს საზოგადოების კრიმინალიზაციას, რაც, საბოლოოდ, ქვეყანაში დეზინტეგრაციულ პროცესებს აძლიერებს;**

– საკუთრების უფლების სფეროშიც კანონმდებლობა, ძირითადად, შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, მაგ-

რამ კერძო საკუთრების ინსტიტუტის ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდაზე მაინც უმნიშვნელოა, რაც არა მარტო სასამართლო სისტემაში კორუფციით არის გამოწვეული, არამედ იმითაც, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უკიდურეს სიღარიბეშია, მას არა აქვს ნორმალური ცხოვრების პირობები და ხშირად ყიდის იმ საკუთრებასაც, რაც გააჩნია. მაშასადამე, საკუთრების ინსტიტუტის ეფექტიანი ამოქმედებისათვის **სამართლებრივი დაცვა საკმარისი არ არის;**

– რეგულირების მასშტაბი ფრიად საზიანოა. ამის მიზეზია არა მარტო ბიზნესის დაწყებისათვის უამრავი ბარიერის გადალახვის საჭიროება, უამრავი ლიცენზიის არსებობა, ან გარემოს დაცვის უკიდურესად გაუარესება, მომხმარებლის უსაფრთხოების უგულებელყოფა, არამედ რაც ყველაზე უფრო მთავარია, კორუფციის მაღალი დონე, რაც **ანგრევს ეკონომიკას და აუფასურებს ლიბერალიზაციის დადებით იმპულსებს;**

– ეკონომიკური თავისუფლებისა და შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები. იგი ვლინდება გამოშვებული და იმპორტირებული პროდუქციის დიდი ნაწილის „შავ ბაზარზე" მოძრაობით, კონტრაბანდის გაფართოებით. ამის მიზეზია ინსტიტუციური წესრიგის უქონლობა, სახელმწიფოს სისუსტე, კანონმდებლობის ნაკლი, მძიმე სოციალური პირობები, რაც **აიძულებს მეწარმესა და მოსახლეობას, აწარმოოს არალეგალური ბიზნესი.**

მაგრამ მარტო ცალკეული ფაქტორების ასეთი შეფასება არასაკმარისია. არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი ურთიერთქმედების განსაზღვრაც. იგი გვიჩვენებს, რომ ცალკეული ფაქტორის დადებითი მოქმედება ხშირად განეიტრალებულია სხვა ფაქტორის დაგვიანებული, სუსტი ან უარყოფითი ზემოქმედებით. გამოკვეთილად ჩანს ფინანსური სტაბილიზაციის პრიორიტეტი პოლიტიკაში, მაგრამ იგი მხოლოდ დროებით მიიღწევა და არამდგრადია, რადგანაც **ჩამოვრჩებით სერიოზული გარდაქმნების განხორციელებაში ინსტიტუციური, სტრუქტურული და ფინანსური**

განვითარების სფეროებში და მათ ურთიერთდაბალანსებაში. აქედან გამომდინარე, ამ პრობლემის გადაწყვეტას საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. მათ შორის განსაკუთრებით აქტუალურია ეფექტიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერება, ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაცია, სახელმწიფო და კორპორაციული მართვის სრულყოფა, კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, რეფორმები ფინანსურ-საკრედიტო სფეროში, პრივატიზების პროგრამისა და საწარმოთა რესტრუქტურიზაციის დაჩქარება, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება.

საყოველთაო აღიარებით, დღეს საქართველოს განვითარებისათვის ყველაზე უფრო მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად კორუფცია გადაიქცა. იგი გულისხმობს სახელმწიფოებრივი თანამდებობის გამოყენებას უკანონო შემოსავლების ან პრივილეგიების მისაღებად. კორუფცია მცირეა განვითარებულ ქვეყნებში, ჩინეთში, მუსულმანურ ქვეყნებში, სადაც ამისათვის მკაცრად სჯიან, შედარებით მაღალია პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, ბალტიისპირეთის გამოკლებით. კორუფციისა და ეკონომიკური თავისუფლების დარღვევათა დონის მიხედვით, საქართველოს მსოფლიოში არასახარბიელო პოზიცია უკავია.

ამიტომ საქართველოში კორუფციის რაც შეიძლება მაქსიმალურად და სწრაფად დაძლევის ამოცანა, ბუნებრივია, უპირველეს ადგილზეა. ამ მიზნით უკვე მიღებულია სპეციალური ანტიკორუფციული პროგრამა და შექმნილია მის რეალიზაციაზე პასუხისმგებელი ორგანო – ანტიკორუფციული საბჭო. შემუშავებულია კონკრეტული ღონისძიებების სისტემა, რომელთა განხორციელებას უმაღლესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. ეს კი სახელმწიფოში კორუფციის დონისა და სოციალური სტრუქტურის, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების განსაზღვრას მოითხოვს.

კორუფციის დონის მაჩვენებელი კრიტერიუმებია: ლეგალური და ჩრდილოვანი ეკონომიკის შეფარდების კოეფიციენტი; გავლენიან სახელმწიფო მოხელეთა და მათი ოჯახის

წევრების ოფიციალური, დეკლარირებული შემოსავალი და ფაქტობრივი ქონების ცენზი, ანუ მათი ცხოვრების რეალური დონე; დამნაშავე ჯგუფების სახელმწიფო სტრუქტურებთან ურთიერთობის ხარისხი და ა.შ.

არსებობს კორუფციის მრავალი სახე. მისი ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა კლიენტისაგან ქრთამის აღება, გამოძალვა. ქრთამის ფარული სახეა სხვადასხვა გადარიცხვა კორუმპირებული სახელმწიფო მოხელის პირად ან ნათესავების, ან მათი ფირმების ანგარიშებზე ქვეყნის ან საზღვარგარეთის ბანკებში. გავრცელებული ქრთამის აღების მაგალითებია: გარიგება ბიზნესმენსა და ჩინოვნიკს შორის გადასახადების დაფარვის მიზნით; ქრთამი სამთავრობო, სახელმწიფო მუშაკებისათვის, ქრთამის მიმცემისათვის უფრო შემოსავლიანი პირობების შესაქმნელად; საბაჟო მუშაკებისთვის გადახდა ტვირთის საბაჟოზე არაკანონიერად გატარებისა და განბაჟებისათვის და ა.შ. ამავე დროს, იგი შეიძლება იყოს ნაღდი ფული, პარტიების ფონდებში შენატანები და სხვა სახის. ზოგიერთი ქრთამის სახით ითხოვს საქონელს, ზოგი – ფირმის საკონტროლო პაკეტს, მეუღლის ან შვილის მოწყობას პერსპექტიულ საწარმოში თანამესაკუთრის უფლებით და ა.შ.

აქედან ჩანს, რომ კორუფციის დონის ზუსტად გაანგარიშება ძალიან რთული ამოცანაა. ამისათვის სრულყოფილი მეთოდიკა, ჯერჯერობით, არც არსებობს. ეს იმითაც აიხსნება, რომ იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ჩრდილოვანი ეკონომიკის ფენომენთან, რომლის სოციალური სტრუქტურა ძალიან ფართოა. მისი პირამიდის თავშია ხელისუფლებისა და მართვის კორუმპირებული წარმომადგენლები, კრიმინალური „ავტორიტეტები“, რომლებიც, ფაქტობრივად, წარმართავენ ჩრდილოვანი ეკონომიკის ფუნქციონირებასა და განვითარებას. შედარებით მცირე, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ჩრდილოვანი მეწარმეები, ბანკირები, ბიზნესმენები. დასასრულ, პირამიდის საფუძველია მრავალრიცხოვანი დაქირავებული მუშაკი არაფორმალური დასაქმებით და წვრილი სახელმწიფო მოხელეები, რო-

მელთა შემოსავლის 50% ქრთამია. ასეთი ფართო სოციალური ბაზა ამ პრობლემის მოგვარებას სერიოზულად აძნელებს.

საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის დაძლევის

ჩრდილოვანი ეკონომიკის სოციალური სტრუქტურა



სტრატეგია საერთაშორისო გამოცდილებას უნდა ემყარებოდეს. ეს არა მარტო მრავალ გაუგებრობას აგვაცილებს თავიდან, არამედ პრობლემების გადაჭრის სწორი სტრატეგიის შერჩევასა და გახორციელებაში დაგვეხმარება. კერძოდ, უნდა გამოვიყენოთ გაეროს მიერ აღიარებული კლასიფიკაცია. გაეროს „ლურჯი წიგნი“ განასხვავებს ჩრდილოვან არაფორმალურ და არალეგალურ საქმიანობას. ვიწრო გაგებით, **„ჩრდილოვან ეკონომიკაში“** იგი გულისხმობს ისეთ საქმიანობას, რომელიც კანონით დაშვებულია, მაგრამ

სრულად ან ნაწილობრივ იმალება შემოსავლების დაფარვისა და გადასახადების არგადახდის მიზნით. **„არაფორმალური ეკონომიკა“** აერთიანებს საწარმოებს, რომლებიც შინამეურნეობების მოთხოვნების (ინდივიდუალური ბინათმშენებლობა, ღვინის წარმოება და ა.შ.) დასაკმაყოფილებლად მუშაობენ ან არაფორმალური დასაქმების საწარმოებს წარმოადგენენ, როდესაც დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის არ ფორმდება რაიმე იურიდიული ხელშეკრულება. **„არალეგალური ეკონომიკა“** არაკანონიერ წარმოებასა და რეალიზაციას (იარაღის, ნარკოტიკების კონტრაბანდას, ქურდობას, ყაჩაღობას, ბანდიტიზმს), აგრეთვე არალიცენზირებულ მომსახურებას, კორუფციას, ქრთამს, დამნაშავეობრივ საქმიანობას მოიცავს.

ფართო გაგებით, „ჩრდილოვანი ეკონომიკა“ სამივე ამ კომპონენტს გულისხმობს.

ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბებით განვითარებადი ქვეყნები გამოირჩევიან, სადაც იგი 40-60%-ის ფარგლებშია, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში - 5-15%-ის ფარგლებში მერყეობს. იგი შედარებით მაღალია შვედეთში, ბელგიაში, ნიდერლანდებში, დიდ ბრიტანეთში, ნორვეგიაში, დანიაში, აშშ-ში, ფინეთში, გერმანიაში. უფრო მცირეა საფრანგეთში, ავსტრიაში, იტალიაში, ესპანეთში, კანადაში, ხოლო კიდევ უფრო მცირე - შვეიცარიასა და იაპონიაში.

ქვეყნების დიდ უმრავლესობაში, მათ შორის საქართველოშიც, მშპ-ში აისახება მხოლოდ ლეგალური, არგაცხადებული სექტორი, ძირითადად, მორალური მიზეზების გამო - განვითარებად არ შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოების ზნეობრივი დაცემა და განუვითარებლობის შედეგები. ამიტომ დასავლეთში დღესაც გრძელდება დისკუსია იმის შესახებ, აისახოს თუ არა მშპ-ში არალეგალური საქმიანობა.

საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, „ჩრდილოვანი ეკონომიკის“ წილი მშპ-ში შეადგენს 27%-ს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მასში ასახულია მხოლოდ ლეგალური არგაცხადებული საქმიანობა, ხოლო არალეგალური საქმიანობა „ლურჯი წიგნის“ მი-

ხედვით, თავისი მოცულობით პირველს არ ჩამორჩება, არაფორმალური ეკონომიკის (შინამეურნეობების საკუთარი მოხმარება და ა.შ.) ასახვაც არ არის ზუსტი, მაშინ მივიღებთ, რომ სინამდვილეში „ჩრდილოვანი ეკონომიკა" საქართველოში მშპ-ის მიმართ 60-70%-ის ფარგლებში მერყეობს.

ასეთი მიდგომით ანალიზი გვიჩვენებს შემდეგს. 2000 წელს ოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მშპ 6,2 მლრდ. ლარს შეადგენს. აქედან 1,67 მლრდ. ლარი არის ლეგალური არგამოცხადებული საქმიანობის შედეგი (27%), ხოლო დანარჩენი - 4,53 მლრდ. ლარი - ლეგალური საქმიანობის შედეგი. მაგრამ არალეგალური ეკონომიკისა და არაფორმალური ეკონომიკის მოცულობათა გათვალისწინებით, ის კიდევ უნდა გაიზარდოს 27%-ით. მაშინ რეალური მშპ გამოდის არა 6,2 მლრდ. ლარი, არამედ 7,87 მლრდ. ლარი, საიდანაც ჩრდილოვანი ეკონომიკა არის 3,34 მლრდ. ლარი: 1,67 მლრდ. ლარი - ლეგალური არგაცხადებული სექტორი, 1,67 მლრდ. ლარი - არალეგალური საქმიანობის სექტორი, ხოლო 4,53 მლრდ. ლარი - ლეგალური საქმიანობის შედეგი.

ეს გაანგარიშება, ცხადია, ძალიან მიახლოებითია, თუნდაც იმიტომ, რომ თვითონ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გათვლილი მთლიანი შიდა პროდუქტი, ისევე, როგორც ზოგიერთ სხვა ქვეყანაში, არ შეიძლება ზუსტად მივიჩნიოთ. მაგრამ აღნიშნულ გათვლას საფუძვლად მაინც სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები უდევს: ოფიციალური ეკონომიკის მოცულობა 4,53 მლრდ. ლარის ოდენობით და ლეგალური არგაცხადებული სექტორის წილი მშპ-ში 27%-ის ოდენობით, აგრეთვე „ლურჯი წიგნის" დასკვნა, რომ ლეგალური არგაცხადებული სექტორისა და არალეგალური საქმიანობის სექტორის მოცულობანი დაახლოებით ერთნაირია.

მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს „ჩრდილოვანი ეკონომიკის" მოცულობა სხვადასხვანაირად ფასდება: ოფიციალური მონაცემებით, იგი 27%-ია, ეკონომიკის სამინისტროს გაანგარიშებით, არასამეწარმეო დარგების

ჩათვლით მისი წილი მშპ-ში დაახლოებით 32%-ია, ჩვენი ზემოთ ნაჩვენები გაანგარიშებით, ლეგალური არგაცხადებული სექტორისა და არალეგალური საქმიანობის სექტორის ჩათვლით, იგი 42,5%-ია, ხოლო სხვა მონაცემებით, მათ შორის მსოფლიო ბანკის შეხედულებით, იგი დაახლოებით 70%-ს შეადგენს. თუ საფუძვლად ავიღებთ ოფიციალური ეკონომიკის მოცულობას 4,53 მლრდ. ლარის ოდენობით, მაშინ 60%-იანი „ჩრდილოვანი ეკონომიკის" მოცულობისას მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 11,31 მლრდ. ლარს შეადგენს, ხოლო 70%-იანი „ჩრდილოვანი ეკონომიკის" პირობებში - 15,1 მლრდ. ლარს. მაგრამ ეს ციფრები არარეალურია. ჯერ ერთი, ჩვენს ეკონომიკას ნამდვილად არ ეტყობა ასეთი მოცულობის პროდუქციის გამოშვება. მეორე, ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველწლიურად ქვეყნიდან 2-4 მლრდ. დოლარი გაედინება საზღვარგარეთ, რაც არ შეესაბამება დოლარის მასის მოძრაობას ქვეყანაში, არალეგალური მოძრაობის ჩათვლითაც კი.

როგორც ჩანს, „ჩრდილოვანი ეკონომიკის" მოცულობის დადგენა ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტუალურია. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ცხადია, რომ მისი მოცულობა ოფიციალურ ეკონომიკასთან მიმართებაში ძალიან მაღალია, რაც მრავალი მონაცემით დასტურდება. მაგალითად, ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, 2000 წელს საქართველოს სამეწარმეო სექტორში აღურიცხავი გამოშვების წილი 55%-ს აღწევდა. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფულის მასა 2000 წელს 70,9 მლნ. ლარით გაიზარდა და 314,9 მლნ. ლარი გახდა. მისი წილი ფართო ფულის მასაში (M3) 1995 წლიდან თითქმის ორჯერ გაიზარდა და 2000 წლის ბოლოს 84% შეადგინა. ამ თანხის გარკვეული ნაწილი მოკლევადიან დაგროვებას ემსახურება, მაგრამ უდიდესი ნაწილი ჩრდილოვან გარიგებებს აფინანსებს.[110] ამასთან, ზრდის ყველაზე მაღალი ტემპით ის დარგები ხასიათდებოდა, სადაც ჩრდილოვანი სექ-

---

[110] საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მონაცემები.

ტორის წილი სტაბილურად მაღალი ან მზარდი იყო. აღურიცხავი გამოშვების წილმა სამეწარმეო სექტორში 2000 წელს 56,1% შეადგინა. მცირდება აღურიცხავი ფულის მასის გამოყენება ინვესტიციური მიზნებისთვის: თუ 1997 წელს კერძო ინვესტიციების წილი მშპ-ში 10 პროცენტული პუნქტით, ანუ 30-ჯერ აღემატებოდა კერძო დანაზოგების წილს, 1999 და 2000 წლებში მხოლოდ 2-ჯერ. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ბევრია ე.წ. „დაუსაქმებელი" ფული, რომელიც, უპირატესად, სიმდიდრის სახეს ღებულობს, ანუ გაედინება საზღვარგარეთ და არ ბანდდება ლეგალურ ეკონომიკაში.[111] ჩრდილოვანი ეკონომიკა, მართალია, ასაქმებს მოსახლეობას და მათი მნიშვნელოვანი შემოსავლების წყაროა, მაგრამ მაინც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ყველაზე უფრო სერიოზულ შემაფერხებელ ფაქტორად გადაიქცა.

ასეთი მდგომარეობა მოითხოვს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის სასწრაფოდ გადაწყობას იმდაგვარად,

ცხრილი 76

აღურიცხავი გამოშვების წილი სამეწარმეო სექტორში.

დარგები	1996	1997	1998	1999	2000
1. მრეწველობა	46	43	40	39	40
2. სოფლის მეურნეობა, მეტყეველობა, თევზჭერა	15	12	11	9	11
3. მშენებლობა	18	35	36	36	55
4. ტრანსპორტი	38	35	36	37	35
5. კავშირგაბმულობა	23	23	19	24	20
6. ვაჭრობა	66	60	57	56	57
7. სასტუმროები და რესტორნები	62	61	60	64	55
სულ - აღურიცხავი გამოშვების წილი სამეწარმეო სექტორში	60,8	56,2	54,9	55,2	56,1

წყარო: საქართველოს სტასტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები.

[111] საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მონაცემები.

რომ უმოკლეს პერიოდში მკვეთრად შევამციროთ ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები და მაქსიმალურად წავახალისოთ **ლეგალური მეწარმეობის განვითარება. ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაცია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და პოლიტიკის ერთ-ერთ უპირველეს პრიორიტეტად უნდა განისაზღვროს, ხოლო მისი გახორციელება სპეციალური მიზნობრივი პროგრამის მეშვეობით უნდა მოხდეს.**

ასეთი პროგრამის ძირითადი ელემენტებია: ჩრდილოვანი ეკონომიკის მიზეზების განსაზღვრა; ანტიკორუფციული პროგრამის გახორციელება; მეურნეობრივი პირობების გაუმჯობესება; მეურნეობის ჩრდილოვანი ნაწილის ლეგალიზაცია, ინტეგრაცია ლეგალურ ეკონომიკაში; იძულებითი, სამართლებრივი მეთოდების გამოყენება, კრიმინალურ ეკონომიკასთან ბრძოლა; საერთაშორისო თანამშრომლობა ჩრდილოვანი ეკონომიკის დასაძლევად; სახელმწიფოსა და მეწარმეების მხრივ ორმხრივი პასუხისმგებლობა ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციისათვის.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის მთავარი მიზეზებიდან, ფაქტორებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი:

- დაბეგვრის სიმძიმე მეწარმისათვის;
- შემოსავლების მოცულობა;
- სამუშაო დროის ხანგრძლივობა;
- უმუშევრობის მასშტაბები;
- სახელმწიფო სექტორის როლი.

დაბეგვრის სიმძიმე საქართველოში ისეთია, რომ იგი აიძულებს მეურნეების უმრავლესობას, გადაინაცვლონ ჩრდილში, არაოფიციალურ ბიზნესში. შემოსავლების მცირე მოცულობა აიძულებს სახელმწიფო მოხელეებს, გააფართოონ კორუფციული ურთიერთობები მეწარმეებთან. საკმარისია აღინიშნოს, რომ 2000 წლის მონაცემებით, სახელმწიფო მოხელეთა თვიური სახელფასო განაკვეთი 20 - 170 ლარის ფარგლებში მერყეობდა.

ამავე დროს, საარსებო მინიმუმი თვეში 110 ლარს უდრი-

და. საარსებო მინიმუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ყოველწლიურად სახელმწიფო მოხელეთა ანაზღაურება 26 მლნ. ლარს უნდა შეადგენდეს, სინამდვილეში კი, ამ წელს მოხელეთა ხელფასებზე მხოლოდ 11,8 მლნ. ლარი გაიცა, რაც ამ ადამიანთა მინიმალურ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებას მხოლოდ 45%-ით უზრუნველყოფს. რაც შეეხება სამუშაო დროის ხანგრძლივობას, მისი სიმცირე საშუალებას აძლევს მუშაკებს, დარჩენილ დროში არალეგალური საქმიანობით დაკავდნენ. უმუშევრობა კი აიძულებს ბევრ მათგანს, არაფორმალურ და არალეგალურ საქმიანობას მიჰყოს ხელი. სახელმწიფო სექტორის შედარებით დიდი წილი, როგორც წესი, მოქალაქეებს კორუფციისა და არალეგალური საქმიანობისკენ უბიძგებს.

აქედან ჩანს, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის დაძლევა და ლეგალიზაცია სისტემურ მიდგომას მოითხოვს, რადგანაც საქართველოს განვითარებისათვის ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტა მხოლოდ ინსტიტუციური, სტრუქტურული და ფინანსური გარდაქმნების ოპტიმიზაციის გზითაა შესაძლებელი. მაგრამ, ამავდროულად, სახეზეა უკუკავშირიც: ინსტიტუციური, სტრუქტურული და ფინანსური ოპტიმიზაცია ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციისა და მასშტაბების მკვეთრი შემცირების გარეშე არ მიიღწევა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, **დღეს და სამომავლოდ სტრატეგიულად ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციისა და ინსტიტუციურ-სტრუქტურული და ფინანსური ოპტიმიზაციის სისტემური ღონისძიებების გახორციელება, რომელთაგან მთავარია შემდეგი:**

1. სახელმწიფოს, ხელისუფლების მიერ ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზებისათვის პასუხისმგებლობის გაცნობიერება. ხშირად მეწარმე იძულებულია, გადავიდეს, ან დარჩეს ჩრდილოვან ეკონომიკაში, რადგანაც ლეგალური მდგომარეობისათვის **სწორედ სახელმწიფომ ვერ შექმნა სათანადო პირობები.** ამიტომ ღრმად უნდა ჩავწვდეთ ჩრდილოვანი ეკონომიკის მიზეზებს. იგი შეიძლება

გამოწვეული იყოს ცუდი კანონებით, კონკურენციაში გამარ-ჯვების მოტივით, სახელმწიფო აპარატისა და ფუნქციების გაფართოებით, ბიზნესის გართულებით. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჩრდილოვან ეკონომიკასთან ბრძოლა ძალიან კვალიფიციურ და ფრთხილ მიდგომას მოითხოვს. მთავარია, მივუახლოვოთ მისი ფუნქციონირების პირობები ლეგალური ეკონომიკის ფუნქციონირების პირობებს და უპირატესად, ამ გზით მივაღწიოთ ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზებას - საგადასახადო ტვირთის შემცირებით, საბაზრო თანასწორობის, კონკურენციის უზრუნველყოფით და ა.შ.;

2. დაუშვებელია კრიმინალური არალეგალური და-ნაშაულებრივი საქმიანობით მიღებული შემოსავლე-ბის ლეგალიზება (ნარკოტიკები, კონტრაბანდა, კო-რუფცია, ქრთამი და ა.შ.). პირიქით, მათ წინააღმდეგ ბრძოლა უნდა გამკაცრდეს ყველა მიმართულებით - დასჯადი ღონისძიებებით, კონტროლის გაძლიერებით, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებით და ა.შ.

3. მიზანშეწონილია ყველა სხვა სახის ჩრდილოვა-ნი საქმიანობის ლეგალიზება, რისთვისაც უნდა შემუშავდეს შესაბამისი საკანონმდებლო, ინსტიტუციური და ორგანიზაციული ღონისძიებები და გახორციელდეს საზოგადოების მხრიდან მკაცრი კონტროლის პირობებში. ამ სფეროების ლეგალიზაცია უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად უნდა ჩამოყალიბდეს, რადგანაც სახელმწიფომ დღემდე ვერ შეძლო ისეთი ინსტიტუციური გარემოს შექმნა, რომ მეურნეები ჩრდილოვან ეკონომიკაში არ წასულიყვნენ. ამასთან, ჩრდილოვანი ეკონომიკის მკვეთრი შემცირებისათვის საჭიროა შემდეგი კონკრეტული ღონისძიებების გატარება: მისი სტატისტიკური შეფასების ეფექტიანი სისტემის დანერგვა; კონტრაბანდისა და პროდუქციის ფალსიფიკაციის ლიკვიდაცია; ბრუნვაში არსებული ნაღდი ფულის საბანკო არხებში მოზიდვა; შიდა ვაჭრობის სფეროს მოწესრიგება; კანონმდებლობის სრულყოფა და სახელმწიფო კონტროლის სისტემის ოპტიმიზაცია; შრომითი ურთიერთობების მოწესრიგება და მათი ლეგალიზაციის ხელშეწყობა; ეკონომიკური რეფორ-

მების საჯაროობისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციისთვის საზოგადოების მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

4. ცივილიზაციის უმნიშვნელოვანეს მეთოდად უნდა დაკანონდეს აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენის უფლება. ამიტომ ამ დროს არ უნდა იყოს სავალდებულო შემოსავლების დეკლარაციების შეფასება, თუ მყიდველი გადაიხდის სპეციალურ გადასახადს „გასათეთრებელი" საერთო თანხის 50 ან 25%-ის ოდენობით, ფასიანი ქაღალდების შეძენისას. ანალოგიური ღონისძიებები უნდა გატარდეს ბანკში ფარული შემოსავლების ლეგალიზაციისას, აგრეთვე, საზღვარგარეთიდან არალეგალური კაპიტალის რეპატრიაციის მიზნით;

5. აუცილებელია დაჩქარდეს ნორმალური მეურნეობრიობისათვის ფინანსური პირობების შექმნა. კერძოდ, უპირველესი ამოცანაა: შინამეურნეობების, საწარმოს ფინანსების გაჯანსაღება რეალურ სექტორში ზრდის სტიმულირებისათვის, წარმოების ტექნოლოგიური განახლებისათვის, ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მოგების გადიდებისათვის. რეალური ეკონომიკის მძლავრი განვითარების გარეშე საქართველო ფინანსურ პრობლემებს ვერ გადაწყვეტს. ამიტომ აუცილებელია, საგადასახადო ტვირთის მკვეთრი შემცირება ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე 25-30%-მდე, მეორე ეტაპზე - 15-20%-მდე. მისი ერთბაშად შემცირება არ შეიძლება ბიუჯეტის შემოსავლების მწვავე პრობლემის არსებობის გამო. ამასთან ერთად, მიზანშეწონილია გახორციელდეს შემდეგი ღონისძიებები: საგადასახადო განაკვეთების დიფერენციაცია მისი ფისკალური და წარმოების მასტიმულირებელი ფუნქციების დაბალანსების მიზნით; არაპირდაპირი და პირდაპირი გადასახადების ოპტიმიზაცია, თანამედროვე პირობებში, როდესაც მოსახლეობის შემოსავლები ძალიან მცირეა, არაპირდაპირი გადასახადების წილი (70%) საგრძნობლად აღემატება პირდაპირი გადასახადების წილს (30%) საერთოდ, საგადასახადო შემოსავლებში; დღგ-ის არა მარტო მნიშვნელოვანი შემცირება, არამედ დიფერენციაცია, სხვადასხვა დარგის ჯგუფისათვის სხვადასხვა განაკვეთის განსაზღვრა; მოგების გადასახადის დიფერენციაცია მისი მას-

ტიმულირებელი ფუნქციის უკეთ გამოყენების მიზნით; საშემოსავლო გადასახადის წილის მნიშვნელოვანი ამაღლება საგადასახადო შემოსავლების საერთო მოცულობაში ისეთნაირად, რომ მცირეშემოსავლიანები შედარებით ნაკლებად დაიბეგრონ, ხოლო უფრო მაღალშემოსავლიანები – შედარებით უფრო მაღალი განაკვეთებით; აქციზური გადასახადის რაციონალიზაცია ისეთნაირად, რომ მან კონტრაბანდის სტიმულირება არ მოახდინოს; სოციალური გადასახადის მაღალი განაკვეთის (31%) შემცირება დაახლოებით 20%-მდე, რაც დადებითად იმოქმედებს საწარმოების ფუნქციონირებაზე; დაჩქარებული ამორტიზაციის პოლიტიკის რეალურად გახორციელება.

როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, არაოფიციალური, ფარული შემოსავლების ამნისტია ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციისათვის საკმარისი არ არის. ამიტომ აუცილებელია სპეციალური ინვესტიციური ზონების გამოყოფა, სადაც შესაძლებელი იქნება ადრე დამალული შემოსავლების ჩადება კაპიტალური დაბანდებების სახით, სახელმწიფოს ძლიერი და დამატებითი გარანტიების პირობებში. საქართველოსათვის ასეთ ინვესტიციურ ზონებად შეიძლება განისაზღვროს ინფორმაციულ-კომუნიკაციური სფერო, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი, პორტები, ბიოტექნოლოგიების დანერგვა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მცირე და საშუალო ბიზნესის, ინდივიდუალური მეწარმეობის ლეგალიზაციასა და სტიმულირებას. სწორედ ამ სექტორშია თავმოყრილი ჩრდილოვანი წარმოების 60-70%, ზოგიერთ დარგში კი – 100%. ექსპერტული გათვლებით, აქ გამოშვებული პროდუქციის 60%, ანუ 270 მლნ. ლარის პროდუქცია ჩრდილოვან სექტორში იწარმოება.[112] განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მეწარმეობის შემზღუდავი ბიუროკრატიული ბარიერების შემცირებას, სამეწარმეო საქმიანობაზე ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის გამჭვირვალე მექანიზმის

---

[112] იხ. **ნ. თურნავა.** ბიზნესის ლეგალიზაციის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში. – „ბანკი", 2001, №2, გვ. 43-47.

დანერგვას. აუცილებლად მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს ლიცენზირებას დაქვემდებარებული სფეროები, რადგანაც ხშირად ისინია კორუფციის წყარო.

უნდა დაჩქარდეს სახელმწიფოს მოწყობა საბიუჯეტო ფედერალიზმის პრინციპზე თანაფარდობით 30:40:30, ანუ საბიუჯეტო შემოსავლების 30%-ს უნდა განკარგავდეს ცენტრალური ბიუჯეტი, 40%-ს - ფედერალური სუბიექტების ბიუჯეტები, 30%-ს - ადგილობრივი ბიუჯეტები. ამ ამოცანის შესრულება ხანგრძლივი პროცესია, მაგრამ იგი განუხრელად უნდა ხორციელდებოდეს ეტაპობრივად.

გადაუდებელი ამოცანაა საფინანსო-საგადასახადო ადმინისტრირების მკვეთრად გაუმჯობესება. თუ რაოდენ დიდია ამ სფეროში არსებული შესაძლებლობები, ჩანს შემდეგი მონაცემებიდან. მაკროეკონომიკური საგადასახადო ტვირთის ნორმალური სიდიდე 30-40%-ის ფარგლებშია. თუ მას 30%-ის სიდიდით მივიღებთ, მაშინ საგადასახადო შემოსავლები ბიუჯეტში ოფიციალურად გაცხადებული მშპ-ის შემთხვევაში უნდა იყოს დაახლოებით, 1,9 მლრდ. ლარი, ხოლო 40%-იანი საგადასახადო ტვირთის შემთხვევაში - 2,5 მლრდ. ლარი. ეს კი 3-4-ჯერ აღემატება დღეს არსებულ საგადასახადო შემოსავლებს ბიუჯეტში. ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით, მხოლოდ ადმინისტრირების გაუმჯობესებით პურპროდუქტების ადგილობრივი წარმოების აღდგენა ბიუჯეტში ყოველწლიურად დამატებით 50 მლნ. ლარამდე შემოსავალს მოგვცემს, ჩაის წარმოების აღდგენა და კონტრაბანდის შემცირება - 55 მლნ. ლარს, ნავთობპროდუქტების იმპორტის ლეგალიზაცია - 340 მლნ. ლარს, დაახლოებით ამდენივეს - სიგარეტის იმპორტის ლეგალიზაცია, ხოლო მრეწველობაში მარტო ძირითადი გადასახადების აკრება - 131 მლნ. ლარს, აქედან ჩანს, რომ **საბიუჯეტო კრიზისი ინსტიტუციური ხასიათისაა, სუსტი ადმინისტრირების შედეგია. ამიტომ ინსტიტუციური მოწყობა, სახელმწიფოს ეფექტიანობის ამაღლება - ქვეყნის განვითარების უპირველესი პირობაა;**

6. აუცილებელია მიმდინარე სტრუქტურული რეფორმების შედეგიანობის ამაღლება. იგულისხმება, პირ-

ველ რიგში, გადასახადების ადმინისტრირების მაჩვენებლის საშუალოწლიური 5%-იანი ზრდის და მშპ-თან მიმართებაში, ბიუჯეტის დეფიციტის წილის ეტაპობრივი შემცირების მიღწევა, როგორც საგადასახადო, ასევე არასაგადასახადო შემოსული თანხის ზრდის საფუძველზე. **საბიუჯეტო დეფიციტის დაფინანსების წყაროებიდან გადასახადებიდან შემოსული თანხის მობილიზებასთან ერთად, აქცენტი უნდა გაკეთდეს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების წილის ზრდაზე.** საგადასახადო ადმინისტრირების მკვეთრი გაძლიერებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა საგადასახადო რეფორმის წარმატებით დამთავრებას ენიჭება, ამისათვის მთავარია ანაზღაურების სისტემის მოწესრიგება, საგადასახადო სამსახურების ფუნქციური რეორგანიზაცია, მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა, კომპიუტერიზაცია, შიდა კონტროლის ახალი მექანიზმის შექმნა, გადამხდელთა მომსახურების სისტემისა და საგადასახადო კანონმდებლობის სრულყოფა, საგადასახადო კოდექსის სტაბილურობის უზრუნველყოფა;

7. საინვესტიციო რესურსების ფორმირებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას, დანაზოგების გადიდებას, ფინანსური ბაზრების განვითარებას, რისთვისაც საჭიროა ლიკვიდური ინსტრუმენტების, მათ შორის სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების დამკვიდრება. ტევადი ფინანსური ბაზარი უდავოდ ხელს შეუწყობს ჭარბი ლიკვიდურობის განეიტრალებისა და საინვესტიციო აქტივობის გაძლიერების ალტერნატიული მექანიზმების ფორმირებას, შექმნის ფასების სტაბილურობისა და მაკროეკონომიკური მდგრადობის მიღწევის შესაძლებლობებს. აუცილებელია დანაზოგთა აკუმულირების ალტერნატიული ფინანსური ინსტიტუტის ფორმირებაც, რაც საბანკო სისტემისადმი არასაკმარისი ნდობის პირობებში საინვესტიციო რესურსების მობილიზებასა და დაგროვება-ინვესტიციებს შორის რაციონალური თანაფარდობის ჩამოყალიბებას დააჩქარებს;

8. აუცილებელია ფულად-საკრედიტო პოლიტი-

კის მკვეთრი გააქტიურება. დღემდე იგი უპირატესად მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მონეტარული გარანტიების უზრუნველყოფას ემსახურებოდა. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. მასთან ერთად საჭიროა ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მონეტარული გარანტიები. **ამიტომ წინა პლანზე გამოდის არა მარტო მინიმალური ინფლაციის შენარჩუნების ამოცანა, არამედ აგრეთვე სათანადო მოცულობის ფულით ეკონომიკის უზრუნველყოფა, ბანკების კაპიტალიზაციის ხარისხის ამაღლება, ქვეყნის საბანკო სისტემის მდგრადობის შენარჩუნება.**

მინიმალური ინფლაციის შენარჩუნება არა მარტო თავისუფალი მცურავი კურსის რეჟიმის არსებობას, არამედ საგადასახდელო ბალანსის სალდოს, სოლიდური სავალუტო რეზერვების არსებობასაც გულისხმობს, რაც მხოლოდ ძლიერ ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის პირობებშია შესაძლებელი. ეს კი, თავის მხრივ, კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებით, მაღალი მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარებით თუ მიიღწევა. სავალუტო პოლიტიკა კვლავაც თავისუფლად მცურავი კურსის რეჟიმს უნდა დაეყრდნოს, რომელიც გარედან შემოსული სავალუტო ნაკადების შესაბამისად, ლარის გაცვლითი კურსის წონასწორულ დინამიკას უზრუნველყოფს და საგარეო სფეროში მიღებული მოგების რეალურ სექტორზე გავლენას შეამცირებს.

მაგრამ, გლობალიზაციის პირობებში, ამ მექანიზმის დარღვევის შესაძლებლობა მაღლდება. ფინანსური გლობალიზაცია ზოგჯერ ცალკეულ ქვეყნებში ძალიან დიდი მოცულობის სავალუტო ნაკადების შესვლასა და გამოსვლას იწვევს. ეს იმას ნიშნავს, რომ **სახელმწიფოების ფინანსური დამოუკიდებლობა, მაკროეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობა პირობით ხასიათს ატარებს,** რადგანაც უწინარეს ყოვლისა, საერთაშორისო სავალუტო და ფინანსური ნაკადების მოძრაობის დინამიკითა და თავისებურებებით განისაზღვრება. მართალია, ფინანსური სფეროს ლიბერალიზაციის, ფინანსური გლობალიზაციის ობიექტურ

პროცესებს ვერავინ შეაჩერებს, მაგრამ საფინანსო-საბანკო მდგრადობის შესანარჩუნებლად ხელისუფლების ეფექტიანი ჩარევის აუცილებლობაც არ იწვევს ეჭვს. აქედან ჩანს, რომ საფინანსო-საბანკო სფეროს ლიბერალიზაცია მის სახელმწიფო რეგულირებას კი არ გამორიცხავს, არამედ ობიექტურად გულისხმობს საშინაო და საგარეო შოკების დამანგრეველი ზემოქმედების თავიდან აცილების მიზანს.

ამიტომ **ინფლაციის მოთოკვისა და ეკონომიკური განვითარების ამოცანების გადაწყვეტის ოპტიმიზაციისთვის პრიორიტეტი სათანადო მოცულობის ფულით ეკონომიკის უზრუნველყოფას ენიჭება.** ამისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ფულის ზრდის უზრუნველყოფა ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფულის საბანკო არხებში მოქცევისა და ფულის მულტიპლიკატორის ზრდის საფუძველზე და არა სარეზერვო ფულის ზრდის მეშვეობით. ეს ხელს შეუწყობს ახალი საკრედიტო რესურსების შექმნას, შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთის შემცირებასა და საინვესტიციო საქმიანობის გაფართოებას. იმავდროულად, უნდა დაჩქარდეს: ფინანსური ბაზრების ჩამოყალიბება, ლიკვიდური ინსტრუმენტების, მათ შორის სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების დამკვიდრება; საბანკო კაპიტალის გამსხვილება, კომერციული ბანკების რაოდენობის შემცირება, მათ შორის ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრების პირობებში, რაც საბანკო სისტემის მდგრადობის ხარისხის ამაღლებასა და საპროცენტო განაკვეთის შემცირებას შეუწყობს ხელს; სახელმწიფო შიდა ვალის შემცირება, რაც გამოათავისუფლებს ფინანსურ რესურსებს, გააფართოებს ბიზნესის დაკრედიტების შესაძლებლობებს და შესაბამისად, საპროცენტო განაკვეთის კლებას ასტიმულირებს;

9. სტრუქტურული პოლიტიკის გრძელვადიან პრიორიტეტად ნეოეკონომიკის შესაბამისი ეკონომიკური სტრუქტურის ჩამოყალიბება უნდა განისაზღვროს, რაც განათლების, მეცნიერების, კულტურის, საერთოდ, მომსახურების სფეროს, მეცნიერებატევადი და ინფოტევადი პროდუქციის წარმოებაზე დასპეციალებას ნიშნავს.

მოკლევადიან და საშუალოვადიან პერიოდში მთავარი პრიორიტეტებია, განსაზღვრული დარგების დაჩქარებული განვითარების, პრივატიზების პროცესის ინტენსიფიკაციის, ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობა.

კერძოდ, პრიორიტეტულ დარგებად და საწარმოებად უნდა მივიჩნიოთ: ადგილობრივ ნედლეულზე ორიენტირებული სამრეწველო დარგები, იმპორტშემცვლელი წარმოებები (სოფლის მეურნეობა, მსუბუქი, კვების, ხე-ტყის გადამმუშავებელი, ქიმიურ-ფარმაცევტული, საშენ მასალათა მრეწველობა, მანქანათმშენებლობა); საექსპორტო დარგები (საწარმოები); სატრანსპორტო მომსახურებასა და ინოვაციების გამოყენებაზე ორიენტირებული საწარმოები; დასაქმებისა და შემოსავლების თვალსაზრისით, სოციალურად მაღალი ფასეულობის მქონე დარგები და საწარმოები.

პრივატიზების პროცესისა და სახელმწიფო ქონების მართვის ინტენსიფიკაციისათვის, რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსხვილი ობიექტების პრივატიზების დასრულებას, საწარმოთა გაკოტრების კანონის ამოქმედებას, მათ რესტრუქტურიზაციას, მაგრამ ეს არასაკმარისია. აუცილებელია პრივატიზებული საწარმოების მენეჯმენტის გაუმჯობესება, მათი კონკურენტუნარიანობის მუდმივად უზრუნველყოფა. სხვანაირად, ღია ეკონომიკის პირობებში ისინი არსებობას ვერ შეძლებენ. პოსტსოციალისტური ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მხოლოდ საწარმოს მიყიდვა ინვესტისათვის, ეფექტიანი მესაკუთრის მიღების გარანტიას არ იძლევა. ხშირად ეფექტიანი მესაკუთრის პერიოდი წლობით ხანგრძლივდება, რაც აფერხებს რესტრუქტურიზაციას და საწარმოთა აქტივების გაფლანგვას იწვევს. ხშირია შემთხვევები, როდესაც საწარმო გადადის ისეთი მესაკუთრის ხელში, რომელმაც არაკანონიერი გზით შეძლო კაპიტალის დაგროვება, მაგრამ თავისი ცოდნით, კვალიფიციური მომზადებით, საწარმოს ეფექტიან ფუნქციონირებას ვერ ახერხებს. ამისათვის ეფექტიანი მენეჯმენტია საჭირო და არა მარტო საკუთრების კონცენტრაცია.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ პრივატიზებისა და რესტრუქ-

ტურიზაციის დაგვიანება საქართველოში გამოწვეულია, ძირითადად, ეფექტიანი მესაკუთრის ძიებით, სამამულო კაპიტალის შესაძლებლობების გამოუყენებლობითა და უგულებელყოფით. საზღვარგარეთელი ინვესტორები უნდა მოვიზიდოთ, მაგრამ ეს განსაკუთრებული და მსხვილი საწარმოების შემთხვევაში უნდა ხდებოდეს, როდესაც მათი რესტრუქტურიზაციისათვის ძალიან დიდი ინვესტიციებია საჭირო.

აუცილებელია ეროვნული კაპიტალის აქტიური მონაწილეობა პრივატიზაციისა და რესტრუქტურიზაციის პროცესებში: აქციონერული კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილის გადაცემით ადმინისტრაციისა და მუშაკებისათვის; განვადებით გაყიდვის წესის ფართოდ გამოყენებით; კომერციული ბანკებისა და სამრეწველო-ფინანსური ჯგუფების აქტიური ჩაბმით ამ პროცესში. ამის კარგი მაგალითია მეტალურგიაში ზესტაფონისა და ჭიათურის საწარმოთა კოოპერაცია, რომლის შედეგები მომავალში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება. მსგავსი შესაძლებლობები მრავალია და მათი გამოყენება აუცილებელია. საქართველოს საწარმოთა საქმიანობის აღორძინება უკვე არსებულ ან რეალურად მიღწევად კონკურენტულ უპირატესობებს უნდა ემყარებოდეს.[113]

განსაკუთრებით აქტუალურია საინოვაციო პოლიტიკის გააქტიურება. განვითარებული ქვეყნების მშპ-ის ნამატის 80-90% დღეს ახალი ტექნოლოგიების, კადრების ცოდნის, წარმოების ახლებურად ორგანიზების წილად მოდის. ამიტომ მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა ეფექტიანი ინოვაციური საქმიანობის გარეშე შეუძლებელია. ამისათვის აუცილებელია ტექნოპარკების, ტექნოპოლისების, მეცნიერების წარმოებასთან ინტეგრაციის ვენჩურული, ანუ სარისკო-საინოვაციო ფირმების გავრცელების სახელმწიფოებრივი სტიმულირების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა. საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალი ამის კარგ შესაძლებლობებს იძლევა;

---

[113] იხ. Техника организационной трансформации для возрождения и развития предприятий. МОТ. Чебоксары, 1998.

10. აუცილებელია ინსტიტუციური გარდაქმნების ინტენსიფიკაცია, კერძოდ, ტრანსფორმაციული პროცესების სისტემური მართვა. ტრანსფორმაციისას წამყვანია სახელმწიფოს როლი, მთავრობის ეფექტიანობა. საქართველოს მაგალითმა დაადასტურა, რომ ლიბერალიზაციისა და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევა გარკვეულად შეფერხდა. მყარ ეკონომიკურ ზრდაზე გადასვლა არ მოხდა იმიტომ, რომ სახელმწიფომ ვერ მოახერხა სათანადო ინსტიტუციური და სტრუქტურული გარდაქმნების გახორციელება, ვერ ჩამოყალიბდა სახელმწიფოებრივი მართვის ისეთი სისტემა, რომელიც ბიზნესის განვითარებისთვის საჭირო პირობებს შექმნიდა. სახელმწიფო ხშირად არ ერთვება იმ პროცესებში, სადაც აუცილებლად უნდა ჩაერიოს და, პირიქით, აქტიურად ერევა იქ, სადაც არ უნდა ჩაერიოს. იგი ცდილობს, დაიტოვოს მინიმალური ფუნქციები, მინიმალურად ჩაერიოს ეკონომიკაში, მაგრამ არის ფუნქციები, რომელსაც სხვა უკეთესად ვერ შეასრულებს. შედეგად, სახელმწიფო ხანგრძლივად ახორციელებს ზემკაცრ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რესტრიქციებს, რაც მაქსიმალურად კუმშავს წარმოებას, მაგრამ იმავდროულად, იგი არ ერევა ერთობლივი მოთხოვნის, ანუ მოსახლეობის, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მოთხოვნის ფორმირების პროცესში, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი სრულად ვერ ასრულებს მთავარ - სოციალურ ფუნქციას, რაშიც მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება იგულისხმება.

ასეთი ვითარების მთავარი მიზეზები შემდეგია: ჯერ ერთი, სახელმწიფოს როლის არასწორი კონცეპტუალური შეფასება, რომ იგი თითქოს მცირდება და, მეორე, სახელმწიფოებრივი მართვის მბრძანებლური სტილი, რაც თანამედროვე პირობებში მიუღებელია. სინამდვილეში, ეკონომიკაში სახელმწიფოს უშუალოდ ჩარევის შემცირების ტენდენციასთან ერთად, მაღლდება ეკონომიკის არაპირდაპირი მაკროეკონომიკური მართვის მნიშვნელობა, მაკროეკონომიკური, მიკროეკონომიკური და ტრანსნაციონალური მართვის დაბალანსების მნიშვნელობა. გლობალიზაციის გაღრმავების

ეპოქაში ეს ობიექტური პროცესია. მაღლდება, აგრეთვე, ცალკეული ტერიტორიული ერთეულების – რეგიონების, ქალაქების, სოფლების მართვის მნიშვნელობა, რომლებსაც უკვე დამოუკიდებლადაც შეუძლიათ მონაწილეობა მსოფლიო ბაზრის ფუნქციონირებაში. რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური დისპროპორციების აღმოფხვრა საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტული ამოცანის რანგში გვევლინება.

ამგვარად, ტრანსფორმაციული პროცესებისა და რეფორმების ახალი სტრატეგია ინსტიტუციური, სტრუქტურული და ფინანსური განვითარების ოპტიმიზაციას მოითხოვს. იმაზე, თუ როგორი წარმატებით გადაწყდება ეს ამოცანა, დიდად არის დამოკიდებული საქართველოს მომავალი.

11.3. განვითარების სოციალური იმპერატივები და სიღარიბის დაძლევის პრობლემები

პოსტინდუსტრიულ ეპოქაში კარდინალურად იცვლება განვითარების არსი და სტრუქტურა. არსი გამოიხატება ადამიანის ყოველმხრივი განვითარების ხარისხით, ხოლო სტრუქტურაში განმსაზღვრელ ადგილს სოციალური სფერო, სოციალური იმპერატივები იკავებს, როგორც განვითარების ყველაზე უფრო მთავარი ფაქტორები და ტენდენციები. ამიტომ საქართველოს განვითარების პერსპექტივებიც, პირველ რიგში, სოციალურ იმპერატივებზეა დამოკიდებული.

უწინარეს ყოვლისა, ძლიერდება სოციალური კაპიტალის განმსაზღვრელი მნიშვნელობა სადღეისო და სამომავლო განვითარებაზე. იგი მთლიანად სოციალურ სფეროს მოიცავს, როგორც განვითარების არამატერიალურ რესურსს, ფაქტორს: ადამიანისეულ კაპიტალს, სოციალურ ურთიერთობებსა და პირობებს. ადამიანისეულ კაპიტალში იგულისხმება ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი, მისი შემოქმედებითი უნარი – გადაწყვიტოს პრობლემები. რაც უფ-

რო მაღალია ეს ინდექსი, მით უფრო მაღალგანვითარებულია პიროვნება, ქვეყანა, მისი კონკურენტუნარიანობა. ადამიანური ფაქტორის წინ წამოწევა დაკავშირებულია ცოდნის, ინტელექტის განვითარების მთავარ ფაქტორად ჩამოყალიბებასთან, ნოოსფერული ცივილიზაციის თანდათან დამკვიდრებასთან ერთად, როდესაც გონიერება, ცოდნა, მეცნიერული აზრი დამოუკიდებელ გეოლოგიურ, ბუნებისა და კოსმოსის გარდამქმნელ მთავარ ძალად გადაიქცა. მაგრამ ადამიანისეული კაპიტალის ჩამოყალიბებისა და ეფექტიანად გამოყენებისათვის საჭიროა სათანადო მოტივაციური მექანიზმის არსებობა სოციალური ურთიერთობებისა და პირობების საფუძველზე.

ირკვევა, რომ თანამედროვე ინფორმაციულ საზოგადოებაში სოციალური ურთიერთობების განვითარების განმსაზღვრელი იმპერატივია პარტნიორობა, თანამშრომლობა, სუბსიდირება, ურთიერთსარგებლიანობა ყველა სუბიექტს შორის ურთიერთობებში, იქნება ეს სახელისუფლებო სტრუქტურები, თუ ცალკეული სოციალური ფენები, ჯგუფები, ადამიანები. სწორედ ასეთი თანამშრომლობითი ურთიერთობა, კონკურენტულ ურთიერთობებთან ერთად, ქმნის ემერჯენტულ სოციალურ ეფექტს, რესურსს, კაპიტალს, მოტივაციას – შრომით დაკმაყოფილებას, პრესტიჟს საზოგადოებაში და მაღალი შემოსავლების შესაძლებლობას. განსაკუთრებით განმსაზღვრელია მმართველობითი, ძალაუფლებრივი ურთიერთობების დემოკრატიზაციის, საჯაროობის, გამჭვირვალობის, მენეჯმენტის დანერგვა ყველა დონეზე, როდესაც ყველა მუშაკს ეძლევა გადაწყვეტილებათა მიღებაში მონაწილეობის საშუალება.

რაც შეეხება სოციალურ პირობებს, აქ მთავარია ეფექტიანი შემოქმედებითი შრომის პირობების შექმნა ინფორმატიზაციის, ინტერნეტიზაციის, განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის სფეროების უპირატესი განვითარების საფუძველზე. ინტელექტუალური, ინფორმაციული გარემოს ჩამოყალიბება იწვევს ინფორმაციის მონოპოლიური ფლობის მკვეთრად შემცირებას, რაც აჩქარებს ადამიანისეული კა-

პიტალის განვითარებას, დემოკრატიზაციას და საფუძველს აცლის პრივილეგიურ ურთიერთობებს ძალის პოზიციებიდან, მათ შორის ხელისუფლების მხრივ. ცოდნა, ინტელექტი ყველაზე უფრო მაღალ ფასეულობად გვევლინება.

ერთ–ერთი უმთავრესი იმპერატივია განათლების დაჩქარებული განვითარება. ინვესტიციები ადამიანისეულ კაპიტალში, ანუ განათლების სფეროში უკვე დღეს კოლოსალურ მასშტაბებს აღწევს, იმდენივეა, რაც ინვესტიციები გადამმუშავებელ მრეწველობაში, ხოლო საგანმანათლებლო კაპიტალი, რომელიც მატერიალიზებულია სამუშაო ძალაში, უტოლდება სამრეწველო კაპიტალს.

მეორე განმსაზღვრელი იმპერატივია სოციალიზაციის გაღრმავება, რაც პირველი იმპერატივით არის ობიექტურად განპირობებული და გულისხმობს სოციალური სივრცის გლობალიზაციას, ინტეგრაციას. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სოციალური სფეროს განვითარება არის საყოველთაო საზოგადოებრივი დოვლათი და ყველა სუბიექტს ეკისრება პასუხისმგებლობა მის მდგომარეობაზე.

ტრადიციულად, სოციალური სფერო, უპირატესად, ჩაკეტილი სისტემა იყო. მაგრამ გლობალიზაციის კვალობაზე ღრმავდება პოლიტიკის, ეკონომიკის, ტექნოლოგიების, ბუნების სოციალიზაცია. კერძოდ, ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა იწვევს დასაქმებულთა მასობრივ გამოდევნას წარმოებიდან, სამუშაო დროის შემცირებას, რის გამოც მწვავდება უმუშევრობის, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პრობლემა. ობიექტურად წარმოიშობა ახალი იმპერატივი – პოლიტიკის სოციალიზაცია. ეს არის საზოგადოების, ბიზნესის, სახელმწიფო პოლიტიკის ერთიანი ძალისხმევის აუცილებლობა წარმოების მოდერნიზაციის, ახალი ტექნოლოგიების სოციალური მიმართულების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოს წინგამსწრები ტექნოლოგიური და სოციალური პოლიტიკის გასახორციელებლად. ეკონომიკის ცოდნა სხვა სფეროების ცოდნაზე გახდა დამოკიდებული, ხოლო სხვა სფეროების ცოდნა – ეკონომიკის ცოდნაზე. ასეთ პირობებში ძლიერდება ეკონომიკისა და სოცი-

ალური სფეროს ინტეგრაცია: ადამიანი გადაიქცა ეკონომიკური სისტემის განვითარების მთავარ ენდოგენურ ფაქტორად, ხოლო არამატერიალური წარმოება – განათლება, მეცნიერება, კულტურა, მედიცინა, ინფორმაციული და ფინანსური მომსახურება – ეკონომიკის წამყვან სფეროდ. მისი წილი განვითარებული ქვეყნების მთლიან შიდა პროდუქტში 60-70%-ს შეადგენს.

ეკონომიკის სოციალიზაციის იმპერატივი, როგორც მაღალგანვითარებული ადამიანის წარმოებისა და გაფართოებული კვლავწარმოების საფუძველი, დიდად განსაზღვრავს თანამედროვე და მომავლის მეგა-, მაკრო- და მიკროტენდენციებს, წინგამსწრები სტრატეგიის შემუშავებისა და გახორციელების აუცილებლობას ყველა დონეზე. შესაბამისად, წარსულს ჰბარდება ბაზრების, დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის ნეოკონსერვატული თეორიები და პოლიტიკა. წინა პლანზე გამოდის პოლიტიკური და ეკონომიკური ბაზრების ურთიერთმოქმედების პრობლემა. უმუშევართა ზრდა ნიშნავს იმას, რომ საზოგადოება ვერ იყენებს მთავარ ფაქტორს – ადამიანს, მის ინტელექტს, ლოგიკასა და ფანტაზიის უდიდეს შემოქმედებით უნარს წარმოების განვითარებისათვის. ბუნების სოციალიზაციის იმპერატივი კი განაპირობებს ადამიანის, საზოგადოებისა და ბუნების ერთობლივი, დაბალანსებული განვითარების ფასეულობას, როგორც ყველა სხვა დანარჩენ ფასეულობათა შორის უმაღლესს, რომელიც არ დაუშვებს გაუმართლებელ ანტროპოცენტრიზმს, ხოლო, მეორე მხრივ, ბუნების ძალებისადმი მონურ მორჩილებას. ადამიანს უკვე დღეს შეუძლია გარკვეულწილად გადალახოს მრავალი ფიზიკური და სოციალური ზღვარი, შეზღუდულობა, მათ შორის, მრავალი ბუნებრივი რესურსის, სოციალური დროის შეზღუდულობა, მაგრამ მას მაინც აქვს უდიდესი პასუხისმგებლობა, რომ არ დაუშვას ბუნებრივი და საზოგადოებრივი მდგრადობის რღვევა. აქედან კი გამომდინარეობს სხვა უმნიშვნელოვანესი სადღეისო და სამომავლო იმპერატივი – მდგრადი და უსაფრთხო განვითარების აუცილებლობა.

მესამე იმპერატივია სოციალური საბაზრო მეურნეობის განვითარება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საზოგადოების მზარდი მოთხოვნილება მატერიალურ და არამატერიალურ რესურსებზე. მისი მოდელი სხვადასხვანაირია ცალკეული მოთხოვნებისათვის. მაგრამ მისი იმპერატიულობა და გრძელვადიანობა განისაზღვრება იმ უპირატესობებით, რაც მას აქვს - განვითარების განმსაზღვრელ დეტერმინანტებთან შესაბამისობით, დინამიკურობით, მოქნილობით, ღია საზოგადოებისადმი იმანენტურობით. რა არის მთავარი, რომელიც ასეთ იმპერატიულობას ობიექტურად განაპირობებს?

ჯერ ერთი ის, რომ სოციალური საბაზრო მეურნეობა არის ეკონომიკური წესრიგი, სამართლებრივი და ორგანიზებული მექანიზმების ერთობლიობა, რომელსაც ქმნის სახელმწიფო, სამეურნეო სუბიექტების საქმიანობის კოორდინაციის მიზნით. XX საუკუნემ დაადასტურა ასეთი წესრიგის აუცილებლობა. მას ობიექტურად განაპირობებს: ბაზრის ფიასკო, მისი უუნარობა, უზრუნველყოს თანამშრომლობა, კონკურენცია, რაც აძლიერებს მეურნეობაში თვითდაშლის მონოპოლისტური და ეგოისტური მექანიზმების მოქმედებას; განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის, ინფორმაციული უზრუნველყოფის განვითარება მოთხოვნების შესაბამისად. სხვანაირად საზოგადოება ვერ მოახერხებს პოსტმოდერნისტული ცივილიზაციის ჩამოყალიბებას, სადაც წამყვანი ძალა არის არა ეკონომიკური ადამიანი - თავისი ზღვარდაუდებელი მისწრაფებით მატერიალური სიმდიდრისაკენ, არამედ სოციალური, გლობალური ადამიანი, რომელიც მიისწრაფვის ინტელექტუალური სიმდიდრის დაგროვებისაკენ, სულიერი სიწმინდისაკენ.

მეორე, კერძო საკუთრების, თავისუფალი კონკურენციის, ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპები, სახელმწიფოს აქტიური ანტიმონოპოლიური საქმიანობა, რაც ასტიმულირებს შრომის მოტივაციას, სამეწარმეო, ინოვაციურ საქმიანობას.

მესამე, სოციალური სახელმწიფოს ფუნქციონირება, რო-

მელიც კონსტიტუციურად ვალდებულია, იზრუნოს თითოეული მოქალაქის კეთილდღეობისათვის, სოციალური უზრუნველყოფისათვის, თანასწორობის, სოციალური მშვიდობისა და სოციალური წინააღმდეგობის შემსუბუქებისათვის. მაშასადამე, განსხვავებით ტრადიციული ლიბერალური მიდგომისაგან, რომელიც სახელმწიფოს მხოლოდ „ღამის დარაჯის" ფუნქციას აკისრებს, სოციალური სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს თითოეული ადამიანის ღირსეული არსებობა, მისი ეკოლოგიური საფრთხისგან დაცვა.

მეოთხე, სუბსიდიარობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი სუბიექტის, ადამიანის მოვალეობასა და პასუხისმგებლობას, აკეთოს ის, რაც შეუძლია თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების პირობებში. სახელმწიფო მოვალეა, უზრუნველყოს კონკურენტული ურთიერთობები, მაგრამ სხვა სუბიექტებიც ვალდებულნი არიან, აკეთონ ის, რაც შეუძლიათ.

ასეთია სადღეისო და სამომავლო განვითარების განმსაზღვრელი მთავარი სოციალური იმპერატივები. სამწუხაროდ, საქართველო, ჯერჯერობით, ვერ ახერხებს ამ იმპერატივებისადმი ღირსეული პასუხის გაცემას. ეს აშკარაა თუნდაც სიღარიბის იმ მასშტაბებით, რაც დღევანდელი საქართველოსთვის არის დამახასიათებელი. ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის, კრიზისის მთავარი მიზეზია სოციალური სფეროს კრიზისი, მოსახლეობის მოთხოვნის სიმცირე მათი ხელფასების, შემოსავლების სიმწირის გამო. თუ მოსახლეობას არა აქვს შემოსავლები, არ იქნება დანაზოგები, არ იქნება ინვესტიციური კრედიტები, არ იქნება ზრდა. ამიტომ ჩამორჩენილობისა და კრიზისის დასაძლევად აუცილებელია სოციალური პოლიტიკის, შემოსავლების ზრდის, წარმოების ზრდის წინ წამოწევა ქვეყნის როგორც მოკლევადიან, ასევე გრძელვადიან სტრატეგიაში.

ამისათვის მთავარია სოციალური კაპიტალის სრული ამოქმედება, ღია საზოგადოების მშენებლობის დაჩქარება, განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის, კულტურის ინ-

ტენსიური განვითარების მიღწევა, სიღარიბის აღმოფხვრა.

განვითარების სტრატეგიის განმსაზღვრელი, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის სიცოცხლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა გადაიქცეს. უდიდესი მიღწევაა საქართველოში ღია საზოგადოების მშენებლობის დაწყება, მაგრამ ჯერ მხოლოდ ასეთი საზოგადოების საფუძვლები იქმნება. საქართველოს კანონმდებლობა აკმაყოფილებს ევროპის საბჭოს თითქმის ყველა მოთხოვნას ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში. თუმცა, რეალურად ეს უფლებები ხშირად ირღვევა და, ცხადია, რომ უფრო მეტი წინსვლაა საჭირო, მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ დიდი გზა განვლო სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სფეროში. არსებობს თანამედროვე კონსტიტუცია, კარგად ჩამოყალიბებული სამოქალაქო პროცედურების კოდექსი, გაუმჯობესებული სასამართლო სისტემა. ძლიერდება თავისუფალი მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ზემოქმედება პოლიტიკის შემუშავებასა და გახორციელებაზე. ცვლილებებია ჰუმანური განვითარების ინდექსში – ბოლო წლებში საქართველომ 15 საფეხურით გაიუმჯობესა მდგომარეობა და 85-დან 70-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

როგორც ჩანს, სოციალურ სფეროში დადებითი ტენდენციები ნამდვილად არის. მაგრამ მისი განვითარების დაჩქარების პრობლემა მაინც ძალიან მწვავედ დგას. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაშია ჯანმრთელობის, განათლების, მეცნიერების სფეროები, რაც ამ სფეროში მიმდინარე რეფორმების მცირე ეფექტიანობაზე მიუთითებს.

მართალია, ჯანდაცვის განვითარების დონის უნიფიცირებული ინდექსის მიხედვით, საქართველოს არც ისე ცუდი მდგომარეობა აქვს, მაგრამ შემაშფოთებელია მისი დაფინანსების პერმანენტული შემცირება და სიდიდე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) უნიფიცირებული ინდექსი (DALE), რომელიც ჯანდაცვის სისტემის საერთო მდგომარეობას გამოხატავს (სიცოცხლის ხანგრძლივობა, ამოცანების შესრულების დონე, დანახარჯები ერთ სულ მოსახლეზე და ა.შ.), საქართველოში 77,5 შეადგენს და ამ მაჩვენებლით

ცხრილი 77

სიცოცხლის ხარისხის გეოგრაფიული სტრუქტურა 2000 წელს

ქვეყანა	DALE-ს მაჩვენებელი		
	სულ	მამაკაცი	ქალი
იაპონია	74,5	71,9	77,2
სლოვენია	68,4	64,9	71,9
ჩეხეთი	68,0	65,2	70,8
ხორვატია	67,0	63,3	70,6
სომხეთი	66,7	65,0	68,3
სლოვაკეთი	66,6	63,5	69,7
საქართველო	66,3	63,1	69,4
პოლონეთი	66,2	62,3	70,1
იუგოსლავია	66,1	64,2	68,1
ბულგარეთი	64,4	61,2	67,7
უნგრეთი	64,1	60,4	67,9
ლიტვა	64,1	60,4	67,9
აზერბაიჯანი	63,7	60,6	66,7
ესტონეთი	63,1	58,1	68,1
უკრაინა	63,0	58,5	67,5
რუმინეთი	62,3	61,2	63,3
ლატვია	62,2	57,1	67,2
ბელორუსი	61,7	56,2	67,2
მოლდოვა	61,5	58,5	64,5
რუსეთი	61,3	56,1	66,4
უზბეკეთი	60,2	58,0	62,3
ტაჯიკეთი	57,3	55,1	59,4
ყაზახეთი	56,4	51,5	61,2
ყირგიზეთი	56,3	53,4	59,1
თურქმენეთი	54,3	51,9	56,7
სიერალეონე	25,9	25,8	26,0

წყარო: ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO) - იხ. ჰუმანური განვითარების ანგარიში, საქართველო 2000. თბილისი, 2000, გვ. 64.

იგი მსოფლიოში 76-ე ადგილზეა, ხოლო სიცოცხლის ხარისხის, ანუ DALE-ს ინდექსის (სიცოცხლის ხანგრძლივობა - ავადმყოფობის წლები, სიცოცხლის ხანგრძლივობა ჯანმრთელ მდგომარეობაში) მიხედვით, იგი 44-ე ადგილზეა და უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: პოლონეთი, იუგოსლავია, ბულგარეთი, უნგრეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, უკრაინა, რუსეთი და ა.შ.

მაგრამ სიცოცხლის ხარისხის შედარებით კარგი მაჩვენე-

ბელი საქართველოში უფრო მეტად მოქალაქეთა წარსულში ჯანმრთელობის უკეთესი მდგომარეობით აიხსნება. ეს დასკვნა ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების გაუარესების ტენდენციით დასტურდება: დანახარჯები ამ სისტემაზე მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ 1991 წელს 4,2%-ს შეადგენდა, 1992 წელს - 2,4%-ს, 1993 წელს - 2,5%-ს, 1994 წელს - 2,5%-ს, 1995 წელს - 0,9%-ს, 1996 წელს - 0,7%-ს, 1997 წელს - 0,8%-ს, 1998 წელს - 0,7%-ს, 1999 წელს - 0,59%-ს. ბუნებრივია, რომ სახეზეა საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მდგომარეობის შემდგომი გაუარესება და მისი ნგრევა. ნიშანდობლივია, რომ საქართველო საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებს შორის საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით, შედარებით დაბალი შემოსავლების ქვეყნების ჯგუფში მოხვდა. ჯანდაცვის სფეროში სახელმწიფო დანახარჯების მოცულობის მიხედვით კი, მნიშვნელოვნად ჩამორჩება მცირე და საშუალოდ დაბალი შემოსავლების ქვეყნებს, მათ შორის ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებსაც. ეს მაჩვენებელი მშპ-ის მიხედვით, საქართველოში არის 0,6%, მცირე შემოსავლების ქვეყნებში - 1,0, აღმოსავლეთ ევროპაში - 3,9, ჩრდილოეთ აფრიკაში - 2,3, ლათინურ ამერიკაში - 2,6, სხვა საშუალო შემოსავლების ქვეყნებში - 2,2, საშუალო შემოსავლების მდიდარ ქვეყნებში - 3,0, მაღალი შემოსავლების ქვეყნებში - 6,0%.[114]

აქედან ჩანს, თუ რარდენ მძიმე მდგომარეობაა საქართველოს ჯანდაცვის სფეროში და რა დიდი ძალისხმევაა საჭირო მისი გამოსწორებისათვის. აუცილებელია კერძო სექტორის აქტიური მონაწილეობა ამ სფეროს გაჯანსაღებაში, მაგრამ, როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, ეს საკმარისი არაა. საჭიროა სახელმწიფო დაფინანსების განუხრელად გადიდება, რაც მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტისა და მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის ზრდის კვალობაზეა შესაძლებელი. აუცილებელია, სადაზღვევო მედიცინის სწრაფად განვითარება, თუმცა დღეს სახელმწიფო სა-

---

[114] ჰუმანური განვითარების ანგარიში, საქართველო 2000, გვ. 66-69.

მედიცინო სადაზღვევო კომპანიის შესაძლებლობები მიზერულია. საქართველოს მოსახლეობა, ფაქტობრივად, თვითონ, საკუთარი ბიუჯეტიდან ფარავს ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, საქართველოს ოჯახების მხოლოდ 75% ჯანდაცვაზე 10 ლარზე ნაკლებს ხარჯავს, ანუ ერთ სულ მოსახლეზე ეს თანხა შეადგენს 3 ლარს. ოჯახების 15% იხდის 11-20 ლარამდე, 3% - 41-60 ლარამდე, 1% - 61-100 ლარამდე. მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ფარავს საჭირო სამედიცინო მომსახურების ხარჯების 8%-ს, 2,5% - საერთო დანახარჯების 40%-ს. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მხოლოდ უკიდურესი საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამედიცინო დაწესებულებას, ექიმს.

მართალია, ჯანდაცვის სფეროში რეფორმა მიმდინარეობს, ხორციელდება მისი ოპტიმიზაციის, კონსოლიდაციის, პრივატიზების ღონისძიებები, მაგრამ სათანადო დაფინანსების გარეშე იგი შედეგს ვერ მოიტანს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კრიტერიუმის მიხედვით, ჯანდაცვის მიერ თავისი ფუნქციების ნორმალურად შესრულებისთვის, სახელმწიფო ხარჯები ამ მიზნით ერთ სულ მოსახლეზე 60 აშშ დოლარზე მცირე არ უნდა იყოს. სინამდვილეში, საქართველოში ეს თანხა 7 აშშ დოლარს შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯანდაცვის ყოველწლიური სახელმწიფო დაფინანსების სიდიდე, დაახლოებით, 300 მლნ. დოლარია, ანუ 600 მლნ. ლარის ფარგლებშია. საქართველოს განვითარების სტრატეგია, მისი მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა ისეთნაირად უნდა აიგოს, რომ ქვეყანამ ამ უმნიშვნელოვანეს ზღვრულ კრიტერიუმს რაც შეიძლება ხანმოკლე პერიოდში მიაღწიოს.

რაც შეეხება განათლების დონეს, ამ მაჩვენებლით საქართველომ უკვე მიაღწია მაღალი ჰუმანური განვითარების ქვეყნების დონეს. იგი წინ უსწრებს სინგაპურს (0,86), ჰონგკონგს (0,83), ლუქსემბურგს (0,89) და მხოლოდ მცირედით ჩამოუვარდება უნგრეთს (0,91), საბერძნეთს (0,91), ისრაელს (0,91), პოლონეთს (0,92), შვეიცარიას (0,93), ავსტრიას (0,95).

ცხრილი 78

ადამიანის პოტენციალის განვითარებისა და განათლების დონის ინდექსები 1998 წელს

რანგი	ქვეყნის რეიტინგი ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსის მიხედვით პარიტეტის მიხედვით	სიცოცხლის ხანგრძლივობა, წელი	მოსახლეობის მიერ წერა-კითხვის ცოდნა, %-ში, 15 წლის ზემოთ უნარიანობის	რეალური მშპ ერთ სულ მოსახლეზე აშშ დოლარებში მყიდველობითი	განათლების დონის ინდექსი	ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი
ა.	ქვეყნები ადამიანის პოტენციალის განვითარების მაღალი დონით	77,0	98,5	21799	0,96	0,98
1	კანადა	79,0	98,5	23582	0,99	0,935
2	ნორვეგია	78,3	99,0	26342	0,98	0,934
3	აშშ	76,8	99,0	29605	0,97	0,929
ბ.	ქვეყნები ადამიანის პოტენციალის განვითარების საშუალო დონით	66,9	76,9	3458	0,73	0,673
62	რუსეთი	66,7	99,5	6460	0,92	0,771
70	საქართველო	72,9	99,0	3353	0,90	0,762
78	უკრაინა	69,1	99,6	3194	0,92	0,744
90	აზერბაიჯანი	70,1	99,0	2175	0,90	0,722
93	სომხეთი	70,7	98,2	2072	0,90	0,721
გ.	ქვეყნები ადამიანის პოტენციალის განვითარების დაბალი დონით	63,4	48,8	994	0,45	0,421
დ.	მსოფლიო სულ	50,9	78,8	6526	0,74	0,712

წყარო: Доклад о развитии человека за 2000 год, გვ.157-160.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, განათლების განვითარების დონე საქართველოში მაინც არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. განათლების სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა, ინფორმატიზაციისა და ინტერნეტიზაციის დონე ძალიან დაბალია, სპეციალისტების ცოდნის ხარისხი, კვალიფიკაციის დონე ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებში არსებულ დონეს. იგივე უნდა ითქვას განათლების სისტემაში მომუშავე პროფესორ-მასწავლებლების გარკვეული ნაწილის შესახებაც. ასეთი ვითარება კი გამოწვეულია, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს განათლების სისტემის საოცრად მწირი დაფინანსებით. ანალიზი გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო დანახარჯები განათლებაში მშპ-ის მიმართ საქართველოში 1999 წელს შეადგენდა 2,4%-ს, მცირე შემოსავლების ქვეყნებში - 3,9%-ს, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში -5,3%-ს, ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში - 5,2%-ს, ლათინური ამერიკის ქვეყნებში - 3,6%-ს, სხვა საშუალო შემოსავლების ქვეყნებში - 4,8%-ს, საშუალო შემოსავლების მდიდარ ქვეყნებში - 5,0%-ს, მაღალი შემოსავლების ქვეყნებში - 5,4%-ს.

მაშასადამე, ამ მაჩვენებლით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება არა მარტო მაღალი და საშუალო შემოსავლების ქვეყნებს, არამედ მცირე შემოსავლების ქვეყნებსაც. ეს იმაზე მიუთითებს, რომ განათლებაზე სახელმწიფო დანახარჯები არ არის უშუალოდ ქვეყნის შემოსავლების სიდიდეზე დამოკიდებული. იგი უფრო მეტად სხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული, მათ შორის, პირველ რიგში, სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტებზე. ღარიბი ქვეყნების დიდ ნაწილში ასეთი პრიორიტეტები რეალობაა და იქ განათლებაზე სახელმწიფო დაფინანსების წილი მშპ-ის მიმართ მნიშვნელოვნად უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში.

ამასთან, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო სახსრების გამოყოფა განათლების სისტემაზე აბსოლუტური მოცულობით ბოლო წლებში მცირდება: 1995 წელს მან შეადგინა 24 მლნ. აშშ დოლარი, 1996 წელს - 15,0 მლნ., 1997 წელს - 34,0 მლნ., 1998 წელს - 22,0 მლნ., ხოლო 1999 წელს

– 15 მლნ. აშშ დოლარი. სამაგიეროდ, იზრდება მოსახლეობის ხარჯები. ირკვევა, რომ ოჯახი განათლებაზე საშუალოდ 34,77 ლარს ხარჯავს თვეში. ეს საარსებო მინიმუმის თითქმის მესამედია, მაშინ, როდესაც მოსახლეობის ნახევარზე მეტი სიღარიბის ზღვარზე დაბლაა. აქედან ჩანს, თუ რაოდენ მძიმე ტვირთია ოჯახების დიდი უმრავლესობისათვის განათლებაზე გაწეული ხარჯები.

არსებული ვითარება ხელისუფლებას გაცნობიერებული აქვს. ახალი **კანონი „განათლების შესახებ“**, 1997 წელს მიიღეს. რეფორმა განათლების სფეროში მოწოდებულია არა მარტო საბოლოოდ დაანგრიოს კორუფციის მანკიერი სისტემა, არამედ შექმნას სათანადო პირობები ყველა მოქალაქისთვის, შესაფერისი ცოდნის მისაღებად. კერძო სექტორი განათლების სფეროში უდავოდ უნდა განვითარდეს. მაგრამ იგი ვერ უზრუნველყოფს საყოველთაო ან საკმარის განათლებას დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობისათვის. შემთხვევითი როდია, რომ მრავალ ქვეყანაში უკვე მიღებულია კანონი საყოველთაო უმაღლესი განათლების შემოღებისა და გახორციელების თაობაზე, რაშიც სახელმწიფო გადამწყვეტ როლს ასრულებს. ამას ინფორმაციული საზოგადოება, ადამიანისეული კაპიტალის სრულად გამოყენების ობიექტური აუცილებლობა მოითხოვს. საქართველოს გრძელვადიანი სტრატეგიაც ამ მოთხოვნის რეალიზაციას უნდა ითვალისწინებდეს.

თანამედროვე საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური სტრატეგიის ყველა პრობლემა სიღარიბის დაძლევის ისტორიულ ამოცანაში აისახება. ამისათვის შემუშავებულია ეროვნული პროგრამის შუალედური დოკუმენტი. პროგრამის საბოლოო ვარიანტი 2001 წლის ბოლოს დასრულდება. იგი სსფ-ისა და მსოფლიო ბანკის ფინანსური დახმარებით გახორციელდება. „სავსებით ნათელია, – აღნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი ე. შევარდნაძე, – რომ შეუძლებელია ქვეყანაში სიღარიბის დაძლევა, თუ მას არ ექნება მყარი ეკონომიკური საფუძველი, თუ არ გატარდება შესაბამისი ეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმები. საჭიროა კომ-

პლექსური ღონისძიებების გატარება, რათა მოხდეს მთლიანად ეკონომიკური ზრდის სტიმულირება. ეს პროგრამა გახლავთ მთავრობის სტრატეგიული განაცხადი ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანასა და სამომავლო მოქმედებაზე".[115]

პროგრამა გათვლილია მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან პერიოდებზე. მისი წარმატებული გახორციელების შედეგად, უნდა მიაღწიონ მდგრად და სწრაფ ეკონომიკურ ზრდას. იგი გულისხმობს: სიღარიბის განსაზღვრის, მაკროეკონომიკური ვითარების, სტრუქტურული გარდაქმნებისა და საინვესტიციო გარემოს შეფასებას, სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის სტრატეგიული ღონისძიებების დასახვას.

კერძოდ, განსაზღვრულია შემდეგი ძირითადი სტრატეგიული ამოცანები:

1. სოციალურ სფეროში – სიღარიბის დაძლევა და უკიდურესი სიღატაკის აღმოფხვრა უნდა მოხდეს, პირველ რიგში, დასაქმების ეფექტიანი პოლიტიკით, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების სისტემის შექმნით, სოციალური დაზღვევის მექანიზმების ფართოდ დამკვიდრებით. საპენსიო სისტემაში რეფორმის გატარებასთან ერთად, გათვალისწინებულია პენსიების უწყვეტად გაცემის უზრუნველყოფა და გასული წლების განმავლობაში დაგროვილი დავალიანებების თანამიმდევრულად გასტუმრება 2003 წლის ბოლომდე. უმუშევრობის დონის შემცირება 7-8%-მდე;

2. მაკროეკონომიკური პოლიტიკის სფეროში – 2001-2003 წლებში მშპ-ის ზრდა, საშუალოდ, წელიწადში 4-5%-ით; ინფლაციის შემცირება 4%-მდე; არსებული საბიუჯეტო დავალიანების დაფარვა და ახლის წარმოშობის დაუშვებლობა; სპეციალური შემოსავლებისა და ხარჯების ბიუჯეტში აღრიცხვა და შეტანა; ბიუჯეტის უპირატესად პროგრამული დაფინანსების სისტემაზე გადასვლა; საგადასახადო

---

[115] საქართველოში სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის ეროვნული პროგრამის შუალედური დოკუმენტი. მთავრობის განაცხადი. თბილისი, 2001, გვ. 14.

და საბაჟო რეფორმების დამთავრება; მსო-ს წინაშე აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით საბაჟო პოლიტიკის გადახედვა; ბანკების კაპიტალიზაციის დონის ამაღლება; მშპ-ში სოციალური ინვესტიციების წილის გადიდება 1999 წელს 2,3%-დან 2003 წელს - 3,8%-მდე;

3. რეალური სექტორის განვითარების სფეროში: მშპ-ში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილის ორჯერ შემცირება: სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპის გადიდება 2003 წელს 14%-ის ფარგლებში; გადამმუშავებელი დარგების წილის ამაღლება ექსპორტში 20 პროცენტული პუნქტით; საგარეო სავაჭრო დეფიციტის ორჯერ შემცირება 2003 წლისთვის; გაჩერებულ სამრეწველო საწარმოთა რიცხვის ორჯერ შემცირება 2003 წლისთვის; მცირე ბიზნესის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობის გადიდება 485 მლნ. ლარამდე 2003 წელს; საწარმოთა რესტრუქტურიზაციის დაჩქარება და ხელშეწყობა; ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის სრული მასშტაბით ფუნქციონირების უზრუნველყოფა; კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში პროდუქციის ზრდის ტემპის ამაღლება 15%-მდე; სათბობ-ენერგეტიკული პროდუქციის გამოშვების ზრდის ტემპის ამაღლება 18%-მდე; მშენებლობის პროდუქციის ზრდის ტემპის ამაღლება 20%-მდე, საბინაო მშენებლობაში - 26%-მდე; ტურისტთა წლიური რაოდენობის გადიდება 800 ათას კაცამდე; სოფლის მეურნეობის წარმოების ზრდა ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, გადამმუშავებელი საწარმოების, მიწის მართვის განვითარებით, მიწის ნაყოფიერების ამაღლებით, სოფლად ფულად-საკრედიტო ურთიერთობების გაფართოებით, იჯარით გაცემული მიწების პრივატიზების გახორციელებით, მიწის წვრილ მესაკუთრეთა კოოპერირება, მიწების კონსოლიდაციისათვის ხელშეწყობით; გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა-გაუმჯობესება; მსოფლიო ბანკის ეგიდით შემუშავებული „საქართველოს სატყეო დარგის განვითარების პროექტის“ ამოქმედება; ხე-ტყის გადამუშავებისა და საავეჯო მრეწველობის დარგების განვითარება; მიზნობრივ-სპეციალიზებული პლან-

ტაციების გაშენება;

4. მმართველობის, სახელმწიფო ადმინისტრაციის რეფორმისა და კორუფციასთან ბრძოლის სფეროში: მაკონტროლებელი ორგანოების ოპტიმიზაცია; ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის გამჭვირვალე მექანიზმის დანერგვა; საგადასახადო განაკვეთების ლიბერალიზაცია და ადმინისტრირების გამკაცრება; ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციის პროგრამის ღონისძიებათა განხორციელება; სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის ამაღლება; სამართალდამცავი სისტემის სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმა; მართლმსაჯულების სისტემის სრულყოფა.

ბუნებრივია, სიღარიბის დაძლევა უახლოეს სამ წელიწადში არ მოხერხდება. პროგრამა მომავალშიც გაგრძელდება. მაგრამ ნიშანდობლივია, რომ იგი სახელმწიფოს განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად გადაიქცა. ეს რეფორმისა და ტრანსფორმაციული პროცესების სტრატეგიაში კარდინალურ ცვლილებებზე მიუთითებს. **საქართველოს აქვს ყველა რესურსი, რომ არა მარტო დასძლიოს სიღარიბე, არამედ ერთ-ერთ განვითარებულ ქვეყნად გადაიქცეს. განვითარების ახალი სტრატეგიის ფუძემდებლური მიზანი სწორედ ამ ამოცანის რეალიზაციაა.**

11.4. საქართველოს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური დილემა: ევროპის კავშირში გაერთიანება

საქართველოს განვითარების ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფუძემდებლური პრობლემაა მსოფლიო ცივილიზაციაში, მეურნეობაში თანასწორუფლებიანი და ღირსეული ადგილის დამკვიდრება. თავისი ისტორიით, კულტურით, შესაძლებლობებით მას სამართლიანად ეკუთვნის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი მსოფლიო თანამეგობრობაში. ამისათვის კი აუცილებელია მისი თანამედროვე გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა, რაც შემდეგი ძირითადი თავისებურებებით გამოიხატება:

პირველი. სამწუხაროდ, საქართველო დღემდე უპირატესად გეოსტრატეგიული სივრცის ობიექტია და არა სუბიექტი, ანუ სხვა ძლიერი სახელმწიფოების გეოსტრატეგიული ექსპანსიის ობიექტია. ამას ადასტურებს, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს სივრცობრივი სტრუქტურის შეკუმშვის ტენდენცია. კერძოდ, იკუმშება ტერიტორიული სივრცე. წინა საუკუნეებს რომ თავი დავანებოთ, ამჟამად აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაკარგვის რეალური საფრთხე არსებობს. იკუმშება ეკონომიკური სივრცე, რადგანაც იზრდება საქართველოში სხვა სახელმწიფოების „მეორე ეკონომიკის" ფუნქციონირების მასშტაბები, მაშინ, როდესაც ჩვენ საზღვარგარეთ „ეკონომიკა" თითქმის არა გვაქვს. მართალია, მეორე ეკონომიკის ზრდა გლობალიზაციასთან დაკავშირებით, ობიექტური პროცესია, თვითონ განვითარებულ ქვეყნებში სხვა სახელმწიფოთა „მეორე ეკონომიკების" გაფართოება სახეზეა, მაგრამ გარკვეულ ზღვრამდე. **არც ერთი მათგანი არ უშვებს, რომ სხვა სახელმწიფოთა „მეორე ეკონომიკამ" სამამულო საკუთრებაში არსებული ეკონომიკის მასშტაბებს გადაჭარბოს.** ამიტომ საქართველოშიც ეს პროცესი მუდმივი და ეფექტიანი სახელმწიფოებრივი კონტროლის საგანი უნდა იყოს. იგივე შეიძლება ითქვას ეროვნული, ინტელექტუალური, კულტურული სივრცეების შესახებ;

მეორე: საქართველოს ადგილი გეოსტრატეგიულ სივრცეში დღემდე მხოლოდ მისი გეოპოლიტიკური უპირატესობით განისაზღვრება, რაც ძირითადად მისი ბუნებრივი უპირატესობით, ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარეობით არის გამოწვეული. საქართველო ყალიბდება როგორც ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ხიდი საკომუნიკაციო-სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციით, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და შემოსავლიანი ფუნქციაა. მაგრამ მაინც ღირსეულ ადგილს მსოფლიო ცივილიზაციაში საშუამავლო ფუნქციითა და ბუნებრივი უპირატესობით საქართველო ვერ დაიკავებს. ამ ფუნქციით, იგი ვერასოდეს გახდება გეოსტრატეგიული სივრცის სუბიექტი, რადგანაც დღეს გადამწყვეტია გეოეკონომიკური და გეოინტელექტუალური უპირატესობა და არა ბუ-

ნებრივი უპირატესობა;

მესამე, საქართველო თავისი შედარებითი ჩამორჩენილობის გამო, ძალიან სუსტ მონაწილეობას იღებს მსოფლიო შემოსავლებისა და მოგების განაწილებაში. პირიქით, იგი აქტიურად მონაწილეობს მის შექმნაში უპირატესად თავისი საკომუნიკაციო-სატრანსპორტო ფუნქციითა და საგადასახდელო ბალანსის მნიშვნელოვანი უარყოფითი სალდოთი.

ასეთი ვითარება ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით არის გამოწვეული. ობიექტურიდან აღსანიშნავია მისი განვითარების დონის საერთო ჩამორჩენილობა დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, რომლებიც გეოსტრატეგიის აქტიურ სუბიექტებად გვევლინებიან. განსაკუთრებით ხაზგასასმელია საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენილობა, რაც სხვა სფეროებში ჩამორჩენილობას დიდად განაპირობებს. სუბიექტური მიზეზებიდან უნდა დავასახელოთ გეოსტრატეგიული აზროვნებისა და პოლიტიკის ჩამორჩენილობა. **სამწუხაროდ, საქართველოს გეოსტრატეგიულ სუბიექტად გადაქცევა, ჯერჯერობით, არ არის სახელმწიფოებრივი და პროგრამული მართვის რანგში აყვანილი.**

აქედან ჩანს, რომ საქართველოს ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა მისი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური დილემის გადაწყვეტა. მისი არსია ის, რომ, ერთი მხრივ, საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, კავკასიისა და ცენტრალური აზიის სხვა სახელმწიფოებთან ერთად, XXI საუკუნეში ძალიან მაღლდება, რის გამოც იგი აშშ-ის, ევროკავშირის, რუსეთის, თურქეთის, ირანის, ჩინეთის სტრატეგიული ინტერესების ცენტრალურ ზონაშია მოქცეული და საქართველოს არ შეუძლია აშკარად მიემხროს რომელიმე მათგანს, ხოლო მეორე მხრივ, ჩვენი ქვეყნის ეროვნული ინტერესები მოითხოვს, მისი გეოსტრატეგიის აქტიურ სუბიექტად გადაქცევას, ანუ აქტიურ მონაწილეობას მსოფლიო მოგების, შემოსავლების განაწილებაში.

როგორ შეიძლება ამ დილემის გადაწყვეტა?

ამისათვის აუცილებელია შემდეგი სტრატეგიული პროექტების განხორციელება:

პირველი – საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების დაჩქარება, მისი ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება, რაც რეალურ საფუძველს შექმნის ეროვნული სივრცის გაფართოებისათვის, მრავალრიცხოვანი საზღვარგარეთელი ქართველის საქართველოში იდენტიფიკაციისათვის. საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის, ეროვნული თავისებურებების, კულტურის გადარჩენა და განვითარება მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის დაჩქარებითაა შესაძლებელი.

მაგრამ, ეს ადვილად გადასაწყვეტი ამოცანა არ არის. ცხრილიდან ჩანს, რომ განვითარებული ქვეყნები ბოლო წლებში მშპ–ის ზრდის ტემპის დაჩქარებით ხასიათდებიან. გამონაკლისია იაპონია, თუმცა ბოლო პერიოდში აქაც სტრატეგიული გარდაქმნების ინტენსიფიკაცია ძლიერდება, რაც მისი

ცხრილი 79

მშპ–ის ზრდის ტემპი განვითარებულ ქვეყნებში, %–ში

ქვეყნები	1996	1997	1998	1999	2000
აშშ	3,6	4,4	4,4	4,2	5,0
იაპონია	3,3	1,9	-1,1	0,8	1,7
ევროპის ეკონომიკური და სავალუტო კავშირი	1,4	2,3	2,7	2,5	3,4
გერმანია	0,8	1,5	1,8	1,4	3,1
საფრანგეთი	1,0	1,9	3,3	3,2	3,2
იტალია	1,1	1,8	1,6	1,5	2,9
დიდი ბრიტანეთი	2,6	3,5	2,6	2,3	3,0
კანადა	1,5	4,4	3,3	4,5	4,7

წყარო: Деньги и кредит, 2001, N4, გვ. 46.

განვითარების ტემპსაც დააჩქარებს. სახეზეა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაც, მათ შორის ლათინური ამერიკის რეგიონში, ჩინეთში, ინდოეთში, ახალი ინდუსტრიული ქვეყნების ჯგუფში. აქედან ჩანს, რომ განვითარების დაჩქარება საქართველოსთვისაც ერთ-ერთი ყველაზე უფრო პრიორიტეტული ამოცანაა;

კაპიტალის სტრუქტურული ტრანსფორმაცია დასავლეთის ქვეყნებსა და იაპონიაში, %-ში

კაპიტალი \ წლები	1800	1860	1913	1950	1973	1997/1998
ფიზიკური კაპიტალი	78-80	77-79	67-69	52-53	43-44	31-33
ადამიანური კაპიტალი	20-22	21-23	31-33	46-48	56-57	67-69

წყარო: ჟ. "МЭ и МО", М.,2001, №2, გვ. 4.

მეორე – ქვეყნის ტექნოლოგიური უპირატესობების უზრუნველყოფა, მსოფლიო თანამეგობრობაში მისი მეცნიერულ-ტექნოლოგიური და არა საშუამავლო ფუნქციით დამკვიდრება. ცხადია, აქ არ იგულისხმება ყველა სფეროში უპირატესობის მოპოვება. ამას წამყვანი ქვეყნებიც ვერ ახერხებენ. იგულისხმება ცალკეულ სფეროში ტექნოლოგიური უპირატესობის მოპოვება, მსოფლიო ბაზარზე ცალკეული პროდუქციის მიხედვით საკუთარი სეგმენტის ფლობა.

მაგრამ აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოში ნეოეკონომიკის დამკვიდრებით, განათლების, მეცნიერების, ინფორმატიზაციის, ინტერნეტიზაციის მაღალი განვითარებით, რაც, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ერთობლივი კაპიტალის სტრუქტურაში კარდინალური ძვრებით გამოიხატება. ცხრილიდან ჩანს, რომ განვითარებული ქვეყნების ერთობლივ კაპიტალში ამჟამად ფიზიკური კაპიტალი მხოლოდ ერთ მესამედს შეადგენს, ორი მესამედი კი, ადამიანისეული კაპიტალია. ახალი ეკონომიკის სხვა თავისებურებაა ეკონომიკურ აგენტებს შორის ურთიერთობების უპირატესად ელექტრონული კომუნიკაციების დახმარებით განხორციელება, რაც მკვეთრად ამცირებს მატერიალურ და ფინანსურ დანახარჯებს, აგრეთვე, შრომის მწარმოებლურობის ზრდის მაღალი ტემპები ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენების საფუძველზე. საქართველო ამ პროცესებს არ უნდა ჩამორჩეს. ამიტომ აუცილებელია ინტე-

რნეტიზაციის, ელექტრონული კომუნიკაციების, ელექტრონული კომერციის, ელექტრონული ფულის ტექნოლოგიების გაფართოების მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და განხორციელება. სხვაგვარად, საქართველო ყოველთვის მსოფლიო მეურნეობის პერიფერიაზე დარჩება;

მესამე – საქართველოს ევროპის კავშირში გაერთიანება, რაც მოხსნის მრავალ პრობლემას – დიდ სახელმწიფოებთან ურთიერთობების, ნეიტრალიტეტის, მდგრადი და უსაფრთხო განვითარების და ა.შ.

ამისათვის აუცილებელია, საქართველოს ევროპის კავშირში გაწევრიანების გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამის შესრულება, საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგიული პროგრამის ჩარჩოებში. ასეთ მიზნობრივ პროგრამაში უნდა აისახოს მაასტრიხტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პარამეტრის ეტაპობრივი რეალიზაცია.

ამ პარამეტრებიდან მთავარია:

– საქართველოში სამოქალაქო და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება;

– ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის უზრუნველყოფა დაახლოებით 10–12 ათასი დოლარის ფარგლებში;

– ერთნიშნა ინფლაციის დონის შენარჩუნება;

– ბიუჯეტის დეფიციტი არა უმეტეს 3%-ისა, მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში;

– უმუშევრობის დონის შენარჩუნება დაახლოებით 10%-ის ფარგლებში.

ასეთი სტრატეგიული ამოცანის შემუშავება სრულებითაც არ ნიშნავს, რომ საქართველომ არ უნდა ითანამშრომლოს დსთ-ის ქვეყნებთან, რუსეთთან. პირიქით, საქართველომ აქტიურად უნდა ითანამშრომლოს აშშ-თან, დსთ-ის ქვეყნებთან, ევროპის სახელმწიფოებთან, თურქეთთან, ჩინეთთან და ა.შ. მაგრამ, აქ მთავარია გავარკვიოთ საქართველოს ყველაზე უფრო მთავარი სტრატეგიული ინტერესები. საქმე ის არის, რომ რუსეთი თვითონ მიისწრაფვის მჭიდრო ურთიერთობებისაკენ დასავლეთთან, თუმცა, ეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზის მიხედვით იგი უახლოეს ათწლეულებში ვერ მო-

ცხრილი 81

რუსეთის ფედერაციის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების პროგნოზი

ქვეყნები	მშპ		სამრეწველო წარმოება		შრომის მწარმოებლურობა მრეწველობაში	
	1998	2015	1998	2015	1998	2015
რუსეთი აშშ-ის მიმართ	7,5	10,8	8,2	15,8	12,0	23,9
რუსეთი გერმანიის მიმართ	32,5	48,2	36,0	71,6	18,0	35,8
რუსეთი საფრანგეთის მიმართ	44,5	67,0	61,0	134,1	16,0	34,6
რუსეთი დიდი ბრიტანეთის მიმართ	47,5	72,7	73,0	163,2	23,0	50,6

წყარო: ე. „МЭ и МО", 2000, №5, გვ. 82.

ახდენს რაიმე სერიოზულ გავლენას მსოფლიო ბაზრის განვითარებაზე, მაშინ, როდესაც აშშ-ის, ევროპის კავშირის, ჩინეთის, იაპონიის ზემოქმედება, პირიქით, გაძლიერდება[116].

ცხრილიდან ჩანს, რომ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში რუსეთი, უპირატესად, საკუთარი პრობლემების მოგვარებით იქნება დაკავებული, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების რესურსები ძალზე შეზღუდულია, მაშინ, როდესაც დასავლეთის ქვეყნებისათვის ასეთი პრობლემა არ აღინიშნება. მათთვის მთავარია, რომ პარტნიორი, ამ შემთხვევაში საქართველო ინსტიტუციურად, სტრუქტურულ-ტექნოლოგიურად, კულტურულად და მოსახლეობის ცხოვრების დონით მათთან არსებულ პირობებთან თავსებადი იყოს.

მსოფლიო განვითარების ტენდენციების გათვალისწინებით რეალურად შეიძლება არსებობდეს საქართველოს განვითარების შემდეგი სცენარები:

პესიმისტური სცენარი: არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ტენდენციების გაგრძელება, კრიზისიდან ნელა გამოსვლა. ასეთ შემთხვევაში ქვეყნის ჩამორ-

[116] იხ. **ჯ.კახნიაშვილი.** მაკროეკონომიკა, თეორია და პოლიტიკა, თბ. 1997 წელი.

ჩენილობა ქრონიკულ ხასიათს მიიღებს, გაგრძელდება. ამიტომ შესაძლებელია ტერიტორიული მთლიანობის რღვევა. საზღვარგარეთული ინვესტიციების შემოსვლა უმნიშვნელო იქნება. საქართველო ყველაზე სუსტი რგოლი იქნება კავკასიის სისტემაში და ის გარეშე ძალების ზემოქმედებით შეასრულებს სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციას. გაგრძელდება სამუშაო ძალის გასვლა ქვეყნიდან. დაბალი შობადობის ფონზე, ეს კიდევ უფრო გააუარესებს დემოგრაფიულ სიტუაციას;

საშუალო სცენარი: კრიზისიდან სწრაფი გამოსვლა, შრომის მწარმოებლურობის უფრო მაღალი ტემპით ზრდა (ვიდრე საშუალოდ, დასავლეთის ქვეყნებში), სტრუქტურული ძვრების, განათლების, მეცნიერების, ინფორმაციული სექტორის განვითარების დაჩქარების, საზღვარგარეთული ინვესტიციების ფართოდ მოზიდვის საფუძველზე. საქართველო ცხოვრების დონით, ხარისხით ერთ-ერთი ძლიერი რგოლი იქნება კავკასიის სისტემაში, ხოლო მისი კონკურენტუული უპირატესობანი განისაზღვრება არა მხოლოდ გეოპოლიტიკური ფაქტორებით, არამედ უპირატესობით განათლების, მეცნიერების, ტექნოლოგიების სფეროში;

ოპტიმისტური სცენარი: კრიზისიდან ძალიან სწრაფი გამოსვლა, უცხოური ინვესტიციების ძალიან სწრაფი და მასშტაბური შემოსვლა საქართველოში, რაც ჩამორჩენილობის დაძლევის უფრო სწრაფ ტემპს განაპირობებს, ვიდრე მეორე სცენარის მიხედვითაა გათვალისწინებული. საქართველო იქნება ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო კავკასიაში მაღალი ცხოვრების ხარისხით, მოიზიდავს უცხოურ ინვესტიციებს. მისი როლი მსოფლიოში უფრო მაღალი იქნება, ვიდრე საშუალო სცენარის მიხედვით.

საქართველოს ეროვნულ ინტერესებს უფრო მეტად, რეალურად შეესაბამება საშუალო სცენარი, რადგანაც იგი გულისხმობს იმავე შედეგების მიღწევას, რასაც ოპტიმისტური ვარიანტი, მაგრამ შედარებით უფრო ხანგრძლივ პერიოდში. სამაგიეროდ, საშუალო ვარიანტი გულისხმობს საზღვარგარეთული კაპიტალის შედარებით უფრო ზომიერ და

მიზანშეწონილ მოზიდვას და ეროვნული კაპიტალის განვითარებისათვის პირობების უზრუნველყოფას. ამ უპირატესობის გამო, იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც ეროვნული განვითარების სცენარი. საქართველომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოახერხოს პოსტინდუსტრიული საზოგადოების დამკვიდრება და გადაინაცვლოს განვითარებული ქვეყნების ჯგუფში. წინასწარი გათვლების მიხედვით, საქართველოს შეუძლია უახლოეს 15-20 წელიწადში მაასტრიხტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პარამეტრის მიღწევა და ევროპის კავშირში გაწევრიანება. მეცნიერულ-ტექნოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძალიან მაღალი ტემპის უზრუნველყოფის შემთხვევაში, ამ პერიოდის შემცირებაც შეიძლება. მსოფლიოში მრავლადაა იმის მაგალითი, როდესაც ორი-სამი ათეული წლის განმავლობაში ქვეყანა განვითარების ძალიან მაღალ ტემპს უჩვენებს. ეს რეალური ამოცანაა სწორი სტრატეგიისა და პოლიტიკის გახორციელების შემთხვევაში.

ამ ამოცანის გადაწყვეტა უნდა აისახოს საქართველოს მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამაში მისი ძირითადი ეტაპებით: პირველი ეტაპი (2001-2005 წლები) - ეკონომიკური განვითარების წანამძღვრების შექმნა; მეორე ეტაპი (2006-2010 წლები) - ნეოეკონომიკის საფუძვლების მომზადება; მესამე ეტაპი (2011-2015 წლები) - ნეოეკონომიკის ჩამოყალიბების ინტენსიფიკაცია, ევროპის კავშირში გაწევრიანება, განვითარებული ქვეყნების ჯგუფში გადასვლა.

საქართველოს როლი XXI საუკუნის მსოფლიოში იქნება ერთ-ერთი გამორჩეული, თუ იგი თავის შესაძლებლობებს ეფექტიანად გამოიყენებს. ამისათვის კი აუცილებელია საქართველომ განახორციელოს აქტიური წინგამსწრები სტრატეგია, რომლის არსია: სახელმწიფოს როლის ამაღლება, სოციალური პასუხისმგებლობისა და ფინანსური დისციპლინის თავსებადობა, მდგრად პოსტინდუსტრიულ განვითარებაზე გადასვლა და ევროკავშირში გაწევრიანება.

დასკვნა

მეოცე საუკუნის დასასრული საქართველოს ისტორიაში უდიდესი შემობრუნების პერიოდად ჩაეწერა. თავისუფალი საქართველო საერთაშორისო თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი გახდა. იწყება სრულიად ახალი საქართველოს გენეზისი. მანამდე, ორი საუკუნის განმავლობაში, იგი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო, რომელიც საკმაოდ დიდხანს საბჭოთა კავშირად იწოდებოდა. საქართველომ მოიპოვა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და დაიწყო დემოკრატიული სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის მშენებლობა. ეს მისი უდიდესი ისტორიული მიღწევა და გამარჯვებაა.

საქართველოს აღმშენებლობის პროცესი რთულად და წინააღმდეგობრივად ვითარდება. ისტორიულ მიღწევებს თან ახლავს უაღრესად მნიშვნელოვანი დანაკარგები, უარყოფითი შედეგები, ტერიტორიული მთლიანობის რღვევის რეალური საფრთხე, სეპარატისტული და დესტრუქციული ძალების გააქტიურება, საწარმოო პოტენციალისა და წარმოების მოცულობის მასშტაბური შემცირება, ჩრდილოვანი ეკონომიკის ძალიან მაღალი დონე, მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა და დიდი ნაწილის სიღარიბე. ეს მაშინ, როდესაც საბჭოთა პერიოდში საქართველო, განვითარების საერთო დონით, საშუალოდ განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყნების ჯგუფში იყო ცხოვრების საკმაოდ კარგი პირობებით, საგანმანათლებლო და მეცნიერული პოტენციალით.

XXI საუკუნეს საქართველო ხვდება როგორც პოლიტიკურად დამოუკიდებელი სახელმწიფო ადამიანის თავისუფლების კონსტიტუციური აღიარებით, ეკონომიკის ლიბერალიზაციის საკმაოდ მაღალი დონით, მეურნეობრიობის ყველა სფეროში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლით. ისტორიული განვითარების თვალსაზრისით, ყველაზე უფრო მთავარია ადამიანის თავისუფლების ფუძემდებლური პრინციპის აღიარება. ეს კი საქართველოს მოსახლეობის შემოქმედებითი ენერგიის სრულად გამოყენებისა და ამის საფუძველზე

ქვეყნის საზოგადოებრივი პროგრესის მაღალი დონის მიღწევის რეალურ შესაძლებლობას იძლევა. მეორე მხრივ, სახეზეა საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის გაღრმავება, კრიმინალური და არალეგალური ეკონომიკის, კორუფციის გავრცელება, კონკურენტული ბაზრების არარსებობა, მწვავე საბიუჯეტო კრიზისი, არამყარი ეკონომიკური ზრდა მასშტაბური საგარეო ვალისა და უმეტესი მოსახლეობის სიღატაკის პირობებში.

ეს იმას ნიშნავს, რომ პროგრესული გარდაქმნების სოციალური საზღაური საქართველოში ძალიან მაღალი აღმოჩნდა: დამოუკიდებლობის მოპოვება, სოციალიზმის დემონტაჟი, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა აქ, ფაქტობრივად, საწარმოო-ტექნოლოგიური პოტენციალის დიდი ნაწილისა და მოსახლეობის მასობრივი გაღატაკების, უღარიბესი ქვეყნების ჯგუფში გადაადგილების სანაცვლოდ მოხდა. ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, საზოგადოების მოწყობის, ადამიანური, სულიერი, პოლიტიკური, ინსტიტუციური განვითარების თვალსაზრისით, საქართველომ პოსტინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბებისაკენ გადადგა, მართალია, პირველი, მაგრამ მაინც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და ფუძემდებლური ნაბიჯები, თუმცა მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის, წარმოებისა და ცხოვრების დონის თვალსაზრისით, იგი მნიშვნელოვნად დაშორდა პოსტინდუსტრიული საზოგადოების მოთხოვნებს. მაგრამ თანამედროვე პირობებში, განვითარებისათვის მთავარია ადამიანი, მისი ინტელექტი, თავისუფლების ხარისხი, მოსახლეობის შემოქმედებითი პოტენციალი, პოლიტიკური, ინსტიტუციური, სულიერი, კულტურული გარემო, რადგანაც, ამ ფაქტორების არსებობის შემთხვევაში, მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის სფეროში ჩამორჩენა შედარებით ადვილი დასაძლევია. ამიტომ, საერთო ჯამში, საქართველოს განვითარების ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით, ტრანსფორმაციის დადებითი შედეგები უარყოფითზე, უდავოდ, მეტია.

ისიც ცხადია, რომ გარდაქმნების ასეთი საოცრად მაღალი

სოციალური ფასი – ხანგრძლივი და ღრმა კრიზისი, მოსახლეობის გაღატაკება და ა.შ. – აუცილებელი სულაც არ იყო. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა მისი მნიშვნელოვნად შემცირება, როგორც ეს მრავალ პოსტსოციალისტურ ქვეყანაში მოხდა, სადაც ტრანსფორმაციული კრიზისი ხანმოკლე, ხოლო ცხოვრების დონის დაცემა გაცილებით უფრო მცირე იყო. მყარ ეკონომიკურ ზრდაზე გადასვლა კი შედარებით, მალე მოხდა.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციის მკვეთრად გამოხატული წინააღმდეგობრივი ხასიათი, მისი მაღალი სოციალური საზღაური გამოწვეულია როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზებით. ობიექტური მიზეზებიდან მთავარია:

– სოციალისტური მეურნეობრიობის დროინდელი სტრუქტურული მემკვიდრეობა, ისეთი დარგებისა და წარმოებების მასშტაბურად არსებობა, რომლებიც დამოუკიდებლობის მოპოვებისა და საბაზრო მეურნეობრიობაზე გადასვლის შემდეგ, უმეტეს შემთხვევაში, შიდა და საგარეო ბაზრებზე არაკონკურენტუნარიანი აღმოჩნდა. ამიტომ მათი პროდუქციის წარმოება ან შეწყდა, ან მკვეთრად დაეცა;

– მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური დისპროპორციების შენარჩუნება, კვლავწარმოება. მაკროეკონომიკური დისპროპორციებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ცხოვრების უკიდურესად დაბალი დონე და ხარისხი, დანაზოგებისა და ინვესტიციების უკმარისობა, ტექნოლოგიური ჩამორჩენილობა, ბიუჯეტის დეფიციტი, საგარეო დავალიანების მომსახურების ზრდა, ჩრდილოვანი ეკონომიკის, კორუფციის დიდი მასშტაბები, მართვის დაბალი ეფექტიანობა და აზროვნების მოძველებული სტილი. მიკროეკონომიკური დისპროპორციებიდან მთავარია: შიდა ბაზრის განუვითარებლობა, იმპორტული პროდუქციის გაბატონება, არაკონკურენტული ბაზრების სიჭარბე საბაზრო სტრუქტურაში, დაგროვების მცირე მასშტაბები, დარგობრივი სტრუქტურის ჩამორჩენილობა, დაბალეფექტიანი და დაბალშემო-

სავლიანი დარგებისა და საწარმოების სიმრავლე. თუ გავითვალისწინებთ, რომ საბაზრო ეკონომიკის უპირატესობა სოციალისტური დირექტიული ეკონომიკისადმი კონკურენციის პირობებში ვლინდება, მაშინ ცხადი გახდება, ჯერჯერობით, რაოდენ შორს არის ქვეყანა ამ უპირატესობის სრულად გამოყენებისაგან. სწორედ დასახელებული დისპროპორციების შედეგია ის, რომ არ არსებობს ორგანული კავშირი მაკროეკონომიკასა და მიკროეკონომიკას შორის, ანუ ქვეყნის მასშტაბით არ ხდება კვლავწარმოების უწყვეტი, თანამიმდევრული და დამოუკიდებელი ფუნქციონირება. კვლავწარმოება დამოკიდებულია უპირატესად საზღვარგარეთიდან კაპიტალისა და პროდუქციის შემოტანაზე, ჩრდილოვანი ეკონომიკის ფუნქციონირებაზე. აქედან ჩანს, რომ სწორედ აღნიშნული დისპროპორციები იწვევს კრიზისს და მათი დაძლევის გარეშე, მყარ ეკონომიკურ ზრდაზე გადასვლა არ მოხერხდება;

– გარდამავალი საზოგადოებისა და ეკონომიკის არსებობა, რომლისთვისაც დამახასიათებელია, ერთდროულად, ინდუსტრიული სტადიიდან პოსტინდუსტრიულ სტადიაზე, სოციალისტური მეურნეობრივი სისტემიდან კაპიტალისტურ მეურნეობრივ სისტემაზე გადასვლის პროცესი. დემოკრატია, სამოქალაქო საზოგადოება, საბაზრო კონკურენტული ურთიერთობები ჯერ კიდევ სუსტია, რაც ანტიდემოკრატიული, ანტისოციალური, ანტისაბაზრო პროცესების განვითარების ფართო შესაძლებლობებს იძლევა;

– წარმოების ეფექტიანობის, შრომის მწარმოებლურობის დაბალი დონე, რაც რესურსების, მათ შორის ფინანსური რესურსების უკმარისობას განაპირობებს. რა თქმა უნდა, ბუნებრივი და მატერიალური რესურსების უკმარისობა არ არის ჩამორჩენილობის მთავარი ფაქტორი. მათ ნაკლებობას განიცდიდა მრავალი სახელმწიფო, მათ შორის, დასავლეთისა და პოსტსოციალისტური ქვეყნებიც (ომისშემდგომი გერმანია, იაპონია, ბოლო პერიოდში კი პოლონეთი, ჩეხეთი, ესტონეთი), მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მათთვის სერიოზული პროგრესის მიღწევაში. მეორე მხრივ, რუსეთის ბოლოდროინდელი მიღწევები ეკონომიკური ზრდის სფეროში, უდავოდ, ენერგორესურსებზე ფასების მკვეთრი ზრდითა და ამ გზით მიღებული საექსპორტო შემოსავლების გადიდე-

ბითაა მნიშვნელოვანწილად გამოწვეული. ამიტომ, რესურსების არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს;

– საქართველოს შემთხვევაში ფრიად ანგარიშგასაწევია გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფაქტორი. იგი დიდი სახელმწიფოების ინტერესთა არეალშია. ზოგჯერ არის კიდეც სერიოზული მცდელობა მისი, გავლენის სფეროში მოსაქცევად. არ შეიძლება იმ დიდი ზიანის უგულებელყოფა, რაც მსგავს მცდელობას მოაქვს. მისი მიზანია, საქართველოს სახელმწიფოებრივი დასუსტება, სხვადასხვა მეთოდის აქტიურად გამოყენებით, მათ შორის, პოლიტიკური და ეკონომიკური დივერსიებითაც. აღნიშნული კარგად ჩანს კონტრაბანდის დიდი მასშტაბით, რაც აშკარად გამოხატული დივერსიის სახეს ატარებს.

რა თქმა უნდა, ობიექტური მიზეზები უარყოფითად ზემოქმედებენ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. მაგრამ მათი უმრავლესობა სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნებისთვისაც იყო მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი. თუმცა, მათ დასძლიეს ან გაანეიტრალეს მათი მოქმედება, რაც ტრანსფორმაციის წარმატებებით აისახა. ამიტომ გადამწყვეტ როლს ტრანსფორმაციული პროცესების წარმატება-წარუმატებლობაში, უდავოდ, სუბიექტური ფაქტორები ასრულებენ. ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტრანსფორმაციის განსაკუთრებით მაღალი სოციალური ღირებულება საქართველოში, უწინარეს ყოვლისა, შემდეგი სუბიექტური ხასიათის მიზეზებითაა გამოწვეული:

– სახელმწიფომ, ხელისუფლების სახით დღემდე სრულად ვერ შეძლო გარდაქმნების ეფექტიანად წარმართვა – კერძოდ, ტრანსფორმაციის მექანიზმის დაუფლება და ეფექტიანი ამოქმედება (რადგანაც დროულად ვერ უზრუნველყო გარდაქმნებისათვის აუცილებელი პირობები), ძველი არასაბაზრო მენტალიტეტის დაძლევა საზოგადოების ფართო მასებში, თვითონ მმართველ ელიტაში, მათი გათვითცნობიერება საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების თავისებურებებში, რაც მთავარია, საბაზრო ტრანსფორმაციის ეფექტიანი პოლიტიკის წარმართვა. სახელმწიფოს სისუსტე, თავის მხრივ, გამოწვეულია შემდეგი ძირითადი ფაქტორებით: პირველი – დღევანდელი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო სრულიად ახალგაზრდაა. ბუნებრივია, მას არა აქვს

ქვეყნის მართვის სათანადო გამოცდილება, მით უმეტეს, გარდამავალ საფეხურზე, როდესაც მრავალი ტრანსფორმაციული პროცესი სრულიად ახალია. არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ სახელმწიფო მართვის სისტემაში დასაქმებულთა კვალიფიციური მომზადების, ცოდნის დონე ხშირად არ პასუხობს მოთხოვნებს. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ სახელმწიფო მოხელეთა კვალიფიციური მომზადების უაღრესად დიდმნიშვნელოვან პრობლემას არ ექცევა საჭირო ყურადღება და ეს ნაკლი სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს. მეორე – გაბატონდა სრულიად მიუღებელი კონცეფცია სახელმწიფოს როლის მინიმიზაციის შესახებ. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს როლი ყოველ ცალკეულ ქვეყანაში არსებული კონკრეტული ვითარებით განისაზღვრება და არა რაღაც წმინდა თეორიული სახის კონსტრუქციებით. სახელმწიფომ ის ფუნქციები უნდა შეასრულოს, რასაც ბაზარი ვერ ასრულებს. ბაზარი კი ეფექტიანად მეურნეობრიობის მიმდინარე საკითხებს წყვეტს და არა ქვეყნის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების (მათ შორის სტრუქტურული, განათლების, მეცნიერულ-ტექნოლოგიური, ეკოლოგიური განვითარების) საკითხებს. მისი ჩარევა ეკონომიკაში, მეწარმის, კერძო სექტორის დაბეგვრის თვალსაზრისით, შეძლებისდაგვარად მართლაც მინიმალური უნდა იყოს. იმავდროულად, იგი უნდა ასრულებდეს აქტიურ, მარეგულირებელ ფუნქციას არაპირდაპირი საშუალებებით – გადასახადებით, საპროცენტო განაკვეთზე ზემოქმედებით, სავალუტო კურსით. გარდა ამისა, სახელმწიფო პასუხისმგებელია ქვეყნის სოციალურ, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ, ეკოლოგიურ განვითარებაზე, პროგრესის დონეზე. ამიტომ საჭიროა არა მინიმალური სახელმწიფო, არამედ ეფექტიანი და ძლიერი, რადგანაც სწორედ მას ეკისრება მთავარი პასუხისმგებლობა ქვეყანაში მიმდინარე ტრანსფორმაციულ პროცესებზე, სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებაზე;

– ნაკლოვანებები რეფორმის პროცესში, მისი არასრულად, არასისტემურად, არათანმიმდევრულად გატარება. საქმე ის არის, რომ აქცენტი გაკეთდა ეკონომიკის ლიბერალიზაციაზე, მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე, რაც საქართველოში კონკრეტულად შექმნილი ვითარებისათვის სწორი, მაგრამ სრულიად არასაკმარისი იყო. ჩვენ ჩამოვრჩით ინ-

სტიტუციური და სტრუქტურული რეფორმების სფეროებში და მარტო ლიბერალიზაციამ და ინფლაციის მოთოკვამ სასურველი შედეგები ვერ გამოიღო. საბაზრო ეკონომიკის ნორმალურად ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის აუცილებელია მეურნე სუბიექტების, საბაზრო წესრიგისა და არბიტრის არსებობა. ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და პრივატიზების მთავარი მიზნები იყო მეურნე სუბიექტების ჩამოყალიბება, კონკურენციის დამკვიდრება, საწარმოების ეფექტიანობის ამაღლება და ამის საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება. მიღებული შედეგები ჯერ კიდევ ძალიან მოკრძალებულია: სუბიექტები, ხშირ შემთხვევაში, არაეფექტიანია, უმეტესად არაკონკურენტულ ბაზრებთან გვაქვს საქმე, საწარმოების ეფექტიანობა ძალიან დაბალია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტი მწვავე კრიზისშია. ასეთი ვითარების მთავარი მიზეზია ის, რომ სახელმწიფომ დროულად ვერ დაასრულა აუცილებელი ინსტიტუციური და სტრუქტურული გარდაქმნები. ინსტიტუციურ გარდაქმნებში იგულისხმება არა მარტო მკაფიო კანონმდებლობისა და საბაზრო ინსტიტუტების – ბირჟების, კომერციული ბანკების, საგადასახადო ინსპექციების, აუქციონების, კონტრაქტების, საარბიტრაჟო და სამოქალაქო სასამართლოების ეფექტიანი ფუნქციონირება, არამედ საერთო საბაზრო წესრიგის დამყარება, კანონების შესრულება, საბაზრო წესებისა და თანასწორობის დაცვა. ცხადია, აქ ამ ინსტიტუტების სრულყოფილად ფუნქციონირებას არ ვგულისხმობთ. ამის მიღწევას ძალიან დიდი დრო უნდა. აქ იგულისხმება ისეთი ინსტიტუციური წესრიგის უზრუნველყოფა, რომელიც საქონლის, კაპიტალის, შრომის, მიწის ბაზრების ნორმალური ფუნქციონირებისთვისაა აუცილებელი, როგორც ამას, მაგალითად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მიაღწიეს. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ, როგორც წესი, კონკურენცია ვერ მკვიდრდება მანამდე, სანამ ქვეყანაში მასშტაბური კონტრაბანდა, ჩრდილოვანი ეკონომიკა და კორუფცია იქნება, სანამ მოგების წყაროა არა წარმოების დანახარჯების შემცირება და პროდუქციის ხარისხის ამაღლება, არამედ გარიგება გადასახადების ამკრებთან, ქრთამი, კორუფცია და არაფორმალური ეკონომიკა. საწარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად

აუცილებელია წარმოების გადიდების ძლიერი სტიმულები, მძაფრი კონკურენცია მეწარმეებს შორის. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები კი, ვერასოდეს გაიზრდება საგადასახადო ბაზის, წარმოების გაფართოების გარეშე. ამასთან, დაგვიანდა სტრუქტურული რეფორმებიც. ფაქტობრივად, რეფორმები ისეთნაირად წარიმართა, რომ აქცენტი უპირატესად მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაზე, საშუამავლო-საკაჭრო სფეროს განვითარებაზე გაკეთდა, მაშინ, როდესაც საწარმოებში, სხვადასხვა დარგში შეფერხებით მიმდინარეობს სტრუქტურული გარდაქმნები. დაგვიანდა საწარმოთა რესტრუქტურიზაცია, სანაცია, რენტაბელობის ამაღლება, კონკურენტული ბაზრების ჩამოყალიბება სხვადასხვა საბაზრო სტრუქტურით. რეალური სექტორის ვერც ერთი დარგი, რკინიგზის გარდა, ნორმალურად ვერ ფუნქციონირებს. განსაკუთრებით აფერხებს ეკონომიკის განვითარებას ენერგეტიკის კრიზისი, თუმცა ტრანსფორმაციის პერიოდში მისი უკეთესად ამოქმედება, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა;

- კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის გავრცელება, რაც სერიოზულად აბრკოლებს კონკურენციის დამკვიდრებას, მაღალმწარმოებლური შრომის სტიმულირებას, კაპიტალის დაგროვებასა და სოციალური პრობლემების გადაწყვეტას. თუმცა მასთან ბრძოლის გაფეტიშება არ არის მართებული. კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები მრავალ განვითარებულ ქვეყანაში საკმაოდ მაღალია, მაგრამ მიუხედავად ამისა, აქ წინა პლანზე მაინც ეკონომიკური ზრდისა და განვითარების პრობლემაა წამოწეული. რადგანაც ზრდა და განვითარება, კეთილდღეობის ამაღლება კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის დაძლევის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორებია.

აღნიშნული ობიექტური და სუბიექტური მიზეზების ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციისა და რეფორმირების ახალი სტრატეგია, მისი ძირითადი მიმართულებანი და განვითარების პერსპექტივები. ასეთი სტრატეგია მოწოდებულია, უზრუნველყოს არსებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისისა და ჩამორჩენილობის სწრაფად დაძლევა. აუცილებელი გარდაქმნებისა და რეფორმების დროული და სისტემური განხორციელებით. მისი ძირითადი მიმართულებებია:

1. სახელმწიფოს როლის ამაღლება განვითარების აქტიურ პოლიტიკაზე გადასასვლელად, ეკონომიკური ზრდისა და განვითარების პრიორიტეტული ამოცანის გადასაწყვეტად;

2. სოციალური პასუხისმგებლობისა და ფინანსური დისციპლინის თავსებადობის მიღწევა;

3. მდგრად პოსტინდუსტრიულ განვითარებაზე გადასვლა;

4. ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანება.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოს აქვს ყველა უმნიშვნელოვანესი რესურსი იმისათვის, რომ დროულად მოახდინოს აუცილებელი გარდაქმნები, ბოლომდე მიიყვანოს დაწყებული რეფორმა, დასძლიოს არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ჩამორჩენილობა. მაგრამ, ამისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ამაღლდეს სახელმწიფოს როლი და პასუხისმგებლობა ბიზნესის სტიმულირებისათვის, საბოლოოდ მოისპოს მისი დაკნინების მცდელობები.

უსაფუძვლოა მტკიცება, თითქოსდა არა გვაქვს რესურსები წარმოების განვითარებისათვის. განვითარების მთავარი რესურსია ხალხი, ინტელექტი. სხვა რესურსი ბევრ ქვეყანას არ ჰქონდა, მაგრამ დღეს განვითარებულნი არიან. კრიზისი, ჩამორჩენა არასრულყოფილი პოლიტიკის, შიდა და გარეშე დესტრუქციული ძალების მოქმედების, სათანადო ეკონომიკური პირობების უქონლობის შედეგია და არა იმის, რომ მეწარმეებსა და ხალხს არ სურთ, ან არ შეუძლიათ მუშაობა. „ეკონომიკური კლიმატი“, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფომ, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ეფექტიანი პოლიტიკით.

განვითარების ახალი სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების გახორციელება, უახლოეს 15-20 წელიწადში საქართველოს განვითარებული ქვეყნების ჯგუფში გადასვლა რეალურად შესაძლებელია. მისი მიღწევა მხოლოდ საქართველოს ეროვნული ენერგიის, მოსახლეობის ფართო მასების პატრიოტიზმისა და ინტელექტის სრული გამოყენებით მოხდება.

CONCLUSION

The end of the twentieth century seems to be the period of the greatest upheaval in the history of Georgia. Independent Georgia has become the full member of the international community. The genesis of quite a new Georgia has taken its start. Until then, during two centuries Georgia was the province of the Russian Empire which for a long time was called the Soviet Union. Georgia has gained the political sovereignty and began to build the democratic state, civil society and market economy. This is its greatest historical achievement and winning.

The renaissance of the Georgian state has developed with many obstacles and contradictions. The historical achievements have been accompanied with many losses, unfavorable results, real danger of rupture of the territorial integrity, stirring up of the separatist and destructive forces, decrease in the scope of the production potential and production, very high level of the shadow economy, sharp drop in the public living standards and destitution of a great part of population. However, in the Soviet period Georgia was in the group of the medium-developed industrial and agrarian countries and was distinguished by the level of its development, a rather high living standard, educational and scientific potential.

Georgia met the 21st century as the sovereign country with the constitutionally recognized human freedoms, a rather high level of the economy liberalization, transition to the market relations in all industries. From the point of the historical development the most significant is recognition of the basic principles of human freedoms. Such approach really enables the full use of the public creative energy in Georgia and, hence, attainment to the high level of the national public progress. On the other hand, there take place intensification of the social differentiation, spread of the criminal and illegal economy, corruption, lack of concrete outlets, acute budgetary crisis, impossibility to attain to the stable economic growth under conditions of the large national debt and pauperization of the major part of population.

This implies that the social price for the progressive transformation in Georgia appeared to be rather high: the gained sovereignty, dismantling of the socialist system, transition to the market relations was accomplished at the expense of liquidation of the industrial and production potential and mass

impoverishment of population. Georgia has been displaced to the group of the poorest countries. From the viewpoint of the social system, human, spiritual, political and institutional development, Georgia has taken its first but the most significant and basic steps on the path of formation of a postindustrial society. However, from the viewpoint of security with the material resources, production and living rates, it rather lags behind the requirements of the postindustrial society. However, in the modern conditions the most important factor for the national development is a man, his intelligence, quality of freedom, creative potential of population, political, institutional, spiritual, cultural environment, since the availability of those factors relatively facilitates to overcome the gap in the sphere of security with the material resources. Thus, in general, from the point of view of the historical prospects the favorable outcomes of transformation for the development of Georgia, without fail, surpass the negative ones.

This is also obvious that such high social price for transformation: the long and deep crisis, pauperization of population etc., was not inevitable at all. It could be significantly decreased as it have taken place in many postindustrial countries where the transformational crisis was rather shorter and the decrease in the living standard was small, while transition to the stable economic growth was relatively quicker.

The analysis has shown that the evidently contradictory character of the current socio-economic transformation in Georgia, its high social price was caused by both objective and subjective reasons. Among the objective reasons the following are the main:

inheritance of the Soviet structures, the vast existence of such industries and productions which after gaining the sovereignty and transition to the market economy appeared to be noncompetitive on the home and foreign markets in the most cases. For this reason such productions were either terminated or dropped;

survival of macroeconomic and microeconomic disproportions, their reproduction. Among the macroeconomic disproportions noteworthy are the lowest

living standard and quality, lack of the savings and investments, the technological backlog, the budget deficit, growth of the service rate for the national debt, large scope of the shadow economy and corruption, low efficiency of management and the obsolete mode of economic thought. Among the microeconomic disproportions noteworthy are: backwardness of the home market, predominance of the imported product, noncompetitive markets in the market structure, small stocks at enterprises, lag of the industrial structures, many low-effective and low-profitable industries and productions. Taking into consideration that the priority of the market economy becomes apparent in competition with the socialistically oriented economy, it will be evident that to date the country is far away from the full use of this priority. The result of the mentioned disproportions is that no organic connection between the macro- and microeconomics is available, that is the lack of continuous, contemporary and independent operation of the reproduction countrywide. Reproduction mainly depends on the import of foreign capital and product, maintenance of the shadow economy. Thus, the crisis has been reproduced by the above mentioned disproportions and without overcoming this crisis, transition to the stable economical growth will be unsuccessful;

the availability of the transitional society and economy with its typical process of simultaneous transition from the industrial stage to the postindustrial stage, from the system of socialistic economy to the capitalistic economy. The democracy, civil society, competitive market relations are yet poor that enables development of the antidemocratic, antisocial, anti-market processes;

the low rate of the productive efficiency, of labor productivity caused by the lack of the resources, including the financial ones. Of course, the lack of natural and material resources is not the major factor of the backwardness. Many countries, including the Western and post-Soviet countries have experienced the lack of them (e.g. the post-war Germany, Japan, lately –

Poland, Czechs, Estonia) but, nevertheless, this has not become the obstacle for them to attain the serious progress. On the other hand, the lately progress of the Russian Federation in the economical growth has been mainly conditioned by the sharp rise in prices for the energy resources and, consequently, the increase in the export revenues received by this way. Thus, availability of resources is of great importance.

for Georgia the most considerable is the geopolitical and geo-economic position factor. Georgia is within the interests of great countries. Sometimes there have been attempts to return it into the sphere of foreign influence. There should not be disregarded the great damage from such attempts, its goal to weaken the national system of Georgia using various methods, including political and economic sabotages as well. One kind of such sabotage may be the smuggling which has obtained the large scope lately.

Of course, the objective reasons have negative effect on the socio-economic development of Georgia. However, the majority of them were typical for other postindustrial countries as well, though they have succeeded to overcome these reasons or to counteract them and to attain the progress in transformation. Thus, the decisive role in the success or failure of the transformation process shall be attributed to the subjective factors. The analysis has shown that the particular high social price of transformation in Georgia should, without fail, be caused by the following subjective reasons:

the state in the person of the authorities has failed to carry out the effective reorganization, namely, it has failed to master and operate the transformation mechanism (because it could not ensure the necessary conditions of transformation in time), to overcome the old market mentality in the wide public strata and in the governing elite as well, to realize their role in the peculiarities of operation of the market economy, and, above all, to implement the effective policy of market transformation. The weakness of the state, on its turn, is caused by the following major factors. Firstly, the present sovereign Georgian state is quite young. Naturally, it has no

sufficient skills for the country government, even more so at the transitional stage, where many transformation processes are new enough. It should not be strange that the level of training and knowledge of those engaged in the state government system does not often meet the requirements. However, there should be acknowledged that the most significant problem - the problem of the professional training of the state servants, has been disregarded and such situation should be improved as soon as possible. Secondly, there has been established the unacceptable concept on minimization of the role of the State. The world experience has shown that the role of the State in every separate country is determined by a concrete situation but not by some merely theoretical constructions. The State shall perform those functions which cannot be performed by the market. The market can effectively solve the current problems of economy but not the problems of the long-term national strategic development (including structural, educational, scientific and technological, and ecological ones). The direct interference of the State in the economy of an entrepreneur, or the private sector shall be minimal as far as the interference of the taxation institution. However, at the same time the state can perform the active regulatory function by the indirect means - by the taxes, affecting on the interest rate, rate of exchange. In addition, the State is responsible for the national social development at the level of the scientific and technological, ecological progress. So, we need not a minimum State but an effective and strong one, because the State shall undertake the main responsibility for the transformation processes and socio-economical development in the country;

the shortcomings of the process of reforms, the incomplete, irregular and inconsistent conduct of the reforms. The question is that the focus was made on liberalization of the economy, macroeconomic stabilization, that has been a correct but insufficient step for the current situation in Georgia. We have lagged behind in the spheres of institutional and structural

reforms, since only by liberalization and moderation of inflation the desirable outcomes could not be attained. For the normal functioning and development of the market economy the availability of economic entities, market order and arbitrator is required. The main goals of liberalization and privatization of the economy are formation of economic entities, establishment of competition, enhancement of the production efficiency and by this way, filling in the state budget. The obtained results have been yet very decent: the entities in many cases are ineffective, the markets are mainly noncompetitive, the production efficiency is very low and the state budget is always in the acute crisis. The main reason of such situation is that the State has not completed the necessary institutional and structural transformations in time. By the institutional transformations we imply not only the effective functioning of legislative and market institutions - stock exchanges, commercial banks, tax inspectorates, auctions, contracts, arbitration and common law courts, but establishment of the common market order, execution of laws, security of the market rules and balance. This does not mean the perfect functioning of those institutions, since it needs a lot of time to attain this. We mean the strict observance of that institutional order which is required for the normal operation of the commodity, capital, labor and land markets, as it takes pace in the postindustrial countries of the Central and Western Europe. The world experience evidences that usually the competition could not be established till the smuggling, shadow economy and corruption are of such large scale, till the source of income is not reduction in production costs and improvement of the production quality, but dealing with the tax collectors, bribery, corruption and informal economy. For enhancement of the efficiency of enterprises the strong stimuli for production promotion and strong competition among the entrepreneurs are necessary. The state budget revenues will never grow up without the extension of the tax base and production. At the same time, the structural reforms

have been delayed. In fact, the reforms have taken place in such way to focus on the macroeconomics transformation, development of the intermediary and trade sphere, while the structural transformation at enterprises of various industries have been hindered. The restructuring, readjustment and productivity growth at the enterprises, formation of competitive markets with various market structure have been delayed. No industry of the real sector except the railways is functioning normally. The most destructive for the development of the economy is the energy crisis, though in the transformation period the better operation of it is actually impossible;

extension of the corruption and shadow economy that seriously impedes establishment of the competition, encouragement of the high-yielding labor, capital stocking. However, worship of the struggle against them is not justified. The scope of corruption and shadow economy is rather high in many developed countries but, nevertheless, in the foreground there is put the problem of economic growth and development, because the growth and development, enhancement of welfare are the major factors in the struggle against the corruption and shadow economy.

Analysis of the above mentioned objective and subjective reasons enables us to determine a new strategy of economic transformation and development of Georgia, its guidelines and prospects of development. The new strategy shall secure the quick overcoming of the current socio-economic crisis and backwardness with the timely and regular conduct of the reorganizations and reforms. The guidelines of this strategy are:

1. The enhancement of the State role in transition to the active policy of development for solution of the priority task of the economic growth and development;
2. Achievement of the compatibility between the social liability and financial discipline;
3. Transition to the stable postindustrial development;
4. Georgia entering into the European Union.

The study has shown that Georgia has got all required resources in order to make the necessary transformations in time, to complete the started reform, to overcome the current grave socio-economic situation and backwardness. However, this requires, in the first turn, advancement of the State's role and its responsibility for promotion of business, elimination of the efforts to underestimate the leading role of the state in achievement of the progress.

It is really groundless to say as if we have not got resources for development of the production. The main resource of development is people and intelligence. Many countries were lack of other resources, but they are developed today. The crisis and backwardness are the result of the imperfect policy, effect of the inner and outer destructive forces, lack of proper economic conditions, but not the result of the unwillingness and inability of the businessmen and people to work. The "economic" climate in the first turn shall be secured by the State and authorities with their effective policy.

Realization of the main guidelines of the new development strategy enabling Georgia to pass to the group of the developed countries in the nearest 15-20 years, may be possible by the full use of the national energy, patriotism and intelligence of the wide strata of population

ЗАКЛЮЧЕНИЕ

Конец двадцатого века вписан в историю Грузии как период величайшего поворота. Свободная Грузия стала полноправным членом международного сотрудничества. Начинается генезис совершенно новой Грузии. До этого, на протяжении двух веков она входила в состав Российской империи, которая довольно-таки длительное время именовалась Советским Союзом. Грузия приобрела политическую независимость и начала строительство демократического государства, гражданского общества и рыночной экономики. Это является ее величайшим историческим достижением и победой.

Процесс возрождения Грузии развивается сложным и противоречивым образом. Исторические достижения сопровождаются весьма значительными потерями, отрицательными результатами, реальной угрозой разрушения территориальной целостности, повышением активности сепаратистских и деструктивных сил, масштабным сокращением производственного потенциала и объема производства, очень высоким уровнем теневой экономики, резким спадом уровня жизни населения и нищетой большей части населения. Это в то время, как в советский период Грузия по общему уровню развития входила в группу среднеразвитых индустриально-аграрных стран с достаточно высоким уровнем жизни, образовательным и научным потенциалом.

Грузия XXI век встречает политическим независимым государством с конституционным признанием свободы человека, с довольно высоким уровнем либерализации экономики, переходом на рыночные отношения во всех сферах хозяйствования. С точки зрения исторического развития самым главным является признание основополагающего принципа свободы человека, это создает реальную возможность полного использования творческой энергии населения Грузии и на этой основе достижения высокого уровня общественного прогресса страны. С другой стороны, налицо углубление социальной дифференциации общества, распространение криминальной и нелегальной экономики, коррупции, отсутствие конкуретных рынков сбыта, острого бюджетного кризиса, невозможность добитьсяя стабильного экономического роста в

условиях масштабного внешнего долга и нищеты большинства населения.

Это означает то, что социальная цена прогрессивных преобразований в Грузии оказалась очень высокой: приобретение независимости, демонтаж социализма, переход на рыночные отношения здесь фактически были осуществлены за счет ликвидации большей части производственно-технологического потенциала и массового обнищания населения, перемещения в группу самых бедных стран. С точки зрения устройства общества, человеческого, духовного, политического и институционального развития, Грузия действительно сделала первые, но самые важные и основополагающие шаги к формированию постиндустриального общества, хотя с точки зрения обеспечения материальными ресурсами, уровня производства и жизни она значительно отошла от требований постиндустриального общества. Между тем в современных условиях для развития главным фактором выступает человек, его интеллект, степень свободы, творческий потенциал населения, политическая, институциональная, духовная, культурная среда, поэтому в случае наличия этих факторов отставание в сфере обеспечения материальными ресурсами сравнительно легко преодолимо. В итоге получается, что положительных результатов трансформации бесспорно больше, чем отрицательных, с точки зрения исторической перспективы развития Грузии.

Очевидно и то, что столь удивительно высокая цена преобразований - длительный и глубокий кризис, обнищание населения и т. д. – вовсе не была необходимой. Разумеется, ее можно было значительно сократить, как это произошло в ряде постсоциалистических стран, где трансфомационный кризис был краткосрочным, падение уровня жизни незначительным, а переход к устойчивому экономическому росту произошел сравнительно быстро.

Анализ показал, что четко выраженный противоречивый характер протекающей в Грузии социально-экономической трансформации, ее высокая социальная цена вызвана как объективными, так и субъективными причинами. Из объективных причин главными являются:

структурное наследие времен социалистической хозяйственности, масштабное существование таких отраслей и производств, которые после приобретения независимости и перехода на

рыночную хозяйственность в большинстве случаев оказались неконкурентоспособными на внешних рынках. Поэтому производство их продукции или прекратилось или резко снизилось;

сохранение макроэкономических и микроэкономических диспропорций, их воспроизводство. Из макроэкономических диспропорций особенно следует отметить крайне низкий уровень и характер жизни, недостаточность сбережений и инвестиций, технологическая отсталость, дефицит бюджета, рост обслуживания внешней задолженности, большие масштабы теневой экономики, коррупции, низкая эффективность управления и устаревший стиль мышления. Из микроэкономических диспропорций главными являются: неразвитость внутреннего рынка, господство импортной продукции, наличие неконкурентных рынков в рыночной структуре, малые масштабы запасов на предприятиях, отставание отраслевых структур, большое количество низкоэффективных и малодоходных отраслей и предприятий. Если учесть, что преимущество рыночной экономики по сравнению с социалистической директивной экономикой проявляется в наличии конкуренции, становится ясным, насколько пока далека страна от полного использования этого преимущества. Именно результатом названных диспропорций является то, что не существует органической связи между макроэкономикой и микроэкономикой, то есть в масштабе страны не происходит непрерывного, последовательного и независимого функционирования воспроизводства. Воспроизводство зависит преимущественно от ввоза капитала и продукции из-за рубежа, функционирования теневой экономики. И из этого видно, что именно за счет указанных диспропорций воспроизводится кризис. Без их преодоления не может быть осуществлен переход к устойчивому экономическому росту;

наличие переходного этапа в экономике и обществе, для которого характерен одновременный процесс перехода от индустриальной стадии к постиндустриальной, от социалистической хозяйственной системы к капиталистической хозяйственной системе. Демократия, гражданское общество, рыночные конкурентные отношения пока еще являются слабыми, что создает широкие

возможности развития антидемократических, антисоциальных, антирыночных процессов;

низкий уровень эффективности производства, производительности труда, что обуславливает недостаточность ресурсов, в том числе финансовых ресурсов. Разумеется, недостаточность природных и материальных ресурсов не является главным фактором отставания. Их недостаточность испытывало множество государств, в том числе западные и постсоциалистические страны (послевоенная Германия, Япония, а за последний период – Польша, Чехия, Эстония), но это не помешало им в достижении серьезного прогресса. С другой стороны, достижения России в сфере экономического роста за последнее время бесспорно вызвано резким ростом цен на энергоресурсы и увеличением экспортных доходов, полученных этим путем. Поэтому, наличие ресурсов имеет большое значение;

в случае Грузии обязательно следует учесть ее геополитический и геоэкономический фактор. Он находится в ареале интересов больших государств. Иногда имеются попытки заставить Грузию аернуться в сферу иностранного влияния. Нельзя пренебрегать тем большим ущербом, который может нанести такая попытка, ее целью является ослабление государственности Грузии, активно используя разные методы, в том числе политические и экономические диверсии. Указанное хорошо видно по большим масштабам контрабанды, что носит вид явно выраженной диверсии.

Разумеется объективные причины оказывают отрицательное воздействие на социально-экономическое развитие Грузии. Но большинство из них были характерны в большей или меньшей степени и для других постсоциалистических стран. Хотя они преодолели или нейтрализовали их действие, что отразилось в успехах трансформации. Поэтому решающую роль в успешном проведении трансформационных процессов бесспорно играют субъективные факторы. Анализ показывает, что особо высокая социальная цена трансформации в Грузии прежде всего вызвана следующими причинами субъективного характера:

Государство, в лице властей по сей день в целом не смогло эффективно руководить преобразованиями – в частности, овладеть

и эффективно ввести в действие механизм трансформации (так как не смогло своевременно обеспечить необходимые для преобразования условия), преодолеть старый нерыночный менталитет в широких слоях общества, в самой правящей элите, осознать особенности экономического функционирования, осуществить эффективную политику рыночной трансформации. Слабость государства, со своей стороны, вызвана следующими основными факторами. Во-первых – сегодняшнее независимое государство Грузия является совсем молодым. Естественно, что оно не имеет соответствующего опыта управления страной, тем более на переходной ступени, когда многие трасформационные процессы являются абсолютно новыми. Нас не должно удивлять и то, что уровень квалификационной подготовки и знаний лиц, занятых в системе государственного управления, часто не отвечает требованиям. Хотя следует признать, что крайне важной проблеме квалификационной подготовки государственных чиновников не уделяется должное внимание и это упущение должно быть срочно восполнено. Во вторых – господствует совершенно неприемлемая концепция о минимизации роли государства. Мировой опыт показывает, что роль государства в каждом отдельном государстве определяется существующими конкретными обстоятельствами, а не какими-то конструкциями, имеющими чисто теоретический характер. Государство должно выполнять те функции, которые не может выполнить рынок. Но рынок эффективно решает текущие вопросы хозяйственности, а не вопросы долгосрочного стратегического развития страны (в том числе структурные вопросы, вопросы образования, научно-технологические вопросы, вопросы экологического развития). Его непосредственное вмешательство в экономику, как предпринимателя, по мере возможностей института налогообложения частного сектора действительно должно быть минимальным, но одновременно оно должно выполнять активную регулирующую функцию косвенными средствами – посредством налогов, валютного курса, воздействия на процентную ставку. Кроме того, государство несет ответственность за социальное развитие страны на уровне научно-технологического, экологического прогресса, поэтому необходимо не минимальное государство, а эффективное и сильное, так как именно на него возлагается главная ответственность за протекающие в стране

трансформационные процессы, за социально-экономическое положение;

упущения в процессе реформы, ее неполное, несистемное, непоследовательное проведение. Дело в том, что акцент был сделан на либерализации экономики, макроэкономической стабилизации, что является правильным для создавшихся в Грузии конкретных обстоятельств, но совсем недостаточным. Мы отстали в сферах институционных и структурных реформ, и только либерализация и приостановление инфляции не смогли дать желательных результатов. Для нормального функционирования и развития рыночной экономики необходимо наличие хозяйственных субъектов, рыночного порядка и арбитра. Главной целью либерализации экономики и приватизации являлось формирование хозяйственных субъектов, внедрение конкуренции, повышение эффективности предприятий и на этой основе пополнение государственного бюджета. Полученные результаты пока что являются весьма скудными: в основном субъекты не являются неэффективными, в большинстве случаях мы имеем дело с неконкурентными рынками, эффективность предприятий очень низкая, а государственный бюджет пребывает в остром кризисе. Главной причиной такого положения является то, что государство своевременно не смогло выполнить необходимых институциональных и структурных преобразований. Под институционными преобразованиями подразумеваются не только четкое эффективное функционирование законодательства и рыночных институтов – бирж, коммерческих банков, налоговых инспекций, аукционов, контрактов, арбитражных и гражданских судов, но и установление общего рыночного порядка, выполнение закона, обеспечение рыночных правил и равновесия. Очевидно, что здесь не подразумевается полноценное функционирование этих институтов. Для достижения этого требуется большой срок. Здесь подразумевается соблюдение такого институционного порядка, который необходим для нормального функционирования товаров, капитала, труда, земельных рынков, как этого достигли, например, постсоциалистические страны Центральной и Восточной Европы. Мировой опыт показывает, что, как правило, конкуренция не может быть внедрена до тех пор, пока в стране существует масштабная контрабанда, теневая экономика и коррупция, пока

источником прибыли является не сокращение затрат производства и повышение качество продукции, а сделка со сборщиком налогов, взятка, коррупция и неформальная экономика. Для повышения эффективности производства необходимы мощные стимулы увеличения производства, жесткая конкуренция между предпринимателями. А доходы государственного бюджета никогда не увеличатся без налоговой базы, расширения производства. Наряду с этим запоздали и структурные реформы. Фактически, реформы проводились таким образом, что акцент был сделан на макроэкономическую стабилизацию, развитие посредническо-торговой сферы, в то время как на предприятиях разных отраслей ведутся структурные преобразования. Запоздали и с реструктуризацией предприятий, санацией, повышением рентабельности, с формированием конкурентных рынков с разными рыночными структурами. Ни одна из отраслей реального сектора, кроме железной дороги, нормально не функционирует. В особенности препятствует развитию экономики кризис энергетики, хотя в период трансформации, разумеется, можно было ее лучше задействовать;

распространение коррупции и теневой экономики, что создает серьезные препятствия для внедрения конкуренции, стимулирования высокопроизводительного труда, накопления капитала и разрешения социальных проблем. Хотя фетиширование борьбы с ними неуместно. Масштабы коррупции и теневой экономики довольно-таки высокие во многих развитых странах, но несмотря на это там на передний план все же выдвинута проблема экономического роста и развития, так как рост и развитие, повышение благосостояния являются самыми важными факторами преодоления коррупции и теневой экономики.

Анализ указанных объективных и субъективных причин дает возможность определить новую стратегию трансформации и реформирования экономики Грузии, ее основные направления и перспективы развития. Такая стратегия предназначена для обеспечения быстрого преодоления существующего социально-экономического кризиса и отставания, путем своевременного и системного осуществления необходимых преобразований и реформ. Ее основными направлениями являются:

1. повышение роли государства для перехода на активную политику развития, разрешения приоритетных задач экономического роста и развития;
2. достижение совместимости социальной ответственности и финансовой дисциплины;
3. переход на стабильное постиндустриальное развитие;
4. вступление Грузии в члены Евросоюза.

Исследования показали, что Грузия имеет все важнейшие ресурсы для того, чтобы вовремя осуществить необходимые преобразования, до конца довести начатую реформу, преодолеть тяжелое социально-экономическое положение и отставание. Но для этого прежде всего необходимо повышение роли и ответственности государства для стимулирования бизнеса, окончательная ликвидация попыток недооценки ведущей роли государства в достижении прогресса.

Безосновательно утверждение, что у нас нет ресурсов для развития производства. Главным ресурсом развития является народ, интеллект. У многих стран не было других ресурсов, но они в настоящее время являются развитыми странами. Кризис является результатом отставания, несовершенной политики, действия внешних деструкционных сил, отсутствия соответствующих экономических условий, а не того, что предприниматели и народ не хотят или не могут работать. Государство, власть в первую очередь должны обеспечить «экономический» климат за счет эффективной политики.

Осуществление основных направлений новой стратегии развития, реальная возможность перехода Грузии в ближайшие 15-20 лет в группу развитых стран может быть достигнута только за счет полного использования национальной энергии Грузии, патриотизма и интеллекта широких масс населения.

თემურ ბასილია
Basilia Temur
Басилия Темур

ავთანდილ სილაგაძე
Silagadze Avtandil
Силагадзе Автандил

თამაზ ჩიკვაიძე
Chikvaidze Tamaz
Чикваидзе Тамаз

პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე

POST-SOCIALISTIC TRANSFORMATION: GEORGIAN ECONOMY AT THE THRESHOLD OF XXI CENTURY

ПОСТСОЦИАЛИСТИЧЕСКАЯ ТРАНСФОРМАЦИЯ: ЭКОНОМИКА ГРУЗИИ НА РУБЕЖЕ XXI ВЕКА